სარგის კაკაბაძე

ვახტანგ გორგასლის ხანა

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი
1994

წიგნი ეძღვნება ქართველი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ხანას, რომელმაც საქართველოში ფეოდალური წყობილების დამყარება შეამზადა.

ნაშრომში მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ვრცლად არის განხილული ვახტანგ გორგასალის დროინდელი რეფორმები, მძლავრი ქართული სახელიწიფოს საგარეო ურთიერთობები და შინაგანი აღმშენებლობითი საქმიანობა. სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი კულტურის საკითხებს.

წიგნი დაწერილია 1958 წლის გაზაფხულზე და ავტორის მიერ იმთავითვე იყო მომზადებული გამოსაცემად.

წინამდებარე პირველი გამოცემა სარგის კაკაბაძის ქალიშვილის, ქალბატონ ლია კაკაბაძის თანხმობითა და საერთო ზედამხედველობით იტვირთა თბილისის დამოუკიდებელმა უნივერსიტეტმა.

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი
გამომცემლობა «ნეკერი»

სარგის კაკაბაძე

1902 წლის ნოემბერში გაზეთ "ივერიაში" Homo Movus-ის ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილი "ქართველთა რიცხვი ასი წლის წინად". ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლის 16 წლის სარგის კაკაბაძის ამ პირველ სამეცნიერო შრომას გამოეხმაურა ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი. იმავე გაზ."ივერიაში" მ.ჯანაშვილი წერდა: "ივერიის" №254-ში დაიბეჭდა Homo Movus-ის საგულისხმიერო გამოკვლევა — "ქართველთა რიცხვი ასი წლის წინად"... იმედი გვაქვს, პატივცემული ჩვენი ავტორი თავის მოკლე წერილით არ დაასრულებს მის მიერ აღძრულ დიდმნიშვნელოვან საგნის გამოკვლევას, არამედ ეცდება და, შეძლებისამერ, შეავსებს თავის გამოკვლევას და დაბეჭდავს რუსულად ანუ ევროპიულს რომელსამე ენაზედ." /გაზ. "ივერია", № 256, 1902 წ. 29 ნოემბერი/.

სარგის კაკაბაძე, ამის შემდეგ, ექვს ათეულ წელზე მეტ ხანს დაუღალავად, ფანატიკური სიყვარულით და გასაოცარი ენერგიით ეწეოდა მეტად მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

სარგის /სერგო/ ნესტორის ძე კაკაბაძე დაიბადა 1886 წლის 19 ოქტომბერს იმერეთის სოფელ კუხში. სარგისის მამა ნესტორ კაკაბაძე მალე ოჯახთან ერთად ქუთაისში გადასახლდა და იქ მის მიერვე მოწყობილ ბორანზე დაიწყო მუშაობა. მან შეძლო თავისი სამივე შვილის /სარგისი — ისტორიკოსი, არტემი — ექიმი, მოღვაწეობდა აბასთუმანში, და. დავითი — ცნობილი მხატვარი/ გზაზე დაყენება. რაც მაშინდელ პირობებში დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. სხვათა შორის, სარგისი გიმნაზიაში მიიღეს მათემატიკის განსაკუთრებული ნიჭის გამო.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1905 წ. სარგის კაკაბაძე, კერძო გაკვეთილებით მოგროვილი ფულით, ვენაში გაემგზავრა და იქ უნივერსიტეტში ფილოსოფიური ფაკულტეტის ისტორიის განყოფილებაზე შევიდა. 1907 წელს კი ხელმოკლეობის გამო, იძულებული იყო ვენიდან პეტერბურგის უნივერ-

სიტეტში გადასულიყო, აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1910 წელს პირველი ხარისხის დიპლომით. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიღო ვერცხლის მედალი საკონკურსო შრომაში თემაზე: "ივანე და ზაქარია მხარგრძელების მოღვაწეობა წყაროებისა და სომხური და ქართული წარწერების მიხედვით".

1910 წელს ჩამოდის თბილისში და იწყებს დამოუკიდებელ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას. სარგის კაკაბაძე მიწვეულ იქნა ლექტორად ქალთა უმაღლეს კურსებზე /პირველი უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში, შემდეგში ა/კავკასიის უნივერსიტეტად წოდებული/. სადაც კითხულობდა საქართველოს ისტორიის კურსს. მეფის რუსეთში ეს საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ფაკულტატორი. ამიტომაც ს.კაკაბაძე ამ საგანს 8 წლის განმალობაში /1911—1919 წწ./ კითხულობდა უხელფასოდ. იქვე ასწავლიდა ლათინურ ენას და ბიზანტიის ისტორიას, იყო სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი. ამავე წლებში ასწავლიდა თბილისის 3-ე გიმნაზიაში, აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარვრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და სხვათა საქმიანობაში, სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს თბილისისა და ქუთაისის ჟურნალ-გაზეთებში. გაზეთებში "Закавказская речь", "Закавказское слово", ყოველდღიურად იბეჭდებოდა მისი მეთაური წერილები, სამხედრო მიმოხილვები და სხვა სტატიები /1915-1917 წწ./

1918-1932 წლებში ს.კაკაბაძე ერთი უაქტიურესი თანამშრომელთაგანია ნიკო მარის მიერ თბილისში დაარსებული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტისა.

სარგის კაკაბაძე იყო საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივის დამაარსებელი და ამ არქივის გამგე 1921-1926 წლებში. ხსენებულ არქივის ფონდებს ს.კაკაბაძემ საფუძვლად დაუდო საკუთარი, 1910-1914 წლებში შეკრებილი 300-მდე სა-

ბუთი და იოსებ ჭეიშვილის პირადი კოლექცია (80-მდე საბუთი). აგრეთვე შემდეგი საბუთები, შეგროვილი და გადაცემული ისტორიული არქივისავის სარგის კაკაბაძის მიერ: საბუთები თბილისის გუბერნიის მიწათმოქმედების სამმართველოს არქივიდან (კათალიკოს მელქისედეკის XI ს-ნის, გიორგი მეფის 1447 წლის საბუთები და სხვა) და 1921 წელს დაშლილ საარქივო მასალებიდან ს.კაკაბაძის მიერ შეკრებილი ძველი გუჯრების კოპიების წიგნები. სულ 56 წიგნი.

1923 წელს სარგის კაკაბაძემ თბილისში ჩამოიტანა პირველი მსოფლიო ომის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში გატანილი საარქივო ფონდები: ტყავის რამდენიმე საბუთი /მათ შორის გიორგი ლაშას, ვამეყ არაგვის ერისთავის XV ს-ნის, ნაწილები ბაგრატ მეფის XI ს-ნის საბუთისა და დავით აღმაშენებლის ანდერძისა, თამარ მეფის გელათის მონასტრისადმი მიცემული საბუთი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთი XV-XVIII ს-ნეებისა და სხვა/. სულ დაახლოებით 600 საბუთი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მუშაობისა, ანტირელიგიური კამპანიის დროს, სარგის კაკაბაძემ თავის თავზე აიღო სიძველეთა დაცვის მოწყობა საქართველოში და ათი წლის განმალობაში /1924-1934/ უძღვებოდა ამ საქმეს, პირველი სამი წელი უხელფასოდ. ამ დროს იქნა გადარჩენილი მრავალი ისტორიული ძეგლი და შეკრებილი ქართული ჭედური ხელოვნების უმეტესი ნაწილი, რომელიც დღეს დაცულია საქართველოს სახელმწიფო ძელოვნების მუზეუმში.

1930-1933 წლებში კითხულობდა ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში. მომდევნო წლებში (1952 წლამდე) — ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, სადაც ამავე დროს ხელმძღვანელობდა სსრკ და საქართველოს ისტორიის კათედრებს/. ბოლო წლებში კონსულტანტად იყო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სარგის კაკაბაძე გარდაიცვალა 1967 წლის 2 აპრილს 80 წლის ასაკში. სულ სარგის კაკაბაძეს გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. მნიშვნელოვანი ადგიდი მათ შორის

უკავია ქართული წყაროთმცოდნეობის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს, რომელთაგან აღსანიშნავია: "О древнегрузинских летописцах XI столетия" /1912/, "დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა" /1913/, "საისტორიო ძიებანი" /1924/, და სხვა. მრავალი შრომა მიუძღვნა სარგის კაკაბაძემ ქართულ დიპლომატიკას /საბუთმცოდნეობას/. მონოგრაფიაში "სასისხლო სიგელების შესახებ" /1924/ პირველად არის გამახვილებული ყურადღება ამ სახის დოკუმენტების მნიშვნელობაზე სოციალურ-ეკონომიკური და სამართლის ისტორიის საკითხების შესასწავლად. ამ და ბევრ სხვა შრომაში მან გამოაქვეყნა მრავალი ისტორიული საბუთი. ამასთანავე სიგელ-გუჯრები დაბეჭდა შემდეგ პუბლიკაციებში:"ისტორიული საბუთები" /5 წიგნი, 1913/, "დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები" /2 წიგნი, 1921/. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ომის დროს დაღუპული ბევრი საბუთი შემორჩენილია მხოლოდ ხსენებულ .პუბლიკაციებში ანდა 1911-1912 წლებში მის მიერვე გადაწერილი 1300-მდე ასლის სახით.

დიდი მნიშვნელობა აქვს სარგის კაკაბაძის შრომებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს "Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков" /1912/, რომელშიც პირველადაა დაყენებული გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი · პრობლემა სამხარეო მეფეების ინსტიტუტისა და სათავადოების წარმოქმნის შესახებ. ამავე საკითხებს ეხებოდა სხვა შრომებშიც /მაგალითად," ვახტანგ, უცნობი XV ს-ნის აფხაზიმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი", 1912, "ბაგრატ, უცნობი XIV ს-ნის რაჭა-არგვეთის მფლობელი", 1913, "ბაგრატ მეფე, XV ს-ნის რაჭა-არგვეთის მფლობელი", 1913, და სხვა/.

ისტორიკოსმა შექმნა აგრეთვე საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსები: "საქართველოს ისტორა. ახლი საუკუნეებს

ეპოქა" /1920, 1922/, რომლებიც 1923 წლამე იყო ძირითადი სახელმძღვანელო ჩვენს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, და "Краткий очерк истории Грузии" (1941). აღსანიშნავია, მისი სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია "ვახტანგ გორგასალი" /1959/, რომელიც დაწერილია წინამდებარე ვრცელი ნაშრომის საფუძველზე.

სარგის კაკაბაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ლიტერატურის ისტორიისა და ფილოლოგის საკითხებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მან ორ-ორგზის გამოსცა "ვეფხის ტყაოსანი" /1913, 1937/, ჩახრუხაძის "თამარიანი" /1913, 1937/ და შავთელის "აბდულმესიანი" /1913, 1937/ და ერთხელ "ამირანდარეჯანიანი" /1939/. მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა XII-XIII ს-ნეთა ქართული ლიტერატურის საკითხებს, მათ შორის აღსანიშნავია მისი რედაქტორობით გამოქვეყნებული "ვეფხის ტყაოსნის" ორივე გამოცემისათვის დართული ვრცელი გამოკვლევები და მონოგრაფია "რუსთაველი და მისი ვეფხის ტყაოსანი" /1966/.

სარგის კაკაბაძე რედაქტორობდა მის მიერვე დაარსებულ ჟურნალებს "საისტორიო მოამბესა" /4 წიგნი, 1924-1925/ და "საისტორიო კრებულს" /4 წიგნი, 1928-1929/.

როგორც ვხედავთ, მეცნიერის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ემთხვევა რევოლუციამდელ პერიოდს და გასაბჭოების პირველ წლებს, როდესაც ჯერ კიდევ, არ იყო ჩახშული კერძო ინიციატივა. ხოლო მომდევნო წლებში მისი მუშაობა დიდად შეიზღუდა. ნაშრომების გამოქვეყნების საშუალება კი, საერთოდ მოესპო.

თბილისში მისთვის სამუშაო ადგილი აღარ იყო არც უნივერსიტეტში და არც სხვა რომელიმე სამეცნიერო დაწესებულებაში. შემონახულია სარგის კაკაბაძის უამრავი განცხადება ცენტრარქივის დირექტორის, სამხარეო კომიტეტის მდივნის, განსახკომის, სამეცნიერო დაწესებულებათა მმართველობის გამგის და სხვათა სახელზე, სადაც წლების მანძილზე ითხოვს ძველი საისტორიო მასალებით სარგებლობის უფლებას, იმ მასალებით

მაინც, რომლებიც მის საკუთრებას შეადგენდა და თავის დროზე უსასყიდლოდ გადასცა ცენტრარქივის ძველი ქართული საბუთების განყოფილებას. ტენდენციური წერილები, გაუმართლებელი, უსაფუძვლო კრიტიკა, რომელზედაც არასოდეს არ ჰქონდა მას ბეჭდვით პასუხის გაცემის შესაძლებლობა, ხომ ჩვეულებრივ ნორმად იქცა.

მაგალითისათვის, გაზ. "სტალინელის" /1935 წ. 27 ივნისი/ რედაქციის წერილში "ფხიზლად კლასობრივი ინტერესების სადარაჯოზე" ვკითხულობთ: "უხეშ დამახინჯებას აქვს ადგილი საქართველოს ისტორიის სწავლების საქმეში. პროფ. ს.კაკაბაძე არა ერთხელ ცდილა ლექციებში გაეთრია კლასობრივად მავნე იდეოლოგია. იგი საქართველოს ისტორიის სწავლებაში დღემდის ვერ გასცილებია ფარნავაზ მეფეზე შეთითხნილ ლეგენდების მოსაბეზრებელ გადმოცემას"–

ხსენებული მიზეზების გამო, სარგის კაკაბაძეს დარჩა მრავალი გამოუქვეყნებელი შრომა. მათ შორის: "საქართველოს ისტორია" მრავალტომეული /უძველესი ხანიდან 1921 წლის ჩათვლით, 400 თაბახის მოცულობის/, საქართველოს ისტორია" ოთხტომეული (160 თაბახის მოცულობის) იგივე რუსულ ენაზე /300 თაბახის მოცულობის/, რომელთა გამოცემასაც განუწყვეტელი დევნისა და შევიწროების პირობებში ამაოდ ცდილობდა ავტორი.

აღსანიშნავია, რომ 1921 წლის საქართველოს ტრაღედია, რომლის ბევრ მონაწილეს პირადად იცნობდა, მან მაშინვე, ცხელ კვალზე აღწერა და მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ თემაზე მუშაობდა.

წინამდებარე მონოგრაფია "ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა" დაწერილია მისი "საქართველოს ისტორიის" მრავალტომეულის სათანადო ნაწილის საფუძველზე 1958 წლის გაზაფხულზე.

ლია კაკაბაძე.

წინასიტყვაობა

ვახტანგ გორგასალის მართებლობის დრო წარმოადგენს ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი გარდატეხის ხანას — ირღვეოდა მონათმფლობელური თვისებების მქონე წყობილება და ვითარდებოდა წინაფეოდალური ხანა. ამ პროცესში თვით ვახტანგი, ეს იშვიათად მაღალღირსებიანი სახელმწიფო მოღვაწე, თავისი შემოქმედებითი აქტივობით ნაყოფიერად ასრულებდა ხელმძღვანელ როლს. ქართველმა ხალხმა სათანადოდ დააფასა ეს. ათასხუთასმა წელმა განვლო მას შემდეგ და მისი სახელი გადმოცემებით და ზოგი ძველისძველი ლექსითაც ახლაც ცოცხალია ხალხის ხსოვნაში. წინამდებარე მონოგრაფიის ამოცანაა ვახტანგ გორგასალის ხანის მნიშვნელობის წარმოჩენა ქართველი ხალხის ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით.

მონოგრაფია დაწერილია იმავე ავტორის "ქართველი ხალხის ისტორიის" ვრცელი შრომის საფუძველზე და მეტნაწილად იქიდან არის ამოღებული. ლიტერატურა სხვადასხვა საკითხების დამუშავებისას გამოყენებულია იმდენად, რამდენადაც ის ავტორისათვის იყო ხელმისაწვდომი.

ავტორი

1958 წ. მაისი

შემოკლებათა სია

აღწერა — ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოისა საქართველოსა. თბილისი, 1941.

მოქც.ქართლ. — მოქცევა ქართლისა (იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, 1, თბილისი, 1962).*

საისტ. ძიებანი — სარგის კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი. ტფილისი, 1924.

ქ.ცხოვრ. — ქართლის ცხოვრება (იხ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, I, 1955; II,1959). 2

ქრონიკები — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ.ჟორდანიას მიერ, I, ტფილისი, 1892; II, 1897.

ВДИ — Вестник древней истории.

ЖМНП — Журнал министерства народного просвещения.

СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

Georgica — ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმანითურთ, გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

---

* წიგნში მითითებულია ამ გამოცემის გვერდები, თუმცა ავტორი სარგებლობდა ე. თაყაიშვილის გამოცემით (იხ. Е.С. Такайшвили. Описание рукописей "Общества распространения грамотности среди грузинского населения". II. Тифлис. 1906-1912).

შ ი ნ ა ა რ ს ი

I

შესავალი

ა/ისტორიოგრაფიის საკითხები

1. მოქცევაჲ ქართლისაჲს და ქართლის მეფეთა შესახებ უწყებულების ცნობები ვახტანგ გორგასალის შესახებ. 2. ჯუანშერის ნაწარმოების ხასიათი. 3. კრიტიკული შენიშვნები ჯუანშერის ნაწარმოების მიმართ. 4. ჯუანშერის ცხოვრების დრო. 5. აზრები და ლიტერატურა ვახტანგ გორგასალის შესახებ. 6. ჯუანშერის წინ და უკან მიმყოლი მემატიანეები.

ბ/ მოკლე ისტორიული მიმოხილვა

7. ქართული მწიგნობრობის საწყისები. 8. რომის იმპერია და სპარსეთის მონარქია ქართული ქვეყნების მიმართ. 9. ქართველების ქვეყანა და მათი მეზობელი ქვეყნები ვახტანგ გორგასალის ხანისათვის. 10. ქართული კულტურა ვახტანგ გორგასალის წინა ხანაში /ცალკე ფაქტები/.

II

ქართველი ხალხი ვახტანგ გორგასალის ხანისათვის

ა/ ეკონომიკა

11. ეკონომიკური ცხოვრების მიმართება. 12. მიწათმოქმედების ტექნიკა. 13. ტექნიკური გაუმჯობესება მიწათმოქმედებაში. 14. მამული. 15. მიწათმოქმედების კულტურები. 16. ეგრისის ეკონომიური საერთო ვითარება. 17. სოფელი, დაბანი, აგარა, აგარაკი, ქარდაგი. 18. საქალაქო ცხოვრების მიმართება. 19. ქალაქები IV-V საუკუნეებში. 20. ხელოსნობა. 21. მსხვილი სახელოსნოები. 22. ქალები ხელოსნობაში. 23. საფასე

ბ/ სოციალური ვითარება

24. დიდაზნაურთა ფენის ჩამოყალიბება. 25. ცვლილებანი სოციალურ ცხოვრებაში 410-430 წლების ახლოს. 26. ტერმინი მამასახლისი. 27. წარჩინებულნი. 28. აზნაურნი. 29. კეთილი და დიდება. 30. უაზნონი. 31. მორეწე. 32. მუშაკი. 33. მეთემე მსოფლიონნი, მდაბნი, მდაბიურნი. 34. მონა. 35. მსახურნი. 36. წყობილების საერთო ხასიათი.

გ/ მმართველობა.

37. მეუფე-მეფე. მისი უფლება და ინსიგნიები. 38. პიტიახში და ეზოს მოძღვარი. 39. მართებლობა რომის იმპერიასა და სპარსეთში. 40. სამეფო რჩევა სპარსეთსა და ქართლში. 41. უმაღლესი მმართველობა სპარსეთში. 42. ქართლის სამეფოს შინაგანი სტრუქტურა. 43. საგადასახადო სისტემა.

დ/ სამხედრო საქმე

44. მეომარი ძალა. 45. ჯარის შეიარაღება. 46. ჯარის სოციალური სტრუქტურა. 47. ბრძოლის და შებმის წესი.

III

მეფობის გაუქმების წინა წლები და უმეფობა ქართლში

48. ქართლის მეფენი V საუკუნეში დაწყებული ფარსმანიდან. 49. არჩილის მეფობა ბაკურ დიდის თანამმართველობით. 50. ბრძოლა სპარსელებთან. 51. მეფობის კრიზისი ქართლში. 52. სომხეთის სამეფოს დასასრული. 53. ქართლის სამეფოს გაუქმება; სამხრეთ ტაშირის ჩამოშორება; ჰერეთის დაკავშირება ქართლთან. 54. ქრისტიანობის იდეოლოგია IV-V საუკუნეებში. 55. ქრისტიანული მწვალებლობანი საქართველოში. ქართლის მთავარეპისკოპოსი მობიდანი. 56. მანიქეიზმი. 57. ვახტანგის აღზრდა; ვახტანგის სახელი. 58. მდგომარეობა ქართლში უმეფობის დასაწყისში. 59. ოსების შემოსევა. 60. ლაშქრობა ოსებზე. 61. ვახტანგი სპარსეთში. 62. სამშვილდის. იგივე ტაშირის საპიტიახშო; ცურტავ-გაჩიანი. 63. დედოფალი შუშანიკ. 64. ქართლის მარზპანი ვასაკ სივნელი: ქართლის პიტიახში არშუშა. 65. სამხრეთ ქართლის სამეფო. 66. ჰუნები. 67. ეგრისის (ლაზიკის) მდგომარეობა ვიდრე V საუკუნის პირველ ნახევრამდის. 68. რომეების მიერ დასავლურ ლაზიკისა და შიდა ეგრისის დამორჩილება. 69. შიდა ეგრისის ახალი მთავარი ქალაქი ციხე გოჯი — არხიაპოლისი. 70. აფხაზეთის ჩამოყალიბება. 71. სპარსეთის მოწოლა სომხეთსა და ქართლზე. 72. ქართული ეკლესიის მიმართულება: მიქელ მთავარეპისკოპოსი.73. მდგომარეობა ქართლის აღმოსავლეთით (ალვანეთში).

IV

ვახტანგ გორგასალის მმართველობის პირველი წლები

74. მეფობის აღდგენა ქართლში: ვახტანგის დაბრუნება ქართლის მეფედ. 75. თბილისის წამოწევა: პირველი მშენებლობანი. 76. საკითხი სამეფო დარბაზის თბილისში გაშენების შესაძლებლობის შესახებ. 77. ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი თბილისში. 78. ხალხი და თბილისის მშენებლობა. 79. უჯარმა. 80. ქალაქი მცხეთა. 81. ქალაქი არმაზი. 82. სვეტი-ცხოვლის ტაძრის აშენება მცხეთაში. 83. სხვა მშენებლობანი მცხეთაში ვახტანგის დროს.

V

საგარეო ურთიერთობანი ვახტანგის მართებლობის პირველ ხანაში

84. გადადგომა სპარსეთისაგან. 85. ზავი სპარსეთთან. 86. ვახტანგის გამგზავრება იერუსალიმს. 87. ვახტანგი სპარსეთის სამხედრო სამსახურში (474-475 წლების ახლოს). 88. თარეშული თავდასხმები მოსაზღვრე აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქვეყნებზე.

VI

ბრძოლა ქართული ქვეყნების გაერთიანებისათვის

89. ეგრისი და აღმოსავლეთ რომის იმპერია. 90. სვანების სამთავრო. 91. შიდა ეგრისის შემოერთება (470 წლის ახლოს). 92. თურქული მომთაბარე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. 93. ქართველების ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში და აფხაზეთის შემოერთება. 94. შეთანხმება აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან.

VII

შინაური რეფორმები

95. ეკონომიური ვითარების საკითხები. 96. სამეფო ხელისუფლების გაძლიერება. 97.სახელმწიფო რჩევის რეორგანიზაცია. 98. საგადასახადო წესის გაუმჯობესება. 99. სამხედრო რეფორმა: საკარავის შემოღება. 100. ქართლის სამეფოს დაყოფა საერისთავოებად. 101. ქალაქების როლის შეცვლა. 102. გლეხი. 103. ბატონური და სამხედრო

წოდებანი. 104. სოფელი და მისი გამგებლობა. 105. სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტის შესახებ. 106. ახალი სახელმწიფო დროშის შექმნა 107. მცხეთის ეკლესიის ავტოკეფალიის (თვითთავობის) დაფუძნება. 108. მიმართულებანი ქრისტიანობაში და ქართლის ეკლესია. 109. ეგრისის დამორჩილება ეკლესიურად ქართლის კათალიკოსისადმი. 110. ქრისტიანული ეკლესიის დაორგანიზება. სამამასახლისოების რეორგანიზაცია. 111. ეკლესიის ორგანიზაცია ეგრისში. 112. თბილისის ციხის რეკონსტრუქცია და გალავნის მშენებლობა. 113. თბილისის განლაგების შესახებ ვახტანგ გორგასალის და დაჩის დროს. 114. სპარსეთის ლაშქრობა ქართლის სამეფოს წინააღმდეგ. 115. პეროზ მეფის დამარცხება თეთრი ჰუნების მიერ (484 წლის გაზაფხულზე). 116. ვახტანგის დაბრუნება ქართლში. 117. ვახტანგის სიკვდილი. 118. ვახტანგის პიროვნება საისტორიო მწერლობაში. 119. ვახტანგის პორტრეტები.

VIII

ვახტანგის უახლოეს მემკვიდრეთა ხანა

120. ქართული ქვეყნები ვახტანგ გორგასალის უახლოესი მემკვიდრეების დროს. 121. ქართლის პირველი კათალიკოსები. 122. მარზპანობის შემოღება ქართლში. 123. მდგომარეობა ეგრისში. 124. ათსამეტ სირიელ მამათა მოსვლა ქართლში. 125. მეფობის გაუქმება ქართლში.

IX

კულტურა და ყოფა

126. ძველი ქართული სამწიგნობრო ენა. 127. ქრისტიანული მწიგნობრობა. 128. აგიოგრაფიული ძეგლის ევსტათი მცხეთელის ცხოვრების ცნობები. 129. სასულიერო ქრისტიანული პოეზია. 130. ფილოსოფია: ფილოსოფიის სკოლა კოლხეთში. 131. კალენდრის რეფორმა. 132. ხელოვნება. ა/ სოფიის კენჭის მხატვრობა. ბ/ ჭედვითი ხელოვნება. გ/ ხუროთმოძღვრება. 133. განათლება. 134. ყოფა. 135. ცრუმორწმუნეობანი.

136. ზოგადი დასკვნა.

I
შესავალი

ა) ისტორიოგრაფიის საკითხები

ვახტანგ გორგასალის ხანის შესასწავლად მთავარი მნიშვნელობა, რასაკვირველია, ქართულ წყაროებს აქვს. მხოლოდ ვახტანგის გამგებლობის ბოლო პერიოდში ქართლის მიერ სპარსეთის წინააღმდეგ ომს აგვიწერს თანადროული სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი (V საუკუნის დასასრული).

1. მოქცევაჲ ქართლისაჲს და ქართლის მეფეთა შესახებ უწყებულების ცნობები ვახტანგ გორგასალის შესახებ.

ქართულ წყაროებს შორის ყველაზე ძველია მოქცევაჲ ქართლისაჲ-ში მოთავსებული მოკლე ცნობა ვახტანგ გორგასალის შესახებ: (არჩილის შემდეგ) "მეფობდა მირდატ და მთავარეპისკოპოსი იყო გლონოქორ და ესე მთავარეპისკოპოსი ერისთავადცა ბარაზბოდ პ-ტიახ-შისაგან ქართლს და ჰერეთს. და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გორგასალი და მთავარეპისკოპოსი იყო ოველი. მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მთავარეპისკოპოსი იყო მიქაელ და მან მიამთხჳა ფერეი პირსა მეფისასა ვახტანგს".

ამას ჭულიშისეულ ხელნაწერში მიყვება შემდეგი ძველი მიმატება უკანასკნელი სიტყვების ოდნავ შეცვლით: "ამან (მიქაელმა) მიამთხუია ფერეი გორგასალსა რომელიმე მიზეზისათჳს და განაძო ეკლესიისაგან. მაშინ მეფე აღივსო გულისწყრომითა მრავლითა და ექცა (მას) ფერი პირისა მისისა და განიზრახვიდა მრავალთა ბოროტთა დამკობად ქრისტიანობისა. არამედ ღმერთმან რომელსა არავისი ნებავს წარწყმედაჲ, მოუვლინა გულსა მისსა კეთილი განზრახვაჲ; აღდგა და განიპყრნა ჴელნი თჳსნი ღმრთისა მიერ და თქუა: "დიდებაჲ შენდა, ქრისტე ღმერთო, რა მე არს საქმე ესე?" და ვაებაჲ მისცა მტერსა. და წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრიაქისაგან კათალიკოზი. და მისცეს კათალიკოზი პეტრე. და თანა ჰყვანდა სამუელ, მონაზონი კაცი წმიდაჲ და ღირსი და აღაშენა ქვეყოჲ ეკლესია ვახტანგ მეფემან. და დასვა მუნ შიგან პეტრე კათალიკოზი და ესე იყო ქართლის მოქცევითგან ას სამეოცდამეათესა წელსა".

მოქცევაᲐ ქართლისაას ქრონიკა შედგენილი უნდა იყოს VII საუკუნის შუა ხანებში.

მეორე ასეთივე მოკლე წყარო ვახტანგ გორგასალის მმართველობის შესახებ არის ეგრეთ წოდებული უწყებულება ქართლის მეფეთა შესახებ[1]. თხრობა იწყება ალექსანდრე მაკედონელის მოსვლიდან და არიან ქართლის მეფის ძის აზოს /აზონის/ მეფედ დანიშვნიდან. ამ აზონის ვითომ ჩამომავალი იყო მირიან და "ჩუენ შვილნი ვართ არიან ქართლისანი და ენა მათი უწყით და მეფენი ჩვენნი მათნი შვილისშვილთანი". შემდეგ წერია: "ხოლო შემდგომად მირიანისა მეათე მეფე იქმნა ვახტანგ გორგასალ და ვიდრეცა ყრმა იყო, იძულებით სპარსეთად წარვიდა და ქრისტეს სარწმუნოება კეთილად მოიცვა. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მაშინა ჟამსა მას იყო მიქაელ მთავარეპისკოპოზად და დაავჯერეს ვითარმედ ვახტანგ ქრისტიანობა დაუტევა. ხოლო მან ირწმუნა და მორავიდოდა ვახტანგ მოკითხვად მისა, წიხლი შეჰკრა და კბილნი შეჰლეწნა. ხოლო მეფემან ვახტანგ სიმშვიდით ღმრთისაითჳს დაითმინა იგი და არა ბოროტი შეამთხუია, გარნა გაგზავნნა მოციქულნი საბერძნეთს და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისა/გან/ კათალიკოზი. და მათ წარმოავლინეს პეტრე კათალიკოზად. ხოლო ვახტანგ აღაშენა ესე დიდი ეკლესია და დასვა მას შინა პირველ კათალიკოზად პეტრე ღირსი და მდაბალი და დაამდაბლა პატივი სამთავროსა."

"ამან ვახტანგ აღაშენა ტფილისი და მცხეთა ქალაქი მუნ მიიცვალა. ამანვე დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი[2] და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მასზედა გოდოლი და დააყენნა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მათ კარად დარიალაისა და აწ თუნიერ ბძანებისა მეფისა ვერ ელეწიფების გასლვად ოვსთა და ყივჩაყთა." ამანვე ვახტანგ სძლო სპარსთა და დაიმორ-

---

[1]. ტექსტი იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისათვის, II, ტფ., 1897, 50-58, 77, 519-522; კიდევ ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, ტფ., 1924, 170-173.

[2]. სიტყვა "ყივჩაღი" კერძოდ ალთაურ-თურქულ კილოზე ნიშნავს სწრაფს. ყივჩაღები იყვნენ საუკეთესო ცხენოსნები. ყივჩაღებს /ყიფჩაღებს/ რუსები იცნობდნენ პოლოვცების სახელით. ეს იყო ერთ-ერთი თურქული ტომის სახელწოდება. ყივჩაღები სათავეში ჩაუდგნენ უმთავრესად მოშთაბარე ტომების კონგლომერატს დასახ. VIII ს-ნიდან /დასახელებული წყარო უწყებულება იძლევა ამის აკვლაზე ძველ თარიღს/. ყივჩაღების მეთაურობით მყოფი ტომობრივი კავშირი გაანადგურეს მონღოლებმა.

ჩილნა,რამეთუ იყო საზარელ და გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქვეყანასა, რამეთუ იყო სიგძე მისი ათორმეტი მტკაველი და აწცა საცნაურ არს სამოსლისა და აბჯრისა მისისაგან.

"ხოლო იყო ფრიად შემკული ღმრთის მსახურებითა დიდი ვახტანგ. ხოლო მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა. მონა ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვისა ღლიასა ქვეშე და აღიპყრა და ჯრმალი თჳსი, რათა სცეს კაცთა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქვეშე და მით მრკლა, და ქრისტესათჳს იწამა ქრისტეს მოყვარე იგი მეფე. და არს საფლავი მისი წინაშე სვეტისა ცხოველისა".

ამ ნაწარმოების დაწერის დროის შესახებ უნდა ითქვას, რომ მის დროს ქართლი ქართველ მემკვიდრეობით მმართველთა /მეფეების/ ხელქვეით არის და ეს მეფენი თუ ერისმთავარნი არიან არა — ბაგრატუნიანები /მოდიან ძველი დროიდან/. უკვე ამის მიხედვით უწყებულება არ შეიძლება დაწერილ იყოს დიდი ამოტ კურაპალატის /ბაგრატუნიანის/ დროს და მის შემდეგ. ის არ შეიძლება წარმომდგარიყო არც ამო ტფილელის წამების /786 წ./ ხანაში, რადგანაც ნერსე ქართლის ერისმთავრის განდევნის შემდეგ ხალიფამ ერისმთავრად დანიშნა მისი დისწული, მაშასადამე უკვე სხვა გვარის პირი /თუმცა თვით ნერსე მაშინდელ პირობებში ამითაც კმაყოფილი იყო/. ამავე დროს უწყებულების ბოლოში მოთხრობილია, რომ იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმის /741-775 წწ./ და ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს /744-751 წწ./ დროს ქართლის კათალიკოზს მიეცა უფლება თავისსავე ქვეყანაში /მცხეთაში/ კურთხეულიყო /მანამდის 611 წლიდან ქართლის კათალიკოზებს ანტიოქიის პატრიარქი აკურთხებდა, ხოლო უფრო ადრე კიდევ ანტიოქიის პატრიარქი ანდა სომხეთის კათალიკოზი/. იმავე დროს ანტიოქიიდან მოსატანი მირონის საფასურად მანამდე დაწესებული ასი სოფლის /საეკლესიო/ შემოსავლის სანაცვლოდ დაწესებულ იქნა ასი დრაჰკანის გადახდა ანტიოქიის საპატრიარქოს სასარგებლოდ. "ესრეთ განაგეს ქართლისა ეკლესიათა წესი და ქცევა და ესეცა არს ვიდრე დღეინდელად დღემდე."[3] თუ უკანასკნელი ფრაზა პირვანდელ ტექსტს ეკუთვნის, მაშინ გამოდის, რომ უწყებულება უნდა იყოს 740-იან წლებზე დაშორებით შედგენილი, მაშასადამე /ზემოთ თქმულის მიხედვით/, 780 წლის ახლოს.

---

[3]. საისტორიო ძიებანი. გვ 173.

ეს ორი წყარო /მოქცევაი ქართლისაის ქრონიკის, რომელიც ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი, და უწყებულება/ მეტად ლაკონურია, მაგრამ შეიცავს, თავისი სიმოკლის მიუხედავად, ძვირფას ცნობებს ვახტანგ გორგასალის ხანის შესახებ. ორივე წარმოადგნს მეტად შეკვეცილ ნაკრებს ჩვენამდის მოუღწეველ ქრონიკალური ხასიათის სხვა წყაროებიდან.

2. ჯუანშერის ნაწარმოების ხასიათი.

სულ სხვა ხასიათისაა მესამე წყარო, ჯუანშერის[4] მიერ დაწერილი ვრცელი ნაწარმოები ვახტანგ გორგასალის შესახებ. ეს არის უფრო ისტორიული მოთხრობა, რომელშიც ავტორის ფანტაზია და მხატვრული შემოქმედების საფუძველზე წარმომდგარი ჰიპერბოლები ჩრდილავენ ნამდვილ ფაქტებს. თავისი აღნაგობით და სიუჟეტის დეტალიზაციის ხერხებით ავტორი, როგორც ჩანს, უახლოვდება საშუალო სპარსულ ენაზე არსებულ და ჩვენამდის მოუღწეველ ნაწარმოებს ხვადაინამაკს /მეფეთა ცხოვრებას/, რომელიც XI საუკუნეში გამოიყენა თავისი "შაჰ-ნამესთვის" ფირდოუსიმ. მაგრამ რადგანაც ჯუანშერი იყენებს თავისი მოთხრობის ფაქტობრივი სქემისათვის რაღაც ისტორიულ წყაროებს, ამიტომ საჭიროა და შესაძლებელიც ფანტასტიური დეტალებით ჭარბად გადატვირთულ ამ ნაწარმოებში /სათანადო სიფრთხილით და კრიტიკული მიდგომით/ მაინც მიკვლეულ იქნეს სინამდვილის რეალური ქარგა.

თ.ჟორდანია ჯუანშერს VIII საუკუნის მწერლად თვლიდა /ქრონიკები, I, წინასიტყვაობა/, მაგრამ რადგან მისი მოსაზრება ჯეროვნად დასაბუთებული არ იყო, ამიტომ ამ აზრმა ფესვი ვერ მოიკიდა.

ჯუანშერის მოღვაწეობის დათარიღებაში საბედისწერო როლი შეასრულა ცნობილმა და აქ ქვემოთ გარჩეულმა ციტატამ პაჭანიკების კავკასიიდან /ვახტანგ გორგასალიდან "შემდგომად ჟამთა მრავალთა"/ დასავლეთისაკენ თურქების მიერ ოტებამ.

ვინაიდან ეს ოტება მიღებული იყო XI საუკუნისათვის, ამიტომ ჯუანშერიც ამ ეპოქაზე უფრო ადრინდელ მწერლად ვერ გამოჩნდე-

---

[4]. სახელი ჯუანშერი არის სპარსული. ამ სახელს ატარებდა ვახტანგ გორგასალის უახლოესი თანამშრომელი სპასპეტის თანამდებობით /სპ. ჯუან შრ. ეი. ახალგაზრდა ლომი/.

ბოდა და ამიტომ მასვე მიეწერა მთელი მატიანის დაწერა ვახტანგ გორგასალიდან ვიდრე XI საუკუნემდე. ასე ვფიქრობდი მე 1911-1912 წწ. ჩემს შრომაში "О древне-грузинских летописцах", სადაც ჯუანშერის მოღვაწეობას XI საუკუნით /1058-1075 წწ/ ვათარიღებდი. XI საუკუნისავე მწერლად სთვლიდა ჯუანშერს ჯერ კიდევ 1910 წ. ივ. ჯავახიშვილი, როდესაც მან ძველი ქართველი მემატიანეების შესახებ თბილისში საჯარო მოხსენება წაიკითხა და შემდეგ იგივე აზრი მანვე გაატარა ქართულ მატიანის ვრცელ გარჩევაში,სახელდობრ, ის ჯუანშერს სთვლიდა XI საუკუნის პირველი ნახევრის გასულისა და მეორე ნახევრის დასაწყისის ავტორად.

ამასთანავე ივ. ჯავახიშვილი უარყოფდა ჯუანშერის ნაწარმოების გამოყენების შესაძლებლობას საქართველოს ისტორიისათვის: "ჯუანშერის თხზულება ვახტანგის დროის ისტორიისათვის, წერდა ის, ზოგიერთი მცირეოდენი ცნობის გარდა თითქმის გამოუდეგარია და საყურადღებოა მხოლოდ როგორც დამახასიათებელი იმისა, თუ რა ცნობები და წარმოდგენა ჰქონიათ XI საუკუნეში განათლებულ ქართულ წრეებს ვახტანგ გორგასალის პიროვნებასა და მეფობაზე".[5] კორნელი კეკელიძე თავის გამოკვლევაში "ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსის" შესახებ, იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ "ცხოვრება ვახტანტ გორგასალისა" დაწერილია არა ჯუანშერის, არამედ იმ ისტორიკოსის მიერ, რომელსაც ეკუთვნის ეგრეთ წოდებული "მეფეთა ცხოვრება და რომელიც ლეონტი მროველის სახელითაა ცნობილი დღესდღეობით. ლეონტი მროველი კორნ. კეკელიძეს XI საუკუნის მოღვაწედ მიაჩნდა.[6]

ერთ-ერთ მთავარ საბუთთაგანს ჯუანშერის შრომის XI საუკუნით დასათარიღებლად იძლეოდა ციტატა პაჭანიკების ოტების შესახებ.

XI საუკუნის ბოლოში პაჭანიკები აღმოსავლეთიდან მოადგნენ მდინარე დონის აუზს, საიდანაც მათ განდევნეს უნგრები. "889 წელს, ამბობს დასავლეთ ევროპელი მემატიანე ბერი რეგინონი, გამოვიდა უნგრების ხალხი სკვითების ჭაობებიდან, სადაც მდ. ტანაისი მიმდინარეობს. უნგრები გამოდევნეს თავისი ქვეყნიდან მეზობელმა ხალხებმა,

---

5 . ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა /V-XVIII სს/, თბილისი, 1945,გვ.191

6 . "ჩვენი მეცნიერება", 1923, N 4-5.

რომლებსაც პეცინატებს ეძახიან.[7] რადგანაც პაჭანიანი IX საუკუნის დასასრულს მდ. დონის აუზიდან ერეკებიან ადგილობრივ მობინადრე ხალხს, ამიტომ დონის აღმოსავლეთით თუ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანაში ისინი კარგა ხნის მოკალათებულნი იქნებოდნენ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჯიქნი VI საუკუნეებში უკვე აფხაზების ზემოთ იხსენიებიან, ცხადი უნდა იყოს, რომ პაჭანიკები VI საუკუნეში პროკოპი კესარიელის მიერ მოხსენიებულ ჰუნნებს შორის არიან საგულისხმებელნი.[8] სახელდობრ, ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ვახტანგ გორგასალის დროს ოსეთზე ლაშქრობისას ქართველები განვიდეს პაჭანიგეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიგეთი მოსაზღვრეთ ოვსეთისა მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიგნი და ჯიქნი თურქთაგან და წარვიდეს პაჭანიგნი დასავლეთ კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრეს ბოლოსა აფხაზეთისასა".[9]

პროკოპი კესარიელის დროს /სპარ. ომის შესახებ, II, §29/ ჯიქები მართლაც აფხაზეთის ბოლოში ცხოვრობდნენ. სახელდობრ, დასახელებულ ადგილას პროკოპი წერს: "აქ (სადაც თავდება კავკასიის ქედი) ცხოვრობენ სხვადასხვა ხალხები, მათ შორის ალანები და აბასგები, ძველიდანვე ქრისტიანობისადმი და რომაელებისადმი მეგობრულად განწყობილნი. აგრეთვე ზიხები და მათ შემდეგ ჰუნნები, რომელთაც საბირებს ეძახიან." ამ ჰუნნებს შორის უნდა იგულისხმებოდნენ ჯუანშერის პაჭანიგნი, რომელნიც თურქული მოდგმის მომთაბარე ტომს შეადგენდნენ. სახელების ხშირი ცვალებადობა მომთაბარე ტომებში /ამ შემთხვევაში საბირები პაჭანიგების მაგივრად/ აიხსნება იმით, რომ მათ შორის არსებულ ტომობრივ ცვალებად გაერთიანებაში ხან ერთი ტომის მეთაურები ახერხებდნენ ხელმძღვანელი მდგომარეობის მოპოვებას და ხან მეორენი. მართლაც, აკათია (წერდა 560 წლის ახლოს) VI საუკუნის ნახევრისათვის იმ მხარეში, სადაც ჯუანშერი ჯიქებს და პაჭანიგებს იხსენიებს, უკვე თურქებს ასახელებს. ცხადია, ამ თურქების მიერ პაჭანიგების განდევნა უფრო ადრეულ ხანაში უნდა მომხდარიყო. დაახლოებით VI საუკუნის დასაწყისში. როგორც მე 1911 წელს.

---

7. ციტატა მოპოვებულ მ. ლიუბავსკის "Древняя русская история", 1918, გვ.73.

8. ს.ყაბაძე. საისტორიო ძიებანი. გვ.151-152.

9. ქართლის ცხოვრება. ტექსტი. დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი. 1955. გვ. 156-157.

ისე ივ. ჯავახიშვილი (შესაძლებელია ამაზე ადრე და ყოველ შემთხვევაში შემდეგ) ვხელმძღვანელობდით რუსულ ისტორიულ ლიტერატურაში მაშინ მიღებული აზრით, რომ პეჩენეგების /პაჭანიკების/ დაძვრა დასავლეთისკენ თურქების მიზეზით მხოლოდ XI საუკუნეში მოხდაო, ამ შემცდარმა აზრმა განაპირობა ჯუანშერის ნაწარმოების დათარიღება XI საუკუნით /როგორც ზემოთ აღნიშული იყო, წელიწადების მცირე განსხვავებით/.

ხსენებული შეცდომის მოცილების შემდეგ ჯუანშერის ნაწარმოებს მე ვათარიღებდი VIII საუკუნის მეორე ნახევრით, უკეთ, მესამე მეოთხედით."

პინგოროყვა უარყოფდა ჯუანშერის ავტორობას ვახტანგ გორგასალის ცხოვრების მიმართ და ფიქრობდა, რომ ამ ნაწარმოების ავტორი უნდა ყოფილიყო ვინმე უჯარმელი 872-914 წლების ახლოს.[11]

უკანასკნელად პინგოროყვა ამავე საკითხზე წერდა შემდეგს: "ეს ძეგლი, "ცხორება ვახტანგ გორგასალისა", ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჯუანშერის ქრონიკის არსებულ რედაქციას, ხოლო ეს უკანასკნელი 872-912 წლებს ეკუთვნის. ამავე დროს ირკვევა, რომ "ცხორება ვახტანგ გორგასალისა" უფრო მოგვიანო დროისაა, ვიდრე ლეონტი მროველის "ცხოვრება ქართველთა მეფეთა", რომელიც VIII საუკუნის ძეგლია."[12] გამოდის, რომ პინგოროყვა შემდეგ ვახტანგ გორგასალის ცხოვრების დაწერას მიაკუთვნებდა VIII საუკუნის შემდგომ ხანას და უწინარეს 872-912 წლების, ეი. ვარაუდით 800-872 წლების ახლო დროს.

ჯუანშერის ნაწარმოებს აქვს ასეთი სათაური: "ცხორება და მოქალაქობა /მოღვაწეობა/ ვახტანგ გორგასლისა, მშობელთა და თვით მისის დიდისა და ღმრთივ მოყვარისა მეფისა, რომელი უმეტეს სახელგანთქმული გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა". ნაწარმოები წარმოადგენს მატიანის წინანდელი თხრობის უმუალო გაგრძელებას.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ჯუანშერი ვახტანგ გორგასალის ცხოვრებას იწყებს ასეთი სიტყვებით "ვითარ იგი შეიპყრეს

---

10. საისტორიო ძიებანი. 1924. გვ. 166-190.

11. პ. ინგოროყვა. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. "მნათობი". 1939. N 10-11 გვ. 199-230.

12. პ. ინგოროყვა. ვეფხვი მერჩელე. 1954. გვ. 323. შენ.

ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა წყობასა შინა წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკვდა და დაიპყრეს ქართლი სპარსთა" (გვ.139).

ჯუანშერის ნაწარმოების წინ მყოფი ტექსტი სწორედ ამ მირდატის სიკვდილის შესახებ ცნობით თავდება. "მირდატ სილაღითა თავისითა არა ჰრიდა სიმრავლესა სპარსთასა და მცირედითა სპითა მიეგება, გარდაბანს ეწყო, აოტეს და შეიპყრეს იგი სპარსთა წყობასა შინა. /შემოვიდეს ქართლს, დაიპყრეს ქართლი სპარსთა, განხყუნნეს ეკლესიანი. ხოლო ნათესავნი ქართლისა მეფეთანი დარჩეს ყვესა კახეთისასა და სვიმონ ეპისკოპოსი მათთანავე. ხოლო მირდატ წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკვდა" (გვ.138) /ბაღდადად აქ იგულისხმება სასანიანთა სპარსეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია დაზადაგერდი, ბოლო ხანებში თურქულად ბაღდადად ანუ ძველ ბაღდადად წოდებული.[13]

იდენტური სიტყვები ცხადჰყოფენ, რომ როდესაც ჯუანშერი იწყებდა თავისი ნაწარმოების წერას, მას უკვე ხელთ ჰქონდა მატიანის მთელი თავი ნაწილის ტექსტი, რომელიც შემდეგ მექანიკურად გააგრძელა.

რომ მატიანე ხსენებულ მირდატამდის /რომელიც ბაღდადს წაიყვანეს/ ჯუანშერს უკვე დაწერილი დახვდა, ეს ჩანს კიდევ შემდეგიდან: ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ქართველები დასტიროდნენ ბერძნების მიერ შიდა ეგრისის დაპყრობას და მოიგონებდნენ, ვარაზ-ბაქარ მეფის დროს ბერძნებმავე თუ როგორ დაიპყრეს კლარჯეთი. ჯუანშერის წინანდელ მატიანეში მართლაც მოთხრობილია, რომ ვარაზ-ბაქარს გადაუდგნენ კლარჯნი, რომელნიც "შიერთნეს ბერძენთა; და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვთგან არსიანთამდე" (გვ.136-137).

არ არის გამორიცხული, რომ მატიანის მთელი ხსენებული თავის ნაწილი აგრეთვე IX საუკუნეში იყოს შედგენილი, სახელდობრ ამ საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ავტორი არ უნდა იყოს ლეონტი მროველი, რომელსაც ეკუთვნის ვახტანგის შემდგომი ამბების თავისებური და მეტად ნაკლული (და ისიც შეცდომებიანი) აღწერა. მატიანის ამ მთელი თავის ნაწილის ავტორის ვინაობა გაურკვეველი რჩება.

ჯუანშერის თხრობა ვახტანგის შესახებ არის შემდეგი შინაარსის:

---

[13]. ს. კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი. გვ. 90.

ვახტანგი ობლად რჩება შვიდი წლის. მისი მცირეწლოვანობისას ქართლს შემოესევიან ოსები და იტაცებენ ვახტანგის დას. როდესაც ვახტანგი გახდება 15 წლის, ის ვითომდა 172 ათასი კაცით აწყობს დიდ ლაშქრობას ოსებზე და პაჭანიკებზე. იმარჯვებს, ანთავისუფლებს თავის დას და აუარებელი ტყვეებით ბრუნდება უკან. ვახტანგი უგზავნის სპარსეთის მეფეს დიდძალ ძღვენს და ასულს სთხოვს მას ცოლად. სპარსეთის მეფემ მიათხოვა მას თავისი ასული ბალენდუხტი და "მისცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად" (გვ.158).

რამდენიმე ხნის შემდეგ სპარსთა მეფემ "მოუწერა /ვახტანგს/ ბრძოლად კეისრისა, რამეთუ კეისარი ბრძოლად განსრულიყო სპარსთა". ვახტანგმა მოიწვია "მეფენი კავკასიისა", შეკრიბა სულ თავისი ჯარი-თურთ ვითომ 200 ათასი კაცი. სპარსეთის მეფის ბრძანებით ვახტანგთან მივიდა ბიძა ვახტანგისა დედის მხრივ – რანის ერისთავი ვარაზ-ბაკურ ადარბადაგანის რანის და მოვაკანის ჯარით, სულ 200 ათასი კაცით. ამ დროს ვახტანგი 22 წლისა იყო. ვახტანგმა აიღო კარახპოლი, იგივე კარნუ-ქალაქი, შემდეგ ქალაქები ანძიაძორი, ეკლეკი, დასტერი, კოსტანტი, მაგრამ დიდს ომში ბერძნებმა დაამარცხეს სპარსელები და მოჰკლეს სპარსელების მხედართმთავარი, ვახტანგის ბიძა. მაშინ ვახტანგი თავისი ჯარით გადავიდა შეტევაზე, მან დაამარცხა ბერძნები და მოჰკლა მათი სარდალი პოლეკარტოს. ვახტანგმა გაათავისუფლა ყველა წამოყვანილი ტყვე, რაც დიდად სასიამოვნო დაურჩა დამარცხებულ კეისარს. ამით მოხიბლულმა კეისარმა შეაძლია ვახტანგს ცოლად თავისი ასული. ვახტანგის პირველი ცოლი უკვე მომკვდარიყო. და ზითვად დაუწერა ქვეყანა ეგრის-წყალსა და კლისურას შუა და "სხვა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა" /ვახტანგს დაეპყრო მთელი ეს მხარე/ (გვ.177).

სპარსეთის მეფე მოკვდა და გამეფდა მისი მცირეწლოვანი შვილი, რომელიც მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოიწიფა. სამი წლის შემდეგ სპარსთა ახალი მეფე წარმოემართა ვახტანგთან საბრძოლველად. ბრძოლები წარმოებდა მცხეთა-არმაზის მიდამოებში, მათ სამხრეთით ვახტანგს მოუვიდა მეშველად კეისრის მიერ გამოგზავნილი 80 ათასი კაცი. მაშინ სპარსთა მეფე დაეზავა ვახტანგს და გარიგების შემდეგ ჯერ შეაძლია მას ცოლად თავისი და /რაზედაც ვახტანგმა ბერძენთა მეფის ზემოთ ნახსენები ქალის დაწინდვის გამო უარი განუცხადა/ და შემდეგ წინადადება მისცა მას გალაშქრებულიყო "აბაშთა-ელამთა, ჰინდოთა და სინდთა" წინააღმდეგ. ვახტანგმა მისცა ცოლად სპარსთა მეფეს თავისი

და მირანდუხტ, ოსთაგან გამოხსნილი და გაემართა სპარსეთისაკენ /მისი შვილი დაჩი ამ დროს 5 წლის იყო/ ვახტანგი და ხვასრო /სპარსთა მეფე/ მიდიან ადარბადაგანს. აქედან ვახტანგი თავისი დედის და დის ხვარანძეს /რომელიც სომხეთის პიტიახშზე ბაკურზე იყო დაწინდული/ თანხლებით მიდის იერუსალემს, საიდანაც წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეტ ისინი ბრუნდებიან ანტიოქიას. ბაღდადში სპარსეთის მეფემ გადაიხადა ქორწილი ვახტანგის დის ცოლად შერთვის გამო. ქორწილის შემდეგ ვახტანგის დედა და დაი დაბინავდნენ ურაჰას /ედესას სირიაში/. ვახტანგი კი წავიდა სპარსეთს. ის ჯერ ილაშქრებს ჯორჯანეთს /გურგანს ანუ ჰირკანიას/, შემდეგ მიემართება ინდოეთს, სადაც ვახტანგმა დაჰყო ბრძოლებში სამი წელიწადი. აქედან სპარსელები და ვახტანგი გადადიან სინდეთს და აქ ლაშქრობა გრძელდება თითქმის ოთხი წელი, შემდეგ ვახტანგი ლაშქრობს აბაშეთს, "საიდანაც მოვიდა წელსა მერვესა შესვლით მისითგან სპარსეთადვე ანტიოქიამდე და მოვიდა ურაჰად". აქ ვახტანგს დახვდნენ მშვიდობით მისი დედა და და. ვახტანგი დედით და დით მივიდა საბერძნეთ-სომხეთის საზღვარზე, საიდანაც მან გაგზავნა კესარიაში მოციქული თავისი ცოლად დაწინდული ქალის და პეტრე კათალიკოსის წამოსაყვანად. ამის შემდეგ ვახტანგი ბრუნდება მცხეთას, სადაც ეკლესიაში მიქელ მთავარეპისკოპოსმა მას კბილი ჩაუმტვრია. ვახტანგმა მსწრაფულ გაგზავნა კესარიაში ახალი დესპანები და სთხოვა მას კათალიკოსის და 12 ეპისკოპოსის გამოგზავნა. კესარიის ბრძანებით ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა პეტრე კათალიკოსად და 12 ეპისკოპოსი და გამოგზავნა ისინი. ვახტანგს ბერძენი ცოლისაგან ეყოლა სამი ვაჟი და ორი ასული. ვახტანგი იჯდა უჯარმას და აშენებდა მას. შემდეგ მან დაიწყო ტფილისის ქალაქის აშენებაც. ამ დროს სპარსეთის ახალი მეფე /წინანდელი კელაე მომკვდარიყო/ წარმოემართა ბერძნების წინააღმეგ სალაშქროდ და მოუწოდა ამ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად ვახტანგსაც. მაგრამ რადგან ვახტანგმა ამაზე უარი განაცხადა, სპარსეთის მეფე მოდის კახეთს. ბრძოლაში უჯარმასთან ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა. ომი სპარსელებსა და ბერძნებს შორის მოხდა კარნუ-ქალაქის ახლოს კარნიფორას, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ ვახტანგი კვდება.

ამაზე თავდება ჯუანშერის ნაწარმოები.

3. კრიტიკული შენიშვნები ჯუანშერის ნაწარმოების მიმართ.

ფაქტები ჯუანშერს მოცემული აქვს. მხატვრული ნაწარმოებისათვის მის მიერ დაშვებული საკუთრივ თავისუფალი და ნებისმიერი დალაგებით და აგრეთვე შეთხზული დეტალებით. ამას ცხადჰყოფს. სხვა არა იყოს რა, ჯარისა და წამოყვანილი ტყვეების უზარმაზარი რიცხვი (ასიათასობით), რომელნიც ხშირად მოჰყავს ჯუანშერს და რომელნიც, რა საკვირველია, სრულებით დაშორებულნი არიან სიმართლეს. ამის კვალი ჩანს "ქართლის ცხოვრების" ზოგ ვერსიაში. მაგ., "ქართლის ცხოვრების" მარიამის ხელნაწერში წერია, რომ ვახტანგმა ოსებზე პირველი ლაშქრობის დროს გაცვალა ოსი ტყვეების ნაწილი ქართველ ტყვეებზე და ამგვარად დაიხსნა 358 ქართველი ტყვე. ამის მემდეგ ქართველებს მაინც დარჩათ 6058 ოსი ტყვე. ჩვეულებრივს ტექსტში 358-ის მაგივრად წერია 350 ათასი ტყვე და 660 ათასი ტყვე. ცხადია, რომ პირველი მცირე რიცხვები შეეფარდება სინამდვილეს. ასევე ბერძნებთან ომის დროს ვახტანგის ჯარს მოუვიდა ზარალი მარიამის ხელნაწერით 51 კაცი მოკლული, ხოლო ბერძნების 412. ჩვეულებრივ ტექსტში ამ რიცხვების მაგივრად დასახელებულია 43 ათასი და 72 ათასი კაცი. როდესაც ვახტანგს იორზე თავს დაესხნენ სპარს-ხაზარები და სასიკვდილოდ დასჭრეს კიდეც, მაშინ ქართველების რაზმი მარიამის ხელნაწერის მიხედვით შესდგებოდა 248 კაცისაგან და სპარს-ხაზარებისა — 748 კაცისაგან. ჩვეულებრივ ტექსტში ამ რიცხვების მაგივრად მოცემულია 140 ათასი და 740 ათასი კაცი. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ყოფილა რაღაც სხვა წყარო, სადაც ვახტანგის დროინდელი ბრძოლების შესახებ უფრო რეალური ცნობები იყო წარმოდგენილი, ვიდრე ეს ჯუანშერს აქვს. ხსენებული მცირე რიცხვები (რასაკვირველია, უფრო რეალური) მოცემული იქნებოდა ერთ-ერთ ასეთ წყაროში, საიდანაც ჯუანშერის საკუთრივ ფანტასტიკური რიცხვები შესწორებული იქნა ძველადვე.

შეიძლება ზოგ მემთხვევამი კიდეც მივაგნოთ, თუ როგორ გააზვიადა ჯუანშერმა თავისი მიზნებისათვის მის წყაროში მოცემული რიცხვები. ზემოთ მოცემულ რიცხვთაგან 6058 და 358 მოცემული იქნებოდა მგრგლოვანი ასოებით: 6058 ხნღ მის მიერ განვებ წაკითხულ იქნა როგორც 650 ათასი ხნჩ (ასოები ღ და ჩ მგრგლოვანში გვანან ერთმანეთს); ასევე უნდა ითქვას 248 (სმღ) და 748 (ღმღ) შესახებ, რომელნიც ჯუანშერმა მგრგლოვანში ასოების ღ და ჩ-ს მსგავსების გამო

ადვილად დაამახინჯა 140 ათასად (რმჩ) და 740 ათასად /ღმჩ/. რიცხვები 51 და 412 ვერ გადასწორდებოდა ასე ადვილად 43 ათასად და 72 ათასად და აქ ჯუანშერმა პირდაპირ მიმართა თავის საკუთარ ფანტაზიას. საერთოდ რიცხვები 248 და 748, 51 და 412 ადასტურებენ, რომ ჯუანშერს ხელთ ჰქონია საკმაოდ კარგი წყარო, რომელშიაც ზოგ შემთხვევაში ჯარის და მოკლულთა რაოდენობა ზუსტი რიცხვებით იყო. აღნიშნული.

ჯუანშერს საერთოდ მიზნად არც ჰქონდა დასახული დაეწერა წმინდა საისტორიო ნაწარმოები. ამიტომ მის თხზულებაში ჭვედებით სხვა შეუსაბამობებს და წინააღმდეგობებს. მაგ., "უწყებულება ქართლის მეფეთა" გადმოგვცემს ვახტანგის წასვლას სპარსეეთში მისი სიყრმის დროს. ვახტანგის ცხოვრების მოწვენილ რედაქციაში კი ვახტანგის წასვლა სპარსეთს საგულისხმებელია მისი მეფობის უკანასკნელ პერიოდში. ორივე ცნობა მართალია, მაგრამ თავთავისი ადგილისათვის.

უწყებულება ქართლისა აღნიშნავს ვახტანგის მიერ ოსების და ყივჩაღების დამორჩილებას სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ. მატიანეში კი ვახტანგი 15 წლის ასაკისა აწყობს ლაშქრობას ოსების მიერ მოტაცებული თავისი დის გამო შურის საძიებლად. აქაც ერთი იყო ვახტანგის გალაშქრება ოსებზე მათ მიერ მოტაცებული დის დასახსნელად: ეს შედარებით მცირე ზომის ლაშქრობას წარმოადგენდა. მეორე იყო ვახტანგის დიდი ლაშქრობა ჩრდ. კავკასიაში ოსების და პაჭანიკების დამორჩილებით და აფხაზეთ-ეგრისზე გადმოსვლით. ჯუანშერმა სხვადასხვა დროს მომხდარი ეს ორი ამბავი ერთმანეთთან აურია და ერთად მოიხსენია.

ჯუანშერს საკმაოდ ვრცლად აქვს მოთხრობილი ვახტანგის უკანასკნელი ომი სპარსელებთან. ამ ომში ის სასიკვდილოდ დაიჭრა კიდეც. ამ აღწერილობაში ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ვახტანგი შეიჭრა სპარსელების წინამძღოლის (მეფის) კარაეში, სადაც მან მოჰკლა სპარსთა მეფის შვილი ბარამი. მაშინ იქვე ვინმე სპარსმა ესროლა ისარი ვახტანგს, მოარტყა მკერდში და სასიკვდილოდ დაჭრა ის. "უწყებულება კი მოგვითხრობს, რომ ვახტანგი მოიკლა 'სპარსთა ბრძოლასა შინა მონა ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვისა ღლიასა ქვეშე და აღიპყრნა რა ჯრმალი თჳსი, რათა სცეს კაცთა სპარსთაგანი მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქვეშე და მით მოჰკლა". აქ ცხადია, ორი სხვადასხვა ფაქტი იგულისხმება. ორი ბრძოლის ფაქტები ავტორს გაუერთიანებია და მოუცია ერთი ომის აღწერილობად. ამ ომის

აღწერილობის წინ ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ვახტანგი ამ დროს ქალაქ თბილისს აშენებდა და "საფუძველი ოდენ დაედვა". უწყებულება კი გადმოგვცემს, რომ ვახტანგმა საზოგადოდ "აღაშენა ტფილისი და მცხეთა ქალაქი მუნ მიიცვალა"–ო. უკანასკნელი ცნობა არის სწორი, პირველ ცნობაში კი იგულისხმება ტფილისის გალავნის აშენების დაწყება თვით ციხის რეკონსტრუქციასთან ერთად.

ჯუანშერი ვერ ერკვევა კარგად ვახტანგის მეორე თუ პირველი სახელ გორგასალის რაობაშიც. მისი სიტყვით, ეს სახელი წარმოიშვა იმისგან, რომ ვახტანგს თავის ოქროს ჩაბალახზე (ჩაფხუტზე) გამოსახული ჰქონდა წინ მგელი და უკან ლომი (სპარსულად- მგელი – გურგ, ლომი – არსლან). სპარსელები ომში ვახტანგს რომ დაინახავდნენ, ყვიროდნენ – დურ აზ გურგასარ, "რომელ არს – მირიდეთ თავს მგლისასა და მის მიერ სახელ ედვა ვახტანგს მეფესა გურგასლან" (გვ. 180).

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ხალხში ვახტანგს ერქვა გურგასლან, გორგასლან. მაგრამ ჯუანშერი ვერ გრძნობს, რომ ეს არის მხოლოდ დამახინჯება სახელისა გორგასალ (გურგასარ) და ამიტომ თხზავს ცნობას ვახტანგის ჩაფხუტზე მგელის გარდა ლომის გამოსახულების შესახებ.

ამის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ჯუანშერმა თავისუფლად ისარგებლა მანამდის არსებული წყაროებით ვახტანგ გორგასალის შესახებ და ასე შექმნა ისტორიული თხრობა (და არა მატიანე) "ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა".

დამახასიათებელია, მაგ., რომ ავტორს თავის ნაწარმოებში ჩართული აქვს არაკები ძველი დიდაქტიკურ-მორალურ ნაწარმოებიდან "ქილილა და დამანა". ეს ნაწარმოები საერთოდ შეიცავს მორალური ხასიათის ცალკე თხრობას სენტენციებით, რომელიც გამოსაყენებელი უნდა ყოფილიყო სხვათა შორის მეფე-მმართველთათვისაც. ასეთია, მაგ., არაკი უგუნური ყვავის შესახებ, რომელიც თამარის პირველი მატიანის ერთი ცნობის მიხედვით "ქილილა და დამანაში" უნდა ყოფილიყო ("ვითარ ითქმის ჰინდოთა აღწერილისა ქილილა და დამანასა შინა იგავი ბუთისა და ყვავისა"). ცნობილია, რომ ქილილა და დამანა (ასეთია ნაწარმოებში გამოყვანილ ორ მთავარ მოქმედ ტურას სახელი) წარმოიშვა ინდოეთში და გადაითარგმნა ფაჰლაურად ხოსრო – ანუ შირვანის (531-579 წწ.) დროს. ფაჰლაურიდან ის გადათარგმნილ იქნა არაბულად, რის შემდეგ ფაჰლაური ტექსტი მალე დაიკარგა კიდეც.

შესაძლებელია, რომ ჯუანშერი იცნობდა ქილილა და დამანას ამ ფაჰ-ლაურ თარგმანს. შესაძლებელია ისიც, რომ ამ ნაწარმოების ნაწილი მაინც V-VI საუკუნიდან წარმოდგენილი იყო ქართულადაც.

ბერძნების (აღმოს. რომის) იმპერატორთა შესახებ ჯუამის) ჰქონდა არაზუსტი წარმოდგენა. ვახტანგის მეფობის უკანასკნელი ხანის შესახებ ის წერს, რომ "ბერძენთა მეფე. სომამრი ვახტანგისი, მოკვდა და დაჯდა ზენონ, ძე მისი მეფედ" (ვ3. 203). ნამდვილად კი ზენონ (474, 477-491წწ.) იყო სიძე და არა ძე თავისი წინამოადგილის იმპერატორ ლეონ I-ისა (მეფობდა 457-474 წლებში).

ჯუანშერის ნაწარმოების დეტალურად შესწავლა ცხადყოფს, რომ ავტორს უეჭველად ხელთ ჰქონდა რაღაც ძველი ისტორიული თხრობა, რომელიც საკმაოდ ვრცლად და ასე თუ ისე ზუსტად აღნუსხავდა ვახტანგის დროინდელ ფაქტებს. ზოგი ნიმუში ამისი ზემოთ ნაჩვენები იყო. და ამასვე ამტკიცებს ქვემოთ მოცემული ფაქტები, რომელნიც სადაც კი ამისი შეკერების შესაძლებლობა არის) უდგებიან სხვა ქვეყნების საისტორიო წყაროების მონაცემებს. ჯუანშერის ხელთ არსებული ქართული წყარო დაწერილი უნდა ყოფილიყო VI საუკუნის დასაწყისის ახლოს.

გურგანის ქვეყანას (კასპიის ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპირო მხარეში) ჯუანშერი იხსენიებს ფორმით ჯორჯანეთი. ერთი შეხედვით ეს მოგვაგონებს ამავე მხარის შემდეგდროინდელ არაბულ სახელწოდებას ჯურჯან. მაგრამ ეს სახელი შესაძლებელია არაბებს თვითონ ჰქონდეთ წაღებული ერთ-ერთი ირანული კილოდან. ამისი მაჩვენებელია ამ სახელის ფაჰლაური ფორმა ვარჩან, რომლის პარალელურად დადასტურებულია ფორმა გურგან. ამის მიხედვით ადგილობრივად შეიძლება წარმომდგარიყო გურგან, ვარჯან. ჯურჯან.

შუამდინარეთს ჯუანშერი იხსენიებს არაბული სახელწოდებით ჯაზირა, მდინარე ტიგრი აგრეთვე არაბული სახელწოდებით დიჯლა არის მოხსენებული. ყველაფერი ეს ეჭვსგარეშე ჰყოფს, რომ ჯუანშერი არაბების დროინდელი ეპოქის მწერალია. როდესაც არაბული კულტურის ნორმების ფეხისმოკიდებამ ქართველთა ცხოვრებაში, სხვათა შორის, შესაძლებელი გახადა არაბული სიტყვების შეტანა ქართულ სალიტერატურო ენაში. მაგრამ გარდა ამისა მის ხელთ იყო სხვა ნაწარმოებებიც, რომლებსაც ის ემყარებოდა. ერთი ასეთი თხზულებათაგანი მოხსენებულია თვით ნაწარმოებში, სახელდობრ წიგნი ნებროთის შესახებ.

ამ წიგნიდან ავტორს ციტატაც მოჰყავს. საყურადღებოა, რომ ნებროთის წიგნს იცნობდა მეფეთა ცხოვრების რედაქტორ-ავტორიც. ეს ჩანს იქიდან, რომ ამ რედაქტორის მიერ "სიდონიას თქმულში" ნინოსაგან სპარსელი მოგვის ხვარას განკურნების შესახებ შეტანილი ვრცელი თხრობა ნანა დედოფლის განკურნებისა და აგრეთვე მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის გამოძიების შესახებ იხსენიებს "წიგნი, რომელი ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისი". ამ წიგნიდან ლეონტის მოჰყავს ციტატა: "მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთაურობასა ზედა" და სხვა (გვ. 105). ეს ციტატა სიტყვასიტყვით უდგება ჯუანშერის მიერ მოყვანილ ადგილს იმავე ნებროთის წიგნიდან (გვ. 162), რაც ამტკიცებს, რომ ორივე ციტატა ამოღებულია ქართულად არსებული ნებროთის წიგნიდან. მაშასადამე ჯუანშერის დროს უკვე ყოფილა ქართულად გადათარგმნილი ნებროთის წიგნი. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ციტატა არ მოიპოვება აპოკრიფულ თხზულებაში "თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი თარგმანი დაბადებისთჳს ცისა და ქუეყანისა".[14] ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ წინააღმდეგ ლიტერატურაში უკვე გამოთქმული აზრისა (კორნ. კეკელიძე – ლეონტი მროველის ლიტერატ. წყაროები), ხსენებული თხზულება ეფრემისა არ უნდა იყოს ნებროთის წიგნი. უკანასკნელის სახელით ქართულად ცნობილი ყოფილა, როგორც ჩანს, სხვა ძველი ქრონოგრაფიული თუ აპოკრიფული თხზულება, რომლის რაობა ჯერ კიდევ საძიებელია.[15]

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მთელი ნაწარმოების ეპიკური ხასიათისა ავტორს მასში შეტანილი აქვს ლიტერატურულად ნასესხი მასალაც. მაგ., არაკები თხრობაში ვახტანგის სინდეთზე გალაშქრების დროს. ჯუანშერი, რასაკვირველია, ემყარება ისტორიულ წყაროებსაც. ერთი ასეთი მისი წყაროთაგანი არის მოქც. ქართ-ს ქრონიკა, რომელსაც ის ხშირად იმეორებს სიტყვასიტყვით. ამის მაგალითებად შეიძლება მოტანილ იქნეს: ვახტანგ მეფისათვის მთავარეპისკოპოსის მიერ ფეხის პირში ჩარტყმევა, შუშანიკის წამების ბაკურ მეფის დროისთვის მიკუთვნება, ცნობა ერეკლე იმპერატორის დროს ერისთავ ჯიბღუს მიერ "კალას გამოღების" შესახებ.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ჯუანშერის ნაწარმოები, მისი ზემოთ აღნიშნულ თხრობითი თავისებურების მიუხედავად, წარმოადგენს

---

[14]. ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. თბ., 1908. გვ. 766-849.

[15]. ს. კაკაბაძე. საისტორო ძიებანი. გვ. 193-199.

სათანადო კრიტიკული მიდგომით მეტად საყურადღებო საისტორიო წყაროს. ჯერ ერთი, ჯუანშერის მიერ გადმოცემული ფაქტები, ჰიპერბოლური დეტალების ჩამოშორებით, ზოგადად დასტურდება სხვა წყაროებით. შემდეგ, ეს ნაწარმოები იძლევა ყოფაცხოვრების თვალსაზრისით საყურადღებო მონაცემებს, რომლისდაგვარი სხვა ქართულ წყაროებში არ მოიპოვება. (მაგ. სამხედრო საქმის დარგში, უმაღლესი რჩევის და მართებლობის საკითხების სფეროში და სხვა). და ბოლოს, ჯუანშერი ყურადღებას იქცევს როგორც მწერალი, რომლის ნაწარმოებში ბლომად არის გაბნეული მონაცემები ძველი ქართველი საზოგადოების იდეურ და პოლიტიკურ მიმართებათა გასაცნობად. ამიტომ ჯუანშერის ნაწარმოები საჭიროებს დეტალურ და სხვადასხვა მხრივ შესწავლას.

4. ჯუანშერის ცხოვრების დრო.

ჯუანშერის ცხოვრების დროის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი:

"ქართლის ცხოვრებაში" არჩილის წამების ამბავს მისდევს ასეთი მინაწერი: "წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა აღიწერებოდა ჟამითი ჟამად ვიდრე ვახტანგისამდე. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან" (გვ. 248). ეს მინაწერი ცხადყოფს, რომ ამ სიტყვების წერის დროს, "ქართლის ცხოვრების" თავი ნაწილი უფრო მეტად შედგებოდა ეპიზოდურ ცალკე მოთხრობათაგან, მაშასადამე, ეს თავი ნაწილი მატიანეში წამოდგენილი იქნებოდა დაახლოებით იმ საფუძველზე, როგორც ეს უწყებულებაშია (ქართლის პირველ მეფედ აზოს აღიარებით). ამიტომ ჯუანშერი უნდა ცხოვრებულიყო არა უადრეს IX საუკუნისა. მაგრამ, რადგანაც მეფე არჩილი მოკლულ იქნა 672 წელს, ამიტომ ის ვერ იქნებოდა ამ არჩილის ძმისწულის ქმარი. მართლაც, "ქართლის ცხოვრების" ძველ სომხურ თარგმანში, რომელიც მოდის 1130 წლის ახლო დროის ქართული რედაქციიდან, ჯუანშერი ამ ადგილას დასახელებულია მარტოოდენ სახელით და არაა ნათქვამი, რომ ის ჯუანშერიანი იყო და არჩილის ძმისწულის ქმარი. ცნობა ჯუანშერის ჯუანშერიანობის შესახებ და სხ. XII საუკუნეში უნდა იყოს შეცდომით ჩამატებული უცნობი პირის მიერ (არჩილის ცხოვრებაში მატიანეშივე მოხსენიებულ ჯუანშერ ჯუანშერიანის ანალოგიით). ეს ჩანს შემდეგიდან:

"ქართლის ცხოვრება" თავდაპირველად თავდებოდა დავით აღმაშენებლის მეფობით, ხოლო დავითის მეფობის აღწერილობა ეკუთვნის მისსავე მოძღვარს არსენ ბერს[15] და დაწერილი უნდა იყოს მალე დავითის სიკვდილის შემდეგ, 1126-1130 წლების ახლოს. ქართლის ცხოვრება თავისი ამ პირვანდელი სახით მოწევნილია XII საუკუნის მისი სომხური თარგმანის სახით, რომელშიაც ნინოს ცხოვრება მოთხრობილია პირველი პირით, როგორც ვითომ სიკვდილის წინ თვით ნინოს მიერ მოთხრობილი. "ქართლის ცხოვრების" ეგრეთ წოდებულ ანასეულ ხელნაწერს, რომლის ტექსტი მოდის სულ ცოტა XIII საუკუნის დასაწყისიდან, ნინოს ცხოვრება მოცემულია მესამე პირით. ნინოს ცხოვრების ტექსტის ეს გადაკეთება პირველი პირიდან მესამე პირზე შესრულა არსენმა (შესაძლებელია დავით აღმაშენებლის მემატიანემ ან სხვა არსენმა) დიმიტრი მეფის დროს, მაშასადამე 1140-1155 წლების ახლოს. აქედან გამოდის, რომ "ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანი შესრულებულია თითქმის მაშინვე, როდესაც არსენ ბერმა დაწერა დავით აღმაშენებლის მატიანე, ეი. 1130-1140 წლების ახლოს, დაახლოებით იმავე ხანაში, როდესაც არსენმა დიმიტრი მეფის დროს ნინოს ცხოვრება პირველი პირის თხრობიდან გადაიტანა მესამე პირზე ან ოდნავ გვიან (1150-1160 წლების ახლოს) მომზადდა „"ქართლის ცხოვრების" ის ვარიანტი, რომელიც საფუძვლად უდევს ანასეულ ხელნაწერს, რომელიც ნინოს ცხოვრებას იძლევა მესამე პირის თხრობით. "ქართლის ცხოვრების" ტექსტში ნინოს ცხოვრების ამ ვარიანტის შემოტანას შეეძლო მოეცა ყალბი განმარტება ჯუანშერ ჯუანშერიანის შესახებ, თითქოს ის ყოფილიყო არჩილის ძმისწულის იმავე სახელის ქმარი, რომელიც მართლაც მოხსენებულია მატიანის ტექსტში.

დამახასიათებელია, რომ ჯუანშერი იხსენიებს ვახტანგ გორგასალის მიერ გაშენებულ სვეტიცხოვლის ტაძარს დიდ სიონად იმგვარად, რომ მან თითქოს არაფერი იცის მელქისედეკ კათალიკოსის დროს ხუროთმოძღვარ არსაკისძის მიერ ამ ტაძრის მიმართ 880-890-იან წლებში ჩატარებული ძირითადი რეკონსტრუქციის შესახებ.

ყველაფერი ზემოთ მოხსენებულის მიხედვით ჯუანშერს ვახტანგ გორგასალის ცხოვრება დაწერილი უნდა ჰქონდეს IX საუკუნეში, უფრო IX საუკუნის შუაში.

---

[15] . ს. კაკაბაძე. დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა, ტფ- 1913.

5. აზრები და ლიტერატურა
ვახტანგ გორგასალის შესახებ.

ვახტანგ გორგასალს ზოგი სთვლიდა ლეგენდარულ პიროვნებად. ოსენკოვსკი 1838წ. ჟურნალში "Библиотека для чтения" საკუთრივ უარყოფდა ძველი ქართული მატიანეების რაიმე ღირებულებას.

ვ. ლანგლუა (Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, Paris, 1860) ვახტანგ გორგასალის შესახებ წერდა: "როდესაც კითხულობ ვახტანგ გორგასლანის ცხოვრების აღწერილობას და მის ამბებს, მაშინვე იცნობ მასში ერთ-ერთ პოეტურ ნათხზს, შექმნილს ვინმე ენთუზიასტის ფანტაზიის წყალობით-ვახტანგი იმ სახით, როგორც ის მატიანეშია გამოყვანილი, არის უფრო ინდოელების ვაკხი, ანდა ფსევდო-ალექსანდრე, უფრო ნახევარ-ღმერთი, ნახევარ-გმირი, რომელიც გადაივლის ხოლმე აზიას და დაუმორჩილებს მას თავის კანონებს, ვიდრე ტაციტის მიერ რამოდენიმე საუკუნის წინ ასე მკაცრად კვალიფიცირებული პატარა სახელმწიფოს მეთაური".

პეტერბურგელი პროფ. ვ. ბოლოტოვი 1897 წ. (Журнал заседаний совета С.-Петербургской духовной академии) არჩევდა ქართველების ძველი ისტორიის ფაქტებს და დასკვნიდა, რომ ქართველი მატიანის მიერ აღწერილი ვახტანგ გორგასალი ლეგენდარული პიროვნება არისო.

6. მარი 1906 წელს რუსეთის საეკლესიო კრების მოსამზადებელ დაწესებაში თავის მოხსენებაში საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან წერდა, რომ მემატიანის მიერ ვახტანგ გორგასალზე გადმოცემული ცნობები ლეგენდარულია, თუმცა ეს გარემოება, მისი აზრით, სრულებით არ სწყვეტს საკითხს ვახტანგის სახელის მქონე მეფის მართლაც არსებობის შესახებო (Журналы и протоколы предсоборного присутствия, т.III, отд II, протоколы, СПб, 1907, стр. 122).

უკანასკნელად 1958 წელს ლენინგრადში გამოცემულ წიგნში "ირანის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე" ვახტანგზე მოცემულია ი.ჯავახიშვილის და მისი სკოლის მიხედვით ცნობა მხოლოდ 483 წ. სპარსელებთან წარმოებული ომის შესახებ და შემდეგ დამატებულია: "მეფე ვახტანგი გადაიქცა ლეგენდარულ სახედ, რომელიც შექებული იქნა თქმულებებსა და ლექსებში (Н.В.Пигулевская, А.Якубовский, И.П.Петрушевский, Л.В.Строева, Л.М.Беленицкий. История Ирана с древнейших времен до XVIII в. Л., 1958, стр.33).

ამ უარყოფით შეხედულებათა პარალელურად ვახტანგ გორგასალზე ვითარდებოდა დადებითი აზრები, რომლებიც ამდიდრებდნენ ისტორიულ ცოდნას ამ ეპოქის შესახებ. პირველ რიგში მათ შორის აღსანიშნავია მარი ბროსე, რომელმაც "ქართლის ცხოვრების" ფრანგულ თარგმანს 1849 წ. მოუძღვნა შინაარსიანი შენიშვნები. ამ შენიშვნებიდან სანიმუშოდ დავასახელებთ ერთს, რომელიც ეხება ვახტანგის ლაშქრობის შესაძლებლობას სინდეთსა და გურგანში. ეს შენიშვნა თავისი თანხმობით ციტირებული აქვს ქართულად დიმ. ბაქრაძეს[17] და ამიტომ აქ მოგვყავს მისივე თარგმანით: "სხვადასხვა გამხედრებას სპარსეთის მეფის ფეროზისის კასპიის ზღვის აღმოსავლეთად გვიამბობენ საკმაოდ დაწვრილებით ვიზანტიელნი და აზიელნი მწერალნი და ამით მოწმობენ ქართველთა მემატიანის სინამდვილეს (ნახე ამაზე ლებო, ისტორია ბიზანტიის იმპერიისა, VII, 251-259). ფეროზი ჯერ ეომებოდა ჰუნებს 466 წელს (იქვე, IV, 252, 254, და შენიშვნები; VI, 267, 442, 459). როდესაც იმან გაილაშქრა ჰუნებზე ჰეპტალითებზე რომლებიც აღმოსავლეთად კასპიის ზღვისა ცხოვრობდნენ, რომელთა დედაქალაქი გორგო გამოხატავს ბერძნულის გამოთქმით არაბულ ჯორჯანსა. ფეროზი შეიტყუეს ხეობაში, საიდამაც მხოლოდ მკაცრის პირობის შეკვრით გამოიხსნა მან თავი. სინდის მეფის აპოლოგისტი ბერძენი გვარწმუნებს, ვითომც სპარსეთის მეფე გამოეხსნას ტყვეობიდან იმპერატორს ზენონს. ფეროზმა იწყო მეორე ომი, რომელსაც მოიხსენიებს აბულ-ფარაჯი და რომელშიაც იმას სხვა ბედისწერა ეწვია, — ასეთი, როგორსაც გვიამბობს ქართული მატიანე იმ განსხვავებით კი, რომ ეს უკანასკნელი ამ შემთხვევას უჩვენებს სინდში, ბერძნული ავტორი კი მახლობლად გორგისა, მაშასადამე ჯორჯანში. მეფე აქ მოიკლა 30-ის შვილით. სპარსეთის მეისტორიენი თითქმის თანასმად ქართლის ცხოვრებისა (ლებო, დასახელებული შრომა, VII, 251, შენ. I) იტყვიან, ვითომც ეს მომხდარიყოს ბალხში, რომელიც იმ დროს ეკუთვნოდა ჰუნებს_ ამასთანავე ქართლის ცხოვრების წარმოდგენით ფეროზს ჰყვა თან პატრიკი ანუ ანტიპატრიკი ბერძენთა ლეონი და ვიზანტიელების თქმით მას ახლდა დესპანი იმპერატორის ზენონისა სასელით ევსევი (ლებო, იქვე, 252)".[18]

---

17 . ვახუშტი. საქართველოს ისტორია. თფ. 1885, გვ. 99.

18 . M. Brosset. Histoir de la Géorgie, I, SPb, 1849, p. 189, n. 1.

დიმ. ბაქრაძეს, რომელსაც მოპყავს ეს შენიშვნა, ვახტანგ გორგასალი მ.ბროსეთან ერთად მიაჩნია საკვლევით ისტორიულ პიროვნებად და ჯუანშერის ნაწარმოებიც, ზღაპრული და აშკარად გაზვიადებული დეტალების გამოკლებით, ყურადღების ღირსად. ჩვენ ვფიქრობთ, წერდა ის იქვე (გვ.102, შენიშვნაში), რომ ვახტანგი იყო ახოვანი და განვითარებული. ეს აზრია წარმოთქმული თვით რაუდენის ცხოვრებაში; ეს აზრივეა შემდეგ მთელს ქართველობაში და თვით ვახტანგის დროის სომხეთის საზოგადოებაში. მაგრამ ამ ახოვანებას არ შეეძლო იმ დროს, როდესაც ვახტანგის ხელში იყო მხოლოდ ერთი ნაწილი საქართველოსა არავითარი წინააღმდეგობა ეჩვენებინა სპარსელებისათვის. იმასაც ვფიქრობთ, რომ მიწვეული სპარსეთის მეფისაგან მონაწილეობის მისაღებად სპარსეთის მოსაზღვრე ჰუნნებთან ანუ ქართლის ცხოვრების ხაზარებთან, ვახტანგი ქართული ჯარით ახოვანებას აღმოაჩენს და სახელგანთქმული დაბრუნდება. ჩვენ ამ აზრს იმაზედაც ვამყარებთ, რომ იმისი ცხოვრების უმთავრესნი შემთხვევანი არ არიან ისტორიის წინააღმდეგნი და გარდა ამისა ქართლის ცხოვრების ავტორებს საზოგადოდ ჩვეულებად არა აქვთ, როგორც აქამდე შენიშნავდა და შემდეგაც შენიშნაეს მკითხველი, სიცრუით საუბარი საქართველოს ისტორულ პირებზე და საზოგადოდ ისტორიულ სიმართლეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგინი სცდებიან."

ამავე აზრს იმეორებს დიმ. ბაქრაძე თავის წიგნში ისტორია საქართველოსი", რომელშიდაც ვახტანგის მართებლობას დათმობილი აქვს 15 გვერდი.[ᲔᲑ]

მთავარი ლიტერატურა ვახტანგ გორგასალის ხანის შესახებ არის შემდეგი:

მარი ბროსსე, დასახ. შრომა, I, 1849, გვ. 148-200. (ეს არის ჯუანშერის მოთხრობის ფრანგული თარგმანი, მაგრამ ვრცელი და მნიშვნელოვანი შენიშვნებით); იხ. კიდევ მისივე Additions et éclaircissments à l'Histoire de la Géorgie, Spb, 1851, pp. 67-80 (ელიშეს, ლაზარე ფარპელის და სხვათა ცნობები).

მ.ბროსსე, საქართველოს ისტორია დაწერილი 1855 წ. დაბეჭდილია ქართული თარგმანი, ტფ. 1895,I, გვ.70-84.

დიმ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889, გვ. 162-177.

მ.ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია,. I, ტფ., 1906, გვ. 201-226.

[ᲔᲑ] . დიმ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. ტფილისი, 1889. გვ. 162-177

ი.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1908, გვ. 144-145; მეორე გამ. I, 1913, გვ. 188-191; იმავე წიგნის მეოთხე გადაკეთებულ გამოცემაში (1916) გვ. 240-243, 286-292, 332-348 და მეხუთე გამოცემა 1960, I, გვ. 239-242, 287-291, 330-349.

ისტორიის ინსტიტუტის საშუალო სკოლის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში (1943) ვახტანგ გორგასალის ხანას დათმობილი ჰქონდა გვ. 94-96 (იგივე ტექსტია იმავე წიგნის შემდგომ გამოცემებში 1946-1950 წლებში ქართულად და რუსულად). ხოლო იმავე სახელმძღვანელოს მეორე რედაქციაში (1958 და 1960 წლებისა) იგივე საკითხი მოიცავს გვ. 77-79 და 66-69 (დამხმარე წიგნში 1958 წლისა, გვ. 93-97).

ვახტანგ გორგასალის შესახებ არსებობს ჩემი მოკლე პოპულარული მონოგრაფია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის (სარგის კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959,83 გვ.).

6. ჯუანშერის ნაწარმოების წინა და მომდევნო პერიოდის მატიანეები.

როგორც მოხსენებული იყო, ჯუანშერის ნაწარმოების წინ მოთავსებულია მთელი თხრობა დაწყებული უძველესი დროიდან ვიდრე მირდატ მეფის წაყვანამდის ბაღდადს. ეს ნაწარმოები მეტწილად კომპილიატურია, მასში შედის თხრობა მამათა და ნათესაკთა შესახებ, ექვსი ცალკე თხრობა ძველი ხანის მეფეების შესახებ, მასშივე ყოფილა ნინოს ცხოვრების ძველი ვერსია (IV საუკუნის პირველი მესამედის თუ მეოთხედისა), რომლისგან შემდგომ გადამკეთებელს დაუტოვებია მხოლოდ ორი ნაწყვეტი. ამიტომაც სწორად აღნიშნავდა მატიანეში ძველი დროის ავტორი, რომ "წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა აღიწერებოდა ჟამითი ჟამად".

ჯუანშერის ნაწარმოებს მიჰყვება მეფეების ცხოვრება დაწყებული ვახტანგის შვილის დაჩიდან ვიდრე არჩილის შვილ ჯუანშერამდე. მას ერთ ადგილას გაკეთებული აქვს ასეთი შენიშვნა: "ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება, ნინოს /მიერ/ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა" (გვ. 244). არჩილის წამების აღწერა მართლაც ტექსტშია მოთავსებული. მასვე დაუწერია ქართულად, როგორც ჩანს, სირიაში ანდა სირიული დედნიდან გადმოუთარგმნია ქართულად ნინოს ცხოვრების ვრცელი მეტაფრასტული ცხოვრება, რომელშიდაც თხრობები თვით ნინოს და სხვათა სახელით პირველი პირით არის

მოცემული (ტექსტში არის სირიზმები). ეს ნინოს ცხოვრება დაწერილია იოანე ზედაზნელის ცხოვრების დაწერის შემდეგ, ხოლო ათსამეტ მამათა ცხოვრება დაიწერა არსენი კათალიკოსის მიერ ქართლში მათი მოსვლიდან 404 წლის შემდეგ, ეი. 505+404=909 წელს (მათი მოსვლა მოხდა ქართლის მოქცევიდან მეორასე წელს). ამიტომ ლეონტი მროველის მიერ მატიანეში ჩართულ (ნინოს ცხოვრების) და მიმატებულ ნაწარმოებთა დაწერა მართლაც შეიძლება მიეკუთვნოს, როგორც ეს თავის დროზე იყო ნაჩვენები, 900-920 წლებს[20] ან უფრო 910-920 წლებს.

ბ) ძველი ისტორიული მიმოხილვა

7. ქართული მწიგნობრობის საწყისები.

ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრების (306 წ.)[21] დროისათვის ქართულ ქვეყნებს, წამყვანი მხარეების სახით, უკვე ჰქონდა მაღალგანვითარებული ცხოვრება, სოციალური წყობილება და კულტურაც. ჯერ კიდევ I-II საუკუნეთა მიჯნაზე ჩვ. ერამდე ქართველებს ჰქონდათ ისტორიული ქრონიკა, რომლის შემოკლებულმა ექსცერპტმა მოაღწია ჩვენამდე მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკაში. შემდგომ საუკუნეებში (ვარაუდით II საუკუნეში ჩვ. ერათი) დაწერილი უნდა იყოს ექვსი ცალკე თხრობა ზოგი მეფეების შესახებ. ეს თხრობანი შეტანილია მატიანეში.[22] ფარნავაზის დროიდან ვიდრე I საუკუნემდე ჩვ. ერათი და ნაწილობრივ შემდეგშიც ჩვენში ხმარებაში იყო არამეულ-ქართული დამწერლობა: სიტყვებს სწერდნენ არამეულად და კითხულობდნენ კი, ზოგიერთი თავისებურების მიმატებით, ქართულად (ასე იყო სპარსეთშიც, სადაც სწერდნენ არამეული ნიშნებით, მაგრამ კითხულობდნენ ფაჰლაურად (ასე ეწოდებოდა შუა სპარსულს).

გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია ის, რომ ბიბლიის ქართული პირველი თარგმანის მოწევნილი ტექსტები თავის ტერმინებით

---

20. ს. კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი, გვ. 93-191, განსაკუთრებით გვ. 182.

21. ქრისტიანობის ჩვენში დამკვიდრების თარიღად სხვა ავტორების მიერ მიჩნეული იყო 327, 337, 355 წლები.

22. ამის შესახებ, იხ. ს. კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი, გვ.75 შემდ.; დათარიღება აქ შესწორებულია.

თვალსაჩინოდ და აშკარად დაშორებულია ქრისტიანობის ჩვენში გამარ-ჯვების ხანას (III-IV საუკუნეს) და უფრო ადრე უნდა იყოს შესრულე-ბული. ხოლო ამ თარგმანის შესრულებისას ქართველებს, საფიქრებელია, უკვე ჰქონდათ თავისი საკუთარი ანბანი. ამის მიხედვით ქართველები II-III საუკუნეებში მაინც ხმარობდნენ ბერძნულ ენას თავისი დამწერლო-ბით, შუა სპარსულის (ფაპლაურის) მსგავს დამწერლობას მისი ქართუ-ლად წაკითხვით და საკუთარ ქართულ ანბანს, რომელიც ჯერჯერობით ყველა ბგერისთვის არ შეიცავდა ასოებს. სამწუხაროდ, ასეთი საკითხების გადაწყვეტას აძნელებს მასალების მეტისმეტი სიმცირე.

ქართველებში რამოდენიმე დამწერლობის ხმარება არაფერს მოულოდნელს არ წარმოადგენს. სპარსეთში III საუკუნის მეორე ნახე-ვარში დამწერლობისათვის ხმარობდნენ ბერძნულ ენას, შუა სპარსულს არამეული დამწერლობით და მეორე გარდამავალი საფეხურის შუა სპარსულს (ეგრეთ წოდებულ სასანიანთა ხანისას).

IV საუკუნის ბოლოში (უკანასკნელი აზრით 393 წელს) სომხეთში განმანათლებელ მესროპის (მაშთოცის) მეოხებით ჩამოყალიბდა ახალი სრულყოფილი ანბანი. რომელიც სომხური ენისათვის მოქმედობს აქამდის. მესროპის მოწაფე იყო ჯაყა (სომხური დამწერლობით ჯალა, რომელიც შეიძლება წაკითხულ იქნეს როგორც ჯალა-ც), რომელმაც (მესროპისავე მოწაფის კორიუნის სიტყვით) შეადგინა ანბანი ქართული ენისათვისაც. ეს იყო გადაკეთებული წინანდელი ანბანი, შევსებული ხმოვანი ბგერებისათვის ბერძნული ანბანის მსგავს შესატყვისი ასოებით (ეი. ო, ოჳ = უ) და აგრეთვე ახალი ასოებით რთულთანხმოვანი ბგერე-ბისათვის (ყ,წ,ჭ,ჯ,ჰ და სხვა). ერთი სკოლიდან წარმომავლობით აიხსნება, რომ სომხურში და ქართულში რიგ ასოებს ჰქონდათ იდენტური ან ახლო მსგავსებითი სახე (მაგ., კ,მ,ნ,ს,ფ,ქ,წ). ქართული ანბანი ჩამოყ-ალიბდა 393-395 წლებში (399 წლიდან უკვე გვაქვს ბოლნისის სიონის წარწერები). ეს ანბანი იყო სრულყოფილი იმ მხრივ, რომ ყოველ ქარ-თულ მაშინდელ ბგერას ჰქონდა თავისი გამოსახულება. რადგანაც ან-ბანს ჰქონდა მომრგვალო გამოსახულება, ამიტომ მას დაერქვა სახელად მგრგლოვანი ანბანი. ამ მგრგლოვან ანუ. როგორც ბოლო ხანებში მას ეძახდნენ, ასომთავრულ ანბანიდან 800 წლის ახლო დროში წარმოსდგა ე.წ. ნუსხა ხუცური, ხოლო ნუსხა ხუცურიდან XI საუკუნის პირველი მესამედის ახლოს — მხედრული ანბანი.

8. რომის იმპერია და სპარსეთის მონარქია ქართული ქვეყნების მიმართ.

ქართული ქვეყნების მეზობლად ამ ხანაში იყო ორი დიდი სახელმწიფო — რომის იმპერია და სპარსეთის მონარქია. რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში ლათინური კულტურა იყო გაბატონებული, აღმოსავლეთ ნაწილში კი — ბერძნული.

IV-V საუკუნეებში რომის იმპერია ნელ-ნელა მიექანებოდა დაცემისაკენ, მაშინ როდესაც სპარსეთის მონარქია ძლიერდებოდა და წინ მიდიოდა. იმპერატორი იულიანე სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს (363 წ., თანადამსწდური ამიანე მარცელლინის დამოწმებით (XXIV, 3,3) გაჯავრებული მიმართავს სიტყვით თავის მეომრებს: "აი, თქვენს წინ არიან სპარსელები, რომელთაც საჭიროზე მეტი აქვთ ყველაფერი. მათი სიმდიდრე შეიძლება გადმოვიდეს ჩვენს ხელში, თუკი ჩვენ შევაერთებთ ერთსულოვანობას და მამაცობას. დამიჯერეთ, რომ რომის სახელმწიფო თავის უზარმაზარ სიმდიდრეთა შემდეგ ჩავარდა უკიდურეს სიღარიბეში. ეს მოხდა იმათი წყალობით, ვინც პირადი გამდიდრების მიზნით ასწავლეს ხელმწიფეებს ომიდან დაბრუნება ბარბაროსებისაგან ოქროთი მშვიდობის ყიდვის პირობით. ხაზინა დაცარიელდა, ქალაქები გაუკაცრიელდნენ, პროვინციები გაძარცულია."

395 წლიდან რომის იმპერია, მანამდისაც IV საუკუნეში გაყოფის გზაზე მყოფი, საბოლოოდ გაიყო ორ ნაწილად: დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიად. დასავლეთი იმპერიის მთავარ ქალაქად რჩებოდა რომი, აღმოსავლეთისად კი ითვლებოდა კონსტანტინოპოლი (330 წელს ის იმპერატორმა კონსტანტინემ გახადა თავის რეზიდენციად). საიმპერატორო კარზე დაქირავებული ჯარის უფროსმა, ერთ-ერთი გერმანული ტომის მეთაურმა ოდოაკრმა მოახდინა გადატრიალება და თვითონ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება. ეს წელიწადი ითვლება დას. რომის იმპერიის დასასრულის წელიწადად.[23]

ამ ხანაში სპარსეთის მონარქია თანდათან ძლიერდებოდა და წინ მიდიოდა. იგივე ამიანე მარცელლინი გადმოგვცემს (XXIII, 6,4), რომ

---

23 . აღმოსავლეთ რომის იმპერია ოფიციალურად იწოდებოდა რომაელებისად. ერთმანეთისაგან განასხვავებლად ქვემოთ ჩვენ ვხმარობთ რომის მთლიანი იმპერიისათვის და შემდეგ მისი დასავლეთი ნაწილისათვის გამოთქმას რომისას (ლათ. Roma), ხოლო აღმოსავლეთი ნაწილისათვის. სადაც ბერძნული კულტურა სჭარბობდა, ვამჯობინებთ ბერძნული ზედსართავი სახელის ῥωμαῖος — რომაელის მიხედვით. გამოთქმას რომეველის სახელმწიფო და ასე სხვა (ახალ ბერძნულში αι გამოითქმოდა როგორც ε).

სპარსეთი (ვითომ ჯერ. არშაკუნიანთ დინასტიის დამწყების არშაკის წყალობით, მაგრამ ასეთი ყოფილა მდგომარეობა ავტორის დროსაც) საკსეა ქალაქებით, ციხეებით და სიმაგრეებით, რომ ის რისხვას წარმოადგენს მეზობლებისათვის, რომელთა წინაშე ის (არშაკზე უწინარეს) ძრწოდა".

სპარსეთის ხელში იყო მსოფლიო ვაჭრობის გზები და სპარსეთი აწარმოებდა ვაჭრობას, როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ინდოეთთან და ჩინეთთანაც. ეს გარემოება ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების განვითარებას სპარსეთში. სავაჭრო ელემენტის გაძლიერების მიზნით და ახალ ხელოსანთა მოსაპოებლად სპარსელები რომეების იმპერიის წინააღმდეგ ლაშქრობათა დროს აღებულ ქალაქებიდან ხშირად აწარმოებდნენ ხელოსანთა და სხვების აყრას და იძულებით მათ გადასახლებას სპარსეთში.

ეს ორი დიდი სახელმწიფო ახდენდა დიდ გავლენას ქართული ქვეყნების ცხოვრებაზე.

ზოსიმეს (V საუკუნის მეორე ნახევარი) ცნობების მიხედვით, ბიჭვინტას იმპერატორ დეკის (249-251 წწ.) დროს, ეი. ზუსტად III საუკუნის შუაში დიდი ძალებით ზღვიდან თავს დაესხნენ სკითები, რომლებიც რომეების გარნიზონის მიერ მოგერიებულ იქნენ (ბიჭვინტას ჰქონდა მაღალი გალავანი). მაგრამ იმპერატორ ვალერის /253-260 წწ.) დროს სკითებმა ზღვით კვლავ განაახლეს თავისი თავდასხმანი. მათ აიღეს ბიჭვინტა და სავსებით გაანადგურეს ის. შემდეგ თავს დაესხნენ ფაზისს (ფოთს), მაგრამ აქ ვერას გახდნენ და შემდეგ გაემართნენ ზღვითვე ქალაქ ტრაპიზონზე, რომელიც აიღეს და საშინლად აოხრეს. სკითების ამ ლაშქრობის შედეგი იყო ის, რომ რომის იმპერიამ ვერ შეინარჩუნა ეგრისი აფხაზეთითურთ და ეგრისის მთავარი (მეფე) დაუკავშირდა ქართლის სახელმწიფოს, რომლის ხელდებულ მდგომარეობაში ახლა ის მოყვა. ასეთი იყო მდგომარეობა ერთ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში. მირიანის დროს ეგრისი აფხაზეთითურთ ქართლის სამეფოს ხელქვეით იმყოფებოდა. ამიტომ ნინო ითვლებოდა ქრისტიანობის დამამკვიდრებლად ეგრისის მიმართაც (X საუკუნის სომეხთა კათალიკოსის იოანეს ცნობის მიხედვით და სხვა მასალებითაც). მაგრამ 369 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა. ამ წელს სპარსეთმა და აღმ. რომის იმპერიამ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით გაიყვეს ქართული ქვეყნები იმგვარად, რომ აღმ. საქართველო და სამცხე დარჩა

ქართლის მეფის ხელქვეით, რომელიც თავის მხრივ სპარსეთის ვასალად გადაიქცა.

კლარჯეთი შავშეთითურთ, ვიდრე შავ ზღვამდე (მდ. ჭოროხის შესართავის არეში) ამ ხელშეკრულებით გამოეყო ქართლის სამეფოს და ქართლის მეფის ვარაზ-ბაკურის ნათესავით საურმაგით სათავეში მოექცა რომეების ხელქვეით. მას ერთგვარი შინაგანი დამოუკიდებლობა მაინც ჰქონდა შენარჩუნებული.

რაც შეეხება დანარჩენ ქართულ სამხრეთ ქვეყნებს (ტაოს, სპერს, საერთოდ ჭოროხის ხეობას, ლაზეთს და ჭანეთს, ტრაპიზონის ვრცელ მხარეს და სხვა) ისინი იმყოფებოდნენ რომეების (ბერძნების) უშუალო მართებლობის ქვეშ.

დასავლეთ საქართველო ეგრისის სამთავროს (ლაზიკის სამეფოს) სახით აღმ. რომის იმპერიის ხელქვეით მოჰყვა.

ეგრისის სამთავროს ლაზური მმართველი დინასტიის გამო ბერძნები უწოდებდნენ ლაზიკის სამეფოს. მასში შედიოდა დას. საქართველო მდ. ეგრისწყალამდის (ღალიძგამდის). ეგრისწყალმა თავისი სახელი მიიღო ქალაქ ეგრისიდან, რომელიც მდებარეობდა შემდეგდროინდელი ბედიის ადგილას და მის გარშემო (როგორც ჩანს, უფრო ახლოს მდ. ეგრისწყალთან). როგორც ტოპონიმიკიდან ჩანს, თემებს დას. საქართველოს ბევრ ადგილას ეკავა დიდი ფართობი 15ხ10 კმ. და ამისდაგვარად. ახლანდელი ბედია, რომლის ტერიტორიაზე იყო ქალაქი ეგრისი, დაშორებულია ღალიძგას 10 კმ. (ღალიძგა მეგრულად ნიშნავს სანაპირო, სასაზღვრო მდინარეს).

სამხრეთით ეგრისის (ლაზიკის) სამთავრო მოდიოდა დაახლ. ეხლანდელ ჩაქვამდის.

ეგრისის ხელქვეით იყო აფხაზეთი. არიანეს (II ს.) ცნობიდან ჩანს, რომ მის დროს (134 წ.) აფსილებს (ახლანდელ სოხუმის მხარეში) და აბასგებს (აფხაზებს) მათ ჩრდილო დასავლეთით (ბიჭვინტის მხარეში) ცალცალკე მთავრები (ბერძნულად ბასილევს — მეფე) ჰყავდათ. III და V საუკუნეში აფხაზთა მთავრებმა გააერთიანეს აბასგ-აფსილების ქვეყნები და განაგრძობდნენ გამგებლობას.

9. ქართველების ქვეყანა და მათი მეზობელი ქვეყნები ვახტანგ გორგასალის ხანისათვის.

ქართულ ქვეყანათაგან საკუთარი სახელმწიფო წყობილების მქონე იყო ქართლის სამეფო, ზეგან ქართლის სამეფო, ეგრისის

(ლაზიკის) სამთავრო და აფხაზეთის სამთავრო. სამხრეთი ქართული ქვეყნები აღმ. რომის იმპერიის (რომეების) მმართველობის ქვეშ იყვნენ.

ქართლის სამეფოში შედიოდა შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, ჰერეთი (მირიან მეფის დროიდან). შესაძლებელია ჯავახეთიც. მეფის და მისი კარის რეზიდენცია იყო მცხეთაში. ქართლის სამეფო 369 წლიდან სპარსეთის მონარქიისაგან ხელდებულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარის საკითხი დაკავშირებულია გარდაბანის საკითხთან, რომელიც თხოულობს სპეციალურ ექსკურსს.

გარდაბანის მხარე მამათა და ნათესავთა სქემით, მდებარეობდა გაჩიანის მხარის აღმოსავლეთით. ქართლოსმა ვითომ "გარდაბოსს (გარდაბანის ეპონიმს) მისცა ხუნანი და უჩინა საზღუარი აღმოსავლით მდინარე ბერდუჯისა, დასავლით ქალაქი გაჩიანი და სამხრით მთა პირველ-ხსენებული და ჩრდილოთ მტკუარი. ხოლო გაჩიოსს მისცა ორბისციხე და სკორეთის მდინარითგან (ე.ი. ვერეს წყალიდან) ვიდრე თავადმდე აბოცისა და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი". აქედან ჩანს, რომ გარდაბანი მდებარეობდა მდ. დებედას ხეობის ქვედა ნაწილის ჩათვლით აღმოსავლეთით ვიდრე მდ. ბერდუჯამდე, რომელიც ჟამთა აღმწერელის დროს საგიმად იწოდებოდა (ახლანდელი ძეგამი). სომხური უსახელო გეოგრაფის მოკლე რედაქცია[24] (კ. პატკანოვის გამოცემა) ასახავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მთელი გარდაბანი ალბანეთში შედიოდა და გეოგრაფოსის სიტყვით სომხებისგან (ე.ი. სომხეთისგან) იყო წართმეული. აქ იგულისხმება IV საუკუნის პირველი ნახევრის ვითარება.

იმავე სომხური გეოგრაფის მეორე რედაქცია[25] (სუკრის გამოცემა) გარდაბანს გულისხმობს ორად გაყოფილს, სახელდობრ გარდაბანის დასავლეთი ნაწილი – წოფის ხეობა (დებედას ქვედა ნაწილი), კოლბის და ძორის (აღისტევის, ახლანდელი აღსტაფას) ხევები ვიდრე ქალაქ ჰნარაკერტამდე (იგივე ხუნანამდე) ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა. გარდაბანის აღმოსავლეთი ნაწილი კი ალბანიაში შედიოდა.

აქ მოხსენებული ჰნარაკერტ უნდა იყოს იგივე ქუნანაკერტ. მოხსენებული, როგორც ეპისკოპოზის რეზიდენცია 462 წლის ახლოს ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის და გაბრიელ ქართლის მთავარეპისკოპოსის

---

[24] . Армянская география, изд. К.Паткановым, СПб, 1877.

[25] . Géographie de Moisé de Corène, Venise, 1881.

დროს. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეპისკოპოსების ამავე სიაში მოხსენებული ეპისკოპოსი ტარსისა ჯერ ქართულიდან ბერძნულად და შემდეგ ბერძნულიდან სომხურად გადატანის დროს იყოს დამახინჯებული ტავუშ, რომელიც შემდეგში იხსენიება, როგორც სიაეორდის მთავარი პუნქტი. ხუნანაკერტ (ქუნანაკერტ) არის იგივე ხუნანი (იყო კიდევ მეორე ხუნანი მდ. ხრამის მტკვართან შესართავის სამხრეთ ნაპირას).

ქართლის ხსენებული გეოგრაფიული აღწერილობა, რომელშიდაც თბილისი უკვე ქართლის ქვეყნის დედაქალაქად არის მოხსენიებული შედგენილი უნდა იყოს დაახლოვებით 460-იან წლებში.[26]

როგორც ჩანს, სომხეთის სამეფოს ძალზე დასუსტების და შემდეგ მთლად დაცემის ხანაში, მაშასადამე V საუკუნის პირველ მესამედში ან მალე ამის შემდეგ, გარდაბანის დასავლეთი ნახევარი მოყოლილა ქართლის ერთეულის ფარგლებში.

ასეთივე მდგომარეობა არის ასახული მესამე უსახელო სომხური გეოგრაფის თავდაპირველ წყაროში, რომელიც ფაჰლაური უნდა ყოფილიყო და VI ს-ნისად ჩანს. ეს ფაჰლაურად საგულისხმებელი წყარო იხსენიებს უდის ქვეყანას არწახსა (ხარენს, შემდეგდროინდელ ყარაბახს) და მტკვარს შუა, ხოლო შემდეგ ასახელებს განძაკს (განჯას) თავისი ოლქით და ზაკამს ვიდრე გაგის ველობამდის. შემდეგ იქვე მოხსენებულია გარდბანის ოლქი (სომხურად გავარი).[27]

გარდაბნის ისტორია მოკლედ ისახება შემდეგნაირად:

აქემენიანთა სპარსეთის პირობებში (VI-IV საუკუნეებში ჩვ. ერამდის) გარდაბანი მოჰყვა გოგართა ერთეულში, რის შემდეგ ამ მხარეს ქართველები თავისად სთვლიდნენ. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ მამათა და ნათესავთა სქემაც გარდაბანის ეპონიმს ქართლოსისგან წარმოშობილად სთვლის. როდესაც გოგარის საპიტიახშო სომხეთის მეფეებს დაემორჩილა (II საუკუნე ჩვ. ერამდის) გარდაბანი მაინც ქართველების ერთეულში ითვლებოდა. IV საუკუნის შუაში ჩვ. ერათი გარდაბანი, როგორც მოხსენებული იყო, ალბანეთში მოჰყვა, ხოლო მალე მისი დასავლეთი ნაწილი ქართლის მეფეს დაემორჩილა. ასეთი მდგომარეობა იყო

---

26. შად. ს. კაკაბაძე. ქართ. სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. საისტორიო მოამბე. 1924, წ. I. სადაც ამ აღწერილობის თარიღად IV საუკუნე იყო ნაჩვენები.

27 S.Saint-Martin. Mémoires historiques et géografiques sur l'Arménie, Paris, 1819, II, pp. 414-415.

ვახტანგის დროსაც. შემდეგში, მარზპანობის დროსაც გარდაბანის დასავლეთი ნაწილი ქართლის სამარზპანოში ითვლებოდა, ხოლო არაბების დროს თბილისის ამირას ხელქვეით იყო.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს აღმოსავლეთ გარდაბანში წარმოადგენდა გაგი, რომელიც გადაჭურებდა გაგის ვრცელ ველს, ზომით დაახლ. 160 კვ. კმ. ეს ველი აღწევდა მდ. აღისტეფ-აქსტაფამდის. ამ ველის დასავლეთით მდებარე გრძელი მთის სახელი თურქული ფორმით გოგის მთა დადასტურებულია წიგნში Обозрение российских владений за Кавказом, СПб, 1836, ხოლო უფრო გვიან ღევ. ალიშანი აღნიშნავდა იმავე მთას კიოკის ანუ გაგის მთის სახელით. ამ საკმაოდ გრძელი (ოთხიოდე კმ) მთის ამაღლებულ ერთ მწვერვალზე იყო მონასტერი. სოფელ კოთის არეში (წერდა ს. ჯალალეანი [illegible] [illegible] Shirvanshahs წ.I, ტფ., 1842, გვ. 157) აღმოსავლეთის მიმართულებით არის გაგის დაშტი (ველობი) და ამ დაშტის შუაში — მთავართა მთავრის ვაჰრამის ციხე. ამ ციხის მთის წვერზე არის წმ. მხედართმთავრის სარგისის ეკლესია, რომელიც გააშენა ნეტარმან მამამან ჩვენმა წმინდა მესროპმა და დასდვა იქ კბილი წმ. სარგისის, რომელიც წამებულ იქნა სპარსთა მეფის შაპეის დროს. მისგან მოშორებით გადის მდ. მტკვარი და ეს იძლევა საუცხოო ხედსო.

კირაკოსიც იხსენიებს გაგის წვერზე სურფ-სარქისის მონასტერს, ხოლო ვარდან დიდი აღნიშნავს, რომ გაგის წვერზე მდებარე მონასტერი ბატონობს ვრცელ და უსაზღვრო ვაკეზეო.

ამგვარად, გაგის ციხე, რომლის მცირე ნაშთმა მოაღწია ჩვენამდის, მდებარეობდა კოთის (კოთ-კენდის) პირისპირ აღმოსავლეთით (სულ შვიდიოდე კმ-ზე), ახლანდელ სოფელ დაშ-სალაღლის ჩრდილო დასავლეთით მდ. აქსტაფიდან დასავლეთით 11-12 კმ-ის მანძილზე. გაგიდან მტკვრამდის აქ 16-17 კმ-ია. სურფ-სარქისის ეკლესია, ახალი მიშენებით სახეშეცვლილი აღნიშნულია რუკებზე.

ვარდან დიდი გაგის ციხის აშენებას მიაწერს ანისის სომეხთა მეფეს გაგიკ I-ს (989-1020 წწ.), ს. ჯალალეანის მიერ მოხსენიებული ვაჰრამი უნდა იყოს თამარ მეფის დროინდელი ვარამ გაგელი მხარგრძელი. ვაჰრამი მაინც უნდა ყოფილიყო ციხის მხოლოდ შემკეთებელი. ისე კი ციხე ამ ადგილას მისი მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი მდებარეობის გამო ძველ დროშიაც არის საგულისხმებელი. მესროპის მიერ ამ, როგორც ჩანს მაშინაც სახელიან ადგილას, მონასტრის გაშენება იმის მო-

მასწავლებელია, რომ გაგს თავიდანვე ჰქონდა თვალსაჩინო მნიშვნელობა.

მეორე ქართული სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა (არა მთლიანად) სამხრეთ-დასავლეთ ქართულ ქვეყნებს, იყო ზეგან ქართლის სამეფო, რომელსაც მატიანე იხსენიებს "ყოველი კლარჯეთი"-ს სახელით. სახელი "ყოველი კლარჯეთი" ამტკიცებს, რომ ამ ერთეულის ძირითად ქვეყნად ითვლებოდა კლარჯეთი, რომელთანაც მითვლილი იყო სხვა მიმდგომი მხარეებიც.

ძველი გეოგრაფიული ცნობები კლარჯეთის და მისი მიმდგომი ქვეყნების შესახებ არის შემდეგი:

მატიანე კლარჯეთს (თხრობაში ფარნავაზის შესახებ, აგრეთვე ჯუანშერიც) ვარაუდობს ვიდრე ზღვამდის. მაგრამ იგივე მატიანე არჩილის ცხოვრებაში იხსენიებს ცალ-ცალკე კლარჯეთს და ნიგალს.

სამესხეთოს საეპისკოპოსოების სია XV საუკუნის ანჩელის სამწყოსოში სთვლის "ნიგალის — ხევს გაღმა და გამოღმართს (იგულისხმება მდ. ჭოროხის მიმართ) გონიის სამძღვრამდინ". გონიოს მხარე მაშასადამე, არ ითვლებოდა ნიგალის ხევში. მატიანის სიტყვით არჩილ მეფემ 650-660-იან წლებში "აღაშენა ციხე საზღვარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისა". ვახუშტი თავის გეოგრაფიაში გურიის ფარგლებში სთვლის ერგეს, ბათომს და გონიოს. გონიოს მიმართ აქ ვახუშტის შეცდომა უნდა მოსდიოდეს, ხოლო რადგანაც ვახუშტის ჭანეთად მიაჩნია ტერიტორია დაწყებული დაახლოებით ახლანდელი მაკრიალის დასავლეთით ოხვამეს მთიდან და მის დასავლეთით, გამოდის, რომ გეოგრაფიულად გურია ძველად აღწევდა მდ. ჭოროხის შესართავამდის, ხოლო ამის დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროზე დაწყებული გონიდან (ჭოროხიდან) ვიდრე მაკრიალის ჩათვლით იყო ცალკე ხევი (გონიოსი). თვით ლიგანის ხევი იწყებოდა დაახლოებით ხვარამზის ხიდიდან და ითვლიდა ართვინსაც. ლიგანის — ხევი თითქოს ითვლებოდა კლარჯეთის ნაწილად და მოიცავდა მდ. ჭოროხის ორსავე ნაპირს ვიდრე აჭარისწყალის შესართავამდის. ამის ქვემოთ ჭოროხის მარჯვენა მხარეს იყო გურია, ხოლო მარცხენაზე გონიოს მხარე.

სომხურად მოწევნილი უსახელო გეოგრაფია კოლხიდას ჩამოთვლის შემდეგ მხარეებს: მარგვისს, ეგრისს, ლაზეთს და ჭანეთს. მარგვისად აქ იგულისხმება მდ. რიონის აღმოსავლეთით მდებარე მხარე, ეგრისად რიონის და უფრო ცხენისწყლის დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე მხარე. ლაზეთად, როგორც ეს გარკვევით არიანეს ცნო-

ბიდან ჩანს, გურია და ამასთან ერთად გონიოს მხარეც. ხოლო ჭანეთის მეორე სახელად ხსენებული გეოგრაფია ასახელებს ხალდიას, რომელიც მართლაც საგულისხმებელია ოხვამეს მთიდან ვიდრე ტრაპიზონის მხარის მიდგმამდის (ათინეს და რიზეს სომხური გეოგრაფია ჭანეთში გულისხმობს).

საკუთრივ კლარჯეთს ეკავა არტანუჯის მხარე, ხოლო "ყოველი კლარჯეთი" მოიცავდა კიდევ ლიგანის ხევს და გონიოს მხარეს ვიდრე ზღვამდის. II-IV საუკუნეებში, როგორც ეს ჩანს არიანეს თხრობიდან და უსახელო სომხურ გეოგრაფიაში დაცული ცნობებიდან, შავი ზღვის სანაპირო ჭოროხის შესართავის მხარეში ლაზებს ეკავა. ხოლო მირდატ მეფის დროს (IV საუკუნის შუაში) მატიანეს სიტყვით კლარჯეთს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება — ამ მირდატმა "აღაშენა ეკლესია თუხარისისა ციხესა შინა და ჯევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია და მუნ დაადგინნა მღდელნი მოძღურად კლარჯეთს და მატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდისა ეკლესიათა". ხოლო ვარაზ-ბაქარის დროს "განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა, დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი, ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე". აქ იგულისხმება ქართლის სამეფოს გაყოფა ვარაზ-ბაქარს (ასპაკურს) და საურმაგს შორის, როდესაც ამ სამეფოს ძირითადი ნაწილი ვარაზ-ბაქარით სათავეში მოჰყვა სპარსეთის ხელქვეით, ხოლო დასავლეთი ნაწილი კლარჯეთ-შავშეთ-ერუშეთით დარჩა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხელქვეით (369 წ.). რადგანაც აქ უკვე ლაპარაკია დიდ კლარჯეთზე ვიდრე ზღვამდის, ამიტომ საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროს რომეებმა დაუთმეს საურმაგს გონიის მხარე გასავალით ზღვისაკენ.

საურმაგის მთავრობა (თუ მეფობა) ამ მხარეში არის საგულისხმებელი 368 წლიდან ვიდრე 380 წლის ახლო დრომდე. მას მოჰყვა პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრებაში მოხსენიებული მეფე ბუზმირ I (ბოსმარიას) (380-405 წწ. ახლოს), რომელიც საფიქრებელია, იყო საურმაგის შვილი, ხოლო ამ ბუზმირ I შემდეგ იყო ბუზმირ II (ბოსმარის) 405-437 წწ. ახლოს. ბუზმირ II შემდგომი მმართველის სახელი არაა ცნობილი. 470 წლის ახლოს ეს სახელმწიფო შეიერთა ვახტანგ გორგასალმა.

ეკლესიურად ქართული ქვეყნები განაწილებული იყვნენ შემდეგნაირად: ქართლის სამეფო რელიგიის ხაზით ემორჩილებოდა ქართლის მთავარეპისკოპოსს, რომელსაც რეზიდენცია მცხეთაში ჰქონდა

(სვეტიცხოველის ეკლესია წარმოადგენდა საკათედრო ტაძარს). ეგრისი და აფხაზეთი ეკლესიურად ემორჩილებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს.

რაც შეეხება სამხრეთ ქართულ ქვეყნებს, ჭოროხის ხეობის მხარეები შავშეთ-კლარჯეთითურთ ემორჩილებოდნენ იშხანის ქართველ კათალიკოსს (იშხანი ტაოში მდებარეობდა). ეს საკათალიკოსო დაარსდა 325 წლის შემდეგ ამის ახლო ხანს. ამ ეკლესიის მოსაწყობად სპეციალურად ჩამოვიდა ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი. ამგვარად, ტაოში უკვე იყო კათალიკოსი, როდესაც მცხეთაში ეკლესიის მეთაური ჯერ კიდევ მხოლოდ მთავარეპისკოპოსის წოდებულებას ატარებდა. იშხანის ქართული საკათალიკოსო გაუქმდა 639 წლის ახლოს, როდესაც მისი უკანასკნელი კათალიკოსი ნერსე (ქართველი) გახდა სომხეთის კათალიკოსად.

ჭანეთი და ტრაპიზონის მხარე ეკლესიურად თავიდანვე ემორჩილებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს.

ქართული ქვეყნების აღმოსავლეთით ძველად მდებარეობდა ბერძნული გამოთქმის ალბანია, ძვ. სომხ. ალვან-ქ (მრ. რიცხ.). ქართველები მას ეძახდნენ ჰერეთს. ამ ჰერეთის ერთი ნაწილი (მდ. ალაზანის მიმდგამი მხარე ვიდრე ნუხამდის) მირიან მეფის დროიდან შეუერთდა ქართლის სამეფოს. იქ უკვე ფეხმოკიდებული იყო ქართული კულტურა და ამიტომ მას შეიძლება ეწოდოს ქართული ჰერეთი. ამ ქართული ჰერეთის აღმოსავლეთით და მდ. მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მხარეს დაერქვა სახელად მოვაკანი.

მოვაკანი თავისი დაბოლოებით ირანული სახელია (ასეთი დაბოლოება არის სომხურშიაც) და ნიშნავს მოვის ადგილს და ქვეყანას. ვინ იყო ეს მოვი და რატომ დაერქვა მისი სახელი მთელს მხარეს, არ ჩანს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ სახელი მოვაკანი მხოლოდ ქართულად არის ცნობილი. სხვა წყაროებში ის არ იხსენიება, ყოველ შემთხვევაში ის ჯერ მიგნებული არაა.

VI საუკუნიდან მოვაკანს დაერქვა შარვანი (შირვანი). იმარკვარტი იმოწმებს მასუდის (X ს) და ამბობს, რომ შარვანი არის მმართველის ტიტული და არა ქვეყნის სახელი, რომ სპარსეთის მეფემ ხოსრო-ანუშირვანმა (531-578 წწ.) მიანიჭა ამ მხარის მმართველს საპატიო წოდებულება შარვან (საშუალო სპარსულად შაჰრებან šahreban), რაც მხარის (ქვეყნის) დამცველს ნიშნავდა. ფორმალურად და თავისი მნიშვნელობითაც შარვანი ფარავს ძველ სპარსულ ტიტულს ხშათრაპავა

— ბერძნული გამოთქმის σατράπης — სატრაპი. შარვანის ხელში მყოფი ქვეყანა შემდეგში იწოდებოდა მარტივად შარვანად და (უფრო გვიან) შირვანად.[28]

10. ქართული კულტურა ვახტანგ გორგასალის წინა ხანაში (ცალკე ფაქტები).

ჩვენში ქრისტიანობის შემოსვლიდან იწყება ქართული მწერლობის ინტენსიური განვითარება. ამ ძველი დროის ნაწარმოებთა უდიდესი ნაწილი დაკარგულია და რაც მოწვენილია, თითქმის ყველას დაწერის თუ თარგმნის დრო არაა გამორკვეული. IV საუკუნის პირველ მესამედიდან მოწვენილია ნინოს ცხოვრების ორი ნაწყვეტი, IV საუკუნის მიწურულში დაწერილია ქართულად "გამოცხადება პატიოსნისა ჯვარისაჲ". ამ დროსვე გადათარგმნილ იქნა სომხურიდან სახარების ოთხივე წიგნი,[29] ხოლო 420-იან წლების ახლოს ეს ტექსტი შეკერებულ იქნა

---

[28]. I.J.Marquart. Die Enstehunq und Wiedestellung der armenischen Nation, გვ. 71-73. ეს არის მოხსენება. წაკითხული მის მიერ 1914 წელს ბერლინში. დაბეჭდილია 1919 წლის ახლოს.

[29]. რადგანაც ქრისტიანულ ლიტერატურაში სახარებას ჰქონდა მეტად დიდი მნიშვნელობა, ამიტომ ის ქართულად თარგმნილ იქნა თავიდან. მის შემდეგ იწყება ქართული ქრისტიანული მწერლობის განვითარება.

სახარების ქართულ ტექსტებს აქვს ქართველი ხალხის ისტორიის ცალკე საკითხების გასარკვევად დიდი მნიშვნელობა. დო. ბაქრაძე გამოთქვამდა აზრს. რომ სახარება ქართულად სომხურიდან უნდა ყოფილიყო გადმოთარგმნილი (ისტორია საქართველოსი, 1889, გვ.172).

ინგლისელი კონიბერი 1894 წ. ამტკიცებდა, რომ ქართული სახარება ბერძნულიდან არის გადათარგმნილი. ხოლო 1910 წელს ის ამ აზრს ადგა. რომ ქართული ახალი აღთქმის წიგნები სირიულიდან არის გადათარგმნილი და შემდეგ ბერძნულთან შესწორებულია. (The Georgian Version of the NT, Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft, 1910, SS. 232-239).

ნ. მარი თავიდანვე (1899-1903 წლიდან და შემდეგაც) აღნიშნავდა. რომ სახარების ქართულ ვერსიას მჭიდრო კავშირი აქვს სახარების სომხურ ტექსტთანი. გფერაძე და სომეხი ზორელი 1927 წელს ამის წინააღმდეგი იყვნენ (Oriens Christianus, 1927, p. 207, pass. [illegible] 1927, 672. ს. კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი. გვ. 1-27,) - ქართული სახარების ოდიშისეული ხელნაწერის ვერსია უნდა იყოს პირველადელი, შესრულებული V საუკუნის დასაწყისში და გადმოთარგმნილი სომხურიდან. შემდეგ. V-VI საუკუნეთა მოჯნაზე ეს თავდაპირველი თარგმანი შეკერებულ და შესწორებულ იქნა ბერძნულ ტექსტთან და ამგვარად. წარმოიშვა ქართული სახარების მეორე (გაფრცელებული) ვერსია.

ამერიკელმა რ. ბლეიკმა ქართული სახარების საკითხს უძღვნა სპეციალური გამოკვლევა და ფიქრობდა. რომ ის უშუალოდ გადმოთარგმნილია სომხურიდან (იხ. The

სახარების ბერძნულ დედანთან და ამით მიღებულ იქნა სახარების ქართული ტექსტის მეორე ვარიანტი.[30] ამ დროსვე დაიწყო და შესრულდა

Harward Theological Review, XXI, 1928, p. 294). ამას ის ამტკიცებდა არმენიზმებით და წინააღმდეგობებით ქართულ ტექსტში.

ბლეიკის შემდეგ ამ საკითხს შეეხო სტ. ლიონნე (Introduction à l'étude du nouveau Testament, Paris, 1935, ch. X; Les versions arménienne et géorgienne, pp. 342-386). ავტორი იზიარებს რ. ბლეიკის აზრს, რომ ქართული სახარება გადმოთარგმნილია სომხურიდან და ამბობს, რომ სომხურთან ერთად ქართული ტექსტი ემხრობა სახარების ბერძნული ტექსტის კესარიულ ვარიანტს.

მიხ. თარხნიშვილი იმოწმებს ორ შრომას და დასკვნის, რომ მკვლევართა უმეტესობა მხარს უჭერს ქართული ოთხთაეის ტექსტის სომხურიდან წარმომავლობასო; ხოლო თვით სომხური ტექსტი, იმავე მკვლევართა აზრით, სირიული ვერსიიდან მოდისო.

სახარების ოდიშისეული ტექსტი ფოტოტიპიურად გამოსცა მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ 1916 წელს (Материалы по археологии Кавказа, вып. XV). ქართული ოთხთაეის ორიეე ძველი რედაქცია გამოცემულია თბილისში 1945 წელს.

30 ეს ჩანს შემდეგიდან. შუშანიკი ეუბნება აფოკ ეპისკოპოსს, რომ მისი ნეშთი დაკრძალონ იქ, სადაც დაიწყო მისი ტანჯვა და შემდეგ: "უკეთუ ღირს რაამე ვარ უკუანასკნელი ესე მეათერთმეტე მოქმედი ვენაკსაი იყვენით ყოველნი კერძოსეულ უკუნისამდე ჟამთა". აქ გამოყენებულია მათ. 20 6-7: " ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა ვითარ გამოვიდა (მამასახლისი)... პრქუა მათ (მუშაკო) – მოეედით თქუენცა საყურძნესა მას ჩემსა". ბერძნულთან შედარებულ ტექსტში კი აქ საყურძნეს მაგივრად ხმარებულია სიტყვა ვენახი ("წარეედით თქუენც ვენაკსა ჩემსა"). საერთოდ სომხურიდან გადათარგმნილ ქართულ ოთხთაეში ჩეეულებრივ იხმარება სიტყვა საყურძენი, რის ფარდად ბერძნულთან შეეკერებულ ვერსიაში გეაქვს შესწორება – ვენაკი. ამის გამო, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იაკობ ხუცესი (და შუშანიკიც) ქართულ სახარებას იცნობდნენ უკვე ბერძნულთან შეეკერებული ვერსიით. შუშანიკის ცხოვრება დაწერილია 446 წელს. შუშანიკი და განსაკუთრებით იაკობ ხუცესი ამ დროს უკვე მთლად ახალგაზრდები არ იქნებოდნენ (შუშანიკს ჰყავს მოზრდილი შვილები, რომელნიც თავის მამას შორს გზას გაეგზავნენ). სახარება მათ შესწავლილი ქონდათ სიყრმიდანვე. ამიტომაც მათ სიყრმეშეე ბერძნულთან შეეკერებული ქართული ვერსია სახარებისა უკვე უნდა არსებულიყო. აქედან ვეებულობთ, რომ ქართული ოთხთაეის მეორე ვერსია (ბერძნულთან შეეკერებული) უნდა იყოს შესრულებული დაახლოებით 420-იან წლებში, ეი. არჩილ მეფის დროს.

ბერძნულთან შეეკერებული ქართული ოთხთაეის ტექსტი თვალსაჩინოდ განსხვავდება პირველი ვერსიის ტექსტისაგან მხოლოდ ტერმინოლოგიით. ფრაზების შედგენილობა და წყობა, მცირეოდენ გამონაკლისის გარდა, ერთი და იგივე: მეორე ვერსიის რედაქტორი ცდილობს მხოლოდ ტერმინების შესწორებას. მაგ., პირველი ვერსიის ნათესავი მეორე ვერსიაში შესწორებულია ასე – წარმართი, სამღდელო – ტაძარი, მოხუცებული – ხუცესი, ტაგარი – საწნეველი, საყურძენი – საეენახე, კერმა – რეალი, პილენძი – რეალი, კვართი – სამოსელი, სავაჭრო – უბანი, ინაკ ედგა – დასხდეს, ასპარეზ – უტეეან, მსაჯული – მთავარი, ეუეზა – პური, კუელი –

დაბადების (ბიბლიის) წიგნების დიდი უმეტესობის ხელახლა თარგმნა ეგრეთ წოდებულ LXX მთარგმნელთა ბერძნული ტექსტიდან და სხვა.[31] V საუკუნის პირველ ნახევარში ქართველებს უკვე ჰქონდათ საკმაოდ ძლიერი მწიგნობრული ტრადიციები და. არამცირედი ქრისტიანული საღვთისმსახურო და საკითხავი წიგნები.

ქართველები თავისი მოწინავე წრეების სახით კულტურულად დაკავშირებულნი იყვნენ სპარსელებთან, რომელთა ხელქვეით ხშირად იყო მთელი ქართლის (საქართველოს) სამეფო და თითქმის ყოველთვის აღმოსავლეთი საქართველო, აგრეთვე ბერძნებთან (აღმ. რომის იმპერიასთან), სომხებთან, რომელნიც იყვნენ ქართველების უძველესი მეზობლები, და კიდევ სირიელებთან. სირიული და უფრო კიდევ არამეული ენა წინათ იყო ინტერნაციონალური მნიშვნელობის. წინა ხანაში და V საუკუნისათვის მას შენარჩუნებული ჰქონდა ხალხთა შორის კულტურულ ურთიერთობაში თავისი თვალსაჩინო ადგილი. პალესტინა, რომელიც ქრისტიანებისათვის წმინდა ქვეყნად იყო მიჩნეული. ამ ხანაში (დაწყებული I საუკუნიდან ჩვ. ერამდის) უკვე ლაპარაკობდა არამეულად. ქრისტიანული კულტურა, სხვადასხვა ლიტურგიკულ და საღვთისმეტყველო ნაწარმოებთა სახით, შემოდიოდა ქართველებში, როგორც ბერძნებიდან, ისე სირია-პალესტინიდან, მაშასადამე, როგორც ბერძნული ისე სირიული ენების მეშვეობით. არამეულ ენას თავისი ადგილი ჰქონდა ირანის მოწინავე განათლებულ წრეებშიც. ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ ქართულ საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში V საუკუნეში ვხვდებით ან ახლად ფეხს იკიდებს სირიულ არამეული ტერმინები.

გოდორი, ზატიკი — პასექი, პასქაი, ტაკუკი — სარწყული, მარი — საწნახელი, ფიჩვი — სამოსელი, გოდორი — სფეკრიდი, ფშატი — მწვლილი, ბეკე — მთავარი და სხვა.

31. დაბადების წიგნების ქართული თარგმანის ვერსიებს აქვთ დიდი მნიშვნელობა. პირვანდელი თარგმანი შესრულებულია ებრაულიდან. ამას ამტკიცებს ეგრეთ წოდებულ ბაქარის გამოცემაში შემონახულიმეფეთა ოთხივე წიგნის და ზოგი კიდევ სხვა წიგნის ქართული ტექსტები. თითოოროლა ნაწყვეტი შემონახულია სხვაგანაც. სამა ორბელიანი თავის ლექსიკონში აციტირებს დაბადების წიგნების ქართულ ტექსტებს. რომელნიც ახლა დაკარგულია და რომელნიც პირვანდელ ტექსტებს წარმოადგენდნენ. პირვანდელი ტექსტი. რაც შემონახულია (თუმცა არა მთლად პირვანდელი სახით) თვალსაჩინოდ განსხვავდება კერძოდ ტერმინოლოგიით. ბერძნულიდან (LXX მთარგმნელთა ვერსიიდან) V საუკუნის პირველ ნახევარში გადმოთარგმნილი ქართული ტექსტებიდან და უფრო ძველი უნდა იყოს (დახლ. II-III საუკუნისა მაინც).

მცხეთის სამთავროს ნეკროპოლში აღმოჩნდა IV საუკუნის საფლავის ქვა ბერძნული წარწერით. აქ დასაფლავებული იყო ასოლისი, მხატვართუხუცესი და არქიტექტორი და ცოლი მისი ბევრაძურია. რადგანაც წარწერა მხოლოდ ბერძნულადაა შესრულებული, ამიტომ ხსენებული პირნი, ყოველს შემთხვევაში, (თუ ისინი ადგილობრივი მკვიდრნი არიან) ბერძნული კულტურისანი უნდა ყოფილიყვნენ. ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანაში ასეთ პირთა მოწვევა საეკლესიო მშენებლობაში დასახმარებლად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტს ამ ხანაში წარმოადგენდა ბიჭვინთა. ის იყო მოზრდილი ქალაქი, რომელსაც თავისი შემოგარენით ეკავა 30 კმ ფართობი (დაახლ. 5 1/2 ათ. ჰექტარი). არქეოლოგიური გათხრებით ქალაქის ტერიტორიაზე დადასტურებულია თავდაცვითი გალავანი თავისი კოშკებით, III-IV საუკუნეში არსებული აბანო და აგრეთვე ძველი ქრისტიანული ტაძრის ნაშთი. ეს ძველი ტაძარი, როგორც მისი ნაშთიდან ჩანს, ყოფილა მოზრდილი სამნავიანი ბაზილიკა.[32]

1952 წელს წარმოებულმა გათხრამ გამოარკვია, რომ ამ ტაძრის საკურთხევლის იატაკი მოზაიკით დიდი ხელოვნებით ყოფილა გაკეთებული. ფერადი კენჭებითაა შესრულებული სხვადასხვა წნული, აგრეთვე მტრედები, როგორც ქრისტიანული მშვიდობის სიმბოლო, ძროხა, ხბო, სხვადასხვა მცენარეები. ერთს ადგილს კვადრატულ მეტრზე გახმარებულია 12 ათასამდე ფერადი კენჭი. სულ კი მოზაიკა ფრაგმენტების სახით შემონახულია 25 კვ. მეტრ ფართობზე. ერთს ადგილას მოზაიკაში კენჭებითვე გამოყვანილია მისი შემამზადებელ მხატვარ-ხელოსნის სახელი ბერძნულად: "სალოცველად ორელისა და ყოვლისა სახლისა მისისა". მოზაიკის ფრაგმენტები ამტკიცებენ, რომ ტაძარი მეტად მდიდრულად ყოფილა გაფორმებული.

ძეგლი უნდა ეკუთვნოდეს IV საუკუნის მეორე ნახევარს. როგორც ამ მოზაიკის, ისე ძეგლის დამთარიღებელი ლ. მაცულევიჩი ამტკიცებს, რომ კერძოდ მოზაიკა შესრულებული იყო ადგილობრივ

---

[32]. იქ თავშივე დაარსებულ იქნა საეპისკოპოსო კათედრა. ნიკეის მსოფლიო კრების (325 წ.) დამსწრეთა სიაში მოხსენებულია ეპისკოპოსი პატროფილი პიტიუნტისა. მისი ეპარქია მოწერილი იყო პოლემონის პონტის საეკლესიო იღლეზე (P.Peeters, Les débuts du christianisme en Géorgie d'après les sources hagiographiques, Analecta Bollandiana, I, 1932, p. 13). შემდგომ საუკუნეებში ბიჭვინთა გადაიქცა მთელი დს. საქართველოს ეკლესიის მეთაურად - აფხაზეთის კათალიკოსის მთავარ რეზიდენციად.

ხელოვანთა მიერ. ბიჭვინთის მოზაიკა ადასტურებს ადგილობრივი ქართული ხელოვნების მეტად მაღალ დონეს (წარწერა ბერძნულ ენაზეა შესრულებული ამ ენის განსაკუთრებითი მნიშვნელობის გამო ქრისტიანულ სამყაროში).[33]

დიდი მიღწევები იყო ხელოვნებაშიც. IV საუკუნის სიგრძეზე წარმოებდა ახალი რელიგიის საჭიროებისათვის ეკლესიების გაშენება. მაგ., გაშენებულ იქნა სამთავროს ქვიტკირის ტაძარი მცხეთაში, შემდეგში გადაკეთებული საფუძვლიანად, მცხეთაშივე წმ. გიორგის, შემდეგში ანტიოქიისად წოდებული ეკლესია, დიდი უგუმბათო ეკლესია ნეკრესში, 384-399 წლებში გაშენდა ბოლნისის სიონის ტაძარი, რამდენიმე წლის შემდეგ ბოლნისშივე აიგო მეორე ტაძარი დიდად დიზიანებულად მოღწეული და სხვა. ეს ტაძრები ბაზილიკური ტიპისაა.[34]

---

33. Л А. Мацулевич. Открытие мозаичного пола в древнем Питиунте, ВДИ, 1956, №4, стр. 146-153.

34. ბაზილიკა არის ბერძნული სიტყვა. ნიშნავს სამეფო სახლს. ასე ეწოდებოდა ბერძნულ ქვეყნებში სახელიწოფო დანიშნულების ქვითკირის დარბაზოვან შენობას. ხოლო რადგანაც ქვითკირის თაღის გადაფარა დიდ ფართობზე საძნელო იყო, ამიტომ შუა დარბაზის სიგრძეზე კედლების მაგივრად აშენებდნენ სვეტებს, რომლებსაც ერთიანებდნენ თაღებით, ხოლო ამ თაღების ზევით აწეულ კედლებზე შემდეგში სინათლისათვის უკეთებდნენ მოკრძო სარკმლებს. ასეთ თაღებიანი სახურავის მქონე შენობას ახლა ხუროთმოძღვრების ისტორიაში სამნაკადი ბაზილიკა აქვია. ასეთი ტაძრები IV-VII საუკუნედან საკმაოდ მოღწეულია ჩვენამდე საქართველოში.

ქართველი ხალხი ვახტანგ გორგასალის ხანისათვის

ა/ ეკონომიკა

11. ეკონომიური ცხოვრების მიმართება.

IV საუკუნეში ქართლის ცხოვრებაში მოხდა ძირითადი ხასიათის ცვლილება. ინდოეთისკენ მიმავალი ერთ-ერთი მთავარი საქარავნო გზა მდ. რიონ-მტკვრის მიმართულებით იწყებს შესუსტებას, სამაგიეროდ კიდევ უფრო ძლიერდება თვით სპარსეთზე მიმავალი მთავარი სატრანზიტო საქარავნო გზები, რომლებიც რომის იმპერიას აერთიანებდნენ როგორც სპარსეთთან, ისე ინდოეთთან, თურქესტანთან და ჩინეთთანაც. ამით სპარსეთი თანდათან ხელთ იგდებს მაშინდელი მსოფლიო ვაჭრობის მთავარ ძარღვებს, რაც იწვევს მის გაძლიერებას და საგარეო პოლიტიკის აქტივიზაციასაც. ამ აქტივობის შედეგი იყო ის, რომ 369 წ. აღმ. რომის იმპერია იძულებული გახდა დაეთმო სპარსეთისათვის ქართლი მცხეთითურთ, ხოლო ამ დროს ქართლის ხელქვეით მყოფი სამცხე-ჯავახეთი კლარჯეთითურთ კვლავინდებურად დარჩა აღმოსავლეთ რომის იმპერიას. ამავე დროს მტკვრის ხაზით მთავარ საქარავნო გზის მნიშვნელობის შესუსტებასთან ერთად იგი იწყებს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ქართლში სავაჭრო გზების გაძლიერებას ახლად შეცვლილ პირობების შესაბამისად სპარსეთთან უფრო მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დასამყარებლად.

V საუკუნეში ქალაქები ურბნისი და ციხედიდიც (ქსნის შესართავთან) მოკლებული არიან საეპისკოპოსო კათედრას. მაშასადამე, მათი მნიშვნელობაც აგრეთვე შემცირებულია. მართალია, ურბნისიდან 3 კილომეტრზე რუისში არსებობს საეპისკოპოსო კათედრა, მაგრამ კათედრები არსებობს კიდევ სამთავისში, ნიქოზში და წილკანში. აქედან შეიძლება გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ მთავარი საქარავნო გზა მტკვრის გაყოლებით IV საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე მოკლებული ყოფილა წინანდელ მნიშვნელობას, რომ კერძოდ ქართლში მეტი ძალა მისცემია შიგნითა მიმართულებებს სამთავისის, ნიქოზის და წილკანის ხაზით. ის გარემოება, რომ სამხრეთ მიმართულებით არსდება მთელი რიგი საეპისკოპოსო კათედრების (ტფილისს, რუსთავს, მანგლისს, ცურტავს, დმანისს, ბოლნისს) ამტკიცებს ამ მხარის თვალსაჩინოდ გა-

მოცოცხლებას ახალი ცენტრების შექმნის სახით. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ახალი საეპისკოპოსო ცენტრი ბოლნისი დაშორებული იყო ქალაქ გაჩიანს სწორედ ერთი დღის სავალზე. აქაც, მაშასადამე, ადგილი ჰქონდა, საქარავნო მიმოსვლის ზრდასთან ერთად, ახალი საქარავნო გასაჩერებელი პუნქტების წინ წამოწევას ანდა განსაზღვრული ეკონომიური ერთეულის (ბოლნისის ხევის) ახალი ცენტრალური პუნქტის წარმოჩენას. ყველაფერი ეს კი, ჩვენის აზრით, უნდა გვიჩვენებდეს, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში უკვე დამთავრებული იყო პროცესი, რომელსაც შედეგად მოჰყვა მტკვრის ხაზით შორაპან-მცხეთის მიმართულებით მთავარი საქარავნო გზის მნიშვნელობის შესუსტება და ამასთან ერთად სამხრეთის მიმართულებით მიმავალი გზების გამოცოცხლება და მცხეთის სამხრეთით მდებარე პროვინციების დაწინაურება. ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს თბილისის, როგორც დედაქალაქის, დაფუძნებაც ვახტანგ გორგასალის დროს.

ქართლი ამგვარად შორდება ეკონომიურადაც აღმოსავლეთ რომის იმპერიას და უკავშირდება სპარსეთს. ეს გარემოება ძირითადად გავლენას ახდენს საქალაქო (უმთავრესად სავაჭრო) ელემენტებზე. სპარსეთთან დაკავშირება აძლიერებს მათში სპარსულ ორიენტაციას, ამზადებს ნიადაგს კულტის საკითხში სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობის გაძლიერებისათვის.

12. მიწათმოქმედების ტექნიკა.

უძველეს ქართულ სახნავ იარაღს ერქვა სახელად "საკენელი".[1] ის უნდა ყოფილიყო, როგორც ყველგან, ხის და წარმოადგენდა ერთს მთლიანად მოკაულს ხეს თავისი სახნისიანად, ცალკე დამაგრებული სახელურით. შესაძლებელია, ასეთ სახენელს მისი დამზადების გასაადვილებლად ხის სახნისი ცალკე ნაჭრისგან ჰქონოდა. ასეთ ხის სახნისს საქართველოს ზოგიერთ კუთხეში XIII საუკუნეშიც ხმარობდნენ. "ვეფხისტყაოსანში", მაგ., მოხსენებულია "ძელისა საკნისი", მართალია, მეკობრეთა ნავზე საომარ მიზნებისათვის გამოსაყენებლად, მაგრამ ცხადია, რომ ამ "ძელის საკნისს" მაშინ სამეურნეო მნიშვნელობაც ჰქონია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეს სახელი არ ერქმეოდა.

---

1. ქართული სახვნელების საკითხებზე დაწყებული 1925 წლის ახლო დროიდან სპეციალურ გამოკვლევებს ატარებდა გ. ჩიტაია, რომელსაც ამის შესახებ გამოქვეყნებული აქვს შრომები. ის იკვლევდა ამ საკითხებს ეთნოგრაფიის თვალსაზრისით.

V საუკუნეში ქართლში სიტყვა საკვნელი იხმარებოდა, როგორც ზოგადი მნიშვნელობით, ისე კერძოდ, ხის სახნისის აღსანიშნავად. დაბადების მეორე ვერსიის 2 მეფ. (24,22) ბერძნული დედნის "პირუტყვი შესაწირავად, საცხოვავი სატარებელი და პირუტყვის საუღლე" გადათარგმნილია "ჯარნი და უღელნი და საკვნელი და ყოველივე ჭურჭერი (იარაღი) კალოსი". აქ საცხოვავი სატარებელი და სახვნელი ერთი და იგივეა. ცხადია, რომ სახვნელი ამ შემთხვევაში ხის იგულისხმება.

სტრაბონი ალბანიის ლაშქრობებში მონაწილეთა სიტყვით (უნდა იგულისხმებოდეს პომპეის ლაშქრობანი 66-65 წ. ჩვ. ერამდის) გადმოგვცემს ალბანიის მიწის არაჩვეულებრივ ნაყოფიერების შესახებ, რომ "ნათესი ორჯერ და სამჯერ იძლევა ნაყოფს და პირველად ორმოცდაათეულადაც და ისიც მიწის დაუსვენებლივ არა რკინის, არამედ ტლანქი ხის სახნისით დამუშავების შემდეგ, რომ ეს მხარე უკეთ ირწყვება, ვიდრე ეგვიპტის და ბაბილონის ველები" და სხვა (აქ უნდა იგულისხმებოდეს ეხლანდელი კახეთის გაღმა მხარე და საინგილო).

ამრიგად, ალბანიის გარკვეულ მხარეებში I საუკუნეში ჩვ. ერამდის ხის სახნისს ხმარობდნენ და ცხადია, ასეთივე მდგომარეობას ექნებოდა ადგილი მეზობელ იბერიაშიც.

რომაელ ბუნებისმეტყველს პლინის (I ს) ჩამოთვლილი აქვს მის დროს რომის იმპერიაში ხმარებული სახვნელი იარაღები: 1. დანა — რკინის სახელწოდებით, მოღუნული, ყამირი მიწის გამტეხავი (ეს უდრის ქართულ ერქვანს, III საუკუნის ტექსტისას); 2. ჩვეულებრივი სახვნელი მოკავო საჭრელით (სახნისით); 3. სახვნელი ადვილ-სახნავი მიწისთვის კბილაზე პატარა წვეტით; 4. სახნისივე უფრო ფართო საჭრელით; 5. გალლიაში ახალი გამოგონილი სახვნელი, ადგილობრივი გალლური სახელწოდებით პლაუმ, რომელსაც ორბორბლიანი საზიდი ჰქონდა წინ გაკეთებული.

ქართველ ტომებში დაბადების ტექსტების მიხედვით V საუკუნის I მეოთხედში და ამაზე ადრე ცნობილი იყო შემდეგი სახვნელები: საკვეთელი ერქვანით, საჯნისი.

დაბადების ქართული თარგმანის I ვერსიაში ერთი ადგილი წარმოდგენილია ასე: "მოსრნა... ექვსასი კაცი საკვეთელითა ერქვნითა საკვნელისა ჯართათა" (მსაჯ., 3,5). ებრაულში: ექვსასი კაცი დახოცა ხარის საკვეთელით (იგულისხმება წვეტიანი პალო, დამაგრებული დახრილად). ცხადია, საკვეთელი და ერქვანი აქ ტავტოლოგიას წარმოადგენს.

მაშასადამე, ერქვანი ყოფილა იგივე საკვეთელი და ის უნდა იყოს, ამ ტერმინის (სიტყვისაგან კვეთა) ხასიათისა და მისი შემდეგდროინდელი მნიშვნელობის გამო, წერაქვის მსგავსი რკინის წვეტიანი სახვნელი, რომლითაც მართლაც შეიძლებოდა ადამიანთა დახოცვა.

მსაჯულთა წიგნის მეორე ქართულ თარგმანში (V საუ.) ამავე ადგილს სახვნელი მოხსენებულია შემდეგნაირად: "მოსრნა უცხო თესლნი ექვსასი კაცი ერქვნითა საკნველისა კართათა" (მსაჯ. 3,3) სახვნელს ამგვარად ჰქვია "საკნველი კართა". მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ერქვანი. ქართული თარგმანის "ერქვანი საკნველისა" უდრის ბერძნული ტექსტის ἀροτρόπουσ-ს, რაც სახნისის ფეხს ნიშნავს. ერქვანი, მაშასადამე, არის სახვნელის ერთი ნაწილი — სახნისი.

ამ ტიპის სახვნელის გარდა ბიბლიის ცალკე წიგნების დროს იცოდნენ რკინის სახნისი. იეს. 2,4 ნათქვამია: "დასჭრნენ მახვილებსა მათსა საკნისად". საკნისი აქ შეესატყვისება ბერძნული ტექსტის ἀροτρόπουσ-ს, მაშასადამე, საკვეთელი ერქვანი და სახნისი გამოხატავს ერთსა და იმავე მცნებას. აქ ჩვენ გვაქვს ქართულ ცხოვრებაში არსებულის სახვნელის ორი სხვადასხვა ტიპის მოხსენიებასთან საქმე — წერაქვის მსგავსი სახნავი იარაღით და რკინის წვეტიანი სახნისით.

ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყების ახლო პერიოდში, როგორც მოხსენებული იყო, ორთვლიანი სახვნელი შემოუღიათ გალლიაშიც. ეს მძიმე სახვნელი იგულისხმება II ვერსიის შემდეგ ადგილას (2 მეფ., 24, 22). "აჰა ეგერა არიან ჯარნი ეგე მსხვერპლად და უღელი და საკნველი და ყუველივე ჭურჭერი კალოსი შეშად მარგულიად და საწველთა მათთვის".

პირველ ვერსიაში ეს ადგილი იკითხება ასე: "აჰა ჯარნი ყოვლად დასაწველად და ეტლნი და ჭურჭელნი ჯართანი შეშად" (ებრ.: აქ არიან ხარები დასაწველად და საცეხველი მოწყობილობა და ხარის შესაკაზმი — შეშად). მეორე ვერსიაში თარგმანი სულ სხვაა, სახელდობრ, ბერძნული ტერმინი ბორბალი (οἰτροχοί) მთარგმნელს გაუგია როგორც სახვნელის აღმნიშვნელი და გადაუთარგმნია აღწერილობით "უღელი და საკნველი". ბერძნული სიტყვის τροχοσ აღწერილობით გადათარგმნა მაჩვენებელია იმის, რომ მთარგმნელის დროს ქართლში უკვე შემოსული იყო ბორბლებიანი სახვნელი. შეიძლება ამის მიხედვით ვიფიქროთ, რომ ბორბლებიანი მძიმე სახვნელი ქართველებში არსებობდა წინათაც. ამიტომ ბორბლებიანი სახვნელის შემოღება ქართლში წინა აზიის ქვეყნე-

ბიდან უნდა მომხდარიყო დაახლოებით II-IV საუკუნეში ქართლის მიმართ რომაელების უპირატესობის ხანაში.

საკვეთელი ტიპის სახვნელის გავრცელების მაჩვენებელია ჭანური ტერმინი სახვნელისათვის ტაქიმი, წარმოებული სიტყვისაგან ტახ-კვეთა, ტეხა.

13. ტექნიკური გაუმჯობესება მიწათმოქმედებაში.

თითქოს ამ ხანასთან უნდა იყოს დაკავშირებული სახვნელის ტიპის გაუმჯობესება ქართულ მიწათმოქმედებაში. ეს ეხებოდა აღმოსავლეთ და სამხრეთ ქართულ ქვეყნებს, სადაც ნიადაგს ადგილობრივი ბუნებრივი პირობების მიხედვით სჭირდებობა ღრმად დამუშავება (დას. საქართველოში ნიადაგის სირბილის გამო ამის საჭიროება არ იყო) მცირე აზიის ბერძნული კულტურის ქვეყნებიდან ჯერ შემოვიდა არონის ტიპის სახვნელი. ბერძნულიდანვე არის შემოსული სიტყვა არონა (ἀρουρα — ყანა; შეად. სომხ. არონ — სახნისი). ბერძნული არურა იხმარებოდა საზომადაც და უდრიდა თავდაპირველად 2500 კვადრატულ ბერძნულ ფუტს, ეი. 219 კვ. მეტრს, შემდეგ კიდევ 630 კვ. მეტრს. ქართული არონის შემოღება უნდა იყოს დაკავშირებული არა ბერძნული საზომის ერთეულთან, არამედ სახვნელის გარკვეულ ტექნიკურ გაუმჯობესებასთან, რომელიც შემოდიოდა რომის იმპერიიდან. მესხური არონა არის სახვნელი ხელნაში გამაგრებული რვილით და ხმალათი გვერდზე. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს იყო პლინის მიერ დასახელებული მეოთხე ტიპის სახვნელი, რომელიც ბერძნების გზით შემოტანილ იქნა ქართულ ქვეყნებში.

მეორე ტიპის სახვნელი იყო ჯიღლა. ის წარმოადგენდა არონის ტიპის გაუმჯობესებულ სახვნელს ბორბლებიანი საზიდით წინა ნაწილში. შემოვიდა ეს სახვნელი აღმ. რომის იმპერიიდან თავისი ბერძნული სახელით ζεύγλη, ძეგლე. იმპერატორ დიოკლეტიანეს და კონსტანტინე დიდის დროს. იმპერიაში ჩატარებულ საგადასახადო რეფორმას საფუძვლად დაედვა ლათინური jugum-ის (უღელის) ერთეული. jugum (უღელი, იგულისხმება ხარი) იყო ამიტომაც მიწის საზომიც, რომლისდაგვარი ანალოგიით საფუძვლად ედვა ან დაედვა სხვა ხალხების საზომებსაც (გერმ. luger, რუს. Coxa, შემდეგ ქართ. გუთანი), რომაული jugum როგორც მიწის საზომი, იყო 240 რომაული ფუტის სიგრძისა და 120 ფუტის სიგანის მიწა, სულ მაშასადამე 2.520 კვად.

მეტრის მოცულობის. ამავე ზომით უნდა ვიგულისხმოთ ძეგლი აღმ. რომის იმპერიაშიც. აქ იგულისხმება, უნდა ვიფიქროთ, სამუალო ხარისხის მიწა, რადგან მიწის ხარისხის მიხედვით ერთეულის სიდიდეც შეიძლება შეცვლილიყო. ის გარემოება, რომ ჯილღა ჩვენში ცნობილი იყო როგორც გურიასა, ისე აგრეთვე სამცხესა და ქართლის სხვადასხვა ნაწილებში, უნდა გვიჩვენებდეს, რომ ეს ტერმინი შემოვიდა ქართულ ქვეყნებში IV საუკუნეში, მაგრამ 369 წლამდე, სანამდის ზენა-სოფელი (შიდა ქართლი) მცხეთითურთ გადავიდოდა სპარსელების ხელში. ჯილღას შემოსვლა აიხსნება როგორც სახვნელის ტექნიკური გაუმჯობესებით (ბორბლებიანი საზიდის მქონე სახვნელის შემოტანით), ისე აგრეთვე რომის იმპერიის საგადასახადო სისტემის ზეგავლენით. თუმცა ჯერ-ჯერობით სათანადო წერილობითი ცნობა არ არის დადასტურებული, მაგრამ შემდეგდროინდელ ქართლში მიწის საზომის ერთეულის ანალოგიით (XIII საუკუნეში იხმარება სახნავი მიწის საზომად გუთანი) შეიძლება ვიფიქროთ, რომ IV ს. ქართული ქვეყნების წამყვან ადგილებში მიწის საზომის ერთეულად შემოღებულ იქნა ჯილღა (ბერძნ. ძეგლე).

14. მამული.

დაბადების ქართულ ტექსტებში გვარს ეწოდება მამეული, რომელიც უდრის ბერძნულ პატრიას (πατρια). ეს ტერმინი აშკარად მოდის საგვარო წყობილებიდან. მამეულის სახელიდან წარმოიშვა ტერმინი მამული. გურულ კილოში ახლა მამული ნიშნავს ვენახს. ვენახის მეორე ძველი სახელი დაბადების ტექსტების მიხედვით იყო ფუძე. ეს ტერმინი შემდეგ გადაიქცა (ისე როგორც მამულიც) გლეხის სარგებლობაში მყოფ მიწა-წყლის ერთეულის აღმნიშვნელად. დოკუმენტალურად ფუძე ამ უკანასკნელის მნიშვნელობით დადასტურებულია მელქისედეკ კათალიკოსის მიერ XI საუკუნის პირველ მესამედში გაცემულ, ერთ-ერთ უძველეს, ჩვენამდის მოღწეულ ქართულ დოკუმენტში. თავდაპირველად მამეულის სამკვიდრო ადგილი, რომელიც ცალკე კომლთა ერთი თაობიდან მეორე თაობაში გადადიოდა, იყო ვაზიანი ნაკვეთი, როგორც მრავალწლოვანი გამძლეობის ნაზარდის მქონე (თუმცა ვაზი უმეტესად ძველ პერიოდში იყო მაღლარი, ხეებზე გატანილი). მამულის დანარჩენი მიწა-წყალი ასეთს სამკვიდრო საკუთრებას არ შეადგენდა. ქართლური მეტყველების გურიაში გავრცელება მოხდა ისეთ სტადიაზე, როდესაც მეზობელ მხარეში (არგვეთსა და მარ-

გვისის სამხრეთ ნაწილში) მამეულის მიწა-წყლის მეტი ნაწილი სათემო საკუთრებას შეადგენდა (თემში, როგორც ჩანს, რამოდენიმე მამეული შედიოდა) და თვით მამეულის კუთვნილებად მხოლოდ ვაზიანი ადგილი ითვლებოდა. რადგანაც ქართლური მეტყველების გურიაში ფეხის მოკიდება VII საუკუნის ახლო ხანას უნდა მიეწეროს, ამიტომ ამ დროს მამულს ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, რის გამო გურულ კილოში ეს ტერმინი წარმოდგენილია ვენახის გაზრებით. ტერმინი მამული და ფუძე ღებულობს თავის შემდეგდროინდელ მნიშვნელობას, ამის მიხედვით, დაახლოებით VII საუკუნიდან, ეი. იმ დროიდან, როდესაც ძლიერდება წვრილ მემკვიდრე მიწის მოსარგებლე თუ მფლობელ მეურნეთა კონტინგენტი.

15. მიწათმოქმედების კულტურები.

მიწათმოქმედებაში მთავარი ადგილი ეკავა აღმ. საქართველოში ხორბალს, ქერს, ფეტვეულობას, დასავლეთ საქართველოში კი ფეტვეულობას, მოჰყავდათ დიდად შრომატევადი ღომიც, რომლის კულტურა, XIX საუკუნის შუა ხანის ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, მოდიოდა XII საუკუნიდან ჩვ. ერამდის.

პური საერთოდ ძვირი იყო და ამიტომ პურთან ერთად ჭამდნენ გულის სარეველისგან (სიონჯისაგან) და ძირაკისაგან (კულიავისაგან) გაკეთებულ ნამატს. ეს ჩანს შემდეგიდან: ის. (28, 24) ებრაულ ტექსტში მოცემულია დარიგება: "არაა მიღებული (დათესილი) სიონჯის გაცხვა კბილებიანი ფოცხით და ძირიკზე საცხვავის ბორბლების გავლება, არამედ ჯოხით რეკავენ (წმენდენ) მათ. ხორბალს ცეხვავენ მარცვალთა გაუტეხავად, საცხვავის ბორბლებს ცხენებით ატარებენ მასზე". ყველაფერ ამის მაგივრად ქართულ ტექსტში (ათონ.) ნათქვამია: "სიფიცხლით გამოწმიდნების გულის სარკველი, ძირაკი არგნითა (ჯოხით) და პურსა თანა იჭამოს". უკანასკნელი გამოთქმა არის მთარგმნელის მიერ დამატებული და, ცხადია, ადგილობრივი ყოფის ვითარებას გამოხატავს.

როგორც ჩანს, ისაიას წიგნში მოხსენიებული პურის გაცხვის რთული წესი (ცხენებით, ბორბლებიანი საცხვავით) ქართველებში არ ყოფილა მიღებული და ამიტომ მთარგმნელი მარტო არგნით (ჯოხით) გაცხვის წესს იხსენიებს.

აგათიას აღწერით (II, 21) რიონის სამხრეთ ნაპირას, ტოლებში მცხოვრები ლაზების სანოვაგეს შეადგენდა ἐλυμοσ — ყალი (საბას ლე-

ქსიკონით ჯალი არის მოჯალული მარცვალი) და სხვა რაღაც (მაშასადამე, წერილი) საჭმელი".

პროკოპი კესარიელის სიტყვით (BP, I, 2; BG, VIII, 13) ლაზიკაში, სკანდას და შორაპანის ციხეების მხარეში არ მოდიოდა არც პური, არც ღვინო და არც სხვა რამე კარგი. სხვა ადგილიდან რისმე შემოზიდვა ვიწრობების გამო შეიძლება მხოლოდ თუ ადამიანები თვითონ მიიტანდნენ (ტვირთით). მაინც იქ რამოდენადმე მოდიოდა "ელჯ მოს". ამ ცნობიდან, ცხადია, რომ სკანდას და შორაპანის მხარეში VI საუკუნეში მოდიოდა უმთავრესად ელჯმოს (ხალი), ხოლო რადგან ელჯმოს იყო ნესტიანი და ჭაობიანი ადგილების ქერისდაგვარი მარცვლელულობა, ამიტომ ხალის მოსავალი სკანდის და შორაპანის რაიონში მაინც ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე მდ. რიონის და ცხენისწყლის ქვედა აუზებში. ამ მიზეზით სკანდის და შორაპნის მხარე ამ დროს მცირედ უნდა ყოფილიყო დასახლებული.

16. ეგრისის საერთო ეკონომიური ვითარება.

ამდროინდელი ეგრისი შედარებით კულტურული ქვეყნის შთაბეჭდილებას სტოვებდა კერძოდ, ბიზანტიელებზე. "ლაზები, წერს აგათია (VI ს), არიან ძლიერ მრავალრიცხოვანი და მეომარი ხალხი. ისინი ბატონობენ ბევრ სხვა ტომზე. ლაზები ამაყობენ კოლხების ძველი სახელწოდებით და ზომაზე მეტად აზვიადებენ თავის თავს, შესაძლებელია, არც მთლად უსაფუძვლოდ. იმ ხალხებს შორის, რომელნიც უცხო ბატონობის ქვეშ იმყოფებიან, მე არ მინახავს არც ერთი, რომელიც იყოს ასე სახელგანთქმული და ასეთი ბედნიერი სიმდიდრის სიჭარბით, ქვეშევრდომთა სიმრავლით, მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით, უსაჭიროესი სურსათის სიუხვით, კეთილზრდილობით და პირდაპირობით. კოლხები მისდევენ საზღვაო მგზავრობას, როდესაც ეს მათთვის შესაძლებელია, და პოულობენ ვაჭრობისგან სარგებლობას. ბოლოს, მათ სრულებით არ შეიძლება ბარბაროსები ეწოდოთ და არც ისე ცხოვრობენ ისინი, არამედ რომეებთან ურთიერთობის მეოხებით მათ მიაღწიეს მოქალაქეობრივ ცხოვრებას და კანონიერ წესრიგს" (BP, III, 5).

ეგრისის აღმოსავლეთი ნაწილი იწოდებოდა არგვეთად. ამჟამად მხარის ასეთი სახელი არაა, მაგრამ, მაგ., ოკრიბელნი ჩხარის მცხოვრებთ მარგველებად იხსენიებენ. ფარნავაზის ცხოვრებაში მარგვისი ეწოდება მხარეს რიონის აღმოსავლეთით ვიდრე ლიხამდის და რიონის

სამხრეთით (შემდეგდროინდელ გურიას). სახელი მარგვისი წარმომდგარია არგვეთიდან.

არგვეთის აღმოსავლეთი ნაწილი შორაპნიდან და კაცხიდან ამ ხანაში დაუსახლებელი იყო. პროკოპი კესარიელი (BP, VIII, 13) წერს, რომ "ლაზებს იბერიის საზღვრებთან აქვთ ორი ციხე სკანდა და სარაპანის", რომელნიც, მისი სიტყვით, მდებარეობდნენ მეტად ძნელად მისასვლელ ადგილებში. ეს ციხეები ლაზებს ძველად აუგიათ დიდის გაჭირვებით, რადგანაც იქ საზრდო არაფერი მოდისო. შემდეგში, როგორც ჩანს, ამ მთიან ადგილებშიც მოსახლეობა გაჩნდა, მაგრამ იმერეთის დაცემის ხანაში ეს მხარე თითქმის გაუკაცრიელდა.

17. სოფელი, დაბანი, აგარა, აგარაკი, ქარდაგი.

პირველ საუკუნეებში სახნავ ველს ეწოდებოდა სოფელი, აქედან, მაშასადამე, მსოფლიონი იყო მიწათმოქმედი. I მეფ., 22, 7 ებრაული ტექსტის "მინდვრები და ვენახები" გადათარგმნილია "სოფელნი და ვენაჯნი". V საუკუნის პირველ ნახევარში უკვე ბერძნულიდან ეს ადგილი გადმოითარგმნა შემდეგნაირად: "დაბნები და აგარაკები, გინა ზვრები ვენაჯთა". ხოლო I ნეშტ., 27, 25-27 "დაბანი" არის იგივე "ყანა". გამოდის, რომ სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ხანაში ხმარებული ტერმინები სოფელი, დაბანი, აგარაკი, ყანა ერთი და იმავე მნიშვნელობისა იყვნენ.

აგარაკის სახელით პირველ საუკუნეებში, დაბადების ქართული თარგმანის მიხედვით, იწოდებოდა საყანე მიწა, ყანა, აგარაკი არის კნინობითი ფორმა სიტყვისაგან აგარა, რომელიც ამიტომ აღნიშნავდა უფრო დიდ საყანე მიწას. ეს ტერმინი სემიტური წარმოშობისაა (მაგ., ასურულად ugaru — ყანა, მაგრამ ქართულში (და სომხურშიც) შემოსულია ბერძნული ფორმით (ἀγρός — მინდორი და სოფელიც). ზოგი აგარა, აგარაკი ქართულ ქვეყნებში (და სომხეთშიც) იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს ტერმინი გადაიქცა საკუთარ სახელად. აგარას და აგარაკს ესაჭიროებოდა მუშა ხელი, რომელსაც მეტწილად წარმოადგენდნენ მფლობელის მონები. აგარებ-აგარაკებში მომუშავე მონების აღსანიშნავად სპეციალური ტერმინი ქართულად არაა შემონახული, მაგრამ მეგრულად მარგალი კოჩი განსხვავდებოდა ოდიშური კოჩისაგან. ოდიშური კაცი (კოჩი) იყო ზოგადი წოდებულება ყველა ოდიშელთათვის, მარგალი კი ნიშნავდა დაბალი მდგომარეობის კაცს, გლეხს.

შესაძლებელია, რომ ტერმინი მარგალი მეტათეზისით წარმოებული იყოს სიტყვისაგან აგარა (მ-აგრ-ალი = მარგალი).

კარგად არის აგარაზე მომუშავე მონის აღმნიშვნელი ტერმინი შემონახული აფხაზურში, სადაც აგრუა ნიშნავს მონას (ეს სიტყვა აფხაზურში ათვისებული უნდა იყოს მეგრულიდან).

დაბანის და აგარას შესატყვისი რომის სახელმწიფოში იყო ager suburbanus — ქალაქის ახლოს მდებარე სახნავი მიწა, რომელსაც ამუშავებდნენ მონები.

პეტრე ქართველის (ქართლელის) ასურული ცხოვრების ავტორი იხსენიებს ერთ წარჩინებულ ქართველს, რომელიც ქალაქში ცხოვრობდა და ბევრ უსამართლობას ჩადიოდა. მას ჰქონდა ბლომად ყანები, რომლის მოსავალი ერთხელ ზეციდან ჩამოვარდნილმა ცეცხლმა სულ მოსპო. ცხოვრების ავტორი ამას ხსნის პეტრე ქართველის აღმზრდელის ცუცოს ლოცვით აღნიშნულ უსამართლო წარჩინებულის წინააღმდეგ. ცნობა საყურადღებოა იმით, რომ ამტკიცებს IV-V საუკუნეთა მიჯნის ახლოს ქართველ წარჩინებულთა შორის დიდ მეურნეობათა არსებობის ფაქტს.

აგარას შესატყვისი სპარსეთში (და სომხეთშიც) იყო დასტაკარ — დასტაკერტ. სადაც ტექსტებში ეს სიტყვა გამოხატულია იდეოგრამით, ცხადი ხდება, რომ დასტ აქ ნიშნავს ხელს. დასტაკერტ, მაშასადამე, ნიშნავს ხელით (იგულისხმება მონების ხელით) დამუშავებულს. ორ და სამ ენიან წარწერაში ფაპლაური დასტაკარტ უდრის ბერძნულ γεώργιον — სახნავი, ყანა და კიდევ κοῖησοδ-ს — მფლობელობა, ქონება.

იურიდიული კოდექსი მატიკან-ი ჰაზარ დატასტან (სასამართლო ათას განჩინებათა წიგნი), შედგენილი "დიდი ხოსროების" ხანაში (უფრო IV-VI სს.) ცხადყოფს, რომ დასტაკარტი (დასტკარტი, დასტაკერტი) იყო სოფლისგან ცალკე გამოყოფილი მამული, რომელსაც მონები ამუშავებდნენ. იყვნენ დასტკარტზე მიმაგრებული მონებიც. შემდეგ დასტკარტ ეწოდებოდა წარჩინებულ პირთა და მეფეების გამაგრებულ სასახლე-რეზიდენციას. ასეთ დასტკარტთან იყო მონებით დასახლებული მამულიც.

რადგანაც აგარა უფრო მეტად წარმოადგენდა ცოტად თუ ბევრად მონათმფლობელურ მეურნეობას, ამიტომ ბუნებრივია, რომ იქვე უნდა ყოფილიყო მონათმფლობელის — საეროს თუ სასულიეროს რეზიდენცია. მართლაც, მდ. ქციის ქვედა ნაწილში მის სამხრეთ ნაპირას

მდებარე ცურტავის აგარაკში შუშანიკის ინიციატივით დასვეს ეპისკოპოსი. ამ დროს, ან მალე ამის შემდეგ, (საფიქრებელია V საუკუნეშივე) აქ აგარა-აგარაკთა რაოდენობა გამრავლდა, რის გამო თვით ამ ფართობს მიეცა სახელი მრავლობითი ფორმით — აგარანი. როგორც ჩანს, ხსენებულ მხარეში ჩინებული პირობები ყოფილა მსხვილი სამეურნეო მფლობელობის მოსაწყობად. ამიტომაც იმავე აგარას გააჩნდა დარბაზიც — მსხვილი საერო მფლობელის რეზიდენცია. XII ს, სტეფანოს ორბელიანის დამოწმებით ამ აგარაში იყო ადგილის სახელი დარბაზიც.

ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნება შიდა ქართლში, სადაც მტკვრის ნაპირას ეხლაც არის სოფელი აგარა. იქვეა სოფელი ნადარბაზი და კიდევ წრომი — საშუალო საუკუნეების (VII საუკუნიდან) მეტად მნიშვნელოვანი საკულტო ძეგლის ნაშთით (შესაძლებელია, საკულტო პუნქტი აქ წინაქრისტიანულ ხანაშიაც იყო). ცხადია, რომ ამ ადგილას ყოფილა დიდი მონათმფლობელური მეურნეობა — იქ იყო აგარა, დარბაზი (მფლობელის რეზიდენციაც) და შესაძლოა მნიშვნელოვანი წინაქრისტიანული საკულტო ცენტრიც.

ასეთივე მდგომარეობა დასტურდება სხვაგანაც. ქვემო იმერეთში, გელათის მონასტერზე გადმომყურე მთას ეწოდება დოხორეს (ანუ მეგრულად სასახლის) მთა. ცხადია, აქ ყოფილა მსხვილი მფლობელის რეზიდენცია. შემდეგდროინდელი გელათის მონასტრის ადგილას წინა ქრისტიანულ ხანაშიც იქნებოდა მნიშვნელოვანი საკულტო ცენტრი. რაჭაში პირველსარისხოვან საკულტო ცენტრ ნიკორწმინდასთან, რომელიც სახელით ნიკორი უკავშირდება უძველეს ხანას, იქვე გვერდით არის სოფელი აგარა და სოფელი სალხინო, როგორც სახელიდან ჩანს, ძველად საერო მფლობელის რეზიდენცია.

აგარასაგან განსხვავდება მცირე აგარა, ეგრეთ წოდებული აგარაკი. ყველაფერი ეს არის პირველი საუკუნეების და მისი ადრე დროინდელი გადმონაშთი, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ტერმინების მნიშვნელობა შეიცვალა.

შემდეგში, V საუკუნის პირველ ნახევარში, ცალკეულ სახლს ერქვა იგივე აგარაკი (ἐποικίοσ, 1 ნეშ., 27, 25-31,) ეი. ის, რასაც სტრაბონის დროს და უფრო ადრე წარმოადგენდა დაბანი (იგივე ἐποικίοσ). დაბადების სომხურ ტექსტში ამ აგარაკს შეესატყვისება ททเนเշ (სახლი). მაგრამ აგარაკი ნიშნავდა ყანასაც (2 მეფ., 14, 30, II ვერს.). უფრო დაზუსტებული გამოთქმა ყანის მნიშვნელობით "ნაწილი აგარაკი"

(იქვე I ვერსია), რაც ამტკიცებს იმას, რომ აგარაკში შეიძლებოდა ყოფილიყო რამდენიმე ყანა.

"მოქც. ქართლისაჲს" მეორე ნაწილში (VII ს. შუა ხანა) მოხსენებულია, რომ ვარაზ ბაკურის დროს ააშენეს აზნაურთა ეკლესია მცხეთას და მიათვალეს "დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა" (გვ. 92). სოფელი ამ დროს ნიშნავდა მხარეს და (მაგ., მათ., 15, 21) ადგილსაც, ხოლო ქარდაგი უნდა იყოს იგივე დასტაკერტი.

18. საქალაქო ცხოვრების მიმართება.

VI საუკუნიდან ჩვენ ერამდის (აქემენიანთა ხანაში) ტერმინი ქართი, რაც სიმაგრეს და შემოზღუდულ ადგილს ნიშნავდა შესცვალა სპარსულიდან (სომხეთის გზით) ათვისებულმა ტერმინმა ქალაქი. კალა ძველ სპარსულად ნიშნავდა სიმაგრეს (ეს სიტყვა შემდეგ ათვისებულ იქნა არაბების მიერ), გა სპარსულადვე ნიშნავს ადგილს, აქედან სპარსულიდან (ქალა-გა) გადმოსული ტერმინი ქალაქი თავდაპირველად ნიშნავდა სიმაგრის მქონე ადგილს. მოქც. ქართლისაჲს ქრონიკის თავნაწილში და მატიანეში შემონახული ცნობების მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის ხანისთვის (და როგორც ჩანს, ამაზე ადრეც), კერძოდ შიდა ქართლში (ზენა-სოფელში), უკვე არსებობდა ქალაქები სარკინე, კასპი, უფლისციხე, ურბნისი, ოძრახე (ახლანდელი გომის ახლოს). ეს პუნქტები მდებარეობდნენ ერთიმეორესთან საშუალოდ 25 კმ მანძილზე, ეი. იმ მანძილზე, რომელიც დაახლოებით გათვალისწინებული იყო ძველს (აქემენიანთა ხანის) სპარსეთში დიდ სამეფო საქარავნო გზებზე თითო დღის სავალზე ქარავნების გასაჩერებელ პუნქტებს შორის (ჰეროდოტეს ცნობა). ქართლის ქალაქების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას შეადგენდა ცალკე მხარეებს შორის საქარავნო მიმოსვლის გაადვილება და მისი უშიშროების უზრუნველყოფა. ამიტომაც ქალაქებში ცხოვრობდნენ ამ სიმაგრეთა პატრონები ან გამგებლები, რომელნიც თავიანთი გარემოცვით (ხელქვეითებით და მცველებით) გაბატონებულ სამხედრო ფენას შეადგენდნენ. აქედან ძველ ქართულში (დაბადების ტექსტების მიხედვით) მოღვაწე ნიშნავდა ზედამხედველს და მეომარსაც (ღვაწლი — ომს, ბრძოლას), ხოლო ქრისტიანულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში გადმონარჩომის სახით ტერმინები მოქალაქობა და მოღვაწეობა სინონიმებს წარმოადგენს. ამის მიხედვით მოღვაწე (მებრძოლი) თავდაპირველად იყო ამავე დროს მოქალაქეც.

ამგვარად, უფრო მნიშვნელოვანი ქალაქების არსებობა ძველ ქართლში საქარავნო-სავაჭრო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ბუნებრივია, რომ ქალაქები, რომელნიც ყოველ 25 კმ მანძილზე მდებარეობდნენ, მცირე მოცულობისა იყვნენ, მაგრამ მათში ბატონურ სამხედრო ფენების გარდა მოთავსებული იყვნენ ხელოსნები და ვაჭრებიც. თავდაპირველად აღებ-მიცემობის ფუნქციას ქალაქებში ასრულებდნენ თვით გაბატონებული მხედრული ელემენტები. დაახლოებით ჩვენი ერის დასაწყისიდან ტერმინი ვაჭარი ქართულში გადაიქცა აღებ-მიცემობის მაწარმოებელ ელემენტის აღმნიშვნელად.[2] ამგვარად, ქალაქებს, როგორც გამაგრებულ პუნქტებს ადგილობრივი მხარის ეკონომიურ ცხოვრებაში თანდათან ეძლეოდა მეტი მნიშვნელობა. დაბადების ქართულ თარგმანში ვაჭარი მოგზაურს ნიშნავს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სპარსეთში გაქცეულნი და უკმაყოფილონი ჩვეულებრივ თავშესაფარს პოულობდნენ ქალაქებში. საგულისხმებელია, რომ ასევე იყო ქართულ ქვეყნებშიც.

ქალაქების ეკონომიური მნიშვნელობის ზრდასთან რამდენადმე დაკავშირებული იყო ებრაელების მოსვლა ქართლში ქარრამ და ბრატმან მეფეების დროს (II ს. ჩვ. ერამდის): "ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს". ნინოს მოსვლის დროსაც მცხეთაში ჰურიანი წარმოადგენდნენ თვალსაჩინო ძალას. მათ ჰქონდათ თავისი ბაგინი (ძველი სპარსული სიტყვაა სალოცავის მნიშვნელობით). ნინოს ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ ებრაელთა მეფის ჰეროდეს დროს მცხეთელ ჰურიათ მოუვიდათ ამბავი — "იერუსალიმი სპარსთა დაპყრესო, რომლისათვის იქნა გლოვა და წუხილი ჰურიათა ზედა ქართველთა — მცხეთელთა მკვიდრთა, ბოდელთა მღვდელთა, კოდისწყაროელთა მწიგნობართა და სობის კა-

---

2 . სპარსეთის მეფის შაპუჰ I-ის (240-270 წწ.) დროინდელ წარწერაში (აჯი-აბადს) მოხსენიებულნი არიან ნადირობის დროს მეფის თანმხლებ არამეულად šaθradaran va barbitan va raban va azatan და იქვე ფალაურად xšaθradaran u vaspuθrakan u vacatkan u azatan. აქ მოხსენებული xšaθradaran არის იგივე სომხ. [illegible] — ქვეყნის მმართველი, ე. ი. ცალკე სატრაპიების მმართველნი არიან ქართული გამოთქმით სეფე-წულნი, ამ სატრაპების გვარეულობათა წევრნი. Raban (ბატონები) და vacarkan დიდ-დიდნი, ეი. იგივე სომხური ნახარარები და ქართული წარჩინებულნი. Azatan კი არიან azatni, ქართული აზნაურნი, ე. ი. წარჩინებულთა გვარის უმცროსი წევრები.

ტერმინი ვაჭარი ქართულში და სომხურში წარმომდგარია ფალაურ vacarkისაგან (დიდი, წარჩინებული). ტერმინი ათვისებული არის სომხურში და ქართულში იმ დროს, როდესაც ცალკე ქვეყნებს შორის დიდი ვაჭრობა წარმოებდა ქარავნებით სოციალურად იმავე დიდ-დიდთა ანუ წარჩინებულთა მეთაურობით.

ნანელთა თარგმანთა". ეს ცნობა რეალურად უნდა გაგებულ იქნას უფრო გვიანი (IV-V ს) ხანისათვის (და არა პირველ საუკუნისათვის), როდესაც ამგვარად მცხეთელ ჰურიებში ყოფილან მწიგნობარნი და თარგმანნიც.

ებრაელები აღნიშნულია კიდევ ქალაქ ურბნისში. მცხეთისკენ მიმავალი ნინო ურბნისში ჩერდება ებრაელების უბანში. ზანავში კიდევ (არაგვზე) იყო აგრეთვე "უბანი ჰურიათა". უძველესი ხანის შესახებ ამ არსებული ცნობების მიხედვით ცხადია, რომ პირველ საუკუნიდან ებრაელების მოსვლას ქართლში ჰქონდა საკმაოდ ფართო ხასიათი. ეს იყო ერთ-ერთი გამოხატულება ჯერ კიდევ VI საუკუნიდან ჩვ. ერამდის დაწყებული ებრაელების დიასპორასი (ბერძნული სიტყვაა – გაბნევა) ანუ ებრაელების ნელ-ნელა გაბნევისა პალესტინიდან. ეს პროცესი ებრაელებში დაიწყო ბაბილონის ტყვეობის დამთავრების შემდეგ 538 წ. ჩვ. ერამდის, როდესაც სპარსეთის მეფე კიროსმა ნება დართო ტყვედ წაყვანილ ებრაელობას დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში. ებრაელობა დაბრუნდა, მაგრამ ნაწილი კი დაიფანტა. ებრაელობის გაბნევის პროცესი გამოწვეული იყო ეკონომიური მიზეზებით, სახელდობრ, სავაჭრო გზების შეცვლის პროცესით, რომელიც მაშინ იწყებოდა და პალესტინას უკარგავდა თავის წინანდელ მნიშვნელობას ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობაში. შემდეგ საუკუნეებში ებრაელობა განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო იმ ქალაქებში, სადაც ვაჭრობა დუღდა და სადაც თავს იყრიდა აუარებელი სიმდიდრე. სახელდობრ, ალექსანდრიასა და რომში, რომის პირველი იმპერატორების დროს. ეგვიპტეში 8 მილიონ მცხოვრებზე მოდიოდა 1 მილიონი ებრაელი. ალექსანდრიაში 5 უბანი იყო, რომელთაგან ორი ებრაელებით იყო დასახლებული. დიდი ძალა ჰქონდათ ებრაელებს აგრეთვე რომშიც. ქართლშიც ებრაელების მოსვლა II საუკუნეში ჩვ. ერამდის მაჩვენებელია იმის, რომ ამ დროს მტკვრის ხაზით მიმავალ საქარავნო გზას შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მართლაც თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა. თავის მხრივ, ებრაელების, როგორც სავაჭრო ელემენტის, ქართლის ქალაქებში დამკვიდრებას მნიშვნელობა ჰქონდა თვით ამ ქალაქების ეკონომიურად წინსვლისათვის და მალე ჩვენ ვხედავთ ქართლში საქალაქო ელემენტებს იმდენად მოღონიერებულად, რომ ისინი გავლენას ახდენენ მთელი ამ მხარის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. თავისი მნიშვნელობა კულტურულ ღირებულებათა გაცვლისათვის ჰქონდა იმას, რომ ქალაქები, როგორც დიდი სავაჭრო გზების საჭიროებებთან დაკავშირე-

ბულნი, როგორც ისეთი პუნქტები, სადაც ჩერდებოდნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ქარავნები, საკმაოდ ჭრელი ხასიათის მქონენი იყვნენ — იქ ერთმანეთს ხვდებოდნენ სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნებიდან ჩამოსულნი.

19. ქალაქები IV-V საუკუნეებში.

IV საუკუნიდან საქალაქო ცხოვრება ქართულ ქვეყნებში უკვე საკმაოდ განვითარებული იყო. ბერძენი თეოდორიტეს 444 წლის ახლო ცნობიდან ჩანს, რომ იბერიელი ხელოსნები, ცნობილნი იყვნენ გარეშე ქვეყნებში, და მათ შორის, საბერძნეთშიც, როგორც: მეტყავეები, სპილენძის ჭურჭლის მკეთებელნი, ხის ნაწარმის მკეთებელნი (დურგლები), მხატვრები (იგულისხმება მატერიების (ფართლეულის) მხატვარი, გამფორმებელნი და მღებავები), გემთმშენებელნი, გემთწამყვანნი. ამ ხელოსნების ნაწილი ქალაქებში არიან საგულისხმებელნი. ამ მიზეზით ქალაქები ახლა უკვე წარმოადგენდნენ წვრილ სახელოსნო წარმოებისა და ვაჭრობის ადგილებს. საყურადღებოა, რომ მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკა ერეკლე კეისრის დროს (634 წლის ახლოს) ცეცხლთაყვანისმცემელთ გულისხმობს ქართლის სამ ქალაქში — თბილისსა, მცხეთასა და უჯარმაში.

ქალაქების ხასიათის შეცვლის საფუძველი საერთოდ იყო საწარმოო ძალთა განვითარება და ამით გამოწვეული ცვლილებები საწარმოო ურთიერთობაში. ამისი მაჩვენებელია აგრეთვე შემდეგი:

საერთოდ მატერიებისათვის შუა საუკუნეების ლიტერატურულ ქართულში არსებობდა სიტყვა ლარი, მაგრამ ხალხში ეხლაც იხმარება ამისთვის ტერმინი ფართალი. ეს სიტყვა წარმოებულია ძველი ქართული სიტყვიდან ფრდილი — ნაყიდი. ამავე ძირისაა ძველი ქართულივე მოფარდული — გამყიდველი. ტერმინ ფართალს შეეძლო სელის, ბამბის მატერიების მნიშვნელობა მიეღო მხოლოდ იმ პირობებში, თუ მთავარ საყიდელ ნაწარმს ხსენებული დარგის მატერიები შეადგენდნენ. არაბების ხანაში შემოდის მეფართლისათვის და სხვა წვრილმანის დამამზადებელ-გამყიდველისათვის არაბული ტერმინი ბაზაზი (სომხურში დადასტურებულია XIII საუკუნეში, ქართულში — ამაზე ადრეც). ხოლო ამაზე ადრე დაახლოებით II-III საუკუნეში, როგორც ნათქვამი იყო, შემოდის ახალი მნიშვნელობით ტერმინი ვაჭარი (დაბადების პირველი თარგმანისას ეს სიტყვა ნიშნავს მოგზაურ-მოსიარულეს, სახარების ტექსტში კი ამ ძირის სიტყვა იხმარება აღებ-მიცემობის საქმიანობასთან დაკავშირებით). ეს

გარემოება ამტკიცებს, რომ პირველ საუკუნეებში და შესაძლებელია ამაზე ადრეც ჩვენში, წამყვან ადგილებში, ვითარდებოდა მატერიების (ფართლეულის) დამამზადებელი წარმოება, რომელიც სჯობდა შინანაწარმს. ის იყო აღებ-მიცემობის მთავარი საგანი და ამიტომ მას სახელად დაერქვა ფართალი. ეს რომ მომხდარიყო ტერმინის — ვაჭრობის აღებ-მიცემის მნიშვნელობით განმტკიცების შემდეგ, მაშინ ფართალის მაგივრად გვექნებოდა სიტყვა ნავაჭრი.

ქალაქებში განსაკუთრებით მთავარ საკრპო დღესასწაულების დროს იმართებოდა დიდი ვაჭრობა. მცხეთაში, მაგალითად, კერპ არმაზის დღესასწაულზე იკრიბებოდა სავაჭროდ დიდძალი ხალხი როგორც სოფლებიდან, ისე სხვა წვრილი ქალაქებიდანაც (ნინოს ვრცელი ცხოვრების ცნობა). რაც შეეხება ქალაქის მოსახლეობის მეტ ნაწილს, მას შემდეგ, რაც ქალაქები მოექცნენ სამეფო სახლის მფლობელობაში, მოქალაქეები თანდათან გადაიქცნენ მეფის თავისებურ მონებად. ასე, მაგ., IV საუკუნეში, სახარების ქართული თარგმანის მიხედვით, სიტყვა "მოქალაქე" წინანდელი მეომრის მაგივრად უკვე ნიშნავდა მონას. მაგრამ მოქალაქის მდგომარეობა ამის შემდეგაც სჯობდა ქალაქის მოსახლეობის ყველაზე უფრო უმწეო ნაწილის, სახელდობრ, გლახაკების მდგომარეობას, რადგანაც გლახაკი ნიშნავდა ისეთ პირს, რომელსაც არ ჰქონდა არც არავითარი სახსარი და არც რაიმე საქმეზე იდგა.

ქალაქის სათავეში (ბიბლიის ქართულ II ვერსიის ტერმინოლოგიით) იდგა ქალაქ-პეტი, ანუ ქალაქის უფროსი. "ქალაქ-პეტთან" ერთად ქალაქის საქმეებს აგვარებდნენ ე.წ. მდიდრები (ეი. დიდი გაეულენის კაცები), რადგანაც გავლენიანი კაცი იმავე დროს ნივთიერი შეძლების მქონეც იყო, ამიტომ სიტყვა "მდიდარი" უკვე იხმარებოდა ნივთიერი დოვლათის მქონე პირის აღსანიშნავადაც.

ახალი ტიპის საქალაქო ცხოვრება რომ თავდაპირველად სამხრეთ საქართველოში იყო განვითარებული, ამას ამტკიცებს ამ ხანაში მოედნის აღსანიშნავად სომხური ტერმინის ურაკპარაკის (სომხ. პრაკპარაკ) შემოსვლა. სახარების თარგმანის I ვერსიაში და აგრეთვე V საუკუნის ნაწარმოებში თუ თარგმანში "წამება ფილექტიმინისი" ჩვეულებრივად ეს ტერმინი იხმარება.

მცხეთის ზრდის მაჩვენებელია ის, რომ არჩილ მეფემ ქალაქის ე.წ. არაგვის კართან ააშენა "კოშკნი მტკიცედ საბრძოლნი".

IV საუკუნის დასაწყისში (ნინოს დროს) მცხეთაში მოგვეთის კარსა და ხიდს შორის ადგილი ცარიელი იყო, შემდეგ კი ქალაქის

გაზრდის გამო ეს ადგილი დასახლდა. რადგანაც VI საუკუნიდან მცხეთა იწყებს შემცირებას, ამიტომ ქ. მცხეთის ეს ზრდა უნდა მიეწეროს IV საუკუნის მეორე ნახევარს და V საუკუნეს.

IV საუკუნის დასაწყისს (ნინოს დროს) ქალაქი არმაზი უკვე არ არსებობდა. ის დაცარიელდა, საფიქრებელია, II საუკუნის მეორე ნახევრის სიგრძეზე (პტოლემეესის შემდეგ). ნინოს დროს ეს ფაქტი კარგა ხნის მომხდარი იყო. მეფე ბაკურ თრდატის ძე (378-384 წწ ახლო) "განვიდა მცხეთის იმიერ და განაახლა არმაზნი სპარსთა შიშისათვის". ეს განახლებული არმაზი არსებობდა ვახტანგ გორგასალის დროსაც. მისი შესუსტება იწყება VI საუკუნიდან. ხოლო ნინოს ვრცელი ცხოვრების დაწერის დროს (X საუკუნე) ის უკვე თითქოს აღარ არსებობს.

ქალაქთა მცხოვრებთ ჰქონდათ პრივილეგიები. უპირველეს ყოვლისა ისინი, ასე თუ ისე, თავისუფალნი იყვნენ.

ქალაქის მცხოვრებთა თავისუფლების შესახებ თავისებური ცნობა აქვს დაცული მოსე ხორენელს (III, 27). სომხეთის მეფემ არშაკ II (246-309 წწ.) დააარსა თავშესაფარი (ქალაქი) ბოროტმოქმედ დამნაშავეთათვის სახელით არშაკავან და გამოაცხადა, რომ ვინც იქ დასახლდება არსებულ კანონს არ დაემორჩილებაო. არშაკავანი გაიქცა ნახარარებისაგან გაქცეული მსახურებით და სხვა პირებით, მოსე ხორენელის მიხედვით ბოროტმოქმედი პირებით. მაგრამ ბოროტმოქმედ პირთა სახელით აქ იგულისხმებიან მფლობელთაგან გაქცეულნი და მათ დამოკიდებულებაში და მონობაშიც მყოფნი ელემენტები. ნახარარები ჩიოდნენ ამის შესახებ ჯერ თვით არშაკთან და შემდეგ მათ მიმართეს სპარსეთის მეფე შაპუჰსაც (შაპურს), რომლის განკარგულებით არშაკ მეფე გააგდეს სომხეთიდან. ამის შემდეგ სომეხმა ნახარარებმა შური იძიეს ხსენებულ პუნქტში (ქალაქში) გადასულ პირებზე — ისინი ამოსწყვიტეს მთლიანად ძუძუმწოვარა ბავშვების გარდა, თვით არშაკავანი კი დაანგრიეს.

"შაჰნამეში" მოთხრობილია ძველი წყაროდან აღებული ასეთი ამბავი: შაჰმა ბაჰრამ გურმა (ვარაჰრან V, 420-438 წწ.) ნადირობის შემდეგ განვლო ერთი სოფელი, რომლის მცხოვრებნი მას არ მიესალმნენ, თუმცა საყურებლად გზაზე გამოსულიყვნენ. შაჰი გაბრაზდა და მან თანმხლებ მობედს უთხრა, რომ სასურველია ეს სოფელი დაცარიელდესო. მაშინ მობედმა გამოუცხადა სოფლის მცხოვრებთ, რომ შაჰი ამ სოფელს აცხადებს ქალაქად, ყველა უნდა იწოდებოდეს პატრონებად და ბატონებად (ქედხუდებად). ბატონებად იქნებიან აგრეთვე ქალები და

ბავშვებიც, ყველა თანასწორია და სოფლის ბატონია. მცხოვრებთ ყინინით გააცხადეს თავისი სიხარული, რომ ყველა ბატონად გახდა, რომ მამაკაცთ და ქალებს თანასწორი უფლებები აქვთ და რომ მოსამსახურენი და დაქირავებულნი თავიანთ ბატონებს გაუთანასწორდნენო. ამის შემდეგ ახალგაზრდებს უკვე აღარაფრის ეშინოდათ. მათ დახოცეს წინანდელი ბატონები. მთელი სოფელი მოიცვა არეულობამ და ძარცვა-გლეჯამ, რის შედეგად მდიდარი სოფელი გაღატაკდა და დაცარიელდა. ერთი წლის შემდეგ მობედი კვლავ მივიდა ამ ადგილას. მან მოძებნა ერთი ადგილობრივი მოხუცი, რომელსაც მიანდო სოფლის მმართველობა და დაჰპირდა მას დახმარებას ხაზინიდან. ამის შემდეგ გაქცეული მცხოვრებნი დაბრუნდნენ თავიანთ სოფელში, რომელიც მალე წინანდებურად ფეხზე დადგა.[3]

მოთხრობა საინტერესოა იმ მხრივ, რომ ცხადჰყოფს, თუ როგორი პრივილეგიები ჰქონდა ქალაქის მცხოვრებთ.

ხსენებული ცნობებიდან ჩანს, რომ ქალაქს ჰქონდა უპირატესობანი. ამის მიხედვით ქართლშიც ქალაქი უშუალოდ მეფის დამოკიდებულებაში იყო და სხვა მფლობელებს იქ თავისი მონა-მორჩილი არა ჰყავდათ. ახალი აღთქმის ქართულ ტექსტში მოქალაქე იგულისხმება მონადაც, მაგრამ ცხადია, რომ მოქალაქე, როგორც უშუალოდ მეფის დამოკიდებულებაში მყოფი პირი, შეიძლება წოდებულიყო მეფის მონადაც, როგორც მისი ქვეშევრდომი. (ტერმინები მონა, მონობა აღნიშნავდა საერთოდ დამოკიდებულ მდგომარეობასაც).

ვახტანგ გორგასალის ხანისთვის, ჯუანშერის მიხედვით, კერძოდ შიდა ქართლში, საგულისხმებელნი არიან შემდეგი ქალაქები: სამეფო ქალაქი მცხეთა; ქალაქ მცხეთას ჰქონდა ციხენი (მრავლობითი რიცხვით). იხსენიება კიდევ ქალაქი კასპისა, რომლის სათავეში დგას სპასალარი. შიდა ქართლის გარეთ კანბეჩოვანში იყო ამ მხარის ქალაქი, "რომელ არს ხორნაბუჯი". იყო სხვა ქალაქებიც, რომლებსაც ჰქონდა ზღუდე-სიმაგრე ან ციხე და რომლებშიდაც ბინადრობდნენ თავისუფალი პირნი. მაგრამ სხვა ასეთი პუნქტი ჯუანშერს სახელდებით მოხსენებული არა აქვს.

ჯუანშერი შემოზღუდულ ქალაქებს გარეთ მყოფ დასახლებულ პუნქტებს იხსენიებს სოფლებად ("სოფლები და ქალაქები") ანდა ველად

---

3 . Н. В. Пигулевская. Города Ирана в раннем средневековье, М.-Л, 1950, стр. 271.П

— ოსებმა ქართლზე შემოსევის დროს "ველნი მოაოკრნეს" (ეი. დაზარ-ალდნენ გაშლილ ადგილზე მდებარე გაუმაგრებელი სოფლები), ხოლო "ციხე-ქალაქნი დაურჩეს" — ციხე-ქალაქთ მათ ვერ ავნეს.

20. ხელოსნობა.

საზოგადოებრივი შრომის დიფერენციაციის თვალსაზრისით დასტურდება სპეციალური ტერმინი ზოგიერთ ხელოსანთათვის, მაგ., ტერმინი მჭედელი, მაგრამ არ არის ცალკე ტერმინი მქსოველისათვის, რომელსაც ჰქვია "სელისა მოქმედი", "ბისსონისა მოქმედი", "ზეზისა მოქმედი". ისე, როგორც არის "ქვეყანისა მოქმედი" (მიწის მუშაკი). ხელოსანი იწოდებოდა "ჴელითა მოქმედი საქმისა" (2 ნეშტ., 34, 17), "მოქმედი საქმისა" (2 ნეშტ., 34, 12-13), ხოლო ქვეყანასა საქმისა მოქმედი (1 ნეშტ., 27, 25-31) იყო მიწათმოქმედი.

საზოგადოდ ხელოსანის აღსანიშნავად იხმარება კიდევ ტერმინი ხურო (I ნეშტ., 22, 15 და სხვ.).

ზეზის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. ზეზის უფრო სრული ფორმა არის ზეჰესი (2 ეზ., 3, 6), "ხოირი ზეჰესისა" — ბისონის თაესაკრავი ანუ გვირგვინი.

ზეზი ნიშნავს ძვირფას მატერიას (ესთ., 1,1; 8, 15), ხოლო "ზეზი ძახილი" (გამ., 26, 1) — ძაფად გაკეთებულ ბამბას.

იყო კიდევ ტერმინი "ჭრელნი ჭიჭნაურითა" მოქარგული ტანისამოსის მნიშვნელობით (ეზეკ., 16, 13). რადგანაც "ჭრელებნი" იმავე ტექსტში მოქარგულ ტანისამოსს ნიშნავს (ეზეკ., 16, 10), ამიტომ აქ სიტყვა "ჭიჭნაური" დამატებული უნდა იყოს მაღალი ხარისხის მატერიის აღსანიშნავად.

კარგად დამზადებულ და საუკეთესო ხარისხის სელის მატერიას (II ვერსიაში) ერქვა "სელი პებული" (ის., 19, 9). დაპეპვა, resp. დაპებეა ნიშნავდა დანაყვას, ცემას (Keimena, I, გვ. 138).

ძველი ქართული სიტყვა ზეზი ახლაც წარმოდგენილია ფშაურ კილოში "ზიზიას" სახით, რაც ნიშნავს ჭრელ-ჭრელს, ბავშვთა ჩასაცმელს. ტერმინების პელპელას და ზეზის ნაშთს წარმოადგენს იმერული "ზიზილ-პიპილო". ძველი კოლხიდიდან სელის ტილოს ნაწარმი, როგორც ჩანს, გაჰქონდათ ქართლურად მოლაპარაკე ტომებში და სპარსეთშიც. ამისი მაჩვენებელია ტერმინი ფარჩა, რომელიც ახალ ქართულში (XVIII საუკუნიდან) აბრეშუმის მატერიის მნიშვნელობით იხმარება. საბას ლექსიკონით ის ჯერ კიდევ ნაჭერს ნიშნავს. ეს სიტყვა

არის იგივე მეგრული ფორჩა — შინა ნაწარმის ხამი ტილოსაგან შეკერილი პერანგი. ასევე მეგრულიდან ქართულის შუავობით ან თავისთავად უნდა იყოს გადასული სპარსულში სიტყვა (პერჩე) — ნაჭერი, ბამბის ნართის მატერია. ცხადია, რომ ეს სიტყვა ქართულში და სპარსულშიც თავდაპირველად ნიშნავდა კოლხიდიდან გატანილი სელის ტილოს ნაჭერს, შემდეგ კი ეს სიტყვა სპარსულში გამოყენებულ იქნა უფრო მაღალი ხარისხის მატერიის აღსანიშნავად.

სელისაგან მზადდებოდა საუკეთესო ხარისხის (მაშინდელი თვალსაზრისით) ტილოები. ეს ჩანს დაბადების ქართული თარგმანის ტექსტიდან. ებრაული ტექსტის (2 მეფ. 6, 14) გამოთქმა: "ჩაცმული იყო დავითი სელის ეფოდში" ქართულად გადაუთარგმნიათ (პირველი ვერსია) "შემოსილ იყო დავით სამოსელით უმჯობესითა".[4]

ქართული დაბადების მეორე თარგმანში იგივე ადგილი მოცემულია ასე: "დავით როკვიდა წინაშე კიდობნისა მის– მკული სამკაულით ძოწეულითა" (უკანასკნელი სიტყვები ბერძნულში მოცემულია ასე: ὁ Δαυὶδ ἐνδεδυκὼς σταλὴν ἐξάλλον — დავით შემკობილი იყო საუკეთესო ტანისამოსით). ეს "საუკეთესო ტანისამოსი" ქართულ ტექსტში გადათარგმნილია სიტყვით ძოწეულით, ეი. წითლით, თუმცა ძოწეული (წითელი ფერი) ეწოდებოდა აბრეშუმის მატერიასაც.

რომაელი პოეტის ვირგილის ერთ-ერთი კომენტატორი IV საუკუნეში ამბობს, რომ იბერიაში საუკეთესოდ ღებავენ (იგულისხმება მატერიებს) სხვადასხვა ფერებად. ღებვის ტექნიკის მაღლად დაყენება გულისხმობს საშინაო საფეიქრო მრეწველობის განვითარებას.

---

4 . ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ რუსეთის ელჩის ელჩინის სიტყვები, რომ 1640 წ. ოდიშში სელი მოპაყთ ბლომად, თესავენ მას შემოდგომაზე ზამთრისათვის; ამ სელიდან ქსოვენ ტილოებს, რომელიც აქვთ ოსმალთა ხარკისათვის; თვით მცხოვრებნი ტანისამოსის მხრივ ღარიბნი არიან, დადიან შიშველნი და ფეხშიშველნი, მხოლოდ საჭირო ადგილებზე შემოხვეული აქვთ ტილო ანდა თხის ტყავი, თორემ ისე ყველანი შიშველნი არიან". ამავე დროს ცნობილია, რომ ამ ხანაშივე თავადები და ეპისკოპოსები ოდიშში მეტად მდიდრულად იცვამდნენ ფარჩის და სხვა მდიდრულ სამოსებს, ძვირფასი ქვებით შეკეულს. დახლოებით ასეთივე მდგომარეობა არის საგულისხმებელი ეგრისში ძველად, როდესაც იქ სელი მოპაყდათ ბლომად საექსპორტოდ, საუკეთესო ტილოების დასამზადებლად, რომელიც ქართულივე მასალის მიხედვით დახასიათებულია როგორც უმჯობესი. ხალხის ფართო მასისთვის კიდევ (XVIII საუკუნის მაგალითის მსგავსად) ეს უმჯობესი მატერია, რასაკვირველია, მისაწვდომი არ იქნებოდა.

21. მსხვილი სახელოსნოები.

საყურადღებოა, რომ ზეზის (ბამბის მატერიის) მკეთებლად იხსენიება აგრეთვე ხუროთმოძღვარი (გამ., 35, 35). ხოლო ხურო და ხუროთმოძღვარი ნიშნავს საერთოდ ხელოსანს (ის., 3, 1-3; 40, 19-20; გამოსვ., 35, 35).

მაგ., გამ., 35, 35: "საქმედ ქსოვასა ჭრელსა ქსოვად და მეწამულსა და ზეზსა, საქმედ ყოველსავე მას საქმესა ხუროთმოძღვრებისასა განთვთებულად".

"ბრძენი ხუროთმოძღვარი" ნიშნავს მოხერხებულ, მცოდნე ხელოსანს. (გამ., 3, 1-3). ამავე მნიშვნელობისაა ხურო სამოციქულოს IV საუკუნის ტექსტში (მოც., 19, 24).

ზეზის მომუშავეთა ზედამხედველად ხუროთმოძღვარის დასახელება შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მოზრდილი სახელოსნოების არსებობის ფაქტი. წარმოების უფროსად ასეთ შემთხვევაში მართლაც შეიძლება ყოფილიყო ხუროთმოძღვარი, უპირველეს ყოვლისა, დურგლების და საერთოდ კიდევ ხელოსნების უფროსი ამა თუ იმ მნიშვნელოვან სამლოცველოსთან და კერძო პირებთანაც.

სართველ იარაღს (შემდეგდროინდელ მანჯანიკს) ერქვა სასარგებლო და ჯარას ტარს კი — ტარი (იგავ., სოლ., 31, 19). თვითონ რთვის პროცესი გამოითქმებოდა მაშინდელი ქართულით შემდეგნაირად: "მწურთა თჳსი განმარტა სასარგებლოსა ზედა, ხოლო ნებსა თჳსსა განამტკიცებს ტარსა ზედა სთვად" — თავისი ხელი დასდვა სასთველ იარაღზე და თითები მოუჭირა ჯარას ტარს.

იყო სხვა ტერმინიც. დაბადების თარგმანის პირველ ვერსიაში (I მეფ., 17, 7) ნათქვამია, რომ: "რკინის შუბი მისი (გოლიათის იყორო) ვითარცა ჭურჭელი მთინართ, ეი. არს მაქო". მაქო საბას მიხედვით არის "საქსოვრის საზედაოს გასაკლები", ეი. რვილი, რომელიც არის ერქვნის (სახნისის) ხეო (აქ გაზვიადებულად დახასიათებულია გოლიათის შუბის სისხო). მთინარი არის იგივე შემდეგდროინდელი ფეიქარი (ეს უკანასკნელი სპარსულიდან გადმოსული ტერმინია). დაბადების მეორე ვერსიაში ეს ადგილი გადათარგმნილია ასე: "შუნი ჰოროლისა მისისა ვითარცა ლვილი (რვილი) ქსელთა".

მაშინ, როდესაც მთინარი თითქოს უცხოურიდან წარმომდგარი ტერმინი უნდა იყოს[5] (თუმცა დანამდვილებით ამის თქმა არ შეიძლება) "სასარგებლო" და "ქსელი" წმინდა ქართული ტერმინებია.

ქსოვის ტერმინები: საქმეთ ქსოვა, ჭრელსა ქსოვა, მეწამულსა (პურპურის ფერი) ქსოვა (გამ. 35, 35).

ადგილობრივ დამზადებული ტილო წარმოადგენდა ფასგარდახ-დის ერთეულს. ამიტომაც ტილოს დაერქვა სახელად მიზდური, ეი. მიზდის (სპარსულად ქირას ნიშნავს) მაგიერი ("ვითარცა ქსელი მიზდურისა" ის., 38, 12). ცხადია, რომ მიზდური იქნებოდა გარკვეული ზომის და რაოდენობის ტილო.[6]

მიზდურის ფარდი იყო სხვა ტერმინი "ნარდნი", სიტყვისაგან რთვა-ნართავი (იქვე, ათონ "ვითარცა ქსელი ნარდთაჲ").

22. ქალები ხელოსნობაში.

შუშანიკმა "ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგი-ნებითა ყელთა აღიხვნა დავითნი". ჭიჭნაუტი (იგივე ჭიჭნაუხტი) ნიშნავდა მატყლის მატერიას (ესთ., 1, 1, ათონ.). ამ მატერიის მეორე სახელი იყო ცისხეული (იქვე, I ვერსია). ეს ადგილი, მაშასადამე, ნიშნავს, რომ შუ-შანიკმა მატყლის მატერიის დამზადების მაგივრად დავითნის კითხვას მიჰყო ხელიო.

ქალების სახელოსნო შრომა საპატივცემლოდ ითვლებოდა. მისეულ ბიზანტიელი წერს: "იბერიელები საჯაროდ აჩვენებდნენ იმას, რასაც მათი ქალები დართავენ ან მოქსოვენ. ამორჩეული კაცები სინ-ჯავენ ქალების გაკეთებულს და მეტის გამკეთებელს აქვს უპირატესობა სხვებთან შედარებით. სარტყელისთვის მათ აქვთ ცალკე ზომა და ვინც ამ ზომის სარტყელს წელში ვერ შემოირტყამს, მისთვის ის ითვლება სამარცხვინოდ". ეს ცნობა გაურკვეველი დროისაა, მაგრამ თავისი ხასი-ათით უფრო ძველ ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

23. საფასე.

სახარების ტექსტებში წარმოდგენილია მაშინ ქართულად ხმარე-ბული საფასის სახელები. წვრილი ფულის აღსანიშნავად სახარების ქართული თარგმანის პირველ ვერსიაში იხმარება კერმა (მარკ., 12, 41),

---

5 . მთინარი არის თინაზე მომუშავე. შედ. ასურული tannu – სახმარი, მოსაწყობელი.

6 . ასევე იყო XVI-XVII საუკუნეებში სამეგრელოში.

რომელიც მეორე ვერსიაში შეცვლილია ტერმინით რვალი (სპილენძი). სიტყვა ერმა ბერძნულია და წვრილ ფულს ნიშნავს.

მეორე ადგილას (მათ., 10, 31) სახარების პირველ ვერსიაში ფულის აღსანიშნავად იხმარება დანგი (ეს სპარსული დანეკ-ია), ხოლო მეორე ვერსიაში ამის შესატყვისად იხმარება ასარი (ბერძნული ασσάριον). სახარების ქართულ ვერსიებშივე ფულის აღსანიშნავად იხმარება სიტყვა ვეცხლი (მათ., 27, 5-6; მარკ., 14, 11) უკვე დანამდვილებით ვერცხლის ფულის მიმართ. ოქროს ფულისთვის კი სახარებისავე ქართულ ტექსტებში (მაგ., მათ. 22, 19) იხმარება დრაჰკანი, რომელიც უდრიდა ბერძნულ დენარს (δηνάριον), მაგრამ წარმოებულია სპარსულ დაჰეკანისაგან ( ). საფასის ძველ ქართულ სახელწოდებიდან ჩანს, რომ ქართული ქვეყნები საქონლის გაცვლა-გამოცვლის მხრივ თავიდანვე ურთიერთობაში იმყოფებოდნენ როგორც ბერძნულ, ისე სპარსულ კულტურულ სამყაროსთან.

24. დიდაზნაურთა ფენის ჩამოყალიბება.

დაახლოებით II-III საუკუნეებში აზნაურთა და სეფეწულთა წოდებათაგან უკვე გამოყოფილია უფრო დიდშემძლეთა ფენა. ფარსმან მეფეს რომში II საუკუნეში თან ახლდნენ მისნი "პირველნი". აზნაურთაგან შეიქმნა წარჩინებულთა, ეგრეთ წოდებულ დიდ აზნაურთა ფენა. მათი ცოლები იწოდებოდნენ, როგორც ეს შუშანიკის წამების ნაწარმოებიდან ჩანს, ზეპურ დედებად. ამის მიხედვით დიდ აზნაურთა ფენას უკვე შეეთვისნენ დიდ შემძლე სეფეწულნი. ყველანი ესენი ერთად იწოდებოდნენ დიდ აზნაურებად, სეფეწულებად და მთავრებად, მათი ცოლები კი ზეპურ დედებად. ტერმინი სეფეწული წვრილ მხედართა აღსანიშნავად ახლა არ იხმარება: წვრილი მხედრები ახლა იწოდებიან მარტივად აზნაურებად, რაც იმავე დროს თავისუფალს ნიშნავს. სოციალური პროგრესი გაბატონებული კლასების მიმართ გამოიხატა იმაში, რომ ახლა ბევრად მეტი ფენები (ყველა აზნაურნი და სეფეწულნი) იყვნენ აზნაურნი ანუ თავისუფალნი. ამ წარჩინებულ აზნაურთ აქვთ მძიმე შეიარაღება, მათ თან ახლავთ ე.წ. სპასიაკი (იგივე მეაბჯრე), საომარი მისი ცხენიც არის (როგორც ეს ჯუანშერის თხრობიდან შეიძლება ნაგულისხმევი იყოს) თოროსანი, ეი. შეკაკშნული. წარჩინებულთა სპეციალურ იარაღს შეადგენს ხმალი, რის გამოც ისინი იწოდებიან კიდევ ჯრმლოსნებად (შეად. ასეთივე მდგომარეობა ხმლის ტარების შესახებ სპარსეთში). ამ ძველი დროის გადმონაშთი იყო ის, რომ ხმალი ფეოდალურ ხანაში მხოლოდ ბატონური წრეებიდან გამომავალი მეომრების (ბოლო საუკუნეებში თავადთა და აზნაურთა) იარაღს შეადგენდა.[7]

დიდ აზნაურთა (წარჩინებულთა) წამოწევა აიხსნება სამხედრო შეიარაღების შემდგომი განვითარებით, რაც თითქოს რომაელების გაელენას უნდა მიეწეროს. რომის სახელმწიფოს ხელდებულობის ყველა ქართულ ქვეყნებზე გავრცელებას მოჰყვა ქართველებში სამხედრო შეიარაღების გაუმჯობესება. გაჩნდნენ მძიმედ შეიარაღებული მეომრები შეკაკშნული ცხენებით. მაგრამ ასეთი შეიარაღება, აგრეთვე თანმხლებ

7 . დას. საქართველოში მაგ- ლეჩხუმში, სადაც ძველი ტრადიციები უფრო იყო შემონახული, მოხუცი თავადები XX საუკუნის დასაწყისშიც ხმალს არ იცილებდნენ სახლში ყოფის დროსაც.

პირთა და მოსამსახურეთა ყოლა თვალსაჩინო ხარჯებს მოითხოვდა. ამით აიხსნება ის, რომ სახელმწიფო თვითონაც იძულებული იყო მხარი დაეჭირა დიდ შემძლე პირთა ფენის ჩამოყალიბებისათვის, რაც გულისხმობდა ამ პირთა ხელქვეით მყოფი ადამიანების ექსპლოატაციის გაძლიერებას, იყვნენ ეს ადამიანები მონები, თუ სხვაგვარად მათ დამოკიდებულებაში მოყოლილნი.

25. ცვლილებანი სოციალურ ცხოვრებაში 410-430 წლების ახლოს.

ამ საკითხის გასარკვევად შეიძლება გამოყენებულ იქნას ქართული ოთხთავის ორივე ვერსიის ტერმინები. მართლაც, საერთოდ ოთხთავის ორივე ვერსია განსხვავდება პირველისაგან ტერმინოლოგიით, რომელიც იხმარებოდა კერძოდ მმართველობის სფეროში. ეს განსხვავება ისეთია, რომელიც არ არის დამოკიდებული დიალექტების კუთხობრივ თავისებურებაზე, არამედ გამოხატავს სოციალურ ცხოვრებაში და მმართველობაში მომხდარ ცვლილებებს. 410-430-იანი წლები წარმოადგენდა ქართლის სახელმწიფო ცხოვრების სინამდვილეში დიდი ძვრების ხანას. ორივე ვერსიის ოთხთავების ტექსტის შედარება ამ მხრივ იძლევა შემდეგ ფაქტებს.

	I ვერსია	*II ვერსია*
მათ., 20,1;21,33		
მარკ., 14,14 და 14,16	მამასახლისი	სახლის უფალი
მარკ., 6,36	აგარაკებსა და დაბნებსა	დაბნებსა და სანახებსა
მარკ., 5,14	ქალაქსა და აგარაკებსა	ქალაქსა და დაბნებსა
მარკ., 6,21	ტაძრობას ჰყოფდა მდიდართა	მზა უყო პური მთავართა
	თანა და ათასის თავთა	მისთა და ა/თა/სისთავთა
მათ., 20,25	თანა და მთავართათანა	მისთა და აზნაურთა
	გალილაჲსათა.	გალილეაჲსათა.
მარკ., 10,42	მდიდარნი	დიდ-დიდნი
მათ., 28,14	ბჭესა	მთავარსა

ტერმინი "მდიდარი" აქ უდრის სომხურ ტექსტს "ნახარარს". "მდიდარნი" იყვნენ, მაშასადამე, ქართული წამყვანი და დიდშემძლე ფენის წევრნი. 410-420-იან წლებში ეს ტერმინი შეცვლილია ტერ-

მინით მთავარი ანუ დიდ-დიდი. ტერმინი მთავარი იხმარებოდა მანამდი-
საც და უდრიდა სომხურს յիւրայիւ (დიდ-დიდს). ბერძნულ ტექსტში
ამის ფარდად მოხსენიებულია πρῶτοι (პირველნი) და ეს ტერმინი
მეორე ვერსიაში გადაუთარგმნიათ როგორც აზნაურნი. აქედან დასკვნა:
415-420 წლების ახლოს გაბატონებული კლასი მკვეთრად დაყოფილა
ორ სოციალურ წყებად — მთავარნი და დიდნი, რომელნიც შეესატყ-
ვისებოდნენ სომეხ ნახარარებს, და აზნაურნი, რომელნიც იყვნენ
"პირველნი", ეი. თავისუფალი გაბატონებული კლასი.

26. ტერმინი მამასახლისი.

ოჯახის უფროსს ერქვა მამასახლისი. ეს ჩანს შემდეგიდან: მათ.,
10, 36 ადგილ. ვკითხულობთ: "და იყვნენ მტერ კაცისა სახლეულნი თჳსნი".
სომხურში ეს ადგილი იკითხება ასე: սիրելիք սուն իւրասնեայք իւր.
ქართული თარგმანი მისდევს სომხურ ტექსტს. ბერძნულთან შეფარდე-
ბის დროს გასწორება არ იყო საჭირო, რადგან ბერძნული დედანი შეე-
საბამება სომხურ თარგმანს (καὶ ἐχθροὶ τοῦ ἀνθρώπου οἱ οἰκεῖα καὶ
αὐτοῦ). მაგრამ სახარების ქართული თარგმანის ბერძნულთან შემდარე-
ბელს ტექსტი მაინც შეუსწორებია: "და იყვნენ მტერ მამასახლისისა
სახლეულნი თჳსნი". გამოვიდა უკვე თავისუფალი თარგმანი, რაც
აიხსნება იმით, რომ ქართველი რედაქტორის გაგებით სახლეულთა
(სახლის ანუ ოჯახის წევრთა) უფროსი შეიძლებოდა ყოფილიყო
მხოლოდ მამასახლისი.

ტერმინი მამასახლისი, როგორც თვით მისი აგებულებიდან ჩანს,
აღნიშნავდა გვარის უფროსს. 415-420 წლებში, წარჩინებულთა
გვარეულობების დაწინაურებასთან დაკავშირებით, როდესაც დიდ-დიდნი
აზნაურნი მოექცნენ სათავეში ცალკე ოლქებს, ამ გვარეულობათა
უფროსებმა შეინარჩუნეს თავისი სახელწოდება მამასახლისი და ამი-
ტომაც ოლქის უფროსები უნდა იწოდებოდნენ მამასახლისებად.

ამგვარად, 415-420 წლების ახლოს გაფორმებულა მეტად
მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მემკვიდრეობით მსხვილ მფლო-
ბელთა ფენის ჩამოყალიბების მომასწავებელია. ცალკე "მდიდართა" სახ-
ლები სათავეში მოექცნენ ცალკეულ ოლქებს და ამიერიდან იწოდებოდ-
ნენ დიდ-აზნაურად ანუ მთავრად. ამით ისინი განსხვავდებოდნენ
ჩვეულებრივი აზნაურებისაგან.

ამავე დროს ჩვენ გვაქვს ასეთი ცნობაც. ფაუსტოსის სიტყვით, არშაკ სომეხთა მეფის დროს (346-349 წ.) სომხეთს, სხვათა შორის, გადაუდგნენ გუგარის პიტიახში, მის შემდეგ ძორის ოლქის უფალი (ტერ), კოლბის ოლქის უფალი, გარდმანის ოლქის უფალი (ტერ). ეს ოლქები ქვემო ქართლის საზღვრებში იგულისხმებიან. სომხური ტერ სახარების ტექსტებში გადათარგმნილია როგორც უფალი. მაშასადამე, IV საუკუნის შუა ხანაში ქართლის ცალკე ოლქების სათავეში უფალები იდგნენ, ერთი საუკუნის შემდეგ კი მამასახლისნი არიან. ოთხთავთა ვერსიების შეჯერებიდან ჩანს, რომ ეს ცვლილება და ოლქების მეთაურთათვის მამასახლისის წოდებულების შემოღება უნდა მომხდარიყო იმავე 415-420 წლების ახლოს. მართლაც, ლაზარე ფარპელს მოხსენებული აქვს, რომ 450 წლის ახლოს სპარსეთის მეფე იეზდიგერდთან სომხეთიდან წავიდნენ დიდ-დიდნი კაცნი სხვადასხვა სახლების (ტოჰმ) წარმომადგენლები და "ქართველთა ქვეყნებიდან(აც) პიტიახში არშუშა და ამ ქვეყნის სხვა მამასახლისნი". აქ პიტიახში მამასახლისთა თანაბრად არის მოხსენიებული.

27. წარჩინებულნი.

ჯუანშერს ძლიერ უყვარს ტერმინი წარჩინებული. სახარების ქართული ტექსტის პირველ ვერსიაში წარჩინებული (ადიშ., მათ., 27, 16), რომელიც უდრის სომხური ტექსტის ականաւոր ნშანავორ — მნიშვნელოვანი, ბერძნულ ტექსტში წარმოდგენილია სიტყვით ἐπίσημος — სახელგანთქმული და ამიტომ სახარების ქართული ტექსტის მეორე ვერსიაში წარჩინებულის მაგივრად ნახმარია "შესწავებული".

თუ როგორ ესმის ჯუანშერს ტერმინი წარჩინებული, ეს ჩანს მისი ნაწარმოების ერთი ადგილიდან, სადაც ის წარჩინებულთა მიმართ ალაპარაკებს ვახტანგს. "მამათა კელავ ჩემთაგან გინახავნ კეთილნი და დიდებანი, რომელნი დადგინებულ ხართ მთავრობასა ზედა. აწ, უკეთუ გვაცოცხლებს ღმერთი, მოგხვდენ კეთილნი და დიდებანი, რომელნი არა გეხილნენ მამათა ჩემთაგან". იქვე წარჩინებულნი სპასპეტის ჯუანშერის პირით დახასიათებულნი არიან, როგორც "მკვიდრნი ქართლისანი". კეთილი — ეს წარჩინებულთა მიმართ არის სამკვიდრო ქონება, ხოლო დიდებად კი აქ იგულისხმება დანიშვნითი წარჩინება, ორივე ერთად კი იძლევა მთავრის ხარისხს. წარჩინებულნი, მაშასადამე, არიან იგივე მთავარნი.

მთავარნი ამ ხანაში არიან იგივე სეფეწულნი. ჯუანშერი იხსენიებს სეფეწულს ბივრიტიანს, რომელიც შემდეგ დაინიშნა ოძრახის ერისთავად. ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში მთავარნი ქართლისანი იხსენიებიან იმავე დროს სეფეწულებად.

მათი მეორე წოდებულება არის კიდევ დიდ-აზნაურნი. შუშანიკის ცხოვრებაში იხსენიებიან "აზნაურნი დიდ-დიდნი, ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი". იმავე ნაწარმოების სომხურ ტექსტში დიდ აზანაურს უდრის ნახარარი, აზნაურს – აზატი და უაზნოთ – სეპუჰი.

28. აზნაურნი.

დაბადების I ვერსიაში (მოღწეულ ადგილებში) ტერმინი აზნაური სრულებით არ იხმარება. მთარგმნელი ამ ტერმინს უყურებდა როგორც ადგილობრივს, წმინდა ქართულს და უხერხულად სთვლიდა მის განზოგადებას, სხვა ხალხების ცხოვრებისათვის მის გამოყენებას. მაგრამ V საუკუნეში უკვე სხვაგვარი მდგომარეობა იყო – ტერმინი აზნაური უკვე მიახლოებულია სხვა ხალხების სოციალურ ტერმინოლოგიასთან და ამიტომ შესაძლებელი შეიქნა მისი გამოყენება დაბადების ახალი ქართული ვერსიის დამზადებისას ზოგადი მნიშვნელობით. აზნაური, როგორც ახალი აღთქმის წიგნებიდანაც (საქმე მოციქულთა და სხვა) ჩანს, ნიშნავს უკვე თავისუფალს. ამავე მნიშვნელობით ის იხმარება დაბადების მეორე ქართულ ვერსიაშიც.

მეფეთა წიგნების პირველ ვერსიაში ებრაული ტექსტის "მმართველი" გადათარგმნილია როგორც "მხედარი" (I მეფ., 5, 11) და "მთავარი" (I მეფ., 6,4). მხედარი და მთავარი, მაშასადამე, ამ ტექსტის თარგმანის დროს ერთი და იგივე იყო. მეომარი გადათარგმნილია როგორც ძლიერი ("მთავარნი ძლიერთანი" = ჯარის უფროსი, "ძლიერნი, მპყრობელნი საჭურველთანი" = ხმლის მომქნელნი, 2 მეფ., 24, 4-9). "უხუცესნი ქალაქისა და თავისუფალნი, მყოფნი ქალაქსა მას შინა" = ქალაქის უფროსნი და წარჩინებულნი (3 მეფ., 21, 8-11). გამოდის, რომ მხედარი, მთავარი წარჩინებული და თავისუფალი ერთი და იგივე უნდა იყოს. იქვე იარაღის მატარებელი გადათარგმნილია როგორც მეპბჯრე (1 ნეშ.,110,4- 5).

დაბადების ქართული თარგმანის II ვერსიაში, რომელიც ბერძნულთანაა შეჯერებული, იმავე ადგილებში უხვად არის წარმოდგენილი

ტერმინი აზნაური ბერძნული სიტყვის თავისუფალის (ელევთეროს) მნიშვნელობით.

ამ მასალებიდან ცხადია, რომ პირველ საუკუნეებში თავისუფალი (თავის თავის ბატონი) კაცი უთანაბრდებოდა წარჩინებულს. ტერმინი წარჩინებული ამ დროს ქართულშიც იყო (ფარსმან ქველის შესახებ თხრობა ამას ცხადჰყოფს), ხოლო ჩვეულებრივი იყო IV-VII საუკუნეებში (ჯუანშერის თხრობიდან მატიანეში ეს ცხადია). მაშასადამე, II საუკუნის ახლო ხანაში თავისუფალნი პირნი ქართლში საერთოდ მცირედნი იყვნენ. შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა. V საუკუნეში უკვე განმტკიცებულია თავისუფალის აღსანიშნავად ტერმინი აზნაურნი, ხოლო თავისუფლებისათვის — აზნაურები (კოლას. 3, 11; აქ აზნაურები უპირდაპირდებიან მონებს). ცხადია, რომ შუალედში (დაახლ. III საუკუნეში) თავისუფალთა რაოდენობა მომრავლებულია იმდენად, რომ აზნობა, რომელიც არსებითად კეთილშობილებას ნიშნავდა, გადაიქცა ყველა თავისუფალთა აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად. შუშანიკის ცხოვრებაში არის გამოთქმა "აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი", ეი. თავისუფალნი და არათავისუფალნი, მთელი მოსახლეობა მონების გარდა, ახლა ამ ორ მთავარ ფენად არის დაყოფილი. IV საუკუნეშიც, როგორც მოქც. ქართლისაჲს ორი ცნობიდან საგულისხმებელია, ტერმინი აზნაური მცხეთაში საერთოდ თავისუფალ მოსახლეობას აღნიშნავდა. ასეთი მნიშვნელობა ამ ტერმინს შეეძლო მიეღო III საუკუნიდან. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ III საუკუნეში უკვე ბევრი განთავისუფლებული იყო, ერთი მხრივ, თემობრივი ერთეულების რკალისაგან და, მეორე მხრივ, ბევრი მონა ღებულობდა ამ ხანაში თავისუფლებას. შენებულნი (კოლონები) ხომ იურიდიულად აგრეთვე თავისუფალნი იყვნენ.

29. კეთილი და დიდება.

ჯუანშერი ალაპარაკებს ვახტანგ გორგასალს მის ახალგაზრდობაში ოსებზე გალაშქრების წინ რჩევის წევრთა მიმართ: "მამათა ჩემთაგან გინახავ (თქვენ) დიდნი კეთილნი და დიდებანი დადგინებულ ხართ მთავრობასა ზედა".

კეთილის სახელით აქ, ცხადია, იგულისხმება ნაჩუქარ-ნაწყალობევი მამულები ("მინიჭებულნი"), თუმცა არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სამკვიდრო მამულებიც კეთილის რიგში ითვლებოდა, რადგანაც მეფეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ხელი

მიუწვდებოდა მის დამოკიდებულებაში მყოფ პირთა სამკვიდრო უძრავ ქონებაზედაც.

მოსე კაღანკატუელის[8] სიტყვით (II, I), და სხვა სომხური წყაროებითაც, სპარსეთსა და სომხეთში წარჩინებულთა საზოგადოებრივი მდგომარეობა განირჩეოდა სასთაულის (ბალიშის) და პატივის მიხედვით. ქართულად ეს იქნებოდა სასთაული და დიდება. სომხურიდან გადათარგმნილი სახარების ქართულ ტექსტში სომხური ბარძ მოცემულია სიტყვით სასთაული (მარკ., 4, 38). ჯუანშერის სიტყვით კიდევ, წარჩინებულნი პირნი ვახტანგის დროს რჩევაში სელზე (დაწნულ სკამზე) სხდებოდნენ. თამარ მეფის დროს პირველი პირნი სასახლეში სხდებოდნენ "სელებითა ოქროჭედილებით" და "სასთაულითა". ეს წესი უსათუოდ მოდის ძველი დროიდან. ამიტომ სომხური ხსენებული ცნობის მიხედვით, ვახტანგის კარზედაც რჩევის წევრთათვის მიღებული უნდა ყოფილიყო სელიც და სასთაულიც.

იმავე მოსე კაღანკატუელის სიტყვით (იქვე), სპარსეთის მეფემ შაპუჰ ორმიზდის ძემ (შაპუჰ II, 309-380 წწ.) წინადადება მისცა დიდი სომხეთის ნახარარებს წარმოედგინათ საბუთი, რომ მათ აქვთ ბალიშებზე ჯდომის განრიგი, ეი. თუ ვის რა ადგილი უნდა ეკავოს დარბაზობის დროს. წინაალმდეგ შემთხვევაში დაემუქრა მათ მათი მიწა-მამულის ჩამორთმევითაც კი. ნახარარებმა წარუდგინეს შაპუჰს აგათანგელის ისტორია, რომელიც მან გადაათარგმნინა სპარსულად (ფაჰლაურად). ამ წიგნში ნაჩვენები იყო 17 სომეხ სანახარარო გვარის ჯდომის განრიგი. ეს განრიგი მიღებული იქნა მეფე შაპუჰის მიერ და ნახარარებს ამის მიხედვით მიენიჭათ ჯდომის ადგილები სპარსეთის მეფის სასახლეში. სიუნიის მთავარს ანდოკს შეხვდა მე-14 ადგილი, რითაც ის ძლიერ ნაწყენი იყო. პროტესტის ნიშნად მან სუფრაზე არაფერი ჭამა, მაგრამ მეფემ მისი გულნაწყენობა უყურადღებოდ დატოვაო.[9] ასეთ განრიგს სპარსულად ერქვა გაჰნამაკ (ადგილების წიგნი-ნუსხა). ტერმინი მიღებული იყო სომხურშიც.

---

8 . პატკანიანს თავის დროზე სამართლიანად პქონდა შენიშნული, რომ როგორც იოანე კაღანკატუელი (IX ს.), ისე მასზე უფრო შემდეგდროინდელი სტეფანოს ორბელიანი ძველი ხანის შესახებ სარგებლობენ, სხვათა შორის, VI საუკუნის დასაწყისში მცხოვრებ სომეხ ავტორის პეტრე სიუნიელის ნაწარმოებით, რომელიც დაკარგულია (История агван Моисея Кагантваци. Перевод с армянского. СПБ, 1861. стр. 80, прим. 3).

9 . 1904 წლის გამოცემა, გვ. 49.

ქართველებსაც ჰქონდათ ასეთივე თავისი განრიგი, აღიარებული მეზობელი ქვეყნების მიერ. ვარდან მამეკონიანი ეუბნება იეზდიგერდ II-ს, როდესაც მასთან 449 წლის ახლოს მოწვეულნი იყვნენ სომხეთის, ქართლის და ალვანიის თავკაცები (ქართველებიდან იყვნენ "ქართლის პიტიახში არშუშა და სხვანი მამასახლისნი", ლაზარე ფარპელის ცნობა): "აქ ბევრნი არიან ამ სამი ქვეყნის თავისუფალ-აზატნი (აზნაურნი), რომელნიც ჩემზე უფროსნი არიან გაჰით (ადგილით) და ხნოვანებით და საკმაოდ არიან ისეთნიც, ვინც ჩემზე დაბლა დგანან"-ო (§ 26). მაგ., არშუშა, ქართლის პიტიახში, როგორც სასანიანთა დინასტიის ერთი ქართული შტოს წარმომადგენელი ("მეფეთა ავადაგი", ეი. თვისტომი, არშუშას წინამორბედი და იმავე გვარის წევრი ავადაგად იხსენიება ბოლნისის სიონის წარწერაში) თვისი გაჰით ვარდან მამეკონიანზე უფრო მაღლა იქნებოდა.

რამდენი იყო ქართლის სამეფოში ასეთი უპირატესობის მქონე, არ ჩანს. ვახტანგ გორგასალის დროს რჩევის ყრილობაზე მეფე იჯდა "მაღალ საყდარზე" (მაღალ ტახტზე), ხოლო მთავარეპისკოპოსი, მთავარი მოგვი და სპასპეტი — ჩვეულებრივ (უფრო დაბალ) საყდრებზე. საყდარზე მჯდომად არის საგულისხმებელი ვახტანგის დროს დიდი ეკიბიც. ხოლო ათი ერისთავი იყო რჩევაში სელებზე მსხდომი.

30. უაზნონი.

შუშანიკის წამების მოყვანილი სომხური ტექსტის სეპუჰები თითქოს უდრის ქართული ტექსტის უაზნოთ. ნ. ადონცი თავის დროზე დაწვრილებით შეეხო საპუჰთა უფლებრივ მდგომარეობას ძველ სომხეთში.[10] მისი აზრით ნახარართა გვარების სათავეში იდგნენ ტანუტერები (მამასახლისნი), ამ გვართა სხვა წევრები კი იწოდებოდნენ სეპუჰებად. V საუკუნეში სეპუჰები უფრო დამოუკიდებელნი ხდებიან, რის გამო ტერმინმა სეპუჰ, სეფაკან, შემდეგში მიიღეს საკუთრების მქონის და საკუთრების მნიშვნელობა. V საუკუნეში მაგ., ლაზარე ფარპელთან, უფროს ტანუტერებთან ერთად და მათ შემდეგ საქმეების გამძღოლად იხსენიებიან უფროსი სეპუჰები, ტანუტერები და სეპუჰებ-ნახარარები და სეპუჰები. ყველგან აქ სეპუჰებად უნდა იგულისხმებოდნენ უფროსი სეპუჰები ანუ მხედართა რაზმების მეთაურები.

---

10 . Н. Г. Адонц. Армения в эпоху юстиниана. СПБ, 1908, стр. 472-479.

სეპუჰები უნდა იყვნენ იგივე ქართველების სეფეწულნი, რომელთა შესახებ მარ-აბას-კატინა (მოსე ხორენელის მიხედვით) წერდა, რომ ისინი არიან ძველ სამეფო გვარეულობათაგან და მხედართა გუნდებს შეადგენენო. ეს ცნობა ეხება II საუკუნეში ჩვენ ერამდე არსებულ მდგომარეობას. შემდეგში კი მხედართა გუნდები შეიქმნენ სხვა მდგომარეობის მქონე პირთაგან და V საუკუნეში და VI საუკუნის პირველ მეოთხედშიც (ევსტათი მცხეთელის ცხოვრების მიხედვით) სეფეწულები (სომხების უფროს სეპუჰებისდაგვარად) მხედართა რაზმების მეთაურებად არიან საგულისხმებელნი. მხედრების მასა კი სხვადასხვა შემადგენლობისა იყო.

სებეოსი (III, 3) გადმოგვცემს, რომ (590-591 წელს) მუშელ მამიკონიანმა შეკრიბა სპარსეთის მეფის ხოსროსთვის "ორი ათასი შეიარაღებული აზატები და უაზატოები, რომელნიც კი მას მიაჩნდა პატივის (ჯილდოს) ღირსად და დასელოვნებულ მხედრებად". ამ ადგილიდან აშკარად ჩანს, რომ უაზატოები, რომელნიც ქართულად ზუსტად იგივე უაზნონი იყვნენ, წარმოადგენდნენ მხედრებს.

არჩილ მეფემ დასლოებით 660-675 წლების ახლოს "ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყენა იგინი" (გვ. 243). აქაც არათავისუფალნი (უაზნო) ტაძრეულნი, იგივე მსახურნი დამსახურების შედეგად გახდნენ აზნაურნი (ეი. თავისუფალნი).

ამ ფაქტების მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ შუშანიკის წამებაში მოხსენიებული უაზნონი არიან მხედარნი მსახურნი და ტაძრეულნი, რომელნიც აზნობას (თავისუფლებას) მოკლებულნი არიან, რადგანაც ისინი არიან ბეგარა-ვალდებულ წოდებისაგან. მაგრამ მათ აქვთ შესაძლებლობა იმსახურონ მხედრებად და ამიტომ ისინი საგულისხმებელნი არიან დაწინაურებულ და შეძლებულ, თუმცა არათავისუფალ ფენათაგან.შესაძლებელია ისიც, რომ მხედრების გამოყვანა ხდებოდა შეწერით, ბეგარა-ვალდებული კომლების გარკვეული რაოდენობიდან (ვთქვათ ხუთ ან ათ კომლზე სავალდებულო იყო ერთი მხედრის გამოყვანა).

31. მორეწე.

ყველა ტექსტში, დაწყებული დაბადების I ვერსიის მოღწეული ნაწილიდან ვიდრე სახარების პირველივე ვერსიის ქართულ თარგმანამდის თანჩათვლით, დაქირავებული მომუშავის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი მორეწე. სახარების ქართული თარგმანის მეორე ვერსიაში

მორეწის ადგილას იხმარება გამოთქმა "სასყიდლით დადგინებული" (მაგ., ლუკ., 15, 17). სიტყვა მორეწე დაბადების პირველ ვერსიაში იხმარებოდა მქონებელის მნიშვნელობითაც. ეს ჩანს საბა ორბელიანის მიერ დაბადებიდან ციტირებული ასეთი ადგილის მისედვით, რომელიც ახლა დაკარგულია — ლევ., 19, 13; 25, 49; "მორეწა" — ჯელფასის აღება (საბა). მეორე ვერსიაში: "უკეთუ პოვნიერ (ე.ი. მქონებელი) იქმნეს და სხ. (იხ. აგრეთვე იუდ., 6,2).

დაქირავებული შრომით მცხოვრებისათვის არსებობდა კიდევ ქართული ტერმინი მოსასყიდლე (იობ., 7,2), რომელიც ღებულობდა "სასყიდელს" (იქვე).

32. მუშაკი.

მიწათმფლობელური წყობილების რღვევას თან მოსდევდა დაქირავებული მუშახელის გაძლიერება და გამრავლება. როგორც მოხსენებული იყო, დაქირავებული მუშა ქართულად პირველ საუკუნეებში იწოდებოდა მორეწედ. IV საუკუნეში, როგორც ამას ადასტურებს ქართული სახარების უძველესი თარგმანის ვერსია (ადიშისეული ხელნაწერი), ქართულში ფეხს იკიდებს სომხური წარმოშობის ტერმინი მუშაკი (სომხ. մշակ, მშაკ), რომელიც ნიშნავდა ქირით მომუშავეს. ამ სომხური ტერმინის შემოჭრა ქართულში ამტკიცებს, რომ IV საუკუნეში (და შესაძლებელია III საუკუნეშიც) ქართულ ქვეყნებში სომხეთიდან მოდიოდნენ ბლომად ქირაზე მომუშავე მუშები და ხსენებული ტერმინიც მათ მიერ არის შემოტანილი (ეს ფაქტი დამახასიათებელია სომხეთის მაშინდელი მდგომარეობისათვის). მაგრამ ჯერჯერობით წინანდელი ტერმინიც მორეწე განაგრძობდა არსებობას. ხოლო სახარების ტექსტების ბერძნულ ორიგინალთან შესწორებისას ტერმინი მუშაკი უკვე ხსენებული მნიშვნელობით საბოლოოდ გამარჯვებულია. სახარების ამ შესწორებულ ვერსიაში თითქმის მხოლოდ ტერმინი მუშაკი იხმარება.

ტერმინ მუშაკს შერჩა ქირით მომუშავე პირის მნიშვნელობა შემდგომ საუკუნეებშიც. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნულ-ქართულ ტექსტში (1084 წ.) მუშაკი უდრის ბერძნულ — μισθιος დაქირავებული (§ 21).[11]

11. XX საუკუნეშიც საქართველოს ქალაქებში ტერმინი მუშა ქართულად (და რუსულადაც) იხმარებოდა სპეციალურად სიმძიმის და ბარგის გადამტანის აღსანიშნავად.

33. მეთემე მსოფლიონნი, მდაბნი, მდაბიურნი.

მეთემე (თემში შემავალ) პირთა აღსანიშნავად ქართულში ბერძნული ტერმინის სრული შესატყვისობა იყო მდაბიო, მდაბი, შემდეგში მსოფლიონი. დაბა და შემდეგ სოფელი ამგვარად არის თემობრივი ერთეულის სახელი.

დაბადების ხუთი წიგნის პირვანდელი ქართული თარგმანი (მცირე ნაწყვეტების გარდა) არაა მოღწეული. საბა ორბელიანს კი სწორედ ეს პირვანდელი ტექსტი ჰქონდა ხელთ. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საბა ტერმინ მდაბიოს განმარტავს როგორც მსოფლიოს. პირვანდელ თარგმანში ამიტომ საფიქრებელია, მსოფლიოს ადგილას მდაბიო იქნებოდა.

მესხი მაკარი ხუცესის მიერ VI საუკუნეში სირიულიდან ქართულად გადმოთარგმნილ პეტრე ქართველის ბიოგრაფიაში იხსენიება ცალკეული სოფლები (§ 49, 51 და სხვ.), მაგრამ მოხსენიებული არიან მდაბიურნიც, რომელნიც დაბაში ცხოვრობენ (§ 47). ეს არის თხრობაში V საუკუნის შესახებ, როდესაც განსხვავება მათ შორის მაინც უნდა იყოს. მდაბიურები თითქოს იგულისხმებიან, როგორც საკუთარი მეურნეობის მქონენი: "მოვედით, გადმოგვცემს ჰაგიოგრაფი თვით პეტრე ქართველის ნაამბობს, დაბასა ერთსა, რომელსა მრავლით ჟამითვან წკმაჲ არა ყოფილიყო, და მოვიდეს მდაბიურნი იგი და ევედრეს წმიდასა პეტრეს ეპისკოპოსსა, რათა ილოცოს უფლისა მიმართ და მისცეს მათ წკმაჲ". აქ მდაბიურები მეურნენი არიან.

მაგრამ იქვე მოხსენიებულია ცალკეული სოფლებიც. ერთ ასეთ სოფელში იყო ვინმე ჯელოსანი (ეი. უფროსი) დედოფლისაჲ სახელით "ელია" და სხვა. ამ ელიამ დასტოვა თავისთან პეტრე ეპისკოპოსი (ქართლელი) მთელი ზაფხული. ეპისკოპოსი ხომ მარტო არ იქნებოდა. მაშასადამე, ხელოსან ელიას არ უჭირდა ეპისკოპოსის შენახვა. ამ სოფლის მახლობლად "იყო ვინმე მთავარი". ხომ არ ეწოდებოდა სოფელი ისეთ ერთეულს, რომელიც სამეფო და მმართველ პირთა ქვემდებარეობაში იმყოფებოდა, ხოლო დაბა და მდაბიური ცალკე მფლობელ პირთა (მთავართა, აზნაურთა და სხვა მათ შემდგომთა) დამოკიდებულებაში მყოფ დასახლებულ ადგილებს და მათ მცხოვრებლებს?

რადგანაც ქალაქებში წინა საუკუნეებში (საფაბრიკო-საქარხნო წარმოების შემოღებამდის) ქირით მომუშავე უმეტესწილად გამოყენებული იყო ხსენებული სამუშაოსათვის.

მდაბიო, მდაბი, ცხადია, არის დაბის, დაბანის მცხოვრები. "მოქც. ქართლისაჲ" იხსენიებს უძველეს ქართლში ქალაქებს და მათ დაბნებს. ასე იყო, საფიქრებელია, IV საუკუნეში ჩვ. ერამდის. დაბანის შემოკლებული ფორმაა დაბა.

უფრო გვიან, ჰაგიოგრაფიული ტექსტების ქართულ თარგმანებში ვხვდებით ასეთ გამოთქმას: ნისიმეს ცხოვრებაში (რომელიც V საუკუნის ქართული თარგმანი უნდა იყოს) ნათქვამია: "ათხუთმეტი ქალაქი ყოვლითურთ დაბით და სანახებითა". VII-VIII საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებში არის ასეთი გამოთქმანი: "ქალაქები და დაბნები", "ქალაქთა შინა და გარემო სოფლებსა და დაბნებსა", "ქალაქნი და სოფლები".[12] ამის მიხედვით ცხადია, რომ ქალაქის შემდეგ დასახლების მნიშვნელოვან ერთეულს წარმოადგენდა დაბანი, დაბა. მოქც. ქართლისაჲს ცნობის მიხედვით დაბანი დამოკიდებული იყო ქალაქზე, ეი. დაბანი იმყოფებოდა ქალაქის მეთაურთა ხელქვეით.

დაბის მცხოვრებნი იყვნენ მდაბნი და მკვიდრნი. იოანე მოსხის სამოთხეში (VII საუკუნის დასაწყისი) ვკითხულობთ: "მკვიდრნი მის დაბისანი", რომლის შესატყვისად იქვე ნახმარია: "მდაბიონნი" (ასეთი ადგილები ძველ ტექსტებში სხვაც არის). ამგვარად, დაბან-დაბის მცხოვრები მდაბი არის იმავე დროს მკვიდრი.

"უწყებულების" ცნობით (ეს ცნობა შეიძლება მოდიოდეს 500 წლის ახლო დროიდან) აზომ თავისი მამისგან წამოიყვანა "ათასი სახლი მდაბი უფლისა და კვალად ათი სახლი მთავართაგან და ყოველი დედაწულით მათით მოიყუანნა".[13] აქ მოხსენებულნი მდაბნი, ცხადია, არიან დაბათა (დაბნების) მცხოვრებნი. საყურადღებოა, ამ შემთხვევაში რიცხობრივი შეფარდება მდაბთა და მათ სათავეში მყოფ მთავართა შორის — მთავრები შეადგენენ მდაბთა 1%-ს. აქ იგულისხმება არა ძველი დროის, არამედ IX-X საუკუნის რიცხობრივი შეფარდება მთავართა და მდაბთა (ეი. დანარჩენ დამორჩილებულ მოსახლეობას) შორის.

ბიზანტიაში გლეხობა დაწყებული ლევ ისავრის და კონსტანტინე კოპრონიმის მიერ 726 წ. გამოცემული ეკლოგის (კანონის) დროიდან გარკვევით დასტურდება ორგვარი ხასიათის: 1) თავისუფალი გლეხები, რომელნიც მეპატრონის მიწაზე მუშაობდნენ და რომელნიც IX საუკუნიდან ატარებდნენ παροικοσ-ის სახელს. პაროიკები ხშირად იხდიდ-

---

12 . Keimena, გვ. 202, 227, 253.

13 . სასტორიო ძიებანი, გვ. 170.

ნენ მეპატრონის სასარგებლოდ მიწის შემოსავლის 1/10-ს, რის გამოც მათ სახელად ერქვათ კიდევ მორტიტები (1/10-ის გადამხდელნი), მაგრამ ეს გადასახადი სხვადასხვა იყო და ხშირად მოსავლის ნახევრამდისაც ადიოდა. თუ პაროიკი გარკვეულ მიწაზე ივდა 30 წელიწადს, მაშინ მეპატრონე უკვე ჰკარგავდა მისი გასახლების უფლებას, მეპატრონის მიმართ ვალდებულების შესრულება კი ძალაში რჩებოდა. 2) მეორე კატეგორიის გლეხები იყვნენ ბიზანტიაში სათემო ერთეულებში გაერთიანებულნი, რომელთა საერთო სახელი გამორკვეული არ არის. შესაძლებელია, ეს სახელი იყო, როგორც ამას თ.უსპენსკი[14] ფიქრობდა, ἔποικοι (დასახლებულნი). ლევ ისაურის 726 წლის ეკლოგაში ეს გლეხები დასახლებული არიან κοινωνοί, χωρῖται (მონაწილე მხარის და სოფლის მცხოვრენი) ქართულში იყო ამ ტერმინების სრული შესატყვისობა, სახელდობრ παροικοι არიან იგივე მსხემნი, ხოლო χωρῖται მსოფლიონნი და მკვიდრნი. შად. მაგ., გამოსვ. 12 48-49, სადაც "მკვიდრი" და "მსოფლიო" ერთსა და იმავე მცნებას გამოხატავენ.

ცალკე მოსახსენებელნი არიან კიდევ საკუთარი მეურნეობის მქონე შენებულნი, რომელნიც მიწის მესაკუთრის მიმართ პირობის დამოკიდებულებაში არიან (სარგებლობენ მფლობელის მიწით გარკვეული ვალდებულების პირობით). ისინი წარმოადგენდნენ მომავალი გლეხობის პროტოტიპს, მაშასადამე, ფეოდალური წყობის ელემენტს.

34. მონა.

ტერმინი მონა თითქოს უნდა იყოს წარმომდგარი მეგრული სიტყვიდან მოინალე (ზმნისაგან — ნინალა — სამსახური) და ნიშნავს მსახურს. შემდეგში ეს მეგრული ტერმინი შემოკლებული ფორმით გადავიდა ქართლურში (როგორც მაგ., მეგრ. კუდელი, ქართლური — კუდი) და ამნაირად შეიძლება წარმომდგარიყო ტერმინი მონა, რაც გვიანაც შუშანიკის ცხოვრებაში უდრის ქართლურსავე ტერმინს მსახურს.

იყვნენ შეშის მკოდელნი მონები, რომელნიც მეტად დაბალი საფეხურისა უნდა ყოფილიყვნენ.

იყვნენ კიდევ მონანი მოდგამნი, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ მეურნეობასა და ხელოსნობაში გამოყენებული მონები (ევსტათი მცხე-

---

14 . Ф. Успенский. К истории крестьянского землевладения в Византии. ЖМНП, 1883, февраль, стр. 300-313.

თელის VI საუკუნის პირველ მეოთხედში, ხელობით მეეკადაგე-მეხამლეს, ჰყავდა მონები, რომელთაც, საფიქრებელია, იყენებდა უფრო თავის სახელოსნოს წარმოებაში).

როგორც ქვემოთ ნაჩვენები იქნება, მფლობელთ ჰქონდათ საკუთარი მიწის მეურნეობა აგარების სახით, რომელიც მათ მიყავდათ საკუთარი მონების შრომით. ფეოდალურ ხანაში აგარები შეცვალა ხოდაბუნებმა (სპარსული წარმოშობის ტერმინია), მაგრამ ხოდაბუნების დასამუშავებლად იყენებდნენ უკვე გლეხების გარკვეულ შრომით ვალდებულებას, რომელიც მათ ედვათ.

უკანასკნელ მონებად იხსენიებიან აგრეთვე მფლობელთა (აზნაურთა) ხელქვეით მოქცეულნი მამეულები (გვარები) ხევები და თემები, რომელთა სათავეში უკვე იდგნენ აზნაურები. ცხადია, ასეთი სათემო ერთეულები ვერ ჩაითვლებოდნენ სრული აზნობის (თავისუფლების) მქონედ.

ნაცვლად დაბადების ქართული ტექსტის I ვერსიის გამოთქმისა "მეფეს სოლომონს უნებდა (უნდა, სთნდა) მათთა მიცემა (უნდა: მოცემა) ხარკი ვიდრე დღედმდე ამისა", II ვერსიაში ხმარებულია: "შეადგინნა სოლომონ ხარკსა მონობისასა" (ზუსტად გადმოთარგმნილია ბერძნულიდან ἐισ φάρον δονλείαι), ეი. აქ სიტყვა ხარკი ხმარებულია უკვე შემდეგდროინდელი მნიშვნელობით (გადასახადი). მაგრამ ეს ხარკი ყოფილა ნატურით გამოსაღები, რადგან იქვე ცოტა ქვემოთ, ნათქვამია I ვერსიაში — "და დაადგინა იგი ყოველთა ზედა შენებულთა სახლ/ი/სა იოსებისასა", II ვერსიაში ვკითხულობთ — "დაადგინა იგი მოტჯრთეთა ზედა სახლსა მის იოსაფისასა" (3 მეფ., 11, 28). II ვერსიაში ამგვარად ქართული თარგმანი თავისებურია. "ხარკი მონობისა" და "მოტჯრთე" იხმარება ერთი და იგივე მცნების გამომხატველად. II ვერსიის მოტჯრთეს შესატყვისად ბერძნულ ტექსტში არის ἐπιἄρσεις, რაც გაუგებრობას წარმოადგენს. ცხადია, რომ ქართველი მთარგმნელი აქ კითხულობდა არა ბერძნულ სიტყვას ἄρσιν, რაც მამობრივს ნიშნავს, არამედ ἄροσις (ἐπιἀρόσεις), რაც ნიშნავს ხვნას. ამის მიხედვით მოტჯრთე ნიშნავს მიწის ხვნასთან დაკავშირებულ მომუშავეს, რომელიც განსაზღვრულ ტვირთს აძლევს თავის უფალს. ეს არის ხარკი მონობისა, ეი. ამ შემთხვევაში მორჩილებისა.

ტვირთის მნიშვნელობისათვის საყურადღებოა ერთი ადგილი, ძველ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებიდან: "აღმკიდებელნი კარაულთა ზედა ღვინის, ყურძენისა, ლეღვისა და ყოვლისა ტვირთისა".

მ. ქ-სას ცნობა ხერკის სახელის წარმოშობის შესახებ (რომ ხერკს დაერქვა ეს სახელი მიწაზე დადებული ხარკისაგან) აგრეთვე ამტკიცებს, რომ ხარკი იყო მიწაზე დადებული გადასახადი.

ამ თემობრივ მოტვირთე მონობის რიცხვში, რასაკვირველია, არ შედიოდნენ ის თემობრივი ერთეულები (უფრო მთიან მხარეებში), რომელთაც თავისი თვითმმართველობა ჰქონდათ და რომელთა სათავეში ამორჩეული ხევისბერები იდგნენ.

მონის ვალდებულების რაობა ირკვევა დაბადების ბერძნულიდან ქართული თარგმანისვე მიხედვით, სახელდობრ, გამოს., 14, 12 ტერმინით მონება აღნიშნულია მუშაობა (იგულისხმება სავალდებულო ხასიათის). ამიტომ გამოდის, რომ მაშინ, როდესაც გლეხი V საუკუნეში წარმოადგენდა წვრილ მეურნეს, რომელიც იხდიდა თავის ბეგარის (ვალდებულების) ნაწილს ნატურალური გადასახადით, მონა ვალდებული იყო მუდამ ემუშავა თავის მეპატრონის სასარგებლოდ. ამიტომ ძლიერ საეჭვოა, რომ მას საკუთარი მეურნეობა ჰქონოდა მოწყობილი. საგულისხმებელია, რომ ის ცხოვრობდა თავისივე მეპატრონის კარზე.

ტერმინ მონის დამკვიდრებასთან ერთად ძველი ტერმინი ბეგარა იხმარებოდა თითქოს სპეციალურად მონების მუშაობით და სამსახურეობრივ მოვალეობის აღსანიშნავად. აქ კი ვხედავთ სულ სხვა მდგომარეობას — ბეგარა ნიშნავს არა მარტო შრომით ვალდებულებას, არამედ წვრილი მეურნის ნატურალურ გარკვეულ გადასახადს მიწათმფლობელის სასარგებლოდ. ცხადია, რომ დაახლოებით IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ან V საუკუნის პირველ მეოთხედში მოხდა მონების მასობრივად გადაყვანა წვრილ მეურნეებად, რის გამო მათ მიმართ ხმარებულმა ტერმინმა ბეგარამ ნაწილობრივ შეიცვალა თავისი ხასიათი. ამგვარად, ტერმინების მნიშვნელობის ასეთი ცვალებადობა იძლევა მონების მოძრაობის ფაქტის დადგენის საშუალებას ძველ ქართლში, რადგანაც, ცხადია, რომ მონების მასობრივად წვრილ მეურნე გლეხებად გადაყვანა უნდა მომხდარიყო მონების ამოძრავების შედეგადაც. შესაძლებელია, რომ ვარაზ-ბაკურის დროს მომხდარ ამბებს კავშირი აქვს ამ ცვლილებებთან.

შუშანიკის მაგალითიდან ჩანს, რომ ხელოსნობას ცალკეულ ხელოსანთა გარდა მისდევდნენ მსხვილ მფლობელთა კარზედაც. ამ

შემთხვევაში, ცხადია, მონა-მხევლების შრომის გამოყენებით. ასეთივე მდგომარეობა იყო ქალაქებშიც. ევსტათი მცხეთელს VI საუკუნის პირველ მეოთხედში მცხეთაში ჰყავს მონები. მცხეთაში მიწათმოქმედებისათვის სათანადო პირობები არ იყო. იმავე დროს ევსტათის ცეცხლთაყვანისმცემელთა უქმეზე — ტოზიკზე იწვევენ მცხეთის მეჯადაგენი და მეხამლენი, ეი. ფეხსაცმელთა (ჯადაგთა ანუ ჯღანთა) და ხამლის ანუ ქალამნის მკერავნი. ეჭვგარეშეა, რომ ევსტათის მოიწვევდნენ თავისივე ხელობის კაცნი. ფეხსაცმელების მკერავთ ჰქონდათ თავისი საერთო ჯელი, ჯელთ-უფალით სათავეში. ამიტომ ევსტათი თვითონაც უნდა ყოფილიყო მეჯადაგე და მეხამლე, რომელიც ამუშავებდა თავისთან საკუთარ მონებს.

ამგვარად, ქალაქებში მონური შრომა გამოყენებული იყო სახელოსნო წარმოებაშიც და ასეთი მდგომარეობა მოდიოდა ბევრად უფრო წინანდელ დროიდან.

35. მსახურნი.

შუშანიკის ცხოვრებაში მსახურებად იწოდებიან ვარსქენ პიტიახშის შინა მოსამსახურენი. ისინი იყვნენ პიტიახშის დამოკიდებულებაში. როგორც სხვა მასალებიდან ჩანს, მსახურნი V საუკუნეში უკვე შედარებით პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი იწოდებიან მონებადაც, მაგრამ ფაქტიურად უკვე ნახევრად დამოუკიდებელი მეურნეობის მქონენი არიან. ტერმინების შედარება ცხადჰყოფს V საუკუნისათვის მსახური თუ როგორ გადაქცეულა უკვე პრივილეგიურ მონად, რომელიც ფაქტიურად მონობის მდგომარეობიდან გამოსულია და გადაქცეულია ნახევრად თავისუფალ წვრილ მეურნედ, თუმცა მეპატრონის პირად მომსახურეობასაც ეწევა.

ყრმა I ვერსიით ნიშნავდა შინა მოსამსახურესაც. მეორე ვერსიაში კი ამის მაგივრად არის მსახური. (4 მეფ.,4): "შევიდა ქორსა მას დაიძინა და ჰრქუა გეეზს მსახურსა თჳსსა". მსახურნი აქ არის ბერძ. παιδάριον — ყმაწვილი. ასევე 4 მეფ., 4, 25, 38 I ვერსიაში არის ყველგან ყრმა ებრ. მოსამსახურე, ხოლო II ვერსიაში ბერძნული λειτουργός გადათარგმნილია, როგორც მსახური. რადგან λειτουργός იყო საზოგადოებრივი სამსახურის ან ვალდებულების შემსრულებელი პირი, ამიტომაც ამის მიხედვით მსახური V საუკუნის ახლოს ქართულად ეწოდებოდა ისეთ პირს, რომლის მდგომარეობა დაკავშირებული იყო გარკვეულ სა-

ზოგადოებრივ ვალდებულების შესრულებასთან. ასეთი ვალდებულება უპირველეს ყოვლისა უნდა ყოფილიყო სამხედრო ხასიათის.

I ვერს. (I მეფ., 8,15) "და ღვნო თქვენი გაანათავნეს და მისცეს საჭურისთა თჳსთა და მონათა თჳსთა"; ებრ. "ღვინის მოსავლის 1/10-ს მიიღებს და მისცემს ათავის კარის კაცთ და მოსამსახურეთ". საჭურისი, მაშასადამე, ნიშნავდა კარისკაცს, მოსამსახურე იყო იგივე მონა. II ვერსიაში აქ ასეა: "საცხოვართა თქვენთა ათეული მიიღოს და იყუნეთ თქვენ მონად და მსახურად". უკანასკნელი ორი სიტყვა (მონა და მსახური) ბერძნულში წარმოდგენილია მხოლოდ სიტყვით მონა. სიტყვა მსახური წარმოადგენს ქართველი მთარგმნელის დამატებას, ცხადია, იმიტომ, რომ მის დროს პირუტყვიდან ათეულის აღება შეეფერებოდა მსახურის მდგომარეობას. მთარგმნელმა სიტყვა მონა ვერ გამოსტოვა, რადგან ბერძნულში არის ამისი ფარდი სიტყვა (δουλοσ), მაგრამ იქვე საჭიროდ ჩასთვალა სათანადო განმარტება მიეცა.

მთარგმნელის ამ თავისებური გადახვევის გამო ვღებულობთ საყურადღებო დასკვნას, რომ მსახურთ V საუკუნეში ჰქონდათ თავისი მეურნეობა, მათ ჰქონდათ თავის სარგებლობაში მიწა და ისინი იხდიდნენ თავისი მოსავლის (მთარგმნელს მარტო "საცხოვარი" აქვს მოხსენიებული, რადგანაც ასეა ამ ადგილას ბერძნულ ტექსტში) 1/10-ს მეფის სასარგებლოდ. ეს იყო "წესი" მეფისა.

36. წყობილების საერთო ხასიათი.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ფარნავაზიანთა დინასტიის დროიდან ქართული ქვეყნები თავიანთი წამყვანი მნიშვნელობის მხარეების მიხედვით წარმოადგენდნენ განვითარებული მონათმფლობელური წყობილების მქონე ქვეყანას (მანამდის იყო ადრე მონათმფლობელური წყობილება, რომელსაც მეტწილად თავში მაინც ახასიათებდა სატაძრო ანუ ქურუმთა მონათმფლობელობა). ეს იმას ნიშნავს, რომ წამყვან მხარეებში, ასე თუ ისე, გაბატონებული იყო მაშინდელი პირობებისათვის უფრო პროგრესული და მეტი დოვლათის მომცემი მონათმფლობელური წარმოების წესი, რომელშიდაც სამუშაო ფიზიკურ ძალას შეადგენდნენ მონები. მონები იყვნენ სხვადასხვა კატეგორიების დაწყებული სრულიად უუფლებო ადამიანთაგან ვიდრე ზოგიერთი პრივილეგიებით აღჭურვილ პირთა ჩათვლით. მონობა წარმოადგენდა იმდენად დამახასიათებელ მოვლენას, რომ თვით ეს ტერმინი იხმარებოდა ზოგადად დამორჩილებული მდგომარეობის

აღსანიშნავად (მაგ., აზნაურიც ისახელებოდა თავისი ზემდგომის მონად და სხვა). მონური შრომა გამოყენებული იყო მსხვილ და საშუალო სამიწათმოქმედო მეურნეობაში, სახელოსნო წარმოებაში, მონები იყვნენ მფლობელთა პირად სამსახურშიც, როგორც ამას მოწმობს შუშანიკის და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. მონები ძველი საბერძნეთის პოლისებში (ქალაქებში) შეადგენდნენ მოსახლეობის თვალსაჩინო ნაწილს და უმრავლესობასაც, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თავისუფალ მოქალაქეთ. მონები არც კი ითვლებოდნენ საზოგადოებრივი თვალსაზრისით ანგარიშგასაწევ პიროვნებებად. ქართულ ქვეყნებშიც თავისუფალ ქალაქებში სრულუფლებიან პირებად ითვლებოდნენ თავისუფალი მოქალაქენი, რომელთაც ჰქონდათ კიდეც სხვადასხვა პრივილეგიები.

მოსახლეობის მეტი ნაწილი, განსაკუთრებით მთიან მხარეებში, განაგრძობდა ცხოვრებას თემობრივ ერთეულებად. მთიანი მხარეები თავისი ნაკლები მიწიანობით, საერთოდ მწირი ბუნებით არ იძლეოდა დამონებული და დამორჩილებული ადამიანის ექსპლუატაციის შესაძლებლობას, ვერ უზრუნველყოფდა ასეთი ადამიანის ფიზიკური არსებობისათვის საჭირო მონაცემებსაც კი მისი შრომის ნაკლები ეფექტიანობის გამო. ამიტომ მთა საერთოდ კლასობრივი საზოგადოების თვისებებს ვერ ეგუებოდა და მათ ათვისებას ვერ ახერხებდა.

III საუკუნეში რომის იმპერიაში იწყება მონათმფლობელური წყობილების რღვევა. მონის იძულებითი შრომა შედარებით თავისუფალი ადამიანის შრომასთან უკვე ნაკლებ ეფექტიანი გახდა. თავისუფალი მიწათმოქმედება ანდა ნახევრადთავისუფალ მიწათმოქმედთა ეგრეთ წოდებული კოლონების შრომა ღრღნიდა მონათმფლობელურ წყობილებას. ეს, როგორც ეტყობა, დამახასიათებელი იყო წინა აზიის წამყვანი მნიშვნელობის ქვეყნებისათვისაც.

თავისი სოციალური ცხოვრების განვითარების მხრივ ქართველი ხალხი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და უპასუხებდა მისი სამხრეთით მყოფ მაღალკულტურული რომის იმპერიის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რომის იმპერიის და აგრეთვე სპარსეთის ძლიერი მონარქიის შინაგან მძლავრ ძვრებს.

იმპერატორ დიოკლიტიანეს (284-305 წწ.) დროს კერძოდ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში გატარებული რეფორმები — თვალსაჩინოდ ლიტურგიულ, ეი. სამსახურეობრივ პრინციპზე დამყარებული, როდესაც სახელმწიფო დგება ყველა წოდებათაგან გარკვეულ და

ხშირად მემკვიდრეობითი სამსახურის მოთხოვნის გზაზე, — სამართლიანად აღიარებულია მომავალი ფეოდალური საზოგადოების შემამზადებელ ნიშანდობლივ საფეხურად. მონათმფლობელური წყობილება ირღვევა და მზადდება ნიადაგი მომავალი ფეოდალური წყობილებისკენ თანდათან გადასვლისათვის.

ანალოგიურ პროცესს ადგილი ჰქონდა სპარსეთის მონარქიის წამყვან მხარეებში. სასანიანთა მხარის სპარსეთის შესახებ მცირე მასალაა მოწვენილი და ამიტომაც ამ ხანის სპარსეთის ისტორია, შედარებით რომის იმპერიის ისტორიასთან, ბევრად ნაკლებ არის შესწავლილი. მაგრამ ზემოთ მოტანილი ცალკეული ფაქტებიდან ცხადი ხდება, რომ სპარსეთიც, კერძოდ IV და განსაკუთრებით V საუკუნეში მოცული იყო წოდებათა მემკვიდრეობითი სამსახურის გაძლიერების პროცესით.

ქართულ ქვეყნებში ბევრ ადგილას მონების გვერდით ძლიერდებოდა მიწათმფლობელის დამოკიდებულებაში მყოფ წვრილ მეურნეთა მემკვიდრე მსახურეობრივი წოდება, რომელსაც შემდეგ გლეხობის სახელი განუმტკიცდა. თემობრივი ცხოვრებაც, რომელსაც ქართულ ქვეყნებში განსაკუთრებული განვრცობა და სიძლიერე ახასიათებდა, უფრო და უფრო იზღუდებოდა. სახელმწიფო ემყარებოდა უფრო და უფრო მზარდ მდგომარეობაში მყოფ თავისუფალ მფლობელთა, განსაკუთრებით მსხვილმფლობელთა (აზნაურთა და დიდაზნაურთა) ფენებს და იმავე დროს დიდ ყურადღებას აქცევდა წელმაგარ მემკვიდრე-მსახურებულ წვრილ მეურნეთა (გლეხთა) კონტიგენტის გამრავლებას და ამით მონობის უარყოფითი მხარეების შერბილებას. მაგრამ რამდენადაც მონები, განსაკუთრებით ქალაქებში, მაინც არსებობდნენ, იმდენად კვლავინდებურად ადგილი ჰქონდა მათ სასტიკ ექსპლუატაციას. მიწების მხრივ ეს იწვევდა საწინააღმდეგო განწყობილებას.

ის გარემოება, რომ ქრისტიანობა ჩვენში ვრცელდებოდა იმავე დროს, როდესაც ის მძლავრად იკიდებდა ფეხს რომის იმპერიაში, ამტკიცებს იმას, რომ ქართულ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა ამ ხანაში ისეთსავე ძვრებს, რომელნიც აღინიშნებიან კერძოდ რომის იმპერიაში. ქრისტიანობა თეორიულად მაინც (ღვთის მიმართ) ქადაგებდა ადამიანთა თანასწორობას და ამით ის მიმართული იყო მონათმფლობელობის წინააღმდეგ. ამიტომაც ზოგიერთი პროგრესული ხასიათის რეფორმა, რომელიც ტარდებოდა რომის სახელმწიფოში, თავის გამოძახილს პოულობდა ქართულ ქვეყნებშიც. ორიოდე მაგალითი შეიძლება დასახელებულ იქნას.

მირიანის მეფობის დროს დაახლოებით 300 წლის ახლოს ქართლის სამეფოში უნდა გატარებული ყოფილიყო ერთი რეფორმა. ეს რეფორმა წარმოადგენს იმპერატორ დიოკლიტიანეს დროს (284-305 წ.) შემოღებულ სათავო გადასახადის განმეორებას. ეს სათავო გადასახადი (capitatio) დაწესებულ იქნა კაცის თავზე (caput). კაცის თავად კი იგულისხმებოდა სრულწლოვანი მამაკაცი — მიწათმოქმედი. ეს გადასახადი რომის იმპერიაში საყოველთაო იყო და ის უნდა გადაეხადა როგორც თავისუფალ მესაკუთრეს, ისე ნახევრადთავისუფალ კოლონს და აგრეთვე მონის მაგივრად მონის მეპატრონესაც. პირველად ამ შემთხვევაში მონა დაყენებულ იქნა თავისუფალ ადამიანთან ერთნაირ ვალდებულებითს მდგომარეობაში და ამიტომაც ამ გადასახადის დაწესება შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც მონათმფლობელური წყობილების აშკარა რღვევის მომასწავებელი.

ფეოდალურ საქართველოში ცნობილი იყო ტერმინი ბეგარა, რომელიც იხმარებოდა ორი მნიშვნელობით: 1. მუშაობითი ვალდებულების და 2. გარკვეული ნორმის გადასახადის აღსანიშნავად. კარგად არის ამ ტერმინის ორივე მნიშვნელობა მოცემული შიო მღვიმის მონასტრის X საუკუნის საბუთში. მიქელ მემღვიმე (მღვიმის მონასტრის წინამძღვარი) წერს ამ საბუთში: "დავადევ (სოფ. ცხევერის მცხოვრებთ) ერთი დღე ანეული ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი_ ბეგარი, ჩვენი მოსაცემელი. კაცისა თავსა ორ-ორი ვეკმი შეჭამადი, ორ-ორი პური, ორ-ორი პირი ღვინო". პირველ შემთხვევაში ბეგარი (ბეგარა) ნიშნავს ვალდებულებითს მუშაობას, მეორე შემთხვევაში კი ერთდროულ მისატან და გადასახდელ სურსათს. დას. საქართველოს XVI-XVII საუკუნის საბეგრო დავთრებში მოხსენიებულია თავი ბეგარა, რომელიც შედგებოდა გარკვეული რაოდენობის პურის თუ ღომის, ღვინის, საკლავის და სხვა ასეთებისაგან. ბეგარა ეხლაც ნიშნავს მუშაობით ვალდებულებას. ეს ტერმინი ნიშნავდა აგრეთვე (მაგ., რაჭაში, რევოლუციის წინა ხანაში) უფროსთან ანდა დროებით ვალდებულ გლეხის მიერ მემამულესთან მისატან ერთდროულ ნებაყოფლობით ძღვენსაც.

შიო მღვიმის X საუკუნის სიგელი ამტკიცებს, რომ საქართველოში ძველ ხანაშივე არსებობდა საბეგრო სამუშაოს გარდა ბეგარა "კაცისა თავს"-აც.

სიტყვა ბეგარა არის ასურული წარმოშობის, სადაც pakru, pakurru ნიშნავს მოთხოვნას, პრეტენზიას. თავდაპირველად, მაშასადამე,

სიტყვა ბეგარა, სხვა ხალხების მიერ ათვისებული, ნიშნავდა მებატონის თუ სახელმწიფოს მიერ დამორჩილებულ ადამიანებისადმი წაყენებულ მოთხოვნას, პრეტენზიას. ტერმინს ძველადვე მიეცა ტექნიკური მნიშვნელობა გარკვეული ვალდებულების აღსანიშნავად და ამ სახით ის ათვისებულ იქნა სპარსელების მიერ. ბიგარ ( ) სპარსულში ეხლაც ნიშნავს უფასოდ შესრულებულ სავალდებულო სამუშაოს. სომხეთში ეს ტერმინი იმავე მნიშვნელობის ფორმით ბეკარ (բեկար) მოხსენიებულია დვინის საეკლესიო კრების დადგენილებაში 641 წ., მაგრამ ის სომხურშიდაც, რასაკვირველია, ბევრად უფრო ძველ დროში უნდა იყოს შესული. იგივე ტერმინი სპარსულიდან შესულია აზერბეიჯანულში (ბიიარ, ბეიარ), თურქმენულსა და ყაზახურში (ბაიარ), ყველგან სავალდებულო სამუშაოს მნიშვნელობით. ამავე მნიშვნელობით ეს ტერმინი უძველეს დროში შემოსულა ქართულშიც, მაგრამ ქართულში ის იხმარებოდა სათავო გადასახადის აღსანიშნავადაც. თვით სათავო გადასახადი შეიძლება ქართველებში დაწესებულიყო რომის იმპერიის მიბაძვით და ზეგავლენით, უფრო მაშინ, როდესაც ძველი ქართლი იმყოფებოდა რომაელების პოლიტიკური დამოკიდებულების ქვეშ: ეს უკვე არ შეიძლებოდა ყოფილიყო 369 წლის შემდეგ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ბეგარა "კაცისა თავს" ანდა "თავიბეგარა" შემოღებულ იქნა ქართლში თვით იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს ანდა მის შემდეგ უახლოეს ხანაში.

სათავო გადასახადს ირანში, არაბი მწერლების და თალმუდის დამოწმებით, ერქვა karaga. ეს გადასახადი დაწესებული იყო მამაკაცებზე.[15] შემდეგში ტერმინი დადასტურებულია ქართულშიც. აქედან წარმოიშვა ქართული კარგი, საკარგავი (§ 99).

ტაბარი ჩამოთვლის თუ ვინ იყვნენ სასანიანთა სპარსეთში განთავისუფლებულნი სათავო (gizya=capitatio) გადასახადისაგან. ესენი იყვნენ: 'სახლების წევრნი", დიდ-დიდნი, ჯარი (al-makatila), მწიგნობარნი (Herbad) და საერთოდ მეფეთ მეფის სამსახურში მყოფნი.[16]

სათავო გადასახადის რაობის შესახებ ქართულ ქვეყნებში შეიძლება ასეთ მოსაზრებათა წამოყენება. იმპერატორმა კონსტანტინემ

---

15 . Baba batha, III, 3. Der babilonische Talmud, herausgegeben von L. Goldschmidt, Leipzig, p. 1086 (Н. В. Пигулевская. Византия и Иран на рубеже VI-VII вв. М.-Л, 1946, стр. 224).

16 . Fr. Altheim, R. Stiel, Asien und Rom, neue Urkunden aus sassanidischer Frühzeit, Tubingen, 1952, ss. 42-43.

ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი (323-331 წწ.) გაგზავნა საქართველოში. ეს უნდა მომხდარიყო 330 წლის ახლოს. ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (1648-1672 წწ.), რომელსაც სათანადო პირველწყაროები ჰქონდა ხელთ, გადმოგვცემს, რომ პატრიარქმა ევსტათიმ "მონათლა ყველა ქართველი (ეი. ხელი შეუწყო ქრისტიანობის სწრაფად გავრცელებას საქართველოში), გააშენა ეკლესიები (უკეთ ხელი შეუწყო მათ გაშენებას), აკურთხა ისინი და აკურთხა აგრეთვე (ქართველებისთვის) მღვდლები და დიაკვნები". ქართველების მეფემ დაუნიშნა ანტიოქიის პატრიარქს ათასი სოფლის შემოსავალი ათასი დინარი მირონის საფასურად. ასეთია ეს ცნობა. მაშინ მხოლოდ ანტიოქიის პატრიარქს ჰქონდა მირონის მოხარშვის და სხვა ეკლესიებისათვის მისი დაგზავნის უფლება. მირონის მოხარშვის უფლება ქართველებმა მიიღეს მხოლოდ პატრიარქ თეოდორეს (970-975 წწ.) დროს.[17]

ეს ცნობა ბერძნულიდან გადმოღებულ ძველ ქართულ ტექსტებში (IX-XI სს.) გადმოცემულია შემდეგნაირად: თავდაპირველად მირონის საფასურად განკუთვნილი იყო ასი სოფლის შემოსავალი, ასი დრაჰკანი, მეორე ვერსიით ათასი კომლის შემოსავალი — ათასი დრაჰკანი.[18] შემდეგდროინდელ გადმონაცემებში ჩანს ამ გადასახადის გაზვიადების ტენდენცია, მაგრამ თავდაპირველად, როგორც ეტყობა, მირონისთვის განკუთვნილი ყოფილა ასი სოფლის იმავე ათასი კომლის სათავო გადასახადი ასი დინარის რაოდენობით. ოქროს დინარზე მოდიოდა ვერცხლის 15 დირჰემი.[19] გარკვეულ საუკუნეებში ეს შეფარდებანი იყო საკმაოდ მყარი და ამიტომ ზოგადად გამოდგება სათავო გადასახადის (მიახლოებით, რასაკვირველია) გასაანგარიშებლად. ამიტომ, ათასი კომლის სათაო გადასახადად, რომელიც დათმობილ იქნა მირონის საფასურად, შეიძლება ვივარაუდოთ 1500 დირჰემი (დრამა) ანუ კომლზე 1 1/2 დრამა.

---

17 . П. Жузе. Грузия в XVII столетии по изображению патриарха Макария. Казань, 1905, стр. 8-10.

18 . უწყებულების (ს. კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი, გვ. 172) და ეფრემ მცირის ცნობები (თ. ეორდანია, ქრონიკები. I, გვ. 76-77).

19 . ს. კაკაბაძე. საფასის ისტორიისათვის საქართველოში, საისტორიო მოამბე, 1925, I, გვ. 5 და შემდეგ. ერაყული როტლიდან (ლიტრიდან) იჭრებოდა ოქროსი 96 დინარი და ვერცხლისა 144 დირჰემი. ოქროს და ვერცხლის როგორც 1:10 შეფარდებით დინარზე მოდის 15 დირჰემი.

მეორე საკითხია წყალობის ყმათა დაწესების შესახებ. ტერმინი "წყალობის ყმა" დოკუმენტურად დადასტურებულია მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში, მაგრამ ეს ამკარად რომაელების ზეგავლენით წარმოშობილი ტერმინია და ძლიერ ძველი უნდა იყოს: ტერმინი "წყალობის ყმა" უდრის რომაულ პრეკარის (ლათინ. precarium – გამოთხოვილი, წყალობით მოცემული, როდესაც სუსტი მიმართავდა მფარველობის თხოვნით ძლიერს და თავისსავე მიწას იმტკიცებდა მისგან წყალობად მოცემულის სახით). დაბადების თარგმანის პირველ ვერსიაში ყრმა იხმარება ყრუდ მსახურის და მონის მნიშვნელობითაც (მაგ., 3 მეფ., 9, 22 და ბევრგან სხვაგან). იმავე თარგმანის მეორე ვერსია განასხვავებს ერთმანეთისაგან მონას და ყრმას (ყრმა იხმარება ახალგაზრდის, ნორჩის მნიშვნელობით). სახარების ქართული თარგმანის პირველი ვერსია (ადიშ.) ტერმინ ყრმას იხსენიებს მხოლოდ ასაკობრივი მნიშვნელობით (ნორჩი, ახალგაზრდა) და არცერთხელ მონის აღსანიშნავად. სახარების ქართ. თარგმანის II ვერსიაში კი ზოგ იმ ადგილას, სადაც პირველი ვერსიის ქართულ ტექსტში იყო ყმა, იხსენიება მონა (მაგ., მათ., 8,6,13 და სხვ.). მაგრამ ეს იმიტომ, რომ ბერძნულ ტექსტში, რომელთანაც ქართული თარგმანია შეჯერებული, არის მონის აღმნიშვნელი სიტყვა δουλοσ, ამიტომ საფიქრებელია, რომ IV საუკუნის მეორე ნახევარში ტერმინი ყრმა ქართულში მონის აღსანიშნავად უკვე არ იხმარებოდა.

ტერმინი "წყალობის ყმა" როგორც რომაული სამართლის პრეკარის ზეგავლენით წარმოდგარი, შეიძლება ჩვენში შემოსულიყო, როდესაც ქართლი რომის იმპერიის ხელქვეთ იმყოფებოდა, ეი. IV საუკუნის პირველ ორ მესამედში. შესაძლებელია, ეს რეფორმა გატარდა ქრისტიანობის ჩვენში შემოსვლის შემდეგ, როდესაც უნდა გაძლიერებულიყო მონების ნაწილობრივ გადაყვანა ნახევრად დამოკიდებულ მდგომარეობაში.

სათაურ გადასახადის და წყალობის ყმათა დაწესების შემოღება უნდა იყოს ქართლის სინამდვილეში რღვევის გზაზე დამდგარი მონათმფლობელური წყობილების წიაღში ფეოდალური წყობის ელემენტების შეჭრის მაჩვენებელი.

პირველი, გარკვეული ცნობა, ირანში ფეოდალური პირობითი მფლობელობის შესახებ მიეკუთვნება ბაჰრამ გურის (420-438 წწ.) ხანას. მასუდის აქვს ასეთი ცნობა: მეფე ბაჰრამმა გასცა თავის დაახ-

ლოებულ პირთ და აგრეთვე იმათ, ვინც მასთან იყვნენ მსახურთაგან და მის ერთგულთაგან, მამულები პირობით სამფლობელოდ" (არაბულ ტექსტში ნახმარია სიტყვა იკტა, რომელიც შემდეგ პირობით სამხედრო მამულს ნიშნავდა, ეი. მამულს, რომელიც ეძლეოდა ამა თუ იმ პირს სამხედრო სამსახურის შესრულების პირობით). ეს მამულები განთავისუფლებული ყოფილან ხარაჯისაგან, ეი. სამიწო გადასახადისაგან. ამას მოჰყვა შედეგად, რომ ყველანი ცდილობდნენ ასეთ მიწებზე მოხვედროდნენ. სხვა მიწები (რომელნიც როგორც ეტყობა, დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ) დაცარიელდნენ. ხაზინას შემოსავალი არ ჰქონდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიც გაქრა, დაზარალდა დიდად ჯარი და სამხედრო ინტერესები. მაშინ ბაჰრამმა აღადგინა ისევ წინანდელი წესები, პირობითი მიწები (იკტაებად გაცემულნი) დაუბრუნა წინანდელ მფლობელთ, მიწათმოქმედება აღდგა, ქალაქებიც გამოცოცხლდნენ და ხაზინის შემოსავალიც შეივსო.

მასუდის ეს ცნობა მოცემული აქვს საკმაოდ ვრცელ ბელეტრისტულ ფორმაში და თვით ფაქტი მიკუთვნებულია სხვა ბაჰრამ მეფისათვის. მაგრამ, როგორც ეს აღნიშნული აქვს ნ.პიგულევსკაიას,[20] აქ უნდა იგულისხმებოდეს მეფე ბაჰრამ V გური, რომლის დროს ფირდოუსის სიტყვით (ფირდოუსის კი ეს ცნობა ამოღებული უნდა ჰქონდეს ხვადაინამიდან) გაუქმებულ იქნა დიდი რაოდენობით დარჩენილი დავალიანება — გადასახადების საქმეში. მთელი ირანის სახელმწიფო მოიცვა სიხარულმა, როდესაც ბაჰრამმა ამ დავალიანების შესახებ არსებული საბუთები ცეცხლს მისცა. ტაძრებში ამის გამო გადახდილ იქნა სპეციალური ლოცვები.

ფირდოუსის ცნობა უნდა წარმოადგენდეს იმავე ფაქტის ანარეკლს, რომელიც უფრო გაშლილად მოცემული აქვს მასუდის. პირობით მფლობელობითი მიწების გაცემა შეიძლება მომხდარიყო მსხვილ მესაკუთრეთა სამფლობელოებიდან, რომელნიც თავიანთი მიწების მეტ ნაწილს მონების შრომით ამუშავებდნენ. მონების შრომის პროდუქტიულობის დაცემის გამო მსხვილი მიწათმფლობელნი ველარ ახერხებდნენ სახელმწიფო გადასახადების შეტანას. კეივანის ანგარიშით მთელი დავალიანება გადასახადების მხრივ ხაზინის მიმართ აღწევდა 93 მილიონ დირჰემს.[21] ცხადია, ირანის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ მა-

---

20 . Н. В. Пигулевская. Города Ирана в раннем средневековье, стр. 214-215.
21 . Le livre des rois par Firdousi, publié par I. Mohl, V, pp. 558-559.

მულების პირობითი გაცემით მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით და ამიტომ დავალიანების გაუქმებასთან ერთად აღდგენილ იქნა წინანდელი მიწათმფლობელობა, ეი. ჩამორთმეული მამულები კვლავ დაუბრუნდა წინანდელ მესაკუთრეთ. ქვეყანა ჯერ არ აღმოჩნდა მზად პირობითი მფლობელობის განსახორციელებლად.

ხსენებული მარცხის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ მიწები პირობით მიეცა მეფის ახლო მსახურთ და მისთვის სანდო პირთ, რომელნიც მიწას, საფიქრებელია, თვითონ არ ამუშავებდნენ (როგორც მეფის კარზე მყოფთ ეს მათ არც შეეძლოთ), ხოლო ამ მიწებზე გაქცეულ შემთხვევით პირთაგან მეურნეობის მოწყობა არ ხერხდებოდა.

მონათმფლობელნი კიდევ შემცირებულად მათ ხელში დარჩენილ მიწებზე თავიანთი მონებით ზედმეტ პროდუქტებს ვერ ჰქმნიდნენ და ამან გამოიწვია საერთო ეკონომიური კრიზისი. ცხადი იყო, რომ საქმეს სხვაგვარად უნდოდა მოგვარება. ვბარტოლდი,[22] ქრისტენსენი და, უკანასკნელად კიდევ უფრო გაშლილად და ახალი საბუთიანობით, ნ. პიგულევსკაია ამტკიცებდნენ, რომ V საუკუნის ირანს ახასიათებდა "კეთილშობილ" მიწათმოქმედთა (აზატების) როლის გაძლიერება წარჩინებულ არისტოკრატიის, ეი. მსხვილ მიწათმფლობელთა და მონათმფლობელთა ხარჯზე.

ქართულ სინამდვილეში ეს პროცესი მიმდინარეობდა ჩვეულებრივ აზნაურთა როლის გაძლიერებით და განმტკიცებით სახელმწიფო ცხოვრებაში. როგორც მსხვილი მფლობელნი წარჩინებულნი, ისე წვრილი თავისუფალნი პირნი (იგივე აზნაურნი) აწყობდნენ თავიანთ მეურნეობას არა მარტო მათ ხელში მყოფ მონების შრომის გამოყენებით, არამედ ამასთანავე ზედმეტ მიწაზე პირობითი ნახევრადთავისუფალი, ე.წ. უაზნო მიწათმოქმედთა დასახლებით, რომელთაც თავისი საკუთარი მეურნეობა ჰქონდათ. შემდეგ ისინი იწოდებოდნენ გლეხებად. სპარსეთში წარჩინებული, დიდგვაროვანი და მდიდარი ფენა მეტწილად ემყარებოდა თავის საგვარეულო მიწებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მამულებს (იგულისხმება დასტაკარტები). ამ მიწებსა და მამულებში ფართო მოხმარება ჰქონდა მონების შრომას, რაც ცნო-

---

22 . В. В. Бартольд. К истории крестьянских движений в Персии. ПГД, 1923, стр. 56.

ბილია წყაროებიდანაც– წარჩინებული ფენა, ეი. არისტოკრატია მეტწილად იყო მონათმფლობელური და ახლა გადადიოდა მეურნეობის ახალ გარდამავალ ფეოდალურ ფორმებზე".[23]

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო ქართულ ქვეყნებშიც.

23 . Н. В. Пигулевская. Города Ирана ..., стр. 217.

37. მეუფე-მეფე, მისი უფლება და ინსიგნიები.

V საუკუნეში ქართველები თავისი სახელმწიფოს მეთაურის მიმართ ხმარობდნენ უფრო ტერმინ მეუფეს და იშვიათად ამის შემოკლებულ ფორმას მეფეს. სახარების ქართული თარგმანის ორივე ვერსიაში 47-ჯერ იხმარება ტერმინი მეუფე და მხოლოდ 12-ჯერ მეფე. ამ თორმეტი შემთხვევის ნაწილიც შემდეგდროინდელ გადამწერთა მიერ იქნება შესწორებული, მხოლოდ VI საუკუნიდან იმარჯვებს ტერმინი მეფე.

ჯუანშერის ცნობიდან ვახტანგ გორგასალის შესახებ ჩანს, რომ მეფის მოვალეობა მაშინ ესმოდათ როგორც "მეედრობაჲ და წყობათა წინამძღვრობაჲ და შინა მეფობისა განგებაჲ", ეი. ცხენოსნობა, ჯარის წინამძღოლობა ბრძოლის დროს და შიგნით კიდევ ქვეყნის საქმეების გამგებლობა. 15 წლის ვახტანგის მიმართ ჯუანშერ სასასეტს ავტორი ჯუანშერი ასე ალაპარაკებს: "შეფეო, დაღაცათუ სრულ ხარ სიბრძნითა და ძალითა, სიმკნითა და ჰასაკითა, არამედ გაკლს სისრულე დღეთა მეედრობისათჳს, ხოლო ჳხედავ სიბრძნესა შენსა, დაღაცათუ ყრმა ხარ, არამედ ძალგიც განგება მეფობისა, ხოლო მეედრობისა და წყობათა წინა განწყობისა შენისა არა არს ჟამი" (გვ. 149).

მეფის შემკულობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო "საწამებელი" (4 მეფ., 11, 12, I ვერს.) და "წამება" (იქვე, II ვერსია), რომელიც იხსენიება გვირგვინის (II ვერსიით იეზერის) გარდა. ეს მაჩვენებელია იმისი, რომ წამების (კრების) ხელმძღვანელს უძველეს ხანაში ჰქონდა თავისი ძალაუფლების ატრიბუტები (შემკულობა).

მეფის ნიშანდობლივ სამკაულს შეადგენდა გვირგვინი, რომელიც თავზე დასადგამი იყო. ადერკის მეფედ აღიარების შემდეგ ქართველებმა მემატიანეთი "მიიღეს გჳრგჳნი (მისი წინა მოადგილე მეფის) არშაკისი და დაადგეს ადერკის და წარმოიყვანეს" (გვ. 35). სიტყვა გვირგვინი არის სპარსულიდან ნასესხები. ახალ სპარსულში გოჰარი-გუნ ( ) ნიშნავს ძვირფასი თვლებით შემკულ ნივთს. გვირგვინის შესატყვისი სხვა ძველი ტერმინი ყოფილა იეზერი, შემონახული ბერძნულიდან თარგმნილ ქართულ ტექსტში. საფიქრებელია, რომ V საუკუნეში ქართულად უფრო ეს ტერმინი იხმარებოდა.

სასანიანთა სპარსეთში შვიდი გვარეულობა ითვლებოდა ყველაზე უფრო მაღლა მდგომად. პირველი მათ შორის (არგაბადიანთა) იყო თვით სამეფო გვარეულობა, რომლის წევრს ეკალებოდა ახალი მეფისათვის გვირგვინის თავზე დადგმა. დანარჩენ გვარეულობათ მემკვიდრეობით

მიკუთვნებული ჰქონდათ უმაღლესი თანამდებობანი. ერთ-ერთი მათგანის ერან ამბარაგბად-ის (ერანის სამხედრო საწყობების და საგანძურების უფროსის) V საუკუნის შუა ხანებში. ვეჰდენ-შაპპურის გემმა მისი სურათით შემონახულია.[24]

მას აქვს თავზე გვირგვინი ისეთივე, როგორც ვახტანგს. მხოლოდ ვეჰდენის გვირგვინის თავზე გაურკვეველი ნიშანის მაგიერ ვახტანგს თავის გვირგვინზე ჯვარი აქვს გაკეთებული. ჩანს, ქართლის მეფე სპარსეთის მონარქიაში თავისი მდგომარეობით (შაპის დინასტიის გამოკლებით) დანარჩენ უპირველეს ექვს გვარეულობათა მეთაურებთან იყო გათანასწორებული.

38. პიტიახში და ეზოს მოძღვარი.

ძველ ქართლში მმართველობის არსებული სისტემის დასახასიათებლად "ქართლის ცხოვრების" ავტორი გადმოგვცემს ფარნავაზის დროს ვითომ შემოღებული წესების შესახებ, რომ "განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მისგაესებულად სამეუფისა სპარსთასა" (გვ. 25). სახელდობრ, იქ ნათქვამია, რომ ქართლის სამეფო გაყოფილ იქნა საერისთავოებად, ერისთავები თავის მხრივ ემორჩილებოდნენ სპასპეტს, ხოლო მათ ხელქვეით ადგილებზე კი იყვნენ სპასალარნი და ათასის თავნი (გვ. 24-25). ქსენოფონტენტე (IV საუკუნის დასაწყისს ჩვ. ერამდე) გადმოგვცემს ამ სპარსული წესების შესახებ (კიროპედია, VIII, 1, 14), რომ აქემენიანთა დინასტიის დამაარსებელმა მეფე კირმა (559-530 წწ. ჩვ. ერამდის) ფინანსიური საქმეების მოსაგვარებლად, ჯარში მიღებული წესის თანახმად, დააწესა სამოქალაქო მმართველობაშიც თანამდებობანი ათისთავისა ათი ერთეულის (გვარის ან სახლის უფროსად), ამის ზემოთ ასისთავის (ასი ასეთივე ერთეულის უფროსად) და ასე შემდეგ, ათასისთავის და ათიათასისთავის თანამდებობანი. ფარნავაზის წინ და ნაწილობრივ ფარნავაზის შემდეგაც ქართლის სამეფო დაახლოებით ამავე წესზე იქნებოდა მოწყობილი, როგორიც აქემენიანთა საბრძანებელში იყო. მაგრამ ქართველ მემატიანეს თავისი ცნობა ფარნავაზის შესახებ თვალსაჩინოდ მოდერნიზებული აქვს სასანიანთა სპარსეთის ფაქტების მიხედვით და ამიტომ იქ ზოგი რამ გადასხვაფერებულია.

ნამდვილად სანდო ცნობას ქართლის სამეუფოში მმართველობის შესახებ არსებული წესის შესახებ ცნობას იძლევა არმაზის ბილინგვა. ამ

---

24 . Fr. Sarre.Die Kunst des alten Persien, Berlin, 1922, Pl. 145; A.Christensen. L'Iran sous les Sassanides, Copenhague, 1944,p.288.

მონაცემის მიხედვით ირკვევა, რომ ქართლის სამეფოში I საუკუნეში მეფის შემდეგი პირველი პირი იყო პიტიახში (პიტიაშხი).

არმაზის ბილინგვაში მოხსენიებულნი არიან გარკვეული პირნი (მეფენი და პიტიახშნი), ხოლო იქვე ნაპოვნ არამეულ წარწერაში მოთხრობილია ფარსმან მეფის ძის მირდატ მეფის დროს ზევახის ძის შრგს (შერგის) პიტიახშის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა შესახებ. ამ ორ წარწერაში პირნი განლაგებულნი არიან შემდეგნაირად:

მეუფენი	პიტიახშნი და ეზოს მოძღვარნი
ფარსმან	უფალი ზევახ
მირდატ (-მითრიდატ)	პიტიახში შერგის
ფარსმან ქსეფარუნგ	ფარსმანის დროს: პიტიახში ზევახ, აგრიპპა პიტიახში, იგივე ეზოს მოძღვარი. ქსეფარუნგის დროს. ეზოს მოძღვარი იოდმანგან აგრიპპას ძე.

ეზოს მოძღვრის სანაცვლოდ არამეულად დაწერილ ტექსტში იკითხება დარბაზის ბატონი, ასურულში კი ტარბასსუ ეზოს ნიშნავს, ბილინგვის ბერძნულ ტექსტში დარბაზის ბატონს უდრის ეპიტროპოს-მმართველი, რაც ლუკ. 8, 3-ში ქართულად ეზოს მოძღვრადაა მოხსენიებული. მაშასადამე, დარბაზის ბატონი უდრის ეზოს უფროსს. ამგვარად, ამ დროს ჯერ კიდევ ასურული დარბაზი (ეზო) შეესატყვისებოდა ქართულ ეზოს, კარმიდამოს. მაგრამ ხევსურეთში ეზო, გჩიტაიას ცნობით, ახლაც სახლის სათავსოს, სახლს ნიშნავს.

დაბ., 43, 18 ეზოს მოძღვარი განმარტებულია როგორც სახლის ხუცესი ("ეზოს მოძღვარსა თჳსსა, ესე იგი არს სახლისუხუცესსა".). ეს ტექსტი გადათარგმნილია ბერძნულიდან, სადაც ნათქვამია: τω επὶ τῆς οἰκίας (სახლის ზედამდგომელი, უფროსი) იქვე სხვაგან (44, 1, 4) იმავე გამოთქმისთვის იხმარება სახლის უხუცესი. აქედან უეჭველია, რომ ეზოს მოძღვარი სამეფო კარის და იმავე დროს მთელი საქმეების გამგე იყო. სახელის მიხედვით ამ თანამდებობის დაწინაურებით სამოქალაქო საქმეებს მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა.

ხსენებული ფარსმან მეფე არის ცნობილი ისტორიული პიროვნება, რომელსაც ტაციტი იხსენიებს 35-59 წლებისთვის. მისი შვილი მითრიდატ (მირდატ) მეფე ცნობილია ნაქულბაქევთან ნაპოვნი ბერძნული წარწერით არმაზის გალავნის შეკეთება-ახლად გაშენების შესახებ (75 წ.). ამის შემდგომ ფარსმან მეუფე მოხსენიებული ჰყავს მოსე ხორენელს (II, 46). ამის შემდგომი ქსეფარუნგ მეუფე (შესაძლებელია მისი ძმა) მმართველად უნდა ყოფილიყო 85-105 წწ. ახლოს. ამგვარად, ორი ხსენებული წარწერა გულისხმობს ქართლის სამეფოს მმართველებს 35-105 წლების სიგრძეზე.

საფიქრებელია ამიტომ, რომ 85 წლის ახლო ხანაში მოხდა სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციათა გამიჯვნა. პიტიახში ითვლებოდა უკვე სამხედრო საქმის უფროსად, ეზოს მოძღვრის ხელში კი სამოქალაქო ფუნქციები იყო. ამის მაჩვენებელია ის, რომ პიტიახშის თანამდებობა ქართლში შემდეგაც არსებობდა. არმაზის ხევში 265 წლის ახლოდროინდელ საფლავში აღმოჩნდა ვერცხლის თასი, რომლის არამეულ-ფაჰლაური წარწერა, უკანასკნელი წაკითხვით იკითხება შემდეგნაირად: "ღვთაებრივი პაპაკის შვილის ღვთაებრივი არდაშირის პიტიახშმა პაპაკმა უძღვნა ეს ქართლის (გურზანის) ქვეყნის პიტიახშს არსამესს".25

სპარსეთის მეფე არდაშირ I (226-240 წწ.) სასანიანთა დინასტიის დამწყები, მართლაც იყო პაპაკის (ბაბეკის) შვილი. პიტიახში პაპაკი უნდა იყოს სპარსეთის მონარქიის ჩრდილოეთი ქვეყნების მმართველი, რომლის ხელქვეით შეიძლება ყოფილიყო ქართლის სამეუფოც. თასი ხსენებული წარწერით შემზადებული უნდა იყოს, როგორც წარწერის ხასიათიდან ჩანს, არდაშირ I-ის სიცოცხლეში 235 წლის ახლოს და ჩატანებულ იქნა საფლავში, რომელშიც აღმოჩნდა იმპერატორ ვალერიანეს (253-260 წწ.) ფული, 265 წლის ახლოს. ამ დროს გარდაცვლილა ქართლის პიტიახში არსამესი, რომლის პიტიახშად ყოფნა მოდის 235-265 წლების ახლო დროისათვის. წარწერა ამტკიცებს, რომ III საუკუნეში პიტიახშის თანამდებობა ქართლის სამე-

---

25 . მცხეთა, I, ააფაქიძე. გ.გობეჯიშვილი, ა.კალანდაძე. გ.ლომთათიძე. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1955, გვ. 40-46, უფრო გვ. 45, წარწერის ტექსტი იხ. Ш.Я. Амиранашвили. Серебрянная чаша ранне-сасанидской эпохи из раскопок в Армазисхеви. Тезисы доклада. Об'единенная научная сессия Азербайджанского, Ереванского и Тбилисского Университетов 10-14 октября 1958 г., Тбилиси, 1958.

ფოში არსებობდა და მას დაახლოებით ისეთივე ფუნქციები ჰქონდა, როგორც სპარსეთში, ეი. ეკისრებოდა მმართველობის უფრო სამხედრო საქმიანობა და ამასთან მაშინდელ პირობებში დაკავშირებული მრავალი და რთული საკითხი (სარგოების და მამულების გაცემა, მეომართა კონტიგენტის აღრიცხვა, მეომრებისავე სამხედრო თვალსაზრისით მუდმივად მზადყოფნა და სხვ.). სპარსეთში უფროსი პიტიახშები სპასპეტებადაც იწოდებოდნენ.

V საუკუნისთვის ვჯუანშერი ქართლის სამეუფოში პირველ პირად, მეფის შემდეგ, იხსენიებს სპასპეტს, რომელიც უნდა იყოს იგივე ქართლის პიტიახში.

როგორც ჩანს, I საუკუნის პირველ სამ მეოთხედში ქართლის სამეფოს მმართველობის სათავეში მეფის შემდეგ პირველი პირი იყო პიტიახში. აქემენიანთა ხანიდან მომდინარე მმართველობის ნომენკლატურა, თუ ის მართლაც ოდნავ შეცვლით დატოვებულ იქნა პირველი მეუფის — ფარნავაზის დროს (მეფობდა 306 წლიდან ჩვენს ერამდის) და ის განაგრძობდა არსებობას შემდგომ ხანაშიც, რომაელების მფარველობის დამყარების დროიდან (65 წლიდან ჩვ. ერამდის) უკვე შეიცვალა, სახელდობრ, მმართველობის სათავეში დაყენებულ იქნა პიტიახში, რომლის ფუნქციებში, ჩანს, სამხედრო მოვალეობანი სჭარბობდა სამოქალაქოს. 85 წლის ახლოს საჭირო შეექნა პიტიახში აგრიპპა, რომაული (ლათინური) სახელის მქონე, სახელშეცვლილი ყოფილიყო ეზოს მოძღვრად (დარბაზის უფლად). სახელის მიხედვით თითქოს ახლა ამ პირველი პირის სამოქალაქო მოვალეობას მეტი მნიშვნელობა ეძლევა.

39. მართებლობა რომის იმპერიასა და სპარსეთში.

იმპერატორ ავგუსტის დროიდან რომის იმპერიაში შემოღებული იყო საიმპერატორო (სანაპირო) და სასენატო (შინაგანი) პროვინციებად დაყოფა. საიმპერატორო პროვინციებს მართავდნენ ლეგატები სამოქალაქო და სამხედრო უფლების გაერთიანებით, ხოლო სასენატო პროვინციებში სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლება გათიშული იყო ერთმანეთისაგან და სამოქალაქო მმართველობის სათავეში კონსულარები იდგნენ. იმპერატორ დიოკლიტიანეს დროიდან (III საუკუნის დასასრულიდან) უკვე მკვეთრად იყო გატარებული განსხვავება სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლებას შორის. სამხედრო მმართველობის სათავეში პროვინციებში იდგნენ magistri equitum et peditum, duces et comites.

რადგანაც სპარსეთის მონარქიის უმაღლეს მმართველობაში სამხედრო და სამოქალაქო დარგები თავიდანვე გაყოფილი იყო ერთმანეთისაგან, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ ხსენებული ცვლილებები რომის იმპერიაში სასანიანთა სპარსეთის მონარქიის ზეგავლენით ჩატარდა. ზოსიმეს (V ს) სიტყვით, რომის იმპერიაში ამის შესატყვისი რეფორმა განხორციელდა ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) დროს (ეს იყო დიოკლიტიანეს დროინდელი რეფორმის ახალ ფორმებში განმტკიცება). მთელი იმპერია (დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილი) გაყოფილ იქნა ოთხ ნაწილად (პრეფექტურად), რომელთა სათავეში (ორ-ორი თითო ნახევარში, დას. და აღმოსავლეთისაში) იდგნენ სამოქალაქო დარგში სათითაოდ პრეტორული praefectus praetorio, პრეტორიანების — ასე ეწოდებოდა მცველ რაზმს — უფროსს და სამხედრო დარგში magister militum — ქვეით ჯარისკაცთა უფროსს.

თითო პრეფექტურა იყოფოდა დიოცეზებად (diocesis — ოლქი), რომელთა სათავეში იდგნენ vicarpii praetectorum (პრეფექტების ნაცვალნი), ბერძნულად ჰჯპარქი (ὕπαρχοσ). დიოცეზები თავის მხრივ გაყოფილი იყო პროვინციებად (provincia), რომელთა სათავეში იდგნენ praeses — მეთვალყურე, უფროსი (ბერძნული ἄρχων — მმართველი).

სამხედრო მაგისტრს ჰყავდა თავისი ხელქვეითი სამხედრო უფროსები ადგილებზე.

სპარსეთს ჰქონდა თავისებური მმართველობა. სპარსეთის მეფე იწოდებოდა მეფეთა მეფედ. სამეფო გვარეულობის წევრთ (უახლოესი მეფესთან, მაგ., შვილებს და ზოგ სხვას) ეძლეოდათ სამმართველოდ გარკვეული მხარეები და მაშინ ისინი იწოდებოდნენ ამ მხარის მეფეებად (მაგ., ქერმან-შაჰ — ქერმანის მხარის გამგე, გელან-შაჰ — გელანის, გილანის მხარის გამგე და სხვ.). ამ სამხარეო მეფეთადაგვარი მდგომარეობა ეკავა ქართლის მეფესაც, როდესაც ის სპარსეთის ხელქვეითი იყო.

ცალკე დიდ მხარეებს განაგებდნენ ბიდახშები. ამ ტერმინმა შეცვალა წინანდელი (აქემენიანთა მხარის) ტერმინი სატრაპი. ამიან მარცელინი (IV საუკუნის ბოლოში) ჩამოთვლის სპარსეთის სახელმწიფოში 18 მხარეს (ქართლი მათ შორის არაა, რადგანაც ქართლში საკუთარი მეფე იყო), რომელთა სათავეში სათითაოდ ბიდახშები იყვნენ. მხოლოდ ვაჰრამ V-ის (420-438 წწ.) დროიდან, ასე ფიქრობს

ა.ქრისტენსენი,[26] "ტერმინს ბიდახშს სცელის მარზპანი და ეს ტერმინი გახდა თითქმის საყოველთაო, თუმცა ტერმინი ბიდახშიც იხმარებოდა".[27]

მაგრამ ამათ ზევით იყო კიდევ უფრო დიდი სამმართველო ერთეულები. როგორც იაკები, ისე მასუდი ადასტურებენ, რომ ირანის სასელმწიფოს ცალკე მხარეებს სათავეში ედგნენ მმართველები მარზპანების ტიტულით, ხოლო მასუდის სიტყვით, ირანის მონარქიაში იყო ოთხი სპასპეტი,[28] რომელთაგან სამმართველოდ თითოს ჰქონდა სასელმწიფოს 1/4. თითქოს ასეთი გაყოფა მოხდა V საუკუნის დასაწყისიდან. თითო ასეთ სპასპეტს თავის ხელქვეით ჰყავდა თითო მარზპანი. ამის მიხედვით ა.ქრისტენსენი დასკვნის, რომ ოთხი მარზპანის არსებობა შაჰის (მეფის) ტიტულით, მაგრამ არა სამკვიდროდ ამ ხანისთვის (V ს) დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს. სხვა მარზპანებს ჰქონდათ სამხედრო მართებლობის უფლება იმ ცალკე მხარეებში, რომელთაგან შედგებოდა ყოველი მეოთხედი სასელმწიფოსი. ამგვარად, ყოფილა ოთხი დიდი ანუ უფროსი მარზპანი მეფის (შაჰის) ტიტულით (სამხრეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის მეოთხედების; ჩრდილოეთის მარზპანი იწოდებოდა ადარბადაგანის სპასპეტადაც). გარდა ამისა იყვნენ კიდევ ჩვეულებრივი (უმცროსი ან მცირე) მარზპანები, პირველთა ხელქვეითნი ან ცალკე მხარეთა გამგენი.[29] ასეთი იყო მაგ., სომხეთის

---

26 . დასახ. ნაშრ., გვ. 137.

27 . ტერმინი ბიდახში არის ძველისძველი (Гр. Капанцян. Chetto-Armeniaca, Эривань, 1931-1933, стр. 64, 82). ბიდახში (პიტიახში) ნიშნავდა ადგილის და მხარის მფლობელს. სპარსეთის მონარქიაში ტერმინი ბიდახში მოდიოდა ხეთურ სამყაროდან. მარზპანი კი იყო მისი პარალელური. წმინდა სპარსული ტერმინი. აღსანიშნავია, რომ ქართველებში IV-V საუკუნეებში ხმარობდნენ სპარსეთის მიმართაც ტერმინს პიტიახშს და მხოლოდ V საუკუნეში და უფრო VI საუკუნეში იმავე სპარსული ხელისუფლების მიმართ ფეხს იკიდებს ტერმინი მარზპანი.

28 . ძველ აქემენიანთა ხანის სპარსულში ეს ტერმინი გამოითქმოდა spadhapatl, შუა სპარსულში (ფაპლაურში) იწერებოდა spahbadh, ხოლო გამოითქმოდა როგორც espahbadh. ქართული სპასპეტი უდრის ადრეული ხანის ფაპლაურის შესატყვის ტერმინს, როდესაც ამ სიტყვის დამწერლობა spahbadh ეფარდებოდა, საფიქრებელია, ასევსაც გამოთქმას. ამიტომ ქართლში ტერმინი სპასპეტი უნდა დამკვიდრებულიყო II-I საუკუნეში ჩვ. ერამდის.

29 . L'Iran sous les Sassanides, p. 520.

მარზპანი და ქართლის მარზპანი (როდესაც ქართლში მეფობა გაუქმებული იყო). ესენი უკვე მეფის (შაჰის) ტიტულს აღარ ატარებდნენ.[30]

ხსენებული დიდი მარზპანების მეორე სახელი იყო პადოსპან. ტაბარი გადმოგვცემს, რომ როდესაც ხოსრო ანუშირვანმა გამეფებისას 531 წ. "გაუგზავნა წერილები ოთხ პადოსპანს, რომელნიც განაგებდნენ სპარსეთის ოთხ მხარეს", მათ შორის იყო "პადოსპანი ადარბაიგანის, არმენიის და მეზობელი ქვეყნების".

ტაბარისავე სიტყვით: "ხოსროს გამეფებამდის სპაჰბედის ანუ მთავარი მხედართმთავრის თანამდებობა ეკავა მთელ სახელმწიფოში ერთ პირს. როდესაც ხოსრო გახდა მეფედ, მან გაჰყო ეს თანამდებობა ოთხ პირს შორის (დანიშნა) სპაჰბედი აღმოსავლეთისა, ე.ი. ხორასანის და მეზობელი ქვეყნების, სპაჰბედი დასავლეთისა, სპაჰბედი ნიმროზისა (სამხრეთის) და სპაჰბედი ადარბაიგანისა და მეზობელ ქვეყნებისა ხაზარების ქვეყნამდის". მაგრამ ეს ცნობა არ უნდა იყოს ზუსტი, რადგანაც, მაგ., ადარბაიგანის სპაჰბედი იყო მანამდისაც.

ნადონცს მოცემული აქვს[31] ტერმინის პადოსპანის ეტიმოლოგია: ფაჰლაური პატკოს-მხარე, პროვინცია და პან მცველი ან უფროსი, პადოსპან — მხარის უფროსი, ე.ი. გამოდის მარზპანის სრული შესატყვისობა (სპარსულად მარზ-ოლქი, აქედანაა ქართული მაზრა).

ამგვარად, სპარსეთის მონარქიის ოთხი დიდი მხარის კუსტის (აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის, რომელიც იწოდებოდა კიდევ ადარბაიგანის ერთეულად და კაპ-კოჰად ანუ კავკასიის მთიანეთად) სათავეში იდგნენ დიდი მარზპანები, ივივე პადოსპანები, რომელთაგან ზოგი (და შეიძლება ყველაც) იწოდებოდა სპაჰბედადაც, როგორც მაგ., იყო ადარბაიგანის სპაჰბედი.

40. სამეფო რჩევა სპარსეთსა და ქართლში.

სტრაბონი ასახელებს ძველ სპარსეთში რომაელების სენატისდაგვარ დაწესებულებას, რომელიც სხვათა შორის ირჩევდა თუ ამტკიცებდა მეფეს.

სტრაბონის სათანადო ცნობა (XI, 9) შემდეგია:

---

30 . ქართლის მარზპანი ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში 525-530 წლებში იხსენიება იმავე დროს მსგავსულად. გურგანის მარზპანი სუმბატ 608 წ. ახლოს თავის თავს იხსენიებს ასე: "სუმბატი, მარზპანი გურგანისა, მხედარი უფალთა და ველის (დაშტ-ის) კარანი (მფლობელი)".

31 . Н.Г. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, стр.215, прим.

"პოსეიდონი" (128-45 წ. ჩვ. ე-მდე.ს) ამბობს, რომ პართელებს აქვთ სენატი – (საბჭო) – სინედრიონ (საერო გვარეულობის) ნათესავთაგან (წევრთაგან) და (მეორეს მხრივ) ბრძენთაგან და მოგვთაგან, რომელთაგან (ორთავესგან) აყენებენ მეფეებს.".

იუსტინი (I ს.) გადმოგვცემს პართიის სენატის შესახებ: "მათი მეფეების დიდებულებასთან უახლოესი არის ხალხების (ჩინებულთა) წყობა, რომლისგან მათ ჰყავთ ომის უფროსები (მხედართმთავრები) და მშვიდობის დროს მმართველები" (41, 2).

იგივე იუსტინი იქვე ორ ადგილას წერს პართიის მეფეების შესახებ: "შითრიდატი სისასტიკის მიზეზით პართულ სენატის მიერ მეფობიდან გადაგდებულ იქნა" (41, 4). "ფრაჰატი თავისი ხალხის მიერ ექსორიად განდევნილ იქნა" (41, 5).

ამ ცნობების მიხედვით პართიის სამეფოში იყო უმაღლესი დაწესებულება რომაელების სენატისდაგვარი. სიტყვა სენატ (senatus) წარმომდგარია სიტყვისაგან senex – მოხუცებული. ეს დაწესება მოტანილ ციტატებში გაიგივებულია მცნებასთან – ხალხი. მაშასადამე, იქ მსხდომი მოხუცებული ხალხის (ე.ი. გაბატონებული კლასის და მათ ხელქვეით მყოფი მოსახლეობის) წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. მოხუცებულთა ეს დაწესება უდიდესი უფლებებით იყო აღჭურვილი. ის აყენებდა მეფეებს, თავისი შემადგენლობიდან, ნიშნავდა მხედართმთავრებს და მმართველებს, მას შეეძლო მეფის გადაგდება და სრულებით განდევნაც სამეფოდან.

სტრაბონის ცნობიდან ჩანს, რომ ქართველებს (იბერებს) ზოგადად ჰქონდათ ისეთივე ყოფაცხოვრება, როგორც არმენებს და მედიელებს, ხოლო მედიელების სპარსელების ჩვეები ჰქონდათ. ძველი ქართველი მემატიანეც ადასტურებს, რომ ფარნავაზიანთა მონარქიაში მმართველობა მოწყობილი იყო "მიმსგავსებულად სამეუფოსა სპარსთასა". ეს ცნობა რომელიღაც ძველი ქართული წყაროდან არის ამოღებული, ამას ამტკიცებს ტერმინის მეუფის ხმარება მეფის მაგივრად. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მოხუცებულთა და მარზაპანთა სპარსული სახელმწიფო საბჭოსმაგვარი დაწესება ქართლის სამეფოშიც უნდა ყოფილიყო. ამ დაწესების სახელი უნდა ყოფილიყო რჩევა. მეგრულად რჩინი მოხუცს ნიშნავს, აქედან რჩევა არის მოხუცებულთა კრება. ამ რჩევის დადგენილება-კანონი იყო რჩული (აქედან სჯული, ძველ ქართულში ორივე სიტყვა კანონს ნიშნავდა). ამ რჩევის წევრი იყო რჩეული (ამ სიტყვამ შემდეგ მიიღო ახლანდელი თავისი მნიშვნელობა. ამ მნიშვნე-

ლობით ის იხსენიება 400 წლის ახლოს გადათარგმნილ ქართულ ტექსტში (1 კორ., 11, 19).

III-IV საუკუნეებში თითქოს ხსენებული რჩევის მაგივრად უფრო იხმარება სიტყვა ყრილობა — ერთადერთი ცნობა ამის შესახებ დადასტურებულია III-IV საუკუნიდან მოწვევნილ სახალხო ლექსში, მაგრამ ტერმინი რჩევაც უნდა ყოფილიყო. ეს მტკიცდება იმით, რომ ცოცხალი გადანარჩომის სახით ის არსებობდა XVIII საუკუნეშიც: 1. დ.გურამიშვილი ვახტანგ VI მიერ თბილისში მოწვეულ თათბირს რჩევას უწოდებს; 2. იმერეთის მეფეებთან სოლომონ I-თან და სოლომონ II-თან არსებობდა რჩევა დაახლოებით 30-35 კაცის შემადგენლობით, რომელთაგან დიდად დიდი უმეტესობა თავადებისაგან შედგებოდა (სულ იმერეთის სამეფოში 11 სათავადო გვარეულობა იყო) და მხოლოდ 3-4 იყენენ ტახტის ანუ სამეფო აზნაურთაგან.

სამეფო კარის დასახელებულ ყრილობას ქართლის სახელმწიფოშიც ჰქონდა დიდი უფლებები. ის აყენებდა და საჭირო შემთხვევებში სცვლიდა მეფეებს. ამის დამამტკიცებელია მეფეების შედარებით ხშირი ცვლა ძველი ქართლის ტახტზე. ამასთანავე მეფის უფლება ყოველთვის არ გადადიოდა მამიდან შვილზე. მაგ., ვარაზ-ბაკურის (368-380 წლების ახლოს) შემდეგ მეფობა გაუქმდა და ქართლს განაგებდა ნახაპეტი პეროზი, ბოლნისის დიდი ტაძრის მშენებელი. როდესაც მეფობა აღდგა, მეფედ გახდა თრდატის ძე ბაკური. რასაკვირველია, აქ ერია სპარსეთის მთავრობის ხელი, მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებული იყო ადგილობრივი კარის ყრილობაზე. ბაკური მეფედ იყო 390-398 წლების ახლოს, და შემდეგ მეფედ არჩეულ იქნა ბაკურის მამიდაშვილი ფარსმანი, რომელიც იმავე სასანიანთა ქართული შტოს წევრი უნდა ყოფილიყო (ამ ბაკურის და ფარსმანის დროს დამთავრდა ბოლნისის დიდი ტაძრის მშენებლობა). შემდეგ მეფედ იყო (410-420 წლების ახლოს) მირდატი, რომლის გენეალოგიური რაობა არაა ცნობილი (ჯუანშერის ცნობა ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს სანდო). მირდატის შემდეგ მეფედ ჩანს მოხუცებული არჩილი, ხსენებული ბაკურის ძმა (პეტრე ქართველის პირველი ცხოვრების ცნობა). ისიც მოჰყვა სამეფო ტახტზე, რასაკვირველია, ამორჩევით და არა მემკვიდრეობით. ირჩევდნენ მეფეებს მხოლოდ სამეფო გვარეულობის წევრთაგან.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შემდეგაც. ვახტანგის შემდეგ მეფედ იყო შვილი მისი დაჩი უჯარმელი (484-493 წლების ახლოს). ამას მოჰყვა დაჩის შვილი

ბაკური (493-500 წლების ახლოს), მაგრამ ამის შემდეგ მეფედ არის ფარსმანი (500-504 წლების ახლოს), რომელიც უნდა იყოს გორგასალის მეორე შვილის მირდატის შვილი. ამ ფარსმანს მიჰყვება სხვა ფარსმანი (მეფობდა 504-510 წლების ახლოს), რომელიც უნდა იყოს ასევე გორგასალის შვილიშვილი მისი მესამე ვაჟისაგან. ფარსმანის შემდეგ მეფედ ბაკურია, რომელიც "მოქც. ქართ." ქრონიკას გამოჰყავს ქართლის უკანასკნელ მეფედ. ეს ბაკური უნდა იყოს ერთ-ერთი ხსენებული ფარსმანის შვილი. ამ ბაკურის შვილი და მემკვიდრე უნდა ყოფილიყო გურგენი, რომელსაც (როგორც ჩანს, მამის სიკვდილისთანავე) სპარსეთის მთავრობამ მოსთხოვა ცეცხლთაყვანისმცემლობაში გადავლა და ის იძულებული გახდა ბიზანტიის იმპერიაში გაქცეულიყო (522 წლის ახლოს). სპარსეთის მთავრობას ბაკურის სიკვდილის შემდეგ უნდოდა ქართლის სამეფო გაეუქმებინა და ის გადაექცია სპარსეთის ერთ-ერთ სამარზპანოდ და ეს შეასრულა კიდეც.

ყველა ზემოთ მოხსენიებული ფაქტებიდან ჩანს, რომ იქაც, სადაც სპარსეთის მთავრობის ჩარევას არ ჰქონდა ადგილი, კარის ყრილობა თვითონ იყო სამეფო ტახტის განმკარგულებელი. მეფეების დანიშვნა ხდებოდა თვით ყრილობის შემადგენლობაში არსებულ ძალთა განწყობილების და მიმართების მიხედვით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მეფეს ჰქონდა მცირე უფლებები. სანამდის ესა თუ ის პირი მეფედ ითვლებოდა, მას ჰქონდა დიდი გამავლობა, სათანადო ძალა და უფლებებიც.

41. უმაღლესი მმართველობა სპარსეთში.

მეფესთან ანდა მეფის კარზე მოწყობილი იყო უმაღლესი მმართველობა. სასანიანთა სპარსეთის მმართველობის შესახებ ზოგიერთი ცნობები შემონახული აქვს იაყების (892 წ. ახლოს), რომლის მიხედვით უმაღლესი თანამდებობის პირნი სასანიანთა მონარქიაში იყვნენ ბუზურგ ფრამდარ (დიდი მბრძანებელი ანუ ვაზირი), მობადან-მობად (მოგვთა-მოგვი), ჰერბადან-ანჰერბად (საღვთო ცეცხლის შემნახველი), დიბჰერბად (მდივან-მწიგნობართა უფროსი), სპაჰბად (სპასპეტი, სამხედრო საქმის უფროსი), რომელსაც თავის ხელქვეით ჰყავდა ერთი პადოსპანი. ასეთივე სია ზოგიერთი განსხვავებით აქვს მასუდისაც (X ს.), მაგრამ იაყუბის სია სამართლიანად მიჩნეულია (შტეინის, ერისტენზენის მიერ) როგორც უფრო ძველი და ხოსრო ანუშირვანის რეფორმებზე ადრინდელი. ის, მაშასადამე, ასახავს V საუკუნეში არსებულ ვითარებას. ელიშე (V ს.)

იეზდიგერდ II-ის (438-457 წწ.) დროისთვის სპარსეთის უძველეს ხელისუფლებად ასახელებს მობადან=მობადს (მოგვთა მოგვს), ანდარ-ზბადს (მასწავლებელ=მოძღვართა უფროსს, ეს უნდა იყოს იგივე ბუზურგ-ფრამდარ, სომეხ ისტორიკოსთა ბუზურ-ჰარამანტარ) და სპაჰბადს (სპასპეტს).

ჯუანშერი ასახელებს ხსენებულ თანამდებობათაგან ორს — ბარ-ზაბანს და მობიდანს. სახელდობრ, სპარსთა მეფემ ვახტანგთან მორიგე-ბისას ვითომ "მიაელინნა ვახტანგისსა ბარზაბან საკუთარი და მობიდან რქუა ესრეთ" (გვ. 183-184) და სხვა. ბარზაბანი უნდა იყოს ბარზან-ის (— სახლის, საცხოვრებლის) უფროსი (ბარზა-პან), ზუსტად შემ-დეგდროინდელი ქართული სახლთუხუცესი. მობიდანი კი არის მობიდან-მობად-ის პირველი ნახევარი. საეჭვოა, რომ აქ სპარსეთის ცეცხლთაყ-ვანისმცემლური სამღვდელოების მეთაური თვით მოგვთა მოგვი იგულისხმებოდეს, არამედ ცეცხლთაყვანისმცემელთა იერარქიაში მო-ბიდანი საშუალო მდგომარეობის პირი უნდა ყოფილიყო (ჩვეულებრივი მოგვების უფროსი).

მაგრამ სპარსეთში იეზდიგერდ II-ის (438-457 წწ.) დროს პირველი (სამოქალაქო) გამგებელის თანამდებობაში მოხდა რაღაც ცვლილება. ამდროინდელი გამგებელი (ვაზირი) მიჰრ-ნერსე სომეხ ის-ტორიკოსთა მიერ წოდებულია დიდ ჰაზარაპეტად, ხოლო ტაბარი მას სპარსული ტერმინოლოგიით იხსენიებს ბუზურგ ფრამადარად — ბრძანებათა დიდ მცველად. ამის შემდეგ სასანიანთა სპარსეთის პირველი ვაზირები ამ წოდებულებით იხსენიებიან.

სპარსეთის მეფეების სამმართველო-სააღრიცხვო დაწესებად ჰქონდათ ე.წ. დივანი, რომელშიც დაცული იყო არქივიც. მოსე ხორენელის (I, 9) სიტყვით, სომხეთის მეფემ ვალარაშკმა სთხოვა სპარ-სეთის მეფეს არშაკ დიდს (I საუკუნის ნახევრის ახლოს ჩვ. ერამდის) დახმარებოდა მარაბას-კატინას საარქივო მასალების შესწავლაში. "როდესაც არშაკ დიდმა მიიღო მარ-აბას-კატინას მიერ მისთვის გადაცე-მული წერილი, მან დიდი სიამოვნებით ბრძანება გასცა ეჩვენებინათ კატინასთვის სამეფო დივანი... მარ-აბასმა გასინჯა იქ ყველა ხელნაწერი და მათ შორის იპოვა წიგნი ბერძნულ ენაზე" და სხვ.

ამგვარად, სპარსელებს ჰქონდათ სამეფო დივანი.

დივანი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს სახელმწიფო საბჭოს, სასამართლოს, საანგარიშო წიგნებსაც. დივანი იყო, მაშასადამე, დაწე-სება, სადაც კონცენტრირებული იყო მთელი სახელმწიფო მიწერ-

მოწერა, იქვე ინახებოდა არქივი, წიგნებიც და სხვა. სიტყვა შემდეგში შევიდა არაბულშიც იმავე ფორმით, როგორც მას ხმარობდნენ სპარსელები, მაშასადამე სპარსელების მეშვეობით.

42. ქართლის სამეფოს შინაგანი სტრუქტურა.

ქართლის სამეფოს უმაღლეს მმართველობაში ცოტა სხვაგვარი მდგომარეობა იყო. როგორც ვახტანგის ახალგაზრდობის დროინდელი სამეფო რჩევის შესახებ ჯუანშერის მოტანილი ცნობიდან ჩანს, ქართლში მმართველობის პირველ პირად სპასპეტი იყო, ეზოსმოძღვარი კი სრულებით არ ჩანს. ეს ცვლილება უფრო უნდა მომხდარიყო ქართლზე 369 წლიდან სპარსული სიუზერენიტეტის კვლავ დამყარების შედეგად. ეზოს-მოძღვრის სახელწოდება ქართლის სამეფოს მაღალ თანამდებობათა ნომენკლატურაში არ ჩანს (თვით ტერმინი კი არ გამქრალა, პირიქით), ის საგულისხმებელია შემდეგდროინდელი ფაქტების მიხედვით. ქართლის მეფის კარზე ამ ხანაშიც ქართლის სინამდვილეში, ვახტანგის დროს, ჯუანშერი იხსენიებს სამეფო რჩევაში მონაწილეებად ერისთავებს, ათასისთავებს და ასისთავებს.

ქართლის მეფის კარზე, სპარსეთის სამეფო კარის მსგავსად, იყო დივანი, სადაც წარმოებდა მიწერ-მოწერა, დაცული იყო ყოველგვარი დავთრები (აღწერათა, ანგარიშების და სხვ.) და საერთოდ ინახებოდა არქივი და წიგნებიც. რომ ქართულ სინამდვილეში დივანი მართლაც არსებობდა ეს მტკიცდება იოანე ოქროპირის ზოგიერთ ნაწარმოებთა V საუკუნის ქართული თარგმანით.

ლაზარე ფარპელის ერთი ცნობის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ქართლის სახელმწიფოს ცალკე ნაწილებს V საუკუნის შუაში და საერთოდ, მაშასადამე, ამ ხანაში სათავეში ედგნენ მამასახლისები, რომელთაგან პირველი თავისი მდგომარეობით იყო პიტიახში. სომხურ უსახელო გეოგრაფიაში, რომელსაც საფუძვლად უდევს IV საუკუნის დასასრულში ბერძენ პაპპის მიერ შედგენილი გეოგრაფია, მოცემულია ქართლის აღწერილობა. იქ მოხსენებულია ქართველების დედაქალაქად თბილისი, რაც ამ ხანისათვის უკვე სიმართლეს უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც თბილისში გაშენებული იყო ახალი ციხე, შიგ იდგა სპარსელების ჯარი და საფიქრებელია, თბილისშივე ცხოვრობდა სპარსეთის ხელისუფლების მთავარი წარმომადგენელი. ცხადია, რომ ის იყო სწორედ ქართლის მთავარი ქალაქი და ვახტანგ გორგასალმა მხოლოდ

სათანადო დასკვნა გააკეთა აქედან, როდესაც იქ ახალი, უფრო ვრცელი ქალაქის გაშენება დაიწყო.

ამ გეოგრაფიულ აღწერილობაში ჩამოთვლილია ქართლის შემდეგი ოლქები: კლარჯეთი, შავშეთი, კოლა, არტაანი, სამცხე, აჭარა, გორათის ხევი, ტანის-ხევი (ესენი შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში), მანგლისის ხევი, ქვეშის-ხევი, ბოლნისის-ხევი (სამივე ქვემო ქართლში), პარუარი (თბილისის სამხრეთ აღმოსავლეთით), ითარი, დვანი, აჩაბეთის-ხევი, გვერდისძირის ხევი, საცხენეთი, ქსნის ხევი, ცხრაზმა (ყველა ესენი შიდა ქართლში), წოფის-ხევი, კოლბის-ხევი, ძირის-ხევი (ყველა ესენი გარდაბანში), ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი (შემდეგდროინდელი ქართლის სომხითი) კანკარქი (მდ. დებედას აღმოსავლეთით) კუხეთი, ხერკი, ერწი, თიანეთი, წობენორი.

სომხური წყაროებით (ფავსტოსით) მაგ., ძორის, კოლბის და გარდაბანის (მაშასადამე, წოფის) ხევების სათავეში იდგნენ ტერ-ები (უფალნი), ხოლო საერთოდ (ლაზარე პარფელით) ქართველნი მმართველნი იყვნენ ქართველთა პიტიახში და "ამ ქვეყნის სხვა მამასახლისნი". შემდეგდროინდელი (XI ს.) ფაქტებით ცნობილია, რომ კლარჯეთის სათავეში იდგა ტანუტერი (სომხურად იგივე მამასახლისი). ამიტომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ V საუკუნეში ქართლის ხსენებულ ოლქთა სათავეში მამასახლისები იდგნენ, მხოლოდ შიდა ქართლში და ნაწილობრივ ქვემო ქართლშიც გარდაბანითურთ მამასახლისები იყვნენ მცირე ოლქების სათავეში, ხოლო სხვა ოლქები (მაგ., კლარჯეთი, სამცხე და აჭარა) თვალსაჩინოდ უფრო მოზრდილნი იყვნენ. ყოველ სამამასახლისოს, საფიქრებელია, ჰქონდა თავისი ცენტრი, ქალაქად წოდებული. ასე იყო სპარსეთში, სადაც (როგორც ამას ტაბარის მიხედვით დასაკვნიდა ნელდეკე) ყოველ მცირე ოლქს, რომელიც ქალაქადაც იწოდებოდა (შაჰრ, რაც სპარსულად ქალაქს ნიშნავს) ჰქონდა თავისი შაჰრისტანი (ქალაქის გამაგრებული ნაწილი). საყურადღებოა, რომ ჯუანშერი ვახტანგის ახალგაზრდობის ხანისთვის, როდესაც მოეწყო ლაშქრობა ოსეთზე, ამბობს, რომ ვახტანგმა შეკრიბა "ქალაქნი"-ო. ქალაქებად აქ მცირე ოლქები (სამამასახლისოები) იგულისხმება. მსგავსება სპარსეთთან არის სრული.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სოფლები ამ დროს (როგორც ეს დოკუმენტურად ჩანს ძეგვისა ციხედიდითურთ და ქვემო ნიქოზის მაგალითზე) წარმოადგენდნენ თემობრივ ერთეულებს, საერთო მიწის მქონეს. ცხადია, რომ ქართულ ცხოვრებაში V საუკუნეში ძლიერი იყო

საგვარო წყობილების მიერ ნაანდერძევი ნორმები როგორც ხალხში, ისე გაბატონებულ ფენებში. კერძოდ მამასახლისების მყოფობა ცალკე ტერიტორიულ ერთეულების სათავეში უჩვენებს, თუ როგორ იჩენს თავს გაბატონებულ ფენებში საგვარო წყობილების ნორმების სიცოცხლისუნარიანობა. მფლობელობა არის გვარის კუთვნილება. საგვარო პრინციპი საერთოდ საფუძვლად უდევს საზოგადოებრივ ცხოვრებას, როგორც გაბატონებული კლასის წიაღში, ისე ხალხშიდაც და მხოლოდ მონა თავისი მდგომარეობით იდგა განზე. საგვარო წყობილების ეს გადანარჩომი ნორმები წარმოადგენდნენ ქვაკუთხედს, რომელზედაც დამყარებით გაბატონებული ფენები ცალკე გვარებად ცდილობდნენ გაერთიანებული შესაძლებლობით თავიანთი ძალის განმტკიცებას, ხალხის მასაც გაბატონებულ ძლიერთაგან იცავდა თავის უფლებრივ მდგომარეობას, რისთვისაც ის თავისთვის სასარგებლოდ იყენებდა სათემო ცხოვრების ნორმებს. ეს საგვარო პრინციპი ცოცხლობს შემდეგშიაც ფეოდალური წყობილების სიგრძეზე.

ამგვარად, IV-V საუკუნეშიც მიწათმფლობელობას ძველ ქართლში საფუძვლად ედო საგვარო პრინციპი. ამავე პრინციპზე თავიდანვე აღმოცენებული იყო ქართლის დანაწილება ხევებად.

ასეთ პირობებში მიწის მფლობელობის საკითხშიც გაბატონებული იყო თემობრივი პრინციპი. მიწა იყო თემების კუთვნილება, მხარეების მამასახლისები იყვნენ ხევების მხოლოდ გამგენი. მაგრამ თემების მიწათმფლობელობას ისინი არ ეხებოდნენ. ასეთი ვითარების გადანარჩომს ვხედავთ აფხაზეთში XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც, როდესაც თემების სათავეში მდგომი თავადების გვარეულობანი არ იყვნენ მიწათმფლობელნი. მიწა იქ მაინც იყო სათემო. საქვეყნო და ყველას შეეძლო მისი დამუშავება თავისუფლად. აფხაზეთში თავადი, როგორც მემკვიდრეობით თემის სათავეში მდგომი, იყო ამ თემის შინაური და გარეშე საქმეების მომგვარებელი, მის წევრთა მომრიგებელი და სხვ. ასეთნივე იყვნენ V საუკუნეში ქართლის როგორც სოფლების, ისე ხევების სათავეში მდგომნი პირნი, აღჭურვილნი მხოლოდ მმართველ და მომრიგებელი ფუნქციებით.

ასეთივე მდგომარეობა ამ ხანაში და ბევრად წინათაც საგულისხმებელია სომხეთში, სადაც ცალკე მხარეების სათავეში იდგნენ ე.წ. ნახარარები (სიტყვასიტყვით ნახ-არარ, ნ.მარის მიხედვით, ივივე ნახრად-მხარის ბატონი, უფროსი).

ქართლის სამეფოს მმართველობის შესახებ ვახტანგის დროს ჯუანშერს შემორჩენილი აქვს შემდეგი ცნობები. მთავარი პირი იყო სპასპეტი. ვახტანგ გორგასალის დროს სახელმწიფო რჩევაზე თვითონ მეფე დაჯდა საყდართა მაღალთა, შემდეგ "ჯუანშერი (სპასპეტი) და ორივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართა და სხვანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სულებითა და ასისთავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე".[32] იმავე ავტორის სხვა ცნობებიდან ჩანს, რომ სამოქალაქო მმართველობაში პირველი პირი უნდა ყოფილიყო "დიდი ეჯიბი" (ე.ი. კარის საქმეთა მმართველი). ეს ტერმინი არის ძველისძველი, ასურულიდან ქართულში შემოღებული და ამ დროსაც შერჩენილი, თუმცა თვით სპარსეთში ამ დროს ამის ფარდად სხვა ტერმინი იხმარებოდა. სახელდობრ, ჯუანშერი ერთ ადგილას გადმოგვცემს, რომ სპარსეთის მეფემ მის კარზე მყოფ ვახტანგს ვითომ უთხრა: "აწ განაგე საბრძანებელი შენი, ვითარცა გნებავს; მიაჴლინე ლასტურნი" და სხვ. ქართლის მიმართ აქ საყურადღებოა, დასტურის მოხსენიება. დასტურ სპარსულად ნიშნავს პირველ მრჩეველს, რწმუნებულს. ცხადია, ქართლის მეფის კარზე დასტურად იწოდებოდნენ მაღალი მოხელენი, რომელნიც საჭიროებისას ასრულებდნენ მეფის რწმუნებულების როლს.

43. საგადასახადო სისტემა.

ბაბილონური თალმუდის ცნობით, ირანში იყო ორგვარი გადასახადი — ტასკ (მიწაზე) და კარაგა (ადამიანებზე დადებული სათავო გადასახადი).

სირიული კანონების კრებული, შედგენილი IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, გადმოგვცემს რომის იმპერიაში მიწაზე დადებული გადასახადის შესახებ: რომის იმპერატორებმა აგრეთვე შემოიღეს თავიანთ კანონებში მიწების გაზომვა ლერწამით. 100 ლერწამი უდრის ერთ ჰლეთრს. იუგონი (ἰοῦγον, jugum) კი გადაიქცა ერთ (საგადასახადო)

---

32 . ჯდომის ეს წესი ამტკიცებს, რომ ქართველების უმაღლეს წრეებშიც ყოფა განსხვავებული იყო სპარსეთში არსებული ჩვეულებისაგან. ხოსრო ანუშირვანმა 531 წელს თავის რწმუნებულს უბრძანა ჯარის შესამოწმებლად ნოხებით შემკული მაღალ ტრიბუნაზე დამჯდარიყო. ხოსრო II აბარეზი, ტაბარის სიტყვით, საზეიმო შემთხვევებში ჯდებოდა ასე: ქვეით მას ედგა სამმაგი ლები ოქროსჭოიელ დიბასაგან, რომელიც ოქროს ნოხზე იდგა. თვითონ ოჯდა სამ ოქროსჭოიელ ბალიშზე მიყრდნობით. ხელში მას ეკავა საკუთით მრგვალი ყვითელი კომში (ალტაიმ-შტილ, დასახელებული ნაშრომი, გვ. 303).

ერთეულად.[33] იმპერატორ დიოკლიტიანეს დროს მიწები გაზომილ იქნა. დადგენილ იქნა: 5 იუგერი, რაც შეადგენს 10 პლეთრს, ითვლებოდა ერთ (საგადასახადო) ერთეულად. 20 იუგერი სახნავი მიწა, რაც 40 პლეთრს შეადგენს, იძლევა ერთი (საგადასახადო) ერთეულის მიწათმოქმედურ შემოსავალს (annona), ეი. შემოსავალს პროდუქტებით 225 პირველხარისხოვანი ზეთისხილის ხე იძლევა ერთი ერთეულის ანნონას. 450 ამისივე მეორე ხარისხის ხე იძლევა ერთი ერთეულის ანნონას. ასევეა მიწის შესახებ. რომელიც ცუდი მიწაა და მეორე ხარისხისაა, ის 40 იუგერი ანუ 80 პლეთრი იძლევა ერთ (საგადასახადო) ერთეულს. ხოლო თუ მიწა მესამე ხარისხად არის ჩაწერილი, 60 იუგერი ანუ 120 პლეთრი იძლევა ერთი (საგადასახადო) ერთეულის ანნონას (პროდუქტულ შემოსავალს), ხოლო მთები კი ჩასწერეს შემდეგნაირად. აღწერის ჩამტარებლებმა, რომელნიც ამის შესახებ სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილნი იყვნენ. მოუწოდეს მთის კაცებს, სხვა ოლქის მსოფლიონთ, და მათი შეხედულებით ჩასწერეს თუ რამდენი მოდი პურს ან ქერს იძლევა (მიწა) მთებში (ვარიანტი: თუ რამდენ მიწას მოიცავს ერთი მოდი ხორბალი ან ქერი). ასევე ჩასწერეს მიწა, რომელიც არ ითესება (ეი. უხმარია), ცხვრის (ვარიანტი: პირუტყვის) საძოვრები, რომელნიც იძლევიან გადასახადს (δυντέλεια) ხაზინისათვის. არის სოფლები, რომელნიც აძლევენ ხაზინას საძოვრებისათვის წელიწადში ერთ დინარს, სხვანი — ორ დინარს, მესამენი — სამ და მეტ დინარს. ამ გადასახადს რომეები საძოვარ-საბალახოებიდან კრეფენ ნისანის თვეში თავიანთი ცხენების საკვებად და აგრეთვე თავიანთი პირუტყვისათვის საკვების საყიდლად.[34]

პლეთრი უდრიდა დაახლოებით 30 მეტრს. აქედან გამოდის, რომ თუგერი (2 პლეთრი 60X60) უდრის 3600 კვ. მეტრ მიწას. ეს იყო მაშინ ერთი დღის სახნავი ფართობი. ხოლო იმპერატორ დიოკლიტიანეს

---

33 . ლათ. jugum ნიშნავდა უღელს. აქედან jugerum იყო მიწის ზომა, ერთი დღის სიგრძეზე სახნავი მიწა. იუგერის ქართული შესატყვისია ძველისძველი მიწის ქართული საზომი დღიური. ამაზე ძველი უნდა იყოს ტერმინი ქცევა (საქცევი). რომელიც დას. საქართველოშია შემორჩენილი. მიწის საზომად ირანში იხმარებოდა გარიბ. რომლის შესატყვისი ქართულში იყო გრიგი. გარიბ-გრიგი იყო წონის ერთეულიც. ერთი გრიგის სათეს მიწას იგივე სახელი ერქვა. გარიბი. როგორც მიწის ზომის ერთეული. შეიცავდა 3600 (60X60) წყრთას. წყრთა კი ირანში უდრიდა 444 მილიმეტრს. აქედან გრიგი მიწა გამოდის (26.6 მეტრ x 26.6 მეტრ) 707.5 კვმეტრი.

34 . Н.В. Пигулевская. К вопросу о податной реформе Хосроя Ануширвана. ВДИ, 1937, §1, стр. 149-150

დროს, მაშასადამე, III საუკუნის ბოლოში ან 300 წლის ახლოს, იუგად (ერთ უღლად) გამოცხადებულ იქნა 5 იუგერი ანუ 1,8 ჰექტარი მიწა. აქ უნდა იგულისხმებოდეს დასასვენებელი მიწაც. მაგრამ თუ აქ ვიანგარიშებთ სახნავი მიწის ორ ცვლას, მაშინ მივიღებთ, რომ დღიურზე უკვე იანგარიშებოდა 0,9 ჰექტარი მიწა, სამი ცვლის ანგარიშზე კი გამოდის დღიურზე 0,6 ჰექტარი მიწა.

საგადასახადო ერთეულს შეადგენდა პირველი ხარისხის 20 იუგერი (7,2 ჰა) მიწა, მეორე ხარისხისა 40 იუგერი (14,4 ჰა) და მესამე ხარისხისა 60 იუგერი (21,6 ჰა) მიწა.

საგადასახადო ერთეულად პირველი ხარისხის 7,2 ჰა მიწის მიღებით ხუნის ორ ცვლაზე მივიღებთ მუდმივ დამუშავებაში მყოფად 3,6 ჰა მიწას. ვახტანგ VI-ის დასტურმალით (1705 წლის ახლოს) 50 დღიურზე ქართლში საშუალოდ იანგარიშებოდა (125 კოდის სათესლეს გამოკლებით) 875 კოდი ხორბალი მოსავალი ანუ მაშინდელი ოდენობით (კოდზე 56 გირვანქის ჩათვლით) 1225 ფუთი ანუ დღიურზე 24,5 ფუთი ხორბალი. 3,6 ჰექტარ ანუ 7 დღიურ მიწაზე დარჩებოდა 171,5 ფუთი ხორბალი, რაც საკმარისი იყო 7,5-8 სულისაგან შემდგარი ოჯახის გამოსაკვებად.35 ამგვარად, გამოდის, რომ IV საუკუნის დასაწყისიდან უკვე მიჩნეული იყო საგადასახადო ერთეულებად დაახლოებით იმ ოდენობის კომლი, რომელიც საქართველოში არსებობდა შემდგომ საუკუნეებში ვიდრე ბატონყმობის გადავარდნამდის.

ტაბარის აქვს საყურადღებო ცნობები სპარსეთის სასანიანთა მონარქიის ფულადი შეძლებიანობის შესახებ. ხოსრო II-ის მეფობის მე-18 წელს (608 წ.), მცირე აზიის ქვეყნების დაპყრობის შემდეგ, ფულადი შემოსავალი იყო სულ 420 მილ. მიტყალი (მისხალი) ვერცხლი, რაც შეადგენდა (7 მისხალზე 10 დირჰემის ანგარიშით) 600 მილ. დირჰემს. მთელი ეს თანხა დაგროვილი იყო სპეციალურ განძ-საცავში (ხაზინაში), რომელიც იმავე ხოსროს დროს გაშენებულ იქნა კტეზიფონში. ფულადი შემოსავალი შედიოდა სათავო გადასახადისაგან და გარდა ამისა სახელოსნო ნაწარმზე და ვაჭრობაზე დაწესებული ბაჟიდან (ძველქართულად ზვერედან). ამასთანავე ხაზინაში დაგროვილი იყო დიდძალი სხვადასხვა ძვირფასეულობა და სამოსები.

---

35 . "საქართველოში კოდი პური არის მიღებული საჭირო თითო სულის საზრდოდ" (თვეში), ჟურნ., "საქართველოს სასულიერო მახარებელი", 1866, სექტემბერი, გვ. 84. კოდი მაშინ უდრიდა 2 1/4 ფუთს.

ყურადღებას იქცევს კიდევ ტაბარის შემდეგი ცნობა. იმავე ხოსრო II-ის განკარგულებით ხაზინაში გადატანილ იქნა ტომრები მეფეების პეროზის (456-484 წწ.) და კობადის (484-531 წწ.) დროს მოჭრილი ფულით. სულ 12 ათასი ტომარა, თითოში 4 ათასი მიტყალი ანუ მთლიანად 40 მილ. მიტყალი. ეს ამოდენა თანხა ფულად გაუხმარებლივ ინახებოდა საუკუნეზე მეტ ხანს.

ტაბარისავე ცნობით, ხოსროს მეფობის მე-13 წელს (603 წ.) ფულები გადაჭედილ იქნა ახალი ნიმუშის მიხედვით. იმ თანხის გარდა, რომელიც საჭირო იყო ახალი ჯარის შესანახად, ვერცხლის ფული აღმოჩნდა 200 ათ. ტომარა, სულ წონით 800 მილ. მიტყალი. 620 წელს იმავე ხოსრო II-ის მეფობის 30-ე წელს სპარსეთის ხაზინაში იყო კიდევ ბევრად უფრო მეტი თანხა — 400 ათ. ტომარა 1600 მილ. მიტყალის წონის. ამაში არ შედიოდა ჯარის შესანახად განკუთვნილი თანხები.[36]

ეს ანგარიშები უაღრესად გაზვიადებულია და ტაბარი, რომელიც თვითონ სპარსელი იყო, ცდილობდა ძველი სპარსეთის დიდების წარმოჩენას. ამიტომ მას აქ პატრიოტული გატაცებით დიდი შეცდომა მოუვიდა. ეს ჩანს შემდეგიდან.

იეშუ სტილიტის (507-518 წლ. ახლოს) სირიული ქრონიკა გადმოგვცემს, რომ კიონაიების (ჰუნების) მიერ ტყვედ შეპყრობილმა პეროზ მეფემ ძლივს შეძლო თავის დასახსნელად ჯორის 20 საპალნე ზუზე (დირჰემის) გადახდა. დანარჩენი ათი საპალნისათვის კი იძულებული გახდა მძევლად თავისი შვილი კობადი (მომავალი მეფე) დაეტოვებინა. თავის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ პეროზმა მთელ თავის ქვეყანას დაადვა სათავო გადასახადი და ასე გააგზავნა ჰუნნებთან ხსენებული ათი საპალნე ვერცხლის ფული.[37] 10 საპალნე შემდეგდროინდელი ცნობების გამოყენებით (მაგ., ჩრდ. ირანში XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ხარვარი იწონიდა ას ბათმანს ანუ საშუალოდ ასი ათას მისხალს) უნდა ყოფილიყო დაახლოებით ერთი მილ. მიტყალი ვერცხლი ანუ 1,44 მილ. დირჰემი. მიახლოებით ეს უნდა იყოს მთელი სათავო გადასახადი, რომელიც იკრიბებოდა ირანის სახელმწიფოში

---

36 . Tabari, Nöldeke, 354-376; Н.В. Пигулевская. Византия и Иран на рубеже VI и VII вв., М.-Л, стр. 217-219.

37 . Н.В. Пигулевская. Месопотамия на рубежах V-VI вв. н.э. Сирийская хроника Иешу Стилита как исторический источник. М.-Л, 1940, стр. 133. სირიული ზუზე. ბაბილონური ზუზუ არის ბერძნული დრაამის, სპარსული დირჰემის ეკვივალენტი. ზუზეს სომხეთისათვის იხსენიებს ლევონდი (ლეონტი).

(საბაჟო სავაჭრო-სახელოსნო გადასახადები აქ არ შედიან). სულ ირანის სახელმწიფოში ამ დროს ყოფილა ქალიან-ბავშვიანად დაახლოებით 11 მილ. სული ორ.სქ. (სათავო გადასახადის გადამხდელი მოსახლეობიდან, ბატონური კლასები და სამღვდელოება საფიქრებელია, ამ გადასახადს არ იხდიდნენ; ამათი ჩათვლით მთელი მოსახლეობა აღწევდა, საფიქრებელია, უფრო 11 2/3 მილ. სულს ორ სქესისას).

თანამედროვის მიერ მოცემული ეს ცნობა დაახლოებით მაინც არის სანდო, მაგრამ ეს ცნობა შეურიგებელ წინააღმდეგობაშია ტაბარის ზემოთ მოტანილ რიცხვებთან. ტაბარის რიცხვები აშკარა გაუგებრობაზეა აგებული. ტომრად აქ უნდა იგულისხმებოდეს სპარსული ქისე,

, ხოლო ეს უნდა იყოს ტაბარის დროინდელი არაბული როტლის ფარდი, როტლი (ლიტრა) კიდევ უდრიდა რომაულ ლიბრას (ლიბრა=324,45 გრამს). მაშინ ტაბარის მიერ მოცემული რიცხვები შემცირდება 52-ჯერ: სპარსეთის შემოსავალი 608 წელს უნდა ყოფილიყო არა 600 მილ. დირჰემი, არამედ 11,5 მილ. დირჰემი (სათავო და საბაჟოები, აგრეთვე სახელოსნო-სავაჭრო გადასახადები); პეროზ და კობად მეფეთა დროინდელ საგანძურებში VII საუკუნის დასაწყისში დაცული ყოფილა ვითომ 40 მილ. მიტყალი ვერცხლი ანუ 57 მილ. დირჰემი, ნამდვილად კი მხოლოდ 1,09 მილ. დირჰემი; 603 წ. სპარსეთის ხაზინაში ყოფილა არა 800 მილ. მიტყალი, არამედ 15,38 მილ. მიტყალი, ხოლო ხოსრო II-ის მეფობის 30-ე წელს (620 წ.) — 30,76 მილ. მიტყ. ვერცხლის ღირებულება.[38] ამ ცნობების შედარებიდან ცხადი ხდება, რომ VI საუკუნის სიგრძეზე სპარსეთის მონარქია აღმავლობის გზაზე იმყოფებოდა და ეკონომიურად თანდათან ძლიერდებოდა. მაგრამ ბიზანტიის იმპერიის მთლად დაპყრობის ცდამ და მალე ამის შემდეგ არაბების ხალიფატის გამოსვლამ სპარსეთის სახელმწიფო დასცა და შეიწირა კიდეც მსხვერპლად.

---

38 . არაბების დროს ამ მცირე ქისას გარდა იხმარებოდა დიდი ქისა — ტომარიც დაახლოვებით ისეთი, როგორსაც გულისხმობს ტაბარი სპარსეთის მიმართ. სებეოსი (§ 49) გადმოგვცემს, რომ 654 წელს მედიელები აჯანყდნენ ისმაიტელთა (არაბთა) წინააღმდეგ. აჯანყების მიზეზი იყო ის, რომ არაბების ხელისუფლება ღებულობდა მათგან ყოველწლიურად 365 ქესა-ტომარა (პაიუასიკ) ფულს, ხოლო ვისაც გადახდა არ შეეძლო, თითო დრაჰმაზე მიპაედათ თითო კაცი ალბათ გარკვეულ სამუშაოზე. 365 ტომარი აქ უნდა ყოფილიყო 1460 ათ. მიტყალი ანუ (რადგანაც დრაჰმა-დირჰემი 2/3 მისხალ ვერცხლს შეიცავდა) 2190 ათ. დრაჰმა. მედია ირანში ყველაზე მდიდარი, დიდი და იმავე დროს კარგად დასახლებული მხარე იყო, მაგრამ ამ გადასახადის ატანა ამ ქვეყანამ მაინც ვერ შეძლო.

44. მეომარი ძალა.

სამხედრო საქმეს უმთავრესად თავდაცვის ინტერესებისათვის, ხოლო საჭირო შემთხვევებში შემტევი პოლიტიკისათვის ყოველთვის ჰქონდა მეტად თვალსაჩინო მნიშვნელობა.

მეომრის აღსანიშნავად უძველესი ქართული ტერმინი, რომლის დადასტურება აღდგენითი საშუალებით არის შესაძლებელი, არის მოღვაწე. დოკუმენტურად ეს ტერმინი დასტურდება ბიბლიის ქართული თარგმანის მიხედვით. იმავე ტექსტში ომს ეწოდება ღვაწლი. აქედან არის წარმოდგენილი ამ ღვაწლის ჩამტარებელი მოღვაწე.

შემდგომ ეტაპს მეომრის სახელწოდებაში წარმოადგენს მოქალაქე. როდესაც ქალაქები წარმოადგენდნენ თავისუფალ (გაბატონებულ) კლასის საცხოვრებელ პუნქტებს, ბუნებრივია, რომ ამ კლასის წევრთ მოქალაქეები ეწოდათ, ხოლო რადგანაც ისინი თავისი მდგომარეობით მეომრები იყვნენ, ამიტომ ტერმინი მოქალაქე გახდა მეომრის სინონიმი. ტერმინი მოქალაქე მეომრის მნიშვნელობით შეიძლება წარმომდგარიყო VI საუკუნიდან ჩვენს ერამდის, როდესაც ჩვენში შემოდის სპირსული ტერმინი ქალაქი.

მოღვაწის და მოქალაქის ინდეტურობა ცხადად ჩანს ქრისტიანულ ხანაში ჰაგიოგრაფიულ ნაწარმობათა სათაურებში წარმოდგენილი გადანარჩომის მიხედვით, სახელდობრ გამოთქმა "ცხორება და მოქალაქობა" ამა და ამ წმიდანისა და აგრეთვე "ცხორება და მოღვაწეობა" ამა და ამ წმიდანისა იხმარება ერთი და იმავე მნიშვნელობით. ცხადია, რომ მოღვაწეობა და მოქალაქობა არის ერთი და იგივე. ერთი და იგივეა, მაშასადამე მოქალაქე და მოღვაწე.

დაბადების ტექსტებში მეომრის აღსანიშნავად იხმარება კიდევ ტერმინი მეჰომე.

სახარების ქართულ ტექსტში მეომრის მნიშვნელობით იხსენიება ორივე ვერსიის ლუკას სახარებაში (3,14) "ერად განწესებული" (ბერძნულში στρατεομένοι — ჯარში მოსამსახურენი), ხოლო ახალი აღთქმის სხვა წიგნებში (V საუკუნის პირველი ნახევარი) — ერისგანი, ერისკაცი. მაგრამ ერისგანი, ერისკაცი იყო ჩვეულებრივი მეომარი, მძიმედ შეიარაღებულ მეომარს ეწოდებოდა აზნაური. ეს ცხადად ჩანს დაბადების ქართული თარგმანიდან, სადაც ჰურიათა მეფის დავითის გოლიათთან შებრძოლების თხრობისას გოლიათი თავის შეიარაღებით

პირდაპირ აზნაურად არის წოდებული. მთარგმნელმა აქ ტექსტი გადმოთარგმნა არა სიტყვასიტყვით, არამედ თავისუფლად და შეიარაღების აღწერილობისას გოლიათი შეადარა აზნაურს. ცხადია, მძიმედ შეიარაღებული მეომარი ქართველ მწიგნობარს გაიგივებული აქვს თავისი დროის ქართველ აზნაურთან.

საყურადღებოა, რომ 2 კორ., 10,3, ბერძნული გამოთქმა στρατενόμεψα – "ჯარში ვმსახურობთ" ქართულად გადათარგმნილია მარტივად "განწესებულ ვართ". იქვე; 2 კორ., 10.4 ბერძნული στρατεία – ომიანობა, ჯარი, გადათარგმნილია, როგორც "მხედრობა". ამის და წინანდელი მაგალითის მიხედვით ტერმინი წესი, განწესება IV – V საუკუნეებში დაკავშირებული ყოფილა ჯარში სამსახურთან.

საყურადღებოა, რომ ბიბლიის ქართულ თარგმანში განწესებული ნიშნავს დროშის მქონესაც (რიცხვთა 2,3; 2,10 და სხვა). თვითონ დროშა სპარსული სიტყვაა, შუა სპარსულში (ფაჰლაურში) იხმარებოდა ფორმით drafsh, მაგრამ ეს სიტყვა ქართულში უფრო გვიან დამკვიდრდა.

სასანიანთა სპარსეთში მხედრებს შეადგენდნენ დეჰკანები. ეს ტერმინი ახალ სპარსულში ნიშნავს მიწათმოქმედს, მიწის მხვნელს, მაგრამ სასანიანთა ხანისთვის ის გაგებულია როგორც მიწათმლობელი. მართლაც, ეს ტერმინი, რომელიც უკავშირდება სპარსულსავე დეჰ – ათი უნდა იყოს იგივე, რაც ბერძნული დეკანია (დეკას) – ათეული, გაფორმებული სპარსულად და ნიშნავს ათეულის უფროსს, ათისთავს. "ანუშირვანის საგადასახადო სისტემა გამოდიოდა დიოკლიტიანესა და მის მემკვიდრეთა საგადასახადო სისტემისაგან".[39] საერთოდ IV-V საუკუნეებში სპარსეთი ბევრ რამეში ბაძავდა აღმოსავლეთი რომის იმპერიას. დიმტკიცებულია, რომ დეჰკანები სპარსეთში მხედრებად გამოდიოდნენ და ეს მათ ევალებოდათ კიდეც.[40] სახელმწიფო ორგანიზაცია, რომლის მთავარ ფუნქციას დაცვის საქმე წარმოადგენდა, ათეულობის სისტემაზე იყო ძველიდანვე აგებული (საგადასახადო-საშემოსავლო უწყების საფუძველში დიდი ათასის თავი იდგა). ამიტომ მხედრების ათისთავებთან გაიგივება ნიშნავს, რომ პრინციპში მხედარს მიცემული ექნებოდა უფლება ათ კომლ მიწათმოქმედის გადასახადი სამხედრო სამსახურის ასანაზღაურებლად თავისთვის მიეღო. ქართლში დეჰკანის ფარდი

---

39 . Fr. Altheim, R. Stiel, Finanzgeschichte der Spätantike. Frankfurt am M., 1957, S.69.

40 . იქვე. გვ. 67, 68 და 66.

ათისთავი წყაროებში (რომელნიც მეტად მცირეა) არაა მოხსენიებული, მაგრამ დადასტურებულია ასისთავები და ათასისთავები. ასისთავების არსებობა გულისხმობს ათასისთავების ყოფნასაც. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვეულებრივი ცხენოსნები ჯარში ათისთავთაგან იყვნენ, რომელთაც უფლება ჰქონდათ სამსახურის სანაცვლოდ მათ ხელქვეით მყოფი ათი კომლისაგან გარკვეული გადასახადი აეღოთ. ასევე შეიძლება ითქვას ასისთავების და ათასისთავების შესახებ. ათასისთავებისაგან გამოდიოდნენ წინამძღოლები, ხოლო ასისთავებისაგან უნდა ყოფილიყვნენ შეჯავშნული მეომრები თოროსანი ცხენებით. იყვნენ ქვეითი მეომრებიც, რომელნიც, როგორც სპარსეთის მაგალითიდან ჩანს, გამოჰყავდათ მიწათმოქმედთაგან. ციხეებისათვის და ზოგიერთ დასაცავ ადგილებისათვის საჭირო იყო მუდმივი რაზმები ქვეითთა მეომრებითაც. სპარსეთის მაგალითი ცხადჰყოფს, რომ ამ შემთხვევაში მეომრებს ეძლეოდათ დასამუშავებლად ადგილ-მამული სამკვდროდ.

ჰამზა ისპაანელის სიტყვით, დარუბანდის კედელი იგი 20 ფარასანგის სიგრძის (=106კმ) და ჩამოდიოდა კასპიის ზღვამდის. ცალკე ნაკვეთებს ჰყავდა ცალკე უფროსი (kaid) საკუთარი რაზმით. ჯარისკაცებს მიეცათ ახლომახლო მიწები. საიდანაც ისინი იწვევდნენ სარჩოს. მამული გადადიოდა სამკვდროდ იმავე მეომართა შვილებზე, რომელთაც აგრეთვე ევალებოდათ საზღვრის დასაცავად სამსახურის გაწევა. ტაბრის სიტყვით ამ საზღვარზე 5 ათასი კაცი იყო დაყენებული, როგორც მხედრები, ისე ქვეითნი.[41]

უფრო გვიან იხსენიება ხოსრო II აბარვეზის მხრივ იემენში მყოფი მისი მოადგილის (მმართველის) ორი შვილი, რომელთაგან მეორე იყო მხედარი, ლაპარაკობდა სპარსულად და ცხოვრობდა როგორც დეჰკანი, ასევე იხსენიება იგივე პირი მხედრად და დეჰკანად ერთსა და იმავე დროს იმავე წყაროს იმავე ადგილას.[42]

ფეოდალურ ხანაში სპარსეთში მოხდა დიდი სოციალური ძვრანი. დეჰკანების უმეტესობა გაღარიბდა და უკვე ველარ ახერხებდა მხედრად ეკიპირებას და საერთოდ ცხენოსანი მეომრის მოვალეობის შესრულებას. ამიტომაც დეჰკანები გადაიქცნენ ჩვეულებრივ თავისუფალ მიწათმოქმედებად. ამით აიხსნება, რომ ახალ სპარსულში სიტყვა დეჰკან უკვე მიწათმოქმედს აღნიშნავს.

---

41 . იქვე, გვ. 66-68.

42 . იქვე, გვ. 68-69.

45. ჯარის შეიარაღება.

წარჩინებული ქართველების აკაზმულობა შედგებოდა ჯაჭვ-ჩაბალახისაგან და შეჯავშნულ ცხენისაგან. ყველაფერი იყო რკინა-სპილენძის. ასეთივე იყო საერთოდ (იგულისხმება შეძლებული) აზნაურთა შეიარაღება. ეს ჩანს შემდეგიდან:

როგორც მოხსენიებული იყო, დაბადების ქართული თარგმანის მეორე ვერსიაში (V ს.) I მეფ., 17, 6-7 მოცემულია გოლიათის შეიარაღების აღწერილობა და იქვე ნათქვამია, რომ ის "აზნაურად" იყო შეჭურვილი. სიტყვა აზნაური ბერძნულ ტექსტში არ არის და ის ჩამატებულია ქართველი მთარგმნელის მიერ, რის გამო შესაძლებელია გავიგოთ, თუ როგორ იყო შეჭურვილი აზნაური ქვეითი მეომარი V საუკუნეში. იქ წერია, რომ გოლიათი, "აზნაურად ჭურვილი (იყო) ჯაჭვით ჩაბალახითურთ" (ეი. რკინის ჩაფხუტით). საჭურველი ამისი იყო "რკინით სპილენძითურთ" იარაღი იყო "ფარი სპილენძისა" და ჰოროლი. მას თან ჰყავდა მესაჭურვლე (მეაბჯრე) — "სპასიკი ერთი წინაშე მისა" (იმავე მეორე ვერსიის თარგმანის მეორე ვარიანტში სიტყვა აზნაური გასწორებულია სპარაზენად, რაც სომხურად აღჭურვილ მეომარს ნიშნავს).

თვით ვახტანგს ჰქონდა "ოქროს (ეი. ოქროთი შემკული) ჩაბალახი". (ჩაფხუტი) ამ მის ჩაბალახს წინიდან ჰქონდა გამოსახული მგელი და უკან — ლომი. ცხადია, რომ წინ ჩაბალახს მცირე ადგილი ექნებოდა დატოვებული თვალებისათვის. აი როგორ აქვს აწერილი IV საუკუნის ბოლოში 369 წელს რომაელ თვითმნახველს ამმიან მარცელლინს პართელების ცხენოსნების შეიარაღება (XXV, 1, 12-13). როდესაც რომის იმპერატორ იულიანთან ეს ცხენოსანი ჯარი გამოჩნდა, ის თიქოს რკინაში იყო ჩამჯდარი. "ყოველ მხედარს მთელი ტანი დაფარული აქვს რკინის მცირე ფირფიტუნებით იმდენად მჭიდროდ, რომ აბჯრის მქისე შენაერთები ადვილად ემორჩილებიან სხეულის ყველა ნაწილის მოძრაობას. სახე დაცულია ნიღაბით იმდენად კარგად, რომ მთელ ტანზე არცერთს ისარი არ შეიძლება აბჯარს შერჩეს, თუ ის არ მოხვდა თვალის წინ დატოვებულ მცირე საჭვრეტს და მცირეევე ჭუჭრუტანას ნესტოებთან, რომლითაც მეომარი სუნთქავს გაჭირვებით: შუბებით შეიარაღებულ მეომართა ნაწილი იდგა უძრავად, ასე რომ კაცს ეგონებოდა თითქოს ისინი რკინის ჯაჭვებით იყვნენ დაბმულნი. მათ გვერდით იყვნენ განლაგებულნი მემშვილდენი. ამ საქმით (მემშვილდეობათა წყობით) სპარსელები ძველიდანვე ძლიერები იყვნენ. ისინი ხელებგაწვდილნი

ჭიმავდნენ თავიანთ მოქნილ მშვილდებს ისე, რომ მშვილდის ლარი სწვდება გულის მარჯვენა მხარეს, მაშინ როდესაც მარცხენა ხელი მიჭერილია წვეტიან ისარზე, თითის სწრაფი და გამოცდილი მიჭირებით ისარი სისინით მიფრინავდა და იწვევდა სასიკვდილო ჭრილობას".

ზემოთ მოხსენიებულ ცნობებში ყურადღებას იპყრობს ქართველების შეჭურვილების თავისებურება შედარებით, მაგ., სპარსელებთან, რომლებთანაც ქართველები საერთოდ კულტურის დარგებში და მმართველობის საქმეში ბევრს საერთოს ამჟღავნებდნენ თუნდაც ტერმინოლოგიის სესხების მხრივ. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის, რომ ქართული აღჭურვილობა და მისი ამსახველი ტერმინები ყველა თავისებურია და ადგილობრივი წარმოშობისაა. ასეთია მაგ., ტერმინები ჯავშანი, ჩაბალახი, ჩაფხუტი, აბჯარი (ეს ორი ტერმინი ჯუანშერს არა აქვს მოხსენიებული ალბათ შემთხვევით). ჰოროლი, ლახვარი. ქართველების ჯავშანი და ჩაბალახი (ორივე რკინის) სულ სხვაგვარია, ვიდრე სპარსელი მეომრების აღჭურვილობა, როგორც ამას ამმიან მარცელლინი გვისახავს. ერთადერთი გამონაკლისია თოროსან ცხენის მოხსენიება (თუმცა ჯუანშერი იქვე, ამის პარალელურად ცხენის ჯავშანსაც იხსენიებს). სიტყვა თორი ათვისებული ბერძნულიდან (ბერძნულად თორაქს, θώρᾱξ ჯავშანს ნიშნავს). ჩანს, ცხენის ჯავშანით დაფარვა შემოვიდა ჩვენში რომეებ-ბერძნების ზეგავლენით უფრო, მაშასადამე, IV საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ყველა ქართული ქვეყნები რომის იმპერიის ხელქვეით იმყოფებოდნენ.

თვით ვასტანგ გორგასალის შესახებ ჯუანშერი ორ ადგილას ამბობს, " რომ მას ჰქონდა ფარი" ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკვეთდა მახვილი". ვიგრი უდრის სომხურ ვაგრს, ინდურ vyagra-ს და ნიშნავს ვეფხვს.

46. ჯარის სოციალური სტრუქტურა.

სპარსეთის (პართიის) მაგალითის გამოყენებით ადვილი ხდება ვასტანგის დროინდელი ქართველი ჯარის სოციალური სტრუქტურის გარკვევა. ამმიან მარცელლინის მიხედვით სპარსელების ცხენოსანი ჯარი გაბატონებულ თავისუფალთაგან შედგებოდა. უფრო ადრე კიდევ იუსტინი (I ს.) აღნიშნავდა, რომ პართიაში ცხენოსანი ჯარი შესდგება მხოლოდ თავისუფალთაგანო, რომელნიც განუყრელად დაკავშირებულნი იყვნენ თავიანთ ცხენებთან – ცხენით ისინი დადიოდნენ, ცხენითვე ვარჯიშობდნენ და სხვა. მონებს არ ჰქონდათ იარაღის ტარების

უფლება. IV-V საუკუნეებში მონებმა (ნაწილმა მაინც) იარაღის ხმარება იცოდა. თვით ვახტანგი სასიკვდილოდ დასჭრა მეტად ზუსტი სროლით მისმა მონა-ყოფილმა. მაგრამ როგორც მარცელლინის ცნობიდან საგულისხმებელია, სპარსეთში (და ქართლშიც) ცხენოსნები (მხედრები) მხოლოდ თავისუფალთაგან შესდგებოდნენ. მძიმედშეჭურვილნი (თოროსან-ცხენოსანნი) იყვნენ სეფეწულ-მთავართაგან და დიდ აზნაურთაგან. საკმაოდ მრავალრიცხოვან მსუბუქ ცხენოსან ჯარს შეადგენდნენ წვრილი აზნაურები და ე.წ. უაზნონი. ეს უაზნონი იყვნენ თავისუფალნი, მაგრამ არა აზნაურთაგან. ქართულად ზეპურნი, რომლებიც უდრიდნენ სომხურ ზეპუჰებს. ქვეითი ჯარი კი შესდგებოდა სოფლის (თემის) კაცთაგან.

ამმიან მარცელლინის სიტყვით (XXIII, 6, 83) "სპარსელების სამხედრო მოწყობილობა, მათი დისციპლინა და მუდმივი ვარჯიშობანი სამხედრო წყობაში რაც არაიშვიათად შიშს გვგვრიდა ჩვენ, მრისხანედ ხდიან მათ თვით ძლიერ დიდ ლაშქართათვისა. თვითონ ისინი ყველაზე მეტ იმედს ამყარებენ თავისი ცხენოსანი ჯარის სიმამაცაზე. ამ ჯარში მძიმე სამსახურს ასრულებენ მთელი მათი წარჩინებული წოდება და ყველანი თავისი წარმატებით გამორჩეულნი. ქვეითნი, რომელნიც შეიარაღებულნი არიან მირმილიონების მსგავსად (ეს იყო რომში გლადიატორების შეიარაღების ერთი სახეთაგანი), ასრულებენ საბარგულების მცველთა სამსახურს. მთელი მათი მასა მიჰყვება ცხენოსან ჯარს, როგორც თითქოს სამუდამო მონობისთვის განწირული. მათ არასოდეს არ აძლევენ არავითარ გასამრჯელოს არც ჯამაგირით და არც რაიმე საჩუქრებით".

სპარსელების (წამყვანი პირები) ხმარობდნენ ოქროს საკინძებს და საყელურებს, აგრეთვე ძვირფას ქვებს და განსაკუთრებით მარგალიტს, რომელიც მათ ძლიერ ბლომად აქვთო (იქვე).

47. ბრძოლის და შებმის წესები.

ქართველების ბრძოლა ჯუანშერს მოთხრობილი აქვს ოსებთან. ოსების მთავარს ბაყათარს, რომელიც ბუმბერაზად იხსენიება (ის გოლიათისებური ტანისაც იყო და ცხენზე ოჯდა) მშვილდი ჰქონდა სიგრძით 12 მტკაველი (2 2/3 მეტრი) და ისარი 6 მტკაველი (1,3 მეტრი). ვახტანგი მასთან შესაბრძოლებლად აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა ჯაჟშნითა" (ტაიჭი საბას ლექსიკონით იყო გამოყვერული ცხენი).

ფარი მას ჰქონდა ვიგრის ტყავის,[43] რომელსა ვერ ჰკვეთდა მახვილი. ვახტანგს მშვილდისარი თითქმის არ ჰქონდა. სამაგიეროდ მას ჰქონდა ხმალი. ბაყათარის და ვახტანგის შებმის დროს იყო ჯარის მიერ ორივე მხრიდან "ცემა ბუკებისა და დაბდაბებისა" (ორსავე მხარეს ეტრატ დაკრული, იგივე დოლი; დაბდაბი და დოლი სპარსული ტერმინებია).

მას შემდეგ, რაც ვახტანგმა მოჰკლა ბაყათარი ქართველების ჯარი გადავიდა შეტევაზე. წინ მიდიოდნენ ცხენ-თოროსანნი და ჯაჭვჩაბალახოსანნი. ამათ უკან მიჰყვებოდნენ ქვეითნი, ხოლო "ქვეითაგანა სიმრავლე მჯედართა (ცხენოსნების)". ამათ უკან იდგა ვახტანგი "რჩეულითა მჯედრითა". ოსები წამოდგნენ კლდესა და დაასხეს ისარი, ვითარცა წვიმა მძაფრი". ცხენ-თოროსანნი, ეი. შეჯავშნულ ცხენზე მჯდომნი, თვითონაც შეჯავშნულნი), რომელთაც ისარი ვერას დააკლებდა, ავიდნენ კლდეზე და დადგნენ ვაკეზე. მათ მიჰყვნენ უკან ქვეითნი და შემდეგ "უმრავლესნი მჯედარნი", ეი. მსრბუქად შეიარაღებული ცხენოსანები.

თუმცა ვიგრის ტყავისაგან შემზადებული ფარი ვახტანგისა ძლიერ მტკიცე იყო, მაგრამ როდესაც ბერძენმა წინამძღოლმა პოლეკარპოსმა ჰკრა ვახტანგს ლახვარი (იგულისხმება ერთ-ერთი თარეშული თავდასხმა ქართველებისა რომზე), რომელიც კაცის მკლავის სისხო იყო (აქ იგულისხმება ან მოკლე ხელშუბა ან ხიშტი), ასეთ დარტყმას ვიგრის ტყავმაც ვერ გაუძლო.

ვინაიდან მძიმედ შეიარაღებულ მხედართა კონტიგენტის შემოღების ბრძოლათა ტაქტიკური ხერხები ზოგადად საუკუნეთა სიგრძეზე ერთგვარი იყო ამიტომ ჯუანშერის თხრობა მაინც გამოდგება V საუკნის სამხედრო საქმის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად მით უმეტეს, რომ ზოგი რამ მას აღებული აქვს თავისი (საფიქრებელია, VI საუკუნის) წყაროდან. პარალელები სამხედრო საქმის მდგომარეობიდან აესებენ ამ სურათს.

ამმიან მარცელლინი (XXIV, 6,8) იმავე ლაშქრობის დროს უფრო ადრე შემხვედრი სპარსელების ჯარის შესახებ წერს:

---

43 . ვიგრის ტყაეს სამა განმარტაეა: "აწ ვიგრის ტყაეს კროკოდილისა ტყაეს უკმობენ". ვიგრი არისო კიდეე სპარსულად დეზუბან; სპარსულად დეზუბან გველია." მისი ტყაეი, წერს სამა "ეგრეეე ძელით მოლურსმულია", საგრამ სამაეე აღნიშნაეს, წმ. ბასილის ნაწარმოებში (იგულისხმება ამის ქართული თარგმანი) წერია – "ღომი, ვიგრი და ეეფხეი". თითქოს ვიგრი ამის მიხედეით უნდა იყოს ეეფხისდაგვარი ცხოველი, მაგრამ ნაკლები ზომის. (სპარს. პარს; რუს. барс).

'სპარსელებმა წამოაყენეს ჩვენს წინააღმდეგ შეკაკშნული მხედრები იმდენად მჭიდრო წყობით, რომ სხეულის ყველა მოძრაობის დროს ის ფირფიტუნები, რომელნიც ტანის ნაწილებს მჭიდროდ ეკრა, მოპირდაპირეთა თვალებს სჭრიდა. ცხენებიც ყველა დაფარული იყო ტყავის საფენებით. მარქაფად კიდევ იდგნენ ქვეითი მანიპულები (manipulus შეადგენდა ორ ცენტურიონს, თეორიულად ორ ასეულს — ს.კ.). ისინი თავს იფარავდნენ მოგრძო გამოლუნული ფარებით, რომლებიც წალმისაგან იყენენ მოწნულნი და დაფარულნი მოუქნელი ტყავით. მოდიოდნენ ისინი მჭიდრო წყობით. მათ უკან მთების მსგავსად მოდიოდნენ სპილოები, რომელნიც თავის უზარმაზარი ტანის მოძრაობით დაღუპვით ემუქრებოდნენ მათ, ვინც მათ მიუახლოვდებოდა. ისინი შიშს ჰგვრიდნენ წარსული ამბების მოგონებით"(სპილოები თავის გარეგნობით აფრთხობდნენ მოპირდაპირის ცხენებს, რითაც არევდარევა შეჰქონდათ მოპირდაპირის ლაშქარში. ეს გარემოება იგულსხმება აქ).

არიანე, როგორც კაბადოკიის მმართველი, 136 წ. აწარმოებდა ომს ალანებთან. დისპოზიციაში ალანების წინააღმდეგ მოქმედ ჯარისათვის, სხვათა შორის, ნათქვამია: "შძიმე ქვეითი ჯარის უკან უნდა დადგნენ მოკავშირე ჯარები, სახელდობრ ჯარი მცირე სომხეთიდან, ტრაპეზუნტის ჰოპლიტები, კოლხები და რიძელი (რიზელი) მეშუბენი". სკვითებს, ანრიანისავე სიტყვით, არ ჰქონდათ ჯავშანი და ცხენებიც მათ პყავდათ არა შეკაკშნული.

თავის წიგნში "ტაქტიკაში", რომელიც შედგენილია 137 წ. ანრიანე წერს, რომ "რომაელთა ზოგიერთი ცხენოსნები ატარებენ ხელშუბებს და იერიშზე მიდიან ალანების და სავრომატების წესის მისედვით, ხოლო სხვა ცხენოსნებს კი აქვთ შუბები.

მისივე სიტყვით, ჯარის სოლისებური წყობა, როგორც ამბობენ, უფრო იხმარება სკვითებში და აგრეთვე თრაკიელებში, რომელთაც ეს ჩვეა გადაიღეს სკვითებისაგანო.

ქართულ ტომებში სამხედრო წესები თითქოს პგავდა კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრებ ტომების წესებს. საყურადღებოა ამ მხრივ ანრიანეს ცნობა სკვითების სამხედრო ალმების შესახებ:'სკვითების სამხედრო ალმები წარმოადგენენ ვეშაპებს, რომელნიც ქროლავენ სათანადო სიგრძის ტარებზე. ამ ალმებს კერავენ ფერადი ნაჭრებისაგან ისე, რომ ტანს და მთელ სხეულს ვიდრე კუდამდის აკეთებენ გველის სახედ და რაც შეიძლება შიშის მომგვრელი გარეგნობის. ეს გამოიხატება შემდეგში: როდესაც ცხენები გაჩერებულნი არიან, ხედავ მხოლოდ

სხვადასხვა ფერის ნაჭრებს, რომელნიც ძირს არიან დაკიდებულნი, მაგრამ ამოძრავებისას ისინი ქარისაგან იბერებიან ისე, რომ ძლიერ მიაგვანან (დასახელებულ) ცხოველებს და სწრაფი მოძრაობისას ძლიერი ქროლისაგან, რომელნიც მათში გადის უშვებენ ფშვინტინს". ეს ალმები თავის გარეგნობით არა მარტო იწვევენ სიამოვნებას ანუ საშინელებას, არამედ სარგებლონი არიან იერიშის დროს მხარეთა გასარჩევად და აგრეთვე რაზმების ერთმანეთზე თავდასხმის ასაცილებლად".

რომის იმპერატორ აურელიანეს მიერ 272 წ. პალმიოას სახელმწიფოს (სირიაში და მის მიმდგარ ქვეყნებში) დედოფალ ზენობიზე მოპოებულ გამარჯვების შემდეგ ნადავლს შორის იხსენიება "სპასული გველეშაპები "Persici dracones ფლაბი ვოპისკ/უს/ის ცნობა (§.28).

საყურადღებოა, რომ სვანებს XIX საუკუნეშიც ჰქონდათ ამისდაგვარი დროშა, რომელიც ქარზე იბერებოდა და სახავდა ლომს.

სინდეთში ლაშქრად ყოფნის დროს სინდთა მეფემ და ვახტანგმა თავიანთი ჯარების თვალწინ გამოიწვიეს ერთმანეთი ბრძოლად. "გამოვიდა სინდთა მეფე– და განვიდა ვახტანგ და ორთავე მათ აქუნდა ჰოროლები, წერს ჯუანშერი, მაშინ იწყეს რბევად მრგვლივ ნავარდსა (სპარსული სიტყვა ნეკერდ ბრძოლა, ქართულად – საბრძოლო ფართობი) და ღონესა ეძიებდის ორნივე, რათემცა შეჰყვეს წერსა ჰოროლისასა (უნაგირსა და საჯდომს შუა მოპირდაპირის ცხენიდან გადასაგდებად, რადგანაც პირდაპირი დარტყმით მძიმედ შეჭურვილი მხედრის დაზიანება, მისი დაჭრა ან სიკვდილი თითქმის შეუძლებელი იყო). მაშინ დაიკამა სინდთა მეფემან შეყოლა ვახტანგის ჰოროლის წერისა და შეუტევა, რათამცა სცნა ჰოროლნი. ხოლო სიმჭნითა და სიკისკასითა (სისწრაფით) ტანისა მისისათა მიუდრკა ვახტანგ ჰოროლსა და წარკდა (მან აიცდინა ეს ორპირა შუბი) და შემოუმრგვალა (ირგვლივ დაუარა) ვითარცა გრიგალმან და სცნა ჰოროლნი სინდთა მეფესა ბეჭსა მარცხენასა". საჭურველმა ვერ გაუძლო ამ დარტყმას და სინდთა მეფე, სერიოზულად დაჭრილი, ჩამოვარდა. ვახტანგმა მოჰკიდა მას ფეხში ხელი და ასე მიათრია სპარსთა მეფესთან.

ყველაფერ ამას ჯუანშერი წერს IX საუკუნეში. რასაკვირველია ჯუანშერს აღწერილი აქვს ვახტანგის ორთაბძოლა ორგზის: 1. ოსთა ბუმბერაზთან ბაყათართან და 2. სინდთა მეფესთან. ამ ხანაში ასეთი ორთაბრძოლა მიღებული იყო. სებეოსს, რომელმაც თავისი ისტორია დაამთავრა 661 წელს, აწერილი აქვს, თუ როგორ ჯუჯანის (ვრკანის ანუ ჰირკანიის) მარზპანმა სუმბატ ბაგრატუნმა გამოიწვია ორთაბრძო-

ლაში თურქ-ქუშანთა მეფე 614 წლის ახლოს. ქუშანთა მეფეებმა თხოვეს დახმარება ჩრდილოეთის დიდ ხაკანს) ეს იყო თურქთა ხაკანი ახლანდელ ალტაის მთებთან, მას ემორჩილებოდნენ შუა აზიის ქუშანები და ეფთალიტები, იგივე თეთრი ჰუნები. ქუშანებს სებეოსის სიტყვით მოუვიდათ ჩრდილოეთის დიდ ხაკანისაგან 300 ათასი კაცი (რიცხვი, რასაკვირველია, უზომოდ გაზვიადებულია; როგორ ჰგავს ეს რიცხვი ჯუანშერის თხრობაში მოცემულ უზარმაზარ რიცხვებს). ქუშანების წინააღმდეგ სპარსეთის მხრივ დაირაზმა ხსენებული სუმბატ ბაგრატუნი სხვა სომეხ ნახარარებთან ერთად სუმბატს საკუთარი ქვეყნიდან ჰყავდა 2 ათასი მხედარი. დასახელებულია კიდევ ცხრა ნახარარი, მათ შორის სარგის ტაოელი, რომელსაც თან ეყოლებოდა ქართველები ტაოდან. ორივე მხარე დიდძალი ჯარით დაიძრა ერთმანეთის წინააღმდეგ. "მივიდნენ ბრძოლის ადგილას და დაეწყვნენ ერთმანეთის პირდაპირ. ქუშანების მეფემ გაუგზავნა კაცი სუმბატს და შეუთვალა მას: "რა სარგებლობაა მრავალრიცხოვანი ხროვათი შევებრძოლოთ ერთმანეთს და ამოვწყვიტოთ ჩვენი ჯარები? ან რაში გამოჩნდება ჩემი ან შენი მამაცობა? მოდი ერთმანეთს შევებრძოლოთ პირისპირ. მე გამოვალ ჩემი მხრიდან შენს წინააღმდეგ და შენ გამოდი შენი მხრიდან და შენ დღესვე ნახავ ჩემს მამაცობას". სუმბატმა ხელი დაირტყა გულში და თქვა: "მე მზად ვარ სიკვდილისათვის".

"ისინი როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან მედგრად დაესხნენ თავს ერთმანეთს და ორივე ჯარის რიგების წინ შეებრძოლნენ ერთმანეთს. ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო მორეოდა მეორეს, რადგანაც ორივე იყვნენ უზარმაზარი ტანისანი და ძლიერ შეიარაღებულნი. მაგრამ ბოლოს უზენაესიდან დახმარების წყალობით სუმბატმა შესძლო შუბით გაერღვია ქუშანთა მეფის მაგარი ბალჰური დაწნული ჯავშანი და ძლიერი დარტყმით დასცა თავის მოწინააღმდეგე მიწაზე. როდესაც ჯარმა დაინახა, რომ მისი მეფე მოკლულია, მას თავზარი დაეცა და გაიქცა. სუმბატას ჯარი გამოედევნა მათ და მან მიაღწია ქუშანთ ქვეყნის ბაჰლშაჰსტანამდის და დაარბია მთელი მხარე — ჰარ, ვატაგეს, მთელი ტოხოროსტანი და ტალაკანი, აიღო ბევრი ციხე და დაანგრია ისინი. დიდი გამარჯვებით და უზარმაზარი ნადავლით ის დაბრუნდა უკან და დაბანაკდა მარგის და მარგრიტის ოლქებში" (სებეოსი).

მეფობის გაუქმების წინა წლები და უმეფობა ქართლში

48. ქართლის მეფენი V საუკუნეში დაწყებული ფარსმანიდან.

მირიანის შემდგომი მეფეების სია მოცემულია მოქც. ქ-ში და აგრეთვე "ქართლის ცხოვრებაში" ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებით. მოქც. ქ-ს სია არის შემდეგი:

ბაკურ ძე რევისა, წილკნის ეკლესიის აღმშენებელი, ძმა ამისი თრდატ, რუსთავის და ნეკრესის ეკლესიის აღმშენებელი.

ვარაზბაკურ, რომლის დროს სპარსნი შემოვიდეს;

ბაკურ ძე თრდატისა, ბოლნისის ეკლესიის აღმშენებელი;

ფარსმან დისწული თრდატისა;

მირდატ, რომელიც ბაღდადს წაიყვანეს და იქ მოკვდა;

არჩილ;

მირდატ;

ვახტანგ გორგასალი;

მატიანეში ამ მეფეების სია შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

ბაქარ მირიანის ძე, წილკნის ეკლესიის აღმშენებელი;

ძე ამ ბაქარისა მირდატ;

ძე ამ მირდატისა, ვარზბაქარ ურწმუნო, რომლის დროს სპარსნი შემოვიდნენ

თრდატ რევის ძე მოხუცებული, რუსთავის და ნეკრესის ეკლესიის აღმშენებელი;

ვარაზბაქარის ძე ფარსმან, ბოლნისის ეკლესიის აღმშენებელი;

მირდატ ძე ვარაზბაქარისა, ურწმუნო, წარიყვანეს ბაღდადს და იქ მოკვდა,

და ასე შემდეგ.

როგორც შედარებიდან ჩანს, მოქც. ქ-ი მეფეებად იხსენიებს მირიანის შემდეგ რევის ძე ბაკურს და ამ ბაკურის ძმას თრდატს. მემატიანე კი მირიანის შემდეგ მეფედ ასახელებს მირიანის ძეს ბაკურს. ბაკურმა ხელწერილით განამტკიცა მეფობა თავის შთამომავლობაში და ჩამოართვა ტახტის მემკვიდრეობის უფლება რევის ჩამომავალთ, რომელთაც მიეცათ კუხეთი რუსთავითურთ. ასეთი ხელწერილის დადების აუ-

ცილებლობა გამოწვეული უნდა ყოფილიყო რევიანთ პრეტენდენტობის მიზეზით. ცხადია, რაღაც შინაურ ბრძოლას ჰქონია ადგილი, რის გამოც მეფობის პრეტენდენტი რევის ძე ბაკური და ამის შემდეგ ძმა მისი თრდატ ქართლის სამეფოს ზოგ კუთხეში მაინც მეფეებად იყვნენ აღიარებულნი. ამით უნდა აიხსნებოდეს მათი შეტანა მეფეების სიაში მოქც. ქ-ს ავტორის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთელი ქართლის მეფეები არ იყვნენ. მეორე მხრივ, მოქც. ქ-ში ვარაზ-ბაკურის შემდეგ მოხსენიებულია ბაკურ ძე თრდატისა, ხოლო მატიანე კი ამის მაგივრად ასახელებს მოხუცებულს თრდატ რევის ძეს. ბაკური ცნობილი ისტორიული პიროვნებაა. ის არის პეტრე მაიუმელის ცხოვრებაში მოხსნიებული დიდი ბაკური, ის არის თავის ახალგაზრდობაში გელასი კვიმიკელის და რუფინის ინფორმატორი იბერიის გაქრისტიანების საკითხში. ის არის მოსე ხორენელივით ქართული ანბანის რეფორმის თუ ინიციატორი არა, ხელის შემწყობი მაინც. მატიანეს აქ, მაშასადამე, რაღაც შეცდომა აქვს დაშვებული.

V ს-ნის მოთხრობა "აღმართება პატიოსნის ჯუარისა" გადმოგვცემს, რომ რევს ამ ჯვარისათვის გუმბათის აშენების წინ ჰყავდა ერთადერთი შვილი (ეი. ბაკური). გუმბათის აშენება უწევს მესამე წელს ჯვარის ამაღლებიდან მცხეთაში, ეი. 309 წელს. რევის მეორე შვილი თრდატი დაბადებულა, მაშასადამე 307-308 წლებში. ამის გამო თრდატი მიაწევდა 370 წლებსაც. და შესაძლებელია ვარაზ ბაკურის შემდეგ, რაღაც მიზეზის გამო, მცირე ხანს ის რეგენტადაც ყოფილიყო.

რევის ძე თრდატის გარდა ყოფილა კიდევ სხვა თრდატი. ეს ჩანს შემდეგიდან. მოქც. ქ-ში იხსენიებს თრდატის ძის ბაკურის შემდეგ მეფედ თრდატის დისწულს ფარსმანს. მირიანის ძე რევი ჯვარი-პატიოსნის გუმბათის აშენების შემდეგ ორ წელიწადში მოკვდა. ამ ორ წელიწადში დაიბადა რევის მეორე შვილი თრდატი და ძნელი დასაჯერებელია, რომ რევს კიდევ ასული შესძენოდეს. ამიტომაც დიდი ბაკური არის არა რევის ძის თრდატის, არამედ სხვა თრდატის შვილი.

ფარსმანის შემდეგ მემატიანით, "დაჯდა ძმა მისი მირდატ მეფედ... და იყო ესე მირდატ კაცი ქველი, მკედარი და შემმართებელი, ურწმუნო და უშიში ხვთისა, ლაღი და ამპარტავანი და მინდობილი მკედრობასა თვისსა. და არა ჰმსახურა მან ღმერთსა, არღა აღაშენა ეკლესია, არა რა ჰმატა აღშენებელთა და სილაღითა მისითა მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა. ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვართა ქართლისათა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა. მაშინ სპარსთა მე-

ფემან გამოგზავნა ერისთავი, რომელსაც ერქვა უბარაშ (ტექსტში სწერია ხუცური შ და ბ-ს ერთმანეთთან აღრევის გამო უბარაბ) სპითა ძლიერთა მირდატს ზედა. მაშინ მირდატ სილაღითა თვისითა არა ჰრიდა სიმრავლესა სპარსთა და მცირედითა სპითა მიეგება გარდაბანს, ეწყო, აოტეს და შეიპყრეს იგი სპარსთა წყობასა შინა. შემოვიდეს ქართლს, დაიპყრეს ქართლი სპარსთა, განრყვნეს ეკლესიანი. ხოლო ნათესავი ქართლისა მეფეთანი დარჩეს ყვესა კახეთისასა და სვიმონ ეპისკოპოსი მათთანავე. ხოლო მირდატ წარიყვანს ბაღდადს (კტესიფონს) და მუნ მოკვდა". ნათესავებად აქ იგულისხმებიან მეფეების თანამმართველნი პირნი, რომელნიც აღდგენილი გენეალოგიური ტაბულის მიხედვით მართლაც ათი გამოდის. რატომ დიდი ბაკური პეტრე იბერიელის ცხოვრებაში იხსენიება პირველ ქართველ ქრისტიან მეფედ? ეჭვს გარეშეა, რომ მირიანის შემდგომნი მეფენი ბაკურ და მირდატ ქრისტიანები იყვნენ. მეფე ვარაზ-ბაკური კი იყო "ურწმუნო და მოძულე სჯულისა". ის იყო სპარსეთის ვასალი და როგორც ჩანს, ცეცხლთაყვანისცემლობისადმი მიდრეკილი. ვარაზ-ბაკურის დროს ქრისტიანობის საქმე ქართლში, როგორც საგულილსხმებელია, დიდად გაუარესდა. ვარაზ-ბაკურის შემდეგ მეფედ იყო ძმისწული მისი ბაკური, ქრისტიანობის დიდი ერთგული (ეს არის დიდი ბაკური). მაგრამ სწორედ ამიტომ მან გასძლო მეფედ შედარებით მცირე ხანს 395-398 წლების ახლო ხანს და მისი ადგილი დაიკავა რომიდან დაბრუნებულმა ფარსმანმა. ბაკური ითვლებოდა თანამმართველად და ის ისევ ქრისტიანობის მიმდევარი იყო.

ფარსმანის ქართლში დაბრუნების შემდეგ მეფობა, როგორც ჩანს, მან დაიკავა, ბაკური კი მეფისაევ ხარისხით განაგებდა ქართლის სამეფოს ერთ ნაწილს (საფიქრებელია, თვის სამკვიდრო კუსეთს და კახეთსაც).

ფარსმან მეფის შესახებ პეტრე ქართველის ცხოვრების ავტორი გადმოგვცემს, რომ ეს ფარსმანი "არკადი რომაელთა მეფის დროს (395-408 წწ.) გავლენაში იყო შესული (რომაელთა), მხედართმთავრად ითვლებოდა და პირველი ადგილი ეჭირა. მაგრამ შემდეგ არკადის მეუღლესთან ევდოქსიასთან ახლო კავშირის გამო ილტვოდა და მიიმალა. შემდეგ სწრაფად მოვიდა თავის ქვეყანაში და იბერიელებზე თავის ბატონობის დროს მოიყვანა თეთრი პუნნები, იბერიელების მეზობლად მყოფნი და რომაელთა ქვეშერდომობაში მყოფი ბევრი უბედურება მიაყენა".

აქ მოხსენიებული ევდოკია იყო თეოდოსის სამსახურში მყოფ ფრანკ მხედართმთავრის ასული. იგი ნებისყოფის მქონე და ძალაუფლების მოყვარული იყო. გადაპყვა შვილოსნობას 404 წელს.

ეტყობა, ფარსმანი მტრულად იყო რომაელებთან პირველ ხანებში. შემდეგ ქართველი მემატიანის მოწმობით ის მოურიგდა რომის სახელმწიფოს. ქართველი მემატიანე საერთოდ ფარსმანს იხსენიებს დადებითად:" ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მკედარი, შემმართებელი. ეზრახა მეფესა ბერძენთასა, ეთხოვა მისგან შეწევნა და აღასრულა თხოვა მისი კეისარმან (ალბათ თეოდოსის სიკვდილის შემდეგ) მაშინ (ფარსმან) განუდგა სპარსთა, არღარა მისცა ხარკი და განამრავლნა ჯუარნი და განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა_ და მცირედ ჟამ მეფობდა და მოკუდა".

მოქ. ქართლისაჲ მირდატის ტყვედ წაყვანის შესახებ მოკლედ ამბობს, რომ ის "წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ ბაღდადს და მუნ მოკვდა". რადგანაც ფარსმანის უკან დაბრუნება ქართლს უნდა მიეწეროს არკადი იმპერატორის დროს (395-408 წ.) 398 წლის ახლო ხანს, ამიტომ მისი მეფობა მოდის 398-402 წლების ახლოს, ხოლო მისი ძმის მირდატის მეფობა 402-405 წლ. ახლოს. მირდატის სიკვდილის შემდეგ ჯუანშერით "დაიპყრეს ქართლი სპარსთა, გარყვნეს ეკლესიანი, დამალეს ჯვარები ქართველთა და ყოველთა შინა ეკლესიათა ცეცხლის-მსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი. ხოლო ნათესავნი ქართლის მეფეთანი დარჩეს ჴევსა კახეთსასა და შემდგომად სამისა წლისა უცალო იქმნა მეფე სპარსთა, რამეთუ აღუდგეს მტერნი აღმოსავლით. მაშინ შეითქვნეს აზნაურნი ქართლისანი, მოიყვანეს და დასვეს მეფედ მცხეთას ძე მირდატ მეფისა წარტყვენილისა სახელად არჩილ".

ამგვარად, მირდატ მეფის სიკვდილის შემდეგ სპარსთ ეჭირათ ქართლი სამი წლის განმავლობაში, სანამ აზნაურთ არ მოაწყვეს გადატრიალება და მეფედ არ გამოაცხადეს მირდატის შვილი არჩილ. ეს უმეფობა უნდა გაგრძელებულიყო 405-408 წლების ახლო ხანებში. 418 წლის ახლო დროიდან ქართლში მეფედ 426 წლამდის არის არჩილი, მისი თანამმართველი კი არის დიდი ბაკური.

ქართლის იმდროინდელი მმართველობის წესის გასაგებად მნიშვნელობა აქვს პეტრე იბერიელის ცხოვრებაში დაცულ ცნობას, რომ პეტრე პაპას დედის მხრივ დიდ ბაკურს ჰყავდა ძმა წმიდა არჩილი, "რომელმაც, მას შემდეგ რაც ის მართველობის ადგილობრივი ჩვეულების მიხედვით ბაკურთან და ბოსმარიოსთან ერთად ღრმა

მოხუცებულობაში იბერიელებს მართავდა, თავის სიცოცხლე დაასრულა სრულ სათნოებაში". ამგვარად, არჩილთან ერთად 400-415 წლების ახლოს მმართველებად ითვლებოდნენ ბაკურ დიდი და ბოსმარიოსი.

49. არჩილის მეფობა ბაკურ დიდის თანამმართველობით.

არჩილს თავიდანვე კავშირი ჰქონდა გაბმული სპერძნეთთან. საიდანაც მას შეერთო ცოლი მარიამ, "ნათესავი ივბიმიანოს მეფისა" (იგულისხმება იმპერატორი iovianus, რომელიც მეფობდა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში 363 წ.; არჩილის ცოლი იქნებოდა ამის შვილიშვილი). არჩილმა თავისი თავის მეფედ გამოცხადებისთანავე "განაცხადა მტრობა სპარსთა, გამოაჩინნა ჯვარნი და შეამკენა ეკლესიანი, მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა, მოირთო ძალი სპერძნეთით და წარძღვანებითა ჯვარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა".

მატიანის მიხედვით არჩილი გამეფდა აზნაურთა მეოხებით."მაშინ შეითქუნნეს აზნაურნი ქართლისანი მოიყვანეს და დასვეს მცხეთას ძე თრდატისა სახელიდ არჩილ" (გვ 139: ასე უნდა იქნას აღდგენილი მატიანის ტექსტი არჩილის წარმოშობის შესახებ). აქ იგულისხმებიან, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, წამყვანი მნიშვნელობის დიდ-აზნაურნი, რომელთაც მოაწყვეს ერთგვარი გამოსვლა სპარსეთის წინააღმდეგ, გამოაცხადეს არჩილი მეფედ და აიძულეს სპარსეთის მთავრობა დათანხმებულიყო ამაზე. დიდ-აზნაურნი ბუნებრივია, მოითხოვდნენ თავისთვის ამის გამო სათანადო კომპენსაციას და თითქოს ასეთ კომპენსაციად უნდა იგულისხმებოდეს დიდ-აზნაურთა გათანასწორება უფლებრივად სეფეწულებთან.

ადიშისეულ სახარებაში იოანე 4, 46-49 ბერძნული გამოთქმა კაცი სამეფო (βασιλικός) გადათარგმნილია სეფეწულად, რაც ჯრუჭისეულში შესწორებულია "სამეფოჲსა კაცად" ეს გარემოება ამტკიცებს, რომ V ს-ნის დასაწყისში სეფეწულნი ქართლში იყვნენ მხოლოდ სამეფოს გვარეულობის წევრნი. სახარების ქართული ტექსტის ხელახლად ბერძნულთან შეჯერების დროს კი სეფეწულთა შემადგენლობა გაფართოებული იყო და ამიტომ საჭიროდ იქნა ცნობილი ბერძნული ეს სიტყვა გადათარგმნილიყო სამეუფოდ. ვახტანგ გორგასალის დროს ჯუანშერი იხსენიებს ქართლის სამეფოში სეფეწულს ბივრიტიანს. ბივრიტიანები იყვნენ ბაგრატოვანები, ითვლებოდნენ წარჩინებულ წარ-

მოშობისად, მაგრამ არცერთ სამეფო გვარეულობას ამ დროს არ ეკუთვნოდნენ, თუმცა იყვნენ ერისთავები. საფიქრებელია, ამიტომ სეფეწულთა ფენაში ზოგ წარჩინებულ ოჯახთა ჩარიცხვა მოხდა 420-460 წლებს შუა, უფრო (ბივრიტიანის სეფეწულად მოხსენიების გამო) პირველ თარიღთან ახლოს, ე. ი. 420-440 წლებში. ზემოთ მოხსენებულ მოსაზრებათა გამო შეიძლება ეს გარემოება დაკავშირებულ იქნას არჩილის მეფობასთან და უფრო ამ მეფობის პირველ წლებთან, მაშასადამე 425-426 წლის ახლო დროსთან.

ხსენებული ცვლილებების აღმნიშვნელი უნდა იყოს თითქოს ის გარემოება, რომ შუშანიკის ცხოვრებაში (447 წლის ახლოს) დიდ-აზნაურთა ცოლები მოხსენებულნი არიან "ზეპურ დედებად". თუ დიდ-აზნაურთა ცოლები და დედები იყვნენ ზეპურნი, ცხადია, თვით ეს დიდი აზნაურნი იქნებოდნენ სეფეწულად (ზეპ-ური არის იგივე სეფე-შვილი ანუ სეფეწული).

50. ბრძოლა სპარსელებთან.

მირდატ მეფის სიკვდილის შემდეგ არჩილის გამეფებამდის ქართლი ემორჩილებოდა რანის და მოვკანის მარზპანს. რომელიც სპარსეთის მიერ იყო დაყენებული. ქართლი, ეკუანშერით, იყო მისი "განსაგებელი". ქართლში მომხადარი ამბების შემდეგ მან "შეკრიბა სპაჲ რანისაჲ და მოვაკანისაჲ და ადარბადაგანისაჲ და მიმართა არჩილს (ეი.წამოვიდა არჩილისაკენ). ხოლო არჩილი სასოებითა და მინდობითა ღმერთისათა მიეგება საზღვართა ზედა ქართლისათა და რანისათა, ეწყო მუნ მდინარესა ზედა ბერდუჯისასა და ძალითა პატიოსნისა ჯვარისათა მოსრნა და ტყვე ჰყვნა და შევიდა რანს და წარმოტყვენა და მოვიდა შინა გამარჯვებული".

როგორც ეტყობა, არჩილი სპარსელებთან ამ ბრძოლის დროს საერთოდ ემყარებოდა ქრისტიანებს და აყენებდა წინ ქრისტიანულ ლოზუნგებს. ამიტომაც, ეკუანშერით, ამ გამარჯვების შემდეგ არჩილმა "განავლინნა ქადაგნი ყოველსა შინა და ჰრქვა ყოველთა — "არა ძალითა ჩვენითა, არცა სიმჯნითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა ვსძლეთ მტერთა, არამედ ჯვარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ძისა ღმრთისათა, როელმან მოგვცა წინა-მძღვრად და საჭურველად (იარაღად) ჯვარი მისი (თავისი) პატიოსანი, აწ ყოველთა ქართველთა ადიდეთ სამება ერთ-არსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოველთა. შეწირეთ მადლობა და მტკიცემცა არიან გულნი თქვენნი

სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისა. და ყოველთა ქართველთა შეწირეს მადლობა ღვთისა მიმართ და განაახლეს ეკლესიანი. მაშინ არ-ჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფანწმინდისა მცხეთის კართა ზედა არაგვისათა, სადა იყვნენ კუბანნი (საფარნი) მტკიცენი საბრძოლნი, რო-მელნი მასვე აღეშენნეს".

ამ ციტატიდან ცხადად ჩანს, ის ახალი მკვეთრი ხაზი, რომელიც აუღია არჩილ მეფეს ქრისტიანობის სასარგებლოდ. ქრისტიანული მსო-ფლმხედველობა და ქრისტიანული ეკლესია წარმოადგენდა მისი საქმი-ანობის ქვაკუთხედს. ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით ის აწყობს ფართე ზეპირ აგიტაციას, სახელდობრ აგზავნის ქადაგთ (მოქადაგედ) "ყოველსა ქართლსა შინა" და ეს აგიტაცია აღწევს თავის მიზანს. ეკლე-სიათა შენობებში აღგზნებული წმიდა ცეცხლის ადგილი კვლავ ქრის-ტიანულმა წირვა-ლოცვამ დაიკავა.

თავისი მეფობის სიგრძეზე არჩილი, ჯუანშერის ცნობის მიხედ-ვით, განაგრძობდა თარეშულ ბრძოლებს აღმ. ამიერკავკასიის მიმარ-თულებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც დავაკაცდა მისი უფროსი შვილი, მირდატი. "იყო იგი მორწმუნე და ღვთის მსახური, ვითარცა მამა მისი და იყო იგი ქველი და შემმართებელი". როდესაც ის" დადგა ჰასაკსა მამაკაცობისასა", მაშინ მან "უმეტესად იწყო ბრძოლად სპარსთა, შესვლად და ტყვევნად რანსა და მოვაკანსა. რამეთუ მას ჟამსა შინა უცალო იყო მეფე სპარსთა, ჰბრძოდა იგი ჰინდთა და სინდთა და აბაშთა და ვერ შემძლებელ იყო სპისა დიდისა გამოგზავნასა და სპათა რანისა და მოვაკანისათა და ადარბაგანისათა ემძლავრებოდეს (სჯობნიდეს) ქართველნი. წინამძღვარ ექმნის მირდატ სპათა მამისა თვისისათა და მარადის სტყვევიდა რანსა და მოვაკანსა.

"მას ჟამსა შინა იყო ერისთავად (მარზპანად) რანს ბარზაბოდ. ვერასოდეს წინაღუდგებოდა იგი, არამედ განამაგრნის ციხენი და ქალაქნი და შესვლასა ქართველთასა რანს, სადაც ეწყვნიან სპარსნი ნაწყვედთა ლაშქრისათა მტყვენვალთა ქართველთა, მარადის სპარსნი იძლეოდიან".

ეს იყო დრო, მაშასადამე, მუდმივი თარეშულ თავდასხმების რანსა და მოვაკანზე ქართველების მხრივ. მდგომარეობა შექმნილი იყო ისეთი, რომ ამ თარეშული თავდასხმების დროს ქართველები უმეტესად გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. ჩანს, სპარსეთი მართლაც ვერ იცლიდა ა/კავკასიის საქმეებისათვის.

ეს თარეშული თავდასხმები მალე დამთავრდა, როდესაც რანის ერისთავსა და არჩილის სახლს შორის მოხდა დანათესავება. ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ არჩილის შვილს მირდატს შეუყვარდა რანის ერისთავის ბარზაბოდის ქალი საგდუხტი. " უთხრეს მირდატს, ძესა არჩილისასა, სიმშვენიერე მისი და სმენითა სიმშვენიერისა ამისისათა ტრფიალ იქმნა მირდატ მის ზედა. მოაკსენა მამასა თჳსსა: "ვეედრები მეფობასა თქვენსა, მომგვარე ცოლად ჩემდა საგდუხტ, ასული ბარზაბოდისი და შევქმნათ ჩვენ შორის მშვიდობა. დაღათუ ძალითა ქრისტესითა ჩვენ ვართ მძლავრნი, არამედ ვერ წავიხვამთ ჩუენ ციხეთა და ქალაქთა რანისათა. ნუ უკვე იცალოს მეფემან სპარსთამან და იძიოს ჩვენ-ზედა შური და მოაკორნეს ეკკლესიანი და საზღვარნი ჩვენნი. აწ ამით ღა განქარდეს მტრობა ჩვენი და ჩვენთჳს რაცა მოაკსენოს მეფესა სპარსთასა, უსმენს იგი და ამით მტკიცედ და შეურყეველად ვიპრყენეთ საზღვარნი ქართლისანი და განმტკიცნეს სჯული ქრისტესი ქართლს და არღარა შეიქმნას გულსა ქართველთასა იჭვი და გმობაი სჯულისა ქრისტესისა მძლავრებისათჳს სპარსთასა". ესე ყოველი, უმატებს ჯუანშერი, მირდატ სიყვარულისათჳს მის ქალისა თქვა". არჩილმა გაგზავნა მოციქული ბარზაბოდთან და ითხოვა მისი ასული თავის შვილისათჳს. "ხოლო ბარზაბოდ განიხარა სიხარულითა დიდითა, ოამეთუ მოოკრებულიყო ქუეყანა მათი შესჭირდებოდა (გასჭირვებოდა). ითხოვა ფიცი და აღთქმა მშვიდობისათჳს და მოსცა მან ასული თჳისი ზითვითა დიდითა, მოიყვანეს მცხეთას და ქმნეს ქორწილი, შვება და განცხრომა დღეთა მრავალთა".

ამ ქორწინების შემდეგ არჩილ მეფემ მისცა თავის შვილს მირდატს სამშვილდის საერისთაო. მირდატი და საგდუხტი ცხოვრობდნენ სამშვილდეში. საგდუხტმა მოინდომა ქრისტეს სარწმუნოების გაცნობა, ამის გამო "ქმარმან მისმან მოჰგვარა კაცნი სჯულის მეცნიერნი", რომელთაც "უთარგმნეს (მას) სახარება", საფიქრებელია, ქართულიდან. საგდუხტმა ქრისტიანობის გაცნობის შემდეგ გადაწყვიტა ქმრის სარწმუნოებაში გადასვლა, დაუტეევ ცეცხლის-მსახურება და მოინათლა ქრისტიანედ. მის მიერ აშენებულ იქნა სამშვილდეში სიონის ტაძარი.

51. მეფობის კრიზისი ქართლში.

ქართლის სამეფოს მეზობელი სომხეთის სამეფო თავისი არსებობის უკანასკნელ ხანაში მეტად დამცირებულ მდგომარეობაში იყო. სპარსეთის მთავრობა ემზადებოდა ამ სამეფოს ლიკვიდაციისათჳს.

პოლიტიკის ასეთ მიმართულებას არ შეეძლო უშედეგოდ ჩაევლო ქართლის სამეფოსათვისაც. მატიანე ამის შესახებ სდუმს, მაგრამ ეს გასაგებია, რადგანაც მატიანეს ტექსტი ჩამოყალიბებულია შედარებით გვიან, იმ მოკლე სქემების მიხედვით, რომელიც ავტორს ხელთ ჰქონდა. ერთი ასეთი სქემათაგანი წარმოდგენილია მოქც. ქართლისაჲს ქრონიკაში, სადაც არჩილ მეფის შემდეგ დასახელებულია მირდატი. იქვე ნათქვამია, რომ არჩილ მეფის დროს გამოიცვალა ქართლის ოთხი მთავარეპისკოპოსი, ხოლო მირდატის დროს კი მთავარეპისკოპოსად იყო გლონოქორი, რომელიც იმავე ბროს ბარზაბოდ სპარსთა პიტიახშის მიერ დანიშნული იყო ქართლის პიტიახშად (იგულისხმება იგივე მარზპანად). საინტერესოა ამ შემთხვევაში ქართლის ცალკე პიტიახშის (მარზპანის) მოხსენიება, რადგანაც მანამდე ასეთი მარზპანის ქართლში მყოფობის შესახებ არაფერია ცნობილი. რომ მართლაც სპარსელებმა დაწესეს ამ ხანაში ქართლის მარზპანობა, ეს ცხადად ჩანს 450-იანი წლების ფაქტებიდან, როდესაც იხსენიება ქართლის მარზპანი ვასაკი სიუნელი (სომეხი). ცხადია, რომ მირდატის დამტკიცება ქართლის მმართველად მოხდა შედარებით წინანდელ ხანასთან სხვა პირობებში და მას, ასე ვთქვათ, ადგილობრივ ზედამხედველად დაუნიშნეს, როგორც სპარსეთის ხელისუფლების უშუალო წარმომადგენელი, ცალკე მარზპანი.

გარდა ამისა ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება. ჯუანშერის ცნობით, რომელიც მას ცხადია, უფრო ძველი წყაროდან აქვს ამოღებული, მირიან მეფიდან ვახტანგ გორგასალამდის გაიარა რვა თაობამ (ნათესაობამ), მეფეები იყვნენ 10, ხოლო ეპისკოპოსები (იგულისხმება ქართლის ეკლესიის მმართველნი მთავარეპისკოპოსნი) — 13. სულ ამასთანავე განვლო 157 წელმა. ქრონიკითაც ამ პერიოდში ყოფილა 10 მეფე და 13 მთავარეპისკოპოსი. ეს მთავარეპისკოპოსები მოქც. ქ-ს ქრონიკაში დასახელებულნი არიან შემდეგი თანრიგით: იოანე (პირველი მთავარეპისკოპოსი მცხეთაში), იაკობი, იობი, ილია, სიმონი, იოანე, მთავარეპისკოპოსი არჩილ მეფის დროს, გლონოქორი, იოველ და მიქაელ, რომლის შემდეგ დაწესებულ იქნა კათალიკოსობა. მატიანეში კი სხვადასხვა ადგილას ჩამოთვლილნი არიან მთავარეპისკოპოსები — იოანე, იაკობი, იობი, ილია, სიმონი, იონა, გრიგოლი, ბასილი, მობიდანი, მიქაელი. ამ ორი სიის ერთმანეთთან შედარებიდან ვღებულობთ მთავარეპისკოპოსების შემდეგ სრულ სიას: იოანე (მირიანის დროს), იაკობი (ბაკურის დროს), იობი (თრდატის და ვარაზ-ბაკურის დროს), ილია (ბაკურის დროს), სიმონ (ფარსმანის დროს), იოანე, გრიგოლ, ბასილი,

მობიდან (არჩილ მეფის დროს), გლონოქორი (მირდატის დროს), იოველ და მიქაელ ვახტანგის დროს), სულ 12 მთავარეპისკოპოსი. აკლია ერთი, რომელიც უნდა იყოს შუშანიკის წამებაში მოხსენიებული "თავი იგი ეპისკოპოსთა სამუელი".[1] მართლაც, ამ მთავარეპისკოპოს სამუელის დროს არც მეფობა ყოფილა, რადგანაც შუშანიკის ცხოვრების როგორც ქართული, ისე სომხური ვერსიები ამ ხანაში მეფეს არა თუ არ იხსენიებენ, არამედ პირდაპირ ჩანს, რომ ქართლში შუშანიკის ტანჯვათა ხანაში, თითქმის რომ სპარსული მართებლობაა, მეფე არ არის და უმაღლესი პირია მარზპანი, რომელსაც ახლავან წარჩინებულნი. მატიანეც აღნიშნავს, რომ "ერისთავი სპარსთა მეფისა, რომელი ერისთაობდა რანს და მოვაკანს ვიდრე არჩილის მეფობამდე, მისივე განგებულ იყო ქართლი". მაშასადამე, სპარსელების ის პიტიახში, რომელიც განაგებდა მთელ აღმ. ა/კავკასიას იყო ამავე დროს ქართლის გამგებელიც და ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა ვიდრე არჩილის მეფობამდის თანმითვლით. ამის შემდეგ კი მდგომარეობა თითქოს შეიცვალა. მართალია, მემატიანეს სიტყვით, პირიქით, ქართველები თვითონ თავს ესხმოდნენ რანს და მოვაკანს და ძლიერ უჭირვებდნენ საქმეს სპარსელების ხელისუფლებას, მაგრამ ყველაფერი ეს გაზვიადებულია. მირდატი ცოლად ირთავს ბარზაბოტ პიტიახშის ასულს, რასაც მოჰყვა დადებითი შედეგები — ქართლის მდგომარეობა გაუმჯობესდა, რადგანაც პიტიახში მტრულ პოლიტიკას უკვე აღარ ადგა. ჯუანშერი ამ ამბავს უკავშირებს თვით არჩილის მეფობას. მირდატიც მას გამოჰყავს ამ არჩილის ძედ. მაგრამ პეტრე ქართლელის ასურული ვერსიიდან ჩანს, რომ არჩილი გამეფდა მოხუცებ-ული და მას თითქოს შვილი არც ჰყოლია. მაგრამ თუნდაც, რომ მირდატი არჩილ მეფის შვილი ყოფილიყო (რაც ძლიერ საეჭვოა), მაინც ყურადღებას იქცევს უსახელო ავტორის მეორე ცნობა, რომ მირდატს სპარსთა პიტიახშის ქალის ცოლად შერთვის შემდეგ მიეცა სამშვილდე და ამ სამშვილდის საერისთავო, ეი. რეალურად სამშვილდის მიმდგომი მხარე.

---

1. 431 წლს ნესტორიანების წინააღმდეგ ქალაქ ეფესოში მოწვეულ მესამე საეკლესიო კრებას უნდა დასწრებოდა "სპარსეთის (კუთვნილი) იბერიის ეპისკოპოსი იერემია" (კ. კეკელიძე. იერემია იბერიელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 51-53 შემდ.). ქართლის მთავარეპისკოპოსთა ზემოთდადასტურებული სიის მიხედვით გამოდის, რომ ეს იერემია არ იყო მთავარეპისკოპოსი, არამედ იყო რიგითი ეპისკოპოსი.

ამ დროის მმართველთა ქრონოლოგიის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. მოსე ხორენელი (III, 60) მოგვითხრობს, რომ როდესაც მესროპი უკვე მოხუცებულობის დროს ქრისტიანობის მდგომარეობის შესაჯერებლად ჩამოვიდა ჯერ აირარატში და შემდეგ გარდმანის ოლქში (უტიაში), "აქ მან მიიღო მოწვევა გუგარის (ქვემო ქართლის) პიტიახშ აშუშა (არშუშა)საგან ჩასულიყო იმავე საქმისათვის მის სამფლობელოში, ტაშირის ქვეყანაში. მესროპი ჩავიდა იქ. მან დაამოძღვრა მკვიდრნი მცხოვრებნი, რომელთაც მეტი მზადყოფნით მიიღეს მისი დარიგება, სწავლა, ვიდრე ყველა სხვათ, მის მიერ დამოძღვრილთ. ამ დროს ქართველებში მეფობდა ვინმე არჩილ (არჩილი)". ამის შემდეგ თხრობაში მოსე ხორენელი იხსენიებს ქალ. ეფესში 431 წ. შემდგარ მსოფლიო საეკლესიო კრებას. აზრის მიხედვით შეიძლება გამოტანილი იქნეს დასკვნა, რომ მესროპი არშუშა პიტიახშთან უნდა ჩასულიყო ამ მსოფლიო კრებაზე რამდენიმე წლითაც ადრე (შეიძლება 2-5 წელი). ამ დროს ქართლის მეფედ არჩილი ყოფილა. ჯუანშერის მიხედვით, არჩილის შემდეგ მეფობდა ვახტანგ გორგასალის მამა მირდატი 10-11 წლიწადი. ხოლო მამის სიკვდილისას ვახტანგი შვიდი წლის ყოფილა. ჯუანშერისავე ცნობით ვახტანგი სპარსთა მეფის (ფეროზის) სიკვდილისას სამოც წელს იყო მიწევნილი. ის, მაშასადამე, დაიბადა 423-424 წელს. ამიტომ ჯუანშერი თავის თხრობაში აქაც არაა ზუსტი. (მირდატი 10-11 წელს ვერ იქნებოდა მმართველად და მეფე არჩილი, საფიქრებელია ცოცხალი იყო 426 წლის ახლო დრომდისაც. ამის შემდეგ მეფობდა მირდატი, რომელიც მამის სიცოცხლეში სამშვილდის ერისთავად იყო. მირდატი გარდაიცვალა 432 წელს, როდესაც ვახტანგი შვიდი წლისა იყო.

52. სომხეთის სამეფოს დასასრული.

სომხეთის უკანასკნელი მეფე იყო არტაშირი, გარყვნილი პიროვნება, რომლის წინაალმდეგ დიდად იყვნენ აშხედრებული სომეხი ნახარარები. საქმე ბოლოს გამწვავდა იმდენად, რომ თვით ამ ნახარარებმა სთხოვეს სპარსეთის მეფე ვარამს გადაეყენებინა არტაშირი. ეს შუამდგომლობა მიღებულ იქნა, არტაშირ მეფე გადაყენებულ იქნა და მის მაგივრად სპარსეთის მთავრობამ დანიშნა არა ახალი მეფე, არამედ სპარსელი მარზპანი (ოლქის მხარის უფროსი) სახელად ვეჰ-მიჰრ-შაპუჰი. ეს მოხდა მოსე ხორენელის მიხედვით ეფესის მსოფლიო კრების (413 წ.) შემდეგ, მალე. ხოლო შუშანკის ცხოვრების მიხედვით, ეფესის პადას-

პანი (იქ მეფედ წოდებული) მიჰრი უნდა გამეფებულიყო 432 წელს (439 წლის ბოლოში მისი მეფობა-პადესპანობის მერვე წელი იყო). ეს არის სომხეთის სმეფოს გაუქმების წელი.

შუშანკის ცხოვრების დასაწყისში ნათქვამია, რომ ვარსქენი წარემართა "კარად სამეფოდ" მერვესა წელსა მირი (მ''რ) სპარსთა მეფისასა". აქ უნდა იგულისხმებოდეს სომხეთის გაუქმების შემდეგ სომხეთის მარზპანად დანიშნული სპარსელი ვერ-მიჰრ-შაპუჰ (მიჰრ იგივე მირ-ი). ვარსქენი შეიძლება წასულიყო ამ სპარსელი მეფის კარზე 432 წლის შუაში მირის მართებლობის დაწყება მოდის 432 წლის დასაწყისს. მართლაც, სომხეთის მეფის არტაშირის გადაყენებას მოჰყვა სააკის გადაყენება საკათალიკოსო ტახტიდან. მოსე ხორენელით მას შეუდგენენ სპარსელების მიერ დამტკიცებულნი კათალიკოსები — სურმაკი (1 წ.), ბრკიშო (3 წ.) და შამუელი (5 წ.), რის შემდეგ სააკიც მიიცვალა იეზდიგერდ II მეფობის მეორე წლის დაწყებამდის ნავასარდის თვის ბოლოს. იეზდიგერდ II გამეფდა 439 წ. თუ სომხეთის სმეფოს გაუქმება და მირის დანიშვნა სომხეთის მარზაპანად ამასთანავე მისთვის ქართლის და სხვა მიმდგომი მხარეების დამორჩილებით მოხდა 432 წლის დასაწყისს, მაშინ სპარსელების მირ დანიშნული ხსენებული სამი კათალიკოსის მმართველობა 9 წლის სიგრძეზე მოდის 432-440 წლებში. 440 წელს ნავასარდის თვის ბოლო მოდიოდა ივლისის ოციან რიცხვებში (20-27 ივლისს). ხოლო რადგანაც ეს იყო იეზდიგერდის მეფობის მეორე წლის დასაწყისი, იეზდიგერდის გამეფება ამის მიხედვით მოდის 439 წლის მაის-ივნისში. შესაძლებელია ამიტომ, რომ ვარსქენის გამგზავრება სპარსეთის მეფის კარზე გამოწვეული იყო ახალ მეფესთან გამოცხადების აუცილებლობით.

რაც შეეხება მირს, ის თუმცა სომხეთის მარზპანი იყო, მაგრამ ოადგანაც მას ამასთანავე ემორჩილებოდა ქართლი და საერთოდ სპარსეთის სამეფოს ჩრდილოეთი მხარეები, ამიტომ არსებითად ის შეიძლება ნაგულესხმევ იქნას, როგორც სპარსეთის კუთვნილ ა/კავკასიის მხარეების მარზპანი. მარზპანები მეფეებადაც იწოდებოდნენ. გასაგებია ამიტომ, რომ შუშანიკის ცხოვრებაში მირი მეფის წოდებულებით იხსენიება.

ამგვარად, ხსენებული მირი არის სომხური წყაროების მირ-შაპუჰი, იგივე ქართული წყაროების ბარ-ზაბრ. ბარზაბოდ განაგებდა აღმ. ა/კავკასიას და მასვე ემორჩილებოდა სომხეთის გარდა ქართლიც. ცხადი ხდება, მაშასადამე, რომ მისი დანიშვნა ჩრდილოეთი კუსტის პადოსპანად, იგივე პიტიახშად (ქართული გამოთქმით — ერისთავად)

მოხდა 432 წელს. ეს წელი უნდა იყოს სომხეთის სამეფოს დაცემის წელიწადიც.

53. ქართლის სამეფოს გაუქმება; სამხრეთ ტაშირის ჩამოშორება; ჰერეთის დაკავშირება ქართლთან.

სომხეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად თითქოს სამეფო მმართველობა გაუქმდა ქართლშიც. ამ დროს გარდაიცვალა ქართლის მეფე მირდატი, რომელსაც მემკვიდრედ დარჩა შვიდი წლის ვახტანგი. ქართლის ბედს, ისე როგორც სომხეთისას ახლა განაგებდა დიდი მირზპანი მირ-შაპუჰ, იგივე ბარზაბოდი.

ტაშირის საპიტიახშოს სამხრეთ ნაწილი (შემდეგდროინდელი ლორე) V საუკუნის მეორე ნახევარში შედის სომხეთში. 450 წლის ხანებში (მის წინ და მის შემდეგ) სომხეთის ერთეულში შემავალი ტაშირის მთავრად (იშხანად, რაც უფროსს, მთავარს ნიშნავს) იყო ვრენი ადგილობრივი გვარიდან. სამხრეთ ტაშირში მანამდისაც მეთაური მდგომარეობის მქონე გვარის წარმომადგენელი, როგორც ეტყობა, დანიშნულ იქნა ტაშირის იშხანად. ეს უნდა ყოფილიყო ხსენებული ვრენის მამა (ამ ვრენს ლაზარე ფარპელი იხსენიებს "ტაშირელთა გვარიდან" წარმომდგარს).

ამის შემდეგ ტაშირის სამხრეთი ნაწილი ჩამოშორდა საქართველოს და ის მოსახლეობის მხრივაც თანდათან გადაიქცა სომხურ ქვეყნად.

მოქც. ქართ. თანახმად ვახტანგის მამის მირდატის დროს უკანასკნელად ქართლის მთავარეპისკოპოსად იყო გლონოქორი. "და ეს მთავარეპისკოპოსი, გადმოგვცემს მოქ. ქართ. ქრონიკა, ერისთავათცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისგან ქართლს და ჰერეთს". ცხადია, რომ მირდატის შემდეგ, ქართლში მეფობის გაუქმებას მოჰყვა გლონოქორ მთავარეპისკოპოსის დანიშვნა დიდ მარზპანის მირ-შაპუჰ-ბარზაბოდის მიერ ქართლის მარზპანად (ერისთავად). მაგრამ ის ყოფილა მარზპანად არა მარტო ქართლს, არამედ მის გამგებლობაში მოჰყოლია ჰერეთიც. შემდეგში ვახტანგ გორგასალის დროს, ჰერეთი ქართლის სამეფოს კუთვნილებად იგულისხმებოდა და როგორც ეტყობა, ეს მოდის გლონოქორის მარზპანობის დროიდან. საფიქრებელია, რომ ქართლის სამარზპანოს ასეთი გამსხვილება ერთგვარ დათმობას წარმოადგენდა ქართველობის მიმართ. ამას კი მოჰყვა მნიშვნელოვანი შედეგი — წარ-

მოიშვა ქართული ჰერეთი, რომელიც გამოეყო დიდ ჰერეთს (ალვანიას) და ნელა დაადგა გაქართულების გზას.

ქართულ მატიანეში ეს მარზპანი, იგივე პიტიახში მარტივად ერისთავად არის მოხსენიებული. ამიტომ გლონოქორი, ქართულ ქრონიკაში ერისთავად მოხსენებული, ქართულადვე უნდა ყოფილიყო პიტიახშად წოდებული და სპარსეთის თვალსაზრისით იყო ქართლის მარზპანი, რომელიც თავის მხრივ ემორჩილებოდა უფრო დიდ მარზპანს აღმ. ა/კავკასიასს, რადგანაც მარზპანი ქართულ პრაქტიკაში პიტიახშადაც იწოდებოდა, ამიტომ გასაგები ხდება სხვაობა არმაზის უფრო ადრინდელ ბილინგვაში მოხსენებულ მცირე და ჩვეულებრივ პიტიახშს შორის ქართლის სამეფოში. მარზპანები იყვნენ სპარსეთში დიდი პროვინციების გამგენი და ასევე იწოდებოდნენ მათი ხელქვეითნი მცირე პროვინციების მეთაურნიც. მაშასადამე, ქართული ტერმინოლოგიით იყო ჩვეულებრივი პიტიახში (ერისთავი) და მცირე პიტიახში-ერისთავიც.

იაყების (X ს.) სიტყვით, სასანიანთა სპარსეთში სამხედრო საქმე ემორჩილებოდა სპასპეტს (spadbadh), რომელსაც თავის ხელქვეით ჰყავდა პადგოსპანი (padhghospan). პროვინციების მმართველებს ერქვათ მარზპანი. მასუდის სიტყვით (X ს.), რომელიც უკვე ხოსრო ანუშირვანის რეფორმების შემდგომ მდგომარეობას აღწერს, სპარსეთში იყო ლაშქრობის მეთაური ოთხი მარზპანი (ოთხი კუსტის მიხედვით) იგივე ოთხი სპაჰპეტი (spahbadh), თითო-თითო მონარქიის მეოთხედ ნაწილში. ცხადია, რომ ხოსრო ანუშირვანის რეფორმის შემდეგ მარზპანი იწოდებოდა სპაჰპეტადაც. ჩრდილოეთის კუსტის მეთაური იწოდებოდა ადარბადაგანის სპასპეტადაც.[2] მის ხელქვეით იყო სომხეთი, ქართლი (სპარსეთის ხელქვეითი ნაწილები) და ა/კაკასიის აღმ. ნაწილი. ეს სპას-

---

2 . ტაბარის (X საუკუნის პირველი მეოთხ.) სიტყვით (III, §.67) ადერბეიჯანს ეს სახელი მიღებული ჰქონდა დიდძალ ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავებისაგან, რომელნიც იქ გაშენებული იყო: სპარსელები ფაქლაურად ცეცხლს ეძახიან ader, წმიდა ცეცხლიც პირველად აქედან გაჩნდაო. ადერბეიჯანი აღწევს პამადანიდან დარუბანდამდისო. დარუბანდის გასასელელისთვის საშიშროებას წარმოადგენენ ხაზარები (დარუბანდი ერთ ადგილს ხაზარებისად არის წოდებული) და ხაზარების, ალანების და რუსეთის ჩრდილოეთით იყო ერცელი ტერიტორია ბელერი ქალაქით. ქვეყანას ერქვა ბალანჯარ (აქ იგულისხმებიან თურქული მოდგმის ბოლგარები, მდ. ვოლგას აუზის ნაწილში).

იბნ ხორდადბე (IX საუკუნის პირველი ნახევარი) გადმოგვცემს (СМОМПК, XXXII, გვ.6), რომ ჯერბი, ეი. ჩრდილოეთის ქვეყნები შეადგენენ სახელმწიფოს მეოთხე ნაწილს. სპარსელების დროს ჩრდილოეთის ისპეპბედს ეწოდებოდა აზარბაზკან (უნდა: ადარბადგან) ისპაპბედ-ი.

პეტი ხოსრო ანუშირვანის რეფორმამდის მარზპანად იწოდებოდა (იგულისხმება დიდ მარზპანად). იაყუბის ზემოთმოხსენებული ცნობის გარდა ეს დასტურდება მოსე ხორენელის ცნობითაც, სადაც სომხეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სომხეთის ახალი გამგე მარზპანად არის მოხსენიებული. ხოლო ქართულ წყაროებში (მოქც. ქართლ.) უფრო ადრე ასეთი მარზპანი მაინც პიტიახშად იწოდებოდა: "მაშინ (369წ.) მოვიდა ქრამ-ხუარ-ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად და ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და გუასპურაგანი" (ვასპურაკანი, რომელიც აქ შუა სპარსულისათვის დამახასიათებელი ფორმით იხსენიება გვასპურაგანად).

ამგვარად, მარზპანი და პიტიახში ხშირად ერთმანეთის ფარდი ტერმინადაც გამოდიან.

გლონოქორს მიჰყვებოდა სხვა მარზპანი. ეღიშე იხსენიებს ქართველების მარზპანად სომეხ ვასაკ სიუნიელს (წარმოშობით სიუნიის სამთავრო სახლიდან), რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლობაში იყო გადასული და სპარსეთის მთავრობის დიდად ერთგული იყო. იმავე ავტორის სიტყვით, ქართველები ძლიერ ემდუროდნენ ამ თავიანთ მარზპანს ვასაკ სივნიელს. ამ ვასაკის დროს სპარსელებმა ქართლში უფრო მტკიცედ მოიკიდეს ფეხი.

ვასაკ სივნიელი ქართლის მარზპანად იყო 441 წლამდის, მაშასადამე, 435-441 წლების ახლოს. ამ წელს კი ის დაინიშნა სომხეთის მარზპანად. ის გადასული იყო ცეცხლთაყვანისმცემლობაში და ითვლებოდა სპარსეთის ერთგულ კაცად.

ვინ იყო ქართლის მარზპანად 441 წლის შემდეგ არ ჩანს.

54. ქრისტიანობის იდეოლოგია IV-V საუკუნეებში.

ქრისტიანობა თავდაპირველად გამოდიოდა ღარიბ-ღატაკთა და დაჩაგრულთა სასარგებლოდ. სახარებაში, რომელიც წარმოადგენს იესოს (ქრისტეს) ფანტასტურ ბიოგრაფიას (სულ ასეთი აღიარებული სახარება ოთხია), სხვათა შორის ნათქვამია: უფრო ადვილია აქლემი გაეტიოს ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევიდეს სასუფეველში (სამოთხეშო). ეს სიტყვები ვითომ მიეწერება იესოს. მოციქული (იესოს მოწაფე) პავლე თავდაპირველად წერდა ასევე მდიდრების წინააღმდეგ, მონების და დაჩაგრულთა სასარგებლოდ (მისი სიტყვებია, სხვათა შორის — ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს და სხვა). მაგრამ შემდეგ ის მოუწოდებდა მორჩილებისადმი დაყენებულ ხელისუფლების მიმართ და სხვა. მეორე საუ-

კუნიდან ქრისტიანობა უკვე გადადის მოქმედებაზე ბატონური წრეების სასარგებლოდ. ასე იყო შემდეგაც. IV საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტიანობის ზოგი მთავარი იდეოლოგი გამოდიოდა როგორც მართებლობის უმაღლეს პირთა (მეფეების) კრიტიკით, ისე მდიდართა მონამფლობელთა დატუქსვით. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბასილი დიდის (329-378 წწ.) და იოანე ოქროპირის (347-407 წწ.) ნაწარმოებები, რომელთაგან ბევრი უკვე V საუკუნეში ქართულადაც გადათარგმნილი არსებობდა. ზოგიერთი ციტატა ამ ქართული თარგმანებიდან ცხადჰყოფს მათ მიმართებას სოციალურ საკითხში კერძოდ, მონების საკითხში და აგრეთვე სამეფო ძალაუფლების შესახებ. ბასილი დიდი, სხვათა შორის, წერდა:

"რომელი ჭამს სხჳსა მონაგებსა უსამართლოდ, ნაცვლად შჳებისა ამისა მიეცეს გჳამი მისი სატანჯველსა. იხარებდით უძლურებითა და შეურაცხებითა, შრომითა და ჭირითა, ჰოი გლახაკთა კრებული, ხოლო სიმდიდრითა და შჳებითა და განსჳენებითა ნუ გიხარინ, ჰოი მდიდარნო, რამეთუ ტირილისა მომატყუებელ არს.

"რა ჟამს იგი სწავლიდე გჳემითა მონასა შენსა, რამეთუ ღმერთო, ეგრეჳ გასწავლის შენ, ვითარცა შენ სწავლი მონასა შენსა. უკეთუ არა დაადინო წყალობაჲ შენი მონასა შენსა ზედა, ოდეს იგი შეგცოდოს შენ, არცა ღმერთმან დაადინოს წყალობაჲ მისი შენზედა, რა ჟამს შენ არა შეიწყალე იგი".

საყურადღებოა იმავე იოანე ოქროპირის მიერ ვაჭრობის უარყოფით შეფასება: "უკეთუ ეგრე სთქვა ვითარმედ: არა არს ვაჭრობა პარვა, არს იგი პარვა და მეკობრობა, უკეთუ განყიდო რაჲმე უფროჲს საფასისა თჳსისა, არს იგი მოტაცება".

ყველაფერი ეს და სხვა ასეთი სენტეციების შემცველი ნაწარმოებები ითარგმნებოდა ქართულად, რადგანაც ქართული ეკლესიური წრეებიც ასეთივე შეხედულებათა და განწყობილების მქონენი იყვნენ.

მაგრამ ამავე დროს ქრისტიანობა დაჩაგრულთ და მონებსაც უქადაგებდა უკიდურეს მოთმინებას. ბასილი დიდი წერდა: "უკეთუ მონა იქმნე, კეთილი გეყოს შენ, რამეთუ სხვასა დაემონე... იგი (ქრისტე) შენთჳს მოვიდა მონებად (რომ მსახურა ცოდვის მონას იუდას) შენ ნუ ეძიებ თავისუფლებასა, შენ უყვარ უფროს აზნაურთასა, რამეთუ მიემსგავსო მონებასა მისსა".

იოანე ოქროპირი წერდა, რომ საერთოდ ხელისუფლება გამომდინარეობს ღვთისგან და არა პირადად ამა თუ იმ მეფის ძალაუ-

ფლებისაგან. "არა არს კელმწიფებაჲ გარნა ღმრთისა მიერ, ვითარცა იტყჳს მოციქული პავლე. ხოლო (პავლემ) არა თქუა ვითარმედ არა არს კელმწიფე, არამედ კელმწიფებაჲ. ხოლო უკეთუ კელმწიფე უმსჯავრო უსამართლოჲ იყოს, არა ღმრთისა მიერ არს, არამედ თავისა თვისისა დასასჯელად აღდგების'"–

V საუკუნეში ქრისტიანული იდეოლოგია კიდევ უფრო მკვეთრად დაადგა ბატონური კლასების მომსახურეობის გზას. გამოჩენილი ქრისტიანული მოაზროვნე აგუსტინი (354-430 წწ.) ამტკიცებდა, რომ მონამფლობელის უფლება მისი მონის მიმართ ისეთივე უდავოა, როგორც ღვთის ძალა მორწმუნეთა მიმართ. ამგვარად, ქრისტიანობა V საუკუნეში უკვე წარმოადგენდა ბატონური კლასების იარაღს მათი სოციალური ინტერესების დასაცავად. ასეთივე იყო ქრისტიანობა ამ დროს ქართლშიც.

ერთი ქართველი საეკლესიო ავტორი სახელით მარტვირი, რომელიც წერდა უკვე დაახლოებით V საუკუნის ბოლოში ან VI საუკუნის დასაწყისში თავის ნაწარმოებში "სინანულისათვის და სიმდაბლისა" ასწავლის მკითხველს და მსმენელს (ამ ნაწარმოებს შემდეგ ეკლესიაშიც კითხულობდნენ) ყოველგვარი შრომა უსიტყვოდ შეასრულონ. ამის გასამართლებლად ავტორი იყენებს ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონალურ თვისებებს და ამბობს, რომ თვალებს სხვა არ შეუძლიან უთხრან ადამიანს – არ გავიხედებითო, ფეხებს არ გატარებთო. ნაწლავებს აწევთ მძიმე მოვალეობა – ისინი იღებენ "უშვერ ნიეთთ" და მათი განავალი "არს საძაგელი და საწყინელ". მაგრამ ამ მძიმე მოვალეობაზე ისინი უარს არ ვერ იტყვიანო. ასე ჩვენცო, ამბობს მარტვირი, უნდა ვიმუშაოთ ყველამ თავის მოვალეობის მიხედვით. მხოლოდ ვისაც პატივსაცემი საქმე აქვს, ნუ გაამპარტავნდებაო, ხოლო ვინც უნდა იშრომოს, რაც უნდ მისი შრომა მძიმე იყოს, უნდა იშრომოს – რაც უნდა შენი შრომა მძიმე იყოს, "ვიდრე სიკვდილამდე სიხარულით შეწყნარე". ცხადია, ეს დარიგება ეხება მონებს და დამორჩილებულ ფენებს. ერთმანეთის მომსახურეობით, წერს მარტვირი, "იდიდებს ღმერთი", რომელიც ამგვარად გამოდიოდა არსებული სოციალური უთანასწორობის და ექსპლუატაციის გამამართლებელი.

55. ქრისტიანული მწვალებლობანი საქართველოში. ქართლის მთავარეპისკოპოსი მობიდანი.

ქრისტიანობა თავისი საწყისიდანვე იმუშავებდა გარკვეულ დოგმატურ დებულებებს, რომელნიც განმარტავდნენ საქრისტიანო სარწმუნოების ძირითად მონაცემებს გარკვეული მიმართულებით ამ მონაცემების საავალდებულო გახდომის მიზნით ყველა თავის მიმდევართათვის. მაგრამ ეს დოგმატური დებულებანი ძლიერ ხშირად იწვევდნენ კამათს და წინააღმდეგობას, რისი შედეგიც იყო მათი საკუთრივ სხვაგვარი განმარტება და ხანდახან კიდეც მათი საწინააღმდეგო ახსნაც. ამგვარად წამოიწივნენ ე.წ. მწვალებლობანი (ძვ. ქართულად განყოფა-განხეთქილებანი), ე.ი. აღიარებულ დოგმატებიდან გადახვევანი, რომელნიც იწვევდნენ ქრისტიანულ ეკლესიაში გამწვავებულ ბრძოლას იმდენად, რომ ზოგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ამ საკითხების გამო მოსახლეობის ცალკე ნაწილებსა და თვით ხალხებს შორის სისხლისმღვრელ ომებსაც. ასე მაგ., პირველმა საქრისტიანო მსოფლიო კრებამ ქ. ნიკეაში 325 წელს მიიღო დადგენილება არიის მწვალებლის წინააღმდეგ. არიი არ სცნობდა ალექსანდრიის ეკლესიის მოძღვართა მიერ წამოყენებულ დებულებას სამების შესახებ, რომ მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა ღმერთი არიან თავისი ძალით და ღირსებით თანასწორნი და უკანასკნელი ორი მამა ღმერთის თანაარსნი არიანო. არიიმ გააღრმავა წმიდა ერთარსი სამების შესახებ დოგმის წინანდელი მოწინააღმდეგეთა მოძღვრება და ასწავლიდა, რომ ძე ღვთისა იესო ქრისტე დაბადებულია არა საუკუნე დროიდან, არამედ იყო დრო, როდესაც ის არ არსებობდა და, მაშასადამე, ის ღირსებით მამა ღმერთზე დაბლა დგას. ხოლო სული წმიდა, მისი აზრით, იდგა კიდევ უფრო დაბლა. პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ ქალ. ნიკეაში 325 წელს შეაფასა არიის მოძღვრება როგორც ქრისტიანული სარწმუნოებისათვის საფუძველის გამომთხრელი და დაგმო ის.

ბერძენი ეპისკოპოსი ეპიფანე, რომელიც ქრისტიანობაში სხვადასხვა სექტანტურ მიმართულებათა წინააღმდეგ ერთ-ერთი თვალსაჩინო მებრძოლი იყო, 374-377 წლებში აღნიშნავდა, რომ სხვა ხალხებს შორის იბერიელებსა და ლაზებში წარმოდგენილი იყო ჩვეულების ფილოსოფიურ მიმართულებათა და სარწმუნეობრივი სექტების ძლიერ ბევრი სხვაობაო.

აქედან ჩანს, რომ ქრისტიანობის დოგმების და საერთოდ ქრისტოლოგიის ცალკე საკითხების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაში ქართველებიც ღებულობდნენ მონაწილეობას.

სხვადასხვა და მრავალრიცხოვან მწვალებლობათა შორის, რომელნიც აღელვებდნენ ქრისტიანობას მისი არსებობის პირველ საუკუნეებში და რომელნიც წარმოიშვნენ ანტიკური ფილოსოფიის და ზოგიერთი სარწმუნოების მონაცემთა გამოყენების შედეგად ანდა ქრისტიანული რელიგიური აზროვნების სხვადასხვა მოღვაწეთა დამოუკიდებელი შემოქმედების მიზეზით, აღსანიშნავია ნესტორიანობა, რომელსაც ნაწილობრივ გავლენა ჰქონდა საქართველშიც. ნესტორი, რომელიც გახდა კონსტანტინოპოლის პატრიარქად, ასწავლიდა, რომ მართლმადიდებელთა დოგმის საწინააღმდეგოდ იესო ქრისტე იყო კაცი (და არა კაცი და ღმერთი ერთსა და იმავე დროს), რომ ღმერთთან მას ჰქონდა მხოლოდ ზნეობრივი შეერთება, რის გამო ის არის არა ღმერთ-კაცი, არამედ ღმერთ-მატარებელი. მესამე მსოფლიო კრებამ ეფესში 431 წელს დაგმო ნესტორის მწვალებლობა.

მაგრამ ნესტორის მოძღვრებას ქართველებში ამის შემდეგაც ჰყავდა მიმდევრები. ასემანს თავის კრებულში "აღმოსავლური ბიბლიოთეკა" შეტანილი ჰქონია ცნობა, რომ 498 წლიდან იმ ეპისკოპოსთა შორის, რომელნიც ემორჩილებოდნენ მაფრიანს ანუ სირიის ნესტორიანთა კათალიკოსს, იყო ქართველების ეპისკოპოსიც.[3]

თუ რამდენად დიდ მერყეობას განიცდიდა ქართული ეკლესია ვიდრე ვახტანგ გორგასალამდე, ეი. თავის არსებობის 1 1/2 საუკუნეზე ნაკლებ დროში ეს დასტურდება შემდეგი ცნობიდან: ჯუანშერი აღნიშნავს, რომ მირიანიდან გორგასალამდე მცხეთაში სულ 13 ეპისკოპოსი იჯდა და ამათგან "წესსა ზედა ჭეშმარიტსა გარდაცვალებულნი" იყვნენ რვანი, ხოლო სხვანი შემშლელნი წესისანი". ჭეშმარიტ წესად ჯუანშერი უნდა გულისხმობდეს მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებების და მათ შორის დიოფიზიტობისაც ზუსტად მიმდევრობას. ცხადია, რომ თუ ქართლის ეკლესიის მეთაურთა შორის 1 1/2 საუკუნის სიგრძეზე თითქმის ნახევარი საეკლესიო წესის შემშლელნი ყოფილან, ქართველებშიც ყოფილა დიდი ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოების დოგმების ინტერპრეტაციისათვის და რომ ქართული ეკლესიის მესვეურნი

3 . M. Brosset. Histoire de la Géorgie, I, 1849, p.104.

აშკარად არ ცნობდნენ თავისთვის სავალდებულოდ მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებათ.

მთავარეპისკოპოსების ზემოთ ჩამოთვლილ სიაში ყურადღებას იქცევს ოთხი მთავარეპისკოპოსის მყოფობა ერთიმეორის შემდეგ არჩილის ხანმოკლე მეფობის დროს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ უკანასკნელი მათგანი მობიდანი ცნობილია, როგორც საეკლესიო დამუკიდებელი მოაზროვნე, რომელიც თავის თავს ნებას აძლევდა მკაცრად გადახვევოდა ორთოდოქსალურ მოძღვრებას, შეიძლება მივიღოთ, რომ არჩილ მეფის დროს მთავარეპისკოპოსების ხშირი ცვლა უნდა მიეწეროს ქართლის ეკლესიის დიდ შინაგან კრიზისს ხსენებულ ხანაში. ეს კრიზისი გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქრისტიანული დოგმების გაგების საკითხში აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობით, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს მთავარეპისკოპოსის მობიდანის დროს, რომელსაც ახასიათებს აზროვნების სფეროში დიდი ძიება და დამოუკიდებლობა.

ამ მობიდანზე მემატიანე გადმოგვცემს შემდეგს: "ბასილის (მთავარეპისკოპოსის) შემდგომად ამანვე არჩილ (მეფემ) დასვა ეპისკოპოსი, რომელსა ერქუა მობიდან. ესე იყო ნათესავად სპარსი, და აჩვენებდა იგი მართლმადიდებლობასა. ხოლო იყო ვინმე მოგვი უსჯულო და შემშლელი წესთა და ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი. არამედ ჰგონებდეს მორწმუნედ და ვერცა განაცხადებდა მაშინ ქადაგებასა სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთუნებისასა, რომელი შემდგომად მისსა დაწვა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ" (გვ.142).

ამ ცნობიდან ჩანს, რომ მთავარეპისკოპოსს მობიდანს, როგორც დამოუკიდებელ მოაზროვნეს, ახასიათებდა ქრისტიანული დოგმატების თავისებური გაგება. ეს იყო 420-იანი წლებში. მეფე არჩილი და შვილი მისი მირდატი არა თუ ითმენდნენ მობიდანის მოძღვრებას, არამედ როგორც ჩანს, კიდეც თანაუგრძნობდნენ მას. შემდგომი მთავარეპისკოპოსების გლონოქორის და იოველის დროს მობიდანის მოძღვრებას აგრეთვე მოთმინებით ეპყრობოდნენ და, შესაძლებელია, მას კიდეც თანაუგრძნობდნენ და მხოლოდ მიქაელის დროს აკრძალულ იქნა (მაშასადამე, 450-იან წლებში) მობიდანის მოძღვრება, მისი ნაწერები კი დასწვეს. სულ ქართლის ეკლესია ამა თუ იმ სახით მობიდანის მოძღვრების გავლენის ქვეშ იყო დაახლოებით 30 წელიწადი".

მობიდანი, როგორც ჩანს, ჯერ იყო მოგვი და შემდეგ კი გადასულა ქრისტიანობაში. მაგრამ ის არ შეიძლება ყოფილიყო არც ნესტორიანელი და მით უმეტეს მანიქეველი. წინააღმდეგ შემთხვევაში მემატიანე მოიხსენიებდა ამას. მობიდანი, როგორც ჩანს და ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება მემატიანის სიტყვებიდანაც, იდგა ქრისტიანობის საფუძვლებზე და ზუსტად მისდევდა ქრისტიანულ ჩვეულებს. მაგრამ, როგორც მოაზროვნე ადამიანი და იმავე დროს, როგორც ყოფილი მოგვი, ის თავისი ღვთის-მეტყველური ძიებებით ცდილობდა გამოენახა ისეთი გზა და საშუალებანი, რომლებიც შესაძლებლად გახდიდნენ ქრისტიანობის შერიგებას ცეცხლ-თაყვანისცემლობის ძირითად დებულებებთან. ზორიასტრიაზმის ზოგიერთ ცალკე ელემენტებით მობიდანის გატაცებაში გამოიწვია ის, რომ მისი შრომები თუმცა არა უცბად, არამედ რამოდენიმე ხნის შემდეგ ცნობილი იქნენ როგორც მწვალებლურნი, რასაც შედეგად მოჰყვა მათი სრული მოსპობა.

56. მანიქეიზმი.

III საუკუნეში სპარსეთში გაჩნდა ახალი რელიგიური მოძღვრება, რომლის პროპაგანდა და შედეგები სწვდებოდა ქართველების ქვეყანასაც. ამ მოძღვრების დამაარსებელი იყო სპარსელი სურაიკი, მეტსახელით მანი (ნიშნავს სულს, ჭკუას). ეს მოძღვრება დამყარებული იყო ორი ერთმანეთთან მებრძოლი საწყისის — კეთილისა და ბოროტის, სინათლის და სიბნელის აღიარებაზე. ამასთანავე სიკეთის გამარჯვების მომპოვებელი საწყისი განსახიერებული იყო ნათელ ღვთაებაში, რომელსაც ჰქონდა ხუთი ძირითადი ზნეობრივი თვისება — სიყვარული, სარწმუნოება, ერთგულება, მამაცობა და სიბრძნე. ღმერთი დროდადრო აგზავნის თავის მოძღვრებას მის მიერ გამოგზავნილთა მეშვეობით, როგორიც იყო ბუდდა ინდოეთში, ზარადუშტა, ზარადუსტრა სპარსეთში, იესო და ბოლოს თვით მანი. იესო მისი აზრით უნდა ყოფილიყო ადამიანი და მხოლოდ ღვთაებრივი ბუნების გამოვლინება ამ ქვეყნად.

მანი გამოვიდა თავისი მოძღვრებით სპარსეთში 238 წელს და თავდაპირველად მან მოიპოვა დიდი შედეგები. ის ქადაგებდა ქონებაზე უარის თქმას და ასკეტიზმს. მოძრაობა არსებითად მიმართული იყო ბატონური კლასების წინააღმდეგ. მანის მოძღვრებას მიემხრო სპარსეთის მეფის საპორ I-ის ძმაც კი. მაგრამ შემდეგ მას ბრძოლა გამოუცხადეს ცეცხლთაყვანისმცემლური სარწმუნოების ქურუმებმა (მოგვებმა) და მანი იძულებული გახდა გაქცეულიყო აღმოსავლეთ

ქვეყნებში, საიდანაც ის დაბრუნდა თავის ქვეყანაში მხოლოდ საპორ I-ის შვილიშვილის ბაჰრამ II-ის დროს. მოგვებთან ერთ-ერთ საჯარო დისკუსიის შემდეგ მანის წინადადება მისცეს დაემტკიცებინა თავისი მოძღვრების სიმართლე ღვთის სამართალით, რისთვისაც მას უნდა გადაეყლაპა ცხლად გამდნარი ტყვია. ამაზე მან უარი განაცხადა და მაშინ სპარსეთის მეფის ბრძანებით ის შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს (277 წ.).

მანიქეველობის განშტოებას წარმოადგენდა ბუნდოსის მოძღვრება დრისტ-დენან.

მალალას სიტყვით[4] იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს რომში გამოჩნდა მანიქეველი სახელით ბუნდოს ახალი მოძღვრებით, რომელიც განსხვავდებოდა ოფიციაგური მანიქეველობისაგან. სახელდობრ, ის აღიარებდა, რომ კეთილ ღვთაებას ჰქონდა ომი ბოროტ ღვთაებასთან და ეს უკანასკნელი დამარცხდა. რომიდან ბუნდოსი წავიდა სპარსეთს, (ის როგორც ჩანს, სპარსელი იყო), სადაც მის მოძღვრებად იცნობდნენ დრისტ-დენან-ჭეშმარიტი სარწმუნოების აღმსარებელნი. არაბი ავტორების ცნობებიდან გამოდის, რომ ბუნდოს-ზარდუშტი იყო მხოლოდ თეორეტიკოსი. ამ მოძღვრებაზე შემდეგ (V საუკუნის ბოლოდან) მაზდაკის მეთაურობით წარმოიშვა სოციალური დიდი მოძრაობა. ტაბარით, მაზდაკი იყო მოქმედი პირი, "ზარადუშტის მოციქული დაბალ ხალხში".[5] ამგვარად, მაზდაკი გამოდიოდა, როგორც ბუნდოს-ზარადუშტის საქმის გამგრძელებელი დრისტ-დენის თეორიის პრაქტიკულად განმახორციელებელი.

შესაძლებელია, რომ ზემოთ მოხსენიებული მთავარეპისკოპოსი მობიდანი განიცდიდა დრისტ-დენის მოძღვრების გავლენასაც.[6]

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მანიქეიზმს ჩვენში განსაკუთრებით III საუკუნეში და ამის შემდეგაც ჰქონდა ერთგვარი გამავლობა. სპარსეთში, ნაკში-რუსტემის არეში აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, თვით მანის 260 წლის ახლოს გამოუგზავნია ქართველების ქვეყანაში ადგილობრივად მანიქეველთაგან კრებულის შესადგენად ერთი თავისი მოწაფეთაგანი. ამიტომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ

---

4 . Migne. Patrologia, Series Graeca, vol. XCVII, p. 465.

5 . A. Christensen, L'Iran sous les Sassanides, 1944, p.339.

6 . მ. ბროსე მობიდანს სთვლიდა ნესტორიანელად, ხოლო თ. ჟორდანიას აზრით, ის უნდა ყოფილიყო მანიქეველთა მიმდევარი.

IV-V საუკუნეშიც განსაკუთრებით, უცხო ქვეყნებში ამა თუ იმ მიზეზის გამო მოყოლილ ქართველთა შორის ფეხი მოეკიდა მანიქეურ მოძღვრებას.

57. ვახტანგის აღზრდა: ვახტანგის სახელი.

მირდატს ჰყავდა სამი შვილი: პირველი — ასული, სახელით ხვარანძე, მეორე, ოთხი წლით ამაზე უმცროსი, იყო ვახტანგი. ვახტანგის შემდეგ მეექვსე წელს დაბადებული იყო მირდატის მესამე შვილი ასული მიპრანდუხტ.

ამგვარად, ვახტანგი იყო თავისი მამის ერთადერთი ვაჟი. ჯუანშერი ძლიერ აქებს ვახტანგის დას ხვარანძეს, რომელიც იყო "ძლიერი და შუენიერი". ამ ცნობას ჯუანშერი უმატებს: 'ნათესავისაგან (შთამომავლობისაგან) მირიან მეფისა მორწმუნისა ვახტანგ და დანი მისნი (ხვარანძე და მირადუჰტი დარჩომილ იყვნეს — იგინი იყვნეს ნათესავნი ბაქარ მირიანის ძისა" (გვ. 159).

სამეფო სახლის გვერდითი შტოები ძალზე შემცირებული ანდა ერთმანეთის ხოცვით ამოწყვეტილნი იყვნენ. დარჩენილიყვნენ მხოლოდ ორი ძმა მირიანი და გრიგოლი, რომელთაც ეკავათ კუხეთი რუსთავის ციხე ქალაქით.

ვახტანგის გამზრდელი იყო ბერძენი მღვდელი მიქაელ, რომელიც შემდეგ ქართლის მთავარეპისკოპოსი გახდა. საფიქრებელია, რომ ის ასეთად მართლაც იყო ბევრად ადრეც, სანამ ქართლის მთავარეპისკოპოსი გახდებოდა. ამიტომ მისი გამოწვევა აღმოსავლეთ რომის იმპერიიდან უნდა მომხდარიყო არა მთავარეპისკოპოს მობიდანის სიკვდილის შემდეგ, როგორც ეს ჯუანშერს აქვს აღნიშნული, არამედ მანამდის სპეციალურად ვახტანგის გამზრდელ-მასწავლებლად. გამოდის, რომ ვახტანგს მცირეწლოვანების დროს ჰყოლია კარგი და განათლებული აღმზრდელი, რომელიც მას რამდენადმე მაინც ბერძნულ ენასაც შეასწავლიდა. რომ ვახტანგს ასწავლიდნენ სპარსულს, ეს მაშინდელ პირობებში თავისთავად საგულისხმებლად არის მისაჩნევი. ეტყობა, რომ ვახტანგს კარგი განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული.

ჯუანშერით "აღივსნეს სიხარულითა მშობელნი მისნი შობასა ყრმისა ამის ვახტანგისასა და განავლინეს მახარობელი ყოველთა ერისთავთა და გამოიღეს ხვასტაგი დიდძალი — ოქრო და ვეცხლი და განუყვეს გლახაკთა და შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ ლოცვითა და ღამის თევითა დღეთა მრავალთა. და შემდგომად ამისსა მოხადნა

(მოიპატიჟა) მეფემან ყოველნი წარჩინებულნი ქალაქად (მცხეთად) და დღეთა მრავალთა ჰყო პურობა და განცხრომა და ეკედრებოდეს ყოველნი ღმერთსა აღზრდისათვის ყრმისა ვახტანგისასა".

სახელი ვახტანგ სპარსული წარმოშობისაა, მაგრამ გაქართულებული. ჯუანშერს მოცემული აქვს მისი სრული ფორმა. ის წერს, რომ მამამ დაბადებისას უწოდა თავის შვილს სპარსულად ვარან-ხუსროთანგ, ხოლო ქართულად ეწოდა (მას) ვახტანგ". ვარან არის ძველი სპარსული Varhran, რომლისგან უფრო ახალი ფაჰლაური სახელი იყო ვაჰრამ. სასანიანთა დინასტიის მეფეების სახელი ვაჰრამ, ბერძნულ-რომაული გამოთქმით ვარანეს (ვარან I 272-275 წწ., ვარან II 275-292 წწ., ვარან III 292 წ.) სახელის ვაჰრამ ახალი სპარსული ფორმა იყო ბაჰრამ, ქართულად ბარამ.

ხოსროთანგის მეორე ნახევარი დანგ ახალ სპარსულში ნიშნავს ნაწილს. (კერძოდ წონის და ფულის ერთეულის დირჰემ-დრამის ერთ მეოთხედს და ერთ მეექვსედს). შეიძლება ამიტომ ხოსროთანგ შუა სპარსულში იხმარებოდა ხოსროს ნაწილის მნიშვნელობით (ხოსროებად ხომ სპარსეთის მეფეები იწოდებოდნენ, ხოსრო — კეისარი). მთელი სახელი, მაშასადამე, ნიშნავდა ვარან ხოსროს ნაწილს, აქედან შემოკლებული სპარსული (და სპარსულიდან ქართული) — ვახტანგი. სპარსეთის მეფეს ხოსრო II-ს (591-628 წწ.) ჰყავდა ბიძა სახელად ვახტანგ (იოანე მამიკონიანის ცნობა). საყურადღებოა, რომ ნართების ოსურ ეპოსში იხსენიება გმირი ვერხტენეგ. ეს სახელი უდრის ქართულ ვახტანგს.[7]

ვახტანგი (გორგასალი) რომ დაიბადა, "მოითხოვა მეფისაგან საზრდელად საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ დიდითა ვედრებითა. ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგ სპასპეტსა საზრდელად, რამეთუ წესი იყო, რათა შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლს აღიზარდნენ.

"შემდგომად ამისსა მეექვსესა წელსა შვა საგდუხტ ასული სხვა და უწოდა სახელად მიჰრანდუხტ და მოითხოვა იგი საზრდელად სპასალარმან კასპისამან და მისცა იგი მეფემან და წარიყვანა ქალაქსა კასპისასა და იზრდებოდნენ მუნ". ამის შემდეგ მეორე წელიწადს მოკვდა მირდატ მეფე, როდესაც ვახტანგი იყო 7 წლის, ხოლო მისი და მირან-

---

7 . ვ. ივანეს ფიქრობს. (Осетинский язык и фольклор, I, М.-Л, 1949, გვ. 187), რომ სახელი ვახტანგ წარმომდგარია უფრო ძველი ფორმიდან ვარხტანგ, რაც მისი აზრით უნდა იყოს იგივე ვარკა – ანუ მგლის ტახის მქონე (სკითურად varka – მგელი).

დუხტი ერთი წლის. ვახტანგი რომ 10 წლის იყო, "მაშინ (და ამის შემდეგ) ვახტანგ იზარდებოდა და ისწავლიდა მიქელ ეპისკოპოსისგან (რომელიც მაშინ ჯერ ეპისკოპოსად არ უნდა ყოფილიყო) ყოველსა მცნებასა, უფლისა და სიყრმისავე ჰასაკს შეიყვარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა".

ვახტანგის მეორე სახელი იყო გორგასალი. სახელი გორგასალის თავისებური ინტერპრეტაცია მოცემული აქვს ჯუანშერს. ის წერს: რომ სპარსელების შემოსევის დროს, მცხეთის არეში ბრძოლების დროს ვახტანგს თავსაბურავად ჰქონდა ოქროს (ეი. მოოქროვილი) ჩაბალახი, რომელზედაც წინა მხარეს გამოქანდაკებული იყო მგელი და უკანა მხარეზე — ლომი. როდესაც ბრძოლის დროს სპარსელები დაინახავდნენ ვახტანგს, დაუძახებდნენ ერთმანეთს — დურ აზ გორგასალ, რაც ნიშნავსო "მირიდეთ თავსა მგლისასა და მის მიერ სახელედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ". ეს ახსნა არაა სწორი სახელი გურგასარ (სპარსულად მგელთავა) მოხსენიებულია შაჰნამეში. მაშასადამე, ასეთი სახელი სპარსელებში შეიძლებოდა არსებულიყო. ხოლო ვახტანგს გორგასალი თავიდანვე შეერქვა მეორე სახელად (როგორც იყო მაგ., გიორგი ლაშა და სხვა).

გორგასალის მაგივრად შემდეგში ვახტანგის მიმართ იხმარებოდა გორგასლანი. არსლან თურქულად ნიშნავს ლომს. რადგანაც ჩაბალახზე (ჩაფხუტზე) გამოსახული ჰქონდა მგელი და ლომი, ამიტომაც შემდეგში ვახტანგის მეორე სახელი გორგასალი გაზრებული იქნა გორგასლანად. თვითონ ვახტანგი ამ სახელს არ ატარებდა.

58. მდგომარეობა ქართლში უმეფობის დასაწყისში.

მეფობის გაუქმების შემდეგ ქართველი წარჩინებულნი არ იქნებოდნენ შექმნილ მდგომარეობით კმაყოფილნი. უკმაყოფილო ელემენტები დაკავშირებულნი იყვნენ მცირეწლოვანი ვახტანგის დედის საგდუხტ დედოფლის კართან. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ საგუხტ დედოფალს, ჯუანშერის სიტყვით, ეშინოდა თავისი მამისაგან, ბარზაბოდ პიტიახშისაგან ქართლისადმი მოსალოდნელი შურისძიების, მითუმეტეს, რომ მცხეთაში მოსული ცნობით ბარზაბოდ უკვე "განმზადებული იყო ბოროტის ყოფად ქართლისათვის". ამიტომ გასაგებია, რომ საგდუხტ დედოფალი ძლიერ" შეძრწუნებული (ეი.შეშინებული) იყო მამისა მისისა (თავისისა) ბარზაბოდისაგან: "ნუ უკვე შური იგოს მამამან, ამბობდა ის, ნამქრისათვის მამამთილისა (არჩილ მეფის) და ქმრისა ჩემისა (მირდატ

მეფისა), რომელ ეგოდენნი ბოროტნი მოიწივნეს მას ზედა_ ნუ უკვე შური იგოს ჩემზედა დატევებისათვის სჯულისა და წარწყმიდოს (მოჰკლას) შვილი ჩემი, გარნყვნეს ქართლი და სჯული ქრისტესი წარ-წყმიდოს (მოსპოს)". ამიტომ მან გადაწყვიტა მამასთან წასვლა და პი-რადი მოლაპარაკებით ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარება და განმტკიცება. საგდუხტმა დაიბარა წარჩინებულნი და სპასპეტი, ჩაბარა მათ პატარა ვასტანგი და თვითონ კი წავიდა ბარდავს თავის მამასთან. იქ საგდუხტმა ვჯუანშერის ცნობით "განიღო თავი (ეი.მოიხადა თავსა-ბურავი) და ამოუყარა ძუძუნი მისნი, დავარდა პირსა ზედა, დასდვა პირი თავის ფერჯთა მისთა ზედა და დაალტობდა ფერჯთა მამისა თვისი-სათა ცრემლითა და ითხოვდა მისგან შეწყალებასა და არა კსენებასა ნაქმართა ქმრისა თვისისათა და შენდობასა დატევებისათვის სჯულისა ევედრებოდა, რათა არა აიძულოს დატევებად ქრისტეს სჯულისა_ და ევედრებოდა, რათა იპყრას შვილი მისი მამულსა შინა თავისსა და მოურავ (შუამდგომელ) ექმნეს იგი სპარსთა მეფისა წინაშე".

ბარზაბოდი მოლბა. მან "შეიწყალა ასული თჯსი, არა აიძულა დატევება სჯულისა და აღასრულა ყოველი თხოვა მისი". სარწმუნოების შესახებ კი განაცხადა შემდეგი: "იძულებით არცავის სხვასა ქართველსა დავატეობინებ სჯულსა ქრისტესასა, არამედ მივგზავნნე (გავგზავნო) ცეცხლის-მსახურნი ქალაქსა თქვენსა და იყვნენ მათზედა ეპისკოპოსი (მეთვალყურე) სჯულისა ჩვენისა და ვინც ქართველი ნებითა თავისითა აღირჩევდეს სჯულსა ჩვენსა, ნუ აყენებთ". საგდუხტი ამის შემდეგ დაბრუნდა ქართლს, სადაც მალე გამოგზავნილ იქნა ბინქარ მოგვთ-მთავარი ცეცხლის-მსახური მოგვებით, რომელნიც "დასხდნენ მოგვთას" (მცხეთაში).

განსაკუთრებით გაუარესდა ქრისტიანობის მდგომარეობა საერ-თოდ სპარსეთის მონარქიის ხელქვეთ ქვეყნებში იეზდიგერდ II-ის მე-ფობის მეორე წლიდან, ეი. 439 წლიდან. ელიშე გადმოგვცემს, "რომ ქრისტიანული სარწმუნოება სომხეთში ყოველთვის იყო საუკეთესო მდგომარეობაში დაწყებული მეფეთა-მეფის შაპუჰ II-ის მეფობიდან, ეი. 309 წლიდან ვიდრე მეფეთა მეფის ვრამის შვილის იეზდიგერდის მეფო-ბის მეორე წლამდის. ეს იეზდიგერდი ეშმაკმა ამოარჩია თავის იარაღად, შხამიანი ისრებით საკვე კაპარჭის მსგავსად.

იეზდიგერდმა ზავი დასდო აღმ. რომის იმპერიასთან, რომელიც თვითონაც ერიდებოდა სპარსეთთან ურთიერთობის გამწვავებას. "ახლა როდესაც მას უკვე არ ეშინოდა ბერძნების, რომელთაც წინათ ერიდე-

ბოდა, მიმართა ქრისტიანების სასტიკ დევნას. ზოგს აშინებდა მუქარებით, ზოგს აპატიმრებდა. მათ სხვადასხვა ტანჯვას აყენებდა, ბევრი კიდევ სიკვდილით დასაჯა მათი მთელი ქონების წართმევით". ელიშე ამას ამბობს სომხეთის შესახებ, მაგრამ დაახლოვებით ასეთი პოლიტიკა საგულისხმებელია ქართლის მიმართაც. ბუნებრივია, რომ ამიერიდან ცეცხლის მსახურთათვის მდგომარეობა მცხეთაში შეიქმნა მეტად ხელსაყრელი, რადგან ქართლის ეპისკოპოსი მობიდანი, ჩამომავლობით სპარსელი, თვითონაც ზოროასტრისადმი იყო განწყობილი. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მოგვების პროპაგანდას, რის გამო ცეცხლთაყვანისმცემლობა იწყებდა გავრცელებას ქალაქების ფართო მასაში "წვრილ ერისგანთა" შორის.

ის აწარმოებდა ბრძოლას ბინქარ მოგვთ-მთავართან, ერთი სიტყვით, "იპყრნა სარწმუნოებასა ზედა (ქრისტესა) ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერიცა უმრავლესი, არამედ მცირედ ვინმე წურილისა ერისაგანნი მიიქცეს ცეცხლის მსახურებასა".

59. ოსების შემოსევა.

როდესაც ვახტანგი ჯერ კიდევ 10 წლის იყო, ჩრდილოეთიდან, დარიალის გზით გადმოვიდნენ ოსები დიდი ჯარით. მათ "მოტყვევნეს ქართლი თავითგან მტკვრისით ვიდრე ხუანამდე და მოაოხრეს ველნი" ციხე-ქალაქთა გარდა, გამონაკლისი იყო ქალაქი კასპისა, რომელიც აიღეს და იქ მათ დაატყვევეს ვახტანგის სამი წლის და მირანდუხტი. ჯუანშერით "ოსებმა კასპი ქალაქი შემუსრეს, ტყვე ყვეს და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ". ვახუშტის დროს არსებული გადმოცემით, მირანდუხტი წაუყვანიათ მამების მონასტრის ზემოთ მდებარე ციხიდან: "კასპს ზეით, წერს ის, წლევის მთაში არს მონასტერი მამების სტეფანწმდისა, თათესაგან 13 მამათაგანის ქმნულით. მას ზეით არის ციხე, სადითგან გამოიყვანეს ოვსთა გორგასალის დაი". თვით მამების მონასტერი მდებარეობდა ძველი კასპიდან 4 კმ-ზე, ჩრდილოეთით მდინარე ლეხურას დასავლეთით.

ოსების თარეშებმა, ამგვარად მოიარეს, მტკვრის ხეობის ქართლის მეტი ნაწილი, შემდეგ ჩავლეს რანს და მოვაკანს და დარუბანდის გზით დაბრუნდნენ გამარჯვებულნი თავისს ქვეყანაში (რადგან ვახტანგი დაიბადა 423-424 წელს, ამიტომ ეს უნდა მომხდარიყო 434 წელს). ასეთი შემთხვევა მეტად მნიშვნელოვან უბედურებად ითვლებოდა. მაგრამ ვახტანგის გარშემო მყოფი პირნი უძლურნი იყვნენ რაიმე გაეკეთები-

ნათ, რადგანაც ძალაუფლება სპარსეთის მიერ დაყენებული მარზპანის ხელში იყო.

60. ლაშქრობა ოსებზე.

სპარსეთის მთავრობის ყურადღებას ამ ხანაში, როგორც ჩანს, იპყრობდა ჩრდილოეთიდან სანაგურ-პაჭანიკების და საერთოდ ჰუნთა ხელქვეითი ტომების თავდასხმათა მოგერიება. ეს მომთაბარე და მეტად მეომარი ტომები აწვებოდნენ კავკასიონის ხაზს მთელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში. მათთან ძალაუნებურად დაკავშირებულნი იყვნენ ოსები. ქართლისთვის უშუალო საფრთხეს წარმოადგენდა ამ ოსთა თარეში. ლაშქრობა ოსების წინააღმდეგ ჩატარებული იქნა სპარსეთის მთავრობის დახმარებით. სპარსელების ხელისუფლებაც დაინტერესებული იყო ჩრდილოეთ ნომადი ხალხების დასუსტებასა და დასჯაში და ამიტომ ის ქართველებს, რომელნიც უნდა აემოქმედებინა ვახტანგს, ამ ლაშქრობისათვის ყოველის მხრივ ხელს უწყობდნენ.

ჯუანშერის მოთხრობა ამ ნაწილშიც საკმაო საგმირო რომანის ავტორისათვის დამახასიათებელი დეტალებით. ამის მიუხედავად, მთელი მოთხრობა ლიტერატურულად კარგად შესრულებული, ყურადღებას იპყრობს თავისი მთავარი ხაზებით, რომელნიც, სხვადასხვა გაზვიადებათა ჩამოცილებით, საკმაოდ კარგად ასახავენ ეპოქას და თვით ვახტანგის პიროვნებასაც.

ვახტანგი, ჯუანშერის სიტყვით, ამ ლაშქრობის დროს 15 წლის იყო (უკეთ მე-16 წელს მიახლოებული იქნებოდა).[8] ჯარის შეკრების შემდეგ ქართველები გაემართნენ ჩრდილოეთისაკენ. თიანეთში მათ დახვდნენ კავკასიის მთიელების წინამძღოლები, "ყოველნი მეფენი კავკასიანნი", როგორც მათ უწოდებს ჯუანშერი (მათ ვითომ თან ჰყავდათ 50 ათასი მხედარი, რაც, რასაკვირველია, შეუძლებელია). თავის მხრივ ოსების მეფეებსაც (წინამძღოლებს) შეეკრიბათ თავისი ჯარი, მიეღოთ დახმარება ხაზარებისგან (ეი. ჰუნნებისაგან) და დამდგარიყვნენ მდ. თერგის ნაპირას დარიალის კარიდან გამომავალ ვახტანგის შესახვედრად. "მოეგებნეს (ვახტანგს) მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარი-

8 . ტაბარი (II, 16) გადმოგვცემს, როგორც ჩვეულებრივ ამბავს, რომ როდესაც მცირეწლოვანი შაპურ II გახდა 16 წლის და მას შეეძლო ცხენოსნობა და იარაღის მოხმარება, მან შეკრიბა თავისი სახელმწიფოს წარჩინებულნი, ხალხი და ჯარი და მათ მიმართა განცხადებითო და სხვა.

ალასა და ჩავლის ველსა ოსეთისასა და მასცა მდინარესა არაგვი ჰქვიან, რამეთუ ერთისა მთისაგან გამოვალს თავი ორთავე — ქართლისა არაგვისა და ოსეთისა არაგვისა. და დაიბანაკეს ორთავე სპათა იმიერ და ამიერ, რამეთუ მდინარესა მის პირსა ორგნითვე ქარაფნი იყვნეს კლდისანი, ჭალაკნი, და ველოანნი პირთა მდინარისათა და განეკრძალნეს ერთმანერთისაგან და დაიცვნეს გზანი ქარაფთანი და დადგეს შვიდ დღე".

აქ დაიწყო ცალკეულ ბუმბერაზთა ბრძოლა. "ამას შვიდსა დღესა ბრძოლაჲ იყო ბუმბერაზთა მდინარესა მას ზედა, რომელ ჰყვეს ნიჯადნი (დამსმარე ჯარი) ხაზართანი ოსთა, მათთანა ერთი კაცი გოლიათი, სახელით თარხან. გამოვიდა ესე თარხან-ხაზარი ემა ჰყო ემითა მაღლითა და თქვა: გეტყვი თქვენ, ყოველთა სპათა ვახტანგისათა, ვინცა არს თქვენს შორის უძლიერესი, გამოვიდეს ჩემ-ზედა. ხოლო ვახტანგ მეფესა, რომელი ჰყვა სპანი სპარსთა ნიჯადნი, მათთანა ერთ-ერთი კაცი, რომელსა ერქვა ფარსმან-ფარუხ. ამისდა ვერავის დაეგნეს ბრძოლასა შინა, მრავალი ლომი ჴელითა შეეპყრა. ესე განვიდა ბრძოლად თარხანისა და აღიხახნეს ორთავე და მიეტევნეს ურთიერთსა და პირველსავე შეკრებასა უხეთქნა ჯრმლითა ფარსმან-ფარუხს ჩაბალახსა ზედა და განუპო თავი ბეჭდათამდე. მაშინ დაჭმუნდა (დაღონდა) ვახტანგ და სპანი მისნი, რამეთუ არავინ დარჩა მათ შორის მსგავსი ფარსმან-ფარუხისი. შეძრწუნდნენ ყოველნი იგი სპანი და აღივსნეს მწუხარებითა."

იმ ღამეს ვახტანგმა გადაწყვიტა თვითონ შებმოდა ბუმბერაზ თარხანს. "ვითარ გათენდა, კვალად შთამოვიდა თარხან კიდესა მდინარისასა, აყვედრებდა და კვალად ითხოვდა მუქარასა და არავინ იპოვა სპათა შორის ვახტანგისათ მბრძოლი მისი. მაშინ ვახტანგ ჰრქვა სპათა თვისთა: არა მინდობილ ვარ მე ძალისა ჩემისა და სიმჯნისა, არამედ მინდობილ ვარ ღვთისა დაუსაბამოსა სამებისა ერთ-არსებისა უფლისა დამბადებლისა; განვალ თვით ბრძოლად თარჯანისა".

თუმცა წარჩინებულნი მძლავრად წინ აღუდგნენ ვახტანგის ამ გადაწყვეტილებას, რადგან ეშინდათ მისი მოკვლის, მაგრამ ვახტანგი მაინც თავისას დაადგა. "ჩავლო გვერდი ვახტანგ და ჩავიდა მდინარისა პირსა, აქვნდეს ოროლნი. მოხედა თარჯან და თქვა: მე გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მბძოლი ვარ, არა უმაწვილთა, განა შენზედა დავიმდაბლო თავი ჩემი.

აღიხახნეს და მიეტევეს ურთიერთსა და პირველსავე შეკრებასა სცა ვახტანგ ოროლნი სარტყელსა ზედა და ვერა უფარა სიმაგრემან

საჭურველისამან და განვლო ზურგით და მოკლა_ მოჰკვეთა თავი თარ-
ჯანს აღჯდა და წარვიდა ლაშქართა თვისთა თანა და ყოველთა მათ
სპათა ჯმითა აღწევნულითა შეასხეს ქება ვახტანგს და ჰმადლობდეს
ღმერთსა".

მეორე დღეს მოწინააღმდეგის ბანაკიდან გამოვიდა მეორე ბუმ-
ბერაზი, ოსი, სახელით ბაყათარი.[9] "იგი იყო გოლიათი და რაჲთგან
(რომელ დროითგან) დაეწყო მჴედრობად, ვერავის დაედგნეს მისდა დ
მოესრა ყოველი მბრძოლი მისი, რამეთუ იყო სიგრძე მშვილდისა მისისა
თორმეტი მტკაველი და ისარი მისი ექვსი მტკაველი. მოდგა ესე
ბაყათარ პირსა მდინარისასა და ჯმა ჰყო დიდითა ჯმითა და თქვა:
"ვახტანგ მეფეო, ნუ განლაღდები შენ მოკვლისათვის თარჯანისაც არა
ერთო (ის) გოლიათთა და ამისთვის მოიკლა იგი ყმაწვილისაგან. ან
უკეთუ შენვე გამოსჴიდე ბრძოლად ჩემდა, მოხგვდენ ჩემგან ბრძოლანი
ფიცხელნი, რომელთაგან ველარა განერე. თუ არა, ვინც სპათა შენ-
თაგანი გამოვიდეს, მისთვისა მზა ვარ".

"მაშინ პასუხ უგო ვახტანგ ბაყათარს და ჰრქვა:" არა ძალითა
ჩემითა ვსძლე თარჯანს, არამედ ძალითა დამბადებლისა ჩემისათა და არ
მეშინის შენგან ვითარცა ძაღლისა ერთისაგან, რამეთუ ძალი ქრისტესი
ჩემთანა არს და ჯვარი მისი პატიოსანი საჭურველ ჩემდა". და განაწესა
ვახტანგ სპანი და დაადგინნა განმზადებულად და აღჯდა ტაიჭსა
(ცხენსა) შეჭურვილსა ჯაჲშნითა და აღიღო ფარი მის ვიგრის ტყავისა,
რომელსა ვერ ჰკვეთდა მახვილი და ჩავლო გვერდი, მიდგა მახლობლად
მდინარესა. ჯმა უყო ბაყათარს და ჰრქვა: "არა გამოვალ მე მდინარესა,
რამეთუ მეფე ვარ, არა მივეახლები სპასა ოსეთისასა, რამეთუ წარჩი-
ნებულ ვარ, რამეთუ სიკვდილითა ჩემითა წარწყმდების (დაიღუპება)
ყოველი სპაჲ. ხოლო შენ მონაჲ ხარ და წარწყმედითა შენითა არ ეგნე-
ბის სპასა ოსეთისასა, ვითარცა ძაღლისა ერთისა. გამოვედ მდინარესა
ჩემკერძო (ეი. ჩემსკენ). მაშინ ბაყათარ ოსმან აღასრულა სიტყვა მისი
და თქვა: მე, მომკველმან შენმან, გამოვლო მდინარე, არამედ მდი-
ნარის პირისაგან უკუდეგ სამ უტევან" (უტევანი იგივე ბერძნული
სტადი უდრის 177 მეტრს). მაშინ ვახტანგ უკუ-რიდა და გამოვლო
მდინარე ბაყათარმან და უწყო სროლად ისრითა. მაშინ ვახტანგ
სიფრთხილითა თვალთა მისთათა და სიმახვილითა გონებისა თვისისათა

9 . სახელი ბაყათარ არის ათვისებული ერთ-ერთი ირანული კილოდან: ახალ სპარსულში
ბაპადურ ნიშნავს მამაცს. გმირს, ოსურში ბაყათარ ეწოდება გმირს.

და სიკისკასითა (სისწრაფითა) ტაიჭისა (ცხენისა) მისისათა ჰრიდებდა ისარსა, რამეთუ შორსვე იხილოს ისარი მომავალი და უსხლტებოდის იგი სიმარჯვეთა და ვერ მოახვედრებდა. ამიერ და იმიერ (ეი. მდინარის ორსავე ნაპირას) იყო სპათაგან ცემა ბუკებისა და დაბდაფთა და იზაკდეს კმითა აღწევნულითა სპანი ორნვე — ოვსნი და ქართველნი, რომლითა იძროდეს მთანი და ბორცვნი."

პირისპირ შეტაკებაში ვახტანგმა აჯობა ბაყათარსაც, დაჰკრა ხმალი მხარში და ჩაჭრა ის გულამდის. ამ გამარჯვებით გამხნევებული ქართველების ჯარი გადავიდა მწყობრად შეტევაზე ოსების წინააღმდეგ. წინ მოდიოდნენ ცხენ-თოროსანნი და ჯაჭვ-ჩაბალახოსანნი, მათ უკან ქვეითნი და შემდეგ კიდევ ჩვეულებრივი მხედრები (ცხენოსნები)". ხოლო ოვსნი წარმოადგეს ქარაფსა (დიდ კლდესა) ზედა და დასხეს ისინი ვითარცა წვიმა მძაფრი. მაშინ ვახტანგ მეფე მოქცეულ იყო სპასა მისსა ზურგით ჩვეულითა მკედრითა, უზახებდა და განაძლიერებდა და ნუგეშინის ცემდა სპათა მისთა. მაშინ წინათ ცხენ-თორნოსანთა აღვლეს გზაჲ ქარაფისა, აღვიდეს ვაკესა და აღუდგეს უკანა ქვეითნი და შემდგომად სიმრავლე მკედართა მისთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის".

ეს ბრძოლა გათავდა ქართველების გამარჯვებით, ოსები დამარცხნდნენ და გაიქცნენ. მეტი ნაწილი მათგან ტყვედ იქნა შეპყრობილი. როგორც ჯუანშერის პირვანდელი წყაროდან ამოღებული ცნობიდან ჩანს, ქართველებმა ამ ტყვეების ნაწილის გაცვლის საშუალებით დაიბრუნეს თავისი 358 ტყვე და კიდევ დარჩა მათთან 6058 ოსი ტყვე. სამი დღის დასვენების შემდეგ ქართველები "განიბნივნეს ტყვევნად ოვსეთისა, შემუსრნეს ქალაქნი მათნი და აღიღეს ტყვე და ნატყვევარი ურიცხვი."

ცნობა ამის შესახებ ჯუანშერის თხრობის გარდა დაცული იყო ხალხურ სიტყვაობაშიც, ვახტანგის ისტორიის XVIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში დაცულია "ნარს სოფელს ნუზლა საყდარზე (ჩრდილოეთ ოსეთში) დაწერილნი ლექსნი". ეს ლექსი იკითხება შემდეგნაირად:

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი, ჩარჯონიძე ჭახილანი;
ოს-ბაღათარ, დავით-სოლან, ოთხ სამეფოდ მებრძოლანი
ფიდარ(ოს), ჯადარ(ოს), საყურ(და) გ(ი)ორგი, მტერთა რისხვით
შემხედვარნი,
ჩვენნი ძმანი სამნი ბერნი, (ისაკ, რომანოზ და ბასილ) იქმნენ
ქრისტეს კარგნი ყმანი

ჩვენ გვიჭირაეს მიმავალთა (მომავალთა) ოთხის კუთხით ეიწრო
გზანი,
(კასარზედ) სიმაგრე მაქვს და საბაეო, აქ (ეი. სოფ ნარს) მიჭი-
რავს ჯიდის კარი.
საიქიოს მოიმედე, საიქაოს კარგა მდგარი.
ოქროსა და ვერცხლის მიწა ამდონი მაქვს, ვითა წყალი.
კავკასიონი დავიპყარ, ოთხ სამეფოს გაუმკლავდი,
ქართველს ბატონ დაი მოვსტაცე, არ დავაგდე ჩემი გვარი.
გამწვდა ფიცით, მიღალატა, მან დაიდვა ჩემი ბრალი.
ბაღათარ წყალსა მიეცა, ალიეცა ოსთა ჯარი.
ვინცა ეს ლექსი იხილოთ, მცირედ ბრძანეთ შენდობანი".

საყურადღებოა, რომ ეს ლექსი დაცულია ხალხურ სიტყვაობაში ეხლაც სამცხეში. XVIII საუკუნეზე ადრე, მაგრამ როდის, ძნელია თქმა (შესაძლებელია XV-XVIII საუკუნეში) ეს ლექსი დაუწერიათ ნარს, ნუზალს ეკლესიის კედელზე.

ლექსი ადასტურებს, რომ ოს-მთავარს ბაღათურს მოუტაცია ქართველ ბატონის, ეი. ქართლის მეფის და. ქართლის მეფეს ტყეული ფიცით მოუხერხებია ოს-მთავრების დამარცხება. თვით ოსი ბაღათარი წყალში დამხრჩვალა და ოსების ჯარიც განადგურებულა.

ეპისკოპოს კირიონის ინიციატივით 1904 წელს ჩაწერილი ერთი გადმოცემა ვახტანგ მეფის და ბაყათარის შესახებ იკითხება შემდეგნაირად:

არაგვის (იგულისხმება თერგის) ნაპირებზე იდგა ჯარები. მდინარის მარჯვენა ნაპირას იდგა ქართველების ჯარი ვახტანგ მეფის წინამძღოლობით, ხოლო მდინარის მეორე ნაპირას ოსების ჯარი ბაყათარის წინამძღოლობით. ახალგაზრდა ვახტანგმა მოისურვა პირისპირ ბრძოლა ბაყათართან. ქართველმა დიდებულებმა ბევრი უშალეს, მაგრამ ვახტანგმა თავისი არ დაიშალა. შეეიდა კარავში, ილოცა, შემდეგ ამოიღო უბიდან თავისი დის წერილი და ერთი კიდევ გადაკითხა. ვახტანგის და ტყვედ წაყვანილი ბაყათარის მიერ, წერდა თავის ძმას, რომ ისრით ბაყათარს ვერაფერს დააკლებ, რადგანაც მთელი ტანი სქელი და მაგარი ჩაჩქანით აქვს შემოსილი. ეს ჩაჩქანი მხოლოდ მარჯვენა იღლიაში არის გარღვეული და ამ ადგილას მოხვედრილი ისრით შესაძლებელია მისი ვნება. ვახტანგმა ჩაიდო წერილი უბეში, აისხა იარაღი, შეჯდა ცხენზე, მივიდა ზედ არაგვის ნაპირას და გასძახა ბაყათარს:

— მე, მეფე ქართლისა ვახტანგი, გიწვევ საბრძოლველად შენ, ოსთა მთავარო ბაყათარ.

ბაყათარმა გაიგონა თუ არა ეს სმა, მაშინვე შეაკაზმინა ცხენი, შეჯდა მასზე და დადგა ვახტანგის პირისპირ იქითა ნაპირზე.

— მზათა ვარ, გამოსძახა ბაყათარმა; თუმცა სახელოვან ბაყათარ გმირისთვის საძრახისია შენისთანა ბავშვებთან შებრძოლება, მე მზად ვარ, გამოდი.

— მე, მართალია, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ მფარველად მყავს მხსნელი ჩვენი მაცხოვარი: იგი დამიფარავს შენი მახვილისაგან და გააორკეცებს ჩემი მახვილის ძალას: მდინარეში გამოსვლას მეძახი, მაგრამ მე მეფე ვარ და შენ უბრალო მთავარი: არ შემშვენის, რომ გეახლო.

— ძალიან კარგი, გამოვალ, მაგრამ მომეც ფიცი, რომ სანამ ნაპირზე არ გამოვალ, ხელს არ გაანძრევ ჩემს წინააღმდეგ.

— ვფიცავ ჯვარცმულსა.

— არა გააწყვეტინა ბაყათარმა, ჯვარცმულს ნუ ფიცულობ იმას თუ რამე ძალა და მადლი ჰქონდა, ჯვარზე არ ეცმებოდა. შენ დაიფიცე ღმერთი დღისა და ღამის, მთისა და ბარის, ტბისა და ტყისა, ელვაქუხილისა და მეხისა.

ვახტანგმა რომ ჯვარცმული მაცხოვრის ბაყათარისაგან ასე ურიგოდ ხსენება გაიგონა, გულში განიზრახა ფიცის გატეხვა. ვფიცავ გასძახა ვახტანგმა.

მაშინ ბაყათარმა შემოჰკრა ქუსლი ცხენს და შეაგდო არაგვის აზვირთებულ წყალში. შუა მდინარეში ტალღების ცემამ ბაყათარის ცხენი თავქვე დაამბრუნა. პირდაპირ ნაპირისკენ ცხენის წასაყვანად ბაყათარმა აიწია მაღლა მარჯვენა მკლავი, რათა ცხენისთვის მათრახი დაეკრა. ამ დროს ვახტანგმა ფიცხლავ ხელი დაარტყა მშილდ-ისარს. გასწია და იმწამსვე ჰაერში გაისმა ისრის ბზრიალი. ისარი მოხვდა ბაყათარს მარჯვენა იღლიაში და მაშინვე ცხენიდან წყალში გადააგდო. ვახტანგმა. შესძახა: აბა, მომყევით უკან ქართველებო და საჩქაროდ შეაგდო ცხენი არაგვში. ჯარი სიხარულის ყიჟინით მიჰყვა მას უკან. ოსებმა თავიანთი გმირის დაღუპვა რომ დაინახეს, მორთეს თავში ცემა და ღრიალით გაიქცნენ მთებისა და ტყეებისაკენ, მაგრამ მათ მალე გადაეღობა წინ ქართველების ცხენოსანი ჯარი, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მათ, ვახტანგმა უბრძანა ომი შეწყვეტინათ. ოსები დამორჩილდნენ მას, მისცეს მძევლები, დაუბრუნეს დაი და შეპფიცეს

ერთგულება. გამარჯვებული ვახტანგი დაბრუნდა შინ და ფიცის გატეხვის მოსანანიებლად ააშენა ეკლესია ჯერ თბილისში და შემდეგ მცხეთის ზემოთ ძველი კასპის ასწვრივ მტკვრის პირას. ორთავე ეკლესიას დაწერა: შემინდეე უფალო, ცოდვა ჩემი, რამეთუ მე ვტეხე ფიცი. ამ "მე ვტეხე"-სგან შემდეგ წარმოდგა სახელი "მეტეხი".

ასეთია ეს გადმოცემა.

ტერმინის მეტეხის ახსნა ხალხურია და, რასაკვირველია, არ შეეფერება სინამდვილეს. მაგრამ ეს გადმოცემა არის ძველი. ის აღნიშნული აქვს 1679 წ. შარდენსაც, რომელიც წერს, რომ მეტეხი ნიშნავს გატეხილს, გაწყვეტილს, რომ ეს სახელი ამ ეკლესიას დაერქვა იმიტომ, რომ ქართველების ერთმა მეფემ სრულიად უმიზეზოდ დაარღვია მშვიდობა ერთ-ერთ მეზობელ მთავართანო.

ამგვარად, ბაყათართან ვახტანგის შებრძოლების შესახებ გადმოცემა შეიცავს ცნობას ვახტანგის ღალატის შესახებ. მართლაც, არსებობს დოკუმენტური ცნობა, რომ ვახტანგს ჩაუდენია ფიცის რაღაც დიდი გატეხა.

1624 წელს ქართლის კათალიკოსი ზაქარია წერს მცხეთის საყდრის სახელზე: "პირველადცა ვახტანგ გორგასალისაგან ფიცის გატეხისათვის შემოწირული იყო ძეგვი და ციხედიდი, აწ სახასოდ საკათალიკოსოდ გაეხადეთთ."[10] ამ ცნობიდან ჩანს, რომ საკათალიკოსო საწიგნეში დარჩენილი ცნობის მიხედვით ვახტანგს ფიცის გატეხვის გამო შეუწირავს მცხეთის საყდრისათვის ორი სოფელი — ძეგვი და ციხედიდი. რის გამო დაარღვია ფიცი ვახტანგმა არ ჩანს. მაგრამ ზემოთ მოყვანილ ხალხურ ლექსში ლაპარაკია ფიცის გატეხაზე ბაყათართან შებრძოლების დროს.

უწყებულება აღნიშნავს, რომ ვახტანგმა ოსების და ყივჩაყების დამორჩილების შემდეგ "შექმნა კარნი ოსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დაუყენნა მას ზედა მცველნი, მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მათ კარად დარიალასაჲ". ბუნებრივია, რომ ოსეთის დალაშქვრის შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა ოსეთის კარის, იგივე დარიალის კვლავ გამაგრებას. ამ გასასვლელის გამაგრე-

---

10 . ქრონიკები, II, გვ. 446. ციხედიდის შესახებ არსებობს შიომღვიმის მონასტრის კრებულის დამოწმება 1240-იანი წლების ახლოს, რომ ეს სოფელი და მტკვარზე წისქვილები (მაშასადამე, ციხედიდი აღწევდა მდ. მტკვარს იმ მხარეში, სადაც ახლა არის რკინიგზის სადგური ძეგვი) "წმიდისა ეკაგრესობითგან გვქონებია უცილობლად და უწყინელად".

ბაში დაინტერესებული იქნებოდა სპარსეთის ხელისუფლებაც. ამიტომ გაშენებულ იქნა "გოდოლი" (ეი. კოშკ-სიმაგრე, კოშკი სპარსული სიტყვაა და შემდეგ იქნა შემოღებული), რომშიდაც დაყენებული იქნენ მცველნი.

ჯუანშერის სიტყვით, ვახტანგი ოსეთზე ლაშქრობის დროს 15 წლისა ყოფილა. რადგანაც ვახტანგი დაიბადა 424 წელს (უფრო ამ წლის მეორე ნახევარში) ამიტომ ეს ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 440 წელს, როდესაც ვახტანგი იყო სრული 15 წლის და მე-16 გადამდგარი.

მალე ამის შემდეგ ვახტანგი სპარსეთში წავიდა. მოქც. ქართ. ქრონიკაში ამის შესახებ წერია: "მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა", ხოლო უწყებულება გადმოგვცემს, რომ ვახტანგი ვიდრეღა ყრმა იყო, იძულებით სპარსეთად წარვიდა". ცხადია, რომ ვახტანგი იძულებით წასულა სპარსეთს თავის ყრმობაში. საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში სიტყვაზე კაცი (ძველს წყაროებზე დამყარებით) წერს, რომ "ათხუთმეტეს წლითგან ვიდრე ოცამდე ვაჟსა ყრმა" ჰქვიაო. 15-16 წლის ვახტანგს უდგება გამოთქმა "ყრმა". საეჭვოელია, რომ ოსებზე გამარჯვებით სახელმოხვეჭილი ვახტანგი, როგორც ტახტის მემკვიდრე და პრეტენდენტი, სრულებით არ იყო სპარსელებისათვის ქართლში სასურველი და ამიტომ ის გაიწვიეს სპარსეთში. ვახტანგი იძულებული გახდა დამორჩილებოდა და ხანგრძლივად თავის სამშობლოს გამოთხოვებოდა.

61. ვახტანგი სპარსეთში.

რას აკეთებდა ამ ხანად ვახტანგი სპარსეთში, არაა ცნობილი. მაგრამ ცხადია, რომ მას თავისი ქართული ამალით მონაწილეობას მიიღებინებდნენ პირველ რიგში იმ ომებში, რომელიც ამ დროს ხშირად ატყდებოდა ხოლმე, განსაკუთრებით ირანის აღმოსავლეთ ნაწილში. ამ ხანაში ირანის ამ ნაწილს თავისი თარეშული თავდასხმებით ხშირად აწუხებდნენ ჰუნთა სხვადასხვა თურქული ტომები. გარდა ამისა, ვახტანგს მონაწილეობა ექნებოდა მიღებული სპარსელების ლაშქრობებში სინდეთის (ინდოეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო დასავლეთ კიდურზე) წინააღმდეგ. სინდეთი თუმცა სპარსეთს ემორჩილებოდა, მაგრამ ხშირად აჯანყებებს აწყობდა. სინდეთიდან სპარსეთს შესასვლელი ჰქონდა ჩრდილოეთით (ეი. საკუთრივ) ინდოეთში. შემდეგში (470-იან წლებში) ვახტანგი უკვე ქართლის მეფედ მყოფი, მონაწილეობას ღებულობდა ერთ-ერთ სარდლად სპარსელების ლაშქრობაში სინდეთის წინააღმდეგ.

აქ დროული იქნება შეეჩერდეთ იეზდიგერდ II-ის მეფობის ქრონოლოგიაზე. მამა მისი ბაჰრამ (ვრამ) II, სებეოსის მიხედვით, გამეფდა იმპერატორ ჰონორის (395-424 წწ.) მეფობის მე-22 წელს, ეი. 416 წელს. მეფობდა ის მოსე ხორენელით 21 წელს, ეი. 437 წლამდის. თავისი მეფობის მეორე წელს იეზდიგერდ II ომს უცხადებს აღმ. რომის იმპერიას და როგორც ეტყობა, მაშინვე იწყებს თავის სახელმწიფოში ქრისტიანობის საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებას. ეს მოხდა 438 წელს.

სომხეთის სპასპეტი ვარდან მამეკონიანი ნახარარების დახმარებით 19 წლის განმავლობაში (ეი. 432-451 წლებში) ებრძოდა სპარსელებს. ასეთია ვარდან დიდის ცნობა. ამ ბრძოლას მაინც ჰქონდა წყვეტილები და ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივებიც, რადგანაც სომხეთის ჯარი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო სპარსეთის მიერ, განსაკუთრებით იეზდიგერდ II-ის მიერ 440-447 წლებში ქუშანების ქვეყანაში ჰუნნების წინააღმდეგ პერიოდულად წარმოებულ ომებში. ზოგჯერ სომხების ამ ჯარს წინამძღოლობდა თვით სპასპეტი ვარდან მამეკონიანი. მაგრამ მაინც ვარდანი ოპოზიციაში ედგა სპარსეთის მართებლობას, რომლის წინააღმდეგ ის, როგორც ვარდან დიდის ცნობიდან ჩანს, ხშირად გამოდიოდა მახვილით ხელში.

თანამედროვე ელიშეს სიტყვით, იეზდიგერდ II გარდაიცვალა თავისი მეფობის მე-19 წელს, ლაზარეს ცნობითაც ის 17 წელზე მეტს მეფობდა. ამიტომ იეზდიგერდ II-ის მეფობა მოდის 456 წლამდე ჩათვლით.

ოსებზე გალაშქრების წინ ვახტანგმა ანდერძად დასტოვა, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში ქართლის მემკვიდრედ ყოფილიყო მისი მამის ძმისწულად ხვედრებული მირიან, რომელსაც ამიტომ ცოლად უნდა შეერთო ვახტანგის და ხვარანძე: "მან შეირთოს დაჲ ჩემი და მან ყოს მეფობა", ეი. ის უნდა ყოფილიყო ქართლის მეფობის პრეტენდენტი.

ამ მირიანის შესახებ ჯუანშერს აქვს ასეთი ცნობა: "ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევის, მირიანის ძისა და აქვნდა მათ კუხეთი და ცხორებდეს რუსთავს ციხექალაქსა, რამეთუ შემცირებულ იყვენეს ურთიერთის კლვითა". როგორც ჩანს, მირიანს თავის ძმა გრიგოლთან ერთად მფლობელობაში ჰქონდა კუხეთი.

ელიშე გადმოგვცემს, რომ ქრისტიანობა სომხეთში ვიდრე იეზდიგერდ II-ის მეფობის მეორე წლამდე (439 წ.) არ განიცდიდა შევიწროებას. 439 წლიდან კი მდგომარეობა შეიცვალა: იზდიგერდმა

გამოაცხადა თავისი თავი ქრისტიანობის მოსისხლე მტრად. ის თავს დაესხა მოსაზღვრე რომეების ქვეყნებს, მაგრამ იმპერატორმა თეოდოსიმ გამოუგზავნა მას დიდძალი ოქრო და საჩუქრები და დასდვა მასთან ზავი. ამის შემდეგ, წერს ელიში, მას უკვე ბერძნების არ ეშინოდა, წინათ კი მათ ერიდებოდა და დაუწყო (თავის სახელმწიფოში) სასტიკი დევნა ქრისტიანებს. ზოგს ის აშინებდა მუქარებით, სხვებს აპატიმრებდა ციხეებში, სხვადასხვაგვარად აწამებდა მათ და ბევრი კიდეც დაღუპა ტანჯვითი სიკვდილით, შემდეგ მთელი მათი ქონების ჩამორთმევით. თავისი საშინელი ბოროტებით მან ჩაგდო დიდ მწუხარებაში ყველა (ქრისტიანე) მორწმუნენი."

ამიერიდან, იეზდიგერდ II-ის მეფობის დროს სპარსეთის შინაურ პოლიტიკას ახასიათებდა ქრისტიანობის საწინააღმდეგო ხაზი.

საგარეო ხაზით პირველ ამოცანად სპარსეთი ამ დროს ისახავდა შუა აზიის ჰუნთა, ე.წ. ქუშანების წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან მხოლოდ ამათგან საფრთხის თავიდან მოცილების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ქრისტიანულ რომელთა სახელმწიფოს დათრგუნვა. გამოწვეულ იქნა ჯარი სომხეთიდან, ქართველების, ალვანელების და ყველა სხვა ქვეშევრმდომ ხალხებისაგან ქუშანების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ განკარგულების თანახმად წავიდა ჯარი ქართლიდანაც. ჯარების შეკრების შემდეგ "წავიდა (იეზდიგერდი) ომით ჰუნების ქვეყანაში, რომელსაც კიდევ ქუშანების ქვეყანას ეძახიან. ომობდა იქ ის ორი წელიწადი, მაგრამ ვერაფერს აღსანიშნავს ვერ მიაღწია. მან გაგზავნა თავისი ცხენოსანი ჯარი სხვადასხვა ქვეყნებში, საიდანაც ის გამოწვეული იყო და გამოიწვია სხვა ლაშქრები, ასევე აღმოსავლეთი. ასე მოქმედებდა ის ყოველ წელს — თავისი მეფობის დაწყების მეოთხე წლიდან ვიდრე მეთერთმეტე წლამდე (ეი. 441-448 წლებში). მან უბრძანა გაეშენებინათ ქუშანების ქვეყანაში ქალაქი, სადაც მოაწყო თავისი ადგილსამყოფელი".

62. სამშვილდის, იგივე ტაშირის საპიტიახშო ცურტავ-გაჩიანი.

პირველი ქრისტიანი ქართველი მეფის მირიანის სიძე (ასულის ქმარი) იყო სპარსეთის სასანიანთა დინასტიის წევრი ფეროზი (პეროზი), რომელიც შემდეგ გადავიდა ქრისტიანობაში. ამ ფეროზის შთამომავლები იყვნენ ტაშირის ერისთავნი პიტიახშის ტიტულით. მათი მთავარი რეზიდენცია საგულისხმოელია სამშვილდეში. მეხუთე საუკუნის

პირველ მეოთხედში კოროუნის ცნობის მიხედვით, პიტიახშად ტაშირში იყო არშუშა. არშუშას მართებლობის ბოლოში პიტიახშის რეზიდენცია გადატანილი იქნა გაჩიან-ცურტავში. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ ცურტავი ქვემო ქართლში ემსრობოდა მიწათმოქმედებით და მეაქონლეობით მდიდარ დაბლობ მხარეს. ცურტავის დაწინაურება V საუკუნეში ამ სამეურნეო ხასიათის მიზეზით უნდა აიხსნას. ეს ფაქტი უთუოდ დაკავშირებულია ქალაქების აგრარიზაციის საკითხებთან.

სანადირო, გაჩიანი და ცურტავი თავდაპირველად წარმოადგენდნენ ერთი და იგივე ადგილის ცალკე უბნების სახელებს. სანადირო არის ერთი უბნის თავდაპირველი სახელი (შდრ. მამათა ნათესავთა ცხოვრების ცნობა, რომ გაჩიანს ძველად სანადირო ქალაქი ერქვაც ქცხოვრ. I, გვ.9). V-VII საუკუნეებში სახელი ცურტავი იხსენიება, ხოლო X ს-ნეში უხტანესი სახელს გაჩიანს ხმარობს. საფიქრებელია, რომ V-VII ს-ნეებში ცურტავად იწოდებოდა ახლანდელი სიონის ტერიტორია (ამ სიონში ალბათ იჯდა ცურტავის ეპისკოპოსი), ხოლო მის ჩრდილოეთით იქვე, სადაც ახლა არის 9 ნაეკლესიარი, იყო გაჩიანი. ამ უბნებთაგან V-VII ს-ნეებში მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა ცურტავს, ხოლო VIII-IX ს-ნეებში — გაჩიანს. უხტანესის დროს X ს-ნეში ეს გაჩიანიც დაცარიელებული იყო.

უხტანესი გაჩიანს იხსენიებს მრავლობითი რიცხვით (გაჩენ-ქ). ეს იმას ნიშნავს, რომ ძველად იქნებოდა ორი ან რამოდენიმე გაჩიანი. ცურტავიც უკვე ამ გაჩიანში შედიოდა. გაჩიანი, მაშასადამე, აღწევდა ახლანდელი სიონიდან მდ. ხრამამდის დაახლ. 15 კმ-ის სიგრძეზე. გასაგებია, რომ მდინარესაც ამ ხანაში გაჩიანის-წყალი (სომხურად გაჯენაგეტ) ეწოდებოდა. აქ მოწყობილი იყო უკვე დიდი მეურნეობანი — აგარა-აგარაკები. ერთი მათგანი იყო ყოფილი ცურტავის (ახლანდელი სიონის) ტერიტორიაზე. ამიტომაც ჯუანშერი ცურტავს აგარაკით სახელით იხსენიებს (იქ ვახტანგ გორგასალის დროს დასვეს ეპისკოპოსი, გვ.199)[1] ასეთ მეურნეობათათვის არსებობდა ცალკე აგარანი ვიდრე მდ. ხრამამდის და, შესაძლებელია, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზეც.[11]

---

11 . მ. ბროსე (Deux historiens arméniens, S-Peterbourg. 1870, გვ. 296, შენიშვნა) აღნიშნავდა ცურტავ-გაჩიანის მდებარეობას მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირას. პასკევიჩის ლაშქრობათა შესახებ შედგენილ თანადროულ რუკაზე ვახუშტის მიერ აღნიშნული არქეანის ახლოს და მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე ნაჩვენები ყოფილა ხაჩინ და ზროუტ (ბროსესთან, იქვე): სახელი ზროუტ უნდა ყოფილიყო ცურტავის გადმონაშთი

პ. ინგოროყვას აზრით (გიორგი მერჩულე, 1954 , გვ.479, შენ.2) ცურტაკი მდებარეობდა გარდაბანის მხარის კოლბის უბანში ტაშირისა და გარდაბანის საზღვართან (ეი. მდ. ლებედას აღმოსავლეთით). ცურტავისაგან ის განასხვავებს გაჩიანს, რომელიც მისი აზრით, მდებარეობდა მდ. ქურდ-ვაჭრის ხევზე, იგივე მდ. ინჯაზე, რომელიც მტკვრის შენაკადია. პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ ქურდ-ვაჭრის ხევი ატარებდა აგრეთვე სახელებს კოლბის მდინარე და გაჩიანის მდინარე, რადგანაც ამ კოლბის მდინარეზე მის მტკვართან შესართავთან, გაშენებული იყო ქალაქი გაჩიანიო (იქვე, გვ.471). მაგრამ მდინარე ქურდ-ვაჭრის ხევი, თამარის მატიანეს მიხედვით აშკარად მდ. ლებედა, იგივე ბერდუჯია. სახელები ქურდ-ვაჭრის ხევი და გაჩიანის მდინარე სხვადასხვა მდინარეთა სახელებია, ხოლო კოლბის ხევი არის იგივე ინჯა.

დ. ბერძენიშვილის აზრით, ცურტაკი მდებარეობდა მდ. მაშავერის მარჯვენა ნაპირას ჭაპალას ციხის მახლობლად (ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ.26-27).

დ. ბერძენიშვილის სიტყვით (იქვე, გვ.25-26) შულავერის და წოფი ხევის მოხუცნი შულავერის სადგურთან მდებარე კლდეებს ცურუ-დაშ-ის და სურუ-დაშ-ის (ეი. ცურუს კლდის) სახელით იცნობენო. ეს ცურუ სახელის ცურტაკის გადმონაშთი უნდა იყოს.

ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ აგარანი იყო კოჯრის არეში (მიმომხილველი, II, თბ., 1956, გვ.37-60), რაც საკვლევით ეწინააღმდეგება არსებული წყაროების ცნობებს.

ამ სახით გაჩნდა ახალი გეოგრაფიული სახელი მრავ. რიცხვით აგარანი ("სომხითისა აგარანი"), რომელიც მოიცავდა ტერიტორიას დაახლ. ახლანდელი სიონიდან ვიდრე მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზედაც გადმოსვლით. მონღოლთა ხანაში აგარანი დაცარიელდა და მათ ადგილას შემდეგ გაჩნდა დიდი შულავერი თეთრისოფელით, მცირე შულავერით სოფსიონი.

ვახუშტის რუკაზე (დიდი) შულავერის აღმოსავლეთით იმავე შულავერის წყალის ნაპირას ნაჩვენებია ნაქალაქევი, ხოლო დაახლ. 1 კმ-ზე

(ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, 1924, I, გვ.75).

შესაძლებელია, ორივე ეს სახელი იყოს მდ. ხრამის მარცხენა ნაპირას მდებარე ორ აგარაკზე გადატანილი ძველი სახელები გაჩიანი (თუ აქ ხაჩინ სომხურად მარტივად ჯვარის მნიშვნელობით არაა ნახმარი) და ცურტაკი (დამახინჯებულად ზროუტ).

მდინარიდან ციხე ("შულავერი არს დაბა დიდი, ქვემო მისსა ნაქალაქევი არს, შენობა დიდი წყარო ფრიად დიდი დის, ზეით მცირე ციხე"). ამასთანავე შულავერი ვახუშტის ნაჩვენები აქვს მდინარის მარცხენა ნაპირას თითქმის ორი კმ-ით მასზე დაშორებით, ეი. სწორედ იმ ადგილას, სადაც დაახლ. 6 კმ-ის სიგრძეზე სამხრეთიდან ჩრდილოეთით არის (ძველი გაჩიანის) ცხრა ნაეკლესიარის ნაშთი. რაც შეეხება მარჯვენა ნაპირის ნაქალაქევს და ციხეს, ამ ადგილს შეიძლება ჰქონდა სხვა სახელიც. "შუშანიკის ცხოვრებიდან" ჩანს, რომ ვარსქენმა შუშანიკი პატიმრად მოათავსა შედარებით ახლოს თავისი რეზიდენციიდან ციხეში, მაგრამ ეს ციხე მეტად მაგნებელი და ხაშმიან ადგილას მდებარეობდა. ეს ციხე მართლაც შეიძლება ყოფილიყო ვახუშტის მიერ ასეთად ნაქალაქევთან აღნიშნული, ხოლო პიტიახშის რეზიდენცია მდებარეობდა ეპისკოპოსის რეზიდენციაზე დაშორებით ორ კმ-ზე მაინც. სიონი საეპისკოპოსო ეკლესიის სახელი იქნებოდა ახლანდელი სოფელ სიონის, ხოლო ახლა სოფელ სიონის ჩრდილოეთ კიდურ ნაეკლესიარსა და შულავერის სამხრეთ ნაეკლესიარს შორის 1 3/4კმ-ია. ამ შემთხვევაში პიტიახშის რეზიდენციიდან ხსენებულ ციხემდე იქნებოდა დაახლ. 5-6 კმ. ჰავის მხრივ მათ შორის იქნებოდა უკვე დიდი განსხვავება, რადგანაც ეს ნაქალაქევი თავისი ციხითურთ საკუთრივ ციებცხელებიან და ხაშმიან ველზეა საგულისხმებელი. ამ ადგილს და ციხეს შეიძლება ჰქონდა თავისი სახელი ოფრეთი და ამიტომაც უხტანესი გადმოგვცემს, რომ შუშანიკი პყრობილად იყო ოფრეთის ციხეში და იქვე გარდაიცვალაო. ეს ძველი ოფრეთი შედიოდა დიდ გაჩიანში და ახლა კი მისი ტერიტორია შესულია დიდი შულავერის ფარგლებში.[12]

უხტანესის დროს (X ს.) გაჩიანი უკვე დაცარიელებული იყო. ხოლო ჯუანშერი ცურტავის ეპისკოპოსს აგარაკის ეპისკოპოსად იხსენიებს. ამიტომ გაჩიანის აოხრება, საფიქრებელია, იყო მურვან-ყრუს საშინელი შემოსევის შედეგი. ამ შემოსევის დროს საბოლოოდ აოხრდა მცხეთა და ციხე გოჯი. ამით ბედი, როგორც ეტყობა, გაიზიარა გაჩიანმაც. დაახლოებით 460-ნი წლებიდან გაჩიანი იდგა ცალკე ოლქის სა-

---

12 . პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ "გოგარენ-გარდაბანის მხარეში ორი საეპისკოპოსო იყო: 1) ხუნანისა ანუ აგარაკისა და 2) ცურტავისა. ხუნანი და აგარაკი ძორის ხევში მდებარეობდა, ხოლო ცურტავის საეპისკოპოსო კოლბის ხევის (მხარის) საეპისკოპოსო იყო"-ო. (გიორგი მერჩულე. გვ. 473-474). ჩვენი აზრით, ცურტავის და აგარაკის საეპისკოპოსო ერთი და იგივეა.

თავეში. ეს ოლქი არსებობდა, მაშასადამე, 460-იანი წლებიდან 645 წლამდე (ორი საუკუნე). ეს იყო ქალაქ გაჩიანის ბრწყინვალების ხანა.

ქალაქ გაჩიანის სახელის შეცვლა ახალი სახელწოდებით აგარაკი და აგარანი უნდა იყოს დამოკიდებული VIII-IX ს-ნეებში მომხდარ ცვლილებებთან მმართველობის სფეროში, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო ფეოდალური წყობილების ჩამოყალიბების მამოძრავებელი მიზეზებით.

გაჩიანის ადგილი ამ მხარეში თითქოს VII ს-ნის მეორე ნახევრიდან დაიკავა სამშვილდემ. ცურტავის წამოწევამდე, რაც ფეროზიანთა პიტიახშების დროს უნდა მომხდარიყო, მაშასადამე, IV საუკუნის პირველი ნახევრიდან, სამშვილდე ამ მხარეში წამყვანი მნიშვნელობის პუნქტი უნდა ყოფილიყო. ამას გვიჩვენებს მატიანის თავნაწილში სამშვილდის შესახებ დაცული ტრადიციული ცნობა. ყოველივე ამით აიხსნება ის, რომ ჯუანშერი, რომელიც არ იცავს დროის პერსპექტივას, თხრობაში ვახტანგ გორგასალის შესახებ იხსენიებს სამშვილდის საერისთავოს.

63. დედოფალი შუშანიკ.

მეორე ფარსმანის შემდეგ ქართლის მეფედ (საფიქრებელია ისევე შეზღუდულ პირობებში) აღნიშნულია ბაკური, რომელიც უნდა იყოს ერთხელ უკვე მცირე ხანს მეფედ მყოფი. ამ ბაკურის დროს, როგორც ამას გადმოგვცემს მოქც. ქართლისაის ქრონიკა, "ვარსქენ პიტიახში იყო და შუშანიკ იწამა ცურტავს" (გვ. 94).

შუშანიკ გათხოვილი იყო ქართველ ვარსქენ პიტიახშზე. ვარსქენი და შუშანიკი კარგა ხანს ცხოვრობდნენ ერთმანეთთან მშვიდად, ჰყავდათ მათ სამი შვილიც, მაგრამ შემდეგ მათი ურთიერთობა უკიდურესობამდე გამწვავდა და ამის მიზეზი იყო ის, რომ ვარსქენ პიტიახშმა უღალატა ქრისტიანობას თუმცა მისი მამა არშუშა და დედაც ქრისტიანები იყვნენ და თვითონაც ქრისტიანობაში იყო გაზრდილი. ვარსქენის გადასვლა ცეცხლთაყვანისმცემლობაში გამოწვეული იყო პოლიტიკური მოსაზრებებით. ვარსქენი გაემართა "კარად სამეფოდ" მერვე წელს მის სპარსთა მეფის მეფობისას. რამდენ ხანს დაჰყო ვარსქენმა "სპარსთა მეფის" კარზე, არაა ცნობილი, მაგრამ მისი აქ მყოფობა დამთავრდა იმით, რომ მან ნებაყოფლობით დასტოვა ქრისტიანობა და გადავიდა ცეცხლთაყვანისმცემლობაში.

ქართული ვერსიით შუშანიკის ქმარს ვარსქენს, როდესაც ის გადავიდა ცეცხლთაყვანისმცემლობაში, სპარსეთის მეფემ მიათხოვა ცოლად თავისი ასული, სომხური ვერსიით კი ვარსქენი თხოვდა იმ მეფეს, რომელთანაც ის წავიდა, თავის ცოლად სპარსელ ქალს და მანაც მიათხოვა მას თავისი ცოლის დედა, აქედან ჩანს, რომ მთელი სპარსეთის მეფეს უკეთ მეფეთა მეფე და მირ მეფე, რომელსაც უშუალოდ ემორჩილებოდა ვარსქენი, სრულებით სხვადასხვა პირნი არიან: ეს მირი (მიჰრი) უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთის კუსტის დიდი მარზპანი, მეფის ტიტულით მოხსენიებული. მირის ცოლის დედა კი უნდა ყოფილიყო სპარსეთის მეფეთა მეფის ასული, რომელიც ახლა შეირთო ვარსქენმა.

როდესაც შუშანიკმა ცურტავში გაიგო ვარსქენის გადასვლა ცეცხლთაყვანისმცემლობაში (ამას თან დაემატებოდა ცნობა ვარსქენის მიერ ახალი ცოლის შერთვის შესახებაც), მან დასტოვა ქმრის "ტაძარი", ეი. სასახლე და გადავიდა ეკლესიის მახლობლად ერთ მცირე სახლაკში, "შევიდა მუნ შინა სიმწარითა საძსე და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარით ცრემლით ტიროდა".

სამი დღის შემდეგ ამისა მოვიდა ცურტავს ვარსქენ პიტიახში და როდესაც გაიგო ცოლის წასვლა სახლიდან, უაღრესად გაბრაზდა. ვარსქენმა ჯერ მიუგზავნა შუშანიკს თავისი ძმა ჯოჯიკი, ამისი ცოლი და თავისი სახლის (კარის) ეპისკოპოსი აფოცი და წინადადება მისცა დაბრუნებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა თმით მოთრევას.

მისულთა დაჯერებით შუშანიკი ბრუნდება სასახლეში. მაგრამ სახარებით ხელში და ტირილით დაბინავდა არა თავის "გალიაკში" (ოთახში), არამედ რომელიღაც მცირე სენაკში. ასეთი "დაბრუნება", რასაკვირველია, არ ეჭაშნიკა ვარსქენს, რომელიც ორი დღის შემდეგ მოვიდა ამ თავის ტაძარს და უბრძანა მსახურთ: "დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ეჭამოთ"-ო. შეღამებისას დასხდნენ პურის ჭამად. იქვე იყო შუშანიკიც, მაგრამ არფერს ჭამდა. ჯოჯიკის ცოლმა მიაწოდა შუშანიკს ჭიქით ღვინო, მაგრამ შუშანიკმა გაჯავრებით შესძახა — "ოდეს ყოფილა არს აქომამდე თუმცა (რომ) მამათა და დედათა ერთად ეჭამათ პური"-ო.

როგორც ეტყობა, ცეცხლთთაყვანისმცემლობაში გადასულ ვარსქენს ახლა სპარსული ჩვეულების თანახმად შემოულია მამაკაცების და დედაკაცების პურის ჭამად ერთად ჯდომა რაც ეწინააღმდეგებოდა ქართულ-სომხური მაღალი წრეების ჩვეულ და ამას გამოუწვევია შუშანიკის გაანჩხლება. შუშანიკმა ჭიქა თავისსავე რძალს "შეალეწა პირს".

ამის პასუხად მოთმინებიდან გამოსული ვარსქენი ეცა შუშანიკს, "იწყო (მისი) უჯეროსა გინებად და ფერეჯითა თჳსითა დასთრგუნვიდა მას: აღიღო ასტამი (ეი. კვერთხი ანუ ჯოხი) და უხეთქა მას თავსა და ჩაჰფლა და თავალი ერთი დაუბუშტა. და მჯილითა (მუშტით) სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმით მიმოითრევდა, ვითარცა მკეცი მძჯნვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი".

როგორც ჩანს, შუშანიკიც არ იყო გულ-ხელ დაკრეფილი და ისე გაჩერებული, რადგანაც ვარსქენმა უბრძანა მისი შეკვრა და ფეხებზე ბორკილების დადება.

ვერავინ ხმა ვერ ამოიღო შუშანიკის დასაცავად, მხოლოდ ერთმა იქ მყოფმა სპარსელმა (ცეცხლთაყვანისმცემელმა) სთხოვა ვარსქენს, როდესაც ის ცოტათი უკვე დაწყნარებული იყო, "რაითამცა საკრველთა მათგან (შესაკრავთაგან) განეტევა წმიდა შუშანიკ". ბევრი ხვეწნის შემდეგ ვარსქენი ერთი მსახურის მცველობის ქვეშ დათანხმდა ამას და ბრძანა შუშანიკი მოეთავსებინათ ერთ საკანში ისე, რომ მასთან არავინ შეეშვათ. მეორე დილას ადრე ვარსქენმა იკითხა შუშანიკის მდგომარეობა. როდესაც მას უთხრეს, რომ ჭრილობებისაგან ძნელად თუ გადარჩებაო, მან ინახულა შუშანიკი და "დაუკერდა დიდძალი იგი სიმსივნე მისი". ვარსქენმა უბრძანა მსახურთ მასთან არავინ შეეშვათ და თვითონ კი წავიდა სანადიროდ.

ცოტა ხნის შემდეგ დადგა შიშიანობა და პიტიახშმა დახიზნა თავის ოჯახი. როგორც ჩანს, პიტიახშის ოჯახი ამ დროს იმყოფებოდა გარდაბანში, უკეთ მის დასავლეთ ნაწილში, რომელიც ქართლს ეკუთვნოდა. ოჯახს ხიზნავდნენ კუხეთის ან გარეჯის უდაბნოს მიმართულებით. როდესაც ბავშვები მტკვარზე გადაყავდათ, ერთი მათგანი ჩავარდა მდინარეში და დაიხრჩო, რის გამო დიდი გლოვა ეწია პიტიახშს და მის ქვეყანას. ხოლო შუშანიკი, მთლად გაბოროტებული და გაფანატიკოსებული, მადლობდა ღმერთს და თავს იმით ინუგეშებდა, რომ დაღუპული ბავშვი სულით მაინც განშორდა ღვთის უარისმყოფელ მამას-ო.

მაშინ მარზპანი და ქართლის დიდი აზნაურნი მოვიდნენ პიტიახშთან სამძიმრის გამოსაცხადებლად. ვარსქენმა გაგზავნა მათი მოსვლის მოლოდინში შუშანიკთან თავისი კაცი და გადმოიყვანა ის ეპისკოპოსის სახლში ეკლესიის ახლოს. შუშანიკი სიამოვნებით დასთანხმდა ამას და მოწესის ტანისამოსში მარხვასა და ლოცვაში ატარებდა დროს.

როდესაც სამძიმრისთვის მისული პირნი უკან გაბრუნდნენ, ვარსქენმა კვლავ შეუთვალა შუშანიკს დაბრუნებულიყო სახლში და მას წინანდელზე მეტი პატივისცემა აღუთქვა. მაგრამ შუშანიკმა ამაზე ახლაც გადაჭრით უარი განაცხადა და თავისი სამკაულნიც, ძვირფასი ტანისამოსიც ქმარს უკან დაუბრუნა.

ვარსქენი ბრალს სდებდა სამღვდელო პირთ თავისი ცოლის განმტკიცებასა და გამაგრებაში. ამიტომ ის მივიდა ეკლესიასთან და უთხრა ეპისკოპოს აფოცს: "გადმომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად". ხოლო როდესაც ერთმა მღვდელმა უსაყვედურა პიტიახშს რატომ ლანძღავ და აგინებ ეპისკოპოსს და შუშანიკსაც ურისხდებიო, მან ამის საპასუხოდ, "უსეთქნა კვერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერღარა იკადრა სიტყვად". ხოლო თვით შუშანიკი კი "თრევით მოითრია თიხათა შიგან (მიწაზე) და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრამდე, ვითარცა მკვდარი მიეთრია".

სასახლეში მოთრევის შემდეგ ვარსქენმა უბრძანა შუშანიკის შეკვრა და უყვიროდა მას: "აჰა, ეგერა, არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი".

მაშინ სცემეს ჯოხით შუშანიკს სამასი დაკერა, ასე რომ დიდძალი სისხლი სდიოდა ტანიდან. მიუხედავად ამისა "არა რაჲ აღმოხდა პირსა მისსა (შუშანიკისა) ვაება, არცა კვნესაჲ". ვარსქენმა ამის შემდეგ ბრძანა დაედვთ შუშანიკის კისერზე ჯაჭვი და უბრძანა ერთ სენაკაპანს (როგორც ჩანს, სასახლეში სენაკის ანუ ოთახის მსახურს), რათა შუშანიკი წაეყვანათ ციხეში (უხტანესით, ეს იყო ოფრეთის ციხე) და იქ მოეთავსებინათ ბნელ საპყრობილეში მოსაკვდომად.

მიჰყავდათ შუშანიკი "უკამური (ფეხშიშველი) და თმაგარდატეკებული (თმაგაშლილი) ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი და ვერავინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მკედრ შეუდგა (ცხენით მიყვებოდა) უკანა კვალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა". უკან მიყვებოდა შუშანიკს ხალხიც ტირილით და გოდებით, რაც არ ეჭაშნიკა პიტიახშს და უბრძანა ცხენოსნებს მათი განდევნა.

ციხეში შუშანიკი მოათავსეს ერთ სახლკაში, მცირესა და ბნელში. ჯაჭვი მის კისერზე თვით "დაბეჭდა ურჩულომან ვარსქენ ბეჭდითა თვსითა". მცველებს ებრძანა, რომ არავინ შეეშვათ შუშანიკთან და შიმშილით მოეკლათ ის.

შიმშილით შუშანიკის მოკვლა მაინც არ მოხერხდა, რადგანაც ვარსქენის ძმა ჯოჯიკმა (რომელიც ამ ამბის დროს ცურტავში არ იყო) გამოითხოვა ძმისაგან შუშანიკის მდგომარეობის გაუმჯობესება. შუშანიკს მოხსნეს ჯაჭვი კისრიდან, ხოლო ფეხებიდან ბორკილის მოხსნაზე თვით შუშანიკმა უარი განაცხადა.

ასეთ მდგომარეობაში დაჰყო შუშანიკმა ციხეში ექვსი წელი. შუშანიკს დაემართა წუალმანკი, მისი ტანი დასივდა და დაჩირქდა, ბოლოს ის თავის პყრობილების მე-7 წელს მიიცვალა კიდეც.[13]

უხტანესი (§ 18) გადმოგვცემს ცურტავის შესახებ, რომელიც მის დროს გაჩიანად იწოდებოდა, რომ არ შეიძლება ამ ადგილს გვერდი ავუაროთო, რადგანაც ის იყო სამეფო ადგილსამყოფელი, წმ. შუშანიკის საფლავის ადგილი, სადაც ის იტანჯებოდა და სადაც არის მისი წმინდა ნეშთი: ამ წმინდა ადგილას ხშირად სალოცავად ჩასვლისას მე ვმთხვევივარ მისი (შუშანიკის) წმინდა ნეშთსო.

რომ შუშანიკი დამარხული იყო ცურტავში, ამას ადასტურებს ქართველი მემატიანეც (გვ. 216). შუშანიკის ცხოვრების დაწერის დროის

---

13 . შუშანიკის გარდაცვალების არსებული თარიღებიდან მთავარია ს. გორგაძის და კ. კეკელიძის. ს. გორგაძე ანგარიშობდა შუშანიკის სიკვდილს 472 წლის 17 ოქტომბრისათვის (შუშანიკის ნამება, ქუთ., 1917). კ. კეკელიძის აზრით (უკანასკნელად. ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 105) ეს თარიღი უნდა იყოს 475 წლის 17 ოქტომბერი. იაკობ ხუცესის სიტყვით შუშანიკი მიიცვალა ხუთშაბათს. ხოლო შუშანიკის პირველი ცემა-ტანჯვა მოხდა 8 აპანს ოთხშაბათს. 472 წელს 17 ოქტომბერი მოდიოდა სამშაბათს და არა ხუთშაბათს, ხოლო 475 წელს კი პარასკევს. მაშასადამე. არც ერთი ეს წელიწადი არ უდგება იაკობ ხუცესის ცნობას.

შუშანიკის პირველი ცემის დღე 8 აპანი 6-7 წლით ადრე მის სიკვდილამდის 446 წელს (სელევკიანთა ერას მიხედვით) მოდიოდა 25 ოქტომბერს ხუთშაბათს. ხოლო 465 წელს – 24 ოქტომბერს კვირას. 469 წელს კიდევ 8 აპანი მოდიოდა 23 ოქტომბერს სამშაბათს, ხოლო 468 წელს 24 ოქტომბერს ხუთშაბათს. არც ერთი ეს წელიწადი არ მოდის ოთხშაბათისათვის. ცხადია, არც ერთი ეს წელი არ უდგება იაკობ ხუცესის ცნობას. მაშასადამე ეს თარიღები არ შეეფარდება სინამდვილეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვარსქენის წასვლა აღმოსავლეთ კავკასიის დიდი მარზპანის (მეფის) მიარის კარზე მოხდა 439 წლის უკანასკნელი მეოთხედის მეორე ნახევარში. შუშანიკის პირველი ცემა მოხდა 440 წ. აპანს. რაც ამ დროს მოდიოდა 31 იანვარს. მეორე ცემა – ზატიკის (ე. ი. აღდგომის კვირის) ორშაბათს ანუ იმავე წლის 6 აპრილს. შუშანიკის შემდეგი ტანჯვა მოხდა 19 ვარდობისთვეს, ე. ი. 440 წლის 16 ივლისს. შუშანიკი კი გარდაიცვალა 446 წლის 17 ოქტომბერს. თარიღები გაანგარიშებულია სელევკიანთა ერას მიხედვით, რომელიც მაშინ საყოველთაოდ იყო მიღებული წინა-აზიის მეტ ნაწილში და ქართველებშიც (ამის შესახებ იხ. ს. კაკაბაძე. ვახტანგ გოგასალი, თბ., 1958, გვ. 25).

შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. უდავოდ ის დაწერილია მაშინ, როდესაც კათალიკოსობა მცხეთაში ჯერ კიდევ არ ყოფილა (მაშასადამე, უადრეს 476 წლისა), რადგანაც იქ მოხსენიებულია "სამოელ თავი სპისკოპოსთა" და არა კათალიკოსი..

ვარსქენ პიტიახშის შესახებ იაკობ ხუცესი გადმოგვცემს, რომ დაბადებით ის იყო ქრისტიანი და ქრისტიანი დედ-მამის შვილი — "პირველი იგიცა იყო ქრისტიანე ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთა". V ს-ნეში ცნობილი ორი პიტიახში არშუშას სახელწოდებით — ერთი 430-იან წლებში და მეორე 450-იან წლებში. პირველი არშუშა იყო რეფორმირებული ქართული მწიგნობრობის დიდი ქომაგი, რომელიც საგანგებოდ იწვევს ქვეყანაში ქრისტიანულ სამისიონერო მუშაობის გასაუმჯობესებლად მესროპს. ის არის, მაშასადამე, უდავოდ ქრისტიანი.

მეორე არშუშაც ქრისტიანი იყო, მაგარამ სპარსეთის მართებლობის მოთხოვნით ის სხვა სომეხ-ქართველ მთავრებთან ერთად გადადის ცეცხლთაყვანისმცემლობაში (450 წლის ახლოს). ამ ორ არშუშადან შუშანიკის ქმარი ვარსქენი გამოდის პირველის შვილი.

შუშანიკი იყო სომეხთა სპარაპეტის ვარდან მამეკონიანის შვილი, იმ ვარდანისა, რომელიც დაიღუპა სპარსელებთან ომში 451 წელს და რომელიც მანამდის 19 წელიწადი ხანგამოშვებით ებრძოდა და ეურჩებოდა სპარსელებს.

შუშანიკის ცხოვრების სომხურ ვერსიაში არის ასეთი ადგილი: მისი ტანჯვითი პყრობილების გამო ვარსქენი ატყობინებდა სპარსთა მეფეს, რომ შუშანიკი არის ასული ვარდანისი, რომელიც წინ აღუდგა სპარსთა მეფეთა მეფეს და ამისთვის ეტანჯავ მას სიკვდილამდე, ვინაიდან არ დაემორჩილა ის მეფის ღმერთების მსახურებას, როგორც მამა მისი, ქვეყნის ამაოხრებელი. კონტექსტიდან აშკარად ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ვარდენ მამეკონიანი, სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებაში მყოფი, ამ დროს ცოცხალია.

შუშანიკის ცხოვრების სომხური ტექსტი მოცემულია ავტორის ვინაობის გამოუმჟღავნებლად, მისდევს ქართულ ტექსტს, თუმცა შეიცავს ზოგ დამატებით გლოსას. ასეთია ცნობა სამძიმრისათვის მარზაპანის მოსვლის შესახებ ვარსქენ პიტიახშთან ამისი შვილის მდინარეში დაღუპვის გამო. ქართული ტექსტი იაკობ ხუცესისა კი მოცემულია საჭირო ადგილებში პირველი პირის თხრობით (ნაწარმოები იწყება ასე: "და აწ დამტკიცებულ გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და

სანატრელისა შუშანიკისი–") და დაწერილია ერთი პირის საყურადღებოდ, რომელიც თითქოს ქართლში არ ცხოვრობს ("მივწერე თქუენდა") . ეს პირი უნდა იყოს დიდი მდგომარეობის მქონე, რადგან მისდა საყურადღებოდ მთელი ნაწარმოებია დაწერილი. ასეთ პირად საგულისხმებელია თვით ვახტანგ გორგასალი, რომელიც 448 წლის ახლოს, როდესაც უნდა იყოს დაწერილი ნაწარმოები, უკვე ხანგრძლივად იმყოფებოდა სპარსეთს. რადგანაც ქართული ვერსია განკუთვნილი იყო გარკვეული პიროვნებისათვის, ამიტომ ის თავდაპირველი უნდა იყოს. სომხური ვერსია კი მეორადია.

64. ქართლის მარზპანი ვასაკ სივნელი; ქართლის პიტიახში არშუშა.

როგორც ლაზარე ფარპელის ცნობიდან ჩანს, 450-იან წლებში სომხეთის მარზპანად მყოფი სომეხი ცეცხლთაყვანისმცემელი ვასაკ სივნელი, წინათ ქართლის (ქართველების) მარზპანად ყოფილა. იმავე ავტორის მიხედვით ვასაკს,რომელიც კარიერისტული დაინტერესებით იყო გადასული ცეცხლთაყვანისმცემლობაში, ქართველებშიც არაკეთილი (ცუდი) სახელი ჰქონია დამსახურებული.

450-იან წლებში, როგორც ეს ლაზარე ფარპელის ცნობებიდან ჩანს, პირველ პირად ქართველ წარჩინებულთა შორის იყო ქართლის პიტიახში არშუშა. შესაძლებელია, ის ვასაკ სივნელის შემდეგ დაინიშნა ქართლის პიტიახშად მარზპანის უფლებით.

ქართლის პიტიახშს არშუშას ცოლად ჰყავდა წარჩინებული სომეხის არწრუნის ასული ანუშვრამ. ანუშვრამის დაი ძვიკი იყო ჰმაიაკ მამიკონიანის ცოლი. ეს ჰმაიაკი იყო სომხეთის სპარაპეტის ვარდან მამიკონიანის უმცროსი ძმა. ვარდანის ასული იყო ქართლის პიტიახშის ვარსქენის ცოლი შუშანიკი. ასე მჭიდროდ იყვნენ მაშინ დანათესავებულნი ერთმანეთთან ქართველ და სომეხ წარჩინებულთა ზოგიერთი გვარი.

უნდა ითქვას, რომ მამიკონიანთა გვარეულობას თავისი სამფლობელო ჰქონდა ტაოში, რომლის ძირითადი მოსახლეობა ქართველებისაგან შედგებოდა და ქართულად ლაპარაკობდა. ამიტომ თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მამიკონიანთ ეცოდინებოდათ ქართული ენაც.

65. სამხრეთ ქართლის სამეფო.

იოანე პრისკის მიხედვით, 369 წელს ქართლის სამეფოს, რომელიც ასპაკურით (ვარაზ-ბაკურით) სათავეში სპარსეთის ხელქვეთ გადავიდა, გამოეყო საურმაგით სათავეში სამხრეთი ქართული ქვეყნები ვიდრე მდ. მტკვრამდის — ისინი მოჰყვნენ რომის იმპერიის ხელქვეთ. ქართული მატიანე აზუსტებს პრისკის ცნობას, როდესაც ამბობს, რომ "განდგეს კლარჯნი ავაზ-ბაქარისგან და მიერთნეს ბერძენთა; დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი, კლარჯეთი,ზღვითვან არსიანთამდე: დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი, თვინიერ კლარჯეთისა და ჰერეთი და ეგრისი". ამგვარად, მთელი მხარე დაწყებული სამცხის სამხრეთ საზღვრიდან (არსიანიდან) და მდ. მტკვრიდან (ჯავახეთის საზღვარი) ვიდრე ტაოსა და თორთუმ-სპერის თანჩათვლით ახლა შეადგენდა ბერძნების (რომეების) ხელქვეთ ქვეყანას. პრისკი საურმაგს იხსენიებს ასპაკურის ნათესავად, მაგრამ ეს ნათესაობა საკმაოდ შორეული უნდა ყოფილიყო, რადგან მალე ამის შემდეგ საურმაგის სახლსა და ვარაზ-ბაკურის ოჯახს შორის ქორწინებრივ კავშირს ეხედავთ და ისიც არაერთხელ.

საურმაგის შემდგომი მეფე-მმართველი ამ მხარეში (რომეების ხელქვეთ) საგულისხმებელია, ბოსმარიას (პეტრე ქართლელის მოწვენილ ასურული ვერსიის მიხედვით), რაც უნდა იყოს სპარსული სახელი ბუზმირ, (380-406 წწ. ახლოს). ამ ბუზმირ I-ის შემდეგ მეფედ იყო მისივე შვილი ბუზმირ II (405-430 წლ. ახლოს), რომელიც იყო პეტრე ქართლელის მამა.

პეტრე ქართლელის დედა იყო ბაკურდუხტი (სიტყვა-სიტყვით ბაკურის ასული), სპარსული სახელია (პეტრეს ბებია, ბუზმირ I-ის მეუღლე, იყო ოსდუხტი (სპარსული სახ.). პეტრეს დედის დედა იყო დუხტი (სპარსული სახელია). ამისი ქმარი იყო (პეტრეს პაპა) "დიდი ბაკური, დუხტის ქმარი, რომელიც, წერს პეტრეს აგიოგრაფი, პირველი იმ ქვეყნის მმართველთაგან ქრისტიანი მეფე იყო და რომელსაც მთელი ის ხალხი (ქართველები) ღვთის მორიდების გზაზე მიჰყავდა". ეს ბაკური არის ბოლნისის სიონის აღმშენებელი, პირველ ქრისტიან მეფედ ის იწოდება იმიტომ, რომ მისი მამა ვარაზ-ბაკურ მეფე ქრისტიანობისაგან გადამდგარი იყო.

ამ ბაკურის მამა იყო "წმიდა" არჩილი (ასე უწოდებს მას პეტრეს აგიოგრაფი).

ბუზმირ II-ეს პეტრეს გარდა, რომელიც კონსტანტინოპოლს მძევლად წაიყვანეს, სხვა ვაჟი არ ჰყოლია. ამიტომ მისი მმართველობა

საგულისხმებელია 430 წლის ახლო ხანამდის. ვინ განაგებდა მის შემდეგ სამხრეთ ქართულ სახელმწიფოს, რომელიც რომეებისაგან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, არ ჩანს. 470 წლის ახლოს კი აღმ. რომის იმპერიამ უარი თქვა ამ სამეფო-სამთავროზე და უფლება მასზე გადასცა ვახტანგ გორგასალს.

66. ჰუნები.

IV საუკუნეში კასპიისა და შავი ზღვების ჩრდილოეთ მისადგომებზე გაჩნდა ახალი დიდი ძალა ჰუნების სახით. ჰუნები იყვნენ თავის თანამემამულეთაგან ციმბირიდან და შუა აზიიდან დაძრული მომთაბარე ხალხი, რომლებმაც 370 წლის ახლო ხანებში დაამარცხა და გაბნია მანამდის ცხენებულ ქვეყნებში გაბატონებული აგრეთვე მომთაბარე ხალხი ალანები და შექმნა ახალი, უზარმაზარი ტომობრივი კავშირი. ჰუნების ზოგიერთი ტომი უკვე ერთ ადგილს დამკვიდრებული იყო. კულტურის მხრივ, კერძოდ წამყვანი ჰუნები არათუ უსწორდებოდნენ ცენტრალური ევროპის ბარბაროსულ გერმანულ ტომებს, არამედ ზოგი მკვლევარის აზრით, სჯობნიდნენ კიდეც მათ.[14]

წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა ჰუნებს შორის ე.წ. ეფტალიტებს ანუ თეთრ ჰუნებს (თეთრ ჰუნებს იხსენიებენ პროკოპი კესარიელი, თეოფანე ბიზანტიელი და სხვანი). ეს თეთრი ჰუნები ჩრდილოეთ კავკასიაში ბატონობდნენ 400 წლის ახლო ხანაშიც. როდესაც ქართლის მეფეს ფარსმანს (პეტრე ქართლელის ასურული ცხოვრების ავტორის) დამოწმებით გამოჰყავდა ისინი თავის ქვეყანაში და აქედან აწყობდა მათ თარეშებს რომის იმპერიის კუთვნილი ქვეყნებისკენ. განსაკუთრებით გაძლიერდა ჰუნების მეთაურობით არსებული ტომობრივი კავშირი ატილლას მეთაურობით. მაშინ ჰუნებმა დასავლეთ ევროპაში მიაღწიეს მდ.რაინამდის და გადალახეს კიდეც ის. ატილლას სიკვდილის (454 წ.) შემდეგ ეს კავშირი იწყებს შესუსტებას.

ეფტალიტების სახელი შერჩა შუა აზიის ჰუნების კავშირს. კასპიის ზღვის დასავლეთით გადაშლილი ჰუნების მეორე კავშირი კი კიდარიტების სახელს ატარებდა. ტაბარი (II,23) ამბობს, რომ ეფტალიტები (ჰაიტალ-ის) სახელი ბუხარულ კილოზე აიხსნება როგორც ძლიერი კაცი, ძალა. კიდარიტების სახელი მოდის მათი მმართველის V საუკუნის შუაში ვიდარის სახელისაგან.

---

14 . А.Н. Бернштам. Очерк истории гуннов. Л, 1951.

იაკობ ხუცესი იხსენიებს, რომ ვარსქენ ქართლის პიტიახში მიდიოდა ჰონთ (ჰუნთა) წინააღმდეგ საბრძოლველად. ის უცხადებს იაკობ ხუცესს, "რომ ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა"-ო (თ.VII). ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ ის მოვიდა "ბრძოლისა მისგან ჰონთაისა" (თ.VIII). ვარსქენი, როგორც კონტექსტიდან ჩანს, ჰონებთან საბრძოლველად შორს მიდიოდა და ცხადია, სპარსეთის მთავრობის განკარგულებით. იაკობ ხუცესივე იხსენიებს მნიშვნელოვან ადგილს ჩორს, სადაც მუდმივად დიდი შეყრილობა ყოფილა. ეს ჩორი უნდა იყოს სომხურ წყაროებში მოხსენიებული ჭორი, იგივე დარუბანდის კარი. ჰუნები ამ დროს და წინათაც აწვებოდნენ ა/კავკასიას დარუბანდის კარის მიმართულებით.

ეფტალიტების მეორე სახელია კუშანი ქუშანი (ტაბარი ქუშანებს თურქებად იხსენიებს). მოღწეულია ქუშანთა მეფეების ვერცხლის და ოქროს ფულები III-IV საუკუნეებში. ფულებს აქვს ფაჰლაური წარწერა ქუშანთა სახელმწიფოთა მეფეების მოხსენიებით. III საუკუნეში ქუშანები სპარსეთის ვასალებად ითვლებოდნენ, მაგრამ IV საუკუნის დასაწყისიდან ისინი უკვე დამოუკიდებლობას აღწევენ[15] და ამ დროიდან მოჭრილ ფულზე მათი მეფეები დიდ მეფეთა-მეფედ (შაჰან-შაჰად) იწოდებიან.

560 წლის ახლოს ჰუნების ტომობრივი კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასა და მის მიმდგომ ქვეყნებში შეცვალა თორქების (თურქების) მეთაურობით შექმნილმა ახალმა კავშირმა (თორქებმა აიძულეს, სხვათა შორის, ჰეფთანიკნი გადასულიყვნენ დასავლეთისკენ შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთით მდებარე ველებზე), ხოლო თორქები სულ მალე შესცვალეს ხაზარებმა, რომელთა მეთაურობით VII საუკუნეში და შემდგომ არსებობდა ვრცელი ხაყანატი (საყანო ანუ სახელმწიფო).

ალანების, ხაზარების, ჰუნების და შემდეგ თურქების შესახებ უნდა ითქვას, რომ ეს ტერმინები იყო დაკავშირებული გარკვეულ ტომ-ხალხებთან, მაგრამ როდესაც ისინი ღებულობდნენ მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას, მაშინ წარმოადგენდნენ უკვე პოლიტიკურ ტერმინებს, რომლებიც აერთებდნენ არა მარტო ე.წ. თურქულ ტომ-ხალხებს, არამედ ზოგ სხვებსაც. მაგ., რუსული მატიანეები ფინური ჯგუფის ენაზე მოლაპარაკე მადიარებს იცნობენ შავი უგრების სახელით, ხოლო ხაზარებს თეთრ უგრებად იხსენიებდნენ. ბიზანტიელი ისტორიკოსები IX საუკუნის მეორე მესამედიდან მადიარებს თურქების

15 . I.Marquart, Eransahr, ss.47-50 და სხვ.

სახელით იცნობდნენ. იმარკვარტის[16] აზრით ეს აიხსნება იმით, რომ უნგრების დინასტია თურქული უნდა ყოფილიყო. სახელი თურქი ბიზანტიელ ისტორიკოსებთან ჩნდება VI საუკუნიდან. თავდაპირველად ეს იყო წმინდა ეთნიური სახელი (ჩინური წყაროების Tu-kine, Türk მონღოლეთში აღმოჩენილი წარწერების მიხედვით) ამ ეთნიურ სახელს შეეფერებოდა შუა აზიაში ე.წ. ძველ-თურქული სახელმწიფო (ორხონიდან ვიდრე მდინარე იაქსარტამდის), რომელიც აერთებდა ოღუზურ ტომებს აშიჰნის დინასტიის ხელქვეთ. მაგრამ შემდეგ სახელი თურქი გავრცელდა არა მარტო თურქების მონათესავე ხალხებზე, როგორიც იყვნენ ღუზ, ტვრგეშ, ჩიყილ, ყარლუყ, ტოღუზ-ოღუზ, ყირღიზ, ხალაჩ და სხვებზე, არამედ სხვა მომთაბარე ხალხებზეც, რომელნიც ენობრივად თურქების მონათესავენი იყვნენ (ვოლგა-ბულღარები, ბაშკირები, ყიფჩაღები, პეჩენეგები, რომლებსაც ქართველები პაჭანიგებს ეძახდნენ) და აგრეთვე სრულებით სხვა მოდგმის ხალხებზედაც (ბურტას, ყიტაი, ტიბეტ).

67. ეგრისის (ლაზიკის) მდგომარეობა ვიდრე V საუკუნის პირველ ნახევრამდის.

როგორც ცნობილია, როდესაც რომაელებმა 64 წელს ჩვ. ერამდის დაიპყრეს კოლხიდა-ეგრისი, მათ დააყენეს იქ მმართველად, მეფის ტიტულით, არისტარხი, რომლის მიერ ბერძნული წარწერით მოჭრილი ფული ჩვენამდეა მოღწეული. თუ რა ქვეყნები შედიოდა რომაელების მიერ შექმნილ ამ ახალ ერთეულში, ეს ჩანს სტრაბონის შემდეგი ცნობიდან. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ კოლხიდის უკანასკნელ მეფედ (იგულისხმება მის დროს) იყო პოლემონი, რომლის სიკვდილის შემდეგ მისი ცოლი პითადორიდა იყო კოლხების, ტრაპიზონის, ფარნაკიის და მათ ზემოთ მცხოვრები ბარბაროსების დედოფლად. კოლხებად სტრაბონი ყველგან გულისხმობს პირველ რიგში საკუთრივ ეგრისის და მარგვისის მოსახლეობას. პალემონს და შემდეგ პითადორას ამიტომ ემორჩილებოდნენ ეგრის-მარგვისის კოლხები და გარდა ამისა მოსხპონტოს ტომებიც ტრაპიზონის და ფარნაკიის ჩათვლით. რომაელების მიერ ჩამოყალიბებულ კოლხეთში ამგვარად შედიოდა შავი ზღვის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი, მეგრული მხარეები სვან-აფხაზების ქვეყნებთან ერთად. ეს მტკიცდება ტაციტის მიერ მოთხრობილი ცნო-

16 . Osteuropaische und ostasianische Streifzuge, Lpzg, 1903, ss.39-47

ბით ანიკეტის მეთაურობით რომაელების წინააღმდეგ 695 წლის ახლოს მოწყობილი აჯანყების შესახებ. აჯანყება დაიწყო ტრაპიზუნში და გადავიდა შიდა ეგრისში, მდ. ხობის აუზში. მთელი ეს ტერიტორია შეადგენდა ერთ სამმართველო ერთეულს, რომელიც ასე თუ ისე ერთნაირ ინტერესებით ცხოვრობდა.

რა ეწოდებოდა ამ სახელმწიფოს ან, უკეთ, რომის ხელქვეით მყოფ სამმართველო ერთეულს? ჩვეულებრივ მას უწოდებდნენ ტრადიციულ ძველ სახელს კოლხიდას. მაგრამ ბერძენი ავტორი მემნონი (I საუკუნის ბოლოს და II საუკუნის დასაწყისში) მითრიდატ დიდის დროის ამბების გადმოცემისას უკვე იხსენიებს "შინაგან პონტს, სანიგებით და ლაზებით (ლაძებით) დასახლებულს". სანიგების ქვეყანაში, როგორც არიანეს პერიპლში სათანადო ადგილას სხვა წყაროდან ჩართული ცნობიდან ჩანს, გარკვეულ პერიოდში იგულისხმებოდა სებასტოპოლისი, ეი. ცხუმი. სანიგების ქვეყანა ცხუმით ალექსანდრე მაკედონელის დროიდან ემორჩილებოდა ბერძნებს და შემდეგ რომს. ეს ჩანს ქართული წყაროებიდანაც. მემნონის ცნობიდან რჩება, მაშასადამე, სახელი ლაზი, რომელიც მას ამკარად ხმარებული აქვს კრებითი მნიშვნელობით. მის ცნობაში, მაშასადამე. ლაზების სახელით იგულისხმება მთელი მხარე, დაწყებული ფარნაკია-ტრაპიზონიდან ვიდრე მდ. ეგრის-წყალამდის, საიდანაც უკვე იწყებოდა ბერძნების (რომაელების) ხელში მყოფი ქვეყანა. ამგვარად, I საუკუნეში ტერმინი ლაზი უკვე დადასტურებულია მთელი გაფართოებული კოლხეთის აღსანიშნავად.

ტერმინი ლაზი არაა არც ეთნიური და არც გეოგრაფიული წარმოშობის, ის დინასტიური წარმოშობის უნდა იყოს. უსახელო სომხური გეოგრაფი, რომელიც იბერიის და კოლხეთის აღწერილობაში პაპ ალექსანდრიელს (IV საუკუნის მეორე ნახევარი) უნდა იმეორებდეს, გადმოგვცემს, რომ კოლხიდა ანუ ეგერი (ეგრისი) იყოფა ოთხ ნაწილად (ოლქად). ეს ოლქებია: მარგვისი, საკუთრივ ეგრისი, ლაზივ (ვრცელ რედაქციაში ეს შეცდომით არაა მოხსენიებული, მაგრამ არის მოკლე რედაქციაში), ეი. ლაზეთი ანუ ლაზიკა და ჭანიკ ანუ იგივე ჭანეთი, "რომელიც არის ქალდეა"-ო. ეგრისის ბოლოში არის მდინარე ფაზისიო (კაპტკანოვის გამოცემა, გვ.16).

ამის მიხედვით საკუთრივ ეგრისი (ეგრისწყალიდან) აღწევდა მდ. ფაზისამდის, რომლის სამხრეთით მოდიოდა უკვე ლაზეთი, ვიდრე ქალდეამდის, ეი.დაახლოებით რიზეს მიდგმამდის. ამის შემდეგ კი ტრაპიზონ-ფარნაკიას მხარის ჩათვლით საგულისხმებელი იყო ჭანეთი.

ამგვარად, IV საუკუნის ამ ცნობის მიხედვით, რომელიც უფრო ძველი დროის ფაქტებს ეურდნობა, ლაზეთი ეწოდებოდა ქვეყანას მდ. რიონის სამხრეთით ვიდრე დაახლოებით რიზეს მიდგმამდის.

ამ მოცულობით უნდა ყოფილიყო თავდაპირველად ლაზეთი, ანუ ლაზის სამფლობელო.

რომაელების მიერ მთელს კოლხიდაში ეგრისის წყალიდან ვიდრე ფარნაკიის ჩათვლით მმართველად და მეფედ დანიშნული არისტარხი უნდა ყოფილიყო ლაზის გვარეულობისა და იმ ლაზიის მემკვიდრეობითი მმართველი, რომელიც ლაზიის სახელით აღნიშნულია სომხურ უსახელო გეოგრაფიაში, ეი. მხარისა მდ. რიონიდან ვიდრე რიზეს მიდგმამდის ეს იყო საკუთრივ ლაზია. მაგრამ შემდეგ ეს სახელი გავრცელდა არისტარხის და მის მემკვიდრეთა მთელს სახელმწიფო-სამმართველო ტერიტორიაზე, დაწყებული მდ. ეგრის-წყალიდან ვიდრე ფარნაკიის მხარემდის ჩათვლით.

არრიანეს პერიპლით (134 წ.) ტრაპიზონის მხარეში ცხოვრობდნენ ჭანები (ბერძნულად სანნ-ები), რომელნიც ძლიერ მტრულ განწყობილებაში იყვნენ გაბერძნებულ ქალაქ ტრაპიზონისადმი. ჭანები წინათ ხარკს აძლევდნენ რომაელებს, მაგრამ ახლა არ აძლევენ და მათ ახლა მეფეები ჰყავთო.

ჭანების აღმოსავლეთით შავი ზღვისპირა ქალაქში იყვნენ მახელონები და ჰენიოხები, რომელთაც მეფედ ჰყავდათ ანხიალი. მათი მემეზღვნავე (აღმოსავლეთით) იყვნენ ზჯდრეიტები, რომელნიც ფარსმანს (იგულისხმება თავიანთი მთავარი) ემორჩილებიანო.

რხელები მახელონი, ჰენიოხი და ზჯდრეიტი მეტწილად ადგილობრივი დინასტიური წარმოშობის უნდა იყვნენ. ზიდრეიტებს პერიპლის სიტყვით მიყვებოდნენ ლაზები, რომელთა მეფეს მალასს მეფობა რომის იმპერატორის მიერ ჰქონდა მიცემული. ამათ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო მხარეში მიჰყვებოდნენ აფსილები, შემდეგ აბასკები და კიდევ შემდეგ სანიგები, რომელთა ქვეყანაში არის სებასტოპოლიო. მაგრამ აქ პერიპლის ტექსტში ცნობა სანიგების შესახებ სხვა წყაროდანაა ჩამატებული. უნდა ყოფილიყო: აფსილები, რომელთა ქვეყანაში იყო სებასტოპოლი და შემდეგ აბასკები. ორივე ამათ მხარეს, კიდევ უფრო ადრე ეწოდებოდა სანიგების ქვეყანა ქალაქ სებასტოპოლით.

გამოდის, რომ არიანეს დროს ლაზიის საზღვრები შეზღუდულია — ლაზიის სამხრეთ დასავლეთი ნაწილი ადგილობრივი მთავრების ხელ-

შია, რომლებიც ლაზების მეფეს უფრო სახელით თუ ემორჩილებოდნენ, მაგრამ მდგომარეობა მალე თითქოს კვლავ გაერთიანებისკენ წარიმართა. იული კაპიტოლინი (IV საუკუნის დასაწყისისთვის) გადმოგვცემს, რომ (იბერიის მეფე) ფარსმანი იმპერატორ ანტონინის (138-161 წწ) დროს ჩავიდა რომში და მიართვა მას მეტი საჩუქრები, ვიდრე იმპერატორ ადრიანესო (117-138 წწ). აქედან ჩანს, რომ მეფე ფარსმანი მორჩილების აღსანიშნავად რომში ჩასულა ანტონინის მეფობის პირველ წლებში 139-140 წ. ახლოს. იქვე იული კაპიტოლინი აღნიშნავს, რომ ანტონინმა ლაზებს მეფედ პაკორ (ბაკური) მისცაო. ეს ბაკური თითქოს მთელი ლაზიის მეფედ ჩანს.

ასეთი იყო მდგომარეობა ლაზიაში ვიდრე V საუკუნის პირველ მესამედამდის, როდესაც აღმოსავლეთ რომის იმპერია გადავიდა ეგრისსა და საერთოდ საქართველოს მიმართ აგრესიულ პოლიტიკაზე.

ამგვარად, ტერმინი ლაზი, ლაზია ფეხმოკიდებული იყო მთელს ეგრისსა და ეგრისის სამხრეთ-დასავლეთით ტრაპიზონ-ფარნაკიის მხარეთა ჩათვლით. ეს გრძელდებოდა ხუთიოდე საუკუნე, რაც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ტერმინი ლაზი გადაქცეულიყო ეთნონიმადაც მთელ აღნიშნულ სივრცეზე.

ეგრისს (ლაზიკას) ჰქონდა თავისი შინაგანი მმართველობა, მაგრამ მნიშვნელოვან სანაპირო პუნქტებში ჩაყენებული იყო რომაელების (რომეების) ჯარი. ამ ჯარის განლაგება ჩანს ნაწარმოებიდან ლათინურ ენაზე "ნუსხა ყველა, როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო, პატივთა და ადმინისტრაციულ თანამდებობათა აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში", რომელიც გამოცემულ იქნა ბეკინგ-ის მიერ 1839 წ. ბეკინგი ამ ნაწარმოებს ათარიღებდა 399-404 წლების ახლო დროით, მაგრამ უფრო მიღებულია ზეეკ-ის (1872 წ.) თარიღი ამ ნაწარმოების 413-415 წლის ახლო დროისთვის მიკუთვნებით.

ხსენებულ ნუსხაში მოცემულია რომაელების (რომეების) ჯარის განლაგების სქემა ე.წ. პოლემონის პონტში, რომლის სარდლობას, სამხედრო თვალსაზრისით, ემორჩილებოდნენ ეგრისში (ლაზიკეში) მყოფი რომაული გარნიზონები. არსებითად პოლემონის პონტს შეადგენდნენ ქართული ქვეყნები, მაგრამ განსხვავება იყო ის, რომ სამხრეთ დასავლეთ (ჭანეთ ტრაპიზონის მხარეს) ქართველი (მეგრელი) ტომები უშუალოდ რომაულ მმართველობას ემორჩილებოდნენ, ჭოროხის შესართავიდან კი იწყებოდა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოსამთავრო თავისი შინაგანი საკუთარი მმართველობით. პოლემონის პონ-

ტის რომაული ჯარები თავის მხრივ ემორჩილებოდნენ არმენიის დუქსს (ხელმძღვანელ მთავარს).

ამ "ნუსხის" თანახმად ტრაპიზონში იდგა პონტის პირველი ლეგიონის პრეფექტი. შემდეგ ექვს ადგილას იდგა ცხენოსანი რაზმი (ala), რომელიც ჩვეულებრივი განრიგით თითო 600 კაცისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. ექვს ადგილას კიდევ იდგა თითო კოპორტი (ჩვეულებრივად ექვსი ქვეითი ცენტურისაგან ანუ ექვსი ასეულისგან შემდგარი). ცხენოსანი რაზმების დასადგომი პუნქტები იყო შემდეგი: 1. რიზა; 2. კიდევ მეორე რიზა, რომლის რაობა სახელების გაურკვევლობისა და სხვათა ცნობების უქონლობის გამო განუმარტებელი რჩება; 3. ავაქსა, გაურკვეველი ადგილი; 4. ტყიანი ადგილი უნდა იყოს სატყეპელა, რომელიც იხსენიება გურიაში XVII-XVIII საუკუნეებში მდ. ნატანების შესართავთან; 5. ხაზძან-ენა, გაურკვეველია; 6. პითია, რომელიც უნდა იყოს იგივე პიტიუს (ბერძნულად) და ქართველების ბიჭვინთა.

ქვეითი კოპორტები მოთავსებული იყვნენ: 1. ვალენტია (ვალენცია), რომლის მდებარეობა გაურკვეველია; 2. უზიპორტო, როგორც ეს ნადონცსაც ჰქონდა აღნიშნული, უნდა იყოს არიანეს მიერ მოხსენიებული ჰუს-ის ნავსადგური ახლანდელი სუჯუნის ადგილას (ტრაპიზონის აღმოსავლეთით); 3. კაენე პარემბოლე — ახალი ბანაკი, უდრის პტოლემეის ნეაპოლისს (ახალ ქალაქს), არის ახლანდელი ოხარკალიუ — ახალ კალა, ეი. ახალ ქალაქი, სპარსულ კალა-დან არის წარმომდგარი სიტყვა ქალაქი (ოხარკალუ არის ხუთიოდე კილომეტრზე მდ. ენგურის სამხრეთით); 4. სებასტოპოლი, რომელიც არის ძველი ცხუმი; 5. ძიგანნე, პტოლემეის რუკაზე აღნიშნულია ნეაპოლისის ჩრდილოეთით და უნდა იყოს ახლანდელი ძიგანი მდ. ღალიძგას დასავლეთით ახლოს მორკულასთან; V საუკუნეში აქ იყო ეპისკოპოსის კათედრა; 6. მოხორა — ეს უნდა იყოს VI საუკუნეში პროკოფი კესარიელის მიერ მოხსენიებული მუხეირეზ-ის როგორც ბერძნები იხსენიებდნენ ქუთაისის დაბლობის მხარეს რიონსა და ცხენისწყალს შუა.[17]

---

17 . ამ სახელებს, რომლების გარჩევაც კი მისთვის შესაძლებელი იყო ნ. ადონცი (Армения в эпоху юстиниана, стр. 96-100) მეტწილად ეძიებდა სომხეთში, ს. ყაუხჩიშვილი კი (Georgica, IV 2, თბ., 1952, გვ. 191-193) – დასავლეთ საქართველოში

ხსენებულ ნუსხაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ შიგნით ხმელეთზე რომეების ჯარი მოთავსებული იყო მხოლოდ ქუთაისის მხარეში. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ეგრისის (ლაზიკის) მეფის (ერისთავის) მთავარი რეზიდენცია ამ ხანაში ქუთაისში იყო.

კეისარ იუსტინიანეს ნოველა XXXI 535 წ. ჩამოთვლის პოლემონის პონტის ხუთ ქალაქს (ნეოკესარიას, კომანას, ტრაპიზუნტს, კერასუნტს და პოლემონიონს), რომელთაგან სამი (ტრაპეზუნტი, კერასუნტი და პოლემონიონი) ქართველი ტომების მიწაწყალზე მდებარეობდნენ. ნოველლა იხსენიებს პიტიუსს (ბიჭვინტას) და სებასტოპოლს (ცხუმს), მაგრამ უმატებს, რომ ისინი უფრო ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდნენ, ვიდრე ქალაქებსო. შემდეგ ლაზიკებში (შიდა ეგრისში) ნოველლა ასახელებს არქეოპოლისს (ციხე-გოჯს) და როდოპოლისს (ბერძნული თარგმანია ვარციხის სახელის) და განმარტავს, რომ ისინი არიან უდიდესი და ძველი სიმაგრეებიო. იქვე კიდევ დასახელებულია იუსტინიანეს დროსვე სპარსელებისაგან ჩამორთმეული სიმაგრეები სკანდი (სკანდა), სარაპანი (შორაპანი), მური (შეიძლება იგულისხმებოდეს მურის ციხე ლეჩხუმში) და ლუსირი, რომლის რაობის გარკვევა არ ხერხდება. შეიძლება იყოს ის სვერის ციხე საჩხერის მიმართულებით (ნაკარძეთთან).

ციხე-გოჯის (არქეოპოლის) შესახებ ქვემოთ იქნება ლაპარაკი. როგორც ქუჯის დროს 300 წლის ახლოს დაარსებული, ის VI საუკუნეში შეიძლება მართლაც ძველ ციხედ ყოფილიყო მიჩნეული.

ვარდციხეც V საუკუნისთვის ძველ ციხედ ითვლებოდა. ყოველ შემთხვევაში ის არსებობდა V საუკუნეშიც. პროკოფი კესარიელი (BP, VIII, 43) უწოდებს მას ქალაქს. ვარდციხე მდებარეობდა დაბლობში (მდ.ყვირილის შესართავთან, მდ. რიონ-ყვირილას ნაპირას) იბერიიდან კოლხიდაში მიმავალ გზაზე. ციხე ადვილი მისადგომი იყო და ამიტომაც რომეებსა და სპარსელებს შორის ეგრისის მეფის გუბაზის დროს 540-იან წლების ბოლოში ატეხილი ომის გამო ლაზებმა (მეგრელებმა) სპარსელების შემოსევის მოლოდინში ციხე დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს. V საუკუნეში ვარდციხე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო და იქ იჯდა შიდა-ეგრისის ერთი ოთხ ეპისკოპოსთაგანი.

ძველი ციხეები იყო აგრეთვე სკანდა და შორაპანიც (შორაპნის ციხე პირველად აგებულ იქნა ფარნავაზ I-ის დროს 300-290 წწ. ახლჩვ.ერამდის).

მნიშვნელოვან პუნქტს ამ ხანაში ეგრისში წარმოადგენდა ქუთაითისი (ქუთაისი). ამ სახელით ცნობილი იყო დასახლებული პუნქტი რიონის მარჯვენა (დასავლეთ) ნაპირას დაბლობზე, სადაც "ძველი დროიდანვე", გადმოგვცემს პროკოფი კესარიელი (BP, VIII, 14), გაშენებული იყო ციხე, როგორც ჩანს, ქვიტკირის. შემდეგ ხანებში ეს ციხე დაინგრა (თითქოს თვით კოლხებს დაენგრიათ). სპარსელების სარდალმა მერმეროემ 550 წელს ეს ციხე ხის ნაწილებით აღადგინა იმ ადგილებში, სადაც ის დაზიანებული იყო. ამ ციხეში და მის ახლომახლო იმყოფებოდა მერმეროეს ჯარი საზამთროდ 550-551 წ. მან აავო იქვე ხის სიმაგრე და ჩააყენა შიგ სამი ათასი კაცი. ამ ცნობის მიხედვით ქუთაისი V საუკუნეში უნდა ყოფილიყო თვალსაჩინო მნიშვნელობის პუნქტი რიონის დასავლეთ ნაპირას.

ქუთაისის ახლოს, პროკოფი კესარიელის მოწმობით იყო ციხე უხეიმერი, რომელიც ჰკეტავდა ქვემოდან სკკმნია (ლე-ჩხუმ) და სვანიის (სვანეთის) მიმართულებით მიმავალ გზას. უხეიმერი არის ოდნავ გადამახინჯებული ოხვამერი, რომლის ნაშთს შეადგენს ქუთაისის ჩრდილოეთით 18 კილომეტრზე სოფლის სახელი ნამოხვანი მდ. რიონზე (დასავლეთ ნაპირას). ნამოხვანი არის დამახინჯებული ნაოხვამი, ეი. ყოფილი ოხვამე (მეგრულად სალოცავი).

68. რომეების მიერ დასავლეთ ლაზიკის და შიდა-ეგრისის დამორჩილება.

როგორც ეტყობა, 430-იან წლებში, როდესაც სპარსეთის მიერ მეფობა გაუქმებულ იქნა სომხეთში და გაუქმებაზე იყო ქართლშიც, აღმ. რომის იმპერია გადავიდა შეტევით პოლიტიკაზე ლაზია-ეგრისის წინააღმდეგ. შიდა-ეგრისის მიმართ ეს აღნიშნული აქვს ჯუანშერს, რადგანაც ვახტანგ გორგასალმა შემდეგ შეძლო მისი უკან დაბრუნება. მაგრამ რაც შეეხება ლაზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს მდ. ჭოროხის შესართავიდან ვიდრე ფარნაკიის მხარემდის ჩათვლით, ამის უკან დაბრუნება ქართველებმა ამის შემდეგ უკვე ვეღარ შესძლეს და ის საბოლოოდ შემდგომი საუკუნეებისათვის დარჩა ბერძნებს (აღმ. რომის და შემდეგ ბიზანტიის იმპერიას). ამიტომაც ეს ფაქტი,რატომღაც გამორჩა მხედველობიდან ჯუანშერს და ის მას სრულებით აღნიშნული არა აქვს. უნდა ითქვას, რომ ჯუანშერს მიზნად ჰქონდა დასახული ვახტანგ გორგასალის შესახებ გმირული და პანეგირიკული მოთხრობის

დაწერა და საამისოდ სამხრეთ დასავლეთი ლაზიის ბედი მას არავითარ მასალას არ აძლევდა.

როგორც ჩანს, ლაზიის ამ ნაწილში რომეებმა დაამყარეს თავისი უშუალო მმართველობა და დაარქვეს ამ მხარეს, როგორც ეტყობა, პოლემონის პონტი. მაგრამ ხალხმა შეინარჩუნა თავისი წინანდელი ქართული ლაზი და ამით აიხსნება, რომ ის ცოცხალი იყო X საუკუნეში (იხსენიება ამ საუკუნის დასაწყისში შედგენილ საეპისკოპოსო ნოტაციაში), სახელდობრ, კონსტანტინეპოლის პატრიარქის ხელქვეით მიტროპოლიტთა შორის იხსენიება ლაზიკის ტრაპიზუნტის მიტროპოლიტი თავისი 15 ეპისკოპოსით[18] ცოცხალი იყო ეს სახელი XIII-XV საუკუნეებშიც ე.წ. ტრაპიზონის სამეფოს არსებობის დროს და ცოცხალია ახლაც მეგრელი მოსახლეობისათვის — სახელი ლაზი, როგორც ცნობილია, ახლაც იხმარება ამ მხარეში და საერთოდ ახლანდელ თურქეთშიც.[19]

რაც შეეხება შიდა-ეგრისს, მისი დამორჩილება ბერძნების მიერ მოხდა შემდეგნაირად:

---

18 . Georgica, IV 2, გვ.165

19 . ნ. ლომოური თავის წერილში "ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის" (მაცნე. V, 1964, გვ.70-86) ცდილობს დამტკიცოს, რომ "ეგი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროსთვის ლაზეთის, ხოლო იბერიული მოსახლეობისათვის ლაზების სახელის დამკვიდრება IX საუკუნის შემდგომი ხანის მოვლენაა და დაკავშირებულია ტრაპიზუნტის მხარისათვის ამ სახელწოდების მიზანტიის ეკლესიის მიერ ხელოვნურ მიკუთვნებასთან— ტრაპეზუნტი გამოეყო ეკლესიურად პოლემონის პონტს, მისმა მღვდელმთავარმა ფაზისის მიტროპოლიტის ადგილი დაიკავა და ამიერიდან მას ეწოდებოდა ლაზიკის მიტროპოლიტი".(გვ.86.84). მაგრამ ეს არაა სწორი. IX საუკუნიდან უკვე არსებობს აუტოკეფალური საკათალიკოსო აფხაზეთისა, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი დს. საქართველო ვიდრე მდ. ჭოროხის მიდგამამდის. აფხაზეთის კათალიკოსი უშუალოდ რომელიმე პატრიარქს არ ემორჩილებოდა და არც კონსტანტინეპოლისას. Xა ნოტაციაში (X საუკუნის დასაწყისში) მოხსენებულია კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელქვეითი ტრაპიზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკისა", რომელსაც ემორჩილება 15 ეპისკოპოსი, მათ შორის ფასიანის , ეი. ამ შემთხვევაში ბასიანისა. მაგრამ აქ ტრაპიზონი აღნიშნულია, როგორც ლაზიკეში მდებარე უბრალო მიზეზის გამო. ხსენებულ ნოტაციაში (ჩეორგიცა, IV 2) საერთოდ აღინიშნება ამა თუ იმ სამიტროპოლიტოს სამხარეო მდებარეობაც. ხსენებული ცნობიდან ჩანს მხოლოდ ის, რომ ტრაპიზონი ითვლებოდა ლაზიკეში მდებარედ და რომ სახელი ლაზიკე ამ მხარისათვის იყო მაშინ ჩვეულებრივი. ამიტომ შეუძლებელია ამ ცნობის გაგება ნ.ლომოურის მიხედვით, თითქოს ტრაპიზონის სამიტროპოლიტოს ამ დროს ხელოვნურად ჰქონდა მიკუთვნებული ლაზიკეს სახელი, რის გამო ამის შემდეგ ამ მხარეში გაჩნდა ტომობრივი სახელი ლაზი.

ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ვახტანგის მცირეწლოვანობის დროს ბერძნებმა (რომეებმა) აფხაზეთიდან დაიკავეს შიდა-ეგრისი. "გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდათ ეგრისწყალითგან (ახლანდელი ღალიძგიდან) ქვემოთ კერძო ყოველი და იპყრეს ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე" (ახლანდელ ნოქალაქევამდე). როგორც ჩანს, 430-იან წლებში (საფიქრებელია, მას შემდეგ, რაც სპარსელებმა გააუქმეს ქართლის და სომხეთის სამეფოები), რომეებმა თავისი პოზიციის გასაუმჯობესებლად დაიკავეს შიდა ეგრისი და იქაური მემკვიდრეობითი მმართველი გადაიყვანეს თავიანთ მხარეს მთავრად დატოვებით. ჯუანშერის სიტყვით ბერძნებმა დაიმორჩილეს ქვეყანა ციხე-გოჯამდის, ე.ი. ციხე-გოჯის მხარემდის თანჩათვლით. ბუნებრივ საზღვარს აღმოსავლეთისკენ აქ წარმოადგენდა იყო მდ. ცხენისწყალი და არა ციხე-გოჯი. შიდა ეგრისს ბერძნები ეძახდნენ ლაზიკეს და იქაურ მთავარს იხსენიებდნენ მეფის ტიტულით. შიდა ეგრისში შედიოდა, როგორც ჩანს, გურიაც, მდ. ჭოროხის შესართავამდის. ლამბერტი (XVII ს.) აღნიშნავს, რომ მის დროს მეგრელები გურულებს ლაზების სახელსაც აძლევდნენ.

შიდა ეგრისის დაკარგვამ ძლიერ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ქართველებზე. "მაშინ იქმნა, წერს ჯუანშერი, გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს: განვამრავლეთ ცოდვანი ღმრთისა მიმართ და არა კეთილად ვიპყარით სჯული ქრისტესი და წესი იოანეს მცნებისა. სამართლად მოაწია ღმერთმან ჩვენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგვცნა ჩვენ წარტყვენად უცხოთა ნათესავთა, მიგვეღო ჩვენ საზღვარი (ტერიტორია) ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი იგი. ცოდვითა ვარაზ-ბაქარისათა მოიწია (ესე), რამეთუ ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი. ესე არა მეფეთა ჩვენდა ცოდვათაგან იქმნა, არამედ ერისა ცოდვათაგან. ან მეფე ჩვენი ყრმა არს, არა გვიოს (არა გვყავს) წინამძღვარი, რომელიმცა სასოებითა ქრისტესითა და წინამძღვრებითა ჯვარისათა წარგვიძღვა ჩვენ და ვიძიეთ შური პირველ ოვსთა ზედა, შემდგომად ვეძებნეთ საზღვარი ბერძენთაგან. ამას იტყოდეს ყოველნი ქართველნი და იყვნეს მწუხარებისა შინა დიდსა" (გვ.146).

69. შიდა-ეგრისის ახალი მთავარი ქალაქი ციხე-გოჯი-არხაიპოლის.

აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხელქვეით ახლა წინანდელი ეგრისის მხოლოდ ნაწილი იყო მოყოლილი. ეგრისის მთავარ ქალაქად კი

მანამდის ქუთაისი არის საგულისხმებელი. ამის დამამტკიცებელია ის, რომ კოლხეთის ძველი დედაქალაქი დიხაცქო-აია (ეა) უკვე პირველ საუკუნეში პლინის დროს არაა საგულისხმებელი, როგორც მნიშვნელოვანი პუნქტი. ციხე-გოჯსაც ის არ იხსენიებს. სამაგიეროდ ქუთაისის შესახებ პროკოპი კესარიელს, აქვს ცნობა, რომ ის მოხსენიებული ჰქონია ჩვენამდის მოულწეველ შრომაში არიანეს (II ს-ის პირველ ნახევარში), ალბათ, როგორც შესამჩნევი პუნქტი. პროკოპი ამბობს, რომ ქუთაისში რიონის სანაპიროსთან (დაბლობში, მდინარის დასავლეთით) კოლხებს ძველ დროში ციხე ჰქონდათ გაშენებული, რომელიც შემდეგ თვითონვე დაუნგრევიათ. ამიტომ შესაძლებელია, რომ კოლხეთის მთავარი პუნქტი II-IV ს-ნეებში იყო ქუთაისი (ამ გამოთქმას იხსენიებს პროკოპიც). ახლა როდესაც შიდა ეგრისის საზღვრად მდ. ცხენისწყალი შეიქმნა, ბუნებრივად უნდა დამულიყო საკითხი შიდა-ეგრისის ერისთავ-მეფისთვის ახალი რეზიდენციის შესახებ. ასეთ რეზიდენციად ამორჩეულ იქნა ძველი ციხე-სიმაგრე, სადაც ფარნავაზის დროს ეგრისის ერისთავის ქუჯის მიერ გაშენებული იყო მთაზე ციხე და სასახლე.

ბერძნული სახელი არხაიპოლის (არხეოპოლის) ნიშნავს ძველ ქალაქს. სახელი ცხადჰყოფს, რომ ქალაქი აქ გაუშენებიათ ძველ ნაქალაქარ-ნაცისარის ადგილას, რომელიც ახალი მშენებლობის დაწყებისას უკვე დიდი ხნის დაცარიელებული იყო. ბერძნული სახელის ასეთი თავისებური ხასიათი ("ძველი ქალაქი") ცხადჰყოფს იმასაც, რომ ახალი ქალაქის გამართვა დაწყებულია ბერძნების უპირატესობის ხანაში, როდესაც შიდა-ეგრისის ზოგ ადგილას ბერძენთა გარნიზონები იდგა. ეს ბერძნები უწოდებენ ახალ დედაქალაქს არხაიპოლისს, "ძველ ქალაქს".

ციხე-გოჯი არის ამ ქალაქის ძველი ქართლული მეტყველების სახელწოდება, დადასტურებული მატიანეებში. მეგრული მეტყველების სახელწოდება (დავით და კონსტანტინეს წამების მიხედვით) იყო ჯიხანქვეჯა. ქვეჯა და გოჯი უნდა იყოს ერთიდაიგივე, სხვადასხვა დიალექტური ფორმით წარმოდგენილი და უნდა უდრიდეს სიტყვა გოჩას, რომელიც არსებითად ძველს ნიშნავდა (შეად. გოჩაჯიხაში).

70. აფხაზეთის ჩამოყალიბება.

ჯუანშერი აფხაზეთად გულისხმობს ქვეყანას ეგრისწყალის (ახლანდელი ღალიძგის) ჩრდილო-დასავლეთით ვიდრე შემდეგდროინდელ ჯიქეთამდის (სამების ქვეყანამდის) თანჩათვლით (ახლანდელი ადლერის მხარემდის). აფხაზეთში ასეთი ფართე გაგებით შედიოდა აფ-

შილეთი და საკუთრივ აფხაზეთიც. ცხადია, რომ ტერმინი აფხაზეთი გადაიქცა უკვე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ფართე ერთეულის სახელად.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გახსენებულ იქნას აფხაზთა მეფეების ძველი წარმომაელობითი სია, შედგენილი ბაგრატ III-ის დროს 1000 წლის ახლოს. ამ სიაში ვიდრე მურვან-ყრუსდროინდელ ლეონამდის დასახელებულია აფხაზეთის 10 მფლობელი (ანოს, ლოზარ, იუსტინიანე, ფილიკტოს, ბარუკ თუ კაპარსკ, დემეტრე, თეოდოსი კოსტანტი, თეოდორე, კონსტანტინე II, ხსენებული ლეონ). თეოდოსი II–დან (801-828 წწ.) ვიდრე 1027 წლამდის II მმართველს უწევს 226 წელი, თითოზე საშუალოდ 20 წელი. ამის მიხედვით ანოსის მმართველობის დაწყება აფხაზეთში საგულისხმებელია 440 წლის ახლოს. ამ დროს ანოსი რომეების მიერ დაყენებულ იქნა მთავრად საკუთრივ აფხაზეთში. ამასთანავე მას დაუმორჩილეს მთელი მხარე ვიდრე მდ. ეგრისწყლამდის (ღალიძგამდის). ასეთ პირობებში ადვილად შეიძლებოდა სახელი აფხაზეთი გავრცელებულიყო უკვე მთელს ახალ ხსენებულ ტერიტორიაზე.

ანოსის რეზიდენცია თითქოს უნდა ყოფილიყო ანუხვა-ანაკოფიაში.

როდესაც 470 წლის ახლოს საქართველო აღმ.რომის სახელმწიფოს სამფლობელოთა საზღვრად დადგინდა კლისურა (კელასურა), ამის შემდეგ კლისურას დასავლეთ მხარეს განაგებდნენ ანოსის შემდგომი პირნი, რომელნიც თითქმის ყველანი (ლოზარის და კაპარუკის) გარდა ქრისტიანულ ბერძნულ სახელებს ატარებდნენ.

71. სპარსეთის მოწოლა სომხეთსა და ქართლზე.

თავისი მეფობის პირველი წლებიდან იუზდიგერდ II აწარმოებდა ომებს კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრებ ქუშანებთან. თვითონ იეზდიგერდის მთავარ რეზიდენციას ქალ. ნიშაპური წარმოადგენდა. სპარსეთის პოლიტიკის მთავარი ყურადღება საერთოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთისკენ იყო მიპყრობილი. ვახტანგის მონაწილეობაც აღმოსავლეთ ლაშქრობაში ამას ამტკიცებს. იეზდიგერდის მთავარ ვაზირად იყო მოპო-ნერსე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქუშანები დამარცხებულ იქნენ და ქუშანების მეფეც გაიქცა შუა აზიის უდაბნოებისაკენ სპარსეთის მთავრობამ თავისი ყურადღება გაამახვილა სომხეთ-ალვანია-ქართლზე. აღმ.რომის იმპერიასთან მეტოქეობის სა-

თანადოდ დაძლევა უფრო ადვილი იქნებოდა, უკეთუ ამ ქვეყნების წამყვანი ფენები ქრისტიანობის მაგივრად მაზდეიზმის აღმსარებელნი შეექნებოდნენ. მაგრამ, რადგანაც ამ ღონისძიების ძალით გატარება დიდ წინააღმდეგობას და სისხლის ღვრას გამოიწვევდა, ამიტომ სპარსეთის მთავრობა ფრთხილად შეუდგა საქმის მოგვარებას. სომხეთში მარზპანად, ელიშეს სიტყვით, მან დანიშნა დენშაპუჰ, რომელსაც ტკბილი სიტყვებით უნდა ჩაეტარებინა სომხეთის აღწერა. ეს მოხდა იეზდიგერდ II-ის მეფობის მე-12 წელს, ეი. 449 წელს. დენშაპუჰი ჩავიდა სომხეთში და ელიშეს სიტყვით "გადასახადების საბაბით და აგრეთვე ვითომდა მხედართა სამსახურის შესამცირებლად მან ჩაატარა ქვეყნის დაწვრილებით აღწერა და მცხოვრებლების აღრიცხვა. თუმცა მან თავისი იდუმალი ზრახვები მოქარგა გარეგნული მოტყუებით, მაგრამ მისი ვერაგობა მალე გამოაშკარავდა. ჯერ ერთი, ეკლესიის თავისუფალი მდგომარეობა ახლა გადასახადებს დაექვემდებარა; მეორე, ბერები, რომლებიც მონასტერში ცხოვრობდნენ, შეტანილ იქნენ სიებში; მესამე, ისე-დაც დიდი გადასახადები ახლა აუტანელ ზომამდის გაიზარდა; მეოთხე, დენშაპუჰს ისე კარგად მიყავდა საქმეები, რომ მან სომეხ ნახარარებს შორის განხეთქილება ჩამოაგდო და დათესა შუღლი ოჯახებში; მეხუთე, ყველაზე უარესი იყო ის, რომ მან გადააყენა სომხების ქვეყნის ჰაზარაპეტი (ათასის თავი), რომელიც ქრისტიანების მამად და უფროსად ითვლებოდა. დენშაპუჰმა მას დაამრალა ვითომდა მისდამი უპატივცემულო მოპყრობა და შესცვალა ის სპარსელით, რომელსაც მიუჩინა მოგპეტი. (მოგვების უფროსი). ეს მოგპეტი დანიშნულ იქნა მთავარმსაჯულად ეკლესიის ღირსების დამცირების მიზნით.

იქ, სადაც მართებლობას სამართლით შეეძლო მოეთხოვა ასი დრაჭკანი, ახლა ღებულობდნენ ორმაგს. ეპისკოპოსები და მღვდლები აგრეთვე იხდიდნენ გადასახადს. ეს გადასახადი დადებული იყო არა მარტო დასახლებულ და დამუშავებულ მიწებზე, არამედ დაუმუშავებელ ადგილებზედაც. სახელმწიფო ხაზინის სიხარბე ამას არ კმაყოფილდებოდა. გადასახადი ედვა საუკეთესო სურსათს, იარაღებს, შემოსავალს, მთა-ველს და ტყის მოსავალს. ეს იყო ნამდვილი ძარცვა და არა მართებლობის ღონისძიება, იმდენად დიდი ძარცვა, რომ სპარსელებიც გაკვირვებული იყვნენ, თუ საიდან მოდიოდა ამდენი განძეულობა და საიდან შეეძლო ასეთ დასუსტებულ ქვეყანას კიდევ არსებობა.

"როდესაც სპარსელებმა დაინახეს, რომ მიუხედავად ყველაფერ ამისა შეუძლებელია სომხების სიმედგრის მოტეხა, მათ მოიხსნეს პირ-

ბადე და უკვე აშკარად მისცეს მოგპეტების კრებას წინადადება დაეწერათ ბრძანება მათი (სპარსელების) ცრუ მოძღვრების დებულებებით".

ამის საპასუხოდ სომხების ნახარარებმა მოიწვიეს დიდი კრება, რომელსაც დაესწრნენ როგორც მაღალი წოდებიდან, ისე ხალხისანნი. იყვნენ რასაკვირველია ეპისკოპოსებიც. კრებამ ერთხმად მიიღო ფიცი ერთსულოვნად დაეცვა თავის სარწმუნოება. მიღებული წერილის საპასუხოდ სომხეთის ეპისკოპოსებმა, რიცხვით 18-მა, იოსებ აირარტელით სათავეში, გაუგზავნეს მიჰრ-ნერსეს წერილობითი პასუხი, რომელიც ელიშეს მოჰყავს მთლიანად და რომელიც ცალკე მოკლე ექსცერპტებად წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

"იოსებ ეპისკოპოსისაგან დიდთა ვიდრე მცირეთამდის თანხმობით შენ, მიჰრ-ნერსეს, დიდს ჰაზარაპეტს (ათასისთავს) არელათა და ანარელთა და აგრეთვე არელთა დიდ ლაშქარს პატივისცემითა და მშვიდობით სალამი. ღვთის მიერი წესის თანახმად ჩვენი წინაპრებისაგან გვაქვს ჩვეად მუდამ ვილოცოთ მეფის სიცოცხლისათვის და ვთხოვოთ უზენაესს მიანიჭოს მას დღეგრძელობა, ხოლო მშვიდობა მსოფლიო სახელმწიფოს, მისდამი ღვთის ბოძებულს, რათა ჩვენ ესარგებლობდეთ ხანგრძლივი მშვიდობიანობის სიკეთით და შევეძლოს მთელი ჩვენი სიცოცხლე ვემსახუროთ ღმერთს სიწყნარესა და სიმშვიდეში. რაც შეეხება თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსს, აი ჩვენი პასუხი.

"დიდი ხანია უკვე, რაც ვინმე თქვენმა მოგპეტმა, რომელსაც შესწავლილი ჰქონდა დაწერილებით თქვენი სარწმუნოებრივი მოძღვრება, რომელიც აღემატებოდა ადამიანის ბუნებას და რომლის ხსოვნას თქვენც პატივს სცემთ, პირი იბრუნა ჭეშმარიტ ღმერთისაკენ, ცისა და ქვეყნის შემოქმედისაკენ. მან მუხლობრივ გაარჩია თქვენი სარწმუნოება და დაგიმტკიცათ მისი მცდარობა. უკეთუ გსურთ ჩვენი პასუხის მოსმენა, წაიკითხეთ მისი წიგნი, რომელიც თქვენი ქვეყნის ბევრს ადგილებში მოიპოვება— ჩვენი სარწმუნოება— გავრცელებულია მთელ დედამიწაზე დასავლეთითი და აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით, კუნძულებზე, ხმელეთზე; ყველგან და ყველაფერი საკვეა ქრისტიანებით..."

წერილი წაკითხულ იქნა იეზდიგერდ მეფესთან ყველა წარჩინებულთა თანადასწრებით. გამართული მსჯელობის შემდეგ ხვასრომ მოუწოდა მწიგნობართუხუცესს და უბრძანა მას ბრძანების დაწერა მკაცრი გამოთქმებით. ამ ბრძანებით ის იწყვედა სახელდადებით სომხეთის შემდეგ ნახარარებს (ამ ნახარარების სია მოცემული აქვს

ლაზარე ფარპელსაც). ესენი იყვნენ: სიუნიის გვარიდან ("ტოპმიდან") ვასაკ სიუნელი უფალი, რომელიც მაშინ სომხეთის მარზპანადაც იყო, არწრუნის გვარიდან ნერშაპუჰ, რშტუნის გვარიდან არტაკ, ხორხორუნის გვარიდან გადიშოი, მამიკონიანთა გვარიდან ვარდანი, რომელიც იყო სომეხთა სპარაპეტი (სპასპეტი) და მამიკონიანთა გვარის უფალი (უფროსი), მოკეანთ გვარიდან არტაკი, აპაპუნიანთა გვარიდან მანუჭ, ამათუნიანთა გვარიდან ვაჰანი, ვაჰეეუნიანთა გვარიდან გივტი, ანძევაცეანთა გვარიდან შმავონ.

ლაზარე ფარპელის სიტყვით, იეზდიგერდთან ამ დროს ხსენებულ ნახარარებთან ერთად გაწვეულნი იყვნენ ქართლის და ალვანიის თავიკაცები. ნახარარების ამ სიას ლაზარე უმატებს შემდეგ ცნობას: "ხოლო ქართველთა ქვეყნიდან (წავიდნენ იეზდიგერდთან) არშუშა პიტიახში და (ამ) ქვეყნის სხვა მამასახლისნი". ამის მიხედვით ეჭვს არ იწვევს ის გარემობა, რომ სპარსეთის მთავრობის ის ღონისძიებანი, რომელიც ამ პერიოდში ტარდებოდა სომხეთის მიმართ, ეხებოდა ქართლსაც.

ახლა გავეცნოთ მეფე იეზდიგერდთან გამოცხადებულ არშუშა პიტიახშის და ქართველ მამასახლისთა მიღების ცერემონიებს და შემდეგ თან მოყოლილ ამბებს. პირდაპირ მთავრების შესახებ ასეთი ცნობა ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ ელიშეს და ლაზარე ფარპელს საკმაოდ დაწვრილებით აქვთ მოთხრობილი სომეხი ნახარარების შესახები ამბავი. ნახარარები იყვნენ გაბნეულნი, ზოგი იცავდა დარუბანდის კარს ჰუნებისაგან და ასე სხვაგან, ასე რომ ნახარარების ნახევარი სპარსეთის ხვასროს სალაშქრო სამსახურში იყო დაბანდებული. ხვასროს ბრძანების მიღებისთანავე ისინი შეკრიბნენ და დასდვეს იოსებ აჲრარატელ ეპისკოპოსის წინაშე ფიცი, რომ შეურყეველად ქრისტიანობის ერთგულნი დარჩებიან. საფიქრებელია, რომ ასეთსავე ფიცს სპარსეთში წასვლის წინ დასდებდნენ ქართლის მთავარეპისკოპოსთან არშუშა პიტიახში და სხვა ქართველი მამასახლისებიც.

"ძველი დროიდან მიღებული იყო, წერს ელიშე, რომ როდესაც სომეხთა მხედრობა მიუახლოვდებოდა (სპარსეთის მეფის) კარს, მეფე აგზავნიდა წინ მის შესახვედრად ლაშქრის უფროსს (სომხების) ქვეყნის კეთილდღეობის შესახებ საკითხავად და მისი (მეფის) სახელით მისასალმებლად. ეს წესი ორ-სამჯერ ტარდებოდა. შემდეგ თვითონ მეფე სინჯავდა გუნდებს და ლაშქრად წასვლის წინ უცხადებდა ყველა წარჩინებულთ მადლობას დროზე ჩამოსვლისათვის, თავისი სამეფოს ყველა

წარჩინებულთა წინაშე აქებდა მხედრებს, მეხსიერებაში მოჰყავდა მათი წინაპრების მამაცობა და მათი ცნობილი ღვაწლი. ამ ხანად მთელი ეს წესი გადადებულ იქნა, ხოლო ქება და ღვაწლის აღნიშვნა სრულებით არ ჩანდა... იუზდიგერდმა, სიბრაზისაგან გონება დაკარგულმა, საშინელი ხმით წარმოსთქვა შემდეგი: "ვფიცავ მზეს, ამ დიად ღმერთს, რომელიც ანათებს ქვეყანას და თავისი სითბოთი ასულდგმულებს ყველა არსებათ, რომ უკეთუ ხვალ დღის დაწყებისას ყოველი თქვენგანი ჩემთან ერთად საკვირველი მნათობის გამოჩენისთანავე არ დაიჩოქებს მის წინაშე და არ აღიარებს მის ღვთაებრიობას, მე ამის არმქმნელს მივცემ უსასტიკეს ტანჯვათ და ჭსტანჯავ მანამდის, სანამ ნებით თუ უნებლიეთ არ შეასრულებს ჩემს ბრძანებას".

მაგრამ სომხეთის ნახარარები (და მათთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, მათთან მყოფი ქართველი მთავრებიც) არ შეშინდნენ და იუზდიგერდის ცდას შედეგი არ მოყოლია. ამიტომ — განაგრძობს ელიშე.-"იუზდიგერდმა სამარცხვინოდ განდევნა კეთილშობილი ნახარარები და ჩააბარა ისინი თვალყურის სადევნელად ჯალათებს, რომელთაც განუწყვეტლივ უნდა ედარაჯნათ მათთვის, მაგრამ ბორკილები კი არ დაედვათ".

ქრისტიანებს გამოუჩნდათ ქომაგები, რომელნიც არ ზოგავდნენ სახსრებს ხვასროს მრჩეველის მოსასყიდლად, რათა შეემსუბუქებინათ დაპატიმრებულთა მდგომარეობა და საერთოდ მოეწყოთ მორიგება ქრისტიანების სასარგებლოდ. მაგრამ იუზდიგერდი მტკიცედ ადგა თავის გადაწყვეტილებას. მეფის კარზე იმყოფებოდა ერთი საჭურისი, რომელიც თანაუგრძნობდა ქრისტიანობას და საიდუმლოდ მონათლულიც იყო. როდესაც ის დარწმუნდა, რომ ხვასროს გადაწყვეტილი აქვს არათუ სისრულეში მოიყვანოს თავისი დადგენილება, არამედ კიდეც ააოხროს სომხების ქვეყანა, მივიდა დაპატიმრებულ ნახარარებთან, გაიხმო ზოგიერთი მათგანი განზე და მისცა მათ რჩევა დათანხმებულიყვნენ ცეცხლთაყვანისმცემლობაზე გადასვლას.

"უკვე მეფის ბრძანებით ყველაფერი მზად იყო იმისათვის, სწერს ელიშე, რომ ქრისტიანების ჯარები გაეგზავნათ შორეულ ქვეყნებში, სადაც ისინი განწირულნი იყვნენ სამუდამოდ ექსორიისათვის, როგორც ეს უკვე შესრულებული იყო ბევრი ქართველი ნახარარის მიმართ, მაგრამ ამ დროს მოვიდა ცნობა ქუშანების ქვეყნიდან, რომ მტერი შეიჭრა და აოხრებს ხვასროს ოლქებსო". ეს ცნობა ამტკიცებს, რომ ამ დროს ბევრი ქართველი მთავარი (დიდაზნაური) შესაძლებელია ვახ-

ტანგთან ერთად, შორეულ ქვეყნებში იყვნენ გადასახლებულნი (სამხრეთ ან აღმოსავლეთ ირანში).

ამასობაში ნახარარები მაინც ყოყმანობდნენ. ვარდან მამიკონიანი განსაკუთრებით მტკიცედ იდგა და არ თანხმდებოდა თუნდაც გარეგნობით ელიარებინა ცეცხლთაყვანისმცემლობა. ყველაზე დიდად ღელავდა ამ საქმეში ქართლის პიტიახში არშუშა. ის, ლაზარე ფარპელის სიტყვით, მოითხოვდა ნახარარებისაგან (და ალბათ მისი თანხმლებ დიდაზნაურთაგან და სხვა ქართველებისაგან) დათანხმებულიყვნენ სპარსეთის მთავრობის მოთხოვნას და ელიარებინათ მაზდეიზმი. "მათ ყველას მტკიცედ და შეუჩერებლივ ამავე აზრზე იყოლიებდა ქართლის პიტიახში არშუშა, კაცი თავისთავად ჭკვიანი და საქმიანი. მას ცოლად ჰყავდა მამეკონიანთა დიდი სპეუჰის ვარდანის ძმის ცოლისდა. არშუშა ცდილობდა დაერწმუნებინა სომეხ ნახარარებთა მთელი სიმრავლე და მოგვთა უფალი არტაკი მოლაპარაკებოდნენ ამის შესახებ სომხების მხედართმთავარს ვარდანს. თვითონაც არ ერიდებოდა ამ საკითხზე მასთან ლაპარაკს. შეუწყვეტლივ (არშუშა) თხოვდა ვარდანს, რომ თუ ის არ დათანხმდება (ცეცხლთაყვანისმცემლობაში გადასვლაზე), სამივე ქვეყანა (სომხეთი, ქართლი და ალბანია) დაიღუპება, ხოლო დათანხმების შემთხვევაში მრავალი შეინარჩუნებს სიცოცხლეს და ჩვენც უფლება გვექნება საკუთარი ცოდვები მოვინანიოთო (ლაზარე ფარპელი).

ასეთმა თავგამოდებულმა რჩევებმა გასჭრა და უმთავრესად, როგორც ეტყობოდა, არშუშა პიტიახშის დაკინებით მთავრებმა მიაგზავნეს იეზდიგერდ II-თან ზემოთ ნახსენები საჭურისი და განუცხადეს მას, რომ ისინი თანახმა არიან შეასრულონ მისი ბრძანება და აღიარონ ცეცხლთაყვანისმცემლობა. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც სპარსეთის მთავრობა სასწრაფოდ კრეფდა ჯარებს შუა აზიის ქუშანების წინააღმდეგ. სომეხ-ქართველ-ალვანელ დიდაზნაურთა განცხადება დიდად სასიამოვნო იყო სპარსეთის მთავრობისათვის, რადგან ამით მას ხელი ეხსნებოდა შუა-აზიაში თავისუფლად მოქმედებისათვის.

ნახარარებმა და არშუშამაც თავისი ქართველებით თაყვანი სცეს მზეს. შესწირეს მას მსხვერპლი და გარეგნულად ასრულებდნენ მოგვების მოძღვრების წესებს. "იშვიათი გულუხვობით მეფე ასაჩუქრებდა მათ ქვეყნებით, აძლევდა მათ პატივს და გაჰს (ხარისხს)" (ელიშეს ცნობა). ამის შემდეგ იეზდიგერდმა მისცა ნახარარებს სპარსელების მხედრობა და გააყოლა თან 700 სწავლული მოგვი მთავარი მოგპეტის მეთაურობით. მოგვები დიდის სიხარულით მიესწრაფებოდნენ მაზდეიზმის დასამყარე-

ბლად. "მეფის ეს ბრძანება, ამბობს ელიშე, ეხებოდა არა მარტო სომხეთის ქვეყანას არამედ აგრეთვე ქართველების, ალვანელების, ლეზინელების, აღძნელების, კორდუეების, წოდეების და დარსანების ქვეყანას, სპარსელების საბრძანებლის ყველა ქვეყნებს, სადაც საიდუმლოდ აღიარებდნენ ქრისტიანობას".

ამ ცნობიდან ცხადია, რომ ყველაფერი, ელიშეს მიერ მოთხრობილი, ეხებოდა ქართველ მთავრებსაც, რომ ისინიც, მაშასადამე, გარეგნულად გადასულან ცეცხლთაყვანისმცემლობაში და ახლა ბრუნდებოდნენ თავის ქვეყანაში სპარსელების მხედრობასა და მოგვებთან ერთად. ლაზარე ფარპელის სიტყვით, იეზდიგერდმა უკან დაბრუნებულ მთავრებს დაატოვებინა მძევლები, რომლებიც თავისთან დაიტოვა. დარჩენილთა შორის იყო ქართველების პიტიახში არშუშაც. როგორც ჩანს, არშუშა მძევლის როლს ასრულებდა ქართველების მხრივ.

მოგვებს და, მაშასადამე, წამოსულ მთავრებს თან მოპქონდათ მეფის შემდეგი ინსტრუქცია: "ნავასარდის თავიდან მეორე ნავასარდამდის (ნავასარდი იყო წელიწადის პირველი თვე; აქ იგულისხმება, მაშასადამე, ერთი წლის დაზმულობა) დიდი მეფის საბრძანებელში მოსპობილ იქნას არა თუ ქრისტიანების სარწმუნოება, არამედ აღმოფხვრილ იქნას თვით მათი სახელიც — ეკლესიები დაკეტილ და მათი კარები დაბეჭდილ იქნას; ქრისტიანულ სამლოცველოების სამკაულები სიით ჩარიცხულ იქნას სამეფო ნივთების შორის; ფსალმუნების გალობა, წინასწარმეტყველების წიგნთა კითხვა გაუქმებულ იქნას და ქრისტიანე მღვდლებს აღეკრძალათ თავიანთ სახლებში ხალხის სწავლა-დარიგება;კაცი და ქალი ბერ-მონაზვნები უნდა გამოვიდნენ მონასტრებიდან და მათ უნდა ჩაიცვან საერო ტანისამოსი; ნახარარების ქალებმა მისცენ სხვებს მაგალითი და პირველნი თვითონ უნდა მიჰყვნენ მოგვების სწავლას: აზატების (აზნაურების) და შინაკანების (მსოფლიონების) ქალ-ვაჟნი უნდა შეუდგნენ მოგვებთან სარწმუნოების შესწავლას საზოგადო მოედნებზე. ქრისტიანობის მიერ დაწესებული კანონები ცოლქმრობისა გაუქმებულ იქნას: ერთი ცოლის მაგივრად მამაკაცებს ნება მიეცათ ხალხის გასამრავლებლად რამოდენიმე ცოლი იყოლიონ; ნება აქვთ შვირთონ მამებმა ქალიშვილები, ძმებმა დები, ვაჟებმა თავიანთი დედები, შვილიშვილებმა ბებიები; არც ერთი ცხოველი, რომელიც განკუთვნილია ადამიანის საჭმელად, არ შეიძლება საჭმელად გამოყენებულ იქნას, თუ წინასწარ მსხვერპლად არ არის ღვთისადმი შეწირული. ცომი უხაშოდ არ იქნას გაკეთებული, ნაგავი და სიბინძურე

ცეცხლში არ იქნას ჩაგდებული. ხელის დაბანა ხარის შარდის გარეშე არ ხდებოდეს; წაკი, მელა, კურდღელი არ იქნას მოკლული; გველი, ხელიკი, ბაყაყი, ჭიანჭველა და სხვა საზარალო ცხოველი და ქვემძრომი მოსპობილ იქნას; მოსპობილ ცხოველთა რაოდენობა აწონილ იქნას სამეფო სასწორზე და ჩაწერილ იქნას: ყველაფერი, რაც ეხება მსხვერპლ შეწირვას, ნაცარის განლაგებას და რაოდენობას, უქმეების და წლის სათვალავს, უნდა ჩაწერილ და სიებში შეტანილ იქნას: ეს პირველი აუ-ცილებელი განკარგულებანი მიმდინარე წლის დასასრულამდის ყველას მიერ შესრულებულ იქნას; დანარჩენი და ჩვენი კანონის დაწერილებით ასრულება გადადებულია შემდეგი დროისათვის".

ქართლის წინანდელი მარზპანი ვასაკ სიუნელი დიდი ხანია (442 წლიდან) დანიშვნით იმყოფებოდა სომხეთის მარზპანად. ეს ვასაკი იყო მოხერხებული კარიერისტი და სომეხ ნახარარებს შორის გამონაკლისს წარმოადგენდა იმ მხრივ, რომ გულწრფელად იდგა ცეცხლთაყ-ვანისმცემლობის ნიადაგზე და სპარსეთის მთავრობისაც დიდად ერთ-გული იყო. ქართლშიაც ამ დროს ვასაკის მაგივრად უნდა დანიშნული ყოფილიყო ახალი მარზპანი, მაგრამ მისი ვინაობა არ ჩანს.

როდესაც ეპისკოპოსებმა გაიგეს ყველაფერი რაც მოხდა, მათ მაშინვე გაგზავნეს თავისი ქორეპისკოპოსები (თანაშემწეები) და მღვდლები სოფლებში. ისინი მოუწოდებდნენ ყველას — აზატს და ში-ნაკანს (აზნაურს და მსოფლიონს), ქალს, კაცს და ბავშვს ქრისტიანო-ბისადმი ერთგულებაზე. ეპისკოპოსთა კრებამ ამასთანავე დაადგინა ნება მიეცეს ქრისტიანობიდან გადადგომის შემთხვევაში მამა წავიდეს შვილის წინააღმდეგ და შვილი — მამის, ცოლი — ქმრის, მონა უფლის წი-ნააღმდეგ და სხვ. ყველანი ერთხმად აჯანყდნენ, ყველა შეიკრიბა, ჩაფხუტით, ხმალით და ფარით შეიარაღებული.

მეოთხე თვეზე გადაწყვეტილების მიღების დროიდან სპარსეთიდან წამოსული სომხების ჯარი თავისი მოკავშირეებით და მოგვებით ჩა-მოვიდა სომხეთში და გაჩერდა სოფელ ანგღში, სადაც მოეწყო ბანაკად. 25 დღის შემდეგ ამისა მოგპეტმა რაზმის თანხლებით მოინდომა ამ სოფელში ეკლესიის კარის გატეხვა, მაგრამ ამ დროს ეკლესიაში იმყოფებოდნენ მღვდელი ლეონტი სხვა მღვდლებით და ადგილობრივი პირველი კაცებით. ისინი გაშმაგებით ეცნენ მოგვებს და კეტებით და ქვებით განდევნეს ისინი, ამ თავდასხმამ დიდი გავლენა იქონია მოგ-პეტზე, მან გადასწყვიტა მიეწერა მოპეტან მოვეტისათვის (უმთავრესი მოგპეტისათვის) დერანდარძაპეტის და დიდი ათასისთავისავის, რათა მათ

დაეჯერებინათ მეფე თავისი პირველადელი განკარგულების გაუქმებაზე და ყველას მისცემოდა თავისი სარწმუნოების აღიარების ნება. მოგპეტის აზრით, ქრისტიანები ნელ-ნელა შეეჩვეოდნენ მოგვების მოძღვრებას და ნაწილი მაინც ნებაყოფლობით გადავიდოდა მაზდეიზმში. მაგრამ ამ აზრს არ დაეთანხმა სომხეთის მარზპანად დანიშნული ვასაკ სივნელი, რომელიც ჯილდოების და ქრთამების გაღებით ცდილობდა შეეტანა სომხებში უთანხმოება და დაშლილობა. ამ საშუალებით ბევრი მან მართლაც გადაიბირა მაზდეიზმისაკენ. მაშინ ეპისკოპოსები მოცილდნენ მას. მათ გამართეს ღამე საიდუმლო კრება, რომელზედაც მოიწვიეს სხვადასხვა პირნი და მათ შორის სპარაპეტი (სპასპეტი) ვარდან მამიკონეანი. ეს ვარდან მამიკონეანი ჩაუდგა სათავეში ქრისტიანობისათვის მებრძოლ სომხურ ძალებს.

ელიშე ამბობს (§ 4), რომ ამ დროს სომხებს საკავშირო ხელშეკრულება ჰქონიათ ქართველებთან და ალვანელებთან. ცხადია, მაშასადამე, რომ ქართლშიც მაშინ ისეთივე მდგომარეობა ყოფილა, როგორც სომხეთში. ქართლშიც შესულან მოგვები ჯარით, ასე რომ, მათი შიშით ვერავინ ვერაფერს ბედავდა. ვარდანს, როგორც ელიშეს სიტყვებიდან საგულისხმებელია, დიდი მოხერხება დასჭირდა, რომ ქრისტიანობის მომხრე ქართველებთან სპარსელების საწინააღმდეგო კავშირი დაედვა. ქართველები ალბათ მეტად ყოყმანობდნენ ამ კავშირში ჩაბმას, რადგანაც მათი მეფობის კანდიდატი (ვასტანგი) და პიტიახშიც სპარსეთში იმყოფებოდნენ. მაგრამ ბოლოს ასეთი კავშირის დადება მაინც მოხერხდა.

შეკრებილი სომხები ვარდანის წინამძღოლობით თავს დაესხნენ სომხეთში სპარსელების ბანაკს. სპარსელები დამარცხდნენ, ბევრი დაიღუპა, ბევრი ტყვედ იქნა შეპყრობილი. ისინი მოთავსებული იქნენ ნახარარების ციხეებში. ტყვედ იქნა შეპყრობილი მარზპანი ვასაკიც, რომელიც ფეხქვეშ დაუვარდა ეპისკოპოსებს და ისე ინანიებდა თავის განდგომილებას. აჯანყებულები მოედვნენ სომხეთს და აიღეს მეტი ნაწილი იმ ქალაქებისა და ციხეებისა, რომლებიც სპარსელების ხელში იყვნენ. ყველგან ისინი სპობდნენ ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრებს. აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ, როგორც ჩანს, მომხდარა ქართლშიდაც. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ალვანიის მთავარეპისკოპოსმა სთხოვა ვარდანს დახმარება სპარსელების წინააღმდეგ (ალვანიისაკენ ჯარით სპარსეთიდან გამოგზავნილი იყო სამასი მოგეი), ვარდანი თავისი ჯარის ნაწილით, ქართლზე გავლით, მიემართება ალვანელების დასახ-

მარებლად. ვასაკ სივნელს, რომელიც მონანიების მიუხედავად გულით მაინც სპარსელების მხარეზე იყო, შეეტყობინებინა ჯორას (ჩორის) ქვეყნიდან ალვანიისაკენ მიმავალ მარზპან სებუხტისათვის, რომ ვარდანს ცოტა ჯარი ჰყავსო. სებუხტი შეხვდა სომხებს (მათთან ერთად ამ შემთხვევაში საფიქრებელია ქართველებიც იყვნენ) ახლოს ქართლის საზღვართან ქალაქ ხალხალთან, რომელიც ალვანელი მეფეების საზამთრო ადგილსამყოფელს წარმოადგენდა. აქ ვარდან მამიკონიანმა სასტიკად დაამარცხა სპარსელები.

მამიკონიანის ეს გამარჯვება სრულებით მოულოდნელი იყო ვასაკ სივნელისათვის, რომელსაც ვარდანმა მიანდო შიგნით სომხეთში მშვიდობიანობის დაცვა. სპარსელების გამარჯვების მოიმედე ვასაკი თავს დასხმოდა ქრისტიანების მომხრე ნახარარებს და აოხრებინა მთელი რიგი ოლქები, მღვდლები ჩაეგდო საპყრობილეში, ეკლესიები დაემტვრია და სხვ. მაგრამ ახლა, როდესაც გამარჯვება ვარდანს დარჩა და გამარჯვებული ჯარი გაემართა ვასაკზე შურის საძიებლად, ის შეშინდა და გაიქცა თავის სამფლობელოში სიუნიაში. ვარდანი გამოედევნა მას და აოხრა ბევრი მისი მამული.

მეფე იეზდიგერდი მაშინ წავიდა დათმობაზე — მან გამოაცხადა ქრისტიანობა ნებადართულ სარწმუნოებად. ყველა, ვინც ქრისტიანობისათვის დაპატიმრებული იყო, დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნენ. ყველაფერი თითქოს მოგვარდა, მაგრამ ნამდვილად კი ეს იყო მხოლოდ ხერხი იმისათვის, რომ სომხეთში კვლავ შეეტანათ გათიშვა და განხეთქილება. ხვასროს კარზე გაიწვიეს სომხეთის მარზპანი ვასაკი, რომელსაც მისცეს დავალება მშვიდობიანი საშუალებებით გადაებირა ცეცხლთაყვანისმცემლობაზე სომხეთის ნახარარები. ვასაკმა დაბრუნებისას მართლაც მთელი რიგი ნახარარები (ელიშეს ჩამოთვლილი ჰყავს 12 კაცი, მათ შორის დიროც ბაგრატუნი) აგრეთვე სხვანი ეგრეთ წოდებულნი ვოსტანიკნი (სამეფო აზნაურნი) გადაიბირა მაზდეიზმისაკენ. საკმა შეეტანა დიდი დაქსასვა სომხებში. "მან, ელიშეს სიტყვით, დაშალა ის საკავშირო ხელშეკრულება, რომელიც ასე მოსერხებულად დადებული იყო (იგულისხმება ვარდანის მიერ) ქართლთან და ალვანიასთან".

უკანასკნელი გამოთქმა ამტკიცებს, რომ ქართლში ამჟამად მაზდეიზმის სასარგებლოდ მოძრაობას ადგილი არ ჰქონია. როდესაც იეზდიგერდ II–მ გადასწყვიტა ქრისტიანებისადმი დათმობაზე წასვლა, მაშინ, როგორც ჩანს, ქართლის პიტიახში არშუშა სპარსეთიდან თავის ქვეყანაში დაუბრუნებიათ. სპარსეთის მთავრობა უცდიდა თუ რა შედეგს

მოიტანდა სომხეთის მარზპანის ვასაკის მშვიდობიანი მუშაობა მაზდეიზმის სასარგებლოდ. ხოლო რადგანაც ქართლი უფრო პერიფერიაზე მდებარეობდა, ამიტომ მის შესახებ საკითხი ჯერ არ იყო დასმული.

მარზპანი ვასაკი ურთიერთობას იკავებს ვარდან მამიკონიანთან, რომელიც სომხეთში რომეების ჯარის უფროსად იყო. მარზპანი არწმუნებს მას, რომ იეზდიგერდის ბრძანება ქრისტიანობის ნებადართულობის შესახებ არის ნამდვილი და გულწრფელი, რომ ქრისტიანობა სომხეთში მშვენიერ მდგომარეობაშია და სხვ. ამით მას უნდოდა ვარდან მამიკონიანისათვის მოესპო ბერძნებთან თანაგრძნობის მოპოვება. "ასეთივე საშუალებებს (მარზპანი ვასაკი) მიმართავდა იმ ხალხების მიმართ, რომელნიც ცხოვრობდნენ გამაგრებულ ადგილებში, ტმორისს, კორდისს, არცახსს, ალვანს, ქართლს და ხალდიას და დაბეჯითებით სთხოვს მათ განდევნონ თავიანთი ქვეყნებიდან იქ დამამლულნი ვარდანის მომხრენი. მის ვერაგობას ყველგან მოჰყვა სათანადო შედეგი ჰუნნებს გარდა, რომელნიც დარჩნენ (ვარდანთან) კავშირის ერთგულნი. ვასაკმა შეკრიბა სპარსელების მთელი მხედრობა (რომელიც მის ხელქვეით იყო), უმეტესი მათგანი დააყენა ჯორას ხეობასთან და ამით ჩაკეტა ჰუნები, რომელნიც მუდმივ აწუხებდნენ სპარსეთის მეფის ქვეყნებს. ამასთანავე, ის წერილს წერილზე აგზავნიდა მეფის კარზე და თხოულობდა ამ ადგილისთვის დამხმარე ჯარს, მეფის ბრძანებით მან უბრძანა (ამ ჯორას გასასვლელისაკენ) წასვლა ყველა ჯარებს, რომლებიც იმყოფებოდნენ ქართველების ქვეყანაში, აგრეთვე ლფინკში, ჭღბიში, ვატში, გავში, გლუარში, ხერსანში, ჰეჭმატაკში, ფასსში, ფუსსში, ფიუქუანში და აგრეთვე თავასპარანის მთელს ჯარს, მთებისა და დაბლობებისას".

მაგრამ ვასაკ მარზპანს მისი ერთგული სამსახურიდან არაფერი გამოუვიდა. მას გადაემტერა სპარსეთის დიდი ათასისთავი მიჰრ-ნერსე, რომელიც ამ ხანებში ჯარით ქალაქ ფაიტაკარანს ბინადრობდა (შემდეგდროინდელ მუღანის ველზე) და იქიდან თვალყურს ადევნებდა სომხეთის და ამიერკავკასიის საქმეებს. მან ჩაიტანა იეზდიგერდ II-თან აღმ. სპარსეთში ვასაკ მარზპანის შესახებ მეტად ცუდი მოხსენება. სპარსეთის მთავრობა ჯერ მაინც უცდიდა ამბების განვითარებას და თუ როგორ იმოქმედებდა ვასაკ მარზპანი.

ფაქტების შემდგომი განვითარება სომხეთში მიდიოდა შემდეგნაირად. ვარდან მამიკონიანმა შეკრიბა ქრისტიანების დიდი ჯარი და თავს დაესხა სომხეთში დაბანაკებულ სპარსელების სარდალს მუშკანს, რომელთან ერთად იყო მარზპანი ვასაკ სივნელიც. ბრძოლა მოხდა

ავარაირის ველზე და მიდიოდა თავდაპირველად სომხების სასარგებლოდ. მაგრამ როდესაც მოკლულ იქნა თვით სპარაპეტი ვარდანი, სომხები დამარცხდნენ და გაიქცნენ (454 წ. 2 ივლისს). სომეხთაგან ამ ბრძოლაში დაიღუპა 1036 კაცი. სპარსელებმა და მათთან მყოფმა სომხებმა, ელიშეს ცნობით, დაჰკარგეს 3544 კაცი და 9 კაცი წარჩინებულთაგან.

ამ დამარცხების შემდეგ სომხების ჯარი მასში მყოფ ქართველებითურთ გაიბნა წვრილ რაზმებად. მათ გამოედევნენ სპარსელები თვით მუშკანის ხელმძღვანელობით და ვასაკ მამიკონიანის მონაწილეობით. ერთ ციხეში გამაგრებული იყო თითქმის ათასამდის კაცი. შვიდასმა შეძლო სპარსელების ალყის გარღვევა და გაქცევა, 213 კაცი (მეომრები და იქვე შეხიზნული ქრისტიანი სამღვდელონი) იძულებული გახდნენ სურსათის უქონლობის გამო დანებებულიყვნენ. ვასაკის ბრძანებით ყველა ისინი ამოწყვეტილ იქნენ.

დამარცხებულთა სხვა რაზმები, ელიშეს სიტყვით, გაიხიზნენ "ნისლიან ქვეყანასა ხალდიაში, სადაც თითქმის არ არის მზე" და სხვა ადგილებში. ხალდიას (პონტის) მაღალ მთებში გახიზნულნი იქნებოდნენ უმეტესად სომხების ჯარში მყოფნი ქართველები. სპარსელები კი აოხრებდნენ ტაოს. დაყრილი იყო ხმები, თითქოს ტაოში დაცული ყოფილიყო სომეხ მთავრების განძეულობანი (იგულისხმება, როგორც ჩანს, თვით მამიკონიანთა, აგრეთვე ბაგრატუნიანთა განძეულობანი). სპარსელები ეძებდნენ ამას და გადათხარეს სხვადასხვა შენობა. ხალდიის მთებში გახიზნულნი დაეშვნენ ქვევით დაბლობებში და ცდილობდნენ მიშველებოდნენ თავისიანებს. ორ სოფელში სპარსელებს დაეწვათ და სრულიად დაენგრიათ ეკლესია. სომეხ-ქართველთა რაზმი თავს დაესხა ამ სპარსელებს და დაამარცხა ისინი. ამ ბრძოლაში დაიღუპა ვარდან მამიკონიანის ძმა ჰმაიაკი, მაგრამ სპარსელები დამარცხდნენ იმდენად, რომ იძულებული გახდნენ საესებით დაეცალათ ტაო და მისი მიმდგამი ზოგი მხარე. ეჭვს გარეშეა, რომ სპარსელებთან წარმოებულ ამ პარტიზანულ ბრძოლებში დიდ როლს ასრულებდნენ სპერ-ტაოელი ქართველები, რომელთაც შეძლეს თავიანთ ქვეყანაში სპარსელებისთვის ეგემებინათ გადამწყვეტი დარტყმები.

სპარსელების მიერ ამ ბრძოლებში ნახულმა დიდმა ზარალმა, საერთოდ თვით შინაური ომის გაჩაღების ფაქტმა ძლიერ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვეს სპარსეთის მთავრობაზე. სომხეთში და სამხრეთ ქართლში ამტყდარი უკმაყოფილება, რომელიც გადაიზარდა ავჯანყებებში, სომხეთის და ჭოროხის ხეობის დიდად დაზიანება და აოხრება,

ყველაფერი ეს ბოლოს დაბრალდა ვასაკ მარზპანის უტაქტობას და ბოროტ ნებისყოფას. ქრისტიანი სომხებიც, რომელთაც ჰყავდათ მომხრეები სპარსეთის კარზე, მწარედ ჩიოდნენ მასზე. ამიტომაც სპარსეთის მთავრობამ ახლა ზურგი აქცია ვასაკს, ის გაიწვიეს სპარსეთში ხვასროს კარზე, დააპატიმრეს და ექსორია ქმნეს. მის მაგივრად სომხეთის მარზპანად კი დანიშნეს მუშკანის ლაშქარში სომხეთში ერთ-ერთ მხედართმთავრად მყოფი არტვორმიზდი.

საყურადღებოა ელიშეს ცნობა იმის შესახებ, რომ როდესაც მარზპან ვასაკს სპარსეთის მეფის კარზე ასამართლებდნენ, მასზე მოჩივარმა სომეხმა ნახარარებმა "წარადგინეს წერილები, რომელიც გაეგზავნათ ვასაკს და ყველა (ქრისტიანებისაგან) განდგომილთ (ნახარარებს). ეს წერილები ერთი იყო ქართველების ქვეყნიდან, ერთი — ალვანთა ქვეყნიდან, ერთი — აღძნიკიდან. იყო აგრეთვე შუამდგომლობა რომელთა იმპერატორის წინაშე და წერილი დიდ სპარაპეტ ანტიოქთან. ყველა ამ წერილზე იყო ვასაკის ხელ-ბეჭედის ცნობილი აღნაბეჭდი".

ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ ვასაკს ქართლშიდაც ჰყავდა თანამგრძნობნი, რომ ქართლშიც დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც სომხეთში. ქართლშიც იყენენ წარჩინებულთა შორის სპარსეთის მხარეზე გადამდგარნი და ცეცხლთაყვანისმცემლობის აღმსარებელნი. ესენი იყენენ მცირედ (ასეთივე მდგომარეობა იყო სომხეთში), მაგრამ სპარსეთის ხელისუფლებაზე დამყარებით ისინი მაინც გარკვეული მიმართულებით მოქმედებდნენ.

ვასაკზე მოჩივარნი სომეხი ნახარარები, სხვათა შორის, ჩიოდნენ, რომ ვასაკი (მარზპანად მყოფობის დროს) საიდუმლო შეთანხმებაში იმყოფებოდა ჰუნების მეფე ერანთან და ბალასაკანის მეფესთან. (ბალასაკანი მდებარეობდა მდ. არეზის ქვემო ნაწილში და მისი შესართავის მხარეში). "ერანმა ამ ხანაში ამოსწყვიტა სპარსელების ჯარი ალვანიაში. მისი თარეშები აღწევდა თვით ბერძნების (რომეების) სახელმწიფოს, საიდანაც მას მოჰყავდა ტყვეების ბრბოები და მოჰქონდა მდიდარი ნადავლი. ეს ნადავლი მას აღებული ჰქონდა ბერძნების (რომეების) ქვეყანაში, სომხების, ქართველების და ალვანელების ქვეყანაში".

ამ ცნობიდან ვტყობილობთ, რომ 450 წლის ახლოს ჰუნებს დაუთარეშიათ და დაუძარცვავთ ქართველების ქვეყნები (ამ ქვეყნების ნაწილი მაინც).

თავისი მეფობის მე-16 წელს (მაშასადამე, 454 წ.) მეფე იეზდიგერდმა გაილაშქრა გურგანის მხარედან ქუშანების (ჰუნების) წინააღმდეგ შუაზიაში, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. ამ დამარცხებამ იქონია სპარსეთის მთავრობაზე ერთგვარი გამომაფხიზლებელი ზეგავლენა. ქრისტიანების დევნა მალე შეწყვეტილ იქნა და სპარსეთის მეფის ადგილსამყოფელს, ქალაქ ნიშაპურში, ტყვედ მყოფი სომეხი ნახარარები და მათთან მყოფნი პირნი განთავისუფლებულ იქნენ. ისინი ჩარიცხეს სპარსელების ჯარში. ყველგან, სადაც კი მხვდებოდნენ, ისინი თავს იჩენდნენ თავისი მამაცობით და გმირობით. რამოდენიმე ხნის შემდეგ იეზდიგერდ II-მ დაიბარა ისინი თავისთან, მიიღო თავაზიანად და ტკბილად, დაპირდა მათ სამთავროების დაბრუნებას, ქრისტიანული სარწმუნოების თავისუფლად აღიარების ნებას და თავთავიანთ ქვეყანაში გაშვებას.

სპარსეთის მთავრობის პოლიტიკის ამ შეცვლით ისარგებლა ქართლის პიტიახშმა არშუშამ და გაემართა სპარსეთის კარზე. ცხადია, არშუშა ამ კარზე დააყენებდა საკითხს ქართლიდან გადასახლებულ თუ იძულებით წასული ქართველების დაბრუნების შესახებ. ლაზარე ფარპელს ასეთი საკითხები არ აინტერესებდა და ამის შესახებ ის არას გადმოგვცემს. მაგრამ ის გადმოგვცემს, რომ ამ ჩასვლის დროს არშუშამ გამოითხოვა ჰმაიეაკ მამიკონიანის ობლები აღსაზრდელად.

სპარსეთის მეფისაგან წამოყვანილი პატარა მამიკონიანები ვაჰანი, ვასაკი და არტაშესი მან კარგად გაზარდა. შემდეგ ისინი გახდნენ სომხეთის ისტორიაში ცნობილი მოღვაწენი. ამათი უმცროსი ძმა იყო ვარდ-ი, რომელიც პატარაობიდანვე თავის სამფლობელოში ტაოში იმყოფებოდა.

რა ბედი ეწია ამ არშუშას, არ ჩანს.

72. ქართული ეკლესიის მიმართულება; მიქელ მთავარეპისკოპოსი.

როგორც მოხსენებული იყო, მას შემდეგ რაც ქრისტიანობამ რომის იმპერიაში მოიპოვა გაბატონებული მდგომარეობა, გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა ამ რელიგიის ძირითადი დოგმების შესახებ. მთავარი მათ შორის იყო საკითხი, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან დაკავშირებული ღვთის სამი პირი (ქრისტიანობას ღმერთი მიაჩნდა სამ პიროვნებად — მამა ღმერთი, ძე ღმერთი ანუ იესო ქრისტე და სული წმინდა ღმერთი). ქალაქ ნიკეაში 325 წელს მოწვეულმა პირველმა

მსოფლიო საეკლესიო კრებამ მიიღო დებულება მამა ღმერთის და ძე ღმერთის თანასწორობის შესახებ. ასეთი მსოფლიო კრებათა ორთოდოქსალურად მიმდევარი თვალსაზრისი ეწინააღმდეგებოდა ეგრეთ წოდებულ მწვალებლურ მიმართულებათა, რომელთა შორის აღსანიშნავია ნესტორიანობა. ნესტორიანობა იყო ერთ-ერთი გამოხატულება იმ ბრძოლისა, რომელიც გაიმართა ქრისტიანული ეკლესიის შიგნით ეგრეთ წოდებულ დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა შორის. დიოფიზიტები (ბერძნ. სიტყვებია დვო-ორი და ფვზის-ბუნება) ცნობდნენ, რომ იესო იყო ორი ბუნების, ღმერთი და კაცი ერთსა და იმავე დროს. ხოლო მონოფიზიტები (ბერძნ. მონოს — მხოლოდ ერთი) ხაზს უსვამდნენ, რომ ქრისტე იყო მხოლოდ ღვთაებრივი ბუნების მქონე, მაგრამ რადგანაც იესო ამ ქვეყნად ცხოვრობდა და სიკვდილითაც დაისაჯა, ხოლო როგორც ქრისტიანების ფუძემდებელი რელიგიის თვალსაზრისით ის ღვთაებრივი ბუნებისად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, ამიტომ დიოფიზიტების პოზიცია უფრო მტკიცე იყო. ამის შესაბამისად აღმოსავლეთ რომის იმპერიის მთავრობის მიერ ქალკედონის ნახევარკუნძულზე 451 წელს მოწვეულმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ, გამოიტანა დადგენილება დიოფიზიტების სასარგებლოდ. ამიტომაც დიოფიზიტებს ამის შემდეგ ხშირად იხსენიებდნენ ქალკედონიტებად, ხოლო მონოფიზიტებს — ანტიქალკედონიტებად. მაგრამ აღმ.რომის იმპერიის ხელქვეით მყოფმა აღმოსავლურმა ქვეყნებმა — სირიამ და სომხეთმა არ მიიღეს ეს დებულება და კვლავ მონოფიზიტობას აღიარებდნენ. რადგანაც ქართული ეკლესია სომხეთის ეკლესიასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ისიც უფრო მონოფიზიტობის გზას ადგა და ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა შემდეგშიც ვიდრე VII საუკუნის დასაწყისამდის, როდესაც მზადდებოდა ნიადაგი ქართლის და სომხეთის ეკლესიათა განყოფის (ერთმანეთისაგან განშორების) შესახებ.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ კერძოდ სირიულ სამყაროსთან ქართული ქვეყნები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი თავიდანვე. ქრისტიანობაც თავშივე (I ს-ნიდან) ქართველ ტომებში ასე თუ ისე ფესს იკიდებდა, როგორც ჩანს უფრო სირიიდან, რომელიც VI ს-ნემდის, როდესაც იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) დროს ის, მონოფიზიტობის იქ ბატონობის გამო, რომეების (ბიზანტიელების) მიერ საშინლად აოხრებულ იქნა, წარმოადგენდა დოვლათიან და კულტურულ ქვეყანას. ამასთანავე ის ოპოზიციაში ედგა რომის იმპერიის სახელმწიფოებს და ამიტომ იქ (შედარებით იმპერიის სხვა ნაწილებთან) ქრისტიანობა, რო-

მელსაც II-III ს-ნეებში რომაული ხელისუფლება სდევნიდა, მეტი პოპულარობით სარგებლობდა. მიხთარხნიშვილს აღნიშნული აქვს,[20] რომ ისეთი გამოთქმანი, როგორიც ქართულში არის ღმერთშემოსილი, კვერექსი (სპეციალური ლოცვა), მაცხოვარი წარმოადგენდნენ სათანადო ტერმინების პირდაპირ თარგმანს სირიულიდან და არა ბერძნულიდან. მაგ., სათანადო ტერმინის ἐωιη ბერძნულიდან გადმოთარგმნისას ქართულად უნდა ყოფილიყო მხსნელი და არა მაცხოვარი. ეს ხდებოდა II-III ს-ნეთა სიგრძეზე.

451 წლის ამბების შემდეგ, როდესაც სომხებმა სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობის მოწოლის შედეგად განიცადეს მეტად დიდი მარცხი, ქართლში ხელმძღვანელ საეკლესიო წრეებში გაძლიერდა ქრისტიანობის დაცვის საქმეში სხვადასხვა მწვალებლობისადმი მკაცრი შეურიგებლობა. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართლის (მცხეთის) იმდროინდელი მთავარეპისკოპოსის მიქელის პოზიცია, რომელიც ვერ ითმენდა ვერავითარ მცირე გადახრასაც კი იმ გადაწყვეტილებათაგან, რომელიც მიღებული ჰქონდა მსოფლიო კრებებს და კერძოდ ამ ხანისათვის უკანასკნელ (ქალკედონის) მსოფლიო კრებას. სომხეთში იმარჯვებდა ანტიქალკედონური (მონოფიზიტური) მიმართულება, ქართლის ეკლესიის მეთაურნი კი ერთგულად მისდევდნენ დიოფიზიტობას. სომეხ ეპისკოპოსთა შორის გამოჩნდა ერთი, სახელად პეტრე, ზედმეტად კიდევ რაღაც მიზეზის გამო მგლად წოდებული, რომელმაც იკისრა ქართველებისაც მონოფიზიტობისკენ გადაყვანა. შემდეგ ჩაწერილ, რამოდენადმე არეულ გადმოცემათა მიხედვით, პეტრემ, რომელიც როგორც ჩანს, მეტად აქტიურ პიროვნებას წარმოადგენდა და თავის ქვეყანაში დიდად ცნობილი იყო, მოუწოდა ქართლის მთავარეპისკოპოსს მიქელს მასთან შესახვედრად. შეთანხმების თანახმად შეხვედრა უნდა მომხდარიყო კანგარის მხარეში

(კანგარი ეწოდებოდა მდ. ბერდუჯის ანუ ახლანდელი დებედას აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანას, რომელიც მაშინ მეტწილად ქართველებით იყო დასახლებული; სომხურად ეს მხარე იწოდებოდა მრავლობითი რიცხვით კანგარქ, ეი. კანგარნი). მთავარეპისკოპოსი მიქელი წავიდა მასთან შესახვედრად, მრავალ სამღვდელოთა, დიდ აზნაურთა, აზნაურთა და სხვა პირთა თანხლებით, რომელნიც ყველანი ფანატიკურად ალესილნი იყვნენ პეტრე ეპისკოპოსის წინააღმდეგ. მიქელის

20 . Oriens Christianus, B.37, 1953, S. 91.

განკარგულებით ყველას თან ჰქონდა უბეში თითო-ოროლა ქვა მომარაგებული. შეხვედრისას მიქელმა პეტრესთან მიახლოებისას ჩამოსწია მისი ფართე სახელო, ამოიღო უბიდან ქვა და დაარტყა მას თავში ისე მძლავრად, რომ ის იქვე წაიქცა. მაშინვე მიქელის მიერ მიცემული ნიშნის მიხედვით ყველა მისმა თანმხლემ დაახალა წაქცეულ პეტრეს თან მოტანილი ქვები და ამგვარად ის მოკლულ იქნა. უხტანესი (X ს, §53) აღნიშნავს, რომ ქართველებში აქამდის მამიდან შვილზე გადმოდის გადმოცემა, რომ თქვენი მგელი პეტრუზი მოკლეს ჩვენმა მთავრებმა კანგართა (კანგარქის) მთაზეო (შეხვედრა ჩანს საზღვარზე მომხდარა). უხტანესი უმატებს, რომ ეს პეტრუზი მარკიანე იმპერატორის (453-457 წწ.) დროს ცხოვრობდაო. ხსენებულ ფაქტს ამიტომ ადგილი უნდა ჰქონოდა 456 წლის ახლოს. ეს პეტრუზი, როგორც ამას იქვე, არა მთლად სწორად, აღნიშნავს უხტანესი, შემდეგში არეულ იქნა ანტიოქიის პატრიარქ პეტრესთან, რომელიც პატრიარქად იჯდა 471, 475-478, 485-488 წლებში. ეს პატრიარქი ახალგაზრდობაში ხელობით ნაბდის მთელავი იყო და ამიტომ მას ზედმეტ სახელად შერჩა ნაბდის მთელავის ეპითეტი (ძველქართულად იმავე მნიშვნელობით მკაწერელი). ეს პეტრე ანტიოქელი იყო მერყევი მიმართულების, მაგრამ საერთოდ ახლოს იყო მონოფიზიტებთან. ერთხანს ის მხარს უჭერდა აპოლინარისტებს (ეპისკოპოს აპოლინარი უმცროსის) მოძღვრებას, რომელსაც დევნიდა საიმპერიო მართებლობა. 428 წელს აპოლინარისტების თავისებური ღვთის მსახურება სრულებით აკრძალულ იქნა და ისინი შემდეგ გაითქვიფნენ მონოფიზიტებში. პეტრე, აპოლინარისტობის გარდა, კიდევ უფრო ჩანს ევტიქის მოძღვრების მომხრედ (ევტიქი მისი უფროსი თანამედროვე იყო და მისი მძლავრი მონოფიზიტური გამოსვლები წინ უსწრებდა ქალკედონის მსოფლიო კრებას). პეტრე სამჯერ გადააყენეს ანტიოქიის პატრიარქობიდან, უკანასკნელად 488 წელს განდევნის შემდეგ, უხტანესის სიტყვით, ის თითქოს მოსულიყოს სომხეთში, ხოლო სომხეთიდან ქართლში და აქ მიქელ კათალიკოსს (და არა მთავარეპისკოპოსს) ის ვითომ ჩაქოლოს ქვებით ზემოთ აღნიშნული წესით.

რომ ეს თხრობა არეულია ზემოთ მოხსენებულის (მგლად წოდებულის) პეტრეს სახელთან, ეს ჩანს იქიდან, რომ პეტრე ანტიოქიის პატრიარქი ქართველებს არ მოუკლავთ და ის მოკვდა 488 წელს ბუნებრივი სიკვდილით. ამასთანავე მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ სწორედ ამ პეტრემ ანტიოქიის პატრიარქად მყოფობის დროს ხელი შეუწყო ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალობის მოპოვებას.

დაუჯერებელი იქნებოდა, რომ ასეთი პატრიარქი პირადად თვითონ მოეკლა ქართლის ეკლესიის მეთაურ კათალიკოსს. კათალიკოსი მიქელი არც არის V საუკუნის ბოლოში და VI საუკუნის დასაწყისში ცნობილი (ამ დროინდელი კათალიკოსები ჩამოთვლილია მოქც. ქართლისაის ქრონიკაში).

სტეფანოს ორბელიანი გადმოგვცემს (§ 26), რომ სომეხ-ქართველთა ეკლესიების განყოფის დროს ერთი პეტრე ეპისკოპოსი, რომელიც სომხების მხარეზე მოქმედებდა, სომეხთა კათალიკოსმა აბრამმა მოაკვლევინა კანგართა მთაზეო. აქაც ფაქტების და პიროვნებათა აღრევასთან გვაქვს საქმე.

შად. პეტრე მკაწვრელის შესახებ ცნობები გამოკვლევაში Л.М. Меликсет-Бек. Грузинский извод сказания о посте "араджавор". ХВ. V, 1917, გვ.73-111.

73. მდგომარეობა ქართლის აღმოსავლეთით (ალვანეთში).

410-420-იან წლებში ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მის უშუალო მეზობლად გაჩნდა სპარსული მოსახლეობა სპარსული მმართველი ფენით. ეს მოხდა სპარსელი ტომების დიდი გადმოსახლების შედეგად. ინიციატორი და შემსრულებელი ამისი იყო სასანიანთა დინასტიის წარმომადგენელი, მეფე იეზდიგერდ II-ის უახლოესი ნათესავი მიჰრი. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, დეტალების ერთმანეთში აღრევით მოთხრობილი აქვს X-ს-ნის ალვანელ ისტორიკოსს მოსე კალანკატეელს (სომხურად) სათაურით: "ტომი მიჰრი, რომელიც წარმოშობილი იყო სასანიან ხოსროსაგან, გაბატონდა ალვანიაში". თვით ამ ამბავის შესახებ მოსეს მოთხრობილი აქვს შემდეგი (II, § 17): "ჩვენ გავიგეთ სანდო და ჭეშმარიტ მეისტორიეთაგან, რომ ბენდო და ვსტამი, რომელნიც იყვნენ სპარსეთის მეფის ნათესავნი, აღდგნენ ხოსროს მამის ორმუზდ მეფის წინააღმდეგ და მოჰკლეს ის. თვითონ კი გაყვნენ თავის ძმისწულს ორმუზდის შვილს ხოსროს, როდესაც ის გაიქცა ვაჰრამ ჩუბინისაგან. ისინი ილტვოდნენ საბერძნეთს ბერძნების მეფე მავრიკთან. მავრიკმა ხოსროს მიათხოვა თავისი ასული და გაატანა მას მრავალრიცხოვანი ჯარი. ხოსრო მოვიდა და დაეუფლა თავის სამეფოს.

"ბევრი წლის შემდეგ მან დაიწყო შურისძიება თავისი მამის ორმუზდის სისხლისათვის. მან დახოცა თავისი ორივე ბიძა ბენდო და ვსტამი და 60 სული მათი ოჯახიდან. ამის შემდეგ ხოსროს ნათესავი

მიპრი გაიქცა და თან წაიყვანა ხალხის ნაწილი 30 ათას კომლამდის. ის გადმოვიდა ალვანების ქვეყანაში და შემოვიდა უტის ქვეყანაში დიდ ქალაქ პარტაეთან, საიდანაც უნდოდა ხაზარებთან წასვლა და მათთან მიმხრობა".

"წარჩინებული პირნი უსაყვედურებდნენ თავის მეფეს ხოსროს: "რატომ არ ზრუნავ შენს ნათესავ მიპრზე, რომელიც შენი შიშით მიემხრო მტერს და შენ გაყენებს შეურაცხყოფას"-ო. მან მაშინვე მისწერა მიპრს: "ჩემო ღვიძლო ძმავ, ნუ გარბიხარ ჩემგან მტრულად: უკეთუ შენ არ ინებებ ჩემს ახლოს ცხოვრებას, აიღე საცხოვრებლად, სადაც კი ჩემი ხელმწიფება სწვდება, იმდენი ქვეყანა, რამდენის გავლასაც შენი ფეხები შესძლებენ". გაგზავნილი კაცი შეხვდა მიპრს საროტში გარდამანის (გარდაბანის) ქვეყანაში. მიპრმა წაიკითხა წერილი და სიხარულით აივსო. დაინახა, რომ ეს ქვეყანა (გარდმანისა) კეთილ-სანდომია და მოისურვა იქ დაბინავება. აქ მან გააშენა თავის სახელზე ქალაქი, რომელსაც დაარქვა მიპრავან.

"გაზაფხულის დაწყებისას მიპრი გაემართა გარდმანის ქვეყნის ჩრდილოეთით, მოიწვია თავისთან ვერაგულად 12 თავკაცი, დახოცა ისინი და ის ქვეყანაც დაიპყრო. ამის შემდეგ ის ცოცხლობდა დიდხანს და ისე დაამთავრა თავისი სიცოცხლე. მას ჰყავდა შვილი არმაელ, რომელსაც დაებადა ვარდ-ი, ვარდს ჰყავდა შვილი მამაცი ვარდანი,რომელმაც სამი წლის განმავლობაში გააშენა გარდმანის ციხე. მას თავის გულში ბოროტი განზრახვა ჰქონდა ჰაიკანის ძველი გვარის ერან-შაჰიკის წინააღმდეგ (სხვა ადგილას, §4, მოსე კალანკატუელს ნათქვამი აქვს, რომ უტის და გარდმანის სამთავროების ხალხები წარმოიშენენ არანისაგან, რომელსაც ვითომ მიეცა ალვანის ველები და მთები მდ.ერასხიდან ანუ არეზიდან ჰნარაკერტამდის, ეი. ხუნანამდის). ვარდანმა მოიწვია ისინი (ამ გვარის წევრები) სადილად და დაუმზადა მათ სასიკვდილო საჭმელი. სადილად მან აჭამა მათ მათივე სისხლი, მან თავი მოსჭრა 60 კაცს. დასტოვა ცოცხლად მათგან მხოლოდ თავისი სიძე არმირჰი-ერან-შაჰიკი. ამგვარად დაიმორჩილეს ალვანეთი. ვარდანმა დაიმორჩილა აგრეთვე კავკასიის ველური ხალხები და მოკვდა მშვიდობიანად. მას ჰყავდა შვილი ვარდ-ი. ვარდმა შვა ვარაზმანი, ქალბატონი შუშიკი და ვარაზ-გრიგოლი. ვარაზ-გრიგოლი იყო ალვანთა პირველი მთავარი, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა ალვანთა კათალიკოს ვიროსაგან. ვარაზ-გრიგოლს ჰყავდა ოთხი შვილი — ვარაზ-პეროჟ, ჯკვანშირი, ეზუდ-ხოსროვი და ვარაზმანი".

იმავე იოანეს სიტყვით ვარაზ-გრიგოლის მეორე შვილი ყოფილა ჯუანშერი, შემდეგ ალვანეთის ძლიერი მთავარი, 630-იან წლებში (636-637 წ). სპარსეთზე არაბების შეტევებისას ჯერ ახალგაზრდა იყო, "ძლიერ წვერი აჩნდა მის სახეს". ის იქნებოდა ამ დროს, მაშასადამე 22-24 წლის. მაგრამ ეს გენეალოგიური შტო არ უნდა იყოს სრული. ეს ჩანს იქიდან, რომ მამაცი ვარდანი მოხსენიებულია როგორც გარდაბანის მთავარი ალვანეთის მეფის ვაჩაგანის დროს 490 წლის ახლო შემდგარ საეკლესიო კრების დადგენილებათა ხელისმომწერად. ამის მიხედვით სასანიანი მირის მოსვლა არანს თავისი ერითურთ უნდა მიეკუთვნოს 410-420 წლის ახლოს. ამასთანავე ყურადსაღებია ის გარეგმოება, რომ ვარდან მამაცი მოხსენებულია მხოლოდ როგორც გარდაბანის მთავარი. მაგრამ გარდაბანელი მთავარნი ჯუანშერის მიხედვით საგულისხმებელი არიან, როგორც ვახტანგ გორგასალის (დედით) პაპის ბარზაბოდ რანის მარზაპანის შთამომავალნი. სახელდობრ, ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ არჩილ მეფემ 650-იან წლებში თავისი მეხუთე დისწული მისცა ცოლად "ვარაზმანს და მისცა (ქვეყანა) კოტმანითგან ქურდის ყევადმდე; იყო ესე ვარაზმან ნათესავი სპარსთა ერისთვისა ბარდაველისა, რომელი იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა" (გვ.242). ამის მიხედვით ბარზაბოდი უნდა ყოფილიყო ხსენებული მირის შვილი. ბარზაბოდის შთამომავლობა შემდეგ გაიყო ორ შტოდ — მთავარი შტოს წარმომადგენელნი დარჩნენ რანის მარზპანებად, უმცროსი შტოსი კი გახდნენ გარდაბანის მთავრებად.

ამგვარად სპარსეთის მეფის (იგულისხმება იეზდიგერდ II-ის) ძმა თუ უახლოესი ნათესავი მიჰრი დიდძალი ხალხით გამოჰქცევია მეფეს და გადმოსულა ამიერკავკასიაში, ბარდას ქვეყანასა და გარდაბანში. ძმებს თუ ახლო-თვისთა შორის მომხდარა მორიგება და იეზდიგერდ II-ს დაუთმია მიჰრისათვის აღმ. ა/კავკასიის ქვეყნები, მიჰრი დაუფლებია რანს (გარდაბანს და უტის) და შემდეგ ჩრდილოეთ მხარესაც, იგულისხმება მოვაკანი, სადაც მას ამოუწყვეტია თავი-კაცები (რიცხვით 12). თვითონ მიჰრი დაბინავდა მის მიერ გაშენებულ ქალაქ მიჰრავანში. შეიძლება ეს იყოს იგივე გულისტან (სპარსულად სავარდეს ნიშნავს) შემახასთან. გულისტანი იყო XII ს-ნეში და საფიქრებელია მანამდისაც, შირვან-შაჰების მთავარი რეზიდენცია. ელიშე (V ს-ნეში) გადმოგვცემს, რომ იეზდიგერდ II-ს დროს ალვანთა მეფედ იყო ვაჩე, რომელსაც ცოლად ჰყავდა იეზდიგერდის ასული. ვაჩე ქრისტიანი იყო. მაგრამ იეზდიგერდის მოთხოვნით ის იძულებული გახდა გადასულიყო

ცეცხლთაყვანისმცემლობაში. იეზდიგერდ II-ის სიკვდილის შემდეგ (456-457 წ) ვაჩე აჯანყდა. როდესაც შინაური ბრძოლების შემდეგ 458 წელს სპარსეთში მეფედ დამკვიდრდა ფეროზი, შშვიდობიანობა დამყარდა, წერს ელიშე, შიგნით სახელმწიფოში, მაგრამ არა მის გარეთ, რადგანაც ვაჩე უარს ამბობდა დამორჩილებაზე მეფისადმი. ვაჩემ იერიშით აიღო ჯორას ხევი, გადმოიყვანა იქიდან მასქუთთა ჯარები და კავშირი დასდო მთიანეთის 11 მეფესთან. ის ხმლით დახვდა სპარსელებს და დიდი ზიანი მიაყენა მათ ჯარებს. ორჯერ და სამჯერ მას შესთავაზეს ზავი, მაგრამ ის არათუ დასთანხმდა ამაზე, არამედ წერილობით და ელჩებით უსაყვედურებდა სპარსეთის მართებლობას იმ დევნის გამო, რომელიც სპარსელების მეფემ მიაყენა სომხებს, უსაყვედურებდა სომეხი მთავრების დაღუპვას და სხვა ქრისტიან წარჩინებულთა პატიმრობაში მოთავსებას.

შაშინ ფეროზ მეფემ გაგზავნა დიდძალი განძეულობა ხაილანთურქების ქვეყანაში ჰუნების ჯარების დასაქირავებლად, წამოსულმა ჰუნებმა აიღეს ალანთა კარი (დარუბანდი) და მთელი ერთი წელიწადი თავს ესხმოდნენ ალვანთა მეფეს. ვაჩე დამარცხდა და მისი ჯარი დაიმნა, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა ბრძოლას. ალვანთა ქვეყნის მეტი ნაწილი აოხრდა, მაგრამ სპარსელებსაც დიდი ზარალი მოუვიდათ. ბოლოს მორიგება მოხდა შემდეგი პირობით: ვაჩეს უნდა გაეგზავნა ფეროზის კარზე თავისი დედა, რომელიც ფეროზის და იყო, და თავისი გერი (ამ დედის შვილი მეორე ქორწინებიდან). ესენი წინათ ცეცხლთაყვანისმცემელნი იყვნენ და ვაჩეს ისინი ქრისტიანობაში გადაეყვანა. ვაჩეს მიეცა სამფლობელოდ ის საუფლისწულო, რომელიც მას დამტკიცებული ჰქონდა თავისი მამის სიცოცხლეში და რომელიც ათასი კომლისაგან შედგებოდა.

მოსე კალანკატუელის სიტყვით (§ 16) ვაჩეს შემდეგ 30 წლის განმავლობაში ალვანეთი უმეფოდ იყო (იგულისხმება ადგილობრივი ლეგიტიმური დინასტიის წარმომადგენლის მეფედ უყოლობა) და მხოლოდ ამის შემდეგ ვალარსაკ სპარსთა მეფის გამეფებიდან ალვანთა მეფედ დამტკიცებულ იქნა ვაჩეს ძმისწული ვაჩაგან იეზდიგერდის ძე. ვალარშაკი მეფობდა 484 წლის 24 მაისიდან 488 წლის 23 მაისამდის. ვაჩაგანის დანიშვნა ალვანთა მეფედ დაკავშირებულია ვალარშაკ მეფის ახალ პოლიტიკასთან. სახელდობრ მან იოანე კალანკატუელის სიტყვით "ბრძანება გასცა, რათა ყველამ დაიცვას თავისი სარწმუნოება

თავისი სურვილისამებრ და არავინ არ იქნას ძალით მოქცეული მოგვთა სარწმუნოებისადმი".

ამგვარად ვაჩეს გადაყენება ალვანთა ტახტიდან მომხდარა (484-30=) 454 წელს. ის მედგრად იბრძოდა თავისი უფლებებისათვის ალვანეთის ჩრდილოეთ ნაწილში (მოვაკანს), სადაც მან დაიკავა ჩორის გადასაელი. აქ, ჩრდილოეთ ნაწილში, ის იბრძოდა რამოდენიმე წელიწადს, ფეროზის მეფობის პირველ წლებშიც (მაშასადამე 459-461 წლებშიც), სანამ მან აღიარა თავი საბოლოოდ დამარცხებულად და დაკმაყოფილდა, როგორც ვნახეთ, საუფლისწულო მამულის მიღებას. ცხადია, რომ სპარსელებს ვაჩე ვერ გაუდევნიათ ალვანთა სახელმწიფოს სამხრეთ ნაწილიდან (უტი-გარდამანიდან) და შემდეგ დაუპყრიათ ალვანეთის ჩრდილოეთი ნაწილიც.

ეს ცნობები ესადაგება მიჰრის ბატონობის დამყარების შესახებ ზემოთ მოტანილ ფაქტებს. მიჰრი დიდძალი სპარსული ტომებით, რომელნიც დედაწულიანად მოდიოდნენ (ესენი იყვნენ, მაშასადამე, მესაქონლეობით მცხოვრები მომთაბარე მეომარი ტომები), გადმოვიდა უტი-გარდმანის მხარეში, რომელიც სპარსეთის მეფესთან მორიგების შედეგად დაუმტკიცდა მას (454 წელს). ვაჩე გამაგრდა ალვანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მაგრამ მიჰრი გადავიდა უტი-გარდამანის ამ ჩრდილოეთ მხარეში და აქ ადგილობრივი თავკაცების ვერაგულად ამოწყვეტის შემდეგ მან მოიპოვა საბოლოო გამარჯვება (461 წლის ახლოს). რადგანაც მიჰრი ახლოს თვისი იყო იეზდიგერდ II-ისა (შესაძლებელია მისი ძმაც), ამიტომ ბუნებრივია, რომ მას აღმა/კავკასია მისცეს მეფის უფლებით. ქართლიც წინანდელი მაგალითების მიხედვით, როდესაც ბარდას მჯდომი სპარსთა პიტიახში ქართლის მეთვალყურედ ითვლებოდა, მის ხელქვეით მოჰყვა.

ამგვარად ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთით V ს-ნის შუა ხანებში გაჩნდა სპარსული მძლავრი ფენა. ამით აიხსნება, რომ პროკოპი კესარიელი VI ს-ნის შესახებ გადმოგვცემს (BP, I, 12), რომ "იბერები, რომელნიც ბინადრობენ აზიაში, ცხოვრობენ სადღაც კასპიის კარებთან, რომელიც მათი ჩრდილოეთით მდებარეობს. მათ მარცხნივ დასავლეთისაკენ მდებარეობს ლაზიკე, ხოლო მარჯვნივ აღმოსავლეთისაკენ, სპარსული ტომები ბინადრობენ".

IV

ვახტანგ გორგასალის მმართველობის პირველი წლები

74. მეფობის აღდგენა ქართლში. ვახტანგის დაბრუნება ქართლის მეფედ.

საქართველოს ისტორიის შემდეგდროინდელი ფაქტების გასაგებად მნიშვნელობა აქვს იეზდიგერდ II-ის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის მონარქიაში შექმნილ მდგომარეობას. V ს-ნის ორი სომეხი ისტორიკოსი ელიშე და ლაზარე ფარპელი, რომელთა ცნობები სანდო უნდა იყოს, გადმოგვცემენ, რომ იეზდიგერდ II-ის შემდეგ ორი მისი შვილი ტახტისათვის ეომებოდა ერთმანეთს ორი წლის განმავლობაში. ამით ისარგებლა ალვანიის მეფემ ვაჩემ და გადაუდგა სპარსეთს. უმცროსი ძმის პეროზის აღმზრდელმა (ეი. მამამძუძემ) ნაამმა მერანის (მიჰრანის) გვარიდან დაამარცხა უფროსი ძმის ჯარი. თვითონ ეს ძმა შეიპყრეს და მოკლეს. სპარსეთის მეფედ გახდა პეროზი (ელიშე). ლაზარე ფარპელიც იხსენიებს ამ შინაურ ომს და პეროზი გამოჰყავს უმცროს ძმად. უფროსი ძმის სახელს არც ერთი და არც მეორე არ ასახელებს. არაბი და შემდეგდროინდელი სპარსელი ისტორიკოსების სიტყვით კი ამ უფროს ძმას ერქვა ორმიზდი. იეზდიგერდ II გამეფდა 439 წ. ასოლიკის (თუმცა, როგორც ჩანს, არა მთლად ზუსტი) სიტყვით, იმპერატორ მარკიანეს მეფობის მესამე წელი უდრიდა იეზდიგერდ II-ის მეფობის მე-15 წელს, მარკიანე კი ტახტზე ავიდა 450 წლის ივლისში. ლაზარე ფარპელის მიხედვით იეზდიგერდ II მეფობდა 17 წელზე მეტ ხანს, ხოლო თანამედროვე ელიშეს სიტყვით ის მოკვდა თავისი მეფობის მე-19 წელს. ამიტომ იეზდიგერდ II-ის სიკვდილის თარიღად უნდა მიჩნეულ იქნას უფრო 457 წ. შინაური ბრძოლები ორმუზდსა და პეროზს შორის გრძელდებოდა ორი წლიწადი (457-459 წ). 459 წლის ბოლოდან (მეორე ნახევრიდან) კი სპარსეთის მეფედ უკვე პეროზია. ქრისტიანობის დევნა სპარსეთის მონარქიაში ისედაც შეწყვეტილი იყო და ამ არევდარევის დროს მითუმეტეს ამისი თავი არავის ჰქონდა.

ამგვარად 454 წლიდან და უფრო კიდევ 457 წლიდან ქრისტიანობას მიეცა შვება და განმტკიცების მეტი შესაძლებლობა.

ხსენებული არევდარევის დროს სომეხ წარჩინებულთ შესაძლებლობა ჰქონდათ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სამშობლოში მითუმეტეს,

რომ განკარგულება ამის შესახებ უკვე დატოვებული ჰქონდა იეზდიგერდ II-საც. 458 წლის დასაწყისს სპარსეთში მყოფი სომეხი ნახარარები ბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში და ცხადია, რომ მაშინ დაბრუნდებოდნენ სპარსეთში მყოფი ქართველი წარჩინებულნიც. ყველაფერ ამასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, საერთოდ შეიცვალა პოლიტიკა ქართლის მიმართაც და ვახტანგი დაბრუნებულ იქნა თავის ქვეყანაში ქართლის მეფედ. მაშასადამე, ეს უნდა მომხდარიყო უფრო 457 წელს ჯერ კიდევ ორმუზდ III -ის მეფობის დროს. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ჯუანშერი იხსენიებს კიდეც ორმუზდ მეფის მიერ ქართლში უკვე მეფედ მყოფ ვახტანგისდმი გამოგზავნილ წერილს.[1] საფიქრებელია, რომ საერთო მიზეზების გარდა აქ თავისი როლი შეასრულა ვახტანგის, ერთის მხრივ, დამსახურებამ სპარსეთის მთავრობის წინაშე და აგრეთვე მისმა მოქნილმა ტაქტიკამ, რომლის მეოხებით ის სპარსეთის მეფის კარზე მიჩნეული იყო, როგორც ერთგული პიროვნება და თითქოს სანახევროდ ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმდევარი.

ქართლის მეფედ აღდგენის შემდეგ საფიქრებელია, რომ ვახტანგი ჩამოდის ჯერ თბილისში, რომელიც მანამდის მარზპანის რეზიდენცია იყო, და შემდეგ მცხეთაში, საზეიმო ვითარებაში, როგორც ეს საერთოდ მიღებული იყო, და მიემართება პირდაპირ ეკლესიაში ქართლის ეკლესიის მეთაურისგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად. სვეტიცხოვლის ხის ეკლესია, მირიან მეფის დროს გაშენებული, ამ დროს უკვე (ჯუანშერის გამოთქმის ხმარებით) "დაცემული იყო" (გვ.198). ამიტომ საფიქრელია, რომ ვახტანგი მიღებული იქნა სამთავრო (საეპისკოპოსო) ტაძარში. ქართლის მთავარეპისკოპოსად ამ დროს იყო თვით ვახტანგის აღმზრდელი მიქაელი, რომელიც მას კბილების ჩამტვრევით გაუმასპინძლდა. მოქც. ქართლისაის ქრონიკაში ამის შესახებ მოკლედ ნათქვამია, რომ მიქაელმა "შიამთხუა ფერეი პირსა მეფისასა ვახტანგს". ხოლო მოქც.

---

1. ჯუანშერი ამბობს, რომ ურმიზდ (ორმიზდ) მეფემ გამოუგზავნა ვახტანგს პატრუაკი (ფაპალური სიტყვა), რომელიც იწყებოდა ასე:"ურმისდისაგან, ყოველთა მეფეთა მეფისა, ვახტანგის მიმართ ვარან-ხუასროთანგისა, ათთა მეფეთა ახოენისა" (გვ.150), ეი. ათთა მეფეთა უფროსისა (იგულისხმებიან ქართლის სამეფის ერისთავენი). დოკუმენტის არსებობა ჯუანშერს ეცოდინებოდა არქივიდან, მაგრამ მიმართვის ტექსტი მის მიერ გადაკეთებულია. ვახტანგი შეიძლება წოდებულიყო ათი მეფის (ერისთავის) უფროსად (ახოენად) მას შემდეგ, რაც მან დაიმორჩილა საქართველო და სამხრეთ საქართველოს ნაწილი და როდესაც ამგვარად ქართლის სამეფოში ჩამოყალიბდა 10 საერისთავო (სამეფო).

ქართლისაჲს მეორე (ჭელიშისეულ) ვარიანტში კომენტატორს მოცემული აქვს ერთი საყურადღებო განმარტება, რომელიც ამტკიცებს, რომ ვახტანგი ამ დროს ეკლესიასთან დიდს კონფლიქტში მოყოლილა – მას განზრახვაც ჰქონია მთლად ამოეგდო ქართლში ქრისტიანობა. (მთავაპისკოპოსმა მიქაელ) "მიამთხჳა ფერჯი გორგასალსა რომლისამე მიზეზისათჳს და განაძო ეკლესიისაგან. მაშინ მეფე აღიჴსო გულისწყრომითა მრავლითა და ეცა ფერი პირისა მისისა და განიზრახჳდა მრავალთა ბოროტთა დამჴობად ქრისტეანობისა. არამედ ღმერთმან, რომელსა არავისი ნებავს წარწყმედაჲ, მიუჴლინა გულსა მისსა კეთილი განზრახვაჲ, აღდგა და განიპყრნა ჴელნი თჳისნი ღმრთისა მიმართ და თქვა – "დიდება შენდა, ღმერთო, რაჲმე არს საქმე ესე?" და ვაებაჲ მისცა მტერსა და მსწრაფლ წარაჲლინნა მოციქულნი საბერძნეთად" და სხვ. (გვ.93).

ჯუანშერი ამ ამბავს გადმოგვცემს სხვაგვარად: სპარსეთიდან დაბრუნებულ ვახტანგს მცხეთაში მთავარეპისკოპოსი მიქაელი დახვდა მეტად მტრულად. მიზეზი იყო ის, რომ ვახტანგი უკვე შუამდგომლობდა აღმ. რომის იმპერიის მთავრობასთან და კონსტანტინოპოლის პატრიარქთან კათალიკოსად პეტრე ეპისკოპოსის და მის მოადგილედ სამეულ ეპისკოპოსის დანიშვნის შესახებ. მთავარეპისკოპოსი მიქაელი იყო ამით უაღრესად აღშფოთებული და ამიტომ მან " კრულ ჰყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი". ვახტანგი, სპარსეთიდან მცხეთაში ჩამოსული, მაინც მივიდა საყდარში, მეფე გარდაჴდა საჴედარსა (ჩამოხტა ჯორიდან; ხალხური გადმოცემით, ვახტანგს უყვარდა ჯორით სიარული), რათამცა შეემთხვა ფერჯთა ეპისკოპოსისათა". მაშინ არსებული წესით მთავარეპისკოპოსს, როგორც ქართული ეკლესიის მეთაურს, ფეხზე ემთხვეოდნენ (ეს ძველის-ძველი წესი აქამდის შემონახულია რომის ეკლესიაში – რომის პაპს ახლაც ფეხზე ემთხვევიან). მაგრამ მთავარეპისკოპოსმა ამის პასუხად "განიხადა ფერჯი და მიამთხჳა პირსა მეფისასა, ფანდაკითა (მაღალი ქუსლით) შემუსრა კბილი მისი". ვახტანგი გამოვიდა მისგან და გააგზავნა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან დესპანები და სთხოვა მას კათალიკოსის და 12 ეპისკოპოსის სწრაფად გამოგზავნა. დესპანებს ვითომ თან მიჰქონდათ მეფის მომტერეული კბილიც პატრიარქის წინაშე მიქაელ მთავარეპისკოპოსზე საჩივლელად. პატრიარქთან გაგზავნილ იქნა მიქაელ მთავარეპისკოპოსიც. პატრიარქმა დატუქსა სასტიკად მიქაელი და გააგზავნა ის მღვიძარეთის მონასტერში. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა თავის მხრივ მიუწერა ანტიოქიის პატრი-

არქს, რომლის ხელქვეითად ითვლებოდა ქართლის ეკლესია, რათა მას ეკურთხებინა ქართლისათვის ახალი ეპისკოპოსები. ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა 12 ეპისკოპოსი და პეტრე კიდევ კათალიკოსად. ყველანი ესენი ჩამოვიდნენ მცხეთას. მცხეთასაც ვახტანგმა "აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტიცხოველი... მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად" (გვ.196-198).

ჯუანშერს ამ მწარე ინციდენტის დეტალები მიჩქმალული აქვს, მაგრამ მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკიდან საგულისხმებელია, რომ მიქაელის აღშფოთების მიზეზი უნდა ყოფილიყო მისადმი მიწევნილი ცნობა ვახტანგის მხრივ ქრისტიანობის ღალატის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ასეთი შეურაცხყოფით გაბოროტებული ვახტანგი პირველ ხანებში იმუქრებოდა კიდეც ქრისტიანობის დამხობით, ეი. განადურებით (მოქც. ქართლისაჲს ქრონიკის ცნობა; გვ.93). მაგრამ ვახტანგი სახელმწიფოებრივი ინტერესების გამო ითმენს მიქაელისაგან მიღებულ შეურაცხყოფას. ის მიმართავს ჯერ კონსტანტინოპოლის პატრიარქს და ამასთან ერთად კეისარსაც. ამ შუამდგომლობის ძირითადი აზრი უნდა ყოფილიყო დახმარების მოპოვება სპარსეთის წინააღმდეგ. პატრიარქი დამატებით კიდევ უნდა ჩარეულიყო ქართლის საეკლესიო საქმის მოგვარების საკითხში.

მოქც. ქ-საჲს ქრონიკაში ამ ამბავთან დაკავშირებულია კათალიკოსობის დაარსება, მაგრამ რადგანაც ეს ქრონიკა საერთოდ მეტისმეტად მოკლეა, ამიტომ გარკვევით არ ჩანს, თუ ამ ორ ფაქტს შორის (მიქაელის მხრივ ვახტანგისადმი მოქმედებასა და კათალიკოსობას შორის) დროის მიხედვით რამდენი ხარვეზი იყო. ჯუანშერს კი, ქრონიკის ასეთი ხასიათის გამო, კათოლიკოსობის დაარსება პირდაპირ გადაუბამს საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალობის მოპოვებასთან, რაც აშკარად არ შეეფერება სინამდვილეს.

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ვახტანგის კონფლიქტის მიზეზი მთავარეპისკოპოს მიქაელთან რელიგიურ-იდეოლოგიური ხასიათის იყო.

გათავდა ეს კონფლიქტი იმით, რომ მიქაელი გადააყენეს მთავარეპისკოპოსობიდან, მაგრამ არა უცბად. ყოველ შემთხვევაში მიქაელ ეპისკოპოსთან ამ კონფლიქტს, რის ლიკვიდაციას მაინც უნდოდა დრო, მოყვა შედეგად ის, რომ ვახტანგი და მასთან დაახლოებულნი აყენებენ ახლა საკითხს მეფისა და მისი კარისათვის, ეი. ქარ-

თლის სამეფოს მთელი მართებლობისათვის მცხეთის სანაცვლოდ ახალი რეზიდენციის მოწყობის შესახებ. არჩევანი შეჩერებულ იქნა თბილისზე.

§ 75. ტფილისის ;ამო;ეება
პირველი მშენებლობანი.

როგორც ეტყობა ვახტანგის დანიშნას ქართლის მეფედ თან მოჰყვა სპარსეთის ხელისუფლების წარმომადგენლის ქართლის მარზპანის გაწვევა. ამ მარზპანის მთავარ რეზიდენციად 369 წლიდან თბილისია საგულისხმებელი.

თურქი ეკლია ჩელები (XVII ს), როგორც ჩანს, რომელიღაც სპარსულ წყაროზე დამყარებით, გადმოგვცემს, რომ თბილისის მისი ტერმინოლოგიით მცირე ციხე (ასე ეძახის ის მეტეხის ციხეს) გაშენებულ იქნა იეზდიგერდ-შაჰის მიერო. აქ უნდა იგულისხმებოდეს იეზდიგერდ II (438-456), რომლის დროს სპარსელებს ამგვარად თბილისის ციხის და სოფლის პირდაპირ მტკვრის მარცხენა ნაპირას გაუშენებიათ რაღაც სიმაგრე. ეს ის სიმაგრე უნდა იყოს, რომელიც აბო ტფილელის ცხოვრებაში მოხსენებულია სადილეგოს (სატუსაღოს) სახელით.

ეს ცნობა არის საყურადღებო იმითაც, რომ ცხადჰყოფს თბილისის წინ წამოწევას 440-450-იან წლებში. უმეფობის დროსაც მცხეთა რჩებოდა საეკლესიო ცხოვრების ცენტრად. გარდა ამისა მცხეთაში ბინადრობდნენ სამეფო სახლის წევრნი. ბუნებრივია, რომ სპარსელების მარზპანს თავისი რეზიდენცია ჰქონდა არა მცხეთაში, არამედ თბილისში, სადაც ისედაც საკმაოდ ცოცხალი უნდა ყოფილიყო ხსოვნა სპარსელების შესახებ, რომელთა წარმომადგენლებს IV ს-ნეში, დაწყებული 369 წლიდან, იქ უნდა ჰქონოდათ თავიანთი ადგილსამყოფელი. თუ მარზპანი მართლაც თბილისში ბინადრობდა, რაც სავსებით შესაძლებელია, ამით მზადდებოდა ნიადაგი, რომ ახლო მომავალში თბილისი გამოცხადებულიყო ქართველების დედაქალაქად.

სომეხ ანონიმ გეოგრაფოსს VI ს-ნისას შემონახული აქვს ქართლის (იბერიის) და კოლხეთის მოკლე აღწერილობა, გადმოღებული, როგორც თავის დროზე ნაჩვენები იყო,[2] პაპი ალექსანდრიელის ბერძნულად საგულისხმებელი გეოგრაფიიდან (პაპი ცხოვრობდა იმპერატორ თეოდოსი დიდის — 379, 392-395 წწ. დროს). პაპს თავის მხრივ ხელთ

---

2 . ს.კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, ისტორიო მოამბე. 1924, 1, გვ.39-53.

ჰქონდა ამავე აღწერილობათა ქართული ტექსტი შედგენილი. საფიქრებელია მას შემდეგ, რაც თბილისის ციხე სპარსთა მეფის მარზპანის თუ პიტიახშის რეზიდენციად გადაიქცა (მაშასადამე, 369-375 წლების ახლოს). ამ გეოგრაფიულ აღწერილობაში ჩამოთვლილია ქართლის (იბერიის) ხევები შემდეგი თანამიმდევრობით: კლარჯეთი, შავშეთი, კოლა, არტაანი, სამცხე, აჭარა, გორაფის-ხევი, ტანის-ხევი, მანგლისის-ხევი, ქვეშის-ხევი, ბოლნისის-ხევი, თარი, დვანი, არაბეთის-ხევი, გვერდისძირის-ხევი, საცხუმეთი (საცხენეთი), ქსნის-ხევი, ცხრაზმა, ტფილისი და პარუარავი, წოვის-ხევი, კოლბის-ხევი, ძორის-ხევი, ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, კანგარქი, კუხეთი, ხერკი, ერწო, თიანეთი, წობენორი.

თბილისის მხარის შესახებ ამ აღწერილობაში ნათქვამია: "არაგვი გამოდის კავკასიონიდან და მომდინარეობს სამხრეთისაკენ სიმაგრე ახალციხეზე, გადის ქალაქ მცხეთას, (უფლის) წმინდა ჯვარის ბორცვს, ერთვის მტკვარს და (ამით) ამთავრებს ქართველების ზემო ქვეყანას. მტკვარი განაგრძობს მიმდინარეობას და ჩადის ტფილისს, ქართველების დედაქალაქში, გადის პარუარავს, შემდეგ წოფის-ხევს" და ასე სხვ.

ცოტა ამაზე ზემოთ იმავე აღწერილობაში არის ასეთი ადგილი: "მანგლისის-ხევი (ქვეშის ხევი), ბოლნისის-ხევი ვიდრე პარუარის ოლქამდის, რომელიც გარს ერტყმის ტფილისს" და სხვ.

ამგვარად თბილისს გარს ერტყა ოლქი პარუარ (მეორე მცდარი დამწერლობით – პარუარავ), რომელიც იწყებოდა მცხეთა-არმაზის შემდგომი ხაზიდან და თავდებოდა ალგეთის ზემო ხეობის და მდ. ქციახრამის ხეობათა დაწყებამდის. სახელის პარუარის მნიშვნელობა ირკვევა ფაჰლაური წყაროებით. შაპურ I-ის წარწერაში (პერსეპოლისი, ზოროასტრის კაბა)ფაჰლაურ ტექსტში მოხსენიებულია strdstn'n MN (იდეოგრამა) plw'ly -"შაჰრისტანან მენ პარვარი" – ქალაქები ოლქებით. აქ მოხსენიებული farvar pariwara ნიშნავს ოლქს, მხარეს, ქალაქის მიმდგომ მხარეს.[3] იმავე წარწერის ბერძნულ ტექსტში იხსენიება "ქალაქი მიმდგამი მხარით" (povlis du;u == h pericw[rw). ეს არის იგივე პარვარ.

ამის მიხედვით ეჭვს გარეშეა, რომ ქართლის პარუარ ნიშნავს თბილისის ოლქს, ამ ქალაქის მიმდგამ მხარეს. როდესაც 369 წლიდან

---

3 . Herrfeld, Altperzsische Inschriften, S, 75; Н.В. Пигулевская. Города Ирана в раннем средневековье, стр.172.

თბილისში დანიშნული იქნა სპარსელების მარზპანი ანუ პიტიახში, მას, როგორც ჩანს, მიაკუთვნეს მისი კარის და თბილისის გარნიზონის შესანახად მიმდგამი მხარე — პარვარი მცხეთა-არმაზის სამხრეთიდან ვიდრე მდ.ქცია-ხრამის მიდგამდის. ქართლის მეფე ვარაზ-ბაკური კი მცხეთიდან ხიდარს (ჟინვანთან) "უკუჴდა" (მოქც.ქ-ის ქრონიკა, გვ.91-92). მდ.ქცია-ხრამის სამხრეთით მდებარე ქართული ქვეყანა სასანიანთა სპარსეთის პიტიახშს ემორჩილებოდა.

თბილისი სომხურ გეოგრაფიაში მოხსენებულია ქართველების დედაქალაქად. ეს შესწორება ტექსტში შეტანილი უნდა იყოს ვახტანგ გორგასალის დროს.

ქართლის სამეფოს აღდგენის და მარზპანობის გაუქმების შემდეგ თბილისი თავისი "პარვარით" (პარუარავით) ვახტანგის ხელში უნდა გადასულიყო. ამის შედეგად თბილისის პარუარი გაუქმებულ და ყოველ-შემთხვევაში სახელშეცვლილი იქნებოდა.

როგორც მოხსენებულ იყო, ხალხური გადმოცემა ვახტანგის მიერ მაყათართან შებრძოლებისას ფიცის გატეხას აკავშირებდა მეტეხის ეკლესიის გაშენებასთან თბილისში. მეტეხის სახელის ხალხური ეტიმოლოგიური ახსნა, რასაკვირველივ, არაა სწორი. სახელი მეტეხი არის იგივე ბერძნული metwghv" — წილის მქონეობა რაშიმე. "მეტეხის ეკლესიის სახელი, წერდა პლიოსელიანი[4] წარმომდგარია ბერძნული სიტყვისაგან მეტოხი, რაც ნიშნავს მონასტრის განყოფილებას (подворье). ის მიძღვნილია ღვთისმშობლის ოდიგიტრის[5] სახელისათვის. ამ უქმის შემოღება, რომელიც მიეკუთვნება იმპერატორ თეოდოსი უმცროსის (408-450 წწ.) ჟამს, მხოლოდ მცირედ უსწრებს თბილისის, მასში ქართველ მეფეთა სასახლის და მეტეხის ეკლესიის, როგორც კარის საყდრის, დაფუძნებას. ეს ეკლესია იყო კარის და აგრეთვე ქართველ კათალიკოსთა მეტოქედ (подворье), როგორც ეს ჩანს ძველი სიგელებიდან. მეტეხის სახელწოდებისაა იმავე დროს ეკლესია ქართლში თბილისიდან 60 ვერსზე. აგრეთვე ოდიგიტრის სახელობისა და ასევე ქართლის ავტოკეფალურ კათალიკოს-პატრიარქების მუდმივი მეტოქე-დღესასწაული სრულდება დიდ-მარხვის მეხუთე კვირის შაბათს აკათისტით. გუმბათი, რომელიც ძველი ხუროთმოძღვრების ხასიათს ატარებს,

---

4 . Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866, стр.23.

5 . ოდიგიტრია (ბერძ. odhvghtria) გზის მაჩვენებელი. ეს იყო მარიამ ღვთისმშობლის ზოგიერთი ხატის სახელწოდება.

გვიანდელი დროისაა. ხოლო დანარჩენი კი მიეკუთვნება V ს-ნეს. როგორც ვახტანგ გორგასალის დროინდელი, მეტეხის ეკლესია უძველესია თბილისის ტაძრებს შორის. გუმბათი ჯამთა სიგრძეზე ჩამოინგრა და შეკეთებულ იქნა დიმიტრი თავდადებულის მიერ, რომელმაც სარწმუნოებისათვის მოწამოებრივი გვირგვინი მიიღო 1289 წელს"_

ამ ცნობის მოცემისას პლიოსელიანი, ეჭვგარეშეა, ემყარებოდა მტკიცე ხალხურ გადმოცემებს, რომელიც მის დროს ჯერ კიდევ არსებობდა ორივე მეტეხის ეკლესიის დაფუძნების შესახებ ვახტანგ გორგასალის დროს. თბილისის მეტეხის ეკლესია, ხუროთმოძღვარ მიხ. ჩხიკვაძის დაკვირვებით, თავდაპირველად გაშენებული უნდა ყოფილიყო, როგორც ბაზილიკური ტიპის უგუმბათო ეკლესია. ის შემდეგ გადაკეთებულ იქნა გუმბათიან ეკლესიად და საფიქრებელია ეს მოხდა XII ს-ნეში, როდესაც თბილისი კვლავ გახდა საქართველოს დედაქალაქი ანდა XIII ს-ნეში დიმიტრი თავდადებულის დროს.

ქალაქ თბილისის მშენებლობის დაწყებას 457-458 წლისათვის ადასტურებს ის გარემოება, რომ თბილისში მალე ამის შემდეგ დაფუძნებულ იქნა საეპისკოპოსო კათედრა — ქართლის ეპისკოპოსების 463-465 წლის ახლოდროინდელ სიაში უკვე იხსენიება ეპისკოპოსი ტფილელი. ეს საეკლესიო კრება მოხდა სომეხთა კათალიკოსის ბაბკენის დროს და როგორც ჩანს, ის შეკრებილა საქართველოშივე (უფრო ალბათ მცხეთაში).[6]

პლიოსელიანს, რომელიც ამ შემთხვევაში უეჭველად, პირველ რიგში, ეკლესიურ წრეებში დაცულ ხალხურ გადმოცემებით სარგებლობდა, ჩამოთვლილი აქვს ხუთი ეკლესია, რომლებიც ვახტანგმა გააშენებინა თბილისში (ის ამბობს ამ ეკლესიათა გეგმების შედგენაზე, მაგრამ ცხადია, რომ გადმოცემაში ლაპარაკი იქნებოდა თვით ეკლესიების აშენების შესახებ). ეს ეკლესიები შემდეგია: სიონის ღვთისმშობლის ეკლესია, მეტეხისა, როგორც კარის ეკლესია, ჯვარისა — სახელწოდებით გოლგოთის ეკლესია, ბეთლემისა, რომელიც შემდეგში (შემდგომ საუკუნეებში) გადავიდა სომხების ხელში და მას ფეთხაინის ეკლესია დაერ-

---

6 . პლიოსელიანი, დედაქალაქის გადმოტანას მცხეთიდან თბილისში ჯერ მიაკუთვნებდა 469 წელს (Города существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, стр.83), magram Semdag (Описание древностей города Тифлиса, стр.12) ეჭვნეობდა მატიანეს აზრს და ვახუშტის ქრონოლოგიას, რის გამო თბილისში დედაქალაქის გადმოტანას თვლიდა ვახტანგის შვილის დარი მეფის დროს მომხდარ ფაქტად, დარი კი მეფობდა 499 წლიდანო.

ქვა, მეხუთე იყო მთავარანგელოზ მიქელის სახელწოდებისა. ამ უკანასკნელი ეკლესიის ნანგრევებზე შემდეგ, გვიან საუკუნეებში, აშენებულ იქნა წმ.გიორგის კარის ეკლესია, მოღწეული ჩვენამდის.[7] არც ერთი ეს ეკლესია არაა პირვანდელი სახით დარჩენილი, ზოგი გადაკეთებულია რადიკალურად (მაგ.ჯვარის ანუ გოლგოთისა), ზოგი ახლად აგებული, მაგრამ საყურადღებოა, რომ გადმოცემა ვახტანგ გორგასალის ხანას მიაწერდა ამ ხუთივე ეკლესიის აშენებას.

თბილისის სიონის გაშენებას ვასტანგ გორგასალის დროს ადასტურებს დოკუმენტური მასალა. მოქ.ქართლისაის ქრონიკა გადმოგვცემს, რომ გვარამ კურაპალატის დროს (627-629 წლების ახლოს) "ტფილისისა მკვიდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს — ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი" (გვ.95). ლეონტი მროველს ეს ცნობა დაზუსტებული აქვს შემდეგნაირად: "გვარამ კურაპალატმან გაანახლა საფუძველი ტფილისისა სიონისა" (გვ.222). ცხადია, რომ თბილისის სიონის ქვითკირის შენობა მანამდისაც არსებობდა. არაფერს იძლევა ამ საკითხისათვის ახალს სუმბატის ქრონიკა, რადგან ის იმეორებს მოქც. ქართლისაის ქრონიკის ცნობას.

სიონის ტაძარს დიდი სახელი ჰქონდა. სამცხეში, სოფ. უდეში ჩაწერილია ასეთი ხალხური ლექსი:

"დაგლოცოს პირმა ღვთისამა,
ნაწილმა ბარძიმისაო,
ზედ შეხვეულმა ჯვარ-ხატმა,
სიონმა ქალაქისაო".[8]

სიონი ებრაული სიტყვაა, ნიშნავს მზიურს, ბრწყინვალეს. ასე ეწოდებოდა იერუსალიმის ყველაზე სამხრეთ გორაკს, რომელზედაც გაშენებული იყო სოლომონ მეფის სასახლე და რომელზედაც შემდეგ იროდ მეფემ გააშენა დიდებული ტაძარი (დანგრეულ იქნა რომაელების მიერ). აქედან სიონი ერქვა საერთოდ ღვთის იეჰოვას საკრებულოს, თვითონ იერუსალიმს (შვილნი სიონისანი ნიშნავს იერუსალიმის შვილთ), ხოლო ქრისტიანებისათვის სააქაო და საიქიო ეკლესია — შეკრებულებას. მცხეთის სვეტიცხოვლის საყდარს სიონის სახელი შერჩა მის რეკონსტრუქციამდის ("ქართლის ცხოვრება" გვ.198), თბილისის მთავარ ტაძარს თავიდანვე დაერქვა სიონი, და სხვ. რადგანაც თავდაპირველად

---

7 . Описание древностей города Тифлиса, стр.11.

8 . გაზ. "ივერია", 1891, № 201

ტაძრები შენდებოდა სამნავიანი ბაზილიკის ტიპის, ამიტომ ხშირად სიონს აიგივებდნენ ასეთ ნაგებობებთან, მაგრამ ასეთი გაიგივება მოკლებულია სიზუსტეს. ატენში VII ს-ში გაშენებულ ტაძარს ჰქვია სიონი მიუხედავად იმისა, რომ ის თავიდანვე აგებული იყო ჯვარის სახის გუმბათოვან ეკლესიად.

პლიოსელიანს ჩამოთვლილი აქვს[9] სიონის სახელწოდების ძველი ტაძრები საქართველოში (თბილისის და მცხეთის სვეტიცხოვლის გარდა): სიონი სამშვილდოსა, სიონი ბოლნისისა, სიონი ერწოსი, სიონი ხევისა (სტეფანწმინდის სამხრეთით 6 ვერსზე), სიონი ატენისა, სიონი უწერის (დანგრეულ იქნა 1954 წელს), სიონი გარეჯისა, სიონი ხინოწმიდის ქობულეთის მხარეში, შილდის სიონი, სიონი ჭართან (ზაქათალასთან). ყველა ეს ტაძარი თავდაპირველად გაშენებულ იქნა IV-VII ს-ნებში.

შარდენის გეგმაზე სიონსა და ნორაშენს შუა (უფრო ახლოს ნორაშენთან) აღნიშნულია გუმბათიანი ქართული ეკლესია თეთრი შენობის, ეი. თეთრაშენის სახელით. შარდენი მისთვის მიწოდებული ინფორმაციის შედეგად წერს, რომ ეს ეკლესია გაშენებული იყო მარიამ დედოფლის მიერ. მაგრამ რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს, ცხადი ხდება თვით იმ ფაქტიდან, რომ სიონის თითქმის გვერდით (დაახლოებით იმ ადგილას, სადაც 1813 წელს ამპირული სტილის გამოყენებით გაშენებულ იქნა სამრეკლო) არ იქნებოდა საჭირო XVII ს-ნეში ახალი ქართული ეკლესია აეშენებინათ. სახელი თეთრაშენი ან თეთროსანი არის ძლიერ ძველი და უკავშირდება ეგრეთ წოდებულ ლევკოთეას (ბერძნულად) ან ქართული თარგმანით თეთრი ქალღმერთის კულტს. სტრაბონის დროს ლევკოთეას განთქმული ტაძარი სამცხეში იყო. ეს იყო ზღვის ქალი-ღვთაება და იმავე დროს მოგზაურთა მფარველიც.[10] ამ თეთრი ღვთაების კულტი ქრისტიანულ ხანაში შერწყმულ იქნა ღვთისმშობელთან და ამიტომ საქართველოში ადგილ-ადგილ იყო თეთროსან ღვთისმშობლის ტაძრები (მაგ., ხობის თეთრო-

---

9 Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, стр.96-97.

10 . თეთროსან ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები შენდებოდა სომხეთშიც. ასეთი იყო, მაგ., სურბ-კარაპეტის მონასტერი ზინჭირლში (სიუნეთში), სადაც მთავარი საკვირო სპიტაკოვრ-ასტვაწაწინის (თეთროსან ღვთისმშობლის) სახელზე იყო გაშენებული (Г. Овселян. Потомство Тарсаича Орбеляна и Манахатуны. ХВ, П, 1914, стр.236-237).

სანი ღვთისმშობლის ტაძარ-მონასტერი, ამავე სახელობის განთქმული ეკლესია იყო ქობულეთის მხარეში — ხუცუბანში და სხვ.).

ეს სახელი ძველი თბილისის ტერიტორიაზე შემთხვევით არაა წარმოშობილი. ჩანს, ისტორიული სიონის თითქმის გვერდით წარმართულ ხანაში უნდა ყოფილიყო ხსენებული თეთრი ქალღმერთის სახელზე სალოცავი. ამ ღვთაების ხასიათის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ამ არეში იყო სწორედ მსხემთა უბანი, სადაც ჩერდებოდნენ თბილისზე გამვლელი მგზავრნი (ვაჭრები და სხვ.). ქრისტიანულ ხანაში თეთრ ქალ-ღვთაების სალოცავი გაუქმდა და მის მაგივრად და მის ადგილას აშენებულ იქნა თეთროსანი ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი.

ამგვარად, ვახტანგის დროს ქრისტიანული სალოცავების მშენებლობის მხრივ ჩატარებულ იქნა მნიშვნელოვანი სამუშაოები, სალოცავები შენდებოდა საჭიროების მიხედვით და თვით მოსახლეობის მონაწილეობით. გვიანდროინდელი ფაქტების მიხედვით თბილისში სავარაუდებელია, რომ მარტო ამ ხუთი ქრისტიანული სალოცავის მიხედვით, თითოზე 30 მეკომურის ჩათვლით, უნდა ყოფილიყო 150 მეკომური, ან მაშინდელ მეკომურზე საშუალოდ 8-10 სულის ჩათვლით სულ ცოტა, დაახლოვებით 1,3 ათასი ორი სქ. მუდმივი მცხოვრები, მხოლოდ ქრისტიანი ქართველი, მაგრამ ეკლესიები თბილისში (მაგ„ ხის) სხვებიც იქნებოდა.

თბილისის ზედა ციხეს მანამდისაც დიდი ხანია უკვე ერქვა კალა. ეს ჩანს შემდეგიდანაც. მოქც. ქართლისაჲ ვარაზ-ბაკურ მეფის დროს (369 წლ. ახლ.) თბილისში სპარსთა მოსვლის შესახებ ამბობს: "მოვიდა ქრამ ხვარ ბორ-ზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად ქალაქად ციხედ"; მეორე ვარიანტი: "ტფილის და კდ ციხედ", ტექსტი აქ შეიძლება აღდგეს ამგვარად: "მოვიდა ტფილისად კალად ციხედ"(გვ.92).

კეისარ ირაკლის ლაშქრობის დროს (627 წ) მოქც. ქართლისაჲ გადმოგვცემს: "უკმო ციხისთავმან კალაჲთ ტფილისასაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაცბოტობით"; ვარიანტი: "უკმო ციხისთავმან კალათ ტფილის(ი)თ მეფესა ერეკლეს გამოზრახვად" (გვ.96). უნდა იყოს: "უკმო ციხისთავმან კალაჲთ ტფილისისაჲთ". ამ ციტატების ერთმანეთთან შედარებით ირკვევა, რომ თბილისის ზედა ციხეს ერქვა კალა. პირველ ციტატაში "ტფილისად კალად ციხედ" სიტყვა ციხე წარმოადგენს კალას განმარტება-თარგმანს და არსებითად ზედმეტია. ვახუშტიც

ადასტურებს, რომ ზედა ციხის მთელს უბანს კალა ერქვა. ახლაც თბილისის მკვიდრი მაპმადიანნი ზედა-ციხის უბანს კალას ეძახიან.

კალა (კალე) ძველი სპარსული სიტყვაა, ნიშნავს შემოზღუდულ ადგილს, ციხეს. ეს სიტყვა შემდგომში სპარსულიდან შესულია არაბულში. თბილისის ციხის ასეთი სახელწოდება ამტკიცებს, რომ მას, როგორც ქვითკირის ნაგებობას, საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ აქემენიანთა ხანაში, მაშასადამე დაახლოებით VI ს-ნის მეორე ნახევრიდან ჩვ. ე-მდის, როდესაც მეფე კიროსით სათავეში დაარსებულმა ძველმა სპარსეთის მონარქიამ თავისი სახელმწიფოს საზღვარი მიატანა კავკასიონის ქედს.

ამასთანავე მოქც. ქართლისაჲ VI ს-სათვის განასხვავებს ერთმანეთისაგან თბილისს და კალას ("მაშინ მცხეთა ათხულდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდებოდა"). აქ თბილისი ერთია და კალა (ციხე) სხვა. ჯუანშერიც ქართლზე სპარსელების მოსვლის შესახებ ამბის გადმოცემისას წერს: "ტფილისი სოფელი და კალაცა მოოჯრებული იყო მაშინ". სოფელი ტფილისი, როგორც ეს ვახუშტისაც აქვს აღნიშნული, უნდა ყოფილიყო ახლანდელ ხარფუხში წავკისის წყალის სამხრეთით. ცხელი წყაროები თითქმის მთლიანად იქ არის განლაგებული და სახელიც აქედან არის წარმომდგარი ანდა ბუნების ამ თვისებასთან არის შეგუებული (ტფილი-ტფილისი). ხოლო ციხის ქვემოთ უბანს, როგორც მატიანის ცნობიდან ვარაზ-ბაკურის შესახებ ჩანს,[11] ერქვა მცხეთა ანუ მსხემთა (დროებით მცხოვრებთა, იგულისხმებიან არამკვიდრნი — ვაჭრები და სხვ.) ადგილი. ციხეც მაშინ (369 წლის ახლოს) ამ მსხემთა დასაცავად ყოფილა დანიშნული ("ციხედ მცხეთისად"). ვახტანგმა გააშენა ქალაქი სწორედ ამ მსხემთა ადგილას, ეი. მისცა ამ სავაჭრო პუნქტს უფრო სწორი და რაციონალური მოწყობა.

1780-იან წლებში ამ ადგილას (წავკისის წყალიდან ვიდრე სიონის ტაძრამდის ჩრდილოეთით) მოთავსებული იყვნენ შემდეგი დარგის ხელოსნები (ერთი ხელობის ერთ ჯგუფად) და მოვაჭრეები: მეტყავეები, შუშის ქარხანა, ალაფები (მეფეკვლეები), სირაკები, იქვე იყო გადახურული ბაზარი, ბაზაზები (არაბული სიტყვაა, მატერიებით მოვაჭრე, მეწვრილმანე), მებამბეები, მექვაბეები (სიონის ჩრდილოეთით), ხარაზები, მემაუდეები, სპილენძის და რკინის ნივთების ხელოსნები,

11 . "აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისად" (გვ.136).

სამღებრო (ლილასანა), ოქრომჭედელნი (პიშჩევიჩის რუკით შესაძლებელი ხდება ამ ხელოსანთა რიგების ლოკალიზაცია). ჩანს, ხელოსნები და ვაჭრები თბილისში, XVIII ს-ნეში, განლგებულნი იყვნენ დაახლოებით იმავე ფართობზე, სადაც IV ს-ნეში მსხემნი და სადაც იყო მათი უბანი მცხეთა.

მაგრამ მსხემთ, როგორც დროებით მცხოვრებთ და წამსვლელ-მომსვლელთ (მსხემი ძველს ქართულში არამკვიდრს ნიშნავს), უფრო ძველად არც სათანადო ნაგებობანი ექნებოდათ. ახლა კი, ვახტანგის დროს, როგორც ჩანს, გამენებულ იქნა მუდმივი საეაჭროები და დასახლებულ იქნენ მკვიდრი ხელოსან-ვაჭრები. ამაში გამოიხატა უმთავრესად ქალაქის გაშენება (თბილისის განლაგების შესახებ ამ ხანაში იხ. ქვემოთ).

მაგრამ თბილისში დედაქალაქის გადმოტანისათვის მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე შემდეგ გარემოებას. ეს ის დრო იყო, როდესაც დაწყებული იყო ქალაქების აგრარიზაციის პროცესი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქების მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი თავის მთავარ საქმიანობასთან ერთად მისდევდა მიწის დამუშავებასაც ანდა ქალაქებში საკმაოდ ბლომად ცხოვრობდნენ მიწათმოქმედნი. ამ თვალსაზრისით თბილისს მცხეთასთან შედარებით ჰქონდა თვალსაჩინო უპირატესობა. მცხეთას თითქმის არ აკრავს, ან მეტად მცირედ, დასამუშავებლად გამოსადეგი მიწა. თბილისის ირგვლივ კი ბლომად იყო სახნავი მიწები (ვარდისუბანი, ვაკე, ვერა, კუკია, დიდუბე), საბალე ადგილები (სოლალაკი, ორთაჭალა და სხვ.), აგრეთვე მესაქონლეობისათვისაც ვარგისი ფართობები (ყარაუთა ანუ შემდეგდროინდელი სოღანლუღი და მის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ველები და სხვ.). ეჭვგარეშეა, რომ ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი დედაქალაქის გადმოტანას მცხეთიდან თბილისში.

76. საკითხი სამეფო დარბაზის ტფილისში გაშენების შესაძლებლობის შესახებ.

არმაზის ბილინგვაში (I ს) არამეულად დაწერილ ტექსტში მოხსენიებულია დარბაზის (ტარბას trbs) ბატონი, რომელსაც ბერძნულ ტექსტში შეესატყვისება ეპიტროპოს, რაც მმართველს ნიშნავს. ორივე ტერმინი კიდევ იქვე მოხსენიებულია ტერმინის პიტიახშის შემცვლელად. სახარების ტექსტში (ლუკ.,8,3) ბერძნული ეპიტროპოს ქართულად მოცემულია ტერმინით ეზოს-მოძღვარი (ეზოს მასწავლებელი,

ხელმძღვანელი). რადგანაც ასურული ტარბასსუ (tarbasu) ეზოს ნიშნავდა, ამიტომ აქ ეზოს-მოძღვარის სახით ქართულად ვღებულობთ ტერმინის ზუსტ თარგმანს. მაგრამ გ.ჩიტაიას მიერ მიკვლეული მასალით ეზო ხეტსურეთში ეწოდება სახლის ცალკე ნაწილს, საცავს, საიდანაც ტერმინს ეზოს შეიძლება ჰქონოდა სახლის მნიშვნელობაც. ამის მიხედვით გასაგებია, რომ დარბაზმა ქართულში მიიღო სახლისავე მნიშვნელობა.VII ს-ნისათვის (ჯვარის საყდართან დარბაზის გაშენების მოხსენიების გამო)[12] ეს ცვლილება უკვე მომხდარი ფაქტი იყო, რადგანაც სახარების ტექსტებში დარბაზი ასეთი მნიშვნელობით არ იხსენიება, ამიტომ ხსენებული ცვლილება ტერმინის დარბაზის სემანტიკაში უნდა მომხდარიყო V ს-ნის მეორე ნახევარში ანდა VI ს-ნის პირველ ნახევარში. დარბაზად, უპირველესად, იხსენიებოდა სამეფო სახლი (სასახლე; იხ. მაგ.: IX-X ს-ეების ფავნელთა სიგელი, სადაც "დარბაზით გამოსულნი ჯელოსნები" ნიშნავს სამეფო კარიდან გამოსულ მოხელეთ. ამიტომაც ტერმინს დარბაზს პირვანდელი მნიშვნელობა ახლისად შეიძლება შესცვლოდა სწორედ სამეფო რეზიდენციის მიმართ (კარ-ეზო; ეზო-სახლი; სასახლე). ამ მოსაზრებით ძლიერ დაშორებული სიმართლეს არ იქნება ვარაუდი იმის შესახებ, რომ სწორედ ვახტანგის მიერ თავის ახალ სატახტო ქალაქში გაშენებულ სასახლეს ერქვა სახელად დარბაზი. XV ს-ნის პირველ ნახევრისათვის ქსნის ერისთავთა ძეგლი იხსენიებს ქვენიფნევში გაშენებულ დარბაზოვანს "ტფილურითა წქსითა" (ქრონიკები II, გვ. 8). მართალია, ეს შედარებით მეტად გვიანდელი ცნობაა, მაგრამ დარბაზის "ტფილური წესი", საუკუნეთა განმავლობაში ცვალებადობასა და განვითარებაში მყოფი, შეიძლება ძველიდანვე არსებულიყო და საფუძველი მას ჩაუროდა იმ დროს, როდესაც თბილისი გადაიქცა, რეზიდენციად სახელმწიფოს მეთაურის, მისი პალატისა და ბანაკის, როგორც მაშინ იტყოდნენ ანდა მისი კარის, როგორც უფრო გვიან ან შესაძლებელია მაშინაც გამოთქვამდნენ. მართლაც ატენის ქალაქის აღმშენებელი 1060 წლის ახლოს წერს — ავაშენოთ "დარბაზი და ქალაქი" და შემდეგ ქულბაქებიო.

---

12 . მატიანეში სტეფანოზ II-ის შესახებ 635-637 წლ. ახლო სანისათვის ნათქვამია: "შან მოადგნა ზღუდენი ეკლესიათა ჯუარისა პატიოსნისათა და აღაშენა დარბაზნი და დაუწერა კრება ყოველთა პარასკევთა" (გვ.228). დარბაზი აქ უკვე სახლს ნიშნავს.

ამგვარად, ვახტანგისაკე დროს თბილისში გაშენებული უნდა ყოფილიყო დარბაზი — სამეფო სასახლე, შემდეგ კი ამ ტერმინმა ახალი მნიშვნელობა მიიღო.

უსტანესი (X ს, §7) გადმოგვცემს ქართულ-სომხურ ეკლესიურ განყოფის შესახებ თავის ისტორიაში, რომ კირიონი ცხოვრობდა თბილისში სიონის კარიბჭეში, სამეფო სასახლის სიახლოვეს. მოსე ცურტავის ეპისკოპოსი, წერილში, სუმბატ მარზპანის სახელზე, ჩივის რომ კირიონ კათალიკოსმა ცხრა დღე გამაჩერა თავის კარზე (ეი. თავის სახლთან ახლოს) თბილისში და არ მიმიღო. უსტანესი აღნიშნავს, რომ მოსე ამ ცხრა დღეს სიონის ახლოს იაკობ მღვდელთან ცხოვრობდაო. გამოდის, რომ თბილისში მთავარ ეკლესიად ვახტანგის დროიდანვე სიონი ითვლებოდა, ხოლო სიონის ახლოს იყო მეფის სასახლე.

ქართლ-სომხეთის ეკლესიათა განყოფის შესახებ მიწერ-მოწერის დროს (608-611 წლები) თბილისში დიდი ხანია უკვე მეფე არ ივჯდა (მეფობა გაუქმდა 522 წლის ახლოს), მაგრამ ყოფილა სასახლე-დარბაზი, რომელიც მეფის (სამეფოს) სახელს ატარებდა. ეს სასახლე-დარბაზი გაშენებული იყო უადრეს 522 წლისა, შესაძლებელია უფრო ადრეც. ცხადია, რომ ამ სასახლეში მეფეს უნდა ჰქონოდა რეზიდენცია და საკმაოდ ხანგრძლივადაც, რადგანაც უამისოდ მას შთამომავლობის ხსოვნაში არ განუმტკიცდებოდა მეფის სასახლის სახელი. ამით დასტურდება, რომ ხსენებული სასახლე გაშენებული უნდა ყოფილიყო ვახტანგის დროს.

სასახლე-დარბაზი ყოფილა სიონთან ახლოს, მაშასადამე, მტკვრის ნაპირას და თბილისის ქალაქის შემდეგდროინდელი (მართალია, გვიანდელი) განლაგების შესახებ არსებული ცნობების მიხედვით, უფრო სიონის სამხრეთით, მაგრამ არც მთლად გვერდით ("ახლოს" იყოო, ამას უნდა ნიშნავდეს).

ამრიგად, ზემოდ აღნიშნულიდან ცხადია, რომ თბილისი გამოცხადებულ იქნა სამეფო კარის (ეი. მეფის და მართებლობის) რეზიდენციად, მაშასადამე, ქართლის სამეფოს მთავარ ქალაქად 457-458 წლების ახლოს. ცხადია ისიც, რომ იქ მაშინვე დაიწყო მოსახლეობის მიზიდვაც და საკმაოდ სწრაფადაც, ამის მაჩვენებელია ქვითკირის სულ ცოტა ხუთი ეკლესიის მშენებლობა ვახტანგ გორგასალის დროს. ამასთანავე მოსახლეობის ეს დასახლება თბილისში უნდა მომხდარიყო მოკლე ხანში და მასობრივად, შემდეგ კი შეწყვეტილა საკმაოდ

ხანგრძლივი დროით. ეს იქიდან ჩანს, რომ მოქც. ქართლისაგან ქრონიკა უკვე დაჩის მეფობის დროისათვის აღნიშნავდა — "ქალაქსა ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმინდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს" (გვ.94). დაჩის მეფობაში უკვე ეს იყო ახლად დასახლებულთა მეორე ტალღა, რომელმაც მოიცვა ახლანდელი ანჩისხატის (ხალხური ცნობით — მარინეს) ეკლესიის უბანი.

მაგრამ ამ ეკლესიების გარდა თბილისში ამ დროისათვის საგულისხმებელია კიდევ ერთი ეკლესიის აშენება — ეგრეთ წოდებულ ორმეოც მოწამეთა სახელზე (ორმეოცი მოწამენი სევასტიელნი ტანჯვით 320 წელს დახოცილ იქნენ ქრისტიანობის აღიარებისათვის ქალ. სევასტიაში, სომხეთში; ისინი იყვნენ მეომრები; ქრისტიანული ეკლესია მათ ხსოვნას აღნიშნავდა 9 მარტს). ლ.მელიქსეთ-ბეგის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით,[13] ორმეოც მოწამეთა ეკლესია არსებობდა ძველ თბილისში, წავკისის წყალის ხევთან ახლოს 1792 წელს გაშენებული ჰრეშტაპეტის (მთავარანგელოზის) ეკლესიის ადგილზე. თავდაპირველად ეს ეკლესია გაშენებულ იქნა ბერძნების მიერ, თუმცა ის შემდეგ სომხებს ეკავათ, ძველ გადმოცემებზე დაყრდნობით უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის დროს, როგორც ამას მოწმობს პლ.იოსელიანი,[14] თბილისში მცხოვრებმა ბერძნებმა დააყენეს საკითხი ამ ეკლესიის მათთვის დაბრუნების შესახებ. ორმეოც მოწამეთა ეკლესია იხსენიება აბო ტფილელის სიცოცხლეში (აბოს 786 წ. თავი მოკვეთეს ამირას ეზოს გარეთ, ამ ეკლესიის წინ. თამარ მეფის დროს ეს ეკლესია უკვე სომხების ხელში იყო და შემდეგაც მათ ხელში დარჩა. XVIII საუკუნის მე-2 ნახევარში ის მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო და ხელმეორედ გუმბათით აშენებულ იქნა 1792 წელს ძალზე უხარისხოდ. მიუხედავად ამისა ამ ეკლესიას, ადგილის გამო, ტრადიციით ჰქონდა დიდი სახელი და პატივისცემა. 1925 წელს ის დანგრეულ იქნა.

---

13 . О междуособице в Тифлисе в 1197 году по поводу кривой пасхи, Известия Кавк.ист.-археол. института в Тифлисе III, 1925, стр.49-60.

14 . Описание древностей гор.Тифлиса, Тиф., 1866, стр.233 ერთ ადგილას (Кавказский календарь, 1847, стр.147) პლ.იოსელიანი თბილისის დაარსების თარიღად ასახელებს 455 წელს ვახტანგ გორგასალის დროს. შემდეგ მან ასეთ თარიღად 469 წელი მიიჩნია. მაგრამ ბოლოს ეს თარიღები უარყო და დადგა იმ აზრს, რომ თბილისი სატახტო ქალაქად გამოცხადებულ იქნა დაჩი მეფის დროს 499 წლის შემდეგ. Описание древностей города Тифлиса, 1866, стр.12.

ის გარემოება, რომ ეკლესია, ძველი გადმოცემით, ბერძნების მიერ იყო გაშენებული, შეიძლება გამოდგეს მისი თავდაპირველად დაარსების გასარკვევად. ის დაფუძნებულია VIII ს-ნეზე უადრეს (აბო ტფილელის დასჯის დროს ის უკვე იყო). VI-VIII ს-ნეთა სიგრძეზე, გამონაკლისების გარდა, არ იყო პირობები ბერძნული კოლონიის დასაარსებლად თბილისში. უფრო ეს შესაძლებელი იყო ვახტანგ გორგასალის დროს, როდესაც (გარკვეულ ხანაში) ქართლი ეკონომიურად და პოლიტიკურად გადაიხარა აღმ. რომის იმპერიის მხარეზე. ამიტომ არ არის გამოკლებული შესაძლებლობა, რომ ორმეოც მოწამის სახელობის ეკლესია, რომელსაც ასეთი ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა, დაფუძნებულ იქნა ბერძნების მიერ ვახტანგ გორგასალის დროს. მეორე მისი ცოლი ხომ ბერძენი იყო, რომელსაც მოყვებოდნენ მოსამსახურენი და ამალა.

77. ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი თბილისში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგი უარყოფით ეპყრობოდა ცეცხლთაყვანისმცემლობას. ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ეს ცხადი ხდება. გარდა ამისა ის, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, იძულებული იყო ანგარიში გაეწია ცეცხლთაყვანისმცემლობის არსებობისათვის ქართულ ქვეყნებში. ეს სარწმუნოება საკმაოდ მოკიდებული იყო როგორც ქალაქებში, ისე ადგილებზედაც. მატიანეს ცნობების მიხედვით, ცეცხლთაყვანისმცემლობას მიმდევარნი ჰყავდა მთიულებს შორისაც. შემდეგშიდაც VII ს-ნის პირველ მესამედში, ცეცხლთაყვანისმცემელნი ბლომად იყვნენ ქართლის სამ ქალაქში — თბილისში, მცხეთასა და უჯარმაში და ბიზანტიის იმპერატორს ირაკლის, რომელიც ეომებოდა სპარსეთს, დასჭირდა სპეციალურ სასტიკ ღონისძიებათა ჩატარება მათ სალიკვიდაციოდ.

ვახტანგის გამეფებამდის ცეცხლთაყვანისმცემლობა ქართლის ზოგ ადგილებში პოულობდა ახალ მიმდევართ უმთავრესად ხალხის ფართე ფენებში. ჯუანშერიც კი, რომელიც მეტად უარყოფით უყურებს ცეცხლთაყვანისმცემლობას და "ჭეშმარიტი" (ე.ი. ქალკედონური) ქრისტიანობის ანუ დიოფიზიტობის დიდი მომხრეა იძულებულია აღიაროს, რომ 430-იან წლებში (და ცხადია შემდეგაც) ქართლში "მცირედნი ვინმე წვრილისა ერისაგანნი მიიქციეს ცეცხლისმსახურებასა" (გვ.145).

ცეცხლთაყვანისმცემელთ ჰქონდათ თავისი სამლოცველოები მუდმივი ცეცხლით, რომელიც მათ წმიდად მიაჩნდათ. სპარსეთის

შესახებ არსებული ცნობების მიხედვით ტაძარში წმინდა ცეცხლი იყო ჩვეულებრივ შუა ნაწილში, სადაც ამისათვის გაშენებული იყო საკვებით ბნელი სათაკსო. პირაკრული მოგვი დროგამოშვებით უმატებდა ცეცხლს შეშას, რომელიც წინასწარ მზადდებოდა გარკვეული რიტუალით. შეშის მიმატებისას მოგვი ჩურჩულით ამბობდა ლოცვებს. ტაძარი წარმოადგენდა რვაკუთხა დარბაზს. მას ჰქონდა რვა კარი.[15]

არაბი მასუდი (გარდაიცვალა 956 წ.) ასწერს ცეცხლის ტაძრის ნანგრევებს, რომელიც მან ინახულა ერთ ფარასანგზე ქალაქ სტახრიდან: ეს იყო, წერს ის, გასაოცარი შენობა და წარმოადგენდა შთაბეჭდილების მომხდენ ტაძარს. მან იქ ნახა გასაკვირლად დიდი ბლოკებისაგან გაშენებული სვეტები, რომელთა ზევით გამოსახული იყო ცხენები და სხვა ცხოველები, აღსანიშნავნი, როგორც ტანით, ისევე თავისი შესრულებით. შენობის ირგვლივ იყო, დიდი ხანდაკი (თხრილი) და მასიური ბლოკების გალავანი, რომელიც შემკული იყო მეტად მოხდენილად შესრულებული ბარელიეფებით. მეზობელ მოსახლეობას ეს ბარელიეფები მიაჩნდა წინასწარმეტყველების გამოსახულებად.

სპარსეთში მოწევნილია ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრების ნაშთები. ზოგი მათი ნანგრევები შესწავლილია (მაგ. არდაშირ I-ის ტაძრის ნაშთი). ტაძრების შენობა ჩვეულებრივ იყო გუმბათიანი ირგვლივ დამატებითი განყოფილებით. ხშირად მას ირგვლივ ჰქონდა ბაღი. ისპაანის ახლოს მდებარე გორის წვერზე არის ცეცხლის ტაძრის (პირეის) კარგად ცნობილი ნანგრევები.[16]

თბილისში მთის ფერდობის ამაღლებულ ადგილზე ბეთლემის (ფეთხაინის) ეკლესიის საძირეთით იქვე ახლოს მოწევნილია ცეცხლთაყვანისმცემელთა ძველი ტაძრის ნაშთი. პლიოსელიანის დროს ეს იყო აგურისაგან გაშენებული კვადრატული ნაგებობა თაღის (ეხლა თაღი არ არის). ქართულად მას უწოდებდნენ საკერპოს, მეორე მისი სახელი იყო კიდევ ათეშგა,[17] რაც სპარსულად ცეცხლის ადგილს ნიშნავს. შარდენს თბილისის გეგმაზე 1673 წ. ეს ნაგებობა აღნიშნული აქვს როგორც თითქოს კვადრატული, მაგრამ დაბალი სფერული გუმბათით.

---

15 . A.Christensen, L'Iran sous les Sassanides, pp.160,163.

16 . იქვე. გვ.160.

17 . პლიოსელიანი სხვაგანაც წერდა Жизнеописание святых прославляемых православной грузинской церковЮ, Тиф., 1850, стр. 51, прим.4), რომ ცეცხლთაყვანისმცემელთა ერთმა სალოცავმა თბილისში მოაღწია ჩვენამდისო.

ნაგებობას თან ჰქონდა მიწის თავისუფალი ფართობი, რომელიც შემოზღუდული იყო. ეს შენობა კარგად ჩანს ტურნეფორის (1700 წ) გეგმაზედაც. შარდენი მას იხსენიებს საზოგადო საწყობის სახელით. ცხადია, ათეშგას შენობა გამოყენებული იყო საწყობად (ჩანს, დიდი ხნიდან) და ამიტომაც ის შედარებით მოვლილ-დაცულიც იყო.

რასაკვირველია, ამ ათეშგის აშენება დაწყებული VII ს-ნის მეორე მესამედიდან შეუძლებელი იყო. საეჭვოა, რომ ამ ადგილს თბილისში ის აშენებული ყოფილიყო ვახტანგზე ადრე, რადგანაც იქ მოსახლეობა თითქმის არ იყო ანდა მეტად მცირე. ასეთი თუნდაც თავისთავად არა დიდი ნაგებობის აგება შეეძლო მორწმუნეთა მაინც მოზრდილ მრევლს. ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ათეშგას ეს შენობა აგებულია ვახტანგ გორგასალის დროს ადგილობრივ მცხოვრებ ან მოსულ ცეცხლთაყვანისმცემელთა მიერ.

78. ხალხი და თბილისის მშენებლობა.

არის ცნობა, თუ რა საშუალებების ამოქმედებით ხდებოდა თბილისის მშენებლობა. ამისათვის გამოსაყენებელია ერთი ხალხური ლექსი, რომელიც მით უმეტეს არის მნიშვნელოვანი, რომ გამოხატავს ციხე-ქალაქის მშენებლობაზე დაბანდებულ მომუშავეთა წვალებას, გამოწვეულს მუშაობის ნაწილობრივ მაინც იძულებითი ხასიათის მიცემით. ეს ლექსი იკითხება შემდეგნაირად:

"ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი ქვაზედა,
სამშაბათ იყო ყრილობა დიდი მეუფის კარზედა,
გლეხი კაცის შენახვა არავინ იდო თავზედა.
წამოდგა ხარი რქიანი — მე დამაწერეთ მხარზედა.
წამოდგნენ ანგელოზები, აკოცეს ორთავ თვალზედა:
წადი და ხარო, იხარე ცაზე და ქვეყანაზედა.
ექვსი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწექ მხარზედა.
ვინც კვირა-უქმით შეგაბას, რისხვა მიადგეს კარზედა.[18]

---

18 . ჯანინულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, თბ., 1955, გვ.74. ლექსი ჩაწერილია სოფ. დიღომში თბილისთან. ამ ლექსის მეორე ვარიანტი, რომელიც წინად იბეჭდებოდა იგოგებაშვილის "დედა-ენაში" იკითხება ასე:

"ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდეზედა;
გარს გალავანი არტყია, ცა ახურია თავზედა.
ადამიანის შენახვა ვერავინ იდო თავზედა;
ხვნა, ფარცხვა, ზიდვა სარჩოსი გასჭირდა მეტად ძალზედა.

მატიანით, 630-იან წლებში მცხეთაში "საეპისკოპოსოსა არნ ყოველთა სამშაბათთა კრება და ჯსენება პირველ-მოწამისა სტეფანესი და ყოველთა მოწამეთა" (გვ.229). საკათალიკოსო ტაძართან ასეთი კრებანი იყო ხუთშაბათობით. ამ საეპისკოპოსო ტაძარს მეორე სახელად ერქვა სამთავრო. სახელის მიხედვით ჩანს, რომ სწორედ ამ ტაძართან იმართებოდა მეუფის კარზე შეკრებილ მთავართა კრება. დღე სამშაბათი ასეთი ყრილობისათვის მოხსენებულია ხალხურ ლექსში. ცხადია, რომ მეუფის კარზე ყოფილა მსჯელობა გლახ-გლეხების მდგომარეობის შესახებ. მათ შესანახავად ხარჯის გაწევა "არავინ იდო თავზედა", რადგანაც მონის შრომა ამ დროს არ იყო დიდად მომგებიანი და გარდა ამისა გლახ-გლეხები მონები არ იყვნენ. ამიტომ გადაწყდა მათი გადაყვანა მიწათმოქმედებაზე და ხარებით მათი უზრუნველყოფა.

საყურადღებოა ლექსში ცნობა — "ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი ქვაზედა". თითქოს აქ უნდა იგულისხმებოდეს, რომ ორშაბათობით ხალხი უსასყიდლოდ გამოჰყავდათ სამუშაოდ საზოგადო სამუშაოებზე, როგორიც იყო მაგ. ციხე-ქალაქის აშენება.

ეს ლექსი გამოთქმულია: 1) როდესაც ქართლის სახელმწიფოს მეთაური ჯერ კიდევ უფრო მეუფედ იწოდებოდა (სახარების ქართულ ტექსტებში უფრო იხმარება მეუფე და მხოლოდ ძლიერ იშვიათად მეფე); 2) ციხე-ქალაქი რომ შენდება, იქვე ახლოს არის მეუფის რეზიდენცია, სადაც სამეფო ყრილობა-რჩევა არ იჩენდა მზრუნველობას სამუშაოზე გაყვანილი კაცების მიმართ; 3) ციხე-ქალაქი გაშენებულია ქვაზე ანუ კლდეზე, 4) ციხე-ქალაქს ცალკე გალავანი აქვს.

ლექსი შედგენილია მეუფეთა ხანაში, მაშასადამე უადრეს 522 წლის ახლო დროისა. ქვაზე ანუ კლდეზე გაშენებულად ციხე-ქალაქის მოხსენიება უდგება ძველ თბილისს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ლექსი გამოხატავს თბილისის ციხე-ქალაქის სამუშაოზე ორშაბათობით ვახტანგის და მისი შვილის დაჩის დროს სხვადასხვა

ხარმა სთქვა პირმა ნათელმა — მე დავიწერავ თავზედა;
მოცეკვდნენ ანგელოზები, დაკოცნეს ორთავ თვალზედა;
ჩამოჭნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორთავ რქაზედა;
- წადი ხარო, იმუშავე ერთგულად მთა და ბარზედა;
ექვსი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწექ მხარზედა;
ვინც კვირა-უქმით შეგბას, ხელი შეახმეს მკლავზედა".

სად ჰქონდა ეს ლექსი იგოგებაშვილს ჩაწერილი არ ჩანს. პირველი ვარიანტი კი გარკვევით თბილისის გარემოშია შემონახული.

(შეიძლება საკმაოდ დაშორებულ სოფლებიდანაც) მოყვანილი ხალხის დრტვინვას და გაჭირვებასაც. თამარ მეფის სიგელში შიო-მღვიმის მონასტრისადმი იხსენიება მეორშაბათე გლეხი, რომელსაც, როგორც ჩანს, სამსახურად ედვა ორშაბათობით მეპატრონის სასარგებლოდ მუშაობა: ორშაბათი შემდგომ საუკუნეებშიც დარჩენილა ზოგ ადგილას მაინც სავალდებულო სამუშაოსთვის განკუთვნილ დღედ.

საჩინოს მხარეში, იმერეთში, აქამდის დარჩენილია ხალხური ლექსი, რომელიც გამოხატავს გეგუთის ციხე-დარბაზის მშენებლურ სამუშაოებზე გამოყვანილი გურულების მწარე გულის წყრომას. ლექსი თავდება ლანძღვით მეფის გიორგი I-სადმი, რომელსაც გლეხები გამოუყვანია სამუშაოზე.

ყველაფერი ეს ცხად ჰყოფს რომ ასეთი სამუშაოები ძველ ხანაში ტარდებოდა სავალდებულო საბეგრო შრომის პირობებში, რაც ხალხის შეწუხებას იწვევდა.

79. უჯარმა.

ვახტანგის საყვარელ ადგილს შეადგენდა უჯარმა. უჯარმის ციხე-ქალაქი გაშენებულ იქნა I ს-ნის დასაწყისის ახლოს ჩვ. ე-მდის ასფაგურ მეფის დროს (ასფაგურ მეფეს ამ ციხე-ქალაქის ამშენებლად იხსენიებს მატიანე, გვ.59). მირიანის დროიდან ის ქართლის მეფის და მისი კარის მეორე რეზიდენციას წარმოადგენდა. ამიტომაც ვახტანგმა გადასწყვიტა აეშენებინა აქ დიდი ციხე. მშენებლობით მუშაობას ის თვითონ ხელმძღვანელობდა. "ვახტანგ დაჯდა უჯარმას, გადმოგვცეშ ჯუანშერი (ეს იქნებოდა მცხეთიდან გადასვლის და თბილისის მშენებლობის ჯერ დაუმთავრებლობის წლებში) და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა". (გვ.199). მაგრამ შემდეგ ვახტანგმა ვერ შესძლო თვითონ გასძღოლოდა ამ საქმეს და თავის შვილს დაჩის (ტახტის მემკვიდრეს) "უბრძანა აღშენება უჯარმისა – რამეთუ სიმარჯვეედ გამონახა იგი ნადირთა და ცხოვართათვის" (გვ.185). უჯარმა გადაიქცა ტახტის მემკვიდრის დაჩის რეზიდენციად. დაჩი დაიბადა 447-448 წლებში და 464 წლიდან (16 წლის ასაკიდან) უკვე ცხოვრებაში გამოსულად შეიძლება ჩაითვალოს. მოქც. ქართლისაას ქრონიკა დაჩის უჯარმელად იხსენიებს — ვახტანგის შემდგომ მეფობდა დაჩი უჯარმელიო (გვ.93).

უჯარმის ზედა-ციხეში ასფაგურ მეფის დროინდელ ძველ ნაგებობათა ნაშთი გამოსარკვევია (ნაწილი, როგორც ვახტანგის დროინდელ ნაშენობებზე უფრო ძველი, აშკარად ჩანს). ეს ზედა-ციხე, რო-

გორც ეტყობა, უკვე ძალზე დანგრეული, ვახტანგმა ხელმეორედ ააშენა და თან მოაყოლა ფერდობებზე ვრცელი გალავანიც კოშკებით. კოშკები აქ ოთხკუთხედია. წყობაც შესრულებულია მეტწილად კვადრებით (ეს ციხე X ს-ნის დასაწყისში, აბუსაჯის შემოსევის დროისათვის კვლავ ძალზე დაზიანებული იყო, სახელდობრ, როგორც ეტყობა მონგრეული იყო მდ. ივრის პირა გალავანის ნაწილი, და შემდეგ ის საფუძვლიანად შეაკეთეს).

უჯარმის ციხეს აქვს ზედა-ციხე 7 კოშკით. აღმოსავლეთით ზედა-ციხეს იცავდა მიუვალი პიტალო კლდე და ამიტომ ამ ვიწრო მხარეზე კედელიც არ ყოფილა გაშენებული. ამ კლდოვან მხარეზე ზედა-ციხეს მცირედ მოშორებით და მის ქვემოთ დგას კოშკი, რომელიც იცავდა ზემოთ ნახსენები პიტალო კლდის მისადგომს. ზედა-ციხეში არის ორსართულიანი ქვითკირის სასახლის ნაშთი, თითო სართულზე სამი სათაესოს მქონე, სულ მაშასადამე, ექვსი სათაესოს შემცველი. სასახლეს ჰქონდა მაღალი და ფართე სარკმლები ნალისებური თაღებით. მეორე სართულს ჰქონდა, როგორც ეტყობა ღია აივანიც. იქვე ახლოს არის მცირე ეკლესია, ასევე ნალისებური თაღებით. ზედა-ციხის ფართობზე არის ქვითკირის სხვა ნაგებობათა ნაშთებიც. ზედა-ციხეს აქვს ციცაბო ჩასასვლელი და მას მდ.ივრამდის მიყვება გალავანი, რომელსაც აქვს თითო მხარეზე სამ-სამი კოშკი, სულ ცხრა კოშკი. კოშკები არის სიმაღლით 13-14 მეტრი და ორ ან სამსართულიანია. კოშკებს აქვთ მაღალი და ფართე სარკმლები ნალისებური თაღებით.

თაღების ნალისებური ფორმა ეჭვს გარეშე ცხადჰყოფს, რომ მთელი ნაგებობა V საუკუნისაა. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ დ. მუსხელიშვილის სიტყვით, უჯარმის ციხის ქვედა ნაწილის ერთ-ერთი კოშკის ქვედა-ფენაში პოვნილ იქნა ვახტანგ გორგასალის თანამედროვე ფეროზ სპარსთა მეფის ვერცხლის ფული[19] (შესაძლებელია, ქართლშივე ქართველების მიერ მოჭრილი).

უჯარმაში იყო არა მარტო ციხე, არამედ ქალაქიც. ქალაქი მდებარეობდა ციხის სამხრეთით მცირე მანძილზე ვიდრე ხევამდის, რომელიც წარმოადგენდა მისთვის ბუნებრივ ზღვარს. ამ ქალაქისათვის იყო განკუთვნილი ზედა-ციხის სამხრეთივე გორაზე მდებარე ცალკე

---

19 . დ.მუსხელიშვილი, Город Уджарма, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ.,1964, გვ.59-70.

მდგომი საკმაოდ ვრცელი კოშკი. შესაძლებელია ეს უბანი არის სწორედ უჯარმის რაბატი, სადაც ვახტანგმა გააშენებია რაჟდენის სახელობის ეკლესია (ქართლის ცხოვრება, გვ.201). ამ უბანში მართლაც უნდა იყოს ერთი ეკლესიის ნაშთი.

ამ რაბატის გარდა ქალაქ უჯარმას ჰქონდა იქვე ზოგი სხვა უბანიც, ქალაქ უჯარმის მცხოვრებთა შორის იყვნენ ცეცხლთაყვანისმცემელნიც, და, რასაკვირველია, ცეცხლთაყვანისმცემელთაც ექნებოდათ თავისი სალოცავი. უჯარმის ცეცხლთაყვანისმცემელნი ლიკვიდირებულ იქნენ თბილისის და მცხეთის ცეცხლთაყვანისმცემლებთან ერთად კეისარ ირაკლის მიერ 634 წელს (მოქც.ქართ., გვ.96).

უჯარმის ზედა-ციხეში ამ დროსვე უნდა იყოს გაშენებული ნალისებური ფორმის თაღის მქონე კარგი ქვითკირის მცირე ეკლესია. მაგრამ ეს ეკლესია, როგორც ნაგებობის ხასიათით ცხადად ჩანს, აგებულია არა ზედა-ციხის ვახტანგისეულ ნაშენობებთან ერთად, არამედ მათ შემდეგ (ეკლესია მიშენებულია ხსენებულ ნაგებობაზე).

ხსენებულ ეკლესიას, რომელსაც ეარის ეკლესია შეიძლება დაერქვას, შემდეგში მეორე სართულად დაადგეს მეორე კიდევ მცირე ეკლესია და შემდეგში კიდევ ახლად მიდგმულ საღვთისმსახურო ქვითკირის სათავსოებთან ერთად გადახურეს ქვითკირისავე ახალი სახურავით.

უჯარმის ახლო-მახლო იყო სხვა ქალაქები, ეი. თავისუფალ პირთაგან დასახლებული პუნქტები, რომელნიც ამასთანავე შემოზღუდულ-გამაგრებულნი იყვნენ. ჯუანშერი ალაპარაკებს ვახტანგს სპარსელებთან უკანასკნელი ბრძოლის წინ კათალიკოსის მიმართ: "დადეგ ეკლესიასა შინა რაჟდენ წმიდისასა, რომელ არს რაბატსა შინა უჯარმასა, რომელი აღმიშენებია და ვეჭუ ვითარმედ ყოველნი ქალაქნი გარემოს უჯარმისა იძლიენენ, რამეთუ მტკიცენი და ძლიერნი ზღუდენი აქა დაესხენით" (გვ.201). აზრი ასეთია, რომ თუნდაც უჯარმის გარეშემო მყოფი ყველა ქალაქები დაიკავონ სპარსელებმა, უჯარმას მაინც ვერას უზამენ, რადგანაც მას ყველაზე მაგარი ზღუდენი აქვსო. ცხადია, რომ უჯარმის გარემოში შედარებით ბლომად ყოფილა ზღუდე-შემოვლებული და თავისუფალი მოსახლეობის მქონე ქალაქები, რომელნიც მცირე მოცულობისანი უნდა ყოფილიყვნენ. ერთი ასეთი (მცირე) ქალაქი საგულისხმებელია თვით უჯარმის ახლოს პირდაპირ მდ. იორის მეორე ნაპირას, სადაც მაღალ მთაზე აქამდის მოწვენილია ქვითკირის სიმაგრის ნანგრევები.

80. ქალაქი მცხეთა.

ქართლის სახელმწიფოს დედაქალაქად ვიდრე ვახტანგის მეფობამდის იყო მცხეთა, ქალაქის გაშენება მცხეთაში დაწყებულ იქნა ბრატმან მეუფის დროს და დამთავრდა ბრატმანის შემდგომის მირვან მეუფის დროს (ორივე 150-140 წწ. ახლ. ჩვ. ე-მდის). ქალაქის გაშენება გულისხმობდა უპირველეს ყოვლისა გარკვეული ფართობის გამაგრებას ზღუდე-გალავნით ან რაიმე სხვა საშუალებით.

ქალაქის ფარგლები შემოხაზული იყო მდინარეებით მტკვრით, არაგვით და ბუნებრივი ციცაბო გაუვალი ხევ-დაღმართებით. ქალაქი მიყვებოდა არაგვის შესართავიდან მტკვრის აყოლებით ვიდრე პირველ დიდ ხევამდის, რომელსაც ახლა ბეჟანიშვილის ხევი ეწოდება. ამ ხევს ჩრდილო-დასავლეთით მიყვებოდა ქალაქის მიჯნა, რომელიც ხევის სიღრმის წყალობით, ბუნებრივად გამაგრებული იყო. ხოლო ბარბარეს მეხუთე საუკუნის ეკლესიის დასავლეთით (ამ ეკლესიის ნანგრევები ახლაც არის) ხსენებული ხევის გასაგრძელებლად გაყვანილი იყო ღრმა თხრილი, რისთვისაც იქ მდებარე გორა ფართედ გათხრილი იყო (ეს ფართე და ღრმა თხრილიც აქამდის მოღწეულია). აქედან აღმოსავლეთისაკენ და ბოლო ნაწილში ახლანდელ სამთავროს ეკლესიასა და სვეტიცხოვლის ტაძარს შუა ვიდრე მდ. არაგვამდის მიდის სხვა ხევი (ბაიათ-ხევი). ამ ხევების ხაზით მათი სიღრმის მიზეზით მიუვალობის გამო ხელოვნური სიმაგრე მცხეთას არ სჭირდებოდა. მკვიდრი ზღუდე საჭირო იყო არაგვის და მტკვრის მხრიდან. მტკვრის ნაპირას მდინარის კალაპოტიდან ამოყვანილი ზღუდის ნაშთი ახლაც არსებობს (მცხეთის ეს თავდაპირველი ფარგლები დადგენილია ნ.ღამბაშიძის და მიხ.ჩხიკვაძის მიერ).

მოგვთა მდებარეობდა მცხეთის ამ საკუთრივ ქალაქის დასავლეთით მტკვარზე არსებული ხიდის არეში, ხოლო ახლანდელი სამთავროს ტაძრის არე იწოდებოდა გარეთუბნად.

უკვე ქალაქის დამთავრების შემდეგ ორმეფობის ხანაში ქარამ-ბრატმანის დროს (120 წლ. ახლ. ჩვ. ე-მდის, მოქც. ქ-ის ქრონიკის მიხედვით,) "ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს" (გვ.82). გაჩნდა ურიათ-უბანი. ეს სახელი ბოლო დრომდის შემონახული იყო და ის ერქვა ძველი გარეთ-უბნის ჩრდილოეთით ბებრის-ციხის მიმართულებით მაღლობზე მდებარე არეს.

ქალაქის დასავლეთით მდებარე გარეშე უბანს თითქოს ერქვა სარშინი (ეს იყო იგივე მოგვთა). სახელი უნდა იყოს ძლიერ ძველი და ოდნავ გადამახინჯებულიც, ახსოვდათ 1870-იან წლებში.[20]

. მცხეთის ტოპოგრაფიის შესახებ საყურადღებო ცნობები არის ნინოს ცხოვრებაში. მცხეთა იწოდება "დიდ ქალაქად" (მოქც. ქ-ი, გვ. 116). მცხეთას ჰქონდა რაბატი ანუ ცენტრალური ადგილი, საეკლესიო-სახელოსნო მნიშვნელობის მქონე. ჰქონდა მას უბნებიც (მატიანეში წერია: "ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი", გვ.17) ქალაქში იყო "ფოლოცნი ანუ მოედნები. საფიქრებელია, ქალაქში ბევრი იყო მცირე ფოლოცნი, რომელთაც აერთებდა პატარა შუკები. ქალაქის დასავლეთით ხიდთან ახლოს და საზოგადოდ ხიდის უბანში იყო მოგვთა, სადაც მოგვები ბინადრობდნენ. ეს იყო, მაშასადამე, ცეცხლთაყვანისმცემელთა სპეციალური უბანი. იქვე ახლოს, ქალაქის შიგნით იყო ებრაელთა ბაგინი (ებრაელები აქაც ყოფილან).

მეფის სასახლე მირიან მეფის დროს იყო ახლოს შემდეგდროინდელ სვეტიცხოველის საყდართან და საფიქრებელია, იმ ადგილას (სამხრეთით), სადაც შემდეგაც (ვახტანგ გორგასალის დროს) ახლად გაშენებულ იქნა პალატები. მეფის სასახლე ქალაქის შიგნით იყო, ზემო საყდარი კი (სამთავროსი), გაშენებული მირიანის დროს, გარეთუბანში მდებარეობდა (მაშასადამე, ქალაქის ზღუდის გარეთ).

არჩილ მეფის დროს (420 წლ. ახლ.) მოქც. ქ-ის ქრონიკის სიტყვით "აზნაურთა სტეფანე წმიდაჲ აღაშენეს არაგუსა ზედა". აქ იყო "არაგუსა კარნი", ეი. ქალაქის ერთი სამ კართაგანი. ეს ეკლესია საგულისხმებელია ანტიოქიის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით: ადგილი შემდეგ მდინარის მიერ მორღვეული იყო.

81. ქალაქი არმაზი.

მცხეთის პირდაპირ მტკვრის მეორე (მარჯვენა) ნაპირას მდებარეობდა ქალაქი არმაზი, რომელიც უწევდა ნაქულბაქევიდან ვიდრე არმაზის წყალის შესართავამდის თანჩათვლით. ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული მასალების და აგრეთვე არქეოლოგიური გათხრე-

---

20 . გაზ. Кавказ-ში 1872 წ. №7 ვკითხულობთ: მცხეთაში არსო "Предместье Саршин между Мцхетом и нынешним курским мостом вдоль холмов по левому берегу Куры. Жители Мцхета рассказывают много о каком-то еврейском городке, некогда находившемся на высотах близ Бебрис-Цихе".

ბის მონაცემების მიხედვით შესაძლებელია არმაზის განვითარების ისტორია მოკლედ ასახულ იქნას შემდეგნაირად.

არმაზის უფრო ძველი სახელი იყო ქართლი, ხოლო ქართლის მთაზე ქართლოსმა "პირველად იშენა მუნ ზედა სიმაგრე და იშენა მუნ ზედა სახლი; ვიდრე აღმართებამდე მუნ ზედა კერპისა არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი" (ქართ. ცხოვ., გვ.8). ნინოს ცხოვრებიდან ჩანს, რომ ეს ადგილი უნდა ყოფილიყო ქართლის მთის იმ მწვერვალზე, სადაც ქრისტიანობის ჩვენში შემოსვლის შემდეგ გაშენებულ იქნა ნინოს სახელობის მცირე ეკლესია (ბაზილიკა). სახელდობრ, ნინოს ცხოვრებაში არმაზის კერპის ადგილი უპირისპირდება ზადენის კერპის ადგილს. ხსენებული მწვერვალი მიახლოებით იმავე სიმაღლისაა, როგორც ზედაზნის მონასტერი, რომლის ადგილას წინათ წარმართობის ხანაში აღმართული იყო ზადენის კერპი. გარდა ამისა ფარნავაზის ცხოვრებაში პირდაპირ განირჩევა ერთმანეთისაგან არმაზის მთავარი ციხე და შემდეგ არმაზის (ქართლის) მთის დასასრულის ციხე, რომელიც მტკვრისკენ მიმავალ ქედზე იყო განლაგებული. იქ დასახლებულია "ოთხი იგი ციხე პირსა ქართლისასა — თავადი ციხე, რომელ არს არმაზი, და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისასა და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა, მეოთხე ციხე დასავლეთ მცხეთისა მტკვარსა ზედა" (გვ.19). უკანასკნელნი არიან ბებრის-ციხე და ციხე, რომელიც ყოფილა ხიდთან შემდეგდროინდელ ეგრეთ წოდებულ მოგვთას. ბებრის-ციხის ძველი სახელი იყო ბელტის-ციხე, მაშასადამე ის თავდაპირველად მიწის ბელტებისაგან (ალიზით) იქნებოდა აშენებული.

შემდგომ ხანაში ქართლის მმართველმა არდამმა "მოჰკიდა კირით ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის და წარმოზღუდა ცხჳრი არმაზისი ვიდრე მტკურამდე" (გვ.13). აქ არის ლაპარაკი ქართლის ცხვირზე მტკვრის ნაპირისკენ (ცხვირი ძველ ქართულად არის "სერსერი ჩამოზეული"; ეს ს.-ს. ორბელიანის განმარტებაა ისოს, 15,2-ის მოხსენიებით). თავდებოდა სიმაგრის მქონე ეს სერი ეგრეთ წოდებული ქართლის კარით (ეს სახელი დარჩა მას შემდეგაც, როდესაც მთელ ადგილ-სოფელს ქართლის სახელი შეეცვალა არმაზად).

არქეოლოგიურმა გათხრებმა აქ გამოავლინეს დაცვითი დიდი ნაგებობანი, რომელთა პირვანდელი ნაწილი აგებული ყოფილა, ქვედა რეგისტრში საუცხოო ტექნიკით შემზადებული თლილი ქვებისაგან. ორი მხრით, შიგნით და გარეთ, ამ თლილი ქვების შიგნით ნაწილი ამოვსებული უნდა ყოფილიყო ალიზის დიდი აგურებით და ასევე ალ-

იზისაკე იყო გალავნის ზედა ნაწილი, გადახურული (წვიმათოვლისაგან დაცვის მიზნით) კრამიტით (მთელ ფართობზე არის ბლომად კრამიტის ნამტვრევები). სიმაგრე იყო სამხრეთ მხარეზე დასავლეთის კუთხეზე და მტკვრის ნაპირისკენ. ჩრდილოეთით ბუნებრივი მიუდგომლობის გამო ხელოვნური სიმაგრე არ იყო საჭირო. დაცვითი ამ ძლიერ სიმაგრის სიგრძე არის დახლ. 2 კილომეტრი. თავიდანვე ეს ადგილი განკუთვნილი იყო კულტობრივი მიზნებისათვისაც, იქ აგებული იყო სალოცავები. ამის მაჩვენებელია ამ ნაგებობათა სახელწოდება, შემონახული ხალხში აქამდის, სახელდობა ბაგნითი. ეს სახელი უკავშირდება ძველ-სპარსულ ბაგ-ღვთაებას. აქედან ბაგინი ძველ ქართულში ნიშნავდა არაქრისტიანულ სალოცავს, ხოლო ბაგნითი ანუ ბაგინეთი არის ამ სალოცავთა ადგილი.

ბაგნითი რეკონსტრუირებული იქნა ფარნავაზის და მის შემდგომთა საურმაგ და მირვან მეუფეთა დროს. ფარნავაზმა "აღმართა კერპი დიდი ცხჳ(რ)სა ზედა და დასდვა სახელი მისი არმაზი და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო და ჰრქვიან არმაზ" (მოქც. ქართ., გვ.82). ამგვარად ფარნავაზს აღუმართავს არმაზის დიდი კერპი მაღლა სერზე, სადაც გათხრების მეშვეობით აღმოჩნდა საკერპო ბაქანიც, თლილი ქვებისგან გაშენებული. ფარნავაზის შემდეგ მეუფე საურმაგმა "იწყო არმაზს შენებად" და ამისმა შემდგომმა მირვანმა "აღაშენა არმაზი" (მოქც. ქართლ., გვ.82). ამგვარად საურმაგის და მირვანის დროს ყოფილი ქართლის სერის, იგივე ბაგნითის ციხე-სიმაგრე, საფიქრებელია ამ დროს უკვე დაძველებული და ნაწილობრივ დანგრეულიც იქნებოდა და ის ხელმეორედ აგებულ იქნა.

მაშინვე ან ცოტა ხნის შემდეგ არმაზის კერპის გვერდით ორსავე მხარეს დადგეს კერპები გაცი და გა, მოტანილნი აზოს მიერ ზეგან (სამხრეთ) ქართლიდან. ეს საკერპო ცხადად ჩანდა ქალაქ მცხეთის ყველა ადგილიდან და ამ გარემოებას აღნიშნავს კიდეც მოსე ხორენელის ისტორიაში (II, 86) შეტანილი ნაწყვეტი აგათანგელის ისტორიიდან (აგათანგელი იყო ქრისტიანობის სომხეთში და ჩვენში გავრცელების თანამედროვე). რომ მცხეთის მცხოვრებნი დილაობით თავიანთი სახლების ბანებიდან ლოცვას აღავლენდნენ მათ წინაშე მტკვრის მეორე ნაპირზე ამართულ კერპებისადმი.

კერპების ქვემოთ შემდეგში ახლოს მტკვართან გაშენებულ იქნა სხვადასხვა ნაგებობანი, რომელთა ნაშთი გარკვეულ იქნა გათხრების

მეშვეობით. ამ ნაგებობათა შორის აღსანიშნავია მოზრდილი ქვის შიგნითი სვეტებიანი დარბაზი (მოღწეული იყო ამ სვეტების ბაზები).

უკანასკნელად ბაგნითში მშენებლობითი სამუშაოები ჩატარებულ იქნა მეოთხე საუკუნის დასასრულში ბაკურ მეფის დროს. ეს ბაკურ მეფე მოქც. ქართლისაის ქრონიკის ცნობით მცხეთიდან "იმიერ (ეი. მტკვრის გაღმა) განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვის" (გვ.92). ეს არის არმაზის ციხის ნაჩქარევად და მდარე ტექნიკით შესრულებული ნაგებობანი, ადგილ-ადგილ ჩვენამდისაც მოღწეული.

სტრაბონი (I ს. დასაწყისი) იხსენიებს არმაზ-ციხეს, რომელიც საგულისხმებელია მცხეთის ხიდის დასაცავ სიმაგრედ. სტრაბონის ეს ცნობა მეოთხე საუკუნის დასასრულს (ჩვ. ე-მდის) წყაროდან უნდა მოდიოდეს. იქვე გაჩნდა ხიდთან და სალოცავთან "ახალქალაქი" — ასე ეწოდებოდა მცხეთის ახლანდელი რკინიგზის სადგურის არეს (მოწევნილია ქრისტიანული ხანის მონასტრის ნაშთი ამ ადგილის აღმა; ამ მონასტერს, იოსებ ტფილელის და ვახუშტის დამოწმებით, ერქვა სახელად ახალქალაქური).

არმაზმა, როგორც მნიშვნელოვანმა პუნქტმა და ქალაქმა, იწყო დამცირება თბილისის გაძლიერების ხანაში მეექვსე საუკუნეში. ხალხური ლექსი იგონებდა არმაზის ციხე-ქალაქს:

"არმაზის ციხე-ქალაქო,
ძველადგან გაოხრებულო;
ხალხითა ერთხელ ძლიერო;
საკვეკ, ყოვლთაგან ქებულო;
შენ ვიღამ გნახოს ნაშენი,
მტერთა მახვილით მოსრულო";

82. სვეტი-ცხოველის ტაძრის აშენება მცხეთაში.

მცხეთას და სვეტიცხოველის საყდარს აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიაში. მრავალი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანულ იდეოლოგიაზე მდგარ ქართველ ხალხს მცხეთა მიაჩნდა თბილისის შემდეგ მეორე, სულიერი გაგებით, დედაქალაქად. მცხეთაში მთავარ სიწმინდეს შეადგენდა სვეტი-ცხოველის საყდარი, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს რელიგიური მეთაურის კათალიკოსის საჯდომს.

სახელი სვეტი-ცხოველი თავისი წარმოშობით დაკავშირებულია ლეგენდასთან ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანის შესახებ. იესოს ჯვარცმას იერუსალიმში ვითომ დაესწრო მცხეთელი ურია აბაითარი, რომელმაც ჩამოიტანა მცხეთაში ქრისტეს კვართი. ეს კვართი მიიღო ხელთ ქრისტეს დიდად მორწმუნემ აბაითარის ასულმა სიდონიამ, რომელიც იესოს ჯვარცმის ამბავის გაგებაზე სასოწარკვეთილებისაგან უეცრად მიიცვალა. ხოლო რადგანაც მიცვალებულის ხელიდან კვართის გამოგლეჯა შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ სიდონია დამარხულ იქნა კვართითურთ. მის სამარეზე, სადაც, მაშასადამე, ვითომ ქრისტეს კვართიც იყო, აღმოცენდა კვიპაროზის ხე, რომელიც მოჭრეს, როდესაც მირიან მეფის გაქრისტიანებისას ნინოს მითითებით სწორედ ამ ადგილას შეუდგნენ პირველი საეკლესიო შენობის აგებას. თანადროულ (აგათანგელის) და ახლო თანადროულ (გელასი კესარიელის, რუფინის, თეოდორიტეს და სხვათა) ცნობების თანახმად ქრისტიანობის დამკვიდრების შესახებ ქართლში, ამ შენობის აგების დროს ან არავითარ არარეალურ მოვლენას ადგილი არ ჰქონია (აგათანგელი, თეოდორიტე) ანდა ნათქვამია, რომ შენობის მთავარი სვეტის დადგმა საძირკველზე არ მოხერხდა, ის დარჩა ერთ ღამეს ირიბად მდგომი ერთი წყრთის (1/3 მეტრის) სიმაღლეზე ჰაერში (ალბათ სვეტის გაჩხირვის გამო ხარაჩოებში). ღამის დაწყების მიზეზით მუშაობა შეჩერებულ იქნა, მეორე დილას კი აღმოჩნდა, რომ ღამის სიგრძეზე სვეტი თავისთავად დაშვებულიყო საძირკველზე (საფიქრებელია, რომ სვეტი დაეშვა თავისავე სიმძიმის წყალობით). აქედან შეიქნა ლეგენდა, რომ სვეტის დაშვება მოხდა ღვთის განგებით. ეს სვეტი ვითომ იფურჩქნებოდა ცოცხალ ხესავით და მისგან ხდებოდა სასწაულები. ამიტომაც მას დაერქვა სახელად "ღვთივ აღმართებული სვეტი ცხოველი". როდესაც მირიანის დროსვე მცხეთაში, გარეუბანში, გააშენეს სამთავროს ქვითკირის ეკლესია, მის საშუალო სვეტს ჩააყოლეს სვეტი-ცხოველის ნაწილი. ამ სვეტთან მის სამხრეთით დამარხეს მირიან მეფე.

სვეტი-ცხოველის საკითხთან ერთად უნდა განხილულ იქნას საკითხი ეგრეთ წოდებული მცხეთის ჯვარის შესახებ.

მოქც. ქართლისაის სიტყვით პირველად ჯვარის გასაკეთებლად ხეროებმა "პოვეს ხე ერთი მდგომარე ბორცვსა ზედა კლდისასა, რომელსა ფურცელი მისი არაოდეს დასცვოდა" (გვ.86). ამ ხისაგან ნინოს და ეპისკოპოსის მითითებით გააკეთეს სამი ჯვარი — ერთი ჯვარი აღმართეს მცხეთას, მეორე — თხოთის მთაზე (კასპის არეში) და მესამე —

"მახლობლად პატიოსნისა ჯვარისავე". ეს ჯვარი პატიოსანი /კი იყო ის, რომელიც მირიანის განკარგულებით პირველადვე აღმართეს მცხეთის პირდაპირ აღმოსავლეთით მდებარე გორაზე მანამდის იქ მყოფ ბომონის მაგივრად (სადაც შემდეგ გაშენებულ იქნა ჯვარის/საყდარი).

ნინოს ვრცელ ცხოვრებაში ამ ჯვრების შესახებ სწერია, რომ ერთი ჯვარი დადგმულ იქნა მცხეთის აღმოსავლეთით/ბორცვზე. მეორე ჯვარი დადგეს თხოთის მთაზე და მესამე — უჯარმაში (იქვე, გვ.150–151). ნინოს ვრცელი ცხოვრება დაწერილი უნდა იყოს სირიულად დაახ. VIII — IX ს-ნეში. ამ დროს მცხეთის ჯვარის /შესახებ ხსოვნა უკვე აღარ არსებობს — ის დაკარგულია, ხოლო პატიოსანი ჯვარის ახლოს აღმართული ჯვარი გადატანილია უჯარმაში. ხსენებული ცვლილება ამ ჯვრების განაწილებაში უნდა მომხდარიყო დაახლ. VIII ს-ნეში არაბების ლაშქრობათა შედეგად. მცხეთის ჯვარი მაშინ დაიკარგა, ხოლო ერთი ჯვარი გადაუტანიათ უჯარმაში.

ჯვარი პატიოსანის ბედის შესახებ საყურადღებოა მატიანის შემდეგი ცნობა: "ამასვე ჟამსა მოვიდეს სარკინოზნნ; რომელთა უმობდეს საჯობით, და მოტყუენეს კახეთი და დაწუეს ჯუარი და მცხეთა და შეიქცეს და წარვიდეს და წარიტანეს თანა ჯუარი პატიოსანი დაჭრილი, და შეედვათ სნება მუცლისა და გულისსმა ყვეს, რომელ ჯუარისაგან ევნოთ. შეკრიბნეს ნაწილნი და წარმოსცნეს ჯუარსა, ჩაკრიბნეს ბუდესა შინა და აღმართეს ადგილსავე თჳსსა" (გვ.265).

ამ ცნობის მიხედვით სარკინოზთ 915 წლის ახლოს დაუწვავთ სოფელი ჯვარი და მცხეთა, ხოლო ჯვარი პატიოსანი კი წაუღიათ და შემდეგ ნამტვრევების სახით დაუბრუნებიათ.

ცხოველი სვეტის შემდგომი ბედის შესახებ მატიანეში ვკითხულობთ: ბაქარის ძის მირდატ მეფის დროს "იწყეს ქართველთა სუეტისა ცხოველისაგან ნაწილის გამოღებად და ქმნად ჯუარად, რამეთუ დიდნი სასწაულნი და კურნებანი იქმნებოდეს, სადაცა იყვის ნაწილი სუეტისა ცხოველისა. და არა აყენებდა მირდატ მეფე ნაწილისა გამოღებად, რამეთუ ეპისკოპოსმანცა ჭეშმარიტმა იაკობ ჯერ იჩინა და თქუა: "მინიჭებულ არს უფლისაგან და ჯერ არს სუეტისა მის ღმრთივ აღმართებულისა ქმნა სახედ ჯუარისა". და განეფინა ყოველთა ადგილთა ქართლისათა ნაწილი სუეტისა ცხოველისა" (გვ.131).

ბუნებრივია, რომ ამიტომ სვეტმა იწყო ძალზე შემცირება და იგივე მირდატ მეფე იძულებული გახდა შეექმნა ამ სვეტისაგან "ჯუარი ზომიერი" (გვ.132). იმ ადგილას კი, სადაც ხის სვეტი იყო, მაშინვე

გააშენეს ქვითკირის სვეტი, რომლის თავზე აღმართულ იქნა "ჯუარი იგი, ძელი განმაცხოველებელი" (იქვე), ეი. ეგრეთ წოდებული მცხეთის ჯვარი, ამგვარად წარმოიშვა განთქმული ჯვარი მცხეთისა, რომლის მოსალოცავად მოდიოდნენ სომხეთიდანაც კი (ცნობა ქართლ-სომხეთის განყოფის დროიდან). ამგვარად ხის ეკლესიას გამოაკლდა სახურავის მთავარი სვეტი, რის სანაცვლოდ, საფიქრებელია მიღებული იქნებოდა სათანადო ზომები, მაგრამ რადგანაც შენობას ამით მაინც გამოეცალა კონსტრუქციული ხასიათის სვეტი-ბოძი, ამიტომ შემდეგ ეს ეკლესია დაინგრა. მოქც. ქართლისაგან ქრონიკა აღნიშნავს, რომ არჩილ მეფის (405-426 წ) დროს "დაეცა ქვემო ეკლესია, (გვ.92; ასე ეძახდნენ სვეტი-ცხოვლის ეკლესიას). ამიტომ მაშინდელმა მთავარეპისკოპოსმა იონამ თაოსი საკუდომი გადაიტანა გარეუბნის (სამთაროს) ეკლესიაში და იქვე გადატანილ იქნა "სვეტი იგი ცხოველი" ანუ "ეკეთ ამ სვეტის ნარჩომისაგან გაკეთებული ჯვარი. ასეთი მდგომარეობა დარჩა ვახტანგ გორგასალამდის.

მას შემდეგ რაც ვახტანგმა პირი იბრუნა ქართული ეკლესი-ისაკენ და დაწესებულ იქნა რიგი ახალი საეპისკოპოსოები, უნდა დას-მულიყო საკითხი ტაძრის აშენების შესახებ იმ ადგილას, სადაც, გად-მოცემით (რომლის სინამდვილე იმ დროს უკვე ეეჭვა, ყოველ შემთხვევაში საეჭვდებულად იყო მიჩნეული ამის დაჯერება) დამარხული იყო ქრისტეს კვართი, ეი. წინანდელი ქვემო ეკლესიის ადგილას. წყაროები (მოქც. ქართლ. ქრონიკა, უწყებულობა, ჯუანშერი) ამოწმებენ, რომ სვეტი-ცხოვლის საყდარი გაშენებულ იქნა კათალიკოსობის დაარსებამდის, ეი. უადრეს 476 წლისა. ხოლო რად-განაც ასეთი დიდი ტაძრის აშენებას მოუნდებოდა 10-12 წელიწადი, ამიტომ სვეტი-ცხოვლის საყდრის აგება უნდა მიეკუთვნოს 463-475 წლების ახლო დროს.

მცხეთის სვეტი-ცხოველის საყდარს თავიდანვე ერქვა სიონი და დიდი სიონი. ამ სახელს ატარებდა ის მის გადაკეთებამდე დიდ გუმ-ბათიან ეკლესიად ხუროთმოძღვარ არსაკისძის მიერ.[21]

---

21. ვახუშტის აქვს ცნობა, რომ ეკერში (სვანეთში) "არს ეკლესია, სვეტად წოდებული, სახიზარი სვეტიცხოვლის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვიან სვეტის ცხოვ-ლის კანკელის ყოფასა დღესაცა. რომელი მიიღო გორგასალ ინდოეთიდამ, წითლის იაგუნდისა ქმნილი" (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ.173).

ასტოიანოვი თავის მოგზაურობაში აღნიშნავდა იმავე გადმოცემას, მაგრამ ბეჭის (და არა ეკერის) თემში მდებარე ეკლესიის მიმართ: " ჩვენ გავიარეთ ბაღდანარ

სვეტი-ცხოველის ტაძარი თვალსაჩინოდ მოღწეულია პირვანდელი მოცულობით. ამისი მაჩვენებელია ნალისებური თაღების ნაშთები ტაძრის დასავლეთ ნაწილში და ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კედელზედაც. არსაკისძის მიერ ტაძრის რეკონსტრუქციის დროს საჭირო იყო ტაძრის მაღალი გუმბათის მხატვრულად შესამება დასავლეთის ფასადთან. ხოლო რადგანაც ბაზილიკის შუა ნავი შედარებით ვიწრო იყო, ამიტომ არსაკისძემ ამ შუა ნავის სამხრეთი და ჩრდილო კედლები თვალსაჩინოდ გაამსვილა, მაგრამ არა მთლიანად, არამედ ორივე მხარეზე გარედან კამაროვან ღრმა ნიშების ამოყვანით. ამით დასავლეთი ფასადის მხარე გაფართოვდა და შესაძლებელი შეიქნა მისი შესამება გუმბათთან (მიხჩხიკვაძის დაკვირვება).

83. სხვა მშენებლობანი მცხეთაში ვახტანგის დროს.

სვეტიცხოველის ტაძარს თავიდანვე ექნებოდა შესასვლელი და ზღუდეც. მიხჩხიკვაძის აზრით, სვეტიცხოველის ტაძრის დასავლეთით და მელქისედეკ კათალიკოსის შესასვლელი კარების ჩრდილოეთით მოთავსებული ძველი დიდი კარის შესასვლელი ვახტანგ გორგასალის

სოფლის ახლოს და შეუდგინ სპ-ის ეკლესიაში. რომელიც ყველაზე დიდია მთელს თემში. გადმოცემით, ამ ეკლესიის კანკელი, მთლად იაგუნდისა. მოტანილი იყო ინდოეთიდან: მაგრამ ოსებს (ასტოიანოვის სიტყვით შესაძლებელია თვით ბეჭოს მცხოვრებთ. თუმცა ეს შეუძლებლად ჩანს) გაუძარცვავთ საყდარი".

ბერი აბაჩარაძეც აღნიშნავს გადმოცემის მიხედვით, რომ ბეჭოში სვანები უჩვენებენ სეტის ეკლესიას, რომელშიდაც დახიზნული ყოფილა მცხეთის საყდრის ძვირფასი თვლებით შემკული კანკელი, მოტანილი ინდოეთიდან ვახტანგ გორგასალის მიერ. ხოლო ესე ეკლესია, წერდა ბერი აბაჩარაძე. არს გაუქმებული და არა რა იპოების სრულიად. მეორე ეკლესია არს მაცხოვრისა, რომელშიაც არს დახატული კედლები საშუალო ხელოვნებითა". (ამ ცნობების შესახებ იხ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ; პარიზი, 1937, გვ.270-271).

ხსენებული გადმოცემების მიხედვით შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა:

ვახტანგ გორგასალს ინდოეთიდან ჩამოტანილი საგანძურით დაუმზადებია სვეტიცხოველის ძვირფასი კანკელი, იაგუნდებით შემკული. შემდეგში, საშიშროების დროს ეს კანკელი დაუხიზნავთ სვანეთში (ხომ არ მოსდა ეს, მაგ.: მურვან-ყრუს შემოსევის დროს?). სეტის ეკლესიას ბეჭოში, რომელიც ფრიად ძველ დროს უნდა ყოფილიყო აშენებული, სახელი შესაძლებელია სვეტიცხოველისგან აქონდა მიღებული).

ზემო სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილში შემდეგ მთავარ სალოცავს სეტის ეკლესია წარმოადგენდა (მდებარეობდა მესტიის თემში). საფიქრებელია, რომ ბეჭო პირველობის მხრივ შესცვალა მესტიამ და ეს სეტის ნივთების და დროშის თავბუნის წარწერის მიხედვით თითქოს XII ს-ნეში ან უფრო XIII ს-ნის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო.

დროისა უნდა იყოს, რადგანაც მას ახასიათებს იგივე წყობა, როგორიც აქვს თბილისის ზედაციხეზე, მის მიერვე მიგნებულ ვახტანგ გორგასალის დროისავე მთავარი შესასვლელის მოწვენილ ნაწილს.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ XIX ს-ნის პირველ მესამედში არსებული გადმოცემით, სვეტიცხოველის ტაძრის სამხრეთით იყო ორი პალატი, აშენებული ვახტანგ გორგასალის დროს. ერთი მათგანის ნაშთი მოწვენილია თვით გალავნის ხაზზე, მეორე კი (საკათალიკოსოდ წოდებული, უკანასკნელად საფუძვლიანად გადაკეთებულ იქნა გიორგი XII-ის დროს (1799 წლ.ახლ.). და შემდეგ კიდევ 1840-იან წლებში და ასე გადაკეთებული არსებობს ახლაც გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ორივე ეს პალატი განკუთვნილი იყო კათალიკოზის და მისი კარის საჭიროებისათვის.[22]

---

22 . ცნობა ამის შესახებ დაჩენილია 1936 წლის ერთ საბუთში, რომელიც საერთოდ მოგვითხრობს სვეტიცხოვლის გალავნის მოკლე ისტორიას. ეს საბუთია "საქართველო-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორასა შინა მცხეთის საბოროს კანდელაკის მღვდლის იოსებ ბორისოვისი რეპორტი" (რაპორტი).

"აღსასრულებლად უკაზისა საქართველო-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორისა ამა მდგომარისა ჩვენ წლისა და ინვერიდგან № 169-ით მაქს პატივი მოახსენო საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორასა:

ა-დ, რომელ მცხეთის სობოროს გალავანი აღშენებული არს აღმოსავლეთის მხარე სამის კოშკითა მეფის ირაკლის დროსა გივი .ამილახვაროვისაგან წოდებული მაკულიხანად. დასავლეთის მხარეს აღშენებულ არს ორი სამრეკლო რომელთამე საქართველოს მეფეთაგან და სახელდობრ ვისგან ანუ როდის, არავინ იცის. გალავანი მასვე დასავლეთის მხარისა არის გამოცელილი და დაკერებული მეფის ირაკლისაგან. სამხრეთის მხარეს არის ორი პალატ დაქცეული, აღშენებული მეფის ვახტანგ გორგასალისაგან. მასვე მხარეს არის კარები გალავნისა გაკეთებული მეფის ირაკლისაგან და ჩრდილოეთის მხარეს გალავანი სამის კოშკითა არის აღშენებული მეფის ირაკლისაგანე. გარნა რომელს წელს არიან ამგვარნი შენობანი სისწორით და ზედმიწევნით არავინ იციან.

ბ-დ; აღშენებულ არს გალავანი ესე სობოროს პატივსადებად და დასაფარველადცა ხალხათასა, რომელიცა იმსახურებდა ხშირად გალავანი ესე ციხედ დროსა დაცემათა მტერთასა.

და გ-დ: დასავლეთის მხარეს სამრეკლო ერთი დაქცეულა სიძველისა გამო და რომელს წელს მომხდარა დაქცევა მისი არავინ იცის. მეორე სამრეკლო დაიქცა სიძველისა გამო ჩყკ-სა (1926) წელსა. ამასვე წელსა გადმოწვა ჩრდილოეთის მხრის გალავნის მცირე ნაწილი სამრეკლოს დაქცევისა გამო და ამასვე წელსა დაქცევნა – დასავლეთისა და სამხრეთის ნაწილნი გალავნისანი მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ეკსარხოსად ყოფლმა იონა მიტროპოლიტმა, რომელიცა იყო მინგვნილ უკანასკნელსა სიძველესა შინა.

ჩელე – ს (1836) წელსა, თებერვლის დ-სა (4) დღესა" (ცსია, ფ.489 (138), N 4846, ფურც.68).

ვახტანგის დროინდელი პალატნი იმსენიებიან პლ. იოსელიანის შემდეგ ცნობაში: შასე დროსა (1798 წლის ახლოს) კათალიკოსსა (ანტონ II-ეს) უნებდა საკათალიკოსოსა მცხეთას პალატისა განახლება და ოდეს გამოსთხოვდა (გიორგი XII-ს) მისთვის ნებასა და ბრძანებასა, მეფემან უბრძანა აშენდეს სახლი მეორისა შესაფალისა დიდსა კართან. დამთესო შეუხებელად ძველთა მეფეთაცა და კათალიკოსთაცა პალატნი დაქცეულნი. ეუცდებიო, ბრძანა მეფემან, ორივე ერთად და ერთს დროსა განვაახლო ეგრეთ, ვითარცა იყენონო.

შაშინ კათალიკოსმან ანტონი აღაშენა თავისად სახლი აგურითა ქვითკირისა, რომელიცა დღესაცა ჰგიეს. ხოლო პალატნი სამეფონი და საკათალიკოსონი დამთენ განუახლებელად გარდაცვალებისა გამო მეფისა. შენობანი ესენი ოღლილისა ქვითა ნაგებანი წინათ ალექსანდრე მეფისა, მცხეთის განმაახლებელისა, დასცა სრულიად ეკარხოსად ყოფილმან (1844-1858 წლებში) და აწ პეტერბურლისა მიტროპოლიტად ისიდორემან (პეტერბურგის მიტროპოლიტად მისი მყოფობა იყო 1860-1892 წლებში). მათთან იყო მარანი ჩაკირულისა ქვეკრებითა. ამთავანიცა რომელიმე ამოიღეს და გარდიტანეს, რომელნიმე დაინტერა და რომელნიმე დამთენ მიწასა. სასახლეთა ადგილი შემატა გალავანსა, და თვით კედელნი წინაპირნი, ქვით ნაშენნი, დამთენ ზღუდედ გალავანსა. მოუდგეს მხოლოდ თავთა მათთა რიყის ქვითა ნაშენთა სათოფურნი, ვითარცა სხვათაცა ზღუდეთა. რად არა ესეიქი თავისა დროსა ესე? მოვახსენე 1858 წელსა (უნდა იყოს: 1848 წელსა) არა ერთგზის და მერეცა შეოთითაცა მას, ისტორიისა და ქვეყნისა სიძველეთა უმეცარსა და არა მიიღო პაზრი ჩემი. იყო კაცი თვითნება და იდუმალ არა მოყვარე ქართველთა, პირმოთნე დრომდე და მექონი თვისებათა მათ, რომლითაც იტყვიან ქოსათათვის – იყო ქოსაო (პლ.იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936, გვ.50).

დიუბუა დე-მონპერეს 1833 წ. მცხეთაში სამთავროს მონასტრის მოხუც მონაზონთაგანმა დიდი კმაყოფილებით უჩვენა ვახტანგ გორგასალის სასახლის ნაშთი. სასახლე უკვე ნანგრევებად მყოფი, მოთავსებული იყო სამთავროს მონასტრის გალავნის საშრეთ-დასავლეთ კუთხეში. მას დამხმარე ნაგებობებით ეკავა ოთხკუთხი ფართობი დასხ. 30X17 მეტრი – 510 კვ. მეტრი. სასახლე უნდა ყოფილიყო ორსართულიანი – ქვედა სართული მოსამსახურეთათვის და დამხმარე საჭიროებისათვის და ზემო სართული – თვით სამეფო სახლისათვის და მისაღებ დარბაზ-ოთახებისათვის. ამისი მაჩვენებელია ისიც, რომ XIX ს-ნის პირველ მესამედში დიუბუა დე-მონპერეზე ადრე მსენებული სასახლის კედლები ჯერ კიდევ მაღალი იყო. 1828 წელს ეს მაღალი კედლები გადმონგრევაზე იყო და ამიტომ მათი ნაწილი საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით დაანგრიეს (А. Натроев, Мцхет и его собор Светицховели, Тиф. 1900 г. стр.305).

1835 წლის დოკუმენტში (ცენტრ. სისტ. არქ., ფ. № 489, № 2721, ფურ.84) ამ შენობის სიგრძე სიგანე აღნიშნულია შემდეგნაირად: სამთავროს მონასტრიდან სამხრეთის მხრივ შენობასა აქვს პირველის განყოფილებასა ხუთი საჟენი და სამი ჩარეკი სიგრძე და სიგანე ორი საჟენი და მეორეს იქვე განყოფილებასა ორსა ოთახსა აქვს თვითოეულსა სამსამი საჟენი სიგრძე და ორორი საჟენი სიგანე". სულ მთელი

შენობა სიგრძით 11 3/4 საჟ. (23 1/2 მეტრი) სიგრძით და 2 საჟ. (4 მეტრ.) სიგანით. ამჟამად დარჩენილია მხოლოდ სამხრეთი კედლის ნაწილი სიგრძით 20 მეტრამდის, კედლის ნაწილზე მიშენებულია სახლი.

ვახტანგის დროს დაახლოებით უნდა იყოს აშენებული მცხეთაში მცირე ეკლესია დასავლეთ კიდურზე ქალაქის დასავლეთ ზღვართან, რომელსაც ამ ადგილას წარმოადგენდა ხელოვნური ფართე და ღრმა ხანდაკი (თხრილი). ეკლესია იყო მცირე ზომის, გაშენებული ყოფილა კარგი თლილი ქვისაგან სწორ წყობად. ამჟამად შენობას თაღი ჩაქცეული აქვს და თლილი ქვა გარედან მთლად შეშოცლილია. დასავლეთით შემორჩენილია მცირედ ნალისებური თაღი.

აშურაფოვის სიტყვით (Грузия и Армения, I, გვ266), მის დროს მცხეთაში უჩვენებდნენ ნაშთებს შემდეგი ეკლესიებისას: არაგვის ნაპირას თამორის ეკლესიისას (ხალხში მას ბოლო ხანებში იცნობდნენ ანტიოქიის ეკლესიის სახელით); მტკვრის მეორე (მარჯვენა) ნაპირას სანათლავის ადგილას პირდაპირ იყო გამოქვაბული ბეთლემის ეკლესიის ნანგრევით; მტკვრის მარცხენა ნაპირას გორაზე იყო კიდევ გოლგოთის მცირე ეკლესიის ნაგლეჯები (ამ მცირე ეკლესიის ნაშთი მოღწეულია ახლის მდ. მტკვართან). ყველა ეს სახელები მოდის პალესტინიდან — ეკლესიები გაშენებული ყოფილა, საფიქრებელია, თავიდანვე პალესტინურ ქრისტიანულ წმინდა ადგილთა სახელზე (თამორის მთაზე ქრისტიანული წარმოდგენით ზუკად ამაღლდა ქრისტე. ბეთლემში ის დაიბადა, ხოლო გოლგოთას ის ჯვარს აცვეს).

V
საგარეო ურთიერთობანი ვახტანგის მართველობის პირველ ხანაში

84. გადადგომა სპარსეთისაგან.

ვახტანგი ამ დროს უკვე გადადგომილი იყო სპარსელთაგან, მან "შეაგდო საყურობილესა შინა ბინქარ, მაცდური ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა, და მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა" (ქ. ცხოვ., გვ. 178).

ეს უკვე მომასწავებელი იყო იმის, რომ სპარსეთი მიმართავდა ქართლის მიმართ რეპრესიებს, ამიტომაც ვახტანგი "მოელოდა სპარსთა მეფისა მოსლვასა, ამაგრებდა ციხეთა და ქალაქთა და ჰკაზმვიდა (აიარაღებდა) მჴედართა და განამზადებდა (მათ) ბრძოლად სპარსთა" (იქვე).

მართლაც, მალე ამის შემდეგ სპარსეთის (ერთ-ერთ სამხარეო) მეფე მოემართება ქართლისაკენ. ვახტანგმა მიმართა დახმარების თხოვნით ბერძნებს, მაგრამ ამ მიმართვისაგან არა გამოვიდა რა. ამასობაში სპარსელები მოადგნენ ქართლს. ჯუანშერს მოცემული აქვს სპარსელებთან ბრძოლების სურათი, რომელიც წარმოადგენს მისი ლიტერატურული ფანტაზიის ნაყოფს და არა რეალური სინამდვილის ანარეკლს. მოთხრობილია, რომ ვახტანგმა "განაძლიერნა ციხენი ქალაქისანი (მცხეთისა) და ურჩულესი მბრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მჴედარი და ასი ათასი ქუეითი იპყრა მისთანა და დაუბანაკა მათ დიღმით ვიდრე ქართლის კართამდე და სპარსთა დაიბანაკეს ცხენის-ტერფითგან ჩალმართ" (გვ. 179).

ეს რიცხვები, რასაკვირველია, უზომოდ გაზვიადებულია. სპარსელების ჯარი პირველად შეესია თბილისს, ააოხრა ის და ძლიერ დაზიანა (მაშინვე ან ცოტა შემდეგ) თბილისის ციხე, რის გამო საჭირო შეიქმნა მალე ამ ციხის ხელახლა აშენებაზე ზრუნვა. ჯუანშერი სპარსელების ამ შემოსევის მთავარ მეთაურად თვით სპარსეთის მეფეს ასახელებს. მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ეს მეთაური იყო ერთ-ერთი სამხარეო მეფე, შესაძლებელია ჩრდილოეთი კუსტის პადოსპანი, რომელიც მეფის ტიტულსაც ატარებდა.

თბილისის შემდეგ დიდი ბრძოლები იყო მცხეთა-არმაზთან, რომელიც დიდად გამაგრებული პუნქტი იყო ჯუანშერის სიტყვით. ვახტანგმა გაამაგრა მოგვთას ხიდი (მცხეთაში) ვიდრენი მხარამდის,

რათა ამ ხიდზე ჯარს თავისუფლად შესძლებოდა მიმოსვლა. 60 ხარი უდრის 120 მეტრს და ასეთი სიფართოვის ხიდის გაკეთება ამ დროს მცხეთაში არც მიზანშეწონილი უნდა ყოფილიყო და არც ფაქტიურად შესაძლებელი. ყოველ შემთხვევაში, ჯუანშერით, "მეფე და სპასპეტი ჯუანშერ დადგეს მცხეთას, ხოლო (ერისთავნი) ნასრ და მირდატ დაუტევნა სპათა ზედა სომხითისა და ქართლისათა, რომელნი დგეს არმაზით კერძო და რა ბრძოდიან სპარსნი არმაზით კერძო, მცხეთით განვიდიან, და რა განვიდის ლაშქარი იგი იმიერ კერძო მცხეთით, ეწყუნიან არაგუსა ზედა და ოდესმე განვლიან ფონი მტკურისა და შეიბნიან ფონსა ზედა ტფილისისასა (ეს უნდა ყოფილიყო ახლანდელ დიღმის ველზე) და - რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე დღესა მათ" (გვ. 180).

ბრძოლა სპარს-ქართველებს შორის გაგრძელდა ვითომ 4 თვე.

სპარსელებთან ვახტანგის მიერ წარმოებული ბრძოლების დროს დაიღუპა ვახტანგის პირველი ცოლის მამამძუძე რაჟდენი.

რაჟდენის შესახებ მეტად მოკლე ცნობაა მატიანეში. ხოლო უფრო ვრცელი აღწერილობა, როგორც ჩანს, დაუწერიათ დაახლოებით VII ს-ნეში. ეს ტექსტი დაკარგულია, მაგრამ მისი კვალი (ზმნის ფორმები მივალნ=მივიდოდა, ისმენნ=ისმენდა, შიდა-ქართლის სახელად ზემო სოფლის ხმარება და სხვ.) ჩანს გვიან შედგენილ ჩვენამდე მოწეულ ვრცელ ნაწარმოებში რაჟდენის წამების შესახებ. ეს გვიანდელი ჰაგიოგრაფი სარგებლობდა როგორც მატიანის და სხვა ძველი ცნობებით, ისე აგრეთვე ზეპირგადმოცემებით ანუ როგორც თვითონ იხსენიებს "მიმოგანთესულობათა უწყებათათა".

"იყო ესე სამგზის სანატრელი, გადმოგვცემს გვიანდელი ჰაგიოგრაფი, ვითარცა ძველნი მატიანენი გვაუწყებენ და მიმოგანთესულობანი ესე ვითართა უწყებათანი, ნათესავთ სპარსნი, დიდთა და დიდებულთა მთავართაგანი და საკუთართა შორის სპარსთა მეფისათა წარჩინებულ და სჯულითა იყო იგი ცეცხლითა მოსავ და მსახურ მზისა და მთოვარისა". მას მიანდვეს მეფის ასულის აღზრდა, მამამძუძედ ყოფნა. "ხოლო წესი იყო მაშინ სპარსთა შორის ვითარცა ჩვენ, ქართველთა შორის, რომელსა მამამძუძედ უკმობდეს და დიდად რადმე პატივად ანიჭებდეს ესე ვითართა საქმეთა მთავართა და დიდებულთა თჳსთა".

სპარსთა მეფის ეს ასული ვახტანგმა სპარსეთში თავის ახალგაზრდობაში შეირთო ცოლად, ხოლო როდესაც ვახტანგი თავისი

ოჯახით დაბრუნდა სამშობლოში, რაედენიც, როგორც მამამძუძე, გადმოყვა თავის გაზრდილს. ეს ის დრო იყო, როდესაც ვახტანგი ჯერ კიდევ სპარსეთის მიმართ ლოიალობის გზას ადგა. ამით აიხსნება, რომ მან, დაიახლოვა თავისი ცოლის მამამძუძე "მეფემან ვახტანგ დიდითა პატივითა და შემსგავსებულის არზანაგითა, ვითარ შუენოდა მთავრობასა მისსა (რაედენისასა) , ეგრეთ პატივ სცა ნეტარსა ამას და დიდნი საკელონი (თანამდებობანი) და აგარაკნი მიანიჭნა და საკუთარ და თანამზრახველ ჰყო იგი და არა მხოლოდ ოდენ მთავრებრივისა და დიდებულებისა მისისა შესატყვისობისათჳს, არამედ სიკეთისა და სათნოებისა მისისა ღირსებისათჳს".

ჩვენ არ ვიცით რა სახელო ჰქონდა მიცემული რაედენს, შესაძლებელია, ის გახდა ვახტანგის ერთი სარდალთაგანი. "აგარაკნი" კი მას მიცემული უნდა ჰქონოდა ნიქოზში, რადგანაც აქ იქნა ის შემდეგ დაკრძალული, საფიქრებელია თავისსავე მამულში. ნიქოზში იყო 'საგზებელი ცეცხლისა', ეი. ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავი და შესაძლოა სწორედ ამიტომ რაედენს, როგორც ცეცხლთაყვანისმცემელს, სამფლობელო მიეცა ნიქოზს.

ვახტანგის ეს პირველი ცოლი მალე გარდაიცვალა, მაგრამ რაედენი დარჩა ვახტანგის სამსახურში და მალე გადავიდა ქრისტიანობაშიც.

რაედენი სარგებლობდა ვახტანგის მხრივ, როგორც ჩანს, იშვიათი პატივისცემით და სიყვარულით. ის გახდა რწმენით მტკიცე ქრისტიანი იმდენად, რომ შემდეგ მან თავი შესწირა ამ სარწმუნოებას.

ეს უნდა მომხდარიყო 472-473 წლის ახლოს, როდესაც სპარსელებმა დაუწყეს ვახტანგს ბრძოლა. რაედენი როგორც ეტყობა, მედგრად იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ, რომელნიც მას, ახლა როგორც ღრმად დაჯერებულ ქრისტიანს, თავისი ახალი მსოფლმხედველობის მტრად მიაჩნდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როდესაც გამარჯვება დარჩა სპარსელებს, რაედენი ტყვედ იქნა შეპყრობილი, იგი წარგზავნეს სპარსელების მხედართმთავართან, რომელიც დაბანაკებული იყო "ზემოსა სოფელსა (ე. ი. ზემო ქვეყანას) წრომს". მემატიანე ამბობს, რომ რაედენი იწამა სპარსთა მიერ "წყობასა ვახტანგისასა" (გვ. 199) . წრომში რაედენი გასამართლეს. მას მოსთხოვეს დაბრუნებოდა ცეცხლთაყვანისმცემლობას, რაზედაც მან გადაჭრით უარი განაცხადა. ბოლოს აღმართეს ძელები და მასზე დალურსმნეს როგორც რაედენი, ისე მასთან ერთად, მაგრამ ცალკე ხუთი ავაზაკი — "ვინაითგან ძელსა

ზედა მოკლულისა (ეი. ქრისტეს) მიმართ აქვს სასოება, განაცხადეს სპარსელებმა, ჯერ არს, რათა ესეცა ძელითა აღესრულოს".

ჯვარზე გაკრულთა წინ დაწყვეს მოისარნი, რომელთაც დაუწყეს მათ ისრების სროლა, სანამ სულს განუტევებდნენ. რაჟდენის გვამს მიუყენეს მცველები. "მაშინ მოვიდეს მორწმუნენი მის დაბისანი, გადმოგვცემს ჰაგიოგრაფი, და მათთან მღვდელი ერთი და აღიღეს გვამი იგი მრავალმოღვაწე შიშით და კრძალვითა და დაკრძალეს ადგილსა ფარულსა". შემდეგ კი რაჟდენის გვამი დაკრძალულ იქნა ნიქოზს.

• რაჟდენის სიკვდილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე და, საფიქრებელია, თვით ვახტანგზეც. ვახტანგთან პირადი საუკეთესო განწყობილების გარდა მნიშვნელობა ჰქონდა რაჟდენის დიდ გატაცებას ქრისტიანული სარწმუნოებით.

"ესე რაჟდენი იყო, წერს მემატიანე, მამამძუძე ვახტანგის ცოლისა, რომელი იგი პირველ მოეყვანა — სპარსთა მეფისა ასული, და მოიქცა იგი ქრისტიანედ და იქმნა იგი დიდად მორწმუნე. და იყო იგი ბრძოლასა მას შინა (ვახტანგისასა) ძლიერ, და შეეპყრეს იგი სპარსთა და აიძულებდეს, რათამცა უარყო ქრისტე, ხოლო მან წმიდამან აღირჩინა წარუვალი იგი დიდება და იწამა ქრისტესთჳს" (გვ. 199).

მაშინვე მისი სახელის გარშემო შექმნილ იქნა დიდი კულტი. რაჟდენი გამოცხადებულ იქნა წმინდანად, როგორც ჩანს, ეს იყო ახალი საკათალიკოზო ეკლესიის ერთ-ერთი პირველი თვალსაჩინო აქტთაგანი. მის საფლავზე ნიქოზში ვახტანგის განკარგულებით და, როგორც ჩანს, ვახტანგისავე (ე. ი. სახელმწიფოს) ხარჯზე აგებულ იქნა დიდი ეკლესია, რომელიც მალე გადაიქცა საეპისკოპოსო საყდრად. იქ დანიშნულ იქნა ეპისკოპოსი; ეს საეპისკოპოსო კათედრა ამის შემდეგ 14 ს-ნეზე ცოტა მეტი არსებობდა ვიდრე ჩვენში რუსული მართებლობის დამყარებამდის.

ნიქოზის საყდარს თავიდანვე ეკუთვნოდა სოფ. ზემო-ნიქოზი. სამწყსოც ჰქონდა საკმაოდ ვრცელი. რობოამ დამსხვა თმოგველ-უჯარმელ-ფავლენისშვილნი 1565 წელს სწერენ სიგელში ნიქოზის ამაღლების სახელობის ტაძრის სახელზე: "პირველადცა ღმრთივ გჳრგჳნოსანსა მეფეთ მეფესა და მოწამესა ვახტანგ გორგასლანსა, სანატრელსა აღმაშენებელსა წმიდისა საყდრისა თქუენისასა, შეეწირა

სოფელი ზემო-ნიქოზი და სხუანიცა მრავალნი სამწყსონი და ადგილნი".[1]

ვახტანგი არ დაჯერდა რაჟდენის ხსოვნის ამ მართლაც იშვიათ პატივისცემას. ნიქოზის საყდარი თუმცა რაჟდენის საფლავზე იყო აგებული, მაგრამ მაინც წმ. სტეფანეს სახელს ატარებდა. ვახტანგმა მოინდომა თვით რაჟდენის, როგორც წმინდანის, სახელობაზე ეკლესიის აშენება და ეს მან შეასრულა კიდეც. უჯარმის ციხის გალავნის გარეთ, უჯარმის რაბატში, ვახტანგმა გააშენა რაჟდანის სახელობის ეკლესია.

85. ზაეი სპარსეთთან.

შემდეგ კესარისაგან მოვიდა დამხმარე ჯარი ვითომ 80 ათ. კაცის რაოდენობით. ეს ჯარი დადგა ჯავახეთს. ამის გამო სპარსეთის მეფემ გამართა ვახტანგთან მოლაპარაკება მორიგების შესახებ. მორიგება მოხდა. ვახტანგმა და სპარსეთის მეფემ "ჟამი (დრო) დადეს შეკრებისა. აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთაავად და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს ველსა კალისასა, ხოლო ტფილისი სოფელი და კალაიცა მოოკრებულ იყო მაშინ. ხოლო მეფე ვახტანგ დადგა ჯაჭუს, და შეკრბეს მასვე ველსა (კალისასა) ორნივე მეფენი და მოიკითხეს ურთიერთსა და უყვეს აღთქმა თავის-თავისა სჯულსა ზედა გარდაუვალ და მოჰხადა (დაპატიჟა) მას დღესა სპარსთა მეფე გორგასალმან ლაშქრით თჳსით ტფილისად და უძღუნა გორგასალმან მჴევალი ათასი, მონა ხუთასი, სტავრა სკარამანგი ხუთასი, ბიზიონი (ბისონი) ზუზმა ხუთასი, ჯდალი (ჭაკი) ცხენი ათი ათასი, ცხენი ბარგისა ხუთასი, ჯორი სამასი, ზროხა ოთხასი, ცხვარი ათი ათასი" (გვ. 181-182).

მესამე დღეს ამ წვეულების შემდეგ გორგასალი მივიდა სპარსთა მეფესთან. ვახტანგმა მოარიგა სპარსელები ბერძნებთანაც, რომელთა წარმომადგენელი ლეონ ანთიპატრიკი მას თან ახლდა. ამასთან სპარსთა მეფემ ვითომ უძღუნა ვახტანგს "ალვა ლიტრა სამი ათასი, ამბარი ლიტრა ხუთასი, მუშკი ლიტრა ხუთასი, ტაიჭი ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი (სიასამური ტყავი) სამი ათასი" (გვ.183). ამის შემდეგ სპარსთა მეფემ სთხოვა ვახტანგს დაი მისი ცოლად და აგრეთვე მიიპატიჟა ის თავის ქვეყანაში. ვახტანგმა მიათხოვა სპარსეთის მეფეს თავისი და მირანდუხტი, გამოაცხადა თავისი შვილი დაჩი

---

1. ს. კაკაბაძე, თმოგველთა ვეარის ისტორიისათვის. ტფ. 1913, გვ. 3; შეად. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 405.

მეფედ და ჩააბარა მმართველობა მასთან ერთად შვიდ ნარჩინებულ პირს. (გვ. 185).

86. ვახტანგის გამგზავრება იერუსალიმს.

სპარსეთს წასვლის წინ ვახტანგი მიდის პალესტინაში იერუსალიმის მოსალოცავად. ჯუანშერის სიტყვით, ვახტანგი ჯერ ჩავიდა ანტიოქიაში, სადაც მას შესაძლებლობა ექნებოდა ენახა ანტიოქიის პატრიარქი და მოლაპარაკება გაემართა მასთან ქართველების საეკლესიო საკითხებზე და უმთავრესად ქართლის მთავარეპისკოპოსისათვის კათალიკოსის წოდების მინიჭების შესახებ, რაც განხორციელდა სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ. ანტიოქიიდან ვახტანგი თავისი დედის და დის თანხლებით გაემართა იერუსალიმს.

როგორც ჩანს, ვახტანგს ამ მგზავრობის დროს გაუშენებია თუ საფუძვლიანად შეუკეთებია ქართული მონასტერი იერუსალიმში გოლგოთაზე (სადაც სახარების მიხედვით, იესო ჯვარცმულ იქნა). ცნობა ამის შესახებ მოთავსებული აქვს იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს თავის მიმართვაში მეფე ერეკლე-ნაზარ-ალი-ხანისადმი 1701წ. ბაგრატონიანთა გვარეულობა, წერდა პატრიარქი ამ მიმართვაში, და მისგან წარმომდგარნი მეფენი (ეს სიტყვა მეფე ბერძნულ ტექსტში ქართულადვე არის მოხსენებული), ეი. იბერთა კეთილმოსურნე ხელმწიფენი თავიდანვე იყვნენ წმინდა და ცხოველმყოფელი საფლავის და ბერძნულ სხვა თაყვანსაცემ ადგილების მფარველნი და კეტიტორები (ამშენებენლნი) დამცველნი იყვნენ ისინი იმიტომ, რომ ბერძნების მეფეების მიერ ეგვიპტის სულთანებთან წარმოებული ომების დროს წმ. იერუსალიმის მონასტრები ყოველთვის იმყოფებოდნენ საბოლოო აოხრების საფრთხეში და ქართველმა მეფეებმა, როგორც ეგვიპტის სულთანთა მეგობრებმა, დაიცვეს ეს წმინდა მონასტრები და მათ მოაღწიეს ჩვენამდის; კეტიტორები (ამშენებლები) ისინი კიდევ იყვნენ იმიტომ, რომ ბერძნების და ფრანკების მიერ არაბებთან და ეგვიპტის სულთანებთან წარმოებული ომების დროს მონასტრები უაღრესად დაძველდნენ და უახლოვდებოდნენ დარღვევას: ხოლო იბერთა მეფენი უფლიდნენ მათ, როგორც ეს, სხვათა შორის ჩანს წმ. გოლგოთაზე დაცულ ქართულ ენაზე

შედგენილ ერთი წარწერიდან, რომელიც შეუდგენია მარად სახსოვარ ვახტანგ კორკასანს (ე. ი. გორგასალს)".[2]

ცნობა ვახტანგ გორგასალის მშენებლობის შესახებ იერუსალიმში მეტად მტკიცედ ყოფილა დაცული იერუსალიმის ქართულ მონასტერში. ქუთაისის მთავარეპისკოპოსის ტიმოთეს, რომელიც პალესტინაში 1755 წლის ახლოს იყო, თავის "მოხილვაში" ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის შესახებ პალესტინაში შეკრებილი აქვს შემდეგი მასალა. "მოსრულ არს (იერუსალიმედ/ დიდად სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასალან (გორგასალ/ და მრავალნი მონასტრები აღუშენებია და მცველნი ქალაქისა იერუსალიმისანი და მხედარნი, რომელნიც განუწესებიან ვახტანგს, მუნ დასახლებულან. ენა შეუცვლიათ არაბულად და იგინი ქართველნი არიან_ (და) აწ არაბნი იერუსალიმელნი ქართველნი არიან". ტიმოთესავე სიტყვით "ჯვარის მონასტერში ხატია დიდი და ღირსი მეფე მირიან ხოსროიანი. კვალად ხატია დიდი სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასლან ხოსროიანი, რომელმან დაიპყრა იერუსალიმი და პალესტინე"_ მირიანის და ვახტანგ გორგასალის ფრესკების არსებობა ჯვარის მონასტერში დადასტურებული იყო იერუსალიმს მყოფი სხვა მოგზაურთაგან და უკანასკნელ 1884წ. ალ. ცაგარელის მიერ.

არსებითად გვრჩება ზემოთ მოხსენებულიდან შემდეგი უდავო ფაქტი. ვახტანგ გორგასალი ყოფილა იერუსალიმში.[3] მას იქ აუშენებია

---

2. Грузинский духовный вестник, Тиф., 1866, апрел, стр.162-163. (საქართველოს სასულიერო მახარებელი). საბუთი ბერძნულიდან გადმოთარგმნილი იყო წმინდა საფლავის მეტოქის არქიეს მასალებიდან კონსტანტინეპოლში პორფირი უსპენსკის მიერ. ქართველებს ჰქონდათ თავისი კოლონია სირიაში ურასმიც. ავტორი Chronicum Edessenum-ისა გადმოგვცემს, რომ სელევკიანთა ერას 810 წელს (-499წ ჩვ. ე-თი) "ბერიელთა ამანის წყალი შეშრა სამი დღის სიგრძეზეო. ამას ადასტურებს ილ. სტილიტის ქრონიკა, რომელიც ასახელებს ამ ფაქტის მიზეზსაც — მიწის ძვრას (M. Brosset, Histoire de la Géorgie, I, ა. 184, ნ. 1).

3. ნიკოზის მონასტერში ინახებოდა ვახტანგ გორგასალის მიერ იერუსალიმიდან მოტანილი ჯვარი ზომით 4 ვერშოკი (17, 5 სანტ.), გაკეთებული გადმოცემით ცხოველმყოფელი ხის ნაწილისაგან (ცხოველმყოფელ ხედ ქრისტიანები სთვლიდნენ იმ ჯვარს, რომელზედაც აცვეს ქრისტე/. ერთი ასეთივე ჯვარი, ცოტათი უფრო მოზრდილი, XIX ს-ნის შუაში ინახებოდა ალაგერდის ტაძარში. ნიკოზის ტაძარში მყოფი ჯვარი შემკული იყო ოქროთი, მას გაკეთებული ჰქონდა წარწერა, რომ ის მოტანილი იყო იერუსალიმიდან ვახტანგ გორგასალის მიერ და შემდეგ განახლებული ყოფილა რუსეთან მეფის მიერ. 1799 წელს ეს ჯვარი დაკარგულა, რისთვისაც გიორგი XII-ს გადაუყენა ნიკოზელი ეპისკოპოსი ათანასი (Пл. Иоселиани, жизнеописание

გოლგოთაზე სპეციალური ქართული მონასტერი და დაუსახლებია სამღვდელო პირთა გარდა იქვე ქართველი მცველნი, რომელნიც ადგილზე დარჩენილან და შემდგომ საუკუნეებში პალესტინის მოსახლეობასთან ერთად გადასულან არაბულ ენაზე. XVIII ს-ნეშიც ტიმოთეს დროს ამ გაარაბებულ ყოფილ ქართველებში ცოცხალი ყოფილა გადმოცემა მათი ძველი ქართული წარმოშობის შესახებ.

კ. კენჭოშვილი წერდა 1900 წელს, რომ სინას მთის ყოფილ ქართულ მონასტერში მის დროს კიდევ ჰქონდათ მოხსენიება საქართველოს მეფეებს ვახტანგს, დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს.[4] ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ვახტანგ გორგასალს რაღაც ღვაწლი მიუძღვოდა სინას მთის ქართულ მონასტრისადმიც.

ხომ არ იყო ის მისი დამაარსებელი?

ეჭვს გარეშეა, რომ ვახტანგს ამ პილიგრიმობის დროს დაინტერესებდა ქართველების მიერ იქ გაშენებული მონასტრების გაცნობა. გაიცნობდნენ ის და მისი თანმხლე პირნი იმ მუშაობასაც, რომელსაც იქ გადასული ქართველები აწარმოებდნენ კულტურის ასპარეზზე. რასაკვირველია, ვახტანგის იქ ჩასვლას მოყვებოდა ქართული საეკლესიო-კულტურული კერების კიდევ უფრო განმტკიცება, მათი უზრუნველყოფა ნივთიერადაც. დასახული იქნებოდა აგრეთვე გეგმები დაუმთავრებელ სამუშაოთა შესასრულებლად და სხ. ყველაფერ ამის შესახებ შეიძლება ზემოთ გაშლილი ფაქტების მიხედვით მხოლოდ ვარაუდი, რადგანაც ვახტანგის თანადროული ცნობები ამის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს.

87. ვახტანგი სპარსეთის სამხედრო სამსახურში (474-475 წლების ახლოს).

იერუსალიმის მოლოცვის შემდეგ ვახტანგი ანტიოქიის გზით გაემართა სპარსეთისაკენ. სპარსეთში ის მონაწილეობას იღებდა სპარსე-

---

святых, прославляемых православной грузинской церковью, Тиф. 1850, стр.53-54, прим.

ალ. იოსელიანი ამ ცნობის გადმოცემისას შენიშნავდა: "Эта та самая часть древа животворящего, о существовании которой было известно всему Востоку и о которой не раз писали западные христиане (იქვე).

4 . კ. კენჭოშვილი, მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, ტფ. 1906, გვ. 119.

ლების სხვადასხვა ლაშქრობებში. მთავარი ამათში იყო ომები ეგრეთ წოდებულ თეთრ ჰუნებთან ანუ ეფთალიტებთან.

ჰუნები, უკეთ ვთქვათ ტომების კონგლომერატი ჰუნების მეთაურთა წინამძღოლობით გამოჩნდნენ აღმ. ევროპის სამხრეთ ნაწილებში ვიდრე კასპიის ზღვამდის და კავკასიონის მიმდგომ ქვეყნებამდის IV ს-ნის მეორე ნახევრიდან. ჰუნების სახელწოდება ამ დროს უახლოეს ორ საუკუნეში მოიცავდა დიდძალ, უმეტესად მომთაბარე ტომებს, რომელნიც სინამდვილეში სხვადასხვა წარმოშობისა იყვნენ. ამით აიხსნება, რომ ჰუნების ეთნიური რაობის შესახებ მეცნიერებაში XVIII ს-ნის მეორე ნახევრიდან, როდესაც დაწყებულ იქნა ჰუნების პრობლემის შესწავლა, სხვადასხვა აზრი არსებობდა: ჰუნებს სთვლიდნენ მონღოლთა, ან თურქთა და ფინთა ანდა კიდევ (უფრო ნაკლებ/ სლავების მოდგმისად. ჰუნებს ემორჩილებოდა ზოგი მანჯურული და ჩინური ტომიც. მათ ხელქვეით იყო თურქულ ენა-კილოებზე მოდაპარაკე სხვადასხვა ტომები. ყველგან ჰუნების საბრძანებელში დგებოდა ტომობრივი კავშირები, სწრაფი პროცესით ყალიბდებოდა კლასები და სახელმწიფო წყობილების პრიმიტიული ფორმები. VI-VII ს-ნეებში ჩამოყალიბდა ამ წესით თურქული მოდგმის ხალხი.[5]

საქართველოსა და ირანის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ეგრეთ წოდებულ თეთრ ჰუნებს ანუ ხიონიტებს, რომელნიც კიდევ ეფთალიტებად იწოდებოდნენ. მაშინ როდესაც ჰუნების მთავარი მასა მონღოლურ და თურქულ, საერთოდ ყვითელი რასის მოდგმისანი იყვნენ, ეს არ ითქმის ხიონიტების ანუ ეფთალიტების შესახებ. პროკოპი კესარიელი (BP, I, 3) პირდაპირ წერდა, რომ "თუმცა ეფთალიტები ჰუნთა ტომის ხალხს შეადგენენ, მაგრამ ისინი არ არიან შერეულნი ჩვენთვის ცნობილ ჰუნებთან და არ აქვთ მათთან ურთიერთობა, რადგანაც არც ესაზღვრებიან მათ და არც მათ ახლო არ ცხოვრობენ. მაგრამ ისინი ემეზობლებიან სპარსელებს ჩრდილოეთით იქ, სადაც სპარსეთის გარე ნაპირზე არის ქალაქი სახელით გორგო (ეი. გორგანო ანუ ჯორჯანო/. აქ მათ და სპარსელებს შორის ხშირად არის საზღვრის გამო ომი. ისინი არ არიან მომთაბარენი ჰუნთა სხვა ტომების მსგავსად. არამედ ძველიდანვე სახლობენ ნაყოფიერ მიწაზე. ამიტომაც ისინი არასოდეს არ ესხმოდნენ თავს რომეების ქვეყნებს, თუ არ მიდიელების ჯართან ერთად. ყველა ჰუნებიდან მხოლოდ ისინი არიან ტანით

5 . А.Н. Бернштам, Очерк истории гуннов, Л, 1951, უფრო გვ.9. 55 და სხვ.

თეთრი და პირისახეზედაც არ არიან მსგავსნი. თავისი ყოფაცხოვრებითაც ისინი არ გვანან სხვა ჰუნებს და არ ცხოვრობენ ისე პირუტყვულად როგორც ისინი, არამედ იმყოფებიან ერთი მეფის გამგებლობის ქვეშ. მათ აქვთ კეთილმოწყობილი სამოქალაქო ცხოვრება, იცავენ თავიანთ შორის და მეზობლებთან სამართლიანობას არა რომელებზე ან სხვებზე, ნაკლებად".

VI ს-ნის ავტორის პროკოპის მოწმობა ცხად ჰყოფს, რომ ეფთალიტები იყვნენ თეთრი რასისანი ასე თუ ისე სპარსელების მონათესავე და ცხოვრობდნენ უფრო მიწათმოქმედებით. ჩინურ წყაროებში ისინი იხსენიებიან ტიე-იე-ს სახელით, ბიზანტიელი ავტორები კი მათ უწოდებდნენ კიდევ ეფ-თელიტებს და აბდელიტებს. რ. გირშმანმა დაამტკიცა, რომ ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით ხიონიტების რამოდენიმე მეფე ატარებდა ეფთალის სახელს. ამიტომაც სახელი ეფთალიტი ამ ხალხისათვის წარმოიშვა მმართველი დინასტიის საკვარო სახელისგან, ხალხის სახელი იყო ხიონ, რომელიც განსხვავდებოდა ჰუნების სახელისგან ჰონ. მაგრამ რადგანაც მაინც სახელები ხიონ და ჰონ ახლოს არიან ერთმანეთთან, ამიტომ ამის მიზეზით მოხდა ხიონიტების აღრევა ჰუნებთან.[6] ეს მოხდა ძველადვე თვით სპარსელებში და აქედან არსებითად სხვადასხვა სახელების ხიონ და ჰონ-ის ასეთი აღრევა გავრცელდა ძველ სომხებსა და რომეებში, ეი. სომეხ და ბიზანტიელ ავტორ-ისტორიკოსებს შორის.

სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ ლეონ კეისრის (457-474წწ.) დროს, მაშასადამე უადრეს 474 წლისა, პეროზ მეფე ცვალებადი შედეგებით ებრძოდა ჰუნებს ეფთალიტებს. ჰუ^ნებმა დაამარცხეს პეროზი და თვითონ ისიც ტყვედ შეიპყრეს. კეისარ ლეონის შუამდგომლობით თეთრი ჰუნების ხელმწიფე დასთანხმდა გაენთავისუფლებინა პეროზი იმ პირობით, რომ ის მშვიდად იქნებოდა თავის სახელმწიფოში და მეზობლებს აღარ შეაწუხებდა. ამასთანავე სპარსეთმა დაუთმო ჰუნებს ქალ. თალაკან თავისი ოლქითურთ, მაგრამ ამ მოუსვენარმა მეფემ კვლავ დაიწყო ომი, რომელიც ამჟამად მისთვის კარგად გათავდა, ასე რომ თეთრი ჰუნები იძულებული გახდნენ ბევრი რამ დაეთმოთ სპარსელებისათვის.

---

6 . М.М. Дюяконов, Очерк истории древнего Ирана, М. 1961 განსაკუთრებით გვ. 402. სადაც ციტირებულია წიგნიც: R. Ghirshman, Les Chionites-Hephtalites, Le Caire, 1948, XII-XIII, pp.66,115.

სპარსელების ლაშქრობაში ჰუნების წინააღმდეგ მონაწილეობას იღებდა ვახტანგი, აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ჯუანშერის სიტყვით ვახტანგს თითქოს ქართველების ჯარი თან არ ჰყავდა. მართალია ვახტანგმა, ჯუანშერის ცნობით, სპარსეთს თან წაიყვანა ვითომ ოთხი წარჩინებული (კლარჯეთის, წუნდის და ოძრახის ერისთავები და თავისი დიდი ეჯიბი საურმაგი) ათი ათასი მხედრით, (გვ. 185-186). მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს ჯუანშერის თხზულების ის ადგილი, სადაც სპარსეთს წაყვანის წინ ხვასრო (ეი. სპარსეთის მეფე) ეუბნება ვახტანგს:"შენ თავითა შენითა მინებ ძალად ჩემდა, არამედ სპანი შენნი ადგილსავე იყვნენ" (გვ. 184). ცხადია, რომ ვახტანგის მიერ თან წაყვანილი ქართველების რაზმი უნდა ყოფილიყო მცირე.

ჯუანშერის მიერ მოხსენებულია ვახტანგის ლაშქრობა გურგანში, იგივე ჯორჯანეთში (კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში). ეს დასტურდება სხვა მონაცემებითაც. ბერძნული წყაროები იხსენიებენ პეროზ მეფის ლაშქრობებს კორგანგ-ის (პრისკით, ჩორგა, გორგა-ს/ ველებზე დაწყებული 464 წლიდან. ეს ლაშქრობები შემდეგ მეორდებოდა. კორგანგ არის იგივე გურგან და ჯურჯან.[7]

ტაბარის სიტყვით, პეროზ მეფემ გორგანში (ჯორჯანში/ გააშენა ქალაქი, ე. ი. გამაგრებული პუნქტი. ამის შემდეგ გორგანი თუ მთლიანად არა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც სპარსეთს ეკუთვნოდა. ადმინისტრაციულ ერთეულთა სიაში სახელით ერან-შაჰრ. გორგანი სპარსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთ პროვინციად ითვლება.

ჯურჯანის გარდა ვახტანგი (სპარსელებთან ერთად და მათ ჯარში) ლაშქრობს ინდოეთისაკენ. იქიდან კი სპარსელები ვახტანგი-თურთ გადავიდნენ სინდეთს.

ინდოეთში იყო სხვადასხვა სახელმწიფოები და ტომობრივი ერთეულები. სპარსეთთან ურთიერთობაში იმყოფებოდა უფრო ინდოეთის ჩრდ.-დასავლეთი ნაწილი, რომელიც II ს-ნის ჩვ. ე-მდის შუაში დაიმორჩილა პართიამ. ამ დროიდან პართიის ვასალობას აღიარებდნენ იქ ჩამოყალიბებული წვრილი სახელმწიფოები. I ს-ნის დასაწყისში ინდოეთის ეს კიდური ნაწილი და მდ. განგის ცენტრალური მხარე დაიმორჩილეს

---

7 . ჯორჯანეთი არის იგივე გურგანი. სებეოსი (661 წ) ხმარობს ამ მხარისთვის ფორმებს ვრკანს და ჯრეჯან (სებეოსის ისტორიის ერთადერთ ხელნაწერში ამკარა შეცდომით მოცემულია ზრეჯან. რაც შემდეგ გასწორებულია ბეჭდურ გამოცემებში ჯრეჯანად, რაც იგივე ჯორჯანი არის. ამიტომ ჯორჯანეთი ჯუანშერთან საკუთრივ ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

თურქული მოდგმის ქუშანებმა. IV ს-ნეში მათი ბატონობაც დამთავრდა და მდ. განგის აუზში გაძლიერდა მაგადხას მიწათმფლობელური სახელმწიფო გუპტების დინასტიით სათავეში. ამ სახელმწიფომ დაიმორჩილა ჩრდილოეთი ინდოეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჰუნების შემოსევამ მეხუთე საუკუნის შუაში ძლიერ დაასუსტა ეს სახელმწიფო /მეექვსე საუკუნის დასაწყისში აქ ჰუნებმა ნახევარი საუკუნით ფეხიც მოიკიდეს/. როდესაც ამ ხანის სპარსეთთან ურთიერთობაში ინდოეთზე არის ლაპარაკი, იგულისხმება ინდოეთის ეს ჩრდილოეთი ნაწილი.

ამ ინდოეთისაკენ სპარსელები და მათთან ერთად ვახტანგი წავიდნენ ცენტრალური მიმართულებით. ამის სამხრეთით მდ. ინდის აუზის სამხრეთ ნაწილში, ახლოს ზღვასთან, იყვნენ სინდები, ინდურივე შედარებით მცირე ხალხი. სინდეთი ხშირად წარმოადგენდა სადავო ქვეყანას სპარსეთსა და ჩრდილოეთ ინდოეთში მყოფ ინდურ სახელმწიფოს შორის.

III ს-ნეში სინდეთი ეკუთვნოდა სპარსეთს. როცა ორმიზდ II მოკვდა და მის ფეხმძიმედ დარჩენილ ცოლს შემდეგ დაებადა ვაჟი შაპურ II /309-380 წწ/, ამ გარდამავალი ხანით ისარგებლეს თურქების /ჰუნების/, ინდოეთის და რომეების მეფეებმა, თავს დაესხნენ სპარსეთს და წაართვეს მოსაზღვრე ქვეყნები-ყველამ თავისთვის ნაწილი წაიღო, წერს ტაბარი /II, 16, სპარსული ვერსია/. მაგრამ შაპურ III-ის /384-386 წწ/ დროს სპარსეთი კვლავ გადავიდა სინდეთის მიმართ შეტევაზე, ტაბარის ცნობით, შაპურ III-მ გააშენა ქალაქები სინდეთსა და საგისტანში. მალე ინდოეთმა ისევ წაართვა სპარსეთს სინდეთი. მაგრამ შემდეგში ბაჰრამ-გურის /417-438/ დროს ინდოეთმა დაუბრუნა სპარსეთს სინდეთი, მუკრანი და მთელი მოსაზღვრე ქვეყანა /ტაბარი, II, 22/ პეროზის დროს, როგორც ჩანს, სინდეთი აჯანყებულა და თავისი მეფით სათავეში გადადგომია სპარსეთს.

ჯუანშერი განასხვავებს ერთმანეთისაგან ვახტანგის მყოფობას ლაშქრად ჯერ ინდოეთში და შემდეგ სინდეთში თითოში სამ-სამი წელიწადი. /რომ ვახტანგს ამ მხარეებში დაეყოვნოს მთელი 6 წელიწადი/, ეს აშკარად გადამეტებულია, მაგრამ აქედან ყოველ შემთხვევაში შეიძლება ისეთი შთაბეჭდილების გამოტანა, რომ ვახტანგი და მისი თანმხლე ქართველები საკმაოდ დიდხანს ყოფილან ინდოეთსა და სინდეთში.

ჯუანშერით, ხსენებულ ლაშქრობათა შემდეგ ვახტანგი გაემართა სალაშქროდ აბაშეთისაკენ. ამ სახელის მაჩვენებელი უნდა იყოს შემდეგ-

დროინდელი ნავსადგური იმავე გურგანში აბესკუნი კასპიის ზღვის სანაპიროზე ასტრაბადის ახლოს. აბესკუნი ფეოდალურ ხანაში განთქმული იყო აბრეშუმების დამზადებით. ამის მიხედვით ვახტანგს გურგანის დასამორჩილებლად ლაშქრობაში ორჯერ მიუღია მონაწილეობა, ერთხელ, როდესაც გურგანეთში სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყება ყოფილა და ეს მსარე კვლავ სპარსეთს დაუმორჩილეს, და მეორეჯერ, როდესაც გურგარეთი კვლავ გადასდგომია სპარსეთს.[8] სირიელი ავტორის იოზუე სტილიტის მიხედვით[9] 'სპარსელების მეფე პეროზი იმ ომის გამო, რომელსაც ის აწარმოებდა ხიონიტებთან /ეი. ჰუნებთან/, ძლიერ ხშირად იღებდა სუბსიდიას რომეელისაგან... ამათგან მიღებული ფულის დახმარებით პეროზმა დაიმორჩილა ჰუნები და წაართვა მათ მათი ქვეყნიდან ბევრი პუნქტი, რომელნიც თავის სახელმწიფოს შეუერთა'. ტაბარის სიტყვით /11, 24/, პეროზმა გააშენა გურგანის ქვეყანაში ქალაქი სახელით რუშენ-პირუზ. ეჭვს გარეშეა ამგვარად ის, რომ პეროზმა გარკვეულ წლებში ჰუნების მიმართ შუა-აზიაში დიდ გამარჯვებებს მიაღწია იმდენად, რომ წაურთმევია მათთვის გურგანი /მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც/ და გაუშენებია იქ თავის სახელზე ქალაქი სიმაგრე.

ცხადი ხდება, რომ ჯუანშერის ცნობა ვახტანგის ქართველებითურთ მონაწილეობის შესახებ აღმოსავლეთ ქვეყნების მიმართ /გურგანსა, აბაშეთსა და სინდეთში/ სპარსელების მიერ წარმოებულ ლაშქრობებში სიმართლეს შეეფერება. მეტიც, ჯუანშერი ავსებს ჰუნების მიმართ პეროზის სამხედრო შეტევათა შესახებ ბერძენი ავტორების /პროკოპი კესარიელის, აგათის, ევტიქის, კედრინის და სხვათა/, აგრეთვე სირიელ აბულ-ფარაჯ-ბარჰებრეის და სხვათა ცნობებს დეტალებით და ამასთანავე გადმოგვცემს ვახტანგის ლაშქრობის შესახებ /იგულისხმება სპარსელებთან ერთად/. ინდოეთის და სინდეთის მიმართულებით, რასაც არცერთი ხსენებული წყარო არ იხსენიებს /სპარსული წყაროები ამ

---

8 . მ. ბროსემ თავის დროზე (Histoir de la Géorgie,I, p.189, n.3; მიაქცია ყურადღება, რომ ქართლის ცხოვრების XII ს-ნის სომხურ თარგმანში აბაშეთი განმარტებულია როგორც ქუშაქთა (ეი. პუნ-ქუშანების) ქვეყანა. მ. ბროსე ფიქრობდა, რომ ჯუანშერის მიერ მოხსენებული აბაშები იყვნენ ინდოეთის აბისინელები ანუ აბეშები, რომელნიც კასის ფერით ბგვანან აფრიკის აბისინელებსო (Histoir de la Géorgie, I, p 190, n.1)

9 . ასემანის Bibliotheca orientalis Clementino vaticana, Roma, 1719, t.I, p.263; ციტირებული აქვს ლებოს.

ამბების შესახებ არ არის მოწვენილი, თუ არ ჩავთვლით სპარსულ ტაბარის, მაგრამ ის არაბულად წერდა/.

ამ ლაშქრობების დროს ვახტანგმა ისახელა თავი. როგორც მეომარმა და მსედართმთავარმა. ის იბრძოდა ქართველების დროშით. XII საუკუნეში ჯერ კიდევ ახსოვდათ, რომ ვახტანგის დროიდან არსებული ქართული სახელმწიფო დროშა /თეთრი ფერისა წითელი არშიით/ სინდეთში იყო ნამყოფი: თამარის I მემატიანე წერს, რომ მის დროინდელი ქართული სახელმწიფო დროშა, სინდეთითგან მოსპეტაკდებოდა"-ო, ეი. თეთრი ფერისა იყო (ქ. ცხ. II. გვ.71).

ვახტანგი დაბრუნდა სპარსეთიდან დიდი ნადავლით და დიდად დასაჩუქრებული, თხრობაში მირ და არჩილ მეფეთა შესახებ მემატიანე ალაპარაკებს არჩილს მირის მიმართ: ჩვენ დავფლენით ყოველნი ჩვენნი საგანძურნი და "დავდევით ორთა მათთანა გურგუნთა ზურმუხტისა და იაგუნდისა ძოწეულისათა, რომელნი იგი გამოიტანნა მამამან ჩუენმან, დიდმან მეფემან ვახტუნგ ინდოეთით და სინდეთით. დავფლენით იგი უკჯარმოს მახლობელად შორის ორთა მათ კოშკთა სმცველოთა. და ყოველი იგი აღწერილ არს გონებასა ჩემსა. და შენ წარიხუენ ორნი იგი გურგუნნი ოქროსა და ანთრაკისანი — ერთი მირიან მეფისა და ერთი ვახტანგისი, რომელი მოუძღვნა სპარსთა მეფემან ვახტანგს ყოველსა თანა ოქროსა ვეცხლსა, რომელი აჰკიდა სატ რთაესა ხუთასსა და მკრცხლსა ორი ათასსა, და შენ და მამამან ჩვენმა /სტეფანოზ/ დასდევით იგი ქუთათისს და ციხე-გოჯს". /გვ236/.

ამ ცნობის მიხედვით, ვახტანგს სპარსეთიდან ჩამოუყვა /ცხადია. იქ მისთვის ნაბოძები/ ორი გვირგვინი. ერთი — ძვირფასი ქვებით ანთრაკით (ე. ი. ზურმუხტებით და ლალით) შემკული მაშინ, როდესაც ის დაამტკიცეს და აღადგინეს ქართლის მეფედ და მეორე კი ოქროს გვირგვინი, მიძღვნილი მისდამი ინდოეთ-სინდეთზე ლაშქრობის მოთავების შემდეგ. გარდა ამისა ვახტანგისთვის იქ უბოძებიათ /ცხადია, მის მიერ აღებული დაელიდან/ დიდძალი ოქრო-ვერცხლის ნივთები სულ თითქოს ხუთასი ცხენის საპალნე და ორი ათასი ქვეითი კაცის სატვირთავი. ქვეითებს მოჰქონდათ ალბათ დიდრონი საავეჯო ნივთები. ეს რიცხვები რასაკვირველია გადამეტებულია და მომრგვალებულიც. გარდა ამისა წამოღებული დაელა უნდა იგულისხმებოდეს, როგორც სპარსეთში ვახტანგის მყოფობის შედეგი ახალგაზრდობისას და აგრეთვე მეორეჯერ, როდესაც ის მონაწილეობას იღებდა ინდოეთ-სინდეთზე ლაშქრობაში. როგორც უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში უდაოა რომ ორსავე შემთხვე-

ვაში ვახტანგი დაბრუნებულა სპარსეთიდან დიდად დასაჩუქრებული და იქ მოპოვებული საგანძურებით და სიმდიდრით: მაშინდელი წესის თანახმად მხედართმთავარს (უფროსს და ნაკლებსაც/ ეკუთვნოდა ომში გარეშე ქვეყანასთან წამოღებულის ან დამორჩილებულ და აჯანყებულ მხარეებში ნადავლიდან მიღებულის გარკვეული ნაწილი.

88. თარეშული თავდასხმები მოსაზღვრე აღმ. რომის იმპერიის ქვეყნებზე.

აღმ. რომის იმპერიასთან ვახტანგის მართებლობას გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ეგრისის ისე შავშეთ-კლარჯეთის გამო. მაგრამ ის არც იმას ივიწყებდა, რომ რომეების ხელქვეით იყო დიდძალი ქართული /ქართლური და მეგრული/ ქვეყნები ჭოროხის ხეობაში და პონტოში. ჯუანშერს თავისებურად გაზვიადებულ და ფანტასტიური დეტალებით აღწერილი აქვს თუ როგორ ლაშქრობს ვახტანგი თავისი და სპარსელების, აგრეთვე სომხეთის ჯარით ბერძნებზე /რომეებზე/. ამ ლაშქრობის შესახებ არაფერია ცნობილი ბერძნულ წყაროებში. ცხადია, მას არ ჰქონია ადგილი. იყო, როგორც ჩანს აღმ. რომის იმპერიის ქვეყნებზე თარეშული თავდასხმები, რომელნიც აღწევდნენ პონტოს ქვეყნებში საკმაოდ შორს მანძილზე. ეს საკსებით შესაძლებელია.

VI

ბრძოლა ქართული ქვეყნების გაერთიანებისათვის

89. ეგრისი და აღმოსავლეთ რომის იმპერია.

ამ დროს ქართლი მთავარ ყურადღებას აქცევს ეგრისის შემოერთებას. ეგრისი 450-იან წლებში მტკიცედ ემორჩილებოდა აღმოსავლეთ რომის იმპერიას. ეგრისის ერისთავად / მეფედ/ ამ დროს იყო გუბაზი, რომელიც შეეცადა თავისი მართებლობის დამოუკიდებლობის განმტკიცებას. რა ღონისძიებანი მიიღო მან ამ მიმართულებით, დეტალურად არ ჩანს. თანადროული ბერძენი მწერალი პრისკ პანიელი აღნიშნავს მხოლოდ ერთ გარემოებას, რომელიც ძლიერ არ მოსწონდა ბერძნების /აღმოსავლეთ რომის იმპერიის/ მთავრობას, სახელდობრ, რომ გუბაზმა ეგრისის /ლაზიკის/ ერისთავად /მეფედ/ თავისთან ერთად გამოაცხადა თავისი შვილი. მაგრამ აშკარაა, რომ მარტო ეს გარემოება არ გამოიწვევდა რომეების მთავრობის მიერ ჯარის გამოგზავნას კოლხიდისაკენ, ეგრისი როგორც ჩანს, მთლად გადადგომია ბერძნებს და ამისი შედეგი იყო ის, რასაც აღნიშნავს პრისკი: "რომეები მივიდნენ კოლხიდაში და დაიწყეს ომი ლაზებთან /456 წ/. რომეების ჯარი დაბრუნდა უკან და იმპერატორის კარისკაცებმა დაიწყეს მზადება ახალი ომისათვის /ცხადია, რომ რომეებს ვერ მოეხერხებიათ ერთი გალაშქრებით ეგრისის კვლავ დამორჩილება და საჭირო გახდა მეორე გალაშქრებაზე ზრუნვა/. ისინი ბჭობდნენ გაავრძელონ ომი წინანდელი გზით, თუ იმ სომხეთზე გავლით, რომელიც ეკვრის სპარსელების ქვეყანას ისე, რომ წინასწარ ელჩების გაგზავნით თავის მხარეზე გადაიბირონ პართელების მეფე. /ასე ისინი მსჯელობდნენ იმიტომ, რომ/ მათ საძნელოდ ეჩნდათ ზღვით მოევლოთ მიუდგომელი ადგილები, რადგანაც კოლხიდაში არ იყო ნავთსაყუდელები".

ამ ცნობიდან ჩანს, რომ რომეები 456 წელს ცდილან შემოსულიყვნენ კოლხიდაში ზღვით, მაგრამ ზღვის ნაპირას არ იყო ნაყსაყუდელები. ძველი ფაზისიც ამ დროს გაუქმებულად და დაპატარავებულად ჩანს. შემდეგს საუკუნეებშიდაც ეგრისს შავი ზღვის მხრიდან რკალივით ერტყა ჭაობიანი ადგილები. პრისკის ცნობა ამტკიცებს, რომ ამ ხანაში ეგრისის ზღვის სანაპირო მოკლებული იყო მოსახლეობას: ის დაფარული იქნებოდა ხშირი ტყით. გასაგებია ამასთან დაკავშირებით პროკოპი კესარიელის ცნობა VI საუკუნის შუა ხანისათვის იმის შესახებ,

რომ ტერიტორია კანტრიშ-პეტრასა და მდ. რიონს შორის, მაშასადამე. გურიის დაბლობ ნაწილში, ამ დროს ცარიელი იყო მოსახლეობისაგან. ასეთ პირობებში ბერძენ რომეებს V-ს ნის შუაშიც შეეძლოთ ეთქვათ, რომ ლაზიკას /ეგრიის გურიითურთ/ ნავსაყუდლები არ აქვსო. უკეთ, დაბლობ ადგილებში ზღვის სანაპიროს მომდგამ მხარეებში არ იყო თითქმის მოსახლეობა და ამიტომ რომეელ-ბერძნების ჯარს არ შეეძლო იქ გაძლება. ამიტომ ბერძნების ჯარი უკან დაბრუნდა და საჭირო შეიქნა ახალი გეგმის შემუშავება ლაზიკაში შესვლის შესახებ სამხრეთიდან.

როდესაც გუბაზმა გაიგო, რომ რომეები აპირებენ სპარსელებთან შეთანხმებას სომხეთზე ჯარის გაშვების შესახებ, მაშინვე მან თავის მხრივ მიიღო ზომები. სასელდობრ, იმავე პრისკ პანიელის სიტყვით, გუბაზს ელჩები გაუგზავნია პართელთა /სპარსეთის/ მეფესთან. პრისკი არ ამბობს რას თხოულობდა ეს საელჩო, მაგრამ განმარტავს, რომ "პართელთა მეფემ უარი უთხრა ლაზებს მათ თხოვნაზე, რადგან მას ომი ჰქონდა ჰუნებთან რომელთაც კიდარიტებს ეძახიან"-ო. ცხადია, რომ გუბაზს უთხოვნია სპარსელებისათვის დახმარება ბერძნების /რომეების/ წინააღმდეგ, რაც გულისხმობდა თავის თავად ბერძნების ჯარის არ გაშვებასაც არმენიაზე. მაგრამ სპარსეთის მთავრობას გუბაზის ეს თხოვნა არ დაუკმაყოფილებია.

მაშინ გუბაზს იმის მეტი არა დარჩენოდა რა, რომ რომეელ-ბერძნების წინაშე ქედი მოეხარა. "გუბაზი, წერს პრისკი, აგზავნის ელჩებს რომეებთან. რომეები უპასუხებენ გუბაზისაგან მათთან მისულ ელჩებს, რომ ისინი თავს შეიკავებენ ომისაგან, უკეთუ ან თვით გუბაზი უარს იტყვის ხელისუფლებაზე, ანდა ჩამოართმევს მეფობას თავის შვილს, რადგან შეუძლებელია, რომ ძველი წესის საწინააღმდეგოდ მათ ორივემ იმატონონ თავიანთ ქვეყანაზეო. ევფიმემ, რომელსაც მაგისტრის ხარისხი ჰქონდა /ის აწარმოებდა, როგორც ჩანს, მოლაპარაკებას ,ბერძნების მართებლობის მხრივ/, წინადადება მისცა გუბაზს, დარჩენილიყო კოლხიდაში მეფედ ან თვითონ, ან მისი შვილი და ამით შეწყვეტილიყო ომი... გუბაზმა მის წინაშე დაყენებულ არჩევანში ამჯობინა დაეთმო მეფობა შვილისათვის, თვითონ კი დასდვა თავისი ძალა-უფლების ნიშნები და გაგზავნა რომეების იმპერატორთან კაცები თხოვნით, რომ კოლხებს უკვე აქვთ ერთპიროვნული ხელმწიფება და ამიტომ ნუ მიმართავს იარაღს გუბაზზე გაჯავრების გამო. იმპერატორმა უბრძანა გუბაზს გადასულიყო რომეების ქვეყანაში და მიეცა ანგარიში თავისი

ზრახვების შესახებ. გუბაზმა არ სთქვა უარი ჩასვლაზე. მაგრამ მოითხოვა, რომ დიონისიმ, რომელიც წინათ მასთან უთანხმოების დროს გაგზავნილი იყო კოლხიდაში, იკისროს თავდებობა, რომ მას, გუბაზს. არაფერს ცუდს არ უზამენ. ამიტომ დიონისი გაგზავნილ იქმნა კოლხიდაში და ისინი /გუბაზი და დიონისი/ შეთანხმდნენ უთანხმოებათა შესახებ".

ყველაფერი ეს დიდად გაჭიანურებულა. თუ რომების პირველი წამოსვლა გუბაზის და ეგრისის წინააღმდეგ 456 წელს მოხდა, შემდგომი მოლაპარაკებანი გაგრძელებულა ვიდრე 465 წლამდის. გუბაზის მიერ შვილის სასარგებლოდ მეფობაზე უარის თქმა 465 წელს მოხდარა. ყოველ შემთხვევაში გუბაზი დიონისის თანხლებით ჩასულა კონსტანტინოპოლს 465 წლის ბოლოს. "ხანძრის შემდეგ (ეს ხანძარი კონსტანტინოპოლში მოხდა 2 სექტ. 465 წ./ იმპერატორ ლეონის დროს (ლეონ I, 457-474 წ.წ.) გუბაზი დიონისისთან ერთად ჩასულა კონსტანტინოპოლს. ის ჩაცმული იყო სპარსულ ტანისამოსში და მიდიელების ჩვეულების თანახმად გარშემორტყმული იყო მცველებით. იმპერატორის კარის მოხელეებმა პირველად მას საყვედური უთხრეს ავკანყებისათვის, მაგრამ შემდეგ მოფერებით გაუშვეს. გუბაზმა მოიგო მათი გული თავისი ქათინაურული სიტყვებით და იმითაც, რომ ატარებდა თავისი ქრისტიანობის ნიშნებს".

დანიელ მესვეტის /გარდაიცვალა 489-490 წ. ახლოს კონსტანტინოპოლის მიდამოში; აქ მან 9 წელიწადი დაცარიელებულ წარმართულ ტაძარში ცხოვრების შემდეგ 30 წელი გაატარა სვეტზე/ ცხოვრებაში მოხსენებულია, რომ როდესაც აფხაზთა /მეორე ვერსიით მეგრელთა/ მეფე ღუბაზიანოს ჩავიდა კონსტანტინოპოლში ლეონ კეისართან, კეისარმა, რომელიც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა დანიელ მესვეტს, წაიყვანა ღუბაზიანოს მის სანახავად.

მთავარი საკითხი კეისარს და ლაზთა მეფეს შორის იყო "საურავი რაიმე ქვეყანათა დაწყნარებისათვის და ზღვართა განყოფისაა /მშვიდობა და საზღვრის საკითხი/ — სადამდის არს საბერძნეთისაა /აღმ. რომის იმპერიის/ ანუ მეგრელთაა აფხაზეთის სამეფოისაა". ორივე მხარემ შუამდგომლობის თხოვნით მიმართა დანიელ მესვეტს "და დადვეს საზღვრად ციხე ხუფათი[10] და აღუთქვეს ურთიერთას მშვიდობა და სიყვარული ამისითა /დანიელ მესვეტის/ სიტყვათა. და შთამოვიდა

10 . ხუფათი ეწოდებოდა ახლანდელი ბათომის ნავსადგურს და მის გარშემოს.

/მესვერისაგან/ მეფე /კეისარი/ ქალაქად /კონსტანტინოპოლს/ და განუტევა ღობაზიონ მამულსა თჳსსა".

საყურადღებოა გუბაზის და საერთოდ ეგრისის სამეფოს /საერისთაოს/ მესვეურთა განწყობილებისათვის, რომ იმავე ცხოვრების მიხედვით "მირაჲ იწია ქვეყანად თჳსად ღობაზიონ, უთხრობდა ყოველთა მადლსა მას წმიდისასა /დანიელ მესვეტისასა/. და რა ჟამს მოციქულნი მისნი აღვიდოდიან კონსტანტინეპოლად მეფისა /კეისრისა/, წიგნი მიუწერის ნეტარსა მასცა და ლოცვასა ითხოვენ მისგან და ვიდრე აღსრულებამდე არა დასცხრებოდა ამისა ყოფად."[11]

როგორც ჩანს, რომეების მთავრობა ედავებოდა ეგრისის ტერიტორიის ნაწილს სამხრეთ გურიაში და ეს იწვევდა უთანხმოებას აღმოსავლეთ რომის სახელმწიფოსა და ეგრისს შორის. მოლაპარაკების შემდეგ საზღვრად დადებულა ხუფათის ციხე, ხოლო რადგანაც ეს ციხე ნავსადგურის ჩრდილოეთით არის საგულისხმებელი /აქ ახლაც არის შემდეგდროინდელი ციხის ნაშთი/, ამიტომ თვით ნავსადგური /ახლანდელი ბათომისა/ რომეების ხელში დარჩენილა. ცნობა ადასტურებს, რომ გუბაზი დანიელ მესვეტეზე ადრე მომკვდარა.

90. სვანების სამთავრო.

პრისკ პანიელს მოცემული აქვს ერთი საყურადღებო ცნობა ეგრისში 468 წელს მომხდარი ამბების შესახებ. პრისკის ტექსტი ამ ადგილას დამახინჯებულია, მაგრამ შინაარსი ამ ცნობისა არის ასეთი "რომეებს და ლაზებს ჰქონდათ უდიდესი მტრობა სვანების ტომებთან და ლაზთა მთავრის სემატოს ჰკრებდა ძალებს სვანების მთავარ მახესთან /სახელები დამახინჯებულია/ ძლიერ საბრძოლველად. როდესაც სპარსელებმაც მოინდომეს მასთან შებრძოლება იმ ციხეების გამო, რომელნიც მას სვანებისათვის წაერთმია, მან /სემატომ/ გაგზავნა ელჩები /ბიზანტიაში/ თხოვნით, რათა იმპერატორმა მოაწოდოს მას დამხმარე ჯარი რომეების ხელქვეით არმენიელთა საზღვრების მცველ ჯარისკაცთაგან, რათა ამ ჯარის ახლოს ყოფნით ჰქონდეს მზამზარეული დახმარება და არ განიცდიდეს შიშს შორიდან დახმარების

---

11. დანიელ მესვეტის ცხოვრების ბერძნული დედანი ბეჭდვით არ იყო ცნობილი. მისი ძველი ქართული თარგმანის ნაწყვეტი X ს-ნის ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა კ.კეკელიძემ /XB. II, 1914, გვ.198-199/. თარგმანი, ჩემი აზრით, უნდა ეკუთვნოდეს VIII ს-ნეს. რადგან ბერძნების გამოთქმის ლაზიკის სამეფო აქ წოდებულია "შეგრელთა აფხაზეთისა სამეფოდ".

მოსელის მომლოდინე, იმ შემთხვევაში, უკეთუ, როგორც ეს წინადაც მოხდა, ომი გაჭიანურდა. მართლაც როდესაც გაგზავნილ იქნა დახმარება ჰერაკლესთან ერთად, ხოლო სპარსელები და იბერები, რომელნიც მის წინააღმდეგ ომით გამოვიდნენ, მაშინ დაბანდებული შეიქნენ სხვა ხალხებით, სემატომ უკან დააბრუნა დამხმარე რაზმი, რადგანაც უძნელდებოდა სურსათის მოწოდება, ასე რომ პართელების თავდასხმის დროს მან ისევ მოუწოდა რომეებს, რომეებმაც აღუთქვეს მას დამხმარე რაზმის გაგზავნა და აგრეთვე იმ პირისაც, რომელიც იქნებოდა ამ რაზმის წინამძღოლი. /მაგრამ ამ დროს/ მოვიდა სპარსელების საელჩო ამალით იმის შესახებ, რომ კიდარიტელი უნნები დამარცხებული არიან და მათი ქალაქი ბადაამ-იც აღებულია იერიშით. ელჩებმა გამოაცხადეს ეს გამარჯვება და ბარბაროსების ჩვეის თანახმად ბაქიობდნენ იმ მიზნით, რომ მრავალრიცხოვნად მოეჩვენებინად მათ ხელში მყოფი ძალები. მაგრამ იმპერატორმა დაუყოვნებლივ დააბრუნა ელჩები, რადგანაც უფრო შეფიქრიანებული იყო სიცილიის ამბებით".

პრისკის მოწვენილ ტექსტში ეს ადგილი, /καὶ σφόδρα ἐς τὴν τοῦ σήματος τοῦ Σονάνυωυ συνισταμένων μάχην/ დეფექტიანია. აქ ვ. ლატიშევს /Известия древних писателей, греческих и латинских, о Скифии и Кавказе. I, СПБ, 1983, стр.845-846/ მოყავს მიულერის შენიშვნა ლათინურ ენაზე, რომლის თანახმად კლასსენი და ტილლემონტე ცალცალკე აქ კითხულობდნენ ორ სახელს : პირველია ლაზების მთავრის სახელი სემატი, რომელიც უნდა იყოს ჯუანშერის მიერ მოხსენებული შიდა ეგრისის ერისთავი სამანღირი თუ სამნაღირი /გვ.183/. ბერძნულ ხელნაწერში სახელი დამახინჯებულია. მაგრამ მისი ძირი მაინც ჩანს. მეორე არის სვანების მთავრის სახელი მახე , რომელიც უნდა იყოს მახარა. ამის მიხედვით გამოდის , რომ სვანების მთავარი მახარა აუჯანყდა ეგრისის ახალს მეფეს სამანღირს, რომელიც უნდა იყოს 466 წელს გადამდგარი მეფის გუბაზის შვილი. აჯანყება მოწყობილი ყოფილა სპარსელების და იბერების /ქართველების/ წაქეზებით. როგორც ჩანს, ქართლის მმართველნი ამ ხანაში უკმაყოფილონი იყვნენ ეგრისის სამეფოს დაკავშირებით აღმ. რომის იმპერიასთან და ამიტომ როგორც კი გამოირკვა გუბაზის და მისი შვილის დამორჩილება კონსტანტინოპოლისადმი, სვანეთის მთავარი შეაგულიანეს გადადგომოდა ეგრისს. სვანეთის მთავარს ამ დროს როგორც ეს VI ს-ნის ნახევრის ამბებიდანაც ჩანს, ეკავა რაჭა-ლეჩხუმიც. გარდა ამისა

სვანების ხელი ამ დროსაც /ამისი გადანარჩომი მონაცემები ცნობილია XIX ს-ნისთვისაც/ საგულისხმებელია ზოგიერთი მხარეები ჩრდილოეთ კავკასიაში. სვანეთის მთავარი ამიტომ საკმაოდ ძლიერი მეთაური იყო. ახლა მას, ქართლით და სპარსელებით ზურგ გამაგრებულს, სრული შესაძლებლობა ჰქონდა ეგრისის მეფისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ამიტომ ეგრისის მეფემ ვერ შესძლო საკუთარი ძალებით სვანების დამორჩილება და ომი სვანებთან გაჭიანურდა მაშინ სამანღირმა მიმართა თხოვნით დახმარებისათვის თავის მფარველ რომაელებს. რომაელებმა ამ თხოვნის თანახმად გაუგზავნეს სამანღირს დამხმარე რაზმი ერეკლეს მეთაურობით. მაგრამ მაშინ ქართლიდანაც გაემართა ეგრისის წინააღმდეგ ქართველების და სპარსელების ჯარი. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეთა შორის მოხდა ბრძოლაც. მაგრამ ამ დროს სპარსელების წინააღმდეგ ა/კავკასიაში გადმოვიდნენ ჩრდილოეთიდან სარაგურები და სხვა ტომები. ისინი ჯერ მოადგნენ პრისკის სიტყვით (§ 37) კასპიის კარებს. მაგრამ ამ გასასვლელს იცავდა სპარსელების მცველი ჯარი. ამიტომ ისინი სხვა გზით მივიდნენ იბერებთან და დაუწყეს მათ ქვეყანას აოხრება.

სანაგურები და მათი მოკავშირე ტომები ქართლში მოვიდნენ უფრო დარიალის გზით. ჩანს, მათ შესძლეს დარიალის კარის ხელში ჩაგდება. მათ თარეშებს მიეცა სამხრეთამდის (467 წ.). ცხადია, რომ ასეთ პირობებში ქართველ-სპარსელებს ეგრისზე ლაშქრობისათვის თავი უნდა დაენებებინათ და შემოსეული მტრისაგან ქართლის დახსნაზე ეზრუნათ.

სამანღირს ამგვარად მოშორდა ქართლიდან მოვლენილი საფრთხე, მაგრამ სვანეთის დამორჩილება მან ვერ მოასწრო, რადგანაც რომაელების დამხმარე ჯარი სურსათის ნაკლებობის გამო უკან დაბრუნდა. სურსათის ნაკლებობა ალბათ აიხსნება იმითაც, რომ ქართველ-სპარსელთა ჯარიც ეგრისის აღმოსავლეთ ნაწილს /ახლანდელ ზემო იმერეთს/ თვალსაჩინოდ აოხრებდა.

სამანღირს მაინც არ დაუნებებია თავი სვანეთის მთავართან ბრძოლისათვის. შემდგომ, 468 წელს მან შემოიკრიბა თავისი ძალები და გაემართა სვანების წინააღმდეგ და წაართვა მათ რამოდენიმე ციხე. სვანების მთავარმა მიმართა თხოვნით ქართლს, საიდანაც მის დასახმარებლად დაიძრა სპარსელთა ჯარი. პრისკი არ იხსენიებს, მაგრამ ამ ჯარში უეჭველად ქართველებიც იქნებოდნენ. სამანღირი იძულებული გახდა გაეგზავნა აღმოსავლეთ რომის იმპერიის მთავრობასთან ელჩები

თხოვნით აღმოეჩინათ მისთვის დახმარება იმ ჯარიდან, რომელიც იცავდა რომის კუთვნილი არმენიის საზღვრებს და ეს ჯარი გაერერებინათ ეგრისში უფრო ხანგრძლივ.

რომეებმა აღუთქვეს სამანღირს დამხმარე ჯარის გაგზავნა კარგი სარდლის წინამძღოლობით, მაგრამ ამ დროს კონსტანტინოპოლში ჩავიდა სპარსელების საელჩო, როგორც ჩანს, რაღაც მოლაპარაკების მიზნით. აღმოსავლეთ რომის იმპერიის მთავრობა ამ დროს ძლირ დაკავებული იყო სიცილიის ამბებით და ეგრისში დამხმარე ძალების გაგზავნის საკითხი, როგორც ჩანს, მოიხსნა. ამის შემდეგ რამოდენიმე ხანში სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ვახტანგმა დაიკავა ეგრისი და დაიმორჩილა ის.

საინტერესოა მთელ ამ ამბებში სვანების როლი. მათ ჰქონდათ ვრცელი ტერიტორია რაჭა-ლეჩხუმის ჩათვლით. მათ ჰყავდათ მთავარი, რომელსაც ეგრისის მეფის წარდგენით ამტკიცებდა იმპერატორი (მენანდრის ცნობა). 468 წლისათვის სვანები გადადგომიან ეგრელებს და წაურთმევიათ ზოგიერთი სიმაგრეები ქართლის მეფის ვახტანგ გორგასალისათვის. რადგანაც სვანები ეგრისის ერისთავის /მეფის/ ქვეშეერდომად ითვლებოდნენ, ამიტომ ვახტანგს სპარსელების მოშველებით დაუწყია ახალი ომი ეგრისთან, რის გამო ეგრისის მეფე იძულებული გახდა მოეთხოვა დამხმარე ჯარი ისევ რომეებისაგან.

91. შიგა ეგრისის შემოერთება.
(470 წლ. ახალ.).

ხსენებული ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ 460-იანი წლები ქართლის სამეფოსათვის მეტად დატვირთული იყო სხვადასხვა ამბებით. ეს იყო ჯერ ერთი სანაგურ-პაჭანიკების თავდასხმანი და შემოსევანიც ჩრდილოეთიდან და ამასთანავე ვახტანგის ენერგიული შეტევა სპარსელების დახმარებით ეგრისის დაპყრობის მიზნით. ბოლოს და ბოლოს ეგრისის დამორჩილება ვახტანგმა მაინც შეძლო ეს აშკარად საგულისხმებელია ჯუანშერის თხზულებიდან. ეს დამორჩილება გამოიხატა ეგრისის ერისთავის /მეფის/ მიერ ვახტანგის სუზერენობის აღიარებაში. მმართველი დინასტია ისევ წინანდელი დარჩენილა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რომ VI ს-ნეში ლაზიკის მეფედ ისევ გუბაზის სახელწოდების მქონე პირს ვხედავთ.

როდის მოხდა ვახტანგის მიერ ეგრისის შემოერთება?

VI ს-ნის ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრი გადმოგვცემს იმ საზავო მოლაპარაკების შესახებ, რომელიც 562 წელს წარმოებდა სპარსეთ-ბიზანტიას შორის. ამ მოლაპარაკების დროს სპარსეთი უთმობდა ბიზანტიას ლაზიკას, მაგრამ არ აძლევდა სვანეთს იმ მიზეზით , რომ სვანეთი ლაზიკას არ ემორჩილებოდა. ბერძნები ამას უარყოფდნენ. როდესაც სპარსეთის მეფემ მოითხოვა სვანეთის ლაზიკისადმი კუთვნილების საბუთები, ბიზანტიის ელჩმა პეტრემ განაცხადა: "სვანების მთავარი ემორჩილებოდა ლაზების მმართველს და შეტანილია ამ მეფის სახარკო დავთარში /ხარკის გადასახდელად/. ლაზების მმართველი ღებულობდა მისგან თაფლს, ტყავეულობას და სხვა ასეთ საგნებს. სვანების მთავრის სიკვდილის შემდეგ ლაზების მმართველი ნიშნავდა მის მემკვიდრეს. ამას ატყობინებდა იმპერატორს, რომელიც წერილობით უპასუხებდა და უბრძანებდა მას გადაეცა სვანეთზე უზენაესი უფლების გამომხატველი ნიშნები იმისათვის, ვისთვისაც ის, ლაზების მმართველი, მოისურვებდა. მხოლოდ ეს ახალი მთავარი უნდა ყოფილიყო სვანი. ეს წესი შემოვიდა ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროს და გაგრძელდა თქვენი პაპის პეროზამდის და ჩვენი მეფის ლეონამდის".

"ამასთანავე, განაგრძობს მემანდრი ბიზანტიელი, პეტრემ ამოიღო ქლამიდის ქვეშიდან წიგნი, რომელშიდაც ერთი მეორის პირდაპირ ცალ-ცალკე აღნიშნული იყო იმ ლაზთა მეფეების სახელები, რომელნიც ნიშნავდნენ სვანების მთავრებს".

ამრიგად, მემანდრის მიერ აღნიშნული წესი სვანეთის მთავრების აღმოსავლეთ რომის იმპერატორთა ნებართვით დანიშვნის შესახებ შეიოღებული ყოფილა იმპერატორ თეოდოსის /408-450 წწ/ და სპარსეთის მეფის ვარანის /419-441 წწ/ დროს და გაგრძელებულა იმპერატორ ლეონამდის /457-474 წწ/ და მეფე პეროზამდის /457-484 წწ/, მაშასადამე, დაახლოებით 470 წლამდის. ეჭვს გარეშეა, ჩვენ აქ გვაქვს ცნობა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ბატონობის დამკვიდრების შესახებ ეგრისში /ლაზიკაში/ 433-435 წლების ახლოს, რომელი დროიდან ეგრისის მმართველი /ერისთავი/ ვალდებული იყო სვანების მთავარიც იმპერატორის დასტურით დაენიშნა. ეს ცნობა საერთოდ ძლიერ კარგად უდგება ჯუანშერის თხრობასაც იმის შესახებ, რომ ვახტანგის მეფობის პირველ ნახევარში შიდა ეგრისს ბერძნები ფლობდნენ. ხოლო შემდეგ – 470 წლის ახლოს -სვანების მთავარს კონსტანტინოპოლიდან /რომეების მთავრობა/ უკვე არ ამტკიცებს. ამ დროიდან

ეგრისი არ ემორჩილება აღმ. რომის იმპერიას და ქართლის მეფის ხელქვეითია.[12]

ჯუანშერის სიტყვით ვახტანგმა სომეხი ნახარარების სივნელი არევის, ჯუანშერ ასპურაგნელის და ამაზასპ ტაროენელის და მათი რაზმების თანხლებით შემოდგა ქალაქ კარინს/ იგივე კარნუ-ქალაქს და კარას პოლს, შემდეგში არზრუმად წოდებულს/. "ბრძოდეს მას, ხოლო ვერ შეუძლეს დაპყრობად, რამეთუ იყო იგი ზღუდითა მაღლითა სამითა" /გვ. 159-160/.

ამის შემდეგ ქართველ-სომეხნი თითქოს გაემართნენ პონტოსკენ. აქ ვახტანგმა "მოაოხრნა გზასა ქალაქნი სამნი ანძორეთი, ეკლეკეი, დასტერი და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა, ზღვს კიდესა და ჰბრძოდეს სამ თვე" /გვ. 160/. ცნობა ქალაქების აოხრების შესახებ უჩვენებს, რომ ამ თავდასხმებს ჰქონდათ თარეშული ხასიათი. შემდეგ ქართველ-სომხები თავს დასხმიან ტრაპიზონს /ეს უნდა იყოს "პონტოს ქალაქი დიდი"/ . აქაც თავდასხმას აშკარად თარეშული ხასიათი ჰქონია, თუმცა ჯუანშერი აშკარად გაზვიადებულად აღნიშნავს თითქოს ქართველ-სომხები ტრაპიზონს გარს ადგნენ სამი თვე.

აღმ. რომის იმპერიაზე თარეშულ თავდასხმებს აწყობდნენ სპარსელებიც. ჯუანშერს გაზვიადებით მოთხრობილი აქვს თითქოს, ერთ ამ თარეშულ თავდასხმაში მონაწილეობის მისაღებად "განვიდეს ყოველი სომხეთი და სპარსნი და მეფე დარუბანდისაჲ" /გვ.172/. ერთ-ერთი შებრძოლების დროს სტრატეგოსმა ჯუანშერით სპასპეტმა ბერძენმა ლოგოთეტმა პოლეკარტოსმა მოკლა ვახტანგის ბიძა ვარაზ-ბაკური, რომელიც იყო სპარსელი სარდალთაგანი , რანის ერისთავი ანუ

---

12 . შად. ს. კაკაბაძე. ძიებანი ქართველთა IV-VII ს.ს.ისტორიის შესახებ. საისტორიო კრებული, II, 1928, გვ. 16-17. ხსენებული სამნაღირის შემდეგ ერისთავად იყო სამანღირელ. ეს არის ბერძნული გამოთქმის ზამნაგ /ძამნაქსა/, რომელსაც იხსენიებს იოანე მალალა /იგივე როგორც ფიქრობდნენ, კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე III, 565, 577 წწ., ყველ შემთხვევაში ის VI ს-ის მეორე ნახევარში ცხოვრობდა/. ეს სამანღირი გარდაიცვალა იუსტინე იმპერატორის /518-527 წწ/ დროს. მისი შვილი იყო წათე, რომელიც ცვცხლთაყვანისმცემლობაში იყო გადასული, რადგანაც ტახტის დაკარგვისა ეშინოდა. ცხადია, რომ VI ს-ის დასწყისში სპარსეთს ემორჩილებოდა მთელი ქართლის სამეფოსთან ერთად ეგრისის საერისთაოც და სამანღირ ერისთავს მემკვიდრეს საჭიროდ ჩაუთვალეს სპარსეთის მთავრობის მოთხოვნით ცვცხლთაყვანისმცემლობა ეღიარებინა. წათეს მამის სამანღირ II-ის მთავრად ყოფნა საგულისხმოა. ელია 490-520 წლების ახლო.

მარზპანი, მოკლეს აგრეთვე "იპაჯაჯ, მეფე ლეკთა" /გვ. 173/, რომელიც უნდა იყოს ხსენებული დარუბანდელი მეფე./

ჯუანშერს მოთხრობილი აქვს რომ ქართველები ამაზე ადრე თითქოს თავს დაესხნენ კონსტანტინოპოლსაც, რომ ქართველებს ლაშქრობით მიეღწიათ კონსტანტინოპოლამდის, ეს რასაკვირველია, არ შეიძლება სიმართლეს შეეფერებოდეს. საფუძელად ამ თხრობისათვის ჯუანშერს შეიძლება ჰქონოდა ცნობა ან გადმოცემა ზღვით გემ-ნავებით კონსტანტინოპოლის მიმართულებით ერთ-ერთი დიდი თავდასხმის მოწყობის შესახებ. შავი ზღვისპირა ქართველი ტომები, განსაკუთრებით ჭან-ლაზები და ტრაპიზონის მხარის მოსახლეობა, ნავ-გემებითაც ბლოდად აღჭურვილნი და კარგი მეზღვაურებიც იყვნენ. ჯუანშერს აწერილი აქვს თარეშული თავდასხმის დროს მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ბრძოლა ბერძნებთან. ზარალი ორივე მხარედან, როგორც პირველადელი წყაროს მიხედვით ტექსტის შესწორებიდან ჩანს, იყო ბერძნების მხრივ მოკლული 412 კაცი და ქართველების მხრივ 51 კაცი /ჯუანშერს ეს რიცხვები გადაუსწორებია 402 ათასად და 43 ათასად/.[13]

როგორც ჯუანშერის მიხედვით საგულისხმებელია ვახტანგს ყოველ შემთხვევაში დაუკავშირებია შავშეთ-კლარჯეთი და საერთოდ ამ თარეშულ თავდასხმებს დიდად შეუწუხებია რომეების აღმოსავლეთ პროვინციები. ამიტომ შემდეგ დაწყებულა საზავო მოლაპარაკება ქართველებისათვის ხელსაყრელ პირობებში.

92. თურქული მომთაბარე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამ დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე კასპიის და შავ ზღვას შუა და ამ ზღვების ჩრდილოეთით წარმოებდა მომთაბარე,

---

13 . მ. ბროსე აღნიშნავდა, რომ ამ ხანაში აღმოსავლეთ რომის იმპერიას არ ჰქონია დიდ ომები სპარსეთთან. ცეცხლთაყვანისმცემლობის მოწინააღმდეგენი სპარსეთში განიცდიდნენ დევნას და ასეთნი თავშესაფარს პოულობდნენ აღმ. რომის იმპერიაში, რაზედაც სპარსეთის მთავრობა 464 წ. სპეციალური ელჩის პირით ჩიოდა კონსტანტინოპოლში. ჯუანშერის თხრობის შესახებ ქართველების მიერ ბერძნების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების შესახებმ. ბროსე წერდა: "შესაძლებელია, რომ ქართველებს თავისის თავი გამოუყვიდათ როგორც მთავარი მნიშვნელობისანი ყველა იმ ომებში, რომლებშიდაც მათი მეფეები იღებდნენ მონაწილეობას და მათ შემოინახეს აქ ხსოვნა წერილი ამბების შესახებ. რომელნიც არ იხსენიებიან მათი მეზობელ დიდი ხალხების ისტორიაში" (Histoir de la Géorgie, I, p. 173. შენ.)

უმეტესად თურქული მოდგმის ხალხების დიდი გადაჯგუფება. ელიშე 440-იანი წლებისათვის იხსენიებს ხაილან-დურქ-ებს. რომელნიც წამ-ლეკავი ნიაღვარივით თავს ესხმოდნენ ჯორას /დარუბანდის/ გასასვლელის გავლით სპარსულ პროვინციებს და მალე იძულებული გახდნენ შეწყვეტათ ეს თავდასხმანი. პრისკს აღნიშნული აქვს ამ გადა-ჯგუფების ცალკე მომენტები, რომელთაგან საყურადღებოა შემდეგი.

463 წლ. ახლოს "აღმოსავლეთ რომაელებს /რომეებს/ გამოუგ-ზავნეს ელჩები სანაგურებმა, ეროგებმა და ონოგურებმა, იმ ტომებმა, რომელნიც გადასახლდნენ თავიანთ ქვეყნიდან საბირების მტრულ შეს-ვათა გამო. ეს საბირები თავის მხრივ გაედევნათ ავარებს, ხოლო ავარები კი /თავიანთ ქვეყნიდან/განდევნილი იყვნენ იმ ხალხების მიერ, რომელ-ნიც ცხოვრობენ ოკეანეს სანაპიროზე /იგულისხმება ახლანდელი შეა რუსეთი/. (ოკეანეს სანაპიროსაკენ მცხოვრებ ამ ხალხებმა) დასტოვეს თავიანთი ქვეყანა ნისლის გამო, რომელნიც ჩნდება ოკეანეს მოდიდების შემთხვევაში და აგრეთვე გრიპების სიმრავლის გამო. არსებობდა თქმულება, რომ გრიპები არ წავლენ, სანამ არ შესჭამენ კაცობრიობას. ამიტომ ამ უბედურებათა გამო ისინი თავს დაესხნენ თავიანთ მე-ზობლებს და რადგანაც თავდამსხმელნი უფრო ძლიერნი იყვნენ, ამი-ტომ მათ ვერ შეაჩერეს შესვლა და იწყეს გადასახლება. ასევე სანაგურები, თავისი ქვეყნიდან განდევნილნი, ეძებდნენ ახალ ქვეყანას. მოუახლოვდნენ აკატირელ ჰუნებს, შეებრძოლნენ მათ ბევრჯერ, დაიპყრეს ისინი და შემდეგ მივიდნენ რომეებთან მათი კეთილ-განწყობის მოსაპოვებლად. იმპერატორმა და მისმა კარის მოხელეებმა მიიღეს /მათი ელჩები/ მოფერებით, მისცეს მათ საჩუქრები და დააბრუნეს უკან".

სანაგურები/ 466 წლის ახლოს/ აკატირებზე და სხვა ტომებზე თავდასხმის შემდეგ ილაშქრებენ სპარსელების წინააღმდეგ. ჯერ ისინი მიუახლოვდნენ კასპიის /დარუბანდის/ კარებს, მაგრამ ეს კარი დაკავე-ბული აღმოჩნდა სპარსელების მცველი ჯარით. მაშინ ისინი წავიდნენ მეორე გზით და გადავიდნენ იბერიელებთან /ქართლელებთან/, დაიწყეს მათი ქვეყნის აოხრება და თავისი თარეშებით სომხების მოსახლეობის შეწუხებაც. ამის გამო სპარსელები შეფიქრიანდნენ, რომ მათ კი-დარიტებთან ომის გარდა მოუხდებათ ახლა ამათი შემოსევის მოგერიე-ბაც და ამიტომ გაუგზავნეს რომეებს ელჩები თხოვნით მიეცათ მათთვის ფული ანდა ჯარი იუროეპაახ-ის სიმაგრის დასაცავად. ეს ელჩები ამ-ბობდნენ ახლაც იმას, რასაც ხშირად ამბობდნენ საელჩოები წინათაც, სახელდობრ, რომ რომეების ქვეყანა დაუზიანებელი რჩება, რადგანაც

სპარსელები იბრძვიან და არ აძლევენ შემომტევ ბარბაროს ხალხებს გავლის შესაძლებლობას. მაგრამ ამ ელჩებს უპასუხეს, რომ ყველამ უნდა დაიცვას თავისი ქვეყანა და თვითონ იზრუნოს მის უზრუნველყოფაზე. ასეთი პასუხით ისინი უკან დაბრუნდნენ უშედეგოდ".

მასთან ახლოს მდგომი კილოების მონათესავე ამგვარად სანაგურები შემოსევიან ქართლს დარიალის ან რომელიღაც /შეიძლება როკის/ გადასასვლელით და აუოხრებიათ ქვეყანა. ამ მომთაბარე ტომების მოწოლა ამიერკავკასიაზე საერთოდ იმდენად დიდი იყო, რომ სპარსელებს უჭირდათ თავდაცვის მოწყობა და მიმართავდნენ დახმარებისათვის რომეებს, მაგრამ უშედეგოდ.

დასახელებული სანაგურები უნდა ყოფილიყვნენ პაჭანიკები, საერთოდ პაჭანიკებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ტომთაგანი, რომელნიც ამ ხანებში, თავისი ჩრდილოეთ მეზობლების მიერ გამოდევნილნი, მოკალათებულან ჩრდილოეთ კავკასიაში. მათი სამფლობელო უწევდა შავი ზღვის და აზოვის ზღვის სანაპირომდის. ყოველ შემთხვევაში მათ მოუხერხებიათ ამ მხარეებიდან, რომელნიც ბერძენ-რომეების გავლენის ქვეშ იყო, თავისი ელჩების გაგზავნა აღმ. რომის იმპერატორთან. სანაგურ-პაჭანიკების ქართლზე შემოსევის შემთხვევა პრისკს მხოლოდ ერთი აქვს დასახელებული, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი შემთხვევები ამ ხანაში სხვაც რამოდენიმე იქნებოდა. ამით აიხსნება, რომ სპარსელების ხელისუფლება დიდად შეწუხებული და შეფიქრიანებული იყო სანაგურების შემოსევებით, რომელთა შეჩერებას ის ყოველთვის ვერ ახერხებდა.

93. ქართველების ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში და აფხაზეთის შემოერთება.

ხსენებული ცნობები კონსტანტინოპოლში მცხოვრებ პრისკის მიერ შემთხვევით შემონახული ცხად ჰყოფენ, რომ V ს-ნეში ქართველებიც ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ტომების შემოსევათაგან დიდ გაჭირვებას და ტანჯვას ითმენდნენ. ახლა, როდესაც ქართლის სამეფო ძლიერ ძალას წარმოადგენდა შესაძლებელი იყო ამ უბედურებისათვის მოვლა. და აი ვახტანგი და მისი მართებლობა იწყებენ მზადებას ჩრდილოეთ კავკასიაში გალაშქრებით ნომადი ტომების ასალაგმაად და დარიალის გასასვლელის მტკიცედ ჩასაკეტად.

ეკუანშერი მოგვითხრობს ვახტანგის დროს ოსების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებული ერთი ლაშქრობის შესახებ, რომ-

ლის შედეგი ზემოთ იყო აღწერილი. ამ მეორე ლაშქრობის შესახებ არა მარტო ოსთა, არამედ პაჭანიკთა წინააღმდეგ ჯუანშერს არაფერი აქვს ნათქვამი ორი სხვადასხვა ამბავი მან აურია ერთმანეთში, მაგრამ მის მიერ მოცემული ზოგი დეტალი გამოდგება ამ მეორე ლაშქრობის შესახებ ზოგადი სურათის წარმოსადგენად. ჯუანშერის სიტყვით. ამ საკითხის შესახებ მოწვეულ იქნა თვით ვახტანგის თავმჯდომარეობით დიდი თათბირი, რომელიც ნაკლებ იყო საჭირო მცირე ზომის პირველი ლაშქრობისათვის, ახლა კი აუცილებელი იყო.

ვახტანგმა "შოუწოდა /თათბირზე/ ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა" აგრეთვე "შემოკრიბნა ყოველნი ქალაქნი". თათბირი გახსნა თვით ვახტანგმა, რომელმაც თავის სიტყვაში, სხვათა შორის, თქვა: "ისმინეთ ჴმისა ჩემისა... მამათა კულა ჩემთაგან გინახავან დიდნი კეთილნი და დიდებანი თქუენ, რომელნი დადგინებულ ხართ მთავრობასა ზედა. აწ უკეთუ გუაცოცხლებს ღმერთი მოგხუდენ კეთილნი და დიდებანი, რომელნი არა გეხილნენ მამათა ჩენთაგან. აწ რომელსა გეტყჳ თქჳენ, დაღაცა თუ /თუმცა/ ჩემზედა თჳენზედა სწორად მოწჳენულ არს განსაცდელი ესე, არაზედ ესრეთ იპყართ, ვითარცა არა მოწჳენულ არს თქუენზედა, არამედ ჩემზედა ოდენ და არა იყოს გულსა ჩემსა სიტყუა თუ რომელ მოიწივნეს მათზედა განსაცდელნი თჳსისა შური გებისათჳს ჰყოფენ ამას. არამედ ყოველნი ჩემდა სამსახურებლად დავითუალო, ყოვლისათჳს კეთილი მოგაგო, არა დავითმინო კიცხჳაჲ ოჳსთა, არამედ სასოებითა სამებისა ერთ არსებისა დაუსაბამოსათა და წარძღუანებითა ჯუარისა მის პატიოსნისათა, რომელი მოცემულ არს წინამძღუარად და საჭურველად გულითა მოსავთა მისთა და ვიძიოთ შური მათზედა. უკეთუმცა წაგუიდებოდა ესე სპარსთა მეფეთაგან ანუ ბერძენთა მეფისაგან, მომცავითმინეთ, არამედ რაჲ მოწჳენილ არს ჩუენზედა თჳსთა კიცხთაგან, არა ჯამს დათმენაჲ, სიკუდილი სჯობს თავთა ჩენთათჳს". /გვ. 147-148/. მართლაც, თათბირზე გადასწყდა ოსეთზე გალაშქრება და "განიყარნეს ყოველნი სახლად თჳსად კახმავად" /გვ.150/.

ვახტანგმა მიმართა დახმარების თხოვნით რანის ერისთავს /მარზპანს/, თავის დედის ძმას ვარაზ-ბაკურს /გვ.150/, რომელიც სპარსთა მეფის მიერ დამტკიცებული იყო ამ თანთმდებობაზე მისი მამის ბარზაბუდ მარზპანის სიკვდილის შემდეგ. ვარაზ-ბაკურმა გამოუგზავნა ვახტანგს ჯარი, ქართლის ჯარიც შეიკრიბა და დაბანაკდა მუხრანს და ხერკს, მდ. არაგვის ორსავე ნაპირას.

ამის შემდეგ ვახტანგი თავისი და სპარსელების ჯარით დაიძრა ჩრდილოეთისაკენ. გზად მას შეუერთდნენ "შეფენი კავკასიანთანი", ეი. კავკასიის მთიულ ტომთა მეთაურები. დარიალის ხეობის გავლის შემდეგ ვახტანგი შევიდა ოსეთში, ხოლო აქედან პაჭანიგეთში, რომელიც იყო "მოსაზღვრე ოსეთისა, მდინარესა მას ოსეთისასა /თერგის/ წიაღი /მდ. თერგის გაყოლებით/ და ჯიქეთი მუნ იყო".

უწყებულება მთელ ამ ლაშქრობათა შესახებ /უკვე ქალაქ თბილისის გაშენების შესახებ ცნობის მიცემის შემდეგ/ ლაკონურად მოჭრის: "ამანვე /ვახტანგ/ დაიმორჩილა ოსნი და ყივჩაენი /ესენი იგივე პაჭანიკები არიან/ და შექმნა კარნი ოსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი /კოშკი/ და დააყენა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მათ კარად დარიალაისა და (VII ს-ნის მეორე ნახევარში/ თუნიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ეკელეწიფების გამოსვლად ოსთა და ყივჩაყთა".

ოსეთის ლაშქრობიდან დაბრუნებისას ვახტანგმა ტყვეები და სპარსელების ჯარი გაისტუმრა აღმოსავლეთისაკენ დარიალის გზით, თვითონ კი "სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა სულგრძელად და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა" /გვ. 157/. ამ ლაშქრობის დროს მან დაიკავა აღმ. რომის იმპერიის ხელქვეითი შავი ზღვის სანაპირო კავკასიონის ბოლოდან ვიდრე მდ. ენგურამდის.

აფხაზეთში და შიდა-ეგრისშიც, ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგს დასჭირდა სერიოზული დაბრკოლებების დაძლევა. აღმ. რომის კეისარი "ლეონ დიდი, წერს ჯუანშერი, ვერ შემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს და (ვახტანგმა) სამ წელ წარტყუანნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე /გვ. 157/. დრო სამი წელი უნდა გაგებულ იქნას იმ გვარად, რომ ვახტანგის ხელისუფალნი დიდის ენერგიით შეუდგნენ ეგრისის საქმეების მოგვარებას.

როგორც მოხსენებული იყო ვახტანგმა დაიკავა ეგრისი სვანეთითურთ და გააუქმა იქ კეისრისაგან დამოკიდებულება 470 წლის ახლოს. ამის შემდეგ ვახტანგი ილაშქრებს ოსეთზე და ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობის დამთავრების შემდეგ იმორჩილებს აფხაზეთსაც. ამ დროს ქართლის სახელმწიფოს, როგორც ჩანს, საკმაოდ მკვიდრად მოუკიდია ფეხი შავი ზღვის სანაპიროზე. ამ ხანას უნდა მიეწეროს გაგრის ციხე-სიმაგრის და ეკლესიის აშენება. აწინდელს მდ. ჭვავა-კვარას და გაგრეფშ-ს შუა მდებარეობდა ძველი გაგრის ციხე. ვიწრო დეფილე ამ ორ

წყალს შუა წარმოადგენდა ერთ-ერთ გადმოსავალს ვიდრე XIX ს-ნემდის მის დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე მთიანი მხარეებიდან აფხაზეთისაკენ. ამ პუნქტს ამიტომ ჰქონდა უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა. ის კეტავდა აფხაზეთისაკენ მისვლის შესაძლებლობას და, უნდა ვიფიქროთ ვახტანგმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება.

ამ ადგილს ქართულად ჰქვია გაგარი /გაგრი/, რაც ძველ ქართულად ნიშნავს ველურს, მაშასადამე. კლდოვანს და მიუდგომელსაც. პროკოპი კესარიელი VI ს-ნის ნახევრისთვის აგრეთვე იხსენიებს ამ ციხე სიმაგრეს, როგორც უმნიშვნელოვანესს მაშინდელს აფხაზეთში და ამბობს, რომ იქაური მცხოვრებლები მას ელლინურად ტრაქეას ეძახიანო. ტრაქეა /τραχεα/ კი ბერძნულად ნიშნავს კლდოვანს, ველურს. მაშასადამე ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ადგილობრივი ქართული სახელწოდების ბერძნული თარგმანი. რადგანაც ეს ციხე უკვე არსებობდა VI ს-ნის ნახევარში, ამიტომ შესაძლებელია, რომ ის აშენებული იყოს ვახტანგ გორგასალის დროს.[14]

94. შეთანხმება აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან.

470-ანი წლები გარდატეხის ხანა იყო ევროპისათვის. დასავლეთ რომის იმპერია დაპყრობილი იქნა გერმანელების მიერ და მის სათავეში მოექცა ერთ-ერთი გერმანელი ტომის მეთაური ოდოაკრი /476წ/. კრიზისი დასავლეთ რომის იმპერიაში წინა წლებში თანდათან ძლიერდებოდა და გავლენას ახდენდა აღმოსავლეთ რომის იმპერიაზედაც, რომელიც 395 წლიდან გამოყოფილი იყო და დამოუკიდებელი განვითარების გზას ადგა. ამიტომ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხელმძღვანელნი იძულებულნი ხდებიან მორიგების გზას დაადგნენ აღმავლობის პროცესში მყოფ ქართლის სამეფოსთან. ვახტანგ გორგასალი მიისწრაფოდა ყოფილი ქართული ქვეყნების შემოერთებისაკენ. ქართველებთან მოსაგვარებელი იყო, მაშასადამე. ტერიტორიული საკითხები მით უმეტეს, რომ ქართველებს უკვე დაკავებული ჰქონდათ ეგრისის შემდეგ აფხაზეთიც, რომლის დათმობა რომეებს არ უნდოდათ. ჯუანშერის სიტყვებიდან ჩანს რომ რომეებ-ბერძნებს მოუთხოვიათ ვახტანგისათვის

14 . ძველი ციხის ნანგრევები და ბაზილიკური ეკლესია დამახასიათებელი ქრისტიანობის პირველი ხანებისათვის. აღწერილი აქვს დუბუა დე მონპერეს (იხ. მისი Voyage autour du Caucase, Paris, 1839, I, pp. 209-211).

აფხაზეთის დაცლა. შემორიგების ნიშნად კეისარს თითქოს მიუთხოვებია ვახტანგისათვის თავისი ქალი ელენე /გვ.177/. აქ უნდა იგულისხმებოდეს კეისარი ლეონ I /457-474 წწ/ მაგრამ რომ ჯუანშერი კარგად ვერ ერკვევა ამ დროინდელი რომაელი იმპერატორების გენეალოგიაში, ეს ჩანს იქიდან, რომ როდესაც ვახტანგის სიმამრი ლეონი მომკვდარა, მის მაგივრად, მისი სიტყვით, იმპერატორად ვითომ გახდა ძე მისი ზენონი /მართლაც მეფობდა 474 და 477-491 წწ/ მაგრამ ნამდვილად კი, როგორც ცნობილია, ზენონი არ ყოფილა ლეონ კეისრის ძე, არამედ მისი სიძე, მისი ასულის ქმარი.

გარდა ამისა ცნობილია, რომ კეისარ ლეონს ჰყავდა ორი ასული, რომელთაგან უფროსი არიადნა 468 წლის ბოლოში მისთხოვდა ხსენებულ ზენონს, მეორე ლეონტია კი /დაბად. 457 წლის ახლოს/ იყო ანთემის შვილის მარტიუნის ცოლი. მიუხედავად ამისა მ. ბროსე მაინც შესაძლებლად სთვლიდა, რომ გორგასალს შეერთო კეისრის ქალი ელენე, სანამ მისი არ არსებობა ან კეისრის სახლიდან წარმომავლობის მცდარობა დამტკიცებული არ იქნებაო.[15]

საფიქრებელია, რომ ელენე იყო ლეონ კეისრის უკანონო ასული ანდა მისი უახლოესი ნათესავი. ელენეს გორგასალზე გათხოვების თვით ფაქტი სწორი უნდი იყოს, რადგანაც როგორც ამას იქვე აღნიშნავდა მ. ბროსეც, მათი შთამომავლობა შემდეგ ჩანს ისტორიაში.

როდესაც ვახტანგმა დანიშნა ელენე, "უკუმოსცა კეისარმან /ვახტანგს/ საზღუარი ქართლისა ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი ვიდრე არსიანთამდე და ჯევნი, რომელნი მოსდგმიან ღადოთა" /ქცხ., გვ.177/. ღადოს მთა ეს არის ლიხის მთის გაგრძელება, ახლანდელი ფერსათის ანუ მესხეთის ქედი. მაშასადამე რომეებს გადაუციათ ქართველებისათვის სამცხე შავშეთი და კლარჯეთი ზღვამდის, ეი. აფსარის ანუ გონიოს მხარემდის თანჩათვლით. ეს ის მხარეა; რომელიც 369 წლიდან შეადგენდა საურმაგის ჩამომავალთა საგამგეოს, როგორც პეტრე ქართლელის ასურული ცხოვრების ტექსტიდან ჩანს IV ს-ნის ბოლოს და V ს-ნის პირველ მესამედში ამ სამთავროს განაგებდნენ ბუზმირ /ბოსმარიოს/ I და ბუზმირ II. 470-იან წლებისათვის ამ სამთავროს მემკვიდრეობითი ხელმწიფეები, საფიქრებელია, ამოწყდნენ და აღმ. რომის იმპერიის მთავრობამ ამ დროს, როდესაც გუთების მოწოლის გამო დას. რომის იმპერია სულს ღაფავდა, საჭიროდ დაინახა

---

15 . დასახ. ნაშრ., 1849, p. 493, n. 1.

ხსენებული ქართული სამთავრო ("ყოველი კლარჯეთი") ვახტანგ გორგასლისათვის გადაეცა.

ვახტანგ გორგასალის დროს უნდა იყოს აშენებული ამ მხარეში გონიოს ციხე, შემდეგ სხვადასხვა დროს რამდენიმეჯერ შეკეთებული და გადაკეთებულიც. ამ საკითხთან დაკავშირებით საჭირო ხდება მცირე ექსკურსის გაკეთება.

ირაკლი კეისრის ლაშქრობათა დროს სტეფანოზის ქართლის მთავრად მყოფობისას "წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირი" /გვ.226/. კლარჯეთის ბოლოდ აქ, ცხადია, იგულისხმება გონიოს მხარე ბათომითურთ.

ამგვარად პოლიტიკურად გონიოს მხარე ასე თუ ისე ქართველების ხელში იყო 369 წლიდან დაახლოებით 630 წლამდე.

გონიოს მხარეში საუკუნეთა სიგრძეზე მთავარ პუნქტად იყო აფსარი. პროკოპი კესარიელის სიტყვით, ეს ქალაქი დაარსებული იყო იასონის და მედეას ვერაგობით დაღუპულ აფსკრტეს მიერ. პროკოპისავე გადმოცემით, ამ აფსკრტეს საფლავს მის დროს უჩვენებდნენ ქალაქის აღმოსავლეთით. ეს ქალაქი, ამბობს ის, ძველად დიდი მოსახლეობის მქონე იყოო, ის გარშემოვლებული იყო მრავალი გალავნით, იქ იყოო თეატრი, იპოდრომი და სხვა, რაც დამახასიათებელი იყო ქალაქის სიდიდისათვის. მაგრამ პროკოპის დროს ამ ქალაქის ნაგებობათა საძირკვლების გარდა არაფერი იყო დარჩენილი.

ქალაქი აფსარი არიანეთი მდებარეობდა 15 სტადიონზე /2,66 კმ/ მდ. ჭოროხის შესართავთან, მაშასადამე 1 1/2 კილომეტრით ჩრდილოეთით გონიოს ციხიდან არიანეს თქმით აფსარში მის დროს მოთავსებული იყო ციხის მცველი ხუთი კოჰორტა ჯარი /ეი. სრული შემადგენლობისას 3 ათასამდის კაცი/. პტოლემაიც იხსენიებს აფსარს იმავე ადგილას. კასტო რიუსის რუკაზე აფსარი აღნიშნულია როგორც მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე /ციხეა დახატული, რაც სხვა შემთხვევებში მის რუკაზე არაა/ ბათუმის ნავსადგურიდან 6 მილზე /8.8 კმ/, ეი. სწორედ გონიოს არეს ადგილას.

მაგრამ Notitia dignitatum /V ს-ის დასაწყისში/ ჩამოთვლის დას. საქართველოს სანაპიროზე რომეების მთავარ ბაზებს და მათ შორის სრულებით არ იხსენიებს აფსარს, რომელიც ამ დროს, როგორც ეტყობა უკვე განადგურებული იყო. ვფიქრობ, რომ აფსარის ეს აოხრება უნდა მოხდარიყო 367-368 წლების ახლოს ვარაზ-ბაკურსა და საურმაგს შორის ატეხილი ომების დროს. სპარსეთის მხარეზე გადასული ვარაზ-

ბაკურის ჯარები სპარსელებთან ერთად არ დაზოგავდნენ რომეების ამ მნიშვნელოვან ბაზას. კლარჯეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალ გზაზე. მართალია პროკოპი 554 წელს დასრულებულ თავის ნაშრომებში აღნიშნავს აფსარის გაერანებულ მდგომარეობაში მყოფობას, მაგრამ პროკოპის გამგრძელებელი აგათი /554-558/ წლების ამბების მამთხრობელი /ადასტურებს, რომ აფსარის სატუსაღოში დაპატიმრებული იქნენ დოაზთა მეფის გუბაზის მკვლელი მხედართმთავრები რუსტიკ და იოანე.

ბერძნულ "პასქალურ ქრონიკაში" /630-640-იანი წ/ აფსარი დასახელებულია როგორც ბანაკი. საყურადღებოა რომ ასევე აქვს დასახელებული იოანე საბანისძეს 790-იან წლებში. ის წერს, რომ აფხაზთა მთავრის სახელმწიფოს "საზღვარი არს ზღვაჲ იგი პანტოჲსაჲ, სამკჳდრებული ყოვლადვე ქრისტიანეთაჲ მოსაზღვრამდე ქალდიაჲსა, ტრაპეზუნტიაჲ მუნ არს საყოფელი იგი აფსარეაჲსაჲ და ნაფსაჲს ნავსადგური, და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტეს მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა ქალაქსა კოსტანტინეპოლისასა".

აფსარი /აფსარეა/ აქ არის საყოფელი /გამაგრებული ადგილი/ და ქალაქიც რადგანაც აგათის დროს აფსარში იყო მნიშვნელოვანი სატუსაღო, ამიტომ იქ ციხე-სიმაგრე იქნებოდა. ამგვარად ციხე ძველი აფსარის არეში VI ს-ნის შუაში დადასტურებულად ჩანს. მაგრამ იმავე დროს ანგარიშგასაწევია პროკოპის ცნობა, რომ მის დროს /554 წ/ ქალაქ აფსარიდან არაფერი იყო დარჩენილი ნაგებობათა საძირკვლების მეტი. ცხადია, რომ ძველი ქალაქი აფსარი თავისი გალავნებით და VI-VII ს-ნეთა აფსარ მთლად არ ხვდებიან ერთმანეთს.

ქალ. აფსარი უნდა ყოფილიყო 1 1/2 კ-მით ან რაღაც მანძილზე ჩრდილოეთით ახლანდელი გონიოს ციხიდან. ამიტომ ძველი აფსარიდან პროკოპის დროს მართლაც არაფერი იყო დარჩენილი, მაგრამ იმის ახლოს ახლანდელი გონიოს ძველი ციხის ადგილას უკვე არსებობდა სიმაგრე, რომელშიც იყო სატუსაღოც და რომელიც წარმოადგენდა ჯარის სამყოფელ ადგილს /ბანაკს/. საფიქრებელია, რომ ეს სიმაგრე გაშენებული იქნა მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა დაიმტკიცა ბერძნებისაგან კლარჯეთი ვიდრე ზღვის სანაპირომდის, ეი. გონიოს მხარითურთ. ციხეს მაშინ მიეცა ახალი სახელი გონიასი.

გონიო როგორც ეს სამქსეთოს XV ს-ნის ეპისკოპოსთა სიით არის საგულისხმებელი უნდა ყოფილიყო მხარის სახელი /იქ მოხ-

სენებული ლიგნის ხევი გონიოს საზღვრამდის/. რადგანაც ახალ აშენებული ციხე ამ მცირე მხარის მთავარი სიმაგრე იყო, ამიტომ თვით მხარესაც მიეცა გონიოს სახელი.

გონიოს ციხე შეისწავლა ს. ლექვინაძემ. ამ ციხის პირველი პერიოდის ნაგებობათ ს. ლექვინაძე მიაკუთვნეს III-IV ს-ნეს, რადგანაც გონიოს ციხის წყობა წააგავს ციხე-გოჯის /არხაიოპოლის-ნოქალაქევის/ მეორე პერიოდის წყობას. რომელიც კარგად არის მოღწეული. ციხე-გოჯის ამ ნაწილის ნაგებობა აღნიშნული აქვს პროკოპი კესარიელს. კედლების კონსტრუქცია ორივე ციხეში არის ერთი და იგივე და საერთოდ ერთნაირია თაღები. გადაყვანილი კოშკების შესავალ ადგილებში და მცირე კარებში. როგორც ციხე გოჯში ისე გონიოში ეს თაღები ჩვეულებრივ შესდგება ხუთი სოლისაგან.[16]

გონიოს ციხის გაშენებით ვახტანგ გორგასალს უნდოდა ამ მხარეში მტკიცედ ფეხის მოკიდება.

ჯუანშერის სიტყვით, კლარჯეთში ვახტანგს ძლიერ მოეწონა თუხარისის ციხე და უთქვამს კიდეც: თუ ხარ შენ ციხეო თავისი მდგომარეობით მიუვალ კლდეზე. ამასთანავე მან კლარჯეთის ერისთავად დააყენა თავისი ძეძუსმტე არტა-ვაზი და უბრძანა /მას/, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა და უბრძანა, რათა გამოინახოს ჯვარა მას შინა სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილნეს მონასტერნი საბერძნეთისანი /ეი. მცირე აზიაში/. და რქუა არტავაზ : "უკეთუ განძლიერდენ სპარსნი ჩუენ ზედა საყუდელი ჩვენი აქა ყოფად არსა". ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერნი /ამ სიტყვის მაგივრად ქართლის ცხოვრება ჭალაშვილისეულ ხელნაწერში სწერია: "მონასტერი, რომელ არს ოპიზისა". ეს ნამატი ძლიერ ძველი კომენტარი უნდა იყოს და არსებითად ამიტომაც მართალი/ და სამნი ეკლესიანი — დაბაი მერისა, შინდაბნისა და ახიზისა და განაახლა ციხე ახიზისა, ქმნა იგი ქვაბად" /გვ. 177-178/.

ამგვარად ვახტანგს კლარჯეთის ახლად დანიშნული ერისთავისთვის არტავაზისთვის მიზნად პირველ რიგში დაუსახავს თავდაცვის მხრივ ძლიერი დასაყრდენი პუნქტის შექმნა.

თუხარისი არის არტანუჯის ძველი სახელი. ეს ჩანს შემდეგიდან. სუმბატ დავითის ძის სიტყვით 826 წელს მოკლული ამოტ კურა-

---

16 . В. А. Леквинадзе, Материалы по истории и архитектуре Апсарской крепости, Византийский временник, XX, 1961, стр. 225-242.

პალატი დამარხეს "მისსა მას საფლავსა შინა ციხესა არტანუჯისასა ეკ-ლესიასა წმინდათა მოციქულთასა" /გვ. 377/. ხოლო XV ს-ნის საკათალიკოსო მამულების სრულ სიაში ცალ-ცალკეა დასახელებული თუხარს საყდარი მოციქულთა და საფლავი აშოტ კურაპალატისა" და ცალკე კიდევ "არტანუჯის ციხე და შესავალი" /ქრონიკები, II, გვ.196/. ამ ცნობების შეფარდებიდან ჩანს, რომ თუხარისის ციხე, რომელიც მოე-წონა ვახტანგს არის იგივე არტანუჯის ციხე. კლდოვან მთას, რომელ-ზედაც იყო ციხე ერქვა თუხარი. მთის ძირს დაბლობში იყო სოფელი არტანუჯი გადაკეთებული შემდეგში აშოტ კურაპალატის დროს ქალაქად ამ ქალაქის სახელი VIII ს-დან გადავიდა თუხარის ციხეზედაც ერისთავმა არტავაზმა ვახტანგის დროს მოახდინა თუხარისის ციხის სრული რეკონსტრუქცია და ხელმეორედ აღაშენა ის.

ქალაქები წარმოადგენდნენ თავდაცვის თვალსაზრისით საიმედო პუნქტებს, იქვე იყო გაცხოველებული ხელოსნობა და ვაჭრობა. მაგრამ მოსახლეობის თვალსაჩინო ნაწილი მაინც ცხოვრობდა მიწათმო-ქმედებით და მესაქონლეობითაც. ზემოთ ნინოს ცხოვრებიდან მო-ტანილი იყო ციტატა, საიდანაც ჩანს, რომ ფარავანზე მყოფი მწყემსები ქალაქ მცხეთის რაბატიდან იყვნენ თავიანთი პირუტყვის სამწყემსურად წამოსულნი. უჯარმის შესახებ ჯუანშერი, როგორც მოხსენებული იყო, პირდაპირ ამბობს, რომ ვახტანგმა აქ ააგო დიდი ციხე, რადგანაც ეს ადგილი კეთილად მიიჩნია მესაქონლეობისათვის და ნადირობისათვისო.

ბუნებრივია ამიტომ, რომ ქალაქზე მიწერილი უნდა ყოფილიყო მისი გარემოს ადგილები — ველი, მთა და ტყეც. ამ მხრივ საყურადღე-ბოა, რომ ვახტანგის და მირანდუხტი ოსებმა ტყვედ წაიყვანეს ქალაქ კასპიდან, მაგრამ უფრო ზუსტად იმ ციხიდან, რომელიც საკუთრივ კასპს 4 კმ-ით იყო დაშორებული. მაშასადამე, ქალაქ კასპს ირგვლივ მიწერილი ჰქონდა ტერიტორია მდ. მტკვრამდის სულ ცოტა 6 კ-მის სიგრძიდან მაინც /ხსენებული ციხიდან მდ. მტკვრამდის დაახლოვებით ეს მანძილია/.

იმავე ხაზზე კასპის ჩრდილოეთით ათიოდე კმ-ზე მდებარეობდა ქალ. სამთავისი. გამოდის, რომ ქალაქის ტერიტორია თავისი გარემოთი ემეზობლებოდა მეორე ქალაქის ტერიტორიას. ქალაქები წარმოადგენდ-ნენ წვრილი ტერიტორიული ერთეულების ცენტრებსაც.

ზემოთ მოხსენებული იყო, რომ თბილისის ოლქს სპარსელების მიერ ერქვა პარუარი, შემდეგ კი როგორც ეტყობა, სპარსეთში შემოღე-ბული იქნა შაჰრებად დაყოფა. ეს რეფორმა, რომელიც უნდა იყოს

ქალაქების აგრარიზაციასთან დაკავშირებული. შესაძლებელია გატარებული იქნა სპარსეთში 450-იან წლებში. ამავე ხანაში. მაგრამ, საფიქრებელია, ცოტა უფრო გვიან /465 წლის ახლოს/ ეს რეფორმა განხორციელებულ იქნა ქართლის სამეფოშიც და თბილისის ოლქი უკვე აღარ იწოდებოდა პარუარად, არამედ შაჰრად.

შაჰრ სპარსულად არსებითად ქალაქს ნიშნავს. ამგვარად, მცირე ოლქები ჩამოყალიბებული იყვნენ ქალაქების მიხედვით. აქედან ეს ოლქებიც შაჰრებად იწოდებოდნენ.

როგორც ზემოთ მოხსენებული ცნობიდან ჩანს, ვახტანგი ციხესიმაგრეთა მშენებლობის გარდა კლარჯეთისათვის დიდ ყურადღებას აქცევდა ქრისტიანობის განსამტკიცებლად მონასტრების და ეკლესიების მშენებლობას. მთავარი მათ შორის იყო ოპიზის მონასტერი. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნათქვამია რომ "აღაშენა წმიდაჲ და დიდი უდაბნო ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი". ამგვარად, ოპიზის დიდი უდაბნო — მონასტრის ფაქტიური დამაარსებელი და მშენებელი ოთხი ხსენებული ბერი ყოფილა.

კლარჯეთსა და მის მიმდგომ მხარეებთან ერთად საქართველოს რომეების მთავრობის მიერ გადაეცა მხარე სპერიც ჭოროხის ხეობაში. სპერის შემოერთება დასტურდება მემატიანის /ლეონტი მროველის/ ცნობიდან, რომ ერეკლე კეისრის ლაშქრობათა შედეგად 620-იან წლებში "წარიღეს ბერძენთა საზღვარი /ქვეყანა/ ქართლისა სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირი, ხოლო შვილნი /ერისმთავრის /სტეფანოზისა დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა" /გვ. 226/. ამჟამად ბერძნებს წაუღიათ კლარჯეთის მხოლოდ ბოლო ნაწილი /ზღვის პირი/, მაგრამ მასთან ერთად სპერიც. ქართლის საზღვარი ამ მხარეში ვახტანგ გორგასალის შემდეგ თითქოს არ შეიცვალა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ვახტანგმა ხსენებული საზავო ხელშეკრულებით დაიბრუნა კლარჯეთთან ერთად სპერიც ჭოროხის ხეობაში. ცხადია, რომ ჯუანშერი ხმარობს კლარჯეთის ფართო გაგებით და მასში ის გულისხმობს მთელ სამხრეთ ქართლს /საქართველოს/, დაწყებული არსიანის ქედიდან და შავშეთიდან ტაოს, თორთუმის და სპერის ჩათვლით.

ქართული სამხრეთული ქვეყნებიდან ამის შემდეგაც ქართლის სახელმწიფოს გარეშე რჩებოდა ჩიოსხის /გიმიშ-ხანეს/ მხარე, ჭანეთი და ტრაპიზონის მხარე. ამათ შემოსაერთებლად ვახტანგს უკვე ძალა არ ჰყოფნიდა.

ჯუანშერი ამბობს, როდესაც კესარი და ვახტანგი მორიგდნენ და "განაგეს საქმე წინდობისა /ქალის დანიშვნისა/ და უკუმოსცა კესარმან საზღვარნი ქართლისანი — ციხე თუხარისისა და კლარჯეთი ყოველი ზღვთაგან ვიდრე არსიანთამდე და ჯევნი, რომელნი მოსდგანან ღადოთა და გამოიკითხა კესარმან საზღვარი და საბერძნეთისა. ქუეყანა ზღვისპირისა, რომელ არს აფხაზეთი რქუა ესრეთ: "ეგრის წყალითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა /ყუბანის. შესართავამდე/ საზღვარი /ქვეყანა/ არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან /ალექსანდრე მაკედონელის დროიდან/, რომელი აწი შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან. აწ იგი უკუმოგუეც და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა". და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა. შუა ქუეყანა ზითვად და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა". /გვ.177/.

ამგვარად ზავი ბერძნებს და ქართველებს შორის დადებულია იმ პირობით, რომ ქართველებს გადაუციათ უკან ბერძნებისათვის კლისურის დასავლეთით მდებარე ნაწილი აფხაზეთისა, ხოლო ბერძნებს დაუბრუნებიათ ქართველებისათვის მთელი ტერიტორია დაწყებული სპერიდან.

VII

შინაური რეფორმები

95. ეკონომიური ვითარების საკითხები.

ცნობილია, უკვარმამი ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, რომ ვახტანგ გორგასალი დიდ ყურადღებას აქცევდა მიწათმოქმედებას და ზოგჯერ თვითონაც ასრულებდა გუთნის დედის საქმიანობას.[1]

როგორც მოხსენებული იყო თეოდორიტეს /გარდ. 457წ/ ცნობის მიხედვით, ქართველებიდან /იბერებიდან/ გამოდიოდნენ კარგი ხარისხის ნაწარმის მომცემი მეტყავენი, მესპილენძენი, ხის ნაწარმის მკეთებელნი, მღებარ-მხატვრები /იგულისხმება მატერიების მხატვრები, მაშასადამე, მზადდებოდა კარგი ხარისხის მატერიები/. სულ, ამგვარად, ჩამოთვლილია სახელოსნო წარმოების ოთხი დარგი, რომელთა ნაწარმი, თავისი კარგი ხარისხის გამო საექსპორტო საგანს წარმოადგენდა. რასაკვირველია, ეს ფაქტი ამდროინდელ საქართველოში სახელოსნო წარმოების მაღალ დონეზე არსებობის მაჩვენებელია.

თეოდორიტეს ცნობაში მოხსენებული არიან კიდევ გემთმშენებლები და მეზღვაურნი, და ესენი უფრო საგულისხმებელნი არიან დასავლეთ ქართველთაგან /მეგრელი ტომებისაგან/.

ამ მოკლე ცნობების მიხედვითაც საფიქრებელია, რომ ქართლის /საქართველოს/ სახელმწიფო ვახტანგის დროს ეკონომიურად ძლიერი იყო. ხოლო რომ ვახტანგის დროს საქართველოში არსებობდა მძლავრი ხელისუფლება, ეს ცხადად ჩანს ამ ხანაში განხორციელებულ მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებათა და რეფორმათაგან.

II-IV ს-ნეებში საქართველოში განსაკუთრებით, მის აღმოსავლეთ ნაწილში, როგორც ეს ნუმიზმატიკის აღმოჩენილი მასალებიდან ჩანს, მსვლელობაში იყო ადგილობრივი ჭედვის წინანდელი რომაული და პართული მონეტები. ასეთია მონეტები იმპერატორების ტრაიანესი /98-111 წწ/, ფილიპესი /244-249 წწ/, დეკესი /249-252 წწ/ და სხვ.

---

[1]. ლამპერტის ცნობით. XVII ს-ნეებში ოდიშში მთაური და თაუადებიც ღებდნენ მონაწილეობას მიწათმოქმედებაში და ყანების დამუშავებაში დიდი გულმოდგინეობით: ეს იყო ძველი დროის გადანარჩენი. პლინი /Hist. natur., XVIII,4; I ს-ნე/ გადმოგვცემს, რომ რომის იმპერატორები საკუთარი ხელით ამუშავებდნენ სახნავ მიწასაც. აქაც იგულისხმება მიწის დამუშავების გახსნა თვით იმპერატორის მიერ.

აგრეთვე პართიის მეფის გოტარზესი /47-50 წწ/. იმ ხანაში, როდესაც აღმ. საქართველო სპარსეთს ემორჩილებოდა, ბუნებრივია, რომ ეკონომიური დაკავშირებაც ირანის ქვეყნებთან მეტად იყო გაპირობებული და ეს გავლენას ახდენდა სპარსული საფასის მხრივ ჩვენში მოთხოვნილების გაზრდაზე. საფასეც მაშინ ჩვენში უფრო მეტად პართიული მონეტების მიბაძვებით იყო წარმოდგენილი /ამ მიბაძვებს ადგილობრივ ჭედავდნენ/.

ვახტანგ გორგასალის მეფობაში მდგომარეობა იცვლება აღმოსავლეთ რომის იმპერიისა და ქართლის სამეფოს შორის მყარდება უფრო მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა იმდენად, რომ ვახტანგი აჭედვინებს აღმოსავლეთ რომის მაშინდელი იმპერატორის ლეონ I-ის /457-474წწ/ მონეტების მიბაძვას.[2]

ეკონომიურმა კვლავ დაკავშირებამ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ბერძნულ ქვეყნებთან უფრო მეტად, ვიდრე ეს წინა ხანაში იყო, დააპირობა ვახტანგ გორგასალის და მისი კარის გადასვლა ბერძნულ პოლიტიკურ ორიენტაციაზე. ამისი შედეგი იყო ქრისტიანობის ახალი განმტკიცება საქართველოში და მცხეთის საკათალიკოსოს დაფუძნება, რაც საეკლესიო ცხოვრებაში ქმნიდა ახალ მძლავრ მაორგანიზებელ ძალას.

96. სამეფო ხელისუფლების გაძლიერება.

ვახტანგ გორგასალის დროს შესამჩნევია მსხვილ მფლობელებზე მეფის ძალა-უფლების გაძლიერება. მსხვილ მფლობელთა ინტერესები მოითხოვდა ცენტრალური ძალის განმტკიცებას. უკვე, როგორც ჩანს, უფრო შესამჩნევი იყო მონებს შორის უკმაყოფილებანი. ამიტომ ბატონური ფენებისათვის საჭირო იყო მძლავრი სახელმწიფო სამმართველო აპარატი მეფეთ სათავეში. ვახტანგი უპასუხებდა ამ მოთხოვნილებას. ამით აიხსნება, რომ ვახტანგის დროს სახელმწიფო ხაზინაც მოსახლეობის გადიდებული ექსპლოატაციის მეშვეობით საკმაოდ მდიდარი იყო დიდ-დიდ მშენებლობათა ჩასატარებლად.

მსხვილ მფლობელთა ინტერესების მომსახურების მაჩვენებელია შემდეგი ფაქტი. ამ ხანას უნდა მიეკუთვნოს საერთოდ მიწებზე უფალთა

---

[2]. დ.კასანაძე. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937-1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1955, გვ.79-88.

ხელის გავრცელება. ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს გვიან საუკუნეებშიც შემორჩენილი ცალკე გადასახადი ნანადირევზე საუფლოს სახელით.[3]

დავით ნარინის სიგელში ხეფინისხველთა მიმართ მოხსენებულია ესევე გადასახდელი დაფლელი-ს სახით. ეს უნდა იყოს იბერულ თქმაში დამახინჯებული ამ გადასახადის მეგრული ფორმა /დოფლე-ს დაგვარი, მეგრ. დო- = ქართ. სა-/. როგორც უნდა იყოს, ტერმინი საუფლო ტყის მეპატრონის სასარგებლოდ ნანადირევზე დადებული გადასახადის აღსანიშნავად შეიძლება წარმომდგარიყო მაშინ, როდესაც უფალთა მფლობელობა გავრცელდა მთის ტყე-ველთა მასივებზე /ერისთავების დაწესების და შემდეგში კიდევ ტერმინის პატრონის განმტკიცებისას სახელი საუფლო უკვე აღარ იქნებოდა შემოღებული/. უფლებად ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდნენ ცალკე მხარეთა მმართველნი /ყვისუფალნი/, ადმინისტრაციული ფუნქციების პირნი, რომელთა სასარგებლოდ მიდიოდა ეს გადასახადი. ხოლო რადგანაც ხვეისუფალთა ზევით ერისთავნი და შემდეგ მეფე იდგა, ამიტომ შეიძლება ითქვას რომ ამით მთელი მიწა-წყალი გადაიქცა სახელმწიფო საკუთრებად. საფიქრებელია, რომ ეს არ ეხებოდა იმ მხარეებს, უმთავრესად მთა ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო სათემო ცხოვრება.

97. სახელმწიფო რჩევის რეორგანიზაცია.

ამ საკითხის გასარკვევად საჭირო იქნება დავიწყო სპარსეთიდან.

530-იანი წლების ახლოს სპარსეთის მეფემ ხოსრო ანუშირვანმა გადასახადების პროექტის დასამტკიცებლად სპეციალური შეკრიკებით შოიწვია ყრილობაზე დასასწრებლად ყველანი, ვინც ერაყსა და სპარსეთში იყვნენ წოდებათა უმთავრესნი — სახლკარის მქაკუთრენი, ლაშქრის უფროსები, მეომრები და უმთავრესნი მწიგნობარნი. დანიშნულ დღეს ყველანი შეიკრიბნენ და ნუშირვანმაც მოიწვია დიდი მოგვი და ვაზირები, დაჯდა ტახტზე, თავზე დაიდგა გვირგვინი და გამართა მთელი ხალხის წინაშე საჯარო მსჯელობა. მან დასვა ისინი, ვისაც ამისი უფლება ჰქონდა. სხვები კი ჩვეულების თანახმად, დარჩნენ ფეხზე დგომით" /ტაბარი,II, 43/.

---

[3]. აზნაური ოსელიანები XVIII ს-ნის ბოლოში უჩიოდნენ თავად ლორთქიფანიძეებს, რომ თქვენ ჩვენს მიწებს ითვისებთ. ხოლო ტყეში თუ ნადირს მოკლავდა ვინმე "საუფლო მოგვიდოდა"-ო, ახლა კი ეს საუფლო თქვენ მიგაქვთო /სცია, ძვ. საბ. განყ-ბა, ფ. 1448, № 2056/.

ამგვარად ყრილობაზე მონაწილენი იყვნენ მსხვილ და საშუალო მიწათმფლობელთა წარმომადგენელნი, ლაშქრის წვრილი უფროსები, დაწინაურებული მეომრები /მსახურნი/ და უმთავრესნი მწიგნობარნი. ეს მწიგნობარნი საგულისხმებელნი არიან პერსონალურად: მათი დასწრება საჭირო იყო მსჯელობის შედეგის ასე თუ ისე პრაქტიკულად ცხოვრებაში გასატარებლად.

თუ როგორი იყო სპარსეთის რჩევის შესაფერი დაწესება ქართლის სამეფოში, ეს ჩანს შემდეგიდან: მემატიანის სიტყვით, როდესაც ოსებზე გალაშქრების წინ ვახტანგმა მოიწვია წარჩინებულთა კრება, მაშინ მან "შემოკრიბნა ყოველნი ქალაქნი და განამზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა. ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი /იგულისხმებიან ქრისტიანების მთავარეპისკოპოსი და ცეცხლთაყვანისმცემელთა მთავარი ქურუმი/ დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყველანი ერისთავნი დასხდეს სელებითა და ასისთავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე" /გვ.147/ ჯუანშერ სპასპეტი აქ იგულისხმება რელიგიის მეთაურებთან ერთად პირველ რიგში და კრებაზე ზის ერისთავებზე მაღლაც. აქ, მაშასადამე დამსწრენი იყვნენ ორი კატეგორიის. ერთნი ისინი, რომელთაც დაჯდომის უფლება ჰქონდათ და მეორენი ისინი, რომელნიც ფეხზე უნდა მდგარიყვნენ. მოწვეულ იყვნენ "წარჩინებულნი ქართლისანი" და "ყოველნი ქალაქნი". ცხადია, რომ დაჯდომის უფლება ჰქონდათ წარჩინებულთ, ხოლო ქალაქების წარმომადგენლები კი ფეხზე უნდა მდგარიყვნენ. ისხდნენ სპასპეტი ჯუანშერი,ორივე ეპისკოპოსი და სხვანი ყოველნი /და/ ერისთავნი", ეი. ყველა სხვა წარჩინებულნი და ერისთავნიც, ხოლო "ასისთავნი და ყოველი ერი" ფეხზე იდგნენ.

როგორც ჩანს, ვახტანგის დროს მართებლობა ცდილობდა მემკვიდრეობით მსხვილ-მფლობელური ელემენტების შეზღუდვას და ავტოკრატიული /თვითმპყრობელური/ ძალაუფლების გაძლიერებას. დასაყრდენ ძალად ასეთი პოლიტიკის გატარების დროს მართებლობისათვის მიჩნეული იყვნენ ქალაქები თავისი თავისუფალი მოსახლეობით და წელმაგარი მიწათ-მოქმედი ნახევრად თავისუფალი ელემენტებით. ვახტანგის მართებლობა ცდილობდა ორივე ამ ელემენტის მომრავლებას. განსაკუთრებით ეს ჩანს ქალაქების მიმართ. ქალაქ თბილისის და უჯარმის მშენებლობა ამ მხრივ თავის თავადაც დიდად დამახასიათებელი ფაქტია. ვახტანგის დროსვე, ჯუანშერის სიტყვით, გაშენებულ იქნა ქალაქი ჭერემისა /გვ.199/. სპარსელების 484 წელს შემოსევის დროს

ვახტანგმა წარავლინა /სოფლებში/ ქადაგი /თავისი რწმუნებული განკარგულების გამოსაცხადებლად/, რათა დაუტეონ სოფლები და ქალაქები, რომელი იყო არა ძლიერი და შეეკლტოდიან კავკასიონთა და კახეთად,რამე თუ ტყე იყო და შეუვალი მტრისა მიერ" /გვ200/.

ამ ცნობიდან ცხადია,რომ ქართლსა და კახეთში ბლომად იყო ქალაქები, რომელთაგან ზოგი იყო "არა ძლიერი", ეი. არა კარგად შეგამოზღუდულ-გამაგრებული, ვახტანგი სასიკვდილოდ დაჭრილ იქნა ბრძოლაში მდ. ირონზე "გარემოს ციხე-ქალაქისა, სადა ჰქუან დარფაკა" /გვ201/.

ქალაქთა წარმომადგენელნი ვახტანგის დროს მონაწილეობას იღებდნენ სამეფო რჩევაში.

შედარებიდან ცხადია, რომ სპარსეთსა და ქართლში უმაღლესი სახელმწიფო რჩევები ამ ხანაშიც ზოგადად ერთნაირად ყოფილა მოწყობილი. სპარსეთის საბჭოში უკვე არ ჩანან მოხუცებულნი და ისინი არ არიან არც ქართულ საბჭოში. სამაგიეროდ საბჭოს შემადგენლობა ახლა გაფართოებულია ფეხზე მდგომ პირთა მასში ბლომად შეყვანით. სომხურად მოწვენილია /როგორც ჩანს, ფაჰლაურიდან გადმოთარგმნილი/ სპარსეთის სახელმწიფოს /ერან-შაჰრის/ მოკლე აღწერილობა, დასავლეთ კუსტში აქ ჩამოთვლილია 9 ქვეყანა /სომხურად აშხარჰ/, სამხრეთისაში 23 ქვეყანა, აღმოსავლეთისაში 29 ქვეყანა, ხოლო კუსტი კაპკოჰ-ში /"რომელიც იმავე ტექსტის თანახმად კავკასიის მთების მხარეა"/ არის 16 ქვეყანა, სულ გამოდის 77 ქვეყანა. ამათში ზოგი დიდი ერთეულია, ზოგი კი — მცირე. ეს აღწერილობა უნდა ეკუთვნოდეს უფრო კოპად მეფის ხანას. მასში მოხსენებულია ერთი მხარის /ქვეყნის /სახელი, როგორც ჩანს, მთავარი პუნქტის მიხედვით: ერან-ასან — ქარტ-კავატ, სპარსულად: კავადმა ერანს მისცა მშვიდობა". აღმოსავლეთ კუსტში მოხსენებულია მხარის სახელი პეროზ-ნახჭირ, სპარსულად "პეროზის ნადირობა — სანადირო": ეს იყო როგორც ადგილის, ისე მხარის სახელი. აღწერილობა აღმოსავლეთ კუსტში ასახელებს სხვათა შორის, ვარჭან-ს,რომელიც არის იგივე /ბერძნების/ ჰირკანია, გურგანი, /არაბეთის ჯურჯან/. ხოლო კაპკოჰის კუსტში დასახელებულია შემდეგი მხარეები: ატრპატაკან/ადერბეიჯანი/, არმნ /სომხეთი/, ვარჯან, "რომელიც არის საქართველო /ვირ-ქ/", რან, ეი. ალვანია-ო, ბალასაკან, სისაკან, არე, გელან და სხვანი.

ხსენებულის მიხედვით ირკვევა, რომ ფაჰლაურად ქართლ-საქართველოს ეწოდებოდა ვარჯან, გურგანს კი, განსხვავებულად მის-

გან, სომხური ტრანსკრიბციით ეწოდებოდა ვარჭან[4], ფაჰლაურად უნდა იყოს ვარჩან[5]

ამიან მარცელინის (IV ს-ნის უკანასკნელ მესამედში) სიტყვით სპარსეთის მონარქია მის დროს 18 მხარისაგან შესდგებოდა. სამი საუკუნით ადრე პლინიც ამბობდა,რომ პართელთა სახელმწიფო 18 სამეფოსაგან შესდგებაო. ამით მტკიცდება ადმინისტრაციულ ერთეულთა შედარებით სიმტკიცე სპარსეთში რამოდენიმე საუკუნის სიგრძეზე. ახლა კი VI ს-ნის პირველ მეოთხედში მდგომარეობა უკვე ძირიანად შეცვლილია და მონარქია განაწილებულია ბევრად უფრო მეტ ერთეულებად. ქართლს, სომხეთს და ზოგ სხვა მხარეს ეს ცვლილება გარეგნულად არ შეხებია,მაგრამ საერთოდ კი იმპერიის სამმართველო დანაწილებაში დიდი ცვლილებაა მომხდარი. შესაძლებელია, რომ ეს რეფორმა მოხდა პეროზ მეფის დროს. ტაბარი იხსენიებს, რომ პეროზის დროს გადასახადებს მიწაზე კრებდნენ მოსავლიანობის მიხედვით და თუ რამდენად ამა თუ იმ მიწას უდგებოდა სარწყავი მიწა. გადასახადი იყო დადებული მიწის ყოველგვარ ნაყოფზე "— მარცვლებით, ყურძნით და ხილით მოსავლის 1/4, 1/5 და 1/10 /ტაბარი,II, 24/. აქ ლაპარაკია საგადასახადო სისტემაში ჩატარებულ რაღაც რეფორმაზე,რომელიც მოხსენებული იქნებოდა ფაჰლაურ წყაროში, მაგრამ ტაბარის ეს გარემოება ყურადღებიდან გამორჩენია.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო,ქართლის სახელმწიფო რჩევაში მომხდარი დიდი ცვლილება,რომელიც ზოგადად ერთნაირია სპარსეთის მონარქიის ცენტრში და ქართლის სამეფოში, უკავშირდება ვახტანგ გორგასალის სანას. ამიტომაც შეიძლება ითქვას,რომ პეროზის დროს,უფრო ·მისი მმართველობის პირველი ნაწილის სიგრძეზე სპარსეთში ჩატარებულა მნიშვნელოვანი რეფორმები,რომელთაც გამოძახილი ჰპოვეს ქართლის სამეფოშიდაც.

98. საგადასახადო წესის გაუმჯობესება.

ქართლის ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეზობელი სამხრეთი დიდი

---

[4]. I.Marquart.Eransahr nach der Geographie des PS. Moses Xorenaci, Berlin, 1901, s.8 და შემდ.

[5]. იმარკვარტის აზრით /იქვე.84-85/, ვარჭან უნდა იყოს ქალაქ ვალჯის სახელი ტოხარისტანში ან იმის ახლოს, რაც შეცდომას წარმოადგენს.

ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა სპარსეთის და ამასთანავე აგრეთვე აღმოსავლეთ რომის სახელმწიფოს ვითარებაზე. ეკონომიურად ქართლი განსაკუთრებით სპარსეთზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც ქართლის ეკონომიური ვითარების გასაგებად, სხვა საკმაო ცნობების უქონლობის გამო, მნიშვნელობა აქვს სპარსეთის მდგომარეობის გაცნობას.

როგორც მოხსენებული იყო /§ 106/ პეროზის დროს გატარებულ იქნა მტკიცე და საყოველთაო სახელმწიფო გადასახადების შემოღების ცდა. მაგრამ სპარსეთის ეკონომიური ვითარება იმდენად წინ მიდიოდა, ფულის მეურნეობა უკვე იმდენად ფეხმოკიდებული აღმოჩნდა, რომ მალე, პეროზისავე შვილის კობად მეფის დროს /491-531 წ. /, სახელდობრ, ამისი მეფობის უკანასკნელ ხანებში, დაახლოებით, მაშასადამე პეროზის რეფორმიდან 60 წლის შემდეგ შესაძლებელი შეიქნა საკითხი დასმულიყო ნატურით გადასახადის ფულადად შეცვლის შესახებ. კობადმა თავისი მეფობის უკანასკნელ ხანებში, გადმოგვცემს ტაბარი, ბრძანება გასცა მოეხდინათ მიწების გაზომვა ფულით გადასახადის შემოღების მიზნით. ეს გაზომვა შესრულებულ იქნა ხოსრო ანუშირვანის დროს. /531-578 წწ/. გაზომვის შესრულების შემდეგ შემოღებულ იქნა ახალი გადასახადები: ერთ გუთან დამუშავებულ მიწაზე ერთი დირჰემი და მოსავლის /ხორბალი, ქერი, ბზე/ ერთი საწყაესი. ხეხილზე და ზეთის ხილზე აგრეთვე დადებულ იქნა გადასახადი. სხვა სარწმუნოების /ცეცხლთაყვანისმცემლების გარდა/ მიმდევართ უნდა გადაეხადათ სულობრივი გადასახადი, სულზე დაწყებული დირჰემიდან ვიდრე 48 დირჰემამდის. ქალები, ბავშვები და მამაკაცები 50 წლის ხნოვანობის შემდეგ განთავისუფლებული იყვნენ ამ გადასახადისაგან. გადასახადის შემოტანა განაწილებული იყო წელიწადში სამ ნაწილად — ყოველი ოთხი თვის შემდეგ წლიური გადასახადის 1/3.

ეს რეფორმა ტაბარისავე სიტყვით, სხვა რეფორმებთან ერთად, ხოსრო — ანუშირვანმა ჩაატარა თავისი მეფობის პირველ ხუთ წელში, მაშასადამე, 531- 536 წლებში. რეფორმა ამტკიცებს ფულის მეურნეობის თვალსაჩინო გაბატონებას სპარსეთში, საზოგადოდ სპარსეთის სწრაფ ეკონომიურ განვითარებას V-VI ს-ნეში. თუმცა ამდროინდელი ქართლის შესახებ ჩვენ დეტალური ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ზოგიერთი ფაქტი მაინც ამტკიცებს საერთო სურათის დაახლოებით იგივეობას ქართლშიდაც. ქალაქ მცხეთის გარდა არის ქალაქი თბილისი, რომელიც V ს-ნის მეორე ნახევრიდან იწყებს განვითარებას. მცხეთაში VI ს-ნის ნახევარში, ევსტათე მცხეთელის ცხოვრების მიხედვით, ცხოვ-

რობენ საკმაოდ ბლომად სხვადასხვა ხელოსნები /ცხოვრება იხსენიებს მეეკადაგეთ და მეხამლეთ/. თბილისი VI ს-ნეში იმდენად ვითარდება, რომ უკვე მცხეთას ჩაგრავს.

საყურადღებოა აგრეთვე სერაპიონ ზარზმელის ცნობა ერთი მსოფლიონის შესახებ. რომელსაც სერაპიონთან შემოაქვს ეკლესიის ასამენელი თანხა 305 ოქრო. ცნობა ამტკიცებს, რომ სამცხეში VI საუკუნის მეორე ნახევარში ფულის მეურნეობა საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო.

ეკონომიური ვითარების შეცვლას თანყვებოდა სოციალური ცხოვრების გარდაქმნაც.

პეროზ მეფის დროს /საფიქრებელია, მისი მმართველობის პირველსავე წლებში/ გატარებული ხსენებული საგადასახადო ღონისძიება, ქართლის სამეფოს სპარსეთზე დამოკიდებულების გამო, განხორციელებული იქნებოდა სპარსეთის ხელქვეით ქართულ ქვეყნებშიც. ღონისძიება საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა სახსრების მოსაპოვებლად სამხედრო საქმის რეორგანიზაციისა და გაუმჯობესებისათვის.

99. სამხედრო რეფორმა; საკარგავის შემოღება.

როგორც მოხსენებული იყო სამხედრო სამსახური V ს-ნეში იწოდებოდა განწესებად აქედან მეომარი თვითონ იწოდებოდა განწესებულად. ამავე ტერმინს ხმარობდნენ დროშის აღსანიშნავად.

სახარების ტექსტში /ლუკ, 3,14,/ განწესებული ჰქვია ისეთ მეომარს, რომელსაც თავისი "როჭიკი" აქვს (= ბერძნ. ტექსტის ὀψώνιον — ჯარისკაცის ჯამაგირი).

პრივილეგიურ მეომართათვის იყო ტერმინი კარგი. ლაზარე ფარპელი თავი მესამე წერილში 450-იან წლებისათვის იხსენიებს სიუნიელ კარგ ბაბიკს სიუნიელი ნახარარის გვარიდან.[6] სტეფანოს ორბელიანი XIII-XIV ს-ნის მიჯნაზე იმოწმებს ამ ბაბიკის შესახებ ძველ წყაროს /V ს-ნისავე შესხმას/ და მის მიხედვით ამბობს, რომ მას სპარსელები ეძახდნენ ვეჰ ბაბიკს, რაც მათ ენაზე კარგს ნიშნავდა.[7] "ვეჰ ფაჰლაურად ნიშნავს კარგს და უფროსად კარგსაც. ამისი ფარდი ტერმინი ქართულად მაშინ იყო მკნე. ჯუანშერი გადმოგვცემს,რომ როდესაც

---

[6]. 1904 წლის გამ., გვ.112.

[7]. 1910 წლის გამ., გვ39.

ვახტანგი თავისს ახალგაზრდობაში ოსეთიდან გამარჯვებული დაბრუნდა, მან "წარჩინებულ ქმნა მჯნედ მსახურნი და გამოცდილნი წყობასა შინა ოესთასა" /გვ.158). ამგვარად მჯნენი არ ეკუთვნოდნენ წარჩინებულთა წყებას. მაგრამ ისინი არც უბრალო მეომრები იყვნენ. ისინი იყვნენ მეფის მსახურნი, მის სამსახურში /როგორც ჩანს, მუდმივად/ მყოფნი და, იგულისხმება, სათანადოდაც უზრუნველყოფილნი. მაგრამ ყველაფერი, ეტყობა, არ იყო რიგზე და საჭირო გახდა ახალი ღონისძიების ჩატარება. ეს ჩანს შემდეგიდან.

ტაბარის ცნობის მიხედვით,სპარსეთის მეფის ხოსრო-ანუშირვანის პირველ წლებშიც სპარსეთის ლაშქარი იღებდა წინათ დაწესებულ სარგოს შეიარაღების და თავისი კვალიფიკაციის მიხედვით. ტაბარის გადმოცემით,მეფე ხოსრო-ანუშირვანი ეუბნება თავის მთავარ მწიგნობარს ბაბეკს: "ჯარის ჯამაგირი არ არის მოწესრიგებული. ზოგი ღებულობს ამ ჯამაგირს, თუმცა ამისი უფლება არა აქვს, ხოლო ვისაც ერგება, მოკლებულია მას_ არიან ჯარში ისინი, რომელთა ჯამაგირი არ უნდა აღემატებოდეს ას დირჰემს, ის კი ღებულობს ათას დირჰემს. არიან ისეთები, რომელთაც არა ჰყავთ ცხენი, ჯამაგირს კი ღებულობენ მხედრისას. ზოგმა არ იცის სროლა მშვილდიდან, ღებულობს კი მშვილდოსანის ჯამაგირს. ზოგმა არ იცის ხმლის მოხმარება, ჯამაგირი კი აქვს ქვეითი მეომრისა. ზოგს არა აქვს აკაზმულობა, ხოლო ღებულობს ჯაეშნიანის სარგოს_ /ამ ნაკლთა გამოსასწორებლად/ მე სასახლის წინ ვამზადებ დიდ მოედანს ჯარის გასასინჯად. შენ უნდა ჩაატარო ჯარის გასინჯვა. მაღალ ადგილზე დაჯდომით გაატარე შენს წინ მეომრები. წარმოგიდგინონ მათ თავიანთი ცხენები და შეიტანე ყოველი მათგანი სიაში, ხოლო ეს სია კი უნდა შეინახო. მოითხოვე, რომ ყოველი მეომარი წარმოგიდგეს სრული შეიარაღებით თავისი ჯაჭვით /ჯაჭვის პერანგით/ და მის ზემოთ ჯაეშანით, რომელიც უნდა მოდიოდეს მუხლებამდის. თავზე უნდა ჰქონდეს ჩაფხუტი ჯაჭვით, ორივე ხელზე ხელნაკეთი-ცხენი უნდა იყოს დაფარული ჯაჭვით. ყოველ მეომარს უნდა ჰქონდეს შუბი, ხმალი, ფარი, სარტყელი. უნაგირის წინ ჩამოკიდებული უნდა იყოს რკინის გურზი. ხოლო უნაგირის უკან უნდა იყოს კაპარჭი 170 ხის ისრით. მარცხენა მხარეს უნდა იყოს საბუდე ორი მშვილდით, რომელთაგან თითოს უნდა ჰქონდეს საბელი. უნდა იყოს კიდევ ორი საბელი მარაგად, რომ ბრძოლის დროს თუ საბელი გაწყდა, შეიძლებოდეს მისი შეცვლა. უბრძანე, რომ ეს ორი საბელი მიბმული იყოს უნაგირის ტახტას და ეკიდოს უკან,რათა შენ დაინახო, რომ ამა თუ იმ მეომარს

მართლაც აქვს სრული შეიარაღება. შემდეგ, როდესაც დაინახავ, რომ მეომარს აქვს სრული შეიარაღება, შეიტანე ის სიაში, რათა ყოველთვის ახალი გასინჯვისას შენ შეგეძლოს მას დაუჭირო ჯამაგირი. შეიარაღების გასინჯვის შემდეგ შენ ჩაატარე მეომრები ასპარეზზე შენს წინ, რათა მან გამოიჩინოს ცხენოსნობა, ჩამოხტეს ცხენიდან შეიარაღებული და შეჯდეს ცხენზე, და ამით დარწმუნდე, მართლაც მხედარია ეს მეომარი თუ არა, და რამდენად იცის ცხენოსნობა. შემდეგ უბრძანე მას ჩამოიხსნას მთელი შეიარაღება, რათა დარწმუნდე, იცის თუ არა მან მისი მოხმარება. ამის შემდეგ მისი ღონის და სიმარჯვის მიხედვით დაუნიშნე მას ჯამაგირი ასი დირჰემიდან 4 ათას დირჰემამდის. ქვეით მეომარს ნუ მისცემ ას დირჰემზე ნაკლებს, ხოლო მხედარს, როგორიც უნდა იყოს მისი სამხედრო შემზადებულება და შეიარაღების საუცხოო მდგომარეობა, 4 ათას დირჰემზე მეტს".

ამგვარად მეომრის სარგო ხოსრო ანუშირვანის დროს, — და ეს ცნობა ეხება მისი მეფობის პირველ წლებს, — შეადგენდა სულ ცოტა /ქვეითისათვის/ 100 დრამას და საუკეთესო მხედრისათვის 4000 დრამას. როგორც ტაბარის ცნობიდან ჩანს, 530-იან წლებში სპარსეთში მოხდა მეომართა სამხედრო ვითარების შეჯერება და მათი სარგოების ხელახლავ გადასინჯვა. ამ სარგოების გაცემის პრინციპი კი მანამდისაც არსებობდა.

ფსევდო-სტილიტს აქვს ასეთი ცნობა, რომ მეფე ვალარშს (პეროზის შემდეგს/ არ ჰქონდა ფული ჯარების სარგოს მისაცემად და რომ მან გამოიწვია ზოროასტრული სამღვდელოების გაბრაზება იმით, რომ "ცდილობდა /ამ სამღვდელოების/ კანონების გაუქმებას და უნდოდა ქალაქებში გაეშენებია აბანოები". ზოროასტრული /ცეცხლთაყვანისმცემლური/ სარწმუნოებით ცხელი აბანოს მიღება ცოდვად ითვლებოდა. მაინც სასანიანთა ხანაში ნებადართული იყო ცხელი აბანოს მიღება მხოლოდ იმ პირობით, რომ უნდა ყოფილიყო სპეციალური ზომები მიღებული ცეცხლის სიწმინდის დასაცავად.[8]

აქ საყურადღებოა ცნობა, რომ ვალარშის დროს ლაშქარი ფულად სარგოს ღებულობდა,რაც ამტკიცებს,რომ ლაშქრის გადაყვანა ფულად სარგოზე მართლაც პეროზის დროს უნდა მომხდარიყო.

ზემოთ მოხსენებული იყო, რომ მეომარი ქართულად V ს-ნის პირველ ნახევარში იწოდებოდა "განწესებულად " და "მჯნე"-დ, მაგრამ

---

[8]. A.Christensen, L'Iran sous les Sassanides, p.296.

ტერმინი განწესება შემდეგ შესცვალა ტერმინმა განკარგვა. ამ ორი სიტყვის სრული იგივეობა დადასტურებულია ნინოს ცხოვრების მეტაფრასტული რედაქციით. სახელდობრ, ამ ცხოვრების ჭელიმისეულ ვარიანტში ნინოს მამის ზაბილონის შესახებ ნათქვამია,რომ მან ბრანჯთა მთავრების მონათვლისას "განუწესა /მათ/ ყოველივე წესი საეკლესიოჲ". ამის მაგივრად "შატბერდისეულ ვარიანტში სწერია – ზაბილონმა "განჰკარგა ყოველი წესი ქრისტიანობისაჲ" (გვ.109). ამგვარად განწესება და განკარგვა არის ერთი და იგივე, რადგანაც ტერმინი განწესება იხმარებოდა სამხედრო მნიშვნელობითაც, ცხადია, რომ ტერმინი განკარგვაც წინანდელ ხანაში უფრო ასეთსავე შემთხვევისათვის გამოიყენებოდა.

როგორ ღებულობდნენ მეომრები ამ თავის სარგოს? ამის გარკვევის შესაძლებლობას იძლევა თვით ტერმინი კარგი, საიდანაც არის მეორე ქართული ტერმინი საკარგავი.

ირანში არაბი მწერლების და ებრაელი თალმუდის დამოწმებით იყო მამაკაცებზე დაწესებული სათავო სახელმწიფო გადასახადი სახელწოდებით კარაგა. აქედან ქართული კარგვა სამხედრო გაგებით/ ნიშნავდა მეომრის უფლებას აიღოს თავის სარგოდ რამდენიმე კარაგა ან სათავო გადასახადი. ცხადია, რომ ეს თავის გადასახადი ეძლეოდა ამა თუ იმ მეომარს თავის ადგილზეე მისი აკრეფის და მიღების უფლებით. კარაგა, მაშასადამე, გადაქცეული იყო რენტად, რომელსაც ქართულად დაერქვა საკარგავი /მოხსენებულია განვითარებულ ფეოდალურ ხანაში, მაგრამ ეს ტერმინი, ცხადია, უნდა ყოფილიყო წინა ხანაშიც.[9]

იოანე ოქროპირის /347-407 წ.წ/ მეორე ეპისტოლეში თევდორეს მიმართ (რომელიც ქართულად, ენის მიხედვით არა უგვიანეს V ს-ნისა უნდა იყოს ბერძნულიდან გადათარგმნილი), მის ქართულ ტექსტში ვკითხულობთ: "მკედარი, რომელმან დაიწეროს თავი თჳსი დი-

---

[9]. უნდა აღინიშნოს,რომ ტერმინი საკარგავი მე 1928 წლიდან მიმაჩნდა ბუნებრივად და სამხედრო ლენის ექვივალენტად ჩემი მოხსენებათა და განცხადებათა შედეგად ტერმინი ასეთი მნიშვნელობით მაშინვე შევიდა დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოებში. ამავე მნიშვნელობით ტერმინი საკარგავი იხსენიებოდა 1930-1932 წლებში საქართველოს ისტორიის ჩემს პროგრამებში თბილისის უნივერსიტეტისათვის, სადაც ლიტერატურულ ფაკულტეტზე მაშინ მე ლექციებს ვკითხულობდი. 1931 წელს მე ტერმინების თემარისა და საკარგავის შესახებ წავიკითხე მოხსენება კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში. ბეჭდვით საკარგავის ასეთი მნიშვნელად ჩემ მიერ მოცემული იყო მოკლე მიმოხილვაში Краткий обзор истории Грузии, Сухуми, 1941, стр.23.

ვანსა შინა მეფისასა და მიერითგან წამოიღებნ იგი განწესებულთა როჭიკსა ერისკაცთასა, ვერღა შემძლებელ არნ იგი თავით თჳსით განთავისუფლებად მსახურებისა მისგან, არამედ მარადის მდგომარე არნ იგი წინაშე მეფისა შეჭურვილი საჭურველითა და განმზადებული ბრძოლად მტერთა მეფისათა თავგანწირვით".[10]

ეს ამონაწერი ადასტურებს,რომ იოანე ოქროპირის დროსაც /IV ს-ნეში/ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მიღებული იყო როჭიკით /ჯამაგირით/ მხედრების /ცხენოსან მეომრების/ განწესება, რომ ასეთი მხედრები აღრიცხვაზე იყვნენ აყვანილნი და რომ მათგან შესდგებოდა მეფის /იმპერატორის/ პირადი გვარდია. ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი გამოდის ქართლის მეფის კარზე როჭიკით აყვანილი მუდმივი მხედრების მყოფობა.

პირველ ეპისტოლეში ამავე თევდორეს მიმართ იოანე ოქროპირს /ქართული თარგმანით/ აქვს ასეთი ადგილი:

"რომელი .დივანსა მეფისასა არა დაწერილ არნ და რიცხუსა მკედართასა არა შერაცხილ არნ, არავისგან ბრალისა თანამდებ იქმნის, განთაუშორის თავი თჳსი გუნდისაგან მკედართაჲსა. ხოლო რომელი მკედრად დაწერილ არნ, უკუეთუ მან დაუტევის ნეფსით მკედრობაჲ თჳსი, არა მცირე პატიჟი მოატყჳს თავსა თჳსსა ერისმთავრისაგან და მეფისა, არამედ ფრიადი შეურაცხეფისა მისთჳს განწესებულებისათჳს მკედართა გუნდსა".[11]

სურათი ცხადია. მხედრად დაწერილი /რომელიც განსაზღვრულ როჭიკსაც ღებულობდა) დეზერტირობისათვის სასტიკად აგებდა პასუხს. არადაწერილნი, მაშასადამე, არც როჭიკზე მყოფნი,არ ითვლებოდნენ დეზერტირებად და ამიტომ მხედართა გუნდში არმყოფობისათვის პასუხსაც არ აგებდნენ.

საყურადღებოა რომ მხედრების აღრიღხვა ქართული ტექსტის მიხედვით, ხდებოდა დივანში.

საკარგავი არის იგივე რაც ბიზანტიური ხანის პრონია (πρόνοια – მზრუნველობა), რომლის ფარდი ტერმინია οἰκονομία – მმართველობა, მოწყობა. ა.კაკაბაძე ამტკიცებს, რომ პრონია თავდაპირველად წარმოადგენდა რომელიმე ადგილიდან გარკვეული საფასურის

---

[10]. მამაია სწავლანი, თბ. 1955, გვ.120.

[11]. იქვე. გვ.107.

გადასახადებს, რომელიც ეძლეოდა ასაღებად ამა თუ იმ პირს. აქედან თანდათან განვითარების შედეგად პრონია XIII-XIV ს-ნეში ეწოდებოდა ფეოდალურ /პირობითს/ საკუთრებას რომელიმე მამულზე.[12]

საქართველოში საკარგავი თავდაპირველად ზემოთ ნათქვამის მიხედვით, რენტას წარმოადგენდა და მოსაკარგავე იყო, ვისაც გარკვეული სამსახურისათვის ამ რენტის აღების უფლება ჰქონდა. ასეთივე მდგომარეობა იყო XI საუკუნეშიც. თითქოს დავით აღმაშენებლის დროს საკარგავი გადაიქცა პირობითი მამულის და სამფლობელოს აღმნიშვნელ ტერმინად. ქართულ "ვისრამიანში" რომელიც XII ს-ნის პირველ ნახევარში უნდა იყოს დაწერილი, საკარგავი თითქოს ხმარებულია ფეოდალური პირობითი სამფლობელოს აღსანიშნავად.

ამგვარად მწყობრში სამსახურისათვის დაწესებული სარგოს ეწოდებოდა საკარგავი. ხოლო საკარგავი ვისრამიანის ქართულ-სპარსული ტექსტების შედარებით უდაოდ არის სპარსული თიმარი, რომელიც იხმარებოდა ბიზანტიაშიც /ტიმარ/, ბიზანტიური ტიმარ კი იყო გარკვეული სარგო, ამის მიხედვით საკარგავიც ასევე სარგოს ან ჯამაგირს ნიშნავს.

საყურადღებოა, რომ ქართლ-სომხეთის ეკლესიური განხეთქილების გამო წარმოშობილ მიწერმოწერაში /608-611 წწ.) ქართული ენის აზნაურნი და მსახურნი წოდებულნი არიან კარგებად.[13] ეს ორი ტერმინი აზნაურ-მსახური და კარგი იქ ერთმანეთის ფარდად არის ნაგულისხმევი. მეტიც შეიძლება ითქვას ტერმინი კარგი აქ ფარავს მცნებას აზნაურს, რის მიხედვით კარგნი უნდა ყოფილიყვნენ საერთოდ სამხედრო წოდების პირნი და აზნაურთ გარდა ამ სახელით უნდა იგულისხმებოდნენ სხვა მეომრებიც, ეგრეთ წოდებულნი მსახურნი და ტაძრეულნი.

უკვე ნაჩვენები იყო, რომ მსახურნი, როგორც მეომრები, მოხსენებული არიან ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაშიც. ტაძრეულნი კიდევ მოხსენებულნი არიან მურვან-ყრუს შემოსევის შესახებ თხრობაში. მეფე მირს და მის ძმას არჩილს თან ჰყავდათ ანაკოფიის ციხეში შცირედ ტაძრეულისა მათი სა და ნათესავი ერისთავთა და პიტიახშთა ათასი ოდენ /ეი. ერისთავნი და მათი თვისტომთაგან შემდგარი რაზმები

---

[12]. А.П Каждан. Формы условной собственности в Византии X-XIII вв., М., 1960.

[13]. წერილთა წიგნი, გვ.168,170.

მათი მეომრებითურთ ათასი კაცი/, ხოლო სპათაგან აფხაზთა მბრძოლი ორი ათასი" /გვ.237/. ტაძრეულნი, როგორც ჩანს, ყოფილან ათასზე ნაკლები, მხოლოდ რამოდენიმე ასეული, და მეტი არც შეიძლება ყოფილიყო.

როდესაც მურვანყრუს წასვლიდან 12 წლის შემდეგ არჩილი გადავიდა კახეთს აქ მან "ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურყვნა იგინი" /გვ.243/, ეი. ტაძრეულთ მისცა გარკვეული უფლებები თემებზე და ამით გაუჩინა მათ საზრდო, რითაც გახადა ისინი აზნაურებად. ცხადია, რომ ამ ტაძრეულთ, სანამდის ისინი მეთემე აზნაურებად გახდებოდნენ, სხვა სარჩო ექნებოდათ, სახელდობრ, როგორც თვით მათი სახელი ტაძრეული ამტკიცებს, მეფის ტაძრისაგან ანუ სამეფო კარიდან. ასეთივე მდგომარეობაში არიან საგულისხმებელნი მსახურნი, რომელნიც ვახტანგ გორგასალმა წარჩინებულ ყენა. მსახური და ტაძრული დასლოებით ერთი და იმავე მდგომარეობისანი არიან.

ყურადღებას იქცევს ის, რომ ტერმინი კარგი თავდაპირველად ნიშნავდე რიგს. ეს სიტყვა იცოდნენ სომხებმა და ქართველებმა. დამადეგის ერთ-ერთ წიგნში კარგი ამ მნიშვნელობით იხმარება (გამ, 28,17-20): "ოთხ კარგად" (ოთხ რიგად), "კარგად კარგადი" (რიგ-რიგად) და სხვ. მაგრამ სამხედრო მნიშვნელობით ის მაშინ არ იხსენიება. VII ს-ნის დასაწყისში კი (საეკლესიო მიწერ-მოწერის დროს) ტერმინი კარგი უკვე სამხედრო მნიშვნელობით არის ხმარებული და მეტიც — ეს სიტყვა არ ნიშნავს მარტო რიგს, არამედ მას აქვს წინანდელი კეთილის მნიშვნელობა. საჭირო იყო საკმაოდ ხანგრძლივი დრო, რომ სიტყვას კარგი ამ სახით შეეცვალა თავისი სემანტიკა (ერთი საუკუნე მაინც და მეტი).

V ს-ნის შუაში სიტყვას კარგს სომხურში სამხედრო თვალსაზრისით ჰქონდა მამაცობის /ქართულად — სიმკნის/ მნიშვნელობა. ხოსრო ანუშირვანის სიტყვებიდან კი საგულისხმებელია, რომ მის დროს სამხედრო პირთა ჯამაგირის უზრუნველყოფის წესს ჰქონდა თავისი ხანდაზმულობა.

ყველაფერი ამის გამო კერძოდ ქართლის სამეფოში საკარგავების დაფუძნება შეიძლება მომხდარიყო 457-460 წლების ახლოს ანუ ვახტანგ გორგასალის დროს. ამ წესების მიხედვით ჯარში ყოფნა დაკავშირებული იყო გარკვეულ სარგოსთან /რენტასთან/ რომელსაც საკარგავი ერქვა. ამით ტერმინი კარგი გადაიქცა წინანდელი კეთილის შესატყვისად, თვით მეომარნი კი ახლა იწოდებოდნენ კარგებად. კარგთა რიცხვში მოხვდებოდნენ უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია,

აზნაურნი, მაგრამ აზნაურთა გარდა ამ კარგებად შეიძლება ყოფილიყვნენ სხვებიც,ვისაც ამისი უნარი და შესაძლებლობა ჰქონდა.

რასაკვირველია, ხსენებული რეფორმა გულისხმობს არა მთელი სამხედრო ძალების, არამედ გარკვეული კონტიგენტის /რომელსაც ქართულად ტაძრეულნი დარქვა/ უზრუნველყოფას. მაგრამ ტაძრეულთა შორის იყო დიდი გრადაციები (სპარსეთში, როგორც ვნახეთ, სარგო დაწესებული იყო 100 დირჰემიდან ანუ 100 დრამიდან 4 ათას დირჰემამდის/. ტაძრეულნი. რომელნიც მეფის უშუალო განკარგულებაში იმყოფებოდნენ, საგულისხმებელნი არიან მძიმედ შეიარაღებულ მხედართაგან დაწყებული ვიდრე ქვეით მეომრამდე.

ამგვარად, ვახტანგ გორგასალის დროს, 470-იანი წლების ახლოს, გატარებულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი რეფორმა სამხედრო საქმეში, რამაც ძლიერ დიდი გავლენა მოახდინა შემდეგდროინდელ ვითარებაზე. საკმარისია ითქვას, რომ საკარგავების სისტემამ ამა თუ იმ სახით ჩვენში გასძლო თითქმის 9 საუკუნე ვიდრე XIV ს-ნის პირველ ნახევრამდის.

საკარგავების შემოღებას ჰქონდა კიდევ სხვა მნიშვნელობაც. ეს იყო პირობითი რენტა, დაწესებული გარკვეული ვალდებულებისა და სამსახურისათვის. ამით ძლიერდებოდა პირობითი საკუთრებაც, რომელიც დამახასიათებელი იყო ფეოდალურ წყობა-წარმონაქმნისათვის. მონათმფლობელური წყობილების პირობებში ფეოდალური წყობის ელემენტების გაძლიერება სოციალური ცხოვრების განვითარების ხელის შემწყობი იყო და პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

100. ქართლის სამეფოს დაყოფა საერისთაოებად.

ვახტანგის დროს ქართული ქვეყნების მეტი ნაწილის გაერთიანების შემდეგ სახელწიფო გაყოფილ იქნა საერისთავოებად. ჯუანშერი ორჯერ ვახტანგის დროს ჩამოთვლის ქართლის სამეფოს ერისთავებს /გვ.185-186). 470 წლის ახლოს სპარსეთში წასვლის წინ ვახტანგმა თავის მაგივრად დასტოვა თავისი შვილი დაჩი. სპასპეტის გარდა 10 ერისთავისაგან 7 მან დასტოვა ქართლის სამეფოში.ესენი იყვნენ:" ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდა-ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა /ეი. ერისთავების უფროსი/, დემეტრე – ერისთავი კახეთისა და კუხეთისა, გრიგოლ ერისთავი ჰერეთისა, ნენსარან – ერისთავი ხუნანისა, ადარნასე – ერისთავი სამშვილდისა, სამნაღირ – ერისთავი შიდა – ეგრისისა და სუანეთისა, ბაკურ – ერისთავი მარგუსისა და თაკუერისა".

ოთხნი წარჩინებულნი კი ვახტანგმა თან წაიყვანა სპარსეთში და იქიდან ინდოეთისკენ. ესენი იყვნენ: "არტეაზ — ერისთავი კლარჯეთისა, ნარსე ერისთავი წუნდისა, ბივრიტიანი — ერისთავი ოძრაკისა და საურმაგ — ეკიბი დიდი". /გვ. 185-186/.

ერისთავნი თავთავიანთ სამფლობელოში დიდი უფლებებით სარგებლობდნენ და, სპარსეთის მაგალითის მიბაძვით, მეფეებადაც იწოდებოდნენ. ჯუანშერი გადმოგვცემს სპარსთა მეფის ორმუზდის მომართვის სათაურს ვახტანგ მეფისადმი. "ურმისდისაგან, ყოველთა მეფეთა მეფისა, ვახტანგის მიმართ ვარან-ხუასრო-თანგისა /ვახტანგის სრული სახელი სპარსულად/, ათთა მეფეთა მეფისა, ახოენისა". ვახტანგი აქ დასახელებულია ათი მეფის მეფედ. ეს ათნი არიან ზემოთ დასახელებულნი ათნი ერისთავნი. მართლაც ცნობილია, რომ შიდა-ეგრისის ერისთავებს ·ბიზანტიელები მეფეებად იხსენიებდნენ. ერისთავი შემდეგშიც ხშირად იწოდებოდა მეფედ. მაგ., ბოლნისის IXს-ის წარწერაში მოხსენებულ არიან დავით და აბულ მეფენი /უფრო სწორად-მეფანი, ეი. მცირე მეფენი/, რომელნიც არიან ადგილობრივი ერისთავები. ასევე XI ს-ნის დასაწყისში მეფედ იხსენიება ხორნაბუჯის ერისთავი გურგენბერი და სხვ.

სპარსთა მეფის ორმუზდის ხსენებული მომართვა ვახტანგის სახელზე გულისხმობს ქართლის მეფის ხელქვეით ათ ერისთავს /მეფეს/. ეს მომართვა არ უნდა ეკუთვნოდეს სპარსეთის მეფეს ორმუზდ III-ეს, რადგან ის მეფობდა 457-458 წლებში მეტად ხანმოკლედ. ამ ათ მეფეს შორის კი აქ უნდა იგულისხმებოდეს შიდა ეგრისის და მარგვისთაკვერის ერისთავებიც, ხოლო ლაზიკის სამეფო 457-458 წწ.ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა ქართლის მეფეს. უფრო საფიქრებელია, რომ მომართვა ეკუთვნოდა სპარსეთის სამეფოთა ჩრდილოეთი მხარეების პადისპანად /დიდ მარზპანად/ პეროზ მეფის დროს, დაახლოებით 470-იან წლებში, საგულისხმებელ და ჯერჯერობით უცნობ პირს სახელით ორმიზდს.

ერისთავის უფლების გასარკვევად მნიშვნელობა აქვს ერისთავის /ეგრეთ წოდებული ცოტა ერისთავის/ კურთხევის "წესს და განგებას", რომელიც ძველი დროიდან უნდა ყოფილიყო შემუშავებული და ყოველ შემთხვევაში IX ს-ნეში კვლავ დადასტურებულ იქნა. "რაკამს მიანიჭებს ღმერთი /ერისთავს/ პატივსა ერისთავრობისსა,განიბანოს გუამი და შეიმოსოს სამოსელი ვითარცა შვენის მეფეთა". ამგვარად კურთხევის დროს ერისთავს ეცვა იგივე სამოსელი, რომელიც განკუთვნილი იყო მეფისათ-

ვის. მაგრამ ეს არ შეიძლება ყოფილიყო ადარნასე მეფის შემდგომ დროს, რადგანაც მის შემდეგ ერისთავებს აკრძალული ჰქონდათ მეფის-დაგვარი სამოსის ტარება. თვით კურთხევის ცერემონია, რომელსაც ასრულებდა ეპისკოპოსი,ხდებოდა ეკლესიაში საღამოს ლოცვისას. საკურთხპირს დააყენებდნენ საკურთხევლის ასავალში და ქვეშ დაუფენდნენ ტაბატას. ხელში მას უნდა ჰქონოდა სანთელი [''კეროვანი''/ ანთებული. მარჯვნივ და მარცხნივ დაუდგებოდნენ მღვდელნი და დიაკონნი. თვით ლოცვაში, რომელიც ამ დროს წარმოითქმებოდა, საყურადღებოა შემდეგი ადგილი: ''მონაცა ესე შენი /ღმერთო/ ჯერიჩინე /ამოარჩიე/ სოფლისა /ქვეყნის/ პყრობად. მიჰმადლე ამას დამორჩილებად ქუეშე მყოფნი სიმართლით და ჭეშმარიტებითა სათნო ყოფად შენდა ყოველი, რომელი ამის მიერ იქმნებოდის, რათა გლახაკთა და ნაკლულევანთა და ყოველთა საქმესა მოწყალებისასა აჩვენებდეს, /აგრეთვე/ და სასჯელსა /სამსჯავროსა/ სიმართლისასა ჰყოფდეს უქრთამოდ და ყოველნი მსახურნი მისნი ყოვლითა მშჯდობითა და მორჩილებითა მოჰმადლე. და განამართლე მარადის. მოეც ნაყოფი ქუეყანასა ცხოერებისათჳს ყოვლისა ერისა შენისა''.

ერისთავთ-ერისთავის კურთხევისათვის დაწესებული იყო სამეფო. სამოსი და ლოცვაც იყო უფრო ერცელი /IX-ხ ს-ნეებში და XI ს-ნის პირველ ნახევარში ერისთავთ-ერისთაეი იყო ერთი. ის იყო, ფაქტიურად მართებლობის უფროსი სახელმწიფოში/. ამ ლოცვაში არის ვედრება ღვთისადმი, რათა ახლად კურთხეულ პირს ჰქონდეს ''სიმტკიცე მკლავისა'', ''ძლიერება მტერთა ზედა დღედ ბრძოლისა'', დაედგას მას თავს ''ჩაფხუტი დიდებისა, რათა შენითა შეწევნითა არცხვენდეს მტერთა დღესა ბრძოლისასა'', რათა ''მზრდელ და მწყობელ ექმნას ერსა შენსა,რომელი მოეც მას; იყოს ვითარცა მამა სახიერი.რომელნი ყვარობენ შვილთა და ასწავებენ ყოველთა გზასა ღმრთის მსახურებისასა''. ''რათა ობოლსა მზრდელ ექმნას თჳსითა ჯელმწიფებითა და შენითა მით განმზადებულითა პატივითა ერის მთავრობისასაჲთა_ საყუდელ ექმნას მოხუცებულთა, პატივისმცემელ მისთა მინდობილთა ჭაბუკთა და ყოველთა კეთილის მყოფელ, მასწავლელ ერისა თჳსისა... ბრძანე /ღმერთო/ ჩჩვილთა სიორძლე /ბავშვების გამრავლება/, ჭაბუკთა სიმშვიდე, მოხუცებულთა ფუფუნებითა დაცვა''.

მაშინ როდესაც ერისთავის საკურთხევ ლოცვაში ერის ანუ ხალხის გარდა მოხსენებულნი არიან მხოლოდ მსახურნი, ერისთავთ-ერისთავის ლოცვაში დამატებით ყურადღებას იყრობს ჭაბუკთა მოხ-

სენება და ისიც ისეთ კონტექსტში /"შინდობილ ჭაბუკთა პატივისცემით მოპყრობა, ჭაბუკთა მშვიდად ყოფნის სურვილი"/, საიდანაც ჩანს, რომ ჭაბუკებად აქ იგულისხმებიან მხედარ-მეომრები. ამის მიხედვით მსახურნიც იმავე დროს საგულისხმებელნი არიან მხედარ-მეომრებად, რომელნიც ერისთავს ჰყავდა თავის ხელქვეით, მაგრამ ჭაბუკნი კი არიან განსაკუთრებული მეომრები, რომელნიც მხოლოდ ერისთავთ-ერისთავს ჰყავს.

საფიქრებელია, რომ ვახტანგ გორგასალის დროს დაწყებული ერისთავთა კურთხევის წესი იყო უფრო ის, რომელიც შემდეგ შემორ-ჩენილი იქნა სახელმწიფოს პირველი ხელისუფალის ერისთავთ-ერისთავისათვის.

ქართველი ერისთავის საზეიმო სამეფო სამოსი აწერილი აქვს VII ს-ნის ბერძენ ავტორს. როდესაც ლაზიკის /ეგრისის/ მოკლული მეფის გუბაზის მაგივრად 554 წ. ბიზანტიის კეისარმა ლაზებისავე თხოვნით დანიშნა მოკლულის უმცროსი ძმა წათე, ის, აგათიას /VI ს./ სიტყვით, ბრუნდება ბიზანტიიდან თავის ქვეყანაში სტრატეგოს სოტერიქის თანხლებით. "რომაელთა მეფისაგან მას მიეღო, როგორც ეს ძველთაგან დაწესებული იყო, მამა-პაპის უფლება და საამისო ნიშნები. ეს ნიშნები იყო: ოქროს გვირგვინი, თვალ-მარგალიტით შემკული; კოჭებამდე გრძელი ქიტონი, ოქრომკერდით მოქარგული; მიტრა აგრეთვე ოქრომკერდით და თვალებით შემკული და წითელი წაღები. ძოწეული ქლამიდის ტარების ნება კი ლაზთა მეფეებს არ ჰქონდათ; მხოლოდ თეთრი ქლამიდის ტარება შეეძლოთ. ეს ქლამიდაც არ ჰგავდა, საყოვ-ელთაოდ მიღებულს და ჩვეულებრივს. შუაში ის ორივე მხრით ოქროს ქსოვილით არის ალაპლაპებული. მეფობრივია აგრეთვე თავისი აკ-ინძული თვალებით და სხვა მორთულობით ქლამიდის აბზინდიც და როდესაც წათემ, სამეფო სამოსელში გამოწყობილმა, ფეხი შემოდგა თავის ქვეყანაში, მას მიესალმნენ სტრატეგოსები და რომაელთა მთელი ჯარი, საუკეთესოდ შეიარაღებულნი. მეტწილად ცხენებზე მჯდომნი ისინი სათანადო პატივით წამოუძღვნენ მას წინ. გახარებული ლაზებიც-ჩამწკრივებულნი მიაცილებდნენ მას. ყოველგზით საყვირების ხმა ის-მოდა და დროშები იყო მაღლა აფრიალებული. ზეიმი იყო მეტად

ბრწყინვალე და აღზევებული და მეტის ზომის, ვიდრე ეს ლაზთა სამეფოს შეეფერებოდა.[14]

ერისთავნი ინიშნებოდნენ არა მემკვიდრეობით. საერისთავოების სამკვიდროდ განმტკიცება მოხდა მხოლოდ 580-იან წლებში, როდესაც სპარსეთის მეფის ორმიზდს IV-ის /578-589 წწ/ ჩრდილოეთის კუსტს /ქართული მატიანით, რანს და მოვაკანს, მაგრამ აქ მთელი კუსტი უნდა იგულისხმებოდეს/ განაგებდა ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრე ხოსროეაზრუეზი /ქართული გამოთქმით ქასრე ამბარვეზი/. როდესაც 590 წ. რომეებმა /ბიზანტიელებმა/ მიიღეს სპარსეთისაგან ქართული ქვეყნების ახალი ნაწილი ვიდრე თბილისამდის /საფიქრებელია სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი/, მათ დაამტკიცეს ქართველი ერისთავების უფლების სამკვიდროდ გადაცემა ერთსა და იმავე გვარში.

ამგვარად ვახტანგ გორგასლის მმართველობის დროს ქართლის /საქართველოს/ გაზრდილი სახელმწიფო ჩამოყალიბდა როგორც საერისთავოების კავშირის ერთეული. ეს საერისთავოები ავტონომიურ სახელმწიფო ერთეულებს წარმოადგენენ. მთელი სამეფოს ერთიანი მეფის უშუალო მმართველობის ხელქვეით მხოლოდ შიდა ქართლი იმყოფებოდა. შიდა ქართლის საქმეები მეფის შემდეგ ეკითხებოდა სპასპეტს, რომელიც იყო იმავე დროს ყველა ერისთავის უფროსიც. საერისთავოებში იკრიბებოდა ხარკი როგორც საერისთავო, ისე სამეფო /ასეთია ფარნავაზის სამეფოს შესახებ მატიანის ცნობა რომელიც ამ ნაწილში უფრო V ს-ნის ვითარებას უნდა ასახავდეს/. მთელ სამეფოსთან, მამასადამე, გარკვეული გადასახადი მეპოდიოდა ცენტრალური მართებლობის /მეფის/ სასარგებლოდ.

თითქოს ოძრხის და წუნდის ერისთავთა სახლები დატოვებულ იქნენ ახალ პირობებში ცალკე მოზრდილი ხევების მემკვიდრეგამგებლებად, ანუ როგორც ზემო-ქართლში მათ ეძახდნენ, მამფლებად. განსაკუთრებით ეს ითქმის ოძრხის ერისთავის სახლის შესახებ, რომელსაც შეიძლება დარჩენოდა ახალ პირობებშიც სამცხე. მამფლობა

---

[14]. პროკოპი კესარიელი /De aed., III, V/ აღნიშნავს, რომ აღმ. რომის იმპერიის /371 წლის ახლოს დროიდან/ კუთვნილ სომხეთში იყო 5 მემკვიდრე სატრაპი (ოქართულ ერისთავს). მათი ინსიგნიები იყო ხლეის მატელის ქლამიდა, ოქროთი შემკული პირფერა, ოქროს საკინძი, ოქროს ზოლებით შემკული ამრეშუმის ზედა სამოსი. "ფეხსაცმელი წითელი ფერისა მუხლამდის, რის ტარების უფლება აქვს მხოლოდ რომის იმპერატორებს და სპარსეთის მეფეებს". იმპერატორმა იუსტინიანემ გააუქმა ეს სამთავროები.

აძლევდა მათ შემცირებულ ტერიტორიაზე მეტ უფლებებს. ასე რომ ერისთავთა სახლების ამ ასალ მდგომარეობაში გადასვლა არც თუ ძლიერ გაძნელებული უნდა ყოფილიყო.

საყურადღებო ის არის, რომ მაშინაც, როდესაც ბაგრატუნიანთა გვარი IX ს-ნიდან სამეფო სახლად გადაიქცა, თვით აფხაზ-ქართველთა მეფის ბაგრატ IV –ის დროს კლარჯეთი კვლავინდებურად სამამასახლისოდ ითვლებოდა და შეფისათვის განკუთვნილ გადასახადსაც სამამასახლისო გადასახადი ერქვა. ბაგრატ IV ოპიზის უდაბნოსადმი მიცემულ ცნობილ სიგელში წერს, რომ "ოპიზარნიც /ეი. ოპიზის მონასტრის კრებული/ გულსაკსე ყველნ სალოცველად სულსა ჩემისა, თავსავე ჩემსა დავათმინე /მოვაკელი/, ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩვენისაგან /კლარჯეთს/ ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა სატრაპეზოდ". სიგელის ბოლოში ბაგრატ IV მიმართავს ფადაწყვეტილების დამტკიცების თხოვნით "ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერთა". ტანუტერი სომხური ტერმინია, ნიშნავს მამასახლისს. კლარჯეთის მამასახლისი, ოგივე მამფალი /გადაქცეულია უკვე საქართველოს მეფედ, მაგრამ მის სასარგებლოდ კვლავინდებურად არსებობს "სამამასახლისო სამსახურებელი", თვით კლარჯეთში კი თავის მოადგილედ მას დაუნებული ჰყავს მამასახლისი.

აღსანიშნავია ისიც, რომ X ს-ნეში ტბეთის ეპისკოპოსნი, რომელნიც იმავე დროს შავშეთის მმართველად /ერისთავად/ ითვლებოდნენ, იწოდებოდნენ მამფლებად, ეი. იმავე მამასახლისებად.

ეჭვს გარეშეა ამგვარად, რომ ზემო ქართლშიც ცალკე ხევების სათავეში იდგნენ მამასახლის-მამფლები. მათი უფლების ჩამოყალიბება ტომობრივ-ტერიტორიულ ერთეულებში მიეკუთვნება VI ს-ნის დასაწყისს, ფარსმან მეფის დროს. ცხადია, მაშასადამე, რომ V ს-ნის დასაწყისს გატარებული რეფორმა კვალს აჩენს XI ს-ნის ვითარებასაც.

101. ქალაქების როლის შეცვლა.

ამ დრომდის ქალაქები წარმოადგენდნენ მცირე ოლქთა მეთაურების რეზიდენციებს. ამით აიხსნება, რომ ქართული ქვეყნების ტოპონიმიკაში საკმაოდ ხშირად წარმოდგენილია სახელი ნაქალაქევი ხშირად ისეთ ადგილას (მაგ., მთიან ადგილებში) სადაც ქალაქს შეეძლო მხოლოდ ასე თუ ისე შემოზღუდული და, მაშასადამე, გამაგრებული პუნქტის შესრულება. თვით ვახტანგმა გააშენა ქალაქი არა ადვილად მისადგომ ადგილას ჭერემში და იქ დასვა ეპისკოპოსიც. გამოთქმაც "შენ

(ჭერემში ეახტანგმა) ქმნა ქალაქი ერთი" (გვ.199) თითქოს გამაგრებულ ადგილს გულისხმობს, რომელიც ამ შემთხვევაში ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი უნდა ყოფილიყო.

ახლა კი ქალაქების ხასიათი შეიცვალა. როგორც ჩანს, ახლად გაშენების გზაზე დამდგარმა თბილისმა მიიღო უკვე სხვა ხასიათი. ჯერ ის უკვე სანახევროდ დაზიანებული ციხის ამარა იყო (ციხეს მალე დასჭირდა რეკონსტრუქცია), ქალაქს არც გალავანი ჰქონდა, მაგრამ იქ უკვე იყო თვითმოქმედი მოსახლეობა, რომელიც ნაწილობრივ მაინც ვაჭარ ხელოსანთაგან არის საგულისხმებელი. როდესაც ეახტანგის შვილის დაჩი მეფის დროს მცხეთა, როგორც ამას ამოწმებს მემატიანე, გადაეცა კათალიკოსს, მაშინ მოსახლეობის ნაწილი მცხეთიდან გადასახლდა თბილისს. ასე უნდა იქნას გაგებული მოქც. ქართლსაჲს ქრონიკის ცნობა, რომ დაჩის მეფის დროს "ქალაქსა ტფილისს კაცნი დასხდებოდესო" (გვ.94). ან ქრონისტს აინტერესებს მხოლოდ საეკლესიო ცხოვრების ფაქტები, ამიტომ ის მეფეების მოხსენების გარდა სხვა ამბებზე სრულებით არ ჩერდება. თბილისს გადმოსულნი უნდა ყოფილიყვნენ საკმაოდ ბლომად, და ბევრი მათგანი უნდა ყოფილიყო შეძლებულიც, რომ შესძლეს საკმაოდ მოზრდილი მარიამ წმინდის ეკლესიის აშენება.

ხსენებულ თვითმოქმედ თავისუფალ ან ნახევრად თავისუფალ მოსახლეთა გარდა თბილისში იქნებოდნენ მონებიც. მცხეთაში ცოტა უფრო გვიან შეძლებულ ხელოსანს ევსტათის ჰყავდა მონები (ევსტათი მცხეთელის ცხოვრების ცნობა). ასეთივე მდგომარეობა იქნებოდა თბილისშიც, როდესაც ხელოსანთა შორის საგულისხმებელი არიან შეძლებულნიც.

გარდა ამისა თბილისის გარეთ იყო სახნავ-სათესი მიწებიც. მაგ., ჩრდილოეთ მხარეზე, სადაც მთელ ფართობს სალალაკის ხევიდან ვიდრე საბურთალომდის ჩათვლით თითქოს ვერე ერქვა, ახლოს სალალაკის ხევთან მდებარეობდა კალოებანი, რომელიც XVII-XVIII ს-ნეებში იწოდებოდა გარეთუბნად.

თბილისის მთელი ეს მხარე მამადავითის მთის ძირობიდან ვიდრე მტკვრამდის (სალალაკის ვაკის ჩათვლით) იძლეოდა სამიწათმოქმედო დიდი მეურნეობის გაშლის შესაძლებლობას, რადგანაც ვარგისი მიწა აქ ოთხას ჰექტარამდის აღწევს. ამას ემატებოდა კიდევ მდ. ვერასკენ მდებარე მიწების, აგრეთვე ვაკის და საბურთალოს მიწების სამჯერ და ოთხჯერ მეტი ფართობები.

ასურელ მამათა არქეტიპში, იოანე ზედაზნელის ცხოვრების ტექსტში, რომელიც VII ს-ნის ახლოს უნდა იყოს შედგენილი, ნათქვამია, რომ იოანეს მოწაფეთაგან "ეზდერიოს (მოვიდა) ქალაქსა სამთავისისასა" და აქ დაბინავდა. იოანე ზედაზნელის ვრცელ ცხოვრებაში იმავე სამთავისის შესახებ ნათქვამია: "სანატრელი ეზდერიოს სამთავისისასა ჭალაკსა დაემკვიდრა"-ო. ქალაქი (VI-VII ს-ნეში) IX ს-ნისათვის გადაქცეულა ჭალაკად. ქალაქად მყოფობის დროს სამთავისი, საფიქრებელია, საქალაქო ოლქის სათავეშიც იდგა, მაგრამ აგრარიზაციის შედეგად საქალაქო ცხოვრება შემდეგში აქ სავსებით გაქრა.

უსტანესი (X ს) გადმოგვცემს, რომ ქალ. გაჩიანი, მის დროს უკვე გავერანებული, წინათ, როდესაც ის კარგს მდგომარეობაში იმყოფებოდა "ესაზღვრებოდა განთქმულ და დიდ დედაქალაქს ტფილისს"-ო. გაჩიანი დაშორებული იყო თბილისს 45 კმ-ით ერთმანეთის მესაზღვრედ, როგორც მოხსენებული იყო აქ შეიძლება ყოფილიყვნენ თბილისის და გაჩიანის მხოლოდ ოლქები.

ვახტანგის დროს გაშენებულ იქნა "ეკლესია ნინოწმიდისა უჯარმის კარსა" (ჯუანშერი, გვ.199). ნინოწმიდა დაშორებულია უჯარმის ციხეს 8 კილომეტრით. რაჟდენის ცხოვრებაში მოხსენებულია, რომ ვახტანგ გორგასალმა რაჟდენის სახელზე უჯარმის ციხის ეკლესიის გარდა გააშენა კიდევ "ერთი სხუა ეკლესია მისი ველსა ზედა უჯარმისასა, რომელსაც სამგორობით უკმობენ". სამგორის მხარე უჯარმის ციხეს დაშორებულია 7-12 კილომეტრით (მას 5 კილომეტრზე მეტი სიგრძე აქვს). ცხადია, რომ უჯარმის სახელით ცნობილი იყო თვით ციხე-ქალაქი და ამას გარდა ვრცელი მხარე დაახლოებით 115 კმ სიგრძეზე. საფიქრებელია, რომ ციხე-ქალაქ უჯარმის ოლქში შედიოდა აგრეთვე კუხეთის ნაწილი გარეჯის უდაბნოს სახით.

პროკოპი კესარიელი იხსენიებს ეგრისში (ლაზიკაში) მნიშვნელოვან ქალაქ — პუნქტს ვარდციხეს (ბერძნულად როდოპოლისს), სადაც ეკთეზისების მიხედვით ეპისკოპოსიც იჯდა. ვარდციხის მიმდგომ (აღმოსავლეთით) მხარეს ეწოდებოდა აჯამეთის, რომელიც აღწევდა ასლანდელ ზესტაფონამდის, სადაც ამის გადანარჩომად არის მდინარის სახელი აჯამური (მდინარე ყვირილას შენაკადი სამხრეთიდან). ვარდციხე-აჯამეთის მხარე შემდგომ საუკუნეებში, ფეოდალურ ხანაში შეადგენდა მეფის კუთვნილებას, ეი. სახელმწიფო საკუთრებას. სიგრძით მდინარე რიონიდან აღმოსავლეთით ის უნდა ყოფილიყო სულ ცოტა 20 კმ.

როგორც ამ დროინდელი ქალაქების შესახებ ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, ქალაქების სახე ქართლის სახელმწიფოში იცვლება. რასაკვირველია, ამ ქალაქებს აქვთ ციხე სიმაგრე, ისინი ასრულებენ მოსახლეობის თავდაცვის საქმეში მნიშვნელოვან როლს. ეს ქალაქები წარმოადგენენ ვაჭრობა-ხელოსნობის პუნქტებსაც (განსაკუთრებით ეს ითქმის თბილისის შესახებ). მაგრამ ქალაქებს უკვე ეტყობა მიწათმოქმედებისაკენ შედარებით წინანდელ ხანასთან მეტი გადახრა. ხდება, მაშასადამე, საქალაქო ცხოვრების ერთგვარი აგრარიზაცია.[15]

ქართლის სამეფოს წამყვანი ნაწილები, სადაც ეს შესაძლებელი იყო დაყოფილი იქნენ საქალაქო ოლქებად (სხვაგან, ჩანს, დატოვებული იქნა ხევების ერთეულები). ვახტანგის დროს უჯარმის კარის (უბნის) არსებობა ათარიღებს ამ რეფორმის შემოღებასაც 460-იანი წლებით.

ამგვარად ვახტანგის მართებლობის დასაწყისშივე სხვა რეფორმებთან ერთად გატარებულ იქნა საქალაქო ოლქების ჩამოყალიბების რეფორმა. ჯუანშერმა იცოდა ეს და ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ვახტანგის მართებლობის დასაწყისშივე (თუმცა არა მთლად ზუსტად) სამეფო რჩევაში მონაწილედ იხსენიებს "ქალაქებს" (გვ.147), ეი. საქალაქო ოლქების უფროსებს. შად. კიდევ მოქც. ქართლისაის ქრონიკის ცნობა, რომ ფარსმან მეფის დროს "სპარსთა მეფობაჲ მცხეთად მოვიდა და შეაშფოთა ქართლი და ქალაქნი"-ო (გვ.94).

102. გლეხი.

სიფსიმეანთა ეპიზოდის ძველ ქართულ თარგმანში წერია: "და ხილვისა მას კეთილისასა მიკრბებოდა სიმრავლე დიდი და მთავართა მათგანნი იგიცა ერთი ერთსა ჰხდებოდა და სრბით მივიდოდეს ხილვად სიკეთისა მისსა და აზნაურნი იგი აღრეულად გლეხითურთ ეტენებოდეს და დასდებდეს ურთიერთსა.[16] სომხურ დედანში გლეხის შესატყვისად არის სიტყვა ამბოხ, რაც მდაბიურ ბრბოს ნიშნავს. ამიტომ ამ ქართულ

---

15. IX საუკუნის შუასთვის X ს-ნის სომეხი ისტორიკოსი თომა არწრუნი წერს შემდეგს: "ზამორის შესუტების შემდეგ და გაზაფხულის მოახლოებისას – დერბის ველზე ოერძნობოდა სამხრეთული ქარი – მიწათმოქმედნი შეედგნენ მზადებას ხენა-თესვისათვის. მონადირეები ემზადებოდნენ სანადირად წასასვლელად. ეკპარნი ინყებდნენ ფიქრს შორ მოგზაურობაზე. მწყემსებმა იწყეს ცხვრის თავისი ფარების შეგროვება ბალახიან ველებზე გასარეკად. ყველა საერთოდ ცდილობდა თავისი საქმისათვის მოეკიდა ხელი".

16. სეკანაშია, შრომები, I, გვ. 162, შენ.

ტექსტში რომელიც V ს-ნის პირველ ნახევარზე გვიანდელი არ უნდა იყოს (ამ ტექსტის ამომწერი ილ.აბულაძე თვით ნაწარმოების ქართულ თარგმანს VIII-X ს-ნით ათარიღებდა), გლეხი ნიშნავს მდაბიურთა მასას. აღსანიშნავია სოციალური დიფერენციაციის თვალსაზრისით ამ ციტატაში მთავარნი, აზნაურნი და გლეხი.

დაბადების ქართული თარგმანის II ვერსიის (V ს-ნის დასაწყ.) მიხედვით ბერძნ. πεωχός (საწყალი, მათხოვარი, ყოვლად ღარიბი) გადათარგმნილია სიტყვებით მკოდოვანი (გამოსვ., 30, 15; 1 მეფ., 18, 23), გლახაკი და გლეხი; ყველა ეს ტერმინი ერთმანეთის ფარდია (ებრაულიდან გადათარგმნილ უფრო ძველ ტექსტში ამის შესატყვისად ხმარებულია სიტყვა მდაბალი). სიტყვა გლეხი ზოგ ადგილას (სიბრძ. სოლ., 18, 11, ომკის ვარ.) უდრის ბერძნულ δίπειτις — მდაბიო.

ვახტანგ გორგასალის დროს, როგორც ჩანს, საერთოდ ძლიერდებოდა წვრილი მეურნეობის მიმდევარი მიწათმოქმედი ფენა. ამ მეურნეს აქვს "ადგილი მცირე", როგორც იყო მაგ., ძარღუას სოფელი (სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში).[17] მსოფლიონთ ჰყავდათ უფალიც.

---

17 სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დაწერის ხანის მისი პირველი გამომცემელი მ. ჯანაშვილი 1909 წელს გარკვეულად არ უჩვენებდა და ამბობდა, რომ თვით "ზარზმა და მის გარშემო ნაშენობა (ზანაკი, ჩორჩანი) თუ VII-VIII ს-ნის ნაშთნი არ არიან. მათ ნანგრევებზე აღმოცენებულნი უნდა იყუნენ". გამოდის, რომ მ. ჯანაშვილი ამ ნაწარმოების დაწერას VIII ს-ნეში ან ამის შემდეგ დაწერილად სთვლიდა (ქართ. მწერლობა, 1909, გვ.III); ივ. ჯავახიშვილი (ქართ. საისტორიო მწერლობა, ტფ., 1916) სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას XI ს-ნის ნახევრის დამლევს მიაკუთვნებდა. ე. თაყაიშვილი ამავე საკითხისათვის 1919 წელს თარიღად დასდებდა X ს-ნის პირველ მეოთხედს, ხოლო კ. კეკელიძე დაწყებული 1924 წლიდან (ბეერგან) თითქმის იმავე აზრის გამოდიოდა.

1923 წლიდან ამ ნაწარმოებს ვთვლიდი VII ს-ნისად (საისტორიო ძიებანი, 1924, გვ. 54; Из социально-экономических вопросов средневековой Грузии, 1930, ანაბეჭდის გვ. 108, სადაც ნათქვამია, რომ ამ ნაწარმოებში ასახულია 560-580 წლების ამბები. შად. ჩემიე Краткий обзор истории Грузии, Сухуми, 1941, стр. 15), თუმცა ფაქტების ქარგა ნაწარმოებში VI-VII ს-ნის მოჯნას ეკუთვნისო.

ა. ინგოროყვა 1934 წ. (მნათობი, N 9, გვ. 125) სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას მიაკუთვნებდა IX ს-ნეს. შემდეგ კი 1950 წ. (მნათობი, N 7, გვ. 138-151) და 1955 წელს წიგნში "ეიორგი მერჩულე" (ჩემი აზრის თანახმად, მაგრამ ამის მოუხსენებლივ) VII ს-ნეს.

სერაპიონ ზარზმელი იყო მიქელ პარეხელის სულიერი მოწაფე, ხოლო მიქელი ჯერ ვახტანგ გორგასალის დროს დაარსებული ოპიზის მონასტერში იყო ბერად, ხოლო შემდეგ ის დაემოწაფა შიო მღვიმელს (ალბათ 510 წლის ახლოს) და, როგორც

ეტყობა, მისი გაელენით შექმნა მან კლარჯეთში მცირე მონასტერი პარეხში. სერაპიონ ზარზმელი კი მიქელ პარეხელის მოწაფე იყო. საფიქრებელია 525-530 წლების ახლოს. გიორგი ჩორჩანელი გარდაიცვალა 540 წლის ახლოს, რის შემდეგ გიორგი შუარტველი გახდა მაწყვერელად (აწყურის ეპისკოპოსად). აწყურის ეპისკოპოსი დამახინჯებულად ადასელის სახელით თითქოს მოხსენებულია სომეხთა ბაბგენ და ქართლის გამრიელ კათალიკოსების დროს მოშხდარ ქართული საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის.

ზარზმის მონასტერი დაარსებულია სერაპიონის მიერ 530 წლის ახლო დროიდან გიორგი ჩორჩანელის დახმარებით. ხოლო როდესაც ბასილი თავისი ბიძის სერაპიონის ცხოვრებას წერდა, ახლად დაარსებული მონასტრისათვის 530 წლის ახლოს მიწების ჩამბარებელი კაცი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამიტომ სერაპიონის ცხოვრება ბასილის მიერ დაწერილი უნდა იყოს 560-565 წლების ახლოს. ამ ნაწარმოებში მოხსენებული ფაქტები მიეკუთვნება VI ს-ნის მეორე მეოთხედს.

როგორც თავის დროზე კ. კეკელიძემ (ძველი ქართ. მწერლობის ისტორია, 1951, I, გვ. 512) აღნიშნა ბასილის ნაწარმოები შემდეგში უცნობი მეტაფრასტის მიერ შესებულ იქნა, მაგრამ ისე, რომ პირვანდელი ტექსტის მოცულობა კარგად არკვევა. სერაპიონ ზარზმელის ამ გავრცობილი ცხოვრების ტექსტში მოხსენებულია გრიგოლ აკრაკანტელის ცხოვრება, რომელიც ბერძნულად დაწერილი იყო 688 წელს. ქართველი ავტორი შეძლება ამ ნაწარმოებს გასცნობოდა მხოლოდ VIII ს-ნში და ამ საუკუნეში (უფრო შუასა და მეორე ნახევარში) უნდა იყოს სამოლოოდ ჩამოყალიბებული სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების არსებული ტექსტი.

თვით სერაპიონ ზარზმელის ბიოგრაფიის ფაქტები სათანადო დაკვირვების მიხედვით ისახება შემდეგნაირად. ათასამეტი სირიელნი მამანი , რომელთა შორის ქართველებიც იყვნენ, ჩამოვიდნენ ქართლის მოქცევიდან მეორასე წელს, მაშასადამე 505 წელს. მათ შორის იყო შიო მღვიმელი, რომელიც მანამდის ოცი წელიწადი შუა მდინარეთში მოღვაწეობდა. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ წელთა რაოდენობამე მან დაიწყო დაუფლებით ცხოვრება. მაშასადამე, მის მიერ დაარსებული მღვიმის მონასტერში ის სხვებთან ერთად მხოლოდ რამოდენიმე წელიწადი იყო. ხოლო ამის შემდეგ ის ჩაჯდა ბნელ მღვიმეში, სადაც დაყო სიკვდილამდის 43 წელი. 505 წელს ქართლში მოსულისას ის იქნებოდა დაახლოებით 35 წლისა. ქართლში თავის მასწავლებელ იოანე ზედაზნელთან და შემდეგ მღვიმის მონასტერში ის იქნებოდა 505-510 წლების ახლოს. დაუფლებით აქ მან დაყო დაახლ. 5 წელი (510-515 წწ.), ხოლო ბნელ მღვიმეში 43 წელი (515-558 წწ. ახლოს), გარდაცვლილია ის 558 წლის ახლოს დაახლ. 85 წლის.

მიქელ პარეხელი შეძლება ოპიზის მონასტრიდან, სადაც ის მანამდის მოღვაწეობდა, შიო მღვიმელთან მოსულიყო 508 წლის ახლოს. ამ მიქელმა დააფუძნა პარეხის მონასტერი 510 წლის ახლოს, სანამდის შიო დაუფლებულად დადგებოდა. სერაპიონი შეძლება მიქელ პარეხელთან მისულიყო და მის მოწაფედ დამდგარიყო 525 წლის ახლოს. 530 წლის ახლოს სერაპიონი აფუძნებს ზარზმის მონასტერს. გიორგი შუარტველი (მომავალი მაწყვერელი) და სერაპიონი შეხვდნენ ერთმანეთს მიქელ პარეხელთან 535 წლის ახლოს.

ხსენებულ ძარღუას სოფელ კაცს მისი უფალი (თემის უფროსი) არ უშვებდა მონასტერში შესასვლელად, რადგან ის კაცი გამოსაყენებელი ყოფილა სხვადასხვა ადგილებში გასაგზავნად. ამ მკვიდრს ჰქონდა თავისი კარგი ქონება და თავისი დანაზოგი ოქრო. რომელიც მან მოახმარა ზარზმის ეკლესიის აშენებას (ეკლესიის შენობის მოზრდილი ნაწილი ამ მკვიდრის დანაზოგ ოქროთი აშენდა). სერაპიონის მამა კეპარიანე კლარჯეთში ცხოვრობდა შრომით და მიწის დამუშავებით და თავისთან ინახავდა რამდენიმე გლახაკს. მაშასადამე, კარგ მკვიდრს შეეძლო გლახაკი თავის მამულში მოეწყო ცალკე კარმიდამოთი და მიწის გამოყოფით მიეცა მისთვის შრომის შესაძლებლობა.

საერთოდ სოფლების მკვიდრთაგან განსხვავდებოდნენ გლეხნი. ფავნელთა მიერ IX ს-ნის მეორე ნახევარში შიო მღვიმის მონასტრისადმი ქართლში მიყიდული ოთხი (პატარა) სოფლის გვერდით ცალკე მოხსენებულია ორი გლეხი, რომლებიც ცხადია ხსენებული სოფლების მკვიდრთა ჯგუფს არ მიეკუთვნებიან და ისინი მეპატრონისაგან მეტ და უფრო მწვავე დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ.

სერაპიონის მამის ხელქვეთ. გლახაკი ასეთი გლეხი უნდა ყოფილიყო. გლახაკ-გლეხის მდგომარეობა ჩვეულებრივსა და ღარიბ მკვიდრზედაც უარესი იყო, რადგანაც ის ნაკლებ თავისუფალი იყო.

ვახტანგ გორგასალის დროს უკვე ჩნდებიან ასეთი გლეხები, თუმცა ისინი არა თუ ამ დროს, არამედ IX ს-ნეშიც მცირე რიცხოვნად არიან საგულისხმებელნი. ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ როდესაც

მთავარი გიორგი ჩარჩანელი გარდაიცვალა 543 წლის ახლოს და 543 წლის ახლო დროიდან გიორგი შუარტელელი უკვე მაწყურელი ეპისკოპოსია. ამის შემდეგ მიიცვალა სერაპიონიც (550 წლის ახლოს). მისი სიკვდილის შემდეგ არც სულ მალე შეუდგნენ ზარზმის სამონასტრო ეკლესიის აშენებას 565 წლის ახლო და დაამთავრეს ის 580 წლის ახლოს.

ამ ხნის განმავლობაში სერაპიონის შემდეგ ზარზმის მონასტრის წინამძღვრები იყვნენ გიორგი, მიქელ და პავლე. ზარზმის ეკლესია შენდებოდა მიქელის და პავლეს მამობაში (წინამძღვრობაში) 565-580 წლების ახლოს. ამის შემდეგ 580-585 წლების ახლოს სერაპიონის ძმისწულმა ბასილმა დაწერა სერაპიონის ცხოვრება, რომელიც ამგვარად VI ს-ნის უკანასკნელი მეოთხედის ნაწარმოებად წარმოგვიდგება.

უკვე ბასილის შემდეგ. მაგრამ გიორგი მაწყურელის მომსწრე პირმა (მაშასადამე, დაახლ. VII ს-ნის დასაწყისში) მოუმატა ტექსტს ბოლოში ბასილისავე თხრობა სერაპიონის ნეშტისათვის ღარნაკის შემზადების შესახებ და სერაპიონის შესხმა. დაახლ. VIII ს-ნეში უნდა იყოს უცნობი პირის მიერ ჩამატებული გლოსა მოწამეთა ხარამპი და გრიგოლ აკრაკანტელის მოხსენიებით.

სპარსელებმა მათ ჯარში ვახტანგის მყოფობის დროს დაიპყრეს გურგანი, ივივე ჯორჯანეთი, იქიდან წამოყვანილი ტყვეები გახადეს თავიანთ მებეგრე გლეხებადო (გვ.187), ეი. ჯუანშერის გაგებით შეპყრობილი ჯორჯანელები მონებად კი არ გადაუქცევიათ, არამედ გლეხებად.

ამიან მარცელინს ნაამბობი აქვს (XIX, 6), რომ სპარსელები წაყვანილ ტყვეებს უკან ხელებგაკრულს ყიდდნენ მონებად ანდა მათ ასახლებდნენ ცარიელ ადგილებზე მიწათმოქმედებად.[18] ამ შედარებიდან ჩანს, რომ ჯუანშერის გლეხი უნდა გაგებულ იქნას როგორც მიწათმოქმედი.

ვახტანგ გორგასალის მართებლობა თავისი რეფორმით ხელს უწყობდა სოფლებად გაერთიანებული მიწათმოქმედი მოსახლეობის მიერ თავისი დამოუკიდებლობის ასე თუ ისე ნაწილობრივ მაინც შენარჩუნებას. ის ხელს უწყობდა აგრეთვე მონებს (პიროვნულად სხვის საკუთრებად მყოფთ) და გლეხებს (თავდაპირველად თავისუფალ, მაგრამ არაფრის მქონე პირთ) მოეწყოთ საკუთარი მეურნეობა მიწათმფლობელთა დახმარებით და სამაგიეროდ მათ სასარგებლოდ გარკვეულ ბეგრითი ვალდებულებათა აღებით და სხვის დამოკიდებულებაში მოქცევით.

მომავალში აზნაურთა წოდება — კლასი ცდილობდა სახელმწიფო ძალაზე დაყრდნობით დაეძლია სოფლებად გაერთიანებული მოსახლეობის წინააღმდეგობა და მსოფლიონები თანდათან გადაექცია გლეხებად. ეს პროცესი დამთავრდა XI ს-ნეში ლიპარიტეთთა მეთაურობით მონარქიასთან წარმოებული ბრძოლის დამარცხებით, რომლის შემდეგ წამყვან ადგილებში მოხდა გლეხური მდგომარეობის გაერცელება ყველა დამორჩილებულ წვრილ მიწათმოქმედ ელემენტებზე.

103. ბატონური და სამხედრო წოდებანი.

ეღიშე აღნიშნავს, რომ სომხეთში ნახარარებს ჰქონდათ "სამკვიდრო, ნაწყალობევი და კეთილ შეძენილი" (ეი. ნასყიდი) მამულები. სპარსეთის მეფე იეზდიგერდ II-მ, ეღიშეს სიტყვით, პატიმრობიდან განთავისუფლებულ და თავიანთ უფლებებში აღდგენილ ნახარარებს დაუბრუნა ჩამორთმეული ქონება სამკვიდრო, ნაწყალობევი და კეთილ-

---

[18]. ამ შინაარსით მოსაყვანი სათანადო ადგილი ამიან მარცელინიდან ა. ხრისტენზენს (L'Iran sous les Sassanides, p 213) ამ ნაწილის ლათინური დედნის გამოცემა თბილისის წიგნისაცავებში არაა.

შეძენილი (ეი. ნასყიდი მიწები). ანალოგიური მდგომარეობა საგულისხმებელია ქართველებშიც და ქართველ აზნაურთ განსაკუთრებით დიდ აზნაურთ ექნებოდათ მემკვიდრეობითი მიწები, ნაწყალობევი (ეი. პიროობით მიცემულნი რაიმე მოვალეობის შესასრულებლად) და ნასყიდი მიწებიც.

მამასახლისების ინსტიტუტის გაუქმება შედიოდა აზნაურთა ინტერესებში. ამის შემდეგ აზნაურთა გვარეულობათა ცალკე შტოები თუ ოჯახები დაეუფლნენ თავის საგვარეულო ცალკე სოფლებს და მხარეებს. თვითონ ისინიც ამიერიდან იწოდებოდნენ თავიანთი სამფლობელო სოფლების სახელების მიხედვით. ასე დაახლ. VI ს-ნის ნახევარში მაწყვერელად (აწყურის ეპისკოპოსად) იხსენიება გიორგი შუარტყელელი ანუ სოფ. შუარტყელელის მფლობელი სააზნაურო გვარის წევრი (სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება). შემდგომ ხანებში კი შიდა ქართლში დადასტურებულია გვარი კორინთელი (სოფ. კორინთის მფლობელი), ფავნელი (ფავნისის პატრონი), ტბელი (სოფ. ტბეთის პატრონი) და სხვა. სამცხეში დადასტურებულია გიორგი ჩორჩანელი სოფელ ჩორჩანის მფლობელი. როგორც ჩანს ამ ახალ სახელწოდებას ატარებდა შესატყვისი სააზნაურო გვარის ყველა წევრი. ამგვარად საფუძველი ჩაეყარა აზნაურთა ახალ გვარეულობათ, რომელთაგან ზოგი იყო მეტის შემძლე და ამიტომ იწოდებოდნენ კიდევ "დიდ აზნაურებად", ანუ მთავრებად, ხოლო სხვანი კიდევ ჩვეულებრივ აზნაურებად.

აზნაურთა გვარების დაკავშირება გარკვეულ ამა თუ იმ სოფლის სახელთან მაჩვენებელია იმისა, რომ ეს სოფელი დამტკიცებულია ამ სააზნაურო ოჯახის კუთვნილებად. ამის მიხედვით მამასახლისთა უფლების ლიკვიდაცია დაკავშირებულად ჩანს ქართლის შინაგანი ცხოვრებისათვის მეტად მნიშვნელოვან რეფორმასთან. სახელდობრ, მთავარ აზნაურთა განშტოებათ თუ ცალკე ოჯახებს მიეცათ ცალკეული სოფლები ანუ წვრილი თემობრივი ერთეულები სამფლობელოდ.

ვახტანგი ამასთანავე ცდილობდა აზნაურთა წოდების შევსებას თავისი ერთგული პირებით. ის, ჯუანშერის სიტყვით, ხელს უწყობდა თავის მსახურთა (ეი. მის სამსახურში დაწინაურებულ პირთა) გადაქცევას "წარჩინებულებად".

ამგვარად ვახტანგის დროიდან ჩამოყალიბდა მსხვილ აზნაურთა კლასი. აზნაურნი გაერთიანებული იყვნენ ცალცალკე გვარეულობაში, რომელთა სათავეში იდგნენ წარჩინებულნი ანუ მთავარნი. სომხეთის მაგალითის მიხედვით საფიქრებელია, რომ წარჩინებულნი ანუ მთავარნი

ინიშნებოდნენ იმავე გვარის აზნაურთაგან უმეტესად მეფის მიერ. ყველა შემთხვევაში სამეფო ძალაუფლება დაინტერესებული იყო აზნაურთა გვარების უფროსების ამორჩევაში აქტიურად ჩარეულიყო.

მთელი ამ თავისი რეფორმით ვახტანგის მართებლობა აღწევდა თემობრივი ერთეულების და ხევების დამოუკიდებლობის რადიკალურად შეზღუდვას და სახელმწიფო ძალაუფლებისათვის თემებისა და ხევების შინაგან ცხოვრებაში ორგანიზებულად ჩარევას.

ხსენებულ რეფორმასთან დაკავშირებით საყურადღებოა საკითხი სეფე-წულების შესახებ.

IV ს-ნეში და V ს-ნის პირველ ნახევარში სახელმწიფო მმართველობაში სეფეწულნი თავისი სოციალური მდგომარეობით პრივილეგიის მქონენი არ იყვნენ. ისინი საგულისხმებელი არიან საერთოდ წარჩინებულთა შორის.

ვახტანგ გორგასალის დროს (როგორც ჩანს 460-იანი წლების ახლოს) სეფეწულთა შემადგენლობა შევსებული იქნა ფარნავაზიანთა გვარეულობის წევრთა გარდა სხვა სამეფო წარმოშობის გვარებით.

გლეხური მეურნეობის თანდათან გაჩენასთან ერთად იზრდება მიწათმფლობელთა მიდრეკილება თემების და თავისუფალი მიწის მუშაკთა თავის მფლობელობის ქვეშ მოქცევისაკენ ეს მიდრეკილება და ამავე დროს მიწის მუშაკთა ბრძოლა თავისუფლების შესანარჩუნებლად საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში.

სერაპიონი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია, როდესაც ის სამონასტრო მოღვაწეობით გატაცებული, შორდება თავის მასწავლებელს მიქელ პარეხელს და თავის ორ მოწაფესთან ერთად მიდის კლარჯეთიდან სამცხეში. აქ სერაპიონი ეძებს ადგილს მონასტრის დასაფუძნებლად. მოსახლენი ხვდებიან მას მეტად მტრულად. ბოლოს სერაპიონი დადგა ერთ ტყეში, სადაც მან და მისმა თანმხლე პირებმა დაანთეს ცეცხლი. ამ დროს იმ ადგილებში ნადირობდა ადგილობრივი მიდამოების მთავარი გიორგი ჩორჩანელი, რომელსაც ეკუთვნოდა სოფელი ჩორჩანი და ზანავი. სასახლეც მისი იყო ჩორჩანში და ზანავში. ჩორჩანელმა და მისმა თანმხლე პირებმა, რომლებიც მოხსენებული არიან "ცხოვრება"-ში როგორც მისი მონები, დაინახეს კვამლი ტყეში. როდესაც გიორგიმ გაიგო, რომ ისინი არიან მონასტრის დასაფუძნებლად მოსული პირები, მიიღო ძლიერ კარგად და დაჰპირდა მათ ყოველგვარ დახმარებას ეკლესიის ასაშენებლად. გიორგი ჩორჩანელმა

განუცხადა სერაპიონს, რომ ის აძლევს ამ მონასტერს მიწას, რამდენსაც ის, ეი. სერაპიონი და მისი მოწაფეები შემოუვლიან ერთი დღის სიგრძეზე. გიორგიმ თან გაატანა მას თავისი კაცი, რომლის თანხლებით სერაპიონი დილით ადრე იწყებს სვლას. მათ ამ სვლის დროს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ მთელ რიგ მოსახლეებს და საინტერესოა, რომ ეს მოსახლეები ხვდებიან სერაპიონს და ჩორჩანელის კაცს დიდი წინააღმდეგობით. იყო შემთხვევა, რომ ქვებით და კეტებით გამოეკიდნენ მათ. ამ პირებს "ცხოვრების" ავტორი უწოდებს უღვთოს, მხეცებს და ლანძღავს მათ ყოველგვარი სიტყვებით. ბოლოს ერთი კაცი შეხვდა მათ ღვთისნიერი, რომელმაც შესთავაზა მათ პური და ყველი და რამოდენიმე მანძილზე გაჰყვა კიდეც მათ.

სერაპიონ ზარზმელის "ცხოვრების" მიხედვით გიორგი ჩორჩანელს, რომელიც არის მთავარი, არა აქვს ბატონური უფლებები იმ მიწის მიმართ, რომელსაც ის თავის საკუთრებად სთვლის. მის მიერ გაგზავნილ კაცებს ადგილობრივი მოსახლეები ერეკებიან ქვებით და კეტებით. მაშასადამე მსხვილ მფლობელს სამცხეში ჯერ კიდევ სჭირდება დიდი ბრძოლის წარმოება, რომ დაეუფლოს იმ მიწას, რომელსაც ის თავის საკუთრებად სთვლის. გიორგი ჩორჩანელი ჯერ არ არის ფეოდალი, რადგანაც მას ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული სუვერენული უფლება იმ მიწის მიმართ, რომელიც მას მიკუთვნებული აქვს სახელმწიფოს მიერ. ამიტომაც გიორგი ჩორჩანელი იჩენს ასეთ გულუხვობას და აძლევს სერაპიონ ზარზმელს დიდ ფართობს იმ იმედით, რომ თუ მონასტერი დაარსდა, ეს მონასტერი, რასაკვირველია, იქნება, როგორც მის სამფლობელოში მყოფი მისივე ხელქვეითი. ჩორჩანელი ამგვარად ცდილობს რელიგიის ავტორიტეტით განახორციელოს მიწაზე საკუთრების ის უფლება, რომელიც მას თავისი ძალით ვერ მოუხერხებია.

მხოლოდ გვიან შემდეგში აზნაურთა წოდებამ შესძლო შედარებით ადვილად მთელი ქართული მიწათმოქმედური მოსახლეობის გლეხებად გამოცხადება მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა გადიდებით და საერთოდ მისი მდგომარეობის გაუარესებით, როგორც ეკონომიურად, ისე იურიდიულად. ეს იყო მაშინ უკვე ფეოდალური წყობილების კიდევ ერთი გამარჯვების და ამ წყობილების უმაღლეს საფეხურზე ასვლის ხანა.

საერთოდ მიწათმფლობელნი თავისი მიზნებისათვის იყენებდნენ ქრისტიანულ რელიგიას. ძველ ქართულში ჩვეულად იყო გარკვეულ ადგილებსა და სოფლებში ჯვრის ამართვა. მოწევნილია ასეთი ჯვრების

რამოდენიმე კვარცხლბეკი წარწერით, ზოგ შემთხვევაში ქანდაკებითაც. ჯვრები უფრო V-VI ს-ნეს მიეკუთვნება. საფიქრებელია, რომ ეს ჯვრები მოასწავებენ მფლობელთა მიერ თავისუფალი სათემო მიწების ანდა საძოვრების მიმართ შეტევის დაწყებას ამ მიწებზე ჯვარის და საერთოდ რელიგიის სახელით უპირატესობის მოპოვების მიზნით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დასახლებულ ადგილებში თვით თემების თანდათან თავისგან ეკონომიურ და შემდეგ აგრეთვე იურიდიულ დამოკიდებულებაში მოქცევა. ასეთი ხასიათისაა სამცხეში სოფ. წყისეში წინათ მყოფი ქვის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა (კვარცხლბეკი ახლა საქართვ. მუზეუმშია დაცული 461-464 წლებისა): "ესე ჯუარი ქრისტ(ℳ)სი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღმართე სახელისა მცხეთისა ჯუარისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა მაპრმანსა: ა(=1): სალოცველად ჩვენდა, ცოლისა და შვილთა, ნოემბერსა იზ (=17), ა (მენ)".[19]

---

19. წყისეს წარწერის თარიღი გაანგარიშებულია სელევკიანთა ერის მიხედვით. თვის სახელი მაპრამანი შუასპარსულია. ხოლო შუასპარსული კალენდარით წელიწადი მოიცავდა 365 დღეს, რომელთაც ოთხი წლის შემდეგ მიემატებოდა ერთი დღე (ეწ. ეპაგომენი). იულიუსის კალენდართან შედარებით წელიწადის შუასპარსული კალენდრით მაინც აკლდებოდა 1/4 დღე. რის გამო იულიუსის კალენდართან გასასწორებლად 120 წელიწადის შემდეგ მას ემატებოდა ერთი თვე. ამგვარად, 120 შუასპარსული წელი უდრიდა ბერძნულ-რომაულ (იულიუსის) კალენდრის 120-საე წელს. მაშასადამე, 120 წელიწადში ერთხელ შუასპარსული კალენდარი თვეების თანრიგით უსწორდებოდა იულიუსის კალენდარს. შუასპარსული თვეების თანრიგი იყო ასეთი: ფრავარტინ, არტავაზმატ, ტირ, ამურტ, მაპრეან, მითრე, ანაპი, ატურ, დადე, ეპეომან, სანდარმატ. ამ თვეებს შეესატყვებოდა შუასპარსული კალენდრიდან წარმოშდგარი სომხური კალენდრის შემდეგი თვეები: ნავასარდ, ჰორ, საპმ, ტრე, ქალოც, არაწ, მეჯეკან, არეგ, ახეკან, მარერ, მარგაც, ჰრო�c. ქალოc, როგორც შუშანიკის ცხოვრების სომხური ვერსიიდან ჩანს, უდრიდა ოქტომბერს, ხოლო მაპრეანი არის ამის მომდევნო თვე. ამიტომაც ბუნებრივია, რომ წყისეს წარწერაში მაპრეანის შესატყვისად ნოემბერია დასახელებული. მაგრამ შუასპარსული კალენდრის მიხედვით შეუძლებელი ხდება 1 მაპრეანის გაიგივება 17 ნოემბერთან, რადგან თუ, მაგ., ასოცობით წელიწადებს მივუმატებთ 411 წლიდან ჩ. ე-მდის (ამ წელიწადს ანგარიშობენ ძველი სასრსული ერის დასაწყისად), მივიღებთ V და VI ს-ნეულისათვის 429 და 549 წლებს, როდესაც უნდა მომხდარიყო ზემოთ თქმულის მიხედვით, ერთი თვის მომატება სასრსული კალენდრის გასასწორებლად. ხოლო ამ გასწორების შემდეგ თუ 1 მაპრეანი მოდიოდა 1 ნოემბერს, ოთხი წლის შემდეგ ის იქნებოდა 31 ოქტომბერს, კიდევ ოთხი წლის შემდეგ – 30 ოქტომბერს და ა. შ. მაშასადამე, ყოველად შეუძლებელია, რომ 1 მაპრეანი როდისმე 120 წლის სიგრძეზე შეხვედრიდა 17 ნოემბერს. აქედან ცხადია, რომ ქართველები V ს-ნეში ხმარობდნენ სასრსულ თვეებს, მაგრამ წელიწადებს ანგარიშობდნენ სელევკი-

წუისეს წარწერა ადასტურებს, რომ მფლობელური ელემენტები (ასეთი იყო ამ წარწერაში მოხსენებული კოსტანტი) ცდილობდნენ თემობრივ ერთეულებზე უპირატესობის მოპოვებას ეკლესიის მეშვეობით. როგორც შემდეგდროინდელ ფაქტებიდან, ისე უფრო კიდევ გადანარჩომთაგან ჩანს, "ნასყიდევი ქვეყანა" ჯვრის იქ ამართვის შემდეგ შეიძლება გადაქცეულიყო ამ ჯვარის კუთვნილებად. თვით სოფელი (თემი) დაკავშირებული იქნებოდა ამ ჯვართან, ხოლო რადგანაც იმავე დროს ჯვარი ამ შემთხვევაში მდებარეობდა კოსტანტის მიერ ნაყიდ მიწაზე, ამით ამ კოსტანტის და მის შთამომავალთ შესაძლებლობა ეძლეოდათ ექსპლუატაცია გაეწიათ ჯვარის სახელით როგორც "ნასყიდევ" ფართობისათვის, ისე აგრეთვე მთელი თემისათვის. ეს ცხადად ჩანს ხევსურეთში ბოლო დრომდის დარჩენილი მიწათმფლობელობის წესებიდან.

ხევსურეთში "თემის მოსახლეობა სათემო მიწაზე იჯდა, რომელიც – ადრეც ეკუთვნოდა უნდა ყოფილიყო როგორც თემის ერთობლიობის განმასაკუთრებელი ჯვარის საკუთრება – ხევსურების მიწაწყალი დაყოფილი იყო ერთის მხრივ სათემო მიწებად, რომელიც თემის მესაქონლეობისა და აგრარული მეურნეობის საფუძველს შეადგენდა და მეორეს მხრივ ჯვარის მიწებად. ამასთანავე, რადგან თემის მთელი ტერიტორიის მესაკუთრედ სათემო ჯვარი ითვლებოდა, თემი როგორც სათემო მიწების მფლობელი, თავისი ჯვარის წინაშე გარკვეულ ვალდებულებას იხდიდა".[20] ჯვარის სათავეში მდგომი ხევისბერი თავისი კრებულით სათემო უქმის გადახდისათვის საჭირო ხარჯების გაღების შემდეგ სარგებლობდა დანარჩენი შემოსავლით და თემის მიმართ გამოდიოდა როგორც მეთაურის როლში მყოფი ექსპლოატატორი.

ასეთივე მიზანი, როგორც ჩანს V ს-ნის უკანასკნელ მეოთხედში ჰქონდა მარზათაფიცს, რომელმაც ამართა ჯვარი გარეჯის უდაბნოში მომავალი ნათლისმცემლის მონასტრის ადგილას. ამ შემთხვევაში

ანთა ერის მიხედვით. სელევკიანთა ერამ კი ფეხი მოიდგა ქართველებში, როგორც ეტყობა, მაშინვე მისი ჩამოყალიბებისთანავე ან მალე ამის შემდეგ. რადგან ქართლი თავდაპირველად სელევკიანთა მონარქიას ემორჩილებოდა (ერათა შესახებ ამ ნაწილში შად. F.Ginzel, Handbuch der mathematischen und technischen Chronologie, I, Lpzg, 1906, ‰. 290 და შემდ.).

20. ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე. X, 1952, გვ. 623-624.

საკითხი იდგა ცხერის ფარებისათვის და სხვა საქონლისათვის საძოვარ ადგილებზე საბალახო გადასახადის დაწესების შესახებ. ამ გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილის თავის კუთვნილებად გამოცხადებით (შემოსავლის ნაწილი ეკვარსაც, ეი. საერთოდ ეკლესიას უნდა მოხმარებოდა).

ეს წარწერა, შესრულებული მგრგლოვანით იკითხება ასე: "ესე ეკოვარი მე, მარზათაფიც (მრზთფიც), ავმართე სალოცველად ჩემდა და ცოლისა და შვილთა".

ეკვარის კუთვნილი მიწების დადგენა საქართველოს ზოგ კუთხეში შეიძლება ტოპონიმიკური მასალების მიხედვით. მაგ. ქვემო რაჭაში სოფ. ჩორეკოში არის ადგილის სახელი საეკვარე, რომელიც მოიცავს ორიოდე ჰექტარს საყანე მიწას.[21]

მფლობელთა შეტევას თემებისა და სათემო მიწების მიმართ ეკვარის სახელის გამოყენებით ადგილი ჰქონდა, საფიქრებელია, ქრისტიანობის შემოსვლიდანვე. მაგრამ განსაკუთრებით ის თავს იჩენს, როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალის დროიდან და მის შემდეგ მონათმფლობელური წყობილების რღვევის პროცესის სიგრძეზე.

მაგრამ იმავე დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნას თუ როგორ მიწებზე ხდებოდა ზემოთ დასახელებული მიზნისათვის ეკვარის ამართვა. წყისეს წარწერაში იგულისხმება, რასაკვირველია, ეკვარისათვის ნაყიდი და შეწირული მიწა-მამული, რომელსაც მეპატრონის ბეგარა არ დაედებოდა (თუ ეს მიწა წინათ ცალკე მეპატრონის იყო), ხოლო უკეთუ კოსტანგინ გამოისყიდა ეს მიწა სახელმწიფოსაგან (მეფისაგან), მაშინ ის თავისუფალი იქნებოდა სახელმწიფო ვალდებულებისაგან. შიო მღვიმის მონასტრის XVI ს-ნის ნახევრის ერთ საბუთში მიწა მამულის გარკვეული ნაკვეთის შესახებ ნათქვამია: "ყოველითურთ უბეგრო არს, მით რომელ ნასყიდი არს". ფეოდალურ ხანაში, მამასადამე, არსებობდა ნასყიდი მიწები ყოველგვარი ბეგარისაგან განთავისუფლებული. რასაკვირველია, აქ იგულისხმება არა ჩვეულებრივად შესრულებული ყიდვა-გაყიდვის მიწები, არამედ როდესაც მიწა თავისი ბეგარა — ვალ-

---

[21]. ეკვარს ხმარობდნენ მიწის მოკლის აღსანიშნავადაც. მიწის მოკლაზე ეკვარს დასობდნენ ქართლში XVIII ს-ნეში (არის ამისი წერილობითი საბუთი 1796 თუ 1797 წელს). ხოლო რაჭაში ასეთი ნიშნისათვის არსებობდა ტერმინი ხელეკვარა. ამიტომ ეკვარის ამართვა V ს-ნეში "ნასყიდევსა მიწასა ზედა" შეიძლება თავდასირველად ნიშნავდეს მიკლის ან ნიშნის დასმას მეპატრონის მიერ ნასყიდ მიწაზე.

დებულებით ნაყიდი იყო მეპატრონისაგან ანდა თავის მეფე — სახელმწიფოსაგან. ამ შემთხვევაში მიწის მთელი ბეგარა-გადასახადი ახალი მეპატრონის სასარგებლოდ მიდიოდა. ეს იყო შეუვალობის დამყარების ერთერთი სახე.

ანალოგიისათვის შეიძლება გასხენებულ იქნას ეგრეთ წოდებულ "ნასყიდ ყმათა" კატეგორია ფეოდალურ ხანაში. ნასყიდი ყმა წარმოადგენდა გლეხთა ყველაზე დაბალ კატეგორიას და თავისი მდგომარეობით უდგებოდა მონას. მას შეიძლება ჰქონოდა ახალი მეპატრონის მიერ მიცემული მიწაც, მაგრამ მათი მდგომარეობა იყო ყოვლად უუფლებო. როგორც უკანასკნელი კატეგორიის გლეხი, ის თითქმის არავითარ ვალდებულებას არ ასრულებდა სახელმწიფოს მიმართ, მთლიანად, მთელი თავისი შეძლებიანობით ის შეადგენდა მეპატრონის კუთვნილებას. ასეთივე მდგომარეობა იყო ნასყიდი მიწის მიმართ, რომელმაც მთლიანად თავისი ბეგარითურთ მყიდველის და მის შემდგომთა საკუთრებას შეადგენდა.

წყისში ჯვარისათვის კოსტანტის მიერ ნაყიდი მიწა ამ ჯვარის მსახურთა სასარგებლოდ იყო შეძენილი და მას არავითარი ბეგარა არ ედო. ეს მიწა იყო შეუვალი. ხოლო შეუვალობა (იმუნიტეტი) დამახასიათებელია ფეოდალური წყობილებისათვის, ამ ხანაში (კი მონათმფლობელობის რღვევის პერიოდში) ის დამახასიათებელი ხდება ფეოდალური წყობისათვის, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებს მონათმფლობელური წყობილების წიაღში, სანამ ფეოდალურ ფორმაციად გადაქცეული, უკვე არსებითად შეცვლის მას.

ყველაფერი ზემოთ მოხსენებულის მიხედვით ცხადია, რომ ვახტანგ გორგასალის დროს მსვილმფლობელ აზნაურთა, ეგრეთ წოდებულ დიდ აზნაურთა ანუ წარჩინებულთა ძალა უფრო და უფრო იზრდებოდა: ისინი ცდილობდნენ თავიანთ სამფლობელო ფართობების გადიდებას, თავისუფალი თემების ასე თუ ისე მოქცევას თავისი იურისდიქციის ქვეშ ისინი მეურნეობაში ემყარებოდნენ მონურ შრომას, მაგრამ მონების გვერდით მათ ხელქვეით იყვნენ თემობრივი ერთეულები მცირე სოფლების სახით, რომელთაც შიგნით სათემო მიწათმფლობელობა ახასიათებდათ. ამათ გარდა მათ ხელქვეით იყვნენ მცირე რაოდენობის გლეხები, რომელნიც გარკვეულ დამოკიდებულებაში მყოფ წვრილ მეურნეთ წარმოადგენდნენ.

დიდაზნაურთაგან და წარჩინებულთაგან განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი აზნაურნი, რომელნიც მეტნაკლებობით მცირე შეძლებისანი იყვნენ.

დიდ აზნაურნი და აზნაურთა მასა შეადგენდა აზნაურთა ანუ თავისუფალთა წოდებას (აზნაური ნიშნავდა საერთოდ თავისუფალსაც).

აზნაურთა წოდებისაგან განსხვავდებოდნენ ეგრეთ წოდებული უაზნონი, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ეგრეთ წოდებული მსოფლისნები — დამოუკიდებელი მიწის მეურნენი.

უაზნოთა დაბლა იდგნენ მონები, რომელთაც მეტწილად არავითარი უფლებები არ ჰქონდათ.

საკარგავების შემოღების შემდეგ მეტი მნიშვნელობა მიეცა ჩვეულებრივ აზნაურთა და, მე მგონია, მსოფლიონებსაც, რომელთაც შეეძლოთ ჯარში ჩაწერილიყვნენ ("განწესებულიყვნენ") და საკარგავის სახით მიეღოთ გარკვეული რენტა, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი საკარგავს შენებულნი და გლეხები ვერ მიიღებდნენ, რადგანაც ესენი თვითონ იყვნენ რენტის მიმცემნი.

რასაკვირველია, მთავარ დასაყრდენ სამხედრო ძალას მართებლობისათვის ეს მოსაკარგავენი წარმოადგენდნენ, რადგანაც ისინი თავისი მდგომარეობით ხელისუფლების ერთგულნი იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაკარგავდნენ თავიანთ რენტას. მაგრამ ხელისუფლების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა საერთოდ მთელი წოდება, ეი. დანარჩენი აზნაურობა, რომელიც თავისი სამკვდრო მამულებით ცხოვრობდა, და აგრეთვე წელმაკარი მსოფლიონების ფენა, რომელსაც შეეძლო საკარგავებით სარგებლობა. მსხვილ მიწათ და მონათმფლობელებს ჰქონდათ სახელმწიფოსაგან პირობით მიცემული ეგრეთ წოდებულ ნაწილობრივი მამულები, რაც მათ აიძულებდათ მეფის ერთგულნი ყოფილიყვნენ. გარდა ამისა მათ ჰქონდათ მეფისაგან "დიდება"-ნიც, ეი. მაღალი თუ საშუალო თანამდებობანი კარზე და ერისთავთა ადგილებიც. ყველაფერი ეს აპირობებდა მჭიდრო ურთიერთობას მეფესა და დიდ აზნაურთა შორის. მაგრამ რადგანაც დიდაზნაურთა ხელში დიდი მატერიალური ძალა იყო, მათ ხელში ბლომად იყვნენ მოსახლეობის ცალკე ჯგუფები. ამიტომ ისინი, შედარებით, მაგ., ჩვეულებრივ აზნაურებთან, მეტი დამოკიდებულნი იყვნენ. ეს ბუნებრივია. ამიტომაც მათ შორის ადგილი ჰქონდა მეფისაგან გადადგომასაც, როგორც ეს მოხდა, მაგ., 484 წელს სპარსელების წამოსვლის დროს ვახტანგ გორგასალის წინააღმდეგ.

104. სოფელი და მისი გამგებლობა.

ამ საკითხის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს იმ ცვალებადობას, რომელიც მოხდა ქართულში ტერმინის სოფლის მიმართ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში უკვე იხსენიება სოფელი, როგორც ჩვეულებრივი ტერმინი წინანდელი დაბანის მნიშვნელობით ცალკე პუნქტის აღსანიშნავად. გიორგი ჩორჩანელმა შესძინა ახლად დაარსებულ ზარზმის მონასტერს "სოფლები" — ზარზმის ეკლესიის შენებულობისათვის 305 დრაჰკანის მიმტანი კაცი "წარვიდა სოფლად თუსად"; ეს კაცი იყო "ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძარღუას სოფელ ეწოდების". VI ს-ნის შუაში, მაშასადამე, უკვე იყო სახელწოდება ძარღუას სოფელი, ეი. ძარღუას დაბანი.

ამგვარად, თუ V ს-ნის პირველ ნახევარში სოფელი ნიშნავდა საერთოდ მიწას, ადგილს, ახლა კი ამ ტერმინმა შესცვალა წინანდელი ტერმინი დაბანი, დაბა.

შემდგომ საუკუნეებში სოფელი ეწოდებოდა მიწათმოქმედ პირთა (გლეხებით) დასახლებულ ისეთ ერთეულს, სადაც ამ მიწათმოქმედთ ჰქონდათ თავისი ინდივიდუალური მეურნეობა (თავისი სამეურნეო ინვენტარი — სახვნელი, ხარ-კამეჩი და სხვ.), ჰქონდათ თავის პირად განკარგულებაში მიწაც, მაგ., საკარმიდამო ანუ ეგრეთ წოდებული "სასახლე" მიწა სახლის და სამეურნეო სხვა შენობათა დასადგმელი ფართობი, აგრეთვე მრავალ-წლოვან კულტურათათვის საჭირო მიწა (ბაღ-ვენახისათვის), მაგრამ მთელი დანარჩენი მიწა (სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვარი, ტყე) ითვლებოდა მთელი სოფლის სათემო კუთვნილებად. ამიტომაც სოფელს ზოგან (მაგ.,იმერეთში, ზოგი საბუთების მიხედვით XVIII ს-ნეშიც) თემადაც იხსენიებდნენ. სასოფლო (სათემო) მიწით სარგებლობის უფლება ჰქონდა ამა თუ იმ სოფლის მხოლოდ მკვიდრთ გარკვეული წესით. ასე იყო შემდეგში და საფიქრელია, რომ ეს წესი თავიდანვე იყო ამა თუ იმ სახით შემუშავებული.

სოფელი, როგორც ეს ტოპონიმიკურ დაკვირვებათაგან ჩანს, წარმოადგენდა შედარებით წინანდელ დაბან-დაბასთან, მოზრდილ ერთეულს. სოფელი კავთისხევი, მაგ., ახლაც მოიცავს დიდ ფართობს და მასში 24-მდის წვრილი ერთეულია უბნების სახელით. საქართველოში საკმაოდ ხშირი იყო ძველი სახელის მქონე სოფლები, რომელთაგან თვითეული 15x10 კილომეტრზე იყო გადაშლილი და საძოვრიანტყიანად და უხმარი მიწით 150 და მეტს კვ.კილომეტრს მოიცავდა.

ალმ. რომის იმპერიაში V ს-ში უკვე იყო საგადასახადო ერთეულად ეგრეთ წოდებული მეტროკომია (μετροχομία). ეს იყო დედასოფელი (როგორც მეტროპოლის — დედა-ქალაქი), რომელზედაც მიწერილი იყო წვრილი სხვადასხვა პუნქტები (ქართულ სინამდვილეში დაბნები, აგარანი და სხვ.). იმპერატორ იუსტინიანეს კოდექსიდან (XI,56) ცნობილია, რომ იმპერატორ ლეონ I-ის ბ̇როს გამოცემული ყოფილა ნოველა, რომლის მიხედვით მეტროკომიის ტერიტორიაზე მცხოვრებთ აკრძალული ჰქონდათ თავიანთი მიწა ამა თუ იმ სახით გაესხვისებიათ, რომელიმე სხვა პირზე, ან იმავე მეტროკომიის მკვიდრზე. ანალოგიურ მდგომარეობას შეიძლება ახლა ჰქონოდა ადგილი ქართულ ქვეყნებშიც, მით უმეტეს, რომ ლეონ I-ის (457-474 წწ.) დროს ვახტანგ გორგასალის მეფობაში ქართლის სამეფო მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა ალმ.რომის იმპერიასთან. .

ამგვარად გაჩნდნენ ახალი გაგების მსოფლიონები, წვრილი მეურნენი, რომელთაც მათ განკარგულებაში მყოფ მიწებზე თავისებური პირობითი საკუთრების უფლება ჰქონდათ.

მიწათმფლობელობა მიწის მუშაკთათვის ამ დროს იყო "სამკვიდრებელი და ნაწილი", ქრისტიანულ ხანაში, საფიქრებელია დასაწყისიდანვე, მიღებული იყო ფორმულა: დაწყევლისათვის: წყეული იყოს ამისი შემცველის "ნაწილი და სამკვიდრებელი"-ო. ნაწილად აქ იგულისხმება წილში სათემო მიწისგან მიღებული სახნავი მიწა, ხოლო სამკვიდრებელი კი არის მისი მკვიდრი სასახლკარო და სხვა ასეთი მიწა (საფიქრებელია ვენახიც). ამასთანავე, რადგანაც ამ ფორმულაში ჯერ ნაწილია მოხსენებული და შემდეგ სამკვიდრებელი, ამიტომ სათემო მიწას ჰქონდა მიწათმოქმედის მეურნეობაში ბევრად მეტი მნიშვნელობა, ვიდრე სამკვიდრებელს, ეი. რაოდენობით ნაწილის მიწა თვალსაჩინოდ ჭარბობდა სამკვიდრებელ მიწას.

სასანიანთა სპარსეთში სოფელი იწოდებოდა deh, ეი. არსებითად ათეულად. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოგონებულ იქნას, რომ, როგორც ეს ქართლის კათოლიკოზთათვის 745 წლის ახლოს ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს (745-751 წწ.) მიერ ადგილობრივად (მცხეთაში) კურთხევის ნებართვის მიცემის შესახებ უწყებულების და ეფრემ მცირის ცნობათა შედარებიდან ჩანს, ქართლში VIII ს-ნეში სოფელი ათ კომლს ითვლიდა. ტერმინი კომლი აქ XI ს-ნის ტერმი-

ნოლოგიით ეფრემ მცირის მიხედვით არის ნახმარი.[22] უნდა იყოს: სახლი. ამის მიხედვით (სხვა მასალის უქონლობის გამო და რადგანაც საგადასახადო ერთეულები საუკუნეების სიგრძეზე იცვლებოდნენ მხოლოდ მძლავრ ცვლილებათა შედეგად) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლში V ს-ნეშიც სოფელი მოიცავდა ათ სახლს. ეს ანგარიში უდგება სპარსული სოფლის შესახებ ზემოთ მოხსენებულ ცნობას და ამით დასტურდება სინამდვილესთან მისი რამოდენადმე მაინც ახლოს ყოფნა.

სპარსეთში ამ ხანაში სოფლის სათავეში იდგა dehigh (ახლანდელ სპარსეთში გამოითქმის — დიჰქია), რაც (თავისუფალ) სოფლის უფროსს (მამასახლისს) ნიშნავდა. დეჰკანი კი იყო სოფლის მფლობელი (ქართულად უფალი). რასაკვირველია, სადაც დეჰიგ-ი იყო, იქ დეჰკანი არ იქნებოდა, ასევე საგულისხმებელია ქართლშიც (საქართველოშიც). შიდა-ქართლში იხსენიება სოფელი (დაბა), რომლის სათავეში დგას უფალი, ეი. მებატონე (სერაპიონ ბარზმელის ცხოვრება). მაგრამ არის სოფელიც (მაგ., ატენი), რომლის სათავეში მამასახლისია (ატენის ჯვარის კვარცხლბეკის წარწერა), ეს მამასახლისი სამეფო, მაშასადამე, უფრო თავისუფალი სოფლის უფროსია.

105. სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტის შესახებ.

დაწყებული ფარნავაზის დროიდან და შემდეგ პირველ საუკუნეებში ჩვ. ე-მდის და ჩვ. ერათი ქართველები სისხლის სამართლის საქმეებისთვის, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობდნენ ებრაელების კანონით. კერძოდ სამართლის საქმეში აღინიშნება, მაგ., შემდეგი ფაქტი. თხრობაში მეფე ბრატმანის შესახებ მატიანეში ნათქვამია, რომ ამ ბრატმანის მამა მეფე ფარნაჯომი მოკლულ იქნა ქართველების მიერ მამაპაპური სარწმუნოებისადმი ღალატის გამო, ხოლო ამისთვის მამები კლავენ თავიანთ შვილებს და ძმები თავიანთ ძმებსო. (გვ.31). ასეთი კანონი, მაშასადამე, ყოფილა ქართველებში, რაც სიტყვა-სიტყვით უდგება ებრაელების კანონს (მეორე სჯულის, 13), რომ სარწმუნოების მოღალატე, თუნდაც ის იყოს ძმა, ვაჟიშვილი, ქალიშვილი ან სხვა ვინმე, უნდა მოკლულ და ჩაქოლილ იქნას ქვებით.

პეტრე ქართლელის ასურული ცხოვრების ავტორი გადმოგვცემს ყოფაცხოვრებისათვის დამახასიათებელ ერთ ცნობას. მოხუცებულ არჩილ

---

[22]. ამის შესახებ ს. კაკაბაძე. საისტორიო მოამბე. I, 1924.

მეფეს წარჩინებულთ ცოლად შერთეს სამეფო (იგულისხმება საერისთავო) წრიდანვე ახალგაზრდა ქალი. არჩილი მაინც თავშეკავებულად განაგრძობდა ცხოვრებას. მან ვაიგო, რომ მისი ცოლი მას ღალატობს. ქალმა დაკითხვისას ეს უარყო, მაგრამ მალე მეფე არჩილმა მართლაც მიასწრო ცოლთან საყვარელს, რომელსაც დასჯის მაგიერ არჩილი ეუბნება: "მიჩუქებია შენთვის შენი სიცოცხლე და შენი სისხლი. აი სამგზავრო და სახარჯო ფული და წარემართე ახლავე და დასტოვე ეს (ჩვენი) ქვეყანა, რათა შენ არ შეგემთხვეს ცუდი დასასრული და შენი სისხლი არ მომეთვალოს მე".[23]

ამ ცნობიდან ქრისადმი ღალატისათვის ცოლს მოელოდა სიკვდილი (ქმარი მოღალატე ცოლის მოკვლისათვის პასუხს არ აგებდა).

მოსამართლეს ერქვა მსაჯული (ლულ. 1258 და სხვ.), მსაჯულის განჩინებათა ამსრულებელს კი — სეფე-კაცი (ბერძნ. πράκτορ — სასამართლოს აღმასრულებელი). თარგმნით ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მოსამართლისათვის იხსენიება მეორე ქართული ტერმინი ბჭე.

106. ახალი სახელმწიფო დროშის შექმნა.

შამქორის ომის აღმწერელი თამარის დროს გადმოგვცემს, რომ ამ ომში დავით სოსლანის, როგორც მეფის, რაზმს, უძღვებოდა "დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესვლითვან მოსპეტაკდებოდა" (ქ. ცხოვრ., II, გვ. 71, 104, 165). ამ ცნობიდან იგულისხმება, რომ თამარის დროს ჯერ კიდევ არსებობდა ძველი სახელმწიფო დროშა გორგასლიანი, ეი. ვახტანგ გორგასლის დროს შემოღებული, რომელიც თეთრი (სპეტაკი თეთრს ნიშნავდა) ფერის იყო. აქ იგულისხმება სხვა ადგილებში სეფე-დროშად წოდებული სახელმწიფო დროშა.

სტეფანოს ორბელიანი XI ს-ნის ამბების თხრობის დროს აღნიშნავს, რომ საქართველოს მეფის დროშა თეთრი ფერის იყო წითელი ნიშანით (ალბათ, წითელი არშიით).

ამგვარად, ვახტანგ გორგასალის დროს დაწესებულ იქნა ახალი სახელმწიფო (სამეფო) დროშა თეთრი ფერისა წითელი ნიშნით. ეს დროშა დაცული იყო XII ს-ნეში და XIII ს-ნის პირველ მეოთხედშიც.

---

[23]. Petrus der Iberez, S 20.

107. მცხეთის ეკლესიის ავტოკეფალიის (თვითთავობის) დაფუძნება.

ქართულ ქვეყნებში ქრისტიანობა ფეხს იკიდებდა II და III ს-ნეებშიც, მაგრამ წამყვანი მნიშვნელობა მან მოიპოვა IV ს-ნის დასაწყისიდან. ქრისტიანობის გავრცელება იყო მონათმფლობელური წყობილების რღვევის და მომავალი ფეოდალური წყობილების ზოგიერთი წარმონაქმნის ფეხმოკიდების მაჩვენებელი. ქრისტიანობა, რომელიც ქადაგებდა ღვთის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობას, პრინციპულად მონათმფლობელობის წინააღმდეგი იყო, თუმცა, როგორც რელიგიური მოძღვრება მალე გადაიქცა ბატონურ წოდებათა კლასობრივ იარაღად.

ქართულ ქვეყანათაგან ქრისტიანობამ ჯერ ფეხი მოიდგა იმ მხარეებში, რომელნიც ამ დროს სომხეთის სამეფოში შედიოდნენ. ესენი იყვნენ ტაო და სპერი და მათი მიმდგამი მხარეები, ეი. მთელი ქართული ქვეყნები კლარჯეთის და ამიერ-ტაოს სამხრეთით. სომხეთში ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა 300-301 წელს და მაშინვე გრიგოლ პართელმა (სპარსეთის პართიიდან წარმოშობილმა სპარსელმა), რომელმაც დააფუძნა ქრისტიანობა სომხეთში, ტაოში ეპისკოპოსად დანიშნა, გრიგოლ პართელისავე ცხოვრების არაბული ვერსიის მიხედვით, ვინმე იბირმსხუა, ეი. მეგრულად იბირისძე (სახელი მისი არაა ცნობილი). ამ ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი იყო იშხანში, იმავე ასპარაშენში (ეს უფრო ძველი სახელი უნდა იყოს, იშხანი კი სომხურად ნიშნავს მთავარს, თავს). ეს უნდა მომხდარიყო 301-302 წელს.

იშხანის, უკეთ ტაოს ეპისკოპოსებმა შემდეგ მიიღეს კათალიკოსის ტიტული. იშხანის კათალიკოსებს ემორჩილებოდა ზემოთ ნაჩვენები სამხრეთი ქართული ქვეყნები. ტაოს კათალიკოსი შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქატის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა.

ტაოს საკათალიკოსო არსებობდა, სანამ ტაოს კათალიკოსი ქართველი ნერსე 640 წელს გახდა სომეხთა კათალიკოსად (მაშინ სომხეთის ნაწილი გადახრილი იყო დიოფიზიტობისაკენ; სომხეთის ისტორიაში ეს ნერსე ცნობილია მშენებელის ეპითეტით). ამის შემდეგ იშხანში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, რომელიც ქართლის კათალიკოსს ემორჩილებოდა და რომელსაც XIII ს-ნეზე ადრე ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა ქართველ ეპისკოპოსთა იერარქიაში.

ჩრდილოეთ ქართულ ქვეყნებში — საკუთრივ ქართლსა და ეგრისშიც — ქრისტიანობის მიერ ფეხის მოკიდება დაკავშირებულია ამ

რელიგიის მქადაგებელი კაპადოკიელი ნინოს სახელთან. 306 წელს ივლისში ნინომ მოაქცია ქართლის მეფე მირიანი ქრისტიანობაზე (სხვების აზრით ეს მოხდა უფრო გვიან) და მალე ქართლის ეკლესიამ შექმნა თავისი მმართველობაც — ქართლის ეკლესიის სათავეში დადგა მთავარეპისკოპოსი, რომელსაც თავისი რეზიდენცია მცხეთაში ჰქონდა. ეს მთავარეპისკოპოსი ემორჩილებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს. ასეთი იყო მდგომარეობა ვიდრე ვახტანგ გორგასალის დრომდის.

მოქც. ქართლისაჲ გადმოგვცემს ვახტანგის მეფობიდან მხოლოდ ერთ ფაქტს, რომელიც ავტორს მიაჩნდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენად. კათალიკოსობის შემოღების დროს "შეფობდა დიდი ვახტანგ გორგასალი და მთავარეპისკოპოსი იყო იოველ. მაშინ წამოიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რამდენისამე ჟამსა მოიქცა და მთავარეპისკოპოსი იყო მიქაელ და მან მიამთხჳა ფერეი პირსა მეფისასა ვახტანგს. ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოსი. ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოსი და თანა ჰყვანდა მას სამოველ მონაზონი წმინდაჲ და ღირსი და აღაშენა ქვემოჲ ეკლესიაჲ (ეი. სვეტი-ცხოველისა) ვახტანგ მეფემან და დასვა პეტრე კათალიკოსი. და ესე იყო ქართლის მოქცევითგან 170 წელს".[24]

---

[24]. მ. ბროსე იძლევა საკმაოდ ნათელ სურათს, თუ რა პირობებში მოხდა ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალობის მიღება: შსოფლიო მეორე (საეკლესიო) კრების, რომელიც შეკდგა კონსტანტინოპოლში 381 წელს, დადგენილებით, ყოველ ეპისკოპოსს აზიის, თრაკიის და პონტოს ეპარქიებში ევალებოდა მხოლოდ თავისი ეპარქიის საქმეების გაძღოლა. რაც შეეხება გარბაროსულ (ე. ი. არაბერძნულ) ქვეყნებში მყოფ ეკლესიებს, ისინი უნდა განგებულ ყოფილიყვნენ წმიდა მაკმების მიერ აღიარებულ ჩვეულებათა თანახმად. ნიკეის (325 წელს) მსოფლიო კრების მე-6 და მე-7 მუხლები აწესებდნენ ოთხ პატრიარქს — რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმისას. მეორე მსოფლიო კრების ერთი მუხლი აღიარებდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს დანარჩენი ოთხის თაეანსწორად და მეორე ადგილის მქონეს რომის შემდეგ. მაგრამ ნიკეის კრების დროს სირია, მესოპოტამია და კილიკია დამოკიდებულ იყვნენ ანტიოქიაზე. ქალკედონის (საეკლესიო) კრების (451 წ.) დადგენილებათა მერვე მუხლის ძალით, ანტიოქიის პატრიარქის მაკმების და იერუსალიმის პატრიარქის ოეეენალის აზრის თანხმად პალესტინის ორი ნაწილი და ბედნიერი არაბეთი გადაეცა ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქციას, ხოლო პალესტინის დანარჩენი სამი ნაწილი დაექვემდებარა იერუსალიმის პატრიარქს. იმავე კრების 28-ე მუხლის ძალით პონტოს, აზიის (იგულისხმება მცირე აზიის დასავლეთი ნაწილი) და თრაკიის ეპარქიები დაემორჩილა კონსტანტინოპოლის პატრიარქს. პონტოს ეპარქიად იგულისხმებოდა შავი ზღვის პირი ვიდრე ტრაპეზონამდე, აზიის ეპარქიად ეფესის წინამხარე, რომელიც თრაკიაზე იყო

ზოგიერთი მოსაზრებით მცხეთის საკათალიკოსოს დაფუძნებას ეკლესიური ხაზით მისი გასაფორმებლად მოუნდა ერთგვარი დრო. საფიქრებელია, რომ ვახტანგი სათანადო თხოვნით ჯერ მიმართავდა ანტიოქიის პატრიარქს, რადგანაც ის ითვლებოდა წინა-აზიის აღმოსავლური ქვეყნების უზენაეს მამამთავრად. მართლაც, მეორე მსოფლიო კრების მეორე კანონის კომენტატორი თეოდორე ვალსამონი წერდა: "თეოპოლის (ე.ი. დიდი ანტიოქიის) უწმიდესი პატრიარქის პატრონ პეტრეს დროს გამოტანილ იქნა კრებითი დადგენილება, რომ ქართული ეკლესია, რომელიც მაშინ ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდა, ყოფილიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი (ავტოკეფალური)".[25] აქ მოხსენებული პეტრე უნდა იყოს ცნობილი მწვალებელი პატრიარქი ანტიოქიისა პეტრე ფულონი, რომელიც პატრიარქად იჯდა 471, 475-478 და 485-488 წლებში.

საფიქრებელია, რომ ანტიოქიაში დადგენილება ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მიცემის შესახებ მიღებულ იქნა 474-475 წლის ახლოს. მაგრამ ალბათ საჭირო შეიქმნა საკითხის შეთანხმება სხვა პატრიარქებთან და უპირველეს ყოვლისა კონსტანტინოპოლის ეკრეთ წოდებულ მსოფლიო პატრიარქთან. შესაძლებელია, იყო საკითხის დადებითად გადაჭრის მიღწევისათვის დაბრკოლებებიც, რის გამო ქართლის ეკლესიის ავტოკეფალობის საბოლოოდ გაფორმება და მისი განხორციელება მოხდა მხოლოდ 475-476 წელს.

ტერმინი კათალიკოსი წარმომდგარია ბერძნული სიტყვიდან კათოლიკოს (καθολικός) — საყოველთაო. კ.კეკელიძეს თავის დროზე აღ-

---

დამოკიდებული და წარმოადგენდა აზიის დასავლეთ ნაწილს, აღმოსავლეთი კი (იგულისხმება მცირე აზიის დასავლეთი ნაწილის აღმოსავლეთი) ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს. ამ ახალი გაუნაწილებით ალანია, რომელიც პონტოს ეპარქიას ემორჩილებოდა დაუბრუნდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს (თეოდ. ბალზამონის საეკლესიო კრებათა კანონები. 1680, პარიზი, გვ. 305-306). ამ სხვადასხვა გადაჯგუფებათა მიხედვით საქართველო უნდა მოხვედრილიყო თრაკიის ანუ კონსტანტინოპოლის ეპარქიაში და ეს იყო კესარ ლეონ II-ის მიერ უბრალო დათმობა, რომ მან მიმავალი ქართლის კათალიკოსი მომავალ ეპისკოპოსებთაე ერთად გაგზავნა ანტიოქიის პატრიარქთაე. რადგანაც კონსტანტინე დიდის მიერ მღვდლების გაგზავნა ქართლში (იბერიაში), როდესაც კონსტანტინოპოლის ეკლესიას არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო ახალი ქრისტიანული ქვეყნის წარმოჩენის საქმეში, მიჩნეულ იქნა როგორც თავისებური "უკანონო" გადახვევა", (Hist. de la Géorgie, I, 1849. ჯ. 192, ნ.1).

[25]. იქვე. გვ. 192-193, შენ. 2.

ნიშნული ჰქონდა,[26] რომ ტერმინი კათალიკოსი ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში თავიდანვე იხმარებოდა ბერძნული მიტროპოლიტის ფარდად. ბერძნული ἐπίσκοςμετροπόλεως ანდა μητροπολίτης (ეი. სიტყვა-სიტყვით დედაქალაქის მეთვალყურე, მიტროპოლიტი) იყო საეკლესიო მეთაური გარკვეული მხარეების დედა-ქალაქებში. აქედან კათალიკოსი ნიშნავდა საზოგადო, ყველას მიერ აღიარებულ მთავარეპისკოპოსს გარკვეულ საეკლესიო ოლქში, იყო ეს მთელი ავტოკეფალური (თვით თავი) ეკლესია, თუ მისი შემადგენელი ნაწილი — ცალკე მიტროპოლია.

ახლად დაარსებული საკათალიკოსო ერთგვარ დამოკიდებულებაში დარჩა ანტიოქიის ეკლესიაზე, ქართლის კათალიკოსს ჩვეულებრივ (მეტწილად) ანტიოქიაში აკურთხებდნენ. შიგნით თავის სამწყსოში კი ქართლის კათალიკოსი დამოუკიდებელი იყო.

108. მიმართულებანი ქრისტიანობაში და ქართლის ეკლესია.

ქრისტიანობაში ამ დროს იყო სხვადასხვა მიმართულებანი, რომელთაც თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ როგორც ქრისტიანული სახელმწიფო აღმ.რომის იმპერია, ისე ცეცხლთაყვანისმცემლური სპარსეთი. აღმ. რომის იმპერია, როგორც მოხსენებული იყო, ემყარებოდა დიოფიზიტობას (ქალკედონიზმს). ქართლის ეკლესიაც მეტწილად ამავე მიმართულებას ადგა, თუმცა, როგორც ჩანს, დაშვებული იყო აზრთა სხვადასხვაობაც. ქრისტიანული სარწმუნოების საკითხებში ამ ხანაში კვლავ დაიწყო ჩარევა სპარსეთის მთავრობამაც, რომელიც დარწმუნდა, რომ ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა მისი მთლად აღკვეთის მიზნით უშედეგო რჩებოდა. ამიტომ ამიერიდან აღებულ იქნა ახალი ხაზი — ქრისტიანობას შეიძლება თავისი მიმდევარნი ყოლოდა სპარსეთის მონარქიაშიც, მაგრამ ამ რელიგიის მხოლოდ იმ მიმართულებებს, რომელთაც სდევნიდა აღმ. რომის იმპერია. ამ ხანაში ეფესის (431 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების თანახმად ქრისტიანობაში ძლიერ დევნილი იყო ეგრეთ წოდებული ნესტორიანობა, რომელიც უფრო ძლიერად იყო წარმოდგენილი სირიაში. ნესტორიანები ბლომად იყვნენ სპარსეთში და მათ შემდეგ მიაღწიეს ჩინეთსაც კი. ქართული წყაროს მიხედვით (ეს არის არსენი კათალიკოსის

---

[26]. Иерусалимский монастырь VII в., Тиф., 1912, стр. 247-248.

"განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა"), ნესტორიანებმა მონახეს საერთო ენა სპარსეთის მთავრობასთან და აყენებდნენ საკითხს სპარსეთის მთავრობისათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი მიმართულების შესახებ — აიძულეთ სომხები აღიარონ ნესტორიანობა და ამით საბოლოოდ ჩაიშლება ყოველგვარი სიახლოვე და კეთილი ურთიერთობა ბერძნებსა და სომხებს შორის. ამ ხერხმა გასჭრა. "აიძულნა პეროზ (მეფემან) სომეხნი მსახურებად სჯულისა ნისტორის ულმრთოჲსასა"). სომხები ამის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ სპარსეთის მთავრობამ კატეგორიულად დააყენა საკითხი ასე: "ერთი ორთაგანი ყავთ: ანუ გამორჩიეთ ყოველთა ასურთაგან (სირიელებისაგან) სჯული, თჳნიერ მელქთაჲსა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენ (დიოფიზიტნი), ანუ დაუტევეთ ქვეყანაჲ თქუენი და ივლტოდეთ ჩვენგან".[27] დათმობა გამოიხატა იმაში, რომ სომხებს შეეძლოთ ნესტორიანობასთან ერთად ყოველგვარი ქრისტიანული მიმართულება მიეღოთ დიოფიზიტობის გარდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამღვდელოებას (ეს იგულისხმება უპირველეს ყოვლისა სპარსეთის მთავრობის განკარგულებაში) უნდა დაეტოვებია სპარსეთის სამეფოს საზღვრები. საფიქრებელია, ანალოგიურ წინადადებას სპარსეთის მმართველობა მისცემდა ქართველებსაც. ასეთ პირობებში სომხეთის ეკლესია იძულებული იყო აეღო ისეთი მიმართულება, რომელიც ეთიშებოდა დიოფიზიტობას და ახლოს იყო მონოფიზიტობასთან. ეს გამოიხატა, სხვათა შორის იმაში, რომ სამ-წმიდა არსს მიუმატეს გამოთქმა — ჩვენთვის ჯვარცმულო, სომხურად ხაჩეკარ.[28] მეორე თავისებურებას შეადგენდა კიდევ მარხვის არაჯავორის თავისებურება. არაჯავორ გამოიხატებოდა იმაში, რომ დიდმარხვის შაბათ-კვირის დღეებში ნებადართული იყო ყველის და კვერცხის ჭამა.[29]

---

[27]. ქრონიკები, I. 315-316.

[28]. სამწმიდა არსი გამოითქმის: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შეგვწყალენ ჩვენ". აქ სიტყვის უკუდავის შემდეგ სომხური ეკლესია უმატებს: ჩვენთვის ჯვარცმულო. ეს ნიშნავს, რომ ძე ღვთისა. ღვთაებრივი ბუნების მქონე. შეიძლება სიკვდილით დასჯილი ყოფილიყო. ეს კი უახლოვდება ქრისტეს ბუნების მონოფიზიტურ გაგებას, რომ ქრისტე იყო მხოლოდ ღვთაებრივი ბუნების. ხოლო დიოფიზიტობა აღიარებდა, რომ ქრისტე ჯვარცმულ იქნა როგორც ადამიანური ბუნების მქონე. როგორც ღვთის შვილი კი ის არ შეიძლება სიკვდილით დასჯილიყო.

[29]. Л М. Мелкисет-бек. Грузинский извод сказания о посте Араджавор, ХВ, V, 1917, стр. 73-111.

შემდეგში ყველაფერი ეს გაფორმებულ იქნა სომხეთის დვინის საეკლესიო კრებაზე 553 წელს.

რა გზას დაადგა ქართლის ეკლესია ამ დროს, არ ჩანს – ჯუანშერი არ ეხება იმ შინაგან ბრძოლებს, რომლებსაც ამ ხანაში ადგილი ჰქონდა ქრისტიანულ სამყაროში. საყურადღებოა, რომ კერძოდ ნესტორიანობას თავისი მომხრეები ჰყავდა ქართველებშიც. მბროსეს მოჰყავს[30] ასსემანის წიგნიდან (11,460) ცნობა იმის შესახებ, რომ სირიის ნესტორიანთა მაფრიანს ანუ კათოლიკოსს 498 წლიდან ემორჩილებოდა ქართველების ეპისკოპოსიც (episcopus Georgianorum). ასეთი ეპისკოპოსი ქართველებს შორის იქნებოდა მანამდისაც. ზოგადად კი ქართლის ეკლესიაში უფრო დიოფიზიტობა იმარჯვებდა. პოლიტიკური მიზეზებიც ამას მოითხოვდა – საჭირო იყო ბერძნების და აღმ. რომის იმპერიის თანაგრძნობის მოპოება სპარსეთის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ სომეხმა ფილოსოფოსმა დავით უძლეველმა, რომელსაც ხუთი წიგნი ჰქონდა დაწერილი, სომხეთში თავისი დიოფიზიტობის გამო განიცადა სასტიკი დევნა, რის გამო ის იძულებული გახდა საქართველოში გამოქცეულიყო, აქ ცხოვრობდა და აქ მოკვდა კიდეც (ის მოღვაწეობდა უფრო V ს-ნის უკანასკნელ მესამედში და VI ს-ნის დასაწყისში). დიოფიზიტებს სომხეთში სდევნიდნენ, ქართლის სამეფოში კი მათ გაეძლებოდათ.

ქართლის სამეფოს და ეკლესიის ასეთი მიმართულება იწვევდა დიდ ეჭვებს სპარსეთის მმართველ წრეებში და აშფოთებდა მათ ქართველების წინააღმდეგ.

109. ეგრისის დამორჩილება ეკლესიურად ქართლის კათალიკოსისადმი.

როგორც ჩანს, ამ ხანაში მოხდა ეგრისის დამორჩილება ქართლის კათალიკოსისადმი. სომეხთა კათალიკოსი იოანე (X ს.) წერდა ქართლის კათალიკოსის კირიონის (VII ს.დასაწყ.) შესახებ, რომ ის "აკურთხა (ხელთ დაასხა) მთავარ ეპტსკოპოსად ოლქებისა ქართველების (ქართლის), გუგარელების (ქვემო-ქართლისა მესხეთითურთ) და ეგრელებისა (ეგრისის) კათალიკოსმა (სომეხთა) მოსემ თანახმად წინანდელი წესისა"-ო. გამოდის, რომ ყოველ შემთხვევაში VI ს-ნის მეორე ნახევარში ქართლის კათალიკოსს პირველობა უნდა ჰქონოდა

[30]. Hist. de la Géorgie, I, p. 194,n.

ეგრისზედაც. მაგრამ VI ს-ნის მეორე ნახევარში, როდესაც შიდა-ქართლი მცხეთითურთ ემორჩილებოდა თბილისში მჯდარ მარზპანს, ხოლო ეგრისის სამეფო კი ბიზანტიის იმპერიის ხელქვეით იმყოფებოდა, ეს წესი შეიძლება არსებულიყო როგორც წინანდელი დროის გადანარჩომი. არ შეიძლება მცხეთის კათალიკოსის მიერ ეგრისის ეკლესიურად დამორჩილება მომხდარიყო შემდეგ 520 წლის ახლოს დროისა, როდესაც ეგრისის (ლაზიკოს) მეფე წათე გადაუდგა სპარსეთს და ბიზანტიას დაემორჩილა. ამიტომ მცხეთის კათალიკოსისადმი ეგრისის დამორჩილება უნდა მიეკუთვნოს 480 წლის ახლოს ხანას. მხოლოდ ტაო და მისი მიმდგამი ეკლესია, ეი. იშხანის საკათალიკოსო არ ემორჩილებოდა მცხეთის კათალიკოსს. სხვა ქართული ქვეყნები კი ახლა ეკლესიურად მისი იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდნენ.

110. ქრისტიანული ეკლესიის დაორგანიზება; სამამასახლისოების რეორგანიზაცია.

ეკლესიას შეეძლო მართებლობისათვის ადგილებზე ბევრი სარგებლობის მოტანა. სამღვდელოება თავისი მდგომარეობით იყო სულ ცოტა წერაკითხვის მცოდნე მაინც. ეპისკოპატი კიდევ შესდგებოდა მაღალ-განათლებულ პირთაგან; მათ არ ჩამოუვარდებოდნენ ზოგი ცალკეული სასულიერო პირნი. ეკლესიების ქსელით და სამღვდელოების დასმარებით ადვილი იყო ხალხის დარაზმვა სახელმწიფოსათვის საჭირო საქმიანობისათვის. ამიტომ ვახტანგის მართებლობა ცდილობს ქრისტიანობის გავრცელებას იმ მხარეებში, სადაც ის ჯერ კიდევ არ იყო ფესვმოკიდებული, ასეთი მხარეები კი სახელმწიფოში ბევრი იყო. მაგ., კლარჯეთში ქრისტიანობა თითქმის სრულებით არ ჩანდა, არაგვის აღმოსავლეთით მცხოვრები მთიულები ქრისტიანობას არ სცნობდნენ არა თუ ვახტანგის დროს, არამედ მის შემდეგაც ვიდრე აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსამდის (VI ს-ნის პირველი ნახევარი), ნიქოზში ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავიც იყო და სხვ. ამიტომაც მართებლობა ეკლესიის უფრო მჭიდროდ ხალხთან დასაახლოვებლად ამრავლებდა ეპარქიების რიცხვს.

ზაქარია რიტორს მოჰყავს ცნობა სომხეთის კათალიკოსის ხელქვეითი ქვეყნების შესახებ ერთ-ერთი ძველი წყაროდან. ეს წყარო მიეკუთვნება იმ დროს, როდესაც სომხეთის მეტი ნაწილი უკვე სპარსეთის ხელქვეითია, ქართლს კი განაგებს არა მეფე, არამედ სპარსეთისავე ხელქვეითი ქრისტიანი მეთაური.

"ჩრდილოეთ მხარეზე არის ხუთი მორწმუნე ხალხი, რომელთაც 24 ეპისკოპოსი ჰყავთ. მათი კათალიკოსი იმყოფება დიდ ქალაქ დვინში. სპარსულ სომხეთში. მათი კათალიკოსის, სამართლიანის და განთქმული ადამიანის სახელი იყო გრიგოლ. შემდეგ არის ქვეყანა გურზან სომხეთში ბერძნული ენის მსგავსი ენით. მათ ჰყავთ ქრისტიანი მეთაური, რომელიც სპარსეთის მეფეს ემორჩილება. შემდეგ არის ქვეყანა არრან, აგრეთვე სომხეთის ქვეყანაში მდებარე. თავისი საკუთარი ენით; ის მორწმუნე და მონათლული ხალხია, რომელსაც სპარსეთის მეფის ქვეშევრდომი მეთაური ჰყავს. შემდეგ ქვეყანა სისაგან (თავისი) ენით; მორწმუნე ხალხია, რომლის შიგნით წარმართნიც ცხოვრობენ. ქვეყანა გაზგუნ[31] (თავისი) ენით, რომელიც (წინანდელს) ეკვრის და კასპიის ზღვის კარებამდის აღწევს; ეს კარები ჰუნების ქვეყანაშია".[32]

ცნობა გულისხმობს, რომ ქართველებს და ალვანელებს ჰყავთ თავისი საკუთარი ქრისტიანი მეთაურები. სომხეთის შესახებ კი ეს არაა ნათქვამი. მამასადამე, ცნობა მიეკუთვნება სომხეთის სამეფოს გაუქმებას შემდგომ ხანას, მაგრამ 440-450-იანი წლების გამოკლებით, როდესაც ქართლს (და ალვანეთსაც) არ ჰყავდათ საკუთარი მეთაურები. უფრო აქ იგულისხმება 470 წლის ახლო დრო.

ხსენებული ცნობის მიხედვით, ქართლის სახელმწიფოში 470 წლის ახლოს (რადგანაც არანსა და გაზკუნში ეპისკოპოსთა რაოდენობა ძლიერ მცირე უნდა ყოფილიყო) საგულისხმებელია 8 ეპისკოპოსი მაინც. ცეცხლთაყვანისმცემლობის მოწოლა მოითხოვდა ქრისტიანების კიდევ უფრო მჭიდროდ დაორგანიზებას და ერთმანეთთან მათი დაკავშირების გაძლიერებას. ასეთივე საჭიროება არსებობდა ვახტანგის მართებლობის დროსაც.

ჯუანშერის სიტყვით, ვახტანგმა დანიშნა ეპისკოპოსები კათალიკოსისა და სამთავროს ეპისკოპოსის გარდა (მცხეთაში) ეპისკოპოსები შემდგომ ადგილებში: კლარჯეთში ახიზისა, არტანს ურუშეთისთვის, წუნდას ჯავახეთისთვის, მანგლისის, ბოლნისის, რუსთა-

---

31. იმარკვარტი ფიქრობდა (Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, S.174), რომ გაზგონ აფხაზების ქვეყანა უნდა იყოსო. მაგრამ ხსენებული ცნობიდან ცხადია, რომ აქ იგულისხმება კასპიის ზღვის პირის მხარე არეზის (არაქსის) შესართავიდან ვიდრე დარუბანდამდის.

32. ზაქარია რიტორი, XII, 17; 1899 წლის გერმ.გამოც., თარგმანი სირიულიდან კარუნსის და გ.კროგერისა, გვ.252-253, შეად. Georgica, III, გვ. 17-18.

ვის, ნინოწმიდისა უჯარმის ახლოს ("უჯარმის კარსა", როგორც ამბობს ჯუანშერი), ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯის და აგარაკის. შემდეგ მის დროსვე აშენებულ იქნა ნიქოზის ეკლესია და იქაც დადგენილ იქნა ეპისკოპოსი (გვ. 198-199).

ჯუანშერისავე სიტყვით, ხსენებულ საეპისკოპოსოთაგან ხუთისთვის ეკლესია გაშენებულ იქნა ვახტანგის დროს. ეს ხუთი არის შემდეგი: ნინოწმიდის, ჭერემის, ჩელეთის, ახიზის და ნიგაზის (იქვე). ხოლო მცხეთის სამთავროსი, ერუშეთის, წუნდას, მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის, ხორნაბუჯის, აგარაკის ყოფილა მანამდისაც. სულ ამგვარად კათალიკოსის გარდა ვახტანგის მეფობის ბოლო ხანებში იყო 13 ეპისკოპოსი — იმ ეპისკოპოსების გარდა, რომელნიც იყვნენ დას. საქართველოში და ზღვისპირა ქვეყანაში და რომელნიც ემორჩილებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს.

სომხური წყაროების ცნობით VI ს-ნის დასაწყისში, სომეხთა კათალიკოსის ბაბგენის დროს მომხდარი ქართველ ეპისკოპოსთა საეკლესიო კრებაში მონაწილეობა მიუღიათ ქართლის კათალიკოს გაბრიელს და მასთან ერთად, კიდევ 23 ეპისკოპოსს.

ამ კრების ეპისკოპოსების სია მოწვევნილია სომხური "წერილთა წიგნით" და უსტანესის (X ს.) ისტორიაში. რადგანაც ამ სიათაგან უსტანესის სია უფრო ძველ ხელნაწერს და შესაძლებელია თვით დედანს ეყარება, ამიტომ აქვე მოგვყავს ეს სია უსტანესის მიხედვით და ფრჩხილებში კი "წერილთა წიგნის" მოწვევნილი ვარიანტი. სახელები არის მეტად დამახინჯებული, რადგანაც სია აშკარად მოდის ბერძნულად შედგენილი სიიდან; ხოლო ბერძნულ სიას თავის მხრივ საფუძვლად უდევს ქართული სია.

გაბრიელ კათალიკოსი მცხეთისა.

პაღდენ (პაღგენ), მეფის კარის ეპისკოპოსი. სახელი შეიძლება იკითხებოდეს პალდენ, პალგენ.

ილია, ეპისკოპოსი ასსურიაღე (სამურიალ), უნდა იყოს სამთავროელი (მცხეთის სამთავრო ტაძარში მჯდომი).

სამოელ, ეპისკოპოსი ტიმუელ (ტუმასუელ) — დმანელი (დმანისისა).

დავით, ეპისკოპოსი ბოლნელი — ბოლნისისა.

იაკობ, ეპისკოპოსი სრდავი (ორტავი) — ცურტავისა.

სტეფანოს, ეპისკოპოსი რუზთავი (უსთავი) — რუსთავისა.

საჰაკ, ეპისკოპოსი თბილისისა.

ელატეს (ელადეს), ეპისკოპოსი მანგლისისა.

ეწეს, ეპისკოპოსი მარუელი (მარუელ) — მროველი, რუისის ეპისკოპოსი.

ევგინის (ევგენეს), ეპისკოპოსი სამთავისისა (სახელი — ევგენი).

იოსებ, ეპისკოპოსი ადსუნელი (ადსუელ), უნდა იყოს აწყურის ეპისკოპოსი (ბგერები წ და ყ არაა ბერძნულში).

იოანე, ეპისკოპოსი სარუთი (სარუსთიელ), უნდა იყოს წყაროსთაველი.

იოსებ, ეპისკოპოსი კომრტაჲ (კუხორდოჲ), უნდა იყოს კუმერდისა (კუმუნროელი), ჯავახეთში.

ეზრას ეპისკოპოსი კისდად; ჯუანშერის სიტყვით, "დასვა (ვასტანგმა) ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს ეკლესიასა ასიზისასა". შეიძლება კისდად იყოს იგივე ასიზა, ასიზელი.

ენოქ, ეპისკოპოსი წილკანისა.

იოსებ, ეპისკოპოსი მიდამილ (ნინოწმიდელი ?).

ლაზარე, ეპისკოპოსი ბოდბელი.

თევდორე, ეპისკოპოსი ფორთაისი, უნდა იყოს ეპისკოპოსი ჩელეთისა (ბგერა ჩ არაა ბერძნულში).

ეპისკოპოსი ზაქარია კასტაცი (კასდრ-ელი), უნდა იყოს კაწარეთის ეპისკოპოსი, კაწარელი.

ფოკას, ეპისკოპოსი ასტერმილაჲ (ტსერმილ) — ჭერემელი ეპისკოპოსი (ჭერემისა).

ისაკ ეპისკოპოსი ჰნარაკერტ (ქუნანაკერტ) — ხუნანისა.

თომა, ეპისკოპოსი ტარს. სახელი გაურკვეველია, მისი ამოცნობა ჭირს. შესაძლოა, აქ იგულისხმებოდეს ეპისკოპოსი არტანისი (ერუშეთში).

სტნგენე, ეპისკოპოსი ქორზანა (ქორჩონა), უნდა იყოს ხორნაბუჯის ეპისკოპოსი კამბეჩანში. თვით ეპისკოპოსის სახელი გაურკვეველია.[33]

საჭიროა აქ შეეჩერდეთ იმ გაუგებრობაზე, რომელსაც იწვევს საკითხი სომეხთა კათალიკოსის ბაბგენის რაობა. წერილთა წიგნში (გვ. 41-47) იხსენიება სომეხთა კათალიკოსი ბაბგენი, რომელიც თავის მიმართვას დვინის საეკლესიო კრების დადგენილების შესახებ ათარიღებს

---

[33]. ეს სია გარჩეული იყო: ს.კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, 1924, I, 50-52.

სპარსეთის მეფეთა მეფის კავატის (კობადის) მე-18 წელიწადით, რაც უდრის უფრო 507 წელს (490+18) და შესაძლებელია (488+18) 505 წელსაც. პირველ პირად სომხეთში ის იხსენიებს ვარდან მამიკონიანს, რომელიც მართლაც იყო სომხეთის მარზპან-სპარაპეტად 505-509 წლებში. მაგრამ სომხურივე წყაროებით ბაბგენ კათალიკოსი ცნობილია იმითაც, რომ მის დროს შესდგა ქართლის კათალიკოსის გაბრიელის მიერ მოწვეული ქართველ ეპისკოპოსთა საეკლესიო კრება 23 ეპისკოპოსის მონაწილეობით. ეს კრება არ შეიძლება შემდგარიყო 520 წელზე ადრე, რადგანაც მოქც. ქართლისაი ასახელებს კათალიკოსებს ვიდრე მეფობის გაუქმებამდის და ამ კათალიკოსთა შორის გაბრიელი არ იხსენიება. ცხადია, რომ ის ისე, როგორც მის დროს მოხსენებული სომეხთა კათალიკოსი ბაბგენი, ეკუთვნის 520 წლის შემდგომ ხანას. მართლაც, ვარდან დიდის მიხედვით შესაძლებელია დადგინდეს სომხეთის კათალიკოსთა სია VI ს-ნის მეორე მეოთხედიდან შემდეგნაირად:

ბაბკენ 7 წელი, 525-532;
მუშე 8 წ., 532-540;
სააკ 7 წ., 540-547;
ქრისტეფორე 7 წ., 547-554;
ღევონდი 2 წ., 554-556;
ნერსესი 9 წ., 556-565;
იოანე 15 წ., 565-580;
მოსე 30 წ., 580-610.

მაგრამ ამათ გარდა იყო კიდევ კათალიკოსი ბაბკენი, რომელიც სომხეთის ეკლესიას ასაღოკით მეთაურობდა 3 წელი და ეს წლები უნდა ყოფილიყო 504-507. ბაბკენის შემდეგ ასოღიკი ასახელებს სამუილს, რომელიც კათალიკოსად ყოფილა 10 წ. და მუშეს 2 წლის სიგრძეზე. აქედან მივიღებთ ბაბკენის (504-507) შემდგომ კათალიკოსებს — სამუილს 507-517 წლებში და მუშეს 517-525 წლებში. ამ მუშეს, როგორც ეტყობა, შეუდგა ბაბკენ მეორე 525-532 წლებში.

ამასთანავე მხედველობაში მისაღებია, რომ ქართული საეკლესიო კრების მონაწილეთა სიაში მოხსენებულია მეფის კარის ეპისკოპოსი პაღდენ თუ პალდენ (სახელი დამახინჯებულია). მაშასადამე, ეს კრება შემდგარა მაშინ, როდესაც ქართლში ჯერ კიდევ ცოცხალია უკანასკნელი მეფის კარის ეპისკოპოსი, რომელიც ახალ პირობებში მომსახურეობას უწევს მეფის ასე თუ ისე შემცველ პირთ. 524 წლის ახ-

ლოს ქართლის მამასახლისს გურგენს სპარსეთის მთავრობამ წარუდგინა მოთხოვნა ცეცხლთაყვანისმცემლობის დამკვიდრების შესახებ ქართლში. ამას მოჰყვა გურგენის გადადგომა სპარსეთისგან, დახმარების თხოვნით მისი მიმართვა იმპერატორ იუსტინე I-ისადმი და შემდეგ მთლად ბიზანტიის იმპერიაში მისი გადასვლა თავისი ოჯახით. მის მაგივრად ქართლის მამასახლისად ინიშნება გრიგოლი, რომელიც იხსენიება ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში ევსტათის პირველი დაპატიმრების დროს, რაც 526 წლის ახლოს მოხდა. ამ დროს ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში ქართლის კათალიკოსად იხსენიება სამეული, ეი. იმავე სახელის მქონე პირი, რომელიც მოქც. ქართლისაგან ცნობილია უკანასკნელ ბაკურ მეფის დროს მყოფად.

ხსენებულ ქართულ საეკლესიო კრებას ხელმძღვანელობდა კათალიკოსი გაბრიელ, რომელიც საგულისხმებელია სამეულ კათალიკოსის შემდეგ, მაშასადამე, შემდეგ 526 წლისა. მე ვფიქრობ, რომ ეს საეკლესიო კრება უნდა მომხდარიყო 528-529 წლების ახლოს, წერილთა წიგნის მიხედვით სპარსეთის მეფის კობადის (498-531 წწ.) დროს.

ამ სიიდან ჩანს, რომ ვახტანგის შემდეგ ვიდრე დაახლოებით 528 წლამდის დაფუძნებულ იქნა ახალი საეპისკოპოსოები. სახელდობრ: ვახტანგის შვილის დაჩი მეფის დროს უნდა იყოს დაფუძნებული წყარო-სთავის საეპისკოპოსო, სადაც დაჩიმ ააშენა ეკლესია (ქცხოვრება, ეკ2ᲫᲔ5). დაჩის დროსვე იქნებოდა დანიშნული ეპისკოპოსი თბილისში სამეფო კარის მცხეთიდან თბილისში გადატანასთან დაკავშირებით.

სიაში ყურადღებას იქცევს ცალკე სამეფო სახლის ეპისკოპოსის მოხსენიება. სად უნდა ყოფილიყო მისი სამღვდელმთავრო ტაძარი? მცხეთაში სია იხსენიებს თვით კათალიკოსს და სამთავროელს. მცხეთის სამთავრო მატიანეში საეპისკოპო ტაძრად იხსენიება შემდგომ საუკუნეებშიც. სამთაროს მჯდომი ქართლის მთავარეპისკოპოსი კათალიკოსის მოადგილედ ითვლებოდა. სამეფო სახლის ეპისკოპოსის საყდარი უკვე არ შეიძლება მცხეთაში ყოფილიყო.

ამათ გარდა ახალი საეპისკოპოსოები დაფუძნებულ იქნა შემდეგ ადგილებში: დმანისში, რუისში (მროველი), სამთავროში, აწყურში, კუმურდოში, წილკანში, ბოდბეში, კაწარეთში.

ხევების მფლობელობა საგვარო პრინციპს ემყარებოდა, რასაც ამტკიცებს ქართლის უძველესი იერარქიის შესახებ არსებული ხსენებული ცნობები. ეს ცნობები მხოლოდ 528 წლის ახლო ხანას

ეხება, მაშასადამე საკმაოდ ნაგვიანებ დროს, მაგრამ მათ განხილვას ხევების ორგანიზაციაში საგვარო ნორმების წარმოჩენის გასარკვევად მაინც აქვს მნიშვნელობა. როგორც მოხსენებული იყო, საეკლესიო იერარქიაში ამ დროს ცნობილი იყო ცალკე "ეპისკოპოსი სამეფო სახლისა". სამეფო სახლი ამნაირად წარმოდგენილი იყო როგორც ერთი გვარი, რომელსაც თავისი ეპისკოპოსი ჰყავდა. საინტერესოა, რომ პიტიახშაც ჰყავდა თავისი სახლის ეპისკოპოსი. შუშანიკის ც-ბაში აფუტი, ცურტავის ეპისკოპოსი, მოხსენებულია როგორც I"ეპისკოპოსი იგი სახლისა მის პიტიახშისაII". სახლი აქ, რასაკვირველია, იგულისხმება საგვარო მნიშვნელობით თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვარსქენ პიტიახში ცეცხლთაყვანისმცემლობაში იყო გადასული და პირადად მას ეპისკოპოსი არ ესაჭიროებოდა. ამ ორი მაგალითიდანაც ცხადია, რომ იერარქია პირველად ეწყობოდა წარჩინებულთა სახლების მიხედვით, ხოლო სახლები კი თავის მხრივ ტერიტორიალურად წარმოადგენდნენ ხევებს. შედარება IV ს-ნის ნახევრის ოლქების სიისა 528 წლის საეპისკოპოსო კათედრების სიასთან ცხადჰყოფს ამას. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ამ ორ სიას განაშორებს ერთმანეთისაგან დიდი დრო, რომლის სიგრძეზე ხევების შეერთების ზემოთ აღნიშნული პროცესის გამო ტერიტორიალური დანაწილებაც ქართლისა შეიცვლებოდა. მაგრამ ამ გარემოების გათვალისწინებითაც ოლქებისა და საეპისკოპოსო კათედრების სიის ერთმანეთთან შედარებით ჩვენ ვღებულობთ შემდეგ პარალელებს:

კლარჯეთი	ეპ. ახიზისა.
არტაანი	ეპ. წყაროსთაველი.
ჯავახეთი	ეპ. ყუმურდოელი.
სამცხე	ეპ. მაწყვერელი.
დვანი	ეპ. მროველი.
მანგლისის ფორი	ეპ. მანგლელი.
ქვეშის-ფორი	ეპ. დმანელი.
ბოლნისის ფორი	ეპ. ბოლნელი.
პარუარი	ეპ. ტფილელი.
ქსნისხევი	ეპ. სამთავნელი.
წოფო ფორი	
კოლბო ფორი ხუნანი	ეპ. ხუნანისა
ძორო ფორი	
თრიალეთი	ეპ. ცურტავისა

ტაშირი

კუხეთი

ეპ. კაწარელი

ეპ. ნინოწმიდელი.

ეპ. რუსთველი

ეპ. ბოდბელი

ეპისკოპოსთა რეზიდენციები გასაოცრად დაკავშირებულია განსაზღვრულ ოლქებთან, ასე, მაგ., პიტიახშის სახლის ეპისკოპოსი დაკავშირებულია თრიალეთისა და ტაშირის ოლქებთან, ეი. საპიტიახშოს სამფლობელოს მთავარ ნაწილთან; მანგლისის ხევი – ეპ. მანგლელი; ქვეშის ხევი – დმანელი; ბოლნისის ხევი – ბოლნელი და სხვ. ზოგიერთი ეპისკოპოსი აერთებს რამოდენიმე ხევს. ამ მხრივ გარდა ცურტავის ეპისკოპოსისა აღსანიშნავია ხუნანის ეპისკოპოსი, რომლის ტერიტორია თითქოს სამი ხევის სიერცეზე უნდა იყოს საკულისხმებელი. თუ აქ რაიმე სხვა მიზეზი არ არის, შესაძლებელია ვიფიქროთ თრიალეთის და ტაშირის ანალოგიით, რომ V ს-ნეში ეს სამი ხევი (წოფისა, კოლბისა და ძორისა) გაერთიანდა ერთ ოლქად ერთი უფლის ხელქვეით. სამაგიეროდ კუხეთში ჩვენ ვხედავთ უკვე 4 ეპისკოპოსს. ცხადია, V ს-ნეში აქ სახლების მფლობელობის მხრივ რაღაც ცვლილება მომხდარა. ეპისკოპოსთა სიიდან თითქოს არ პოულობს გამართლებას ოლქების უფრო ძველი სიის მიხედვით ორი ეპისკოპოსი – სამთავროსა და წილკანისა. პირველის კათედრა დაკავშირებულია ქრისტიანობის პირველ ოფიციალურ ნაბიჯთან IV ს-ნეში, ხოლო მეორის კათედრის იურისდიქცია შესაძლებელია ჩრდილოეთის ხევებზე (ცხრაზმა და მის მიმდგომ რაიონებზე) ვრცელდებოდა. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ქრისტიანობის იერარქიული ზრდა ქართლში დაკავშირებული იყო ქართლის ტერიტორიალურ დანაწილებასთან, რომელიც თავის მხრივ ისტორიულად შემუშავებულ გვარობით ნორმებზე და კერძოდ მფლობელთა სახლების ინსტიტუტზე იყო დამყარებული.

ზემოთ მოხსენებულის მიხედვით შეიძლება გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ ხევებად ქართლის ტერიტორიული დანაწილება IV-V ს-ნეში მფლობელი ელემენტების გვარეულობით ნორმებზე იყო წარმოშობილი და განვითარებული, რომ იერარქიული ზრდაც ეკლესიისა IV-V ს-ნეში ამ ტერიტორიალურ დანაწილებას ეფარდებოდა. ხევის საოთავეში იდგა უფალი, რომელიც მთავრადაც იწოდებოდა. ეს "უფლები" იწოდებოდნენ იმავე დროს მამასახლისებად ან ამის ექვივალენტ ტერმინად, რომელი ტერმინიც ამ "უფლებობას" უკავშირებდა საგვარო პრინ-

ციას. უფრო მნიშვნელოვან მთავართა და მამასახლისთა სახლს თანდათან უჩნდებოდა თავისი "სახლის ეპისკოპოსიც". "მამასახლისი" იყო ყველაზე ჩვეულებრივი ტერმინი ხევის "უფლისა". ამას ამტკიცებს მამათა და ნათ. ც-ბის ავტორის მოწმობა მამასახლისების შესახებ (ქ.ცხოვრ.,ტ.II). მაგრამ ცალკე ოლქებში ხევის ბატონის ამ სახელს შეიძლება ჰქონოდა სხვა გამოხატულებაც. ეს იყო დამოკიდებული ამა თუ იმ ოლქის ისტორიულ წარსულზე. საეჭვოა, მაგ., რომ სამცხის უფლის წოდებულება მამასახლისი ყოფილიყო. ამის მაჩვენებელი უნდა იყოს ერთი ასომთავრული წარწერა ქვაზე, რომელიც საქართვ. მუზეუმშია დაცული და ჩამოტანილია ოძრხეს დედათა მონასტრის ნანგრევებიდან, აბასთუმნის რაიონიდან. წარწერა ორიგინალთან შედარების შემდეგ იკითხება შემდეგნაირად: "ქ.—ი ესნ აე მფლა —/— დიდლი ნთვ/ — ბძნბა ღვთ დცლა მფლა არშა პტკსა და ნბთა ღმთა ქვთაერთს / ქეპზს ცხსთაობ — მწოლ ვიყავ და / ამრთვ პტსნი ჯი წა ღთს მშბსა სხლა / სლცლდ ჩმთა და ძმთა ჩმთა მეო / ხბსათს ყ/ლთ/ა დრსა ამს სწთრო/ს/ ა სკნ დავაღ კხს ლცვა მკსნ.

წარწერაში ამგვარად მოხსენებულია მამფალი არშუშა პატრიკი და ქავთან ერისთავი, ქორეპისკოპოსი, ციხისთავი. წარწერა უნდა წინ უსწრებდეს ბაგრატოვანთა სახლის ბატონობის დამკვიდრებას ზემო ქართლში და კერძოდ სამცხეში. შესაძლებელია ამიტომ წარწერა ეკუთვნოდეს VII ს-ნეს ან VIII ს-ნის პირველ ნახევარს. წარწერა საყურადღებოა იმით, რომ აქ წარმოდგენილია სამცხის უფალის ტიტული მამფალი, — რომელი ტიტულიც შემდეგ გვხვდება ზემო ქართლის ბაგრატოვანთა სახლში IX-X ს-ნეებში, როგორც ამას ამოწმებს სუმბატ დავითისძე და იმპერატორი კონსტანტინე ძოწმოსილიც. კერძოდ, სუმბატ დავითისძის ცნობებიდან საგულისხმებელია, რომ მამფლად IX ს-ნეში და X ს-ნის პირველ ნახევარში იწოდებოდნენ ბაგრატოვანთა სახლის უმცროსი წევრები, როგორც ჩანს, ცალკე სამფლობელოს მქონენი, ასე რომ ამ დროს უკვე ფაქტი იყო ამ ტერმინის დეგრადაცია, რასაც შემდეგ მოყვა მისი სრული გაქრობა.

რომ ეს ტერმინი (მამფალი) ძლიერ ძველია, ამას ამოწმებს მისი პარალელური ფორმა დედობრივი სქესის დედოფალი. ეს სიტყვა V ს-ნეში აღნიშნავდა არა მარტო მთავრის ცოლს — ვარსქენ პიტიახშის ცოლი, მაგ., დედოფლად იწოდებოდა — არამედ საერთოდ ქალბატონს. ის წარმოადგენდა საზოგადოდ დედობრივი სქესისთვის უფალის შესატყვისს (შად., მაგ., მოციქ., 8, 27; 2 იოან., 1, 1; 1, 5). ერისთავის დედა და,

მამასადამე. ცოლიც IX საუკუნეშიც 'დედოფლად იწოდებოდა ("პროეკავრი დედოფალი ქართლისა ერისთვისა დედაჲ იყო). რადგანაც მამფალი დედოფალის პარალელური ტერმინია, ხოლო დედოფალი შემდეგ საერთოდ მიღებული და გავრცელებული წოდებულება იყო, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მამფალი, ქართულ საზოგადოებრიობის განვითარების საფეხურების თვალსაზრისით, ისევე ძველი უნდა იყოს, როგორც მამასახლისი, ეი. ქართული საზოგადოებრიობის განვითარების პირველ საფეხურებზე დაწინაურებულ თემებში ზოგ ადგილას ტერმინი მამფალი უნდა ყოფილიყო, სხვაგან კიდევ მამასახლისი.

ეპისკოპოსებს მიეცათ მმართველობის საქმეში იგივე ფუნქციები, რომელიც უფრო ძველად ჰქონდათ ქურუმებს — ისინი იყენენ სადავო საქმეების გამრჩევნი, საერთოდ სასამართლო უფლებით აღჭურვილნი. ეკლესია ერეოდა უმნიშვნელოვანეს ყოფაცხოვრებით საკითხებში და ჯერ ებრაელთა კანონებზე და შემდეგ მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებზე დაყრდნობით აწესრიგებდა სამართლის საქმეებს. ამით აისსნება, რომ ახლად დაარსებული საეპისკოპოსოები ტერიტორიალურად ხვდებოდნენ მოზრდილ ხევებს. მაგ., ეპისკოპოსი ახიზისა იყო კლარჯეთის ხევის მმართველი, ეპ. წყاროსთავისა — არტაანის მხარის მმართველი, ეპ. აწყურისა (მაწყვერელი) — სამცხისა და სხვ. (აჭარას არ ჰყავდა თავისი ეპისკოპოსი ალბათ იმიტომ, რომ ამ მთიან და მიუდგომელ მხარეში ჯერ ქრისტიანობა არ იყო ანდა ძლიერ მცირედ ფესვმოკიდებული). რაც შეესება მცირე ხევებს, მოხდა მათი შეერთება. მაგ., შიდა-ქართლში, სადაც ბლომად იყო წვრილი ხევები, ახლა არის მხოლოდ ორი ეპისკოპოსი — რუისის (მროველი) და სამთავისის (სამთავნელი). რიგი თემები შეერთდა ამ ორი ეპისკოპოსის ხელქვეით. სამაგიეროდ კუხეთში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, სამი ეპისკოპოსია — კაწარელი, ნინოწმიდელი, რუსთველი. ამიტომაც ბასილი ზარზმელი VI ს-ნის გიორგი მაწყვერელ ეპისკოპოსის შესახებ წერს, რომ მან "ჴელთ იდვა რაჲ განგებაჲ სამცხოსაჲ, დაწყნარა ყოველი საბძანებელი თჳსი, ვითარცა წეს იყო და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი". გიორგი მაწყვერელის ხელთ იყო მთავრებს შორის (ამ შემთხვევაში გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეთა შორის) ატეხილი შინაური შფოთის ლიკვიდაცია, რაც მან დიდი ცდის შემდეგ შეასრულა კიდეც. და ვითარცა გარდაკდა წელიწადი შვიდად აღთუალული, დასცხრეს და დადუმნეს ყოველნივე

შფოთნი და უწესობანი წმიდისა ამის მღვდელ-მოძღურისა გიორგის მიერ". (ძვ. ქართ. აგიოგრაფ. ძეგლები, I, გვ. 340).[34]

საეპისკოპოსოების დაარსებამ, ეჭვს გარეშეა, დაასუსტა მამასახლისთა მმართველობითი მდგომარეობა და, რადგანაც სასამართლო საქმეები ახლა ეპისკოპოსების ხელში იყო. ამის შემდეგ მამასახლისები მმართველებად თითქოს არც არიან. ამიტომ ეპისკოპოსების დანიშვნა ადმინისტრაციულად უნდა მიჩნეულ იქნას როგორც მამასახლისთა ინსტიტუტის საწინააღმდეგო მოვლენა.

ცხადია, საკათალიკოსოს დაარსებას და ეპისკოპოსების გამრავლებას ვახტანგ გორგასალის დროს საფუძვლად ედვა მართებლობის გარკვეული პოლიტიკა, რომელიც გამოიხატებოდა ახლად დანიშნულ ეპისკოპოსებზე სასამართლო და, მამასადამე, რამოდენადმე საგამგებლო ფუნქციების დაკისრებაში. ამით ეპისკოპოსებმა ამ სფეროში შესცვალეს მანამდის არსებულ მოზრდილი ხევების" მამასახლისნი. ამის მიხედვით 476-480 წლების ახლოს ვახტანგს ჩაუტარებია დიდი შინაგანი რეფორმა, რომელიც გამოიხატა ხევების ანუ ოლქების სათავეში მდგომ მემკვიდრეობითი მამასახლისების გაუქმებასა და მათი მართებლობითი ფუნქციების ახლად დანიშნულ ეპისკოპოსებზე დაკისრებაში.[35]

III. ეკლესიის ორგანიზაცია ეგრისში.

ეგრისი (ლაზიკა) თავიდანვე მოჰყვა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, იგივე შემდეგ პატრიარქის ხელქვეით. მოწვნილია კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელქვეით მყოფ მღვდელ-მთავართა კათედრების სხვადასხვა დროის სიები, ეგრეთ წოდებული ეკთესისები ანუ ნოტიციები. უძველესი ნოტიციები ასახავენ უმთავრესად იმ მდგომარეობას, რომელიც წინ უსწრებდა იმპერატორ იუსტინიანეს დროს რომეების ხელქვეით არმენიაში ჩატარებულ ადმინისტრაციულ რეფორმას (იუსტინიანემდის რომეების ხელქვეითი არმენია გაყოფილი იყო ორ

---

34. მეზობელი სომხეთის ფაქტებიდანაც ჩანს, რომ ეპისკოპოსს ამ პერიოდში მინიჭებული ჰქონდა ფართო სასამართლო ფუნქციები, ის ამ მნიშვნელობით ითვლებოდა თავისი ოლქის გამგებლად.

35. სასანიანთა ირანში მოსამართლეებად იყვნენ მობადნი, ე. ი. მოგავთუსუცესნი ანუ სასულიერო პირნი. მასუდი (X ს.) ასახელებს სასანიანთა ხანის მობადან-მობადს (მოგეთა მთავარს) როგორც ყადილ-ყუდა – ყადთა ყადის ანუ მოსამართლეთა მოსამართლეს (Aetheim, Stiel, დასახ. შრომა, გვ. 275).

ნაწილად — პირველი და მეორე არმენია, იუსტინიანეს დროს კი იგივე არმენია გაყოფილ იქნა ოთხ ნაწილად — I, II, III, IV არმენიად). ამის მიხედვით იუსტინიანეზე ადრინდელ (და შემდეგ ხელახლავ გადაწერილ და ზოგ შემთხვევაში შესწორებულ ეკთესისებში) ეგრისის საეკლესიო მმართველობა წარმოდგენილია შემდეგნაირად.

ლაზიკის ეპარქია, ფასისის მიტროპოლიტი, მის ხელქვეთი ეპისკოპოსები — როდოპოლის, აბისსენთა, პეტრათა, ძიგანევთა (I ნოტიცია).

ლაზიკის ეპარქია; ფასისის მიტროპოლიტი; მის ხელქვეთ არის ოთხი ქალაქი, ეი. ოთხი ეპისკოპოსი: როდოპოლისა, საქსინთა (ვარიანტი: საისსის, საიაენთა), პეტრათა, ძიგანევთა (ნოტოცია VII, VIII, IX).

ამ სიების დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს საკითხს თუ როდის დაარსდა თვით ფასისის სამიტროპოლიტო.

არიანეს (11 ს) მიხედვით მდ. ფასისის (რიონის) შესართავში აღმართული იყო ფასისის ქალ-ღმერთის ქანდაკება, XVII ს-ნის ფრანგი მოგზაური შარდენი კი წერს, რომ ძველი ისტორიკოსები ადასტურებენ, რომ ფასისში იყო წარმართული ტაძარი, რომელიც იმპერატორ ზენონის (474-475, 477-491 წწ.) დროს გადაკეთებულ იქნა ქრისტიანულ ტაძრად. ამის მიხედვით იმპერატორ ზენონის დროს ფასისის ქალღვთების ტაძარი ფოთში გადაუკეთებიათ ქრისტიანულ ტაძრად. მაშასადამე, 480-იან წლებში ფოთში მთავარ ტაძარში დამკვიდრებულა ქრისტიანული ღვთისმსახურება.

როგორც ნიკოლოზანოვის მიერ 1651 წელს ქუთაისში ჩაწერილი ცნობიდან საგულისხმებელია, ხსენებული ტაძარი ფოთში ყოფილა ახლოს პალეოსტომის ტბასთან. ამ ტაძრის მთავარი ხატი იყო ღვთისმშობლისა. გიორგი III-ის დროს პალეოსტომის ტბას თუ თვით რიონს გადმოულახავს და ეს ტაძარი მთაუნთქავს. გადარჩენილია მხოლოდ ხატი, რომელიც წამოუღიათ ქუთაისში და დაუსვენებიათ ყოვლად წმიდის ტაძარში და მას ამის შემდეგ დაერქვა პალეოსტომისა და ქუთაისის ღვთისმშობლის ხატი.

ყველაფერი ამის მიხედვით ფასისში სამიტროპოლიტო კათედრა შეიძლება დაარსებულიყო მხოლოდ 480-იანი წლების ახლოს.

ხსენებულ სიათაგან უფრო ძველია პირველი. ეგრისის ეკლესიის სათავეში იდგა ფასისის (ფოთის) მიტროპოლიტი, რომლის ხელქვეთ იყვნენ ეპისკოპოსები ვარდციხის (როდოპოლის), აბიშის, კინტრიშის ანუ პეტრასი და ძიგანისა (მოქვის აღმოსავლეთით სამოდე კილომეტრზე).

ასეთი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო V ს-ნის ბოლოში და VI ს-ნის პირველ ნახევარში. შემდეგ კი მოხდა ცვლილება, სახელდობრ აბიშის (ბერძნულად აბისსის, ორი ს გამოხატავს შ-ს) საეპისკოპოსო გაუქმებულ იქნა და მის მაგივრად დაარსებულ იქნა საეპისკოპო ციაში (ბერძნული ტრანსკრიპციით საისს, რაც როგორც აღნიშნული აქვს პინგოროიუას,[36] უნდა იყოს ციაში). ასეთი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო VI ს-ნის II ნახევარში და VII ს-ნის დასაწყისში.

112. თფილისის ციხის რეკონსტრუქცია და გალავნის მშენებლობა.

ჯუანშერის სიტყვებით "ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა" (გვ. 200), ხოლო მისმა მემკვიდრემ დაჩიმ "განასრულა ზღუდენი ტფილისისანი" (გვ.205). ეს ცნობები უნდა გაგებულ იქნან ისე, რომ თბილისის ციხის აგება ვასტანგმა დაიწყო თავისი მეფობის ბოლოში და დაამთავრა დაჩიმ.

ამას ადასტურებს იბნ-ხორდადბე (846-847 წლ. ახლ.), რომლის სიტყვით, ხოსრო-ანუშირვანმა გააშენა ჯურზანის (ქართლის) ქვეყანაში ქალაქი სუგდაბილ (საგოდებელი) და იქვე ციხე, რომელსაც დაარქვა სახელი ბაბ ფეირუზ — კობად, ე.ი. ფირუზ — კობადის კარი. უკანასკნელი სახელი ამტკიცებს, რომ საგოდებელთან ახლოს ციხე გაშენებული ყოფილა პეროზ (458-484 წწ) და მისი შვილი კობადის (490-531 წ.) დროს. ზემოთ თქმულის მიხედვით ცხადია, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს საგოდებლის პირდაპირ მდებარე თბილისის ციხე. განსხვავება არის ის, რომ სპარსელები თბილისის ციხის ახალ რეკონსტრუქციაგაშენებას ანგარიშობდნენ თავიანთი მეფეების მმართველობის მისედვით.

ამგვარად, 480 წლის ახლოს დაწყებულა თბილისის ციხის რეკონსტრუქცია და ამის შემდეგ (დაჩი" მეფის დროს) გაუშენებიათ ქალაქის გალავანი. ეს გალავანი უნდა ყოფილიყო ალიზის, რადგანაც X ს-ნის I ნახევრის არაბი გეოგრაფოსი ალ-ისტახრი ამბობს, რომ თბილისს ალიზის გალავანი აქვსო. დაახლოვებით X ს-ნის მეორე ნახევარში ალიზის გალავანი თბილისში შეცვლილ იქნა ქვითკირის გალავნით.[37]

---

[36]. გიორგი მერჩულე. თბ., 1955.

[37]. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში თბილისის ზედა-ციხისთვის იხსენიებს სახელს შორის ციხე. წყაროებში ასეთი სახელი არ არის შემონახული. ეს უნდა იყოს ხალხური სახელი, რომელიც ცოცხალი იყო ხალხურ თქმაში ვახუშტის დროსაც. რატომ წარმოიშვა

113. თბილისის განლაგების შესახებ ვახტანგ გორგასალის და დაჩის დროს.

თბილისის განლაგების სურათი ამ ძველი ხანისათვის ძნელი აღსადგენია, მაგრამ აქ მაინც წამოყენებულია საამისო ცდა არსებული მასალების მიხედვით. ბულას მიერ 853 წელს თბილისის აღების მოთხრობისას ტაბარის (X ს) დასახელებული აქვს თბილისის ციხე-გალავნის კარები, სულ ხუთი: კარი მაიდნისა, კარი კარისა, კარი პატარა, კარი რაბატისა და კარი საღდებილისა.[38] (ქ. ცხოვ. ჯელალ-ედ-დინის შემოსევის დროს იხსენიებს სამხრეთისაკენ განძის კარს (II, გვ. 175). ხოლო ვახუშტის დროს XVIII ს-ნეში შემდეგი კარებია ჩამოთვლილი: კოჯრის — კარი, დიღმის — კარი, მეიდნის — კარი და ქვემო კარი. უკვე ამ სახელების შედარებიდან ჩანს, რომ თბილისის განლაგება ძველ ხანაში და XVIII ს-ნეში სხვადასხვა ხასიათის არის. XVIII ს-ნეში (და ამის უახლოეს წინა ხანაში) კარებს სახელი აქვთ მათგან მიმავალი გზის მიმართულების მიხედვით (კოჯრისა, დიღმისა, XIII ს-ნეში კიდევ განძის ანუ განჯის კარი), ტაბარის მიერ IX ს-ნისათვის დასახელებული კარების სახელები კი დაკავშირებულია ქალაქის ცალკე ნაწილებთან.

1) მაიდნის კარი (რადგანაც სიტყვა მაიდან არაბულია) ქართულად უფრო ადრე იქნებოდა სანავარდოს კარი (ნავარდი სპარსულიდან ნასესხები სიტყვაა) ანდა ასპარეზის (სპარსულივე წარმოშობის სიტყვა). ქალაქის გალავანს გარეთ უნდა ყოფილიყო სანავარდო ან ასპარეზი. შარდენი 1673 წელს აღნიშნავს, რომ მეფის სასახლის წინ (სამხრეთით) მტკვრის ნაპირას არის მოედანი, რომელზედაც ათასამდის ცხენი დაეტევაო.

2) კარის კარი; სიტყვა კარის აქ უნდა იყოს ქართული, მოცემული ნათესაობითს ბრუნვაში. თბილისის ციხე-გალავანს, როგორც ჩანს, ჰქონდა თავისი კარი, ეი. მიმდგომი სოფელი და აქეთკენ გამსვლელ კარს

ასეთი სახელი, არ ჩანს, შესაძლებელია. ეს იყო არაბული სიტყვა შური (
საბჭო) და აქ იკრიბებოდა არაბების დროს საამიროს საბჭო.

XI ს-ნეში ქართველი მემატიანის მოწმობით, ამ ციხეს ერქვა დერ-ი-ჯელალ; არაბულ-სპარსულად დიდების კარი. შემდეგდროინდელი სახელი ამ ციხის იყო კიდევ ნარიყალა (ნარინ-ყალა, თურქულად და სპარსულად - მიხდენილი. ლამაზი ციხე).

მიხ. ჩხიკვაძე უწევნებს თბილისის ზედა-ციხის მთავარი კარის ნაშთს ამ ზედა-ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში.

[38] . გ. წერეთელი. არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 70.

ერქვა სახელად კარის-კარი. ეს კარი უნდა ყოფილიყო ხარფუხი, იგივე შემდეგდროინდელი (XVII-XVIII ს-ნეებში) სეიდ-აბადი. ხოლო ამ კარის კარი (გასასელელი) არის იგივე შემდეგდროინდელი განძის (განჯის) კარი.

3) პატარა კარი საფიქრებელია იგივე, რომელიც აღნიშნულია ვახუშტის და ზოგი სხვის გეგმაზე. ეს იყო მცირე კარი ციხე-გალავნიდან წავკისის წყალზე გადებული და მცირე ხიდით ხსენებულ ხარფუხ ანუ სოფელ-კარისკენ გზის მიმცემი.

4) რაბატის კარი. რაბატი IV ს-ნისთვის მოხსენებულია მცხეთაში. ნინოს ცხოვრებაში მწყემსები ეუბნებიან ფარავნის ტბასთან მისულ ნინოს, რომ ჩვენ ვართო "ზოგნი დაბით, ზოგნი საფურცლით, ზოგნი ქინჯარელნი (სოფლების სახელებია ძველი მცხეთის მხარეში) და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი" (ქ-ცხოვრება, გვ. 85). ჯუან-შერის სიტყვით, უჯარმასაც ვახტანგ გორგასალის დროს ჰქონდა თავისი რაბატი. რაბატად ახალციხეში ბოლო დრომდის იწოდებოდა ციხე-გალავნის მიმდგამი კარგად დასახლებული უბანი. მესხეთის წვრილ ქალაქებს და მნიშვნელოვან პუნქტებს, გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის მიხედვით, XVI ს-ნეში ჰქონდათ ანალოგიური რაბატები. თბილისის რაბატიც V ს-ნის II ნახევარში უკვე უნდა ყოფილიყო.

თბილისის ძველი გეგმა-სურათების განხილვისას მიღებული მონაცემებით შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის ზემოთ მოხსენებული მოედანი სანავარდო ან ასპარეზი უნდა ყოფილიყო მტკვრის ნაპირას სიონის ტაძრის ჩრდილოეთით ჩამომავალ გალავნიდან, ხოლო რაბატი კი ამის დასავლეთით მდებარე და მჭიდრო მოსახლეობის მქონე ფართობია.

5) საღდებილის კარი, ცხადია არის საგოდებლის კარი, რომლიდან ხიდის მეშვეობით მიდიოდა გზა მომავალ ისან-ავლაბრისკენ.

თბილისის ჩრდილოეთ ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენდა სოლალაკის წყალის ხრამი და კალაპოტი, რომლის გაყოლებით ქვედა ნაწილში შემდგომ ხანებში გაშენებულ იქნა გალავანი.

ქართული სახელი საგოდებელი შემდეგ გააზრებულ იქნა როგორც საღდებელ, როგორც სოგდების საცხოვრებელი ადგილი. ვამინორსკი ყურადღებას აქცევდა დაბოლოებას — ბელ ბილ, რომელიც ახასიათებდა სპარსულ და არაბული გამოთქმის მთელ რიგ ტოპონიმებს (არდა — ბილ, ანზა — ბილ, და — ბილ — დვინი და სხვ.) და ეჭვს ქვეშ აყენებდა საგოდებელის დაბოლოების ქართულობასაც — ხომ არ

იფარება ქართული იშვიათი ტერმინის საგოდებელის ქვეშ რაიმე ძველი და დავიწყებული სახელიო.[39] მაგრამ ეს შეუძლებელია. აბო ტფილელის ცხოვრების ავტორის ცნობა უეჭველ ჰყოფს, რომ საგოდებელი არის წმინდა ქართული ტერმინი. "გამოიღეს (აბოს გვამი)... გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელი ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისაითა" (ძვ. ქართ. აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 73). მაშასადამე, საგოდებელი წარმოებულია ქართული სიტყვიდან გოდება და სასაფლაოს ნიშნავს. თბილისელებს, მაშასადამე, თავიანთი სასაფლაო აქ ჰქონდათ (უფრო ქართველი თბილისელები უნდა იგულისხმებოდნენ). ეს სასაფლაო უნდა ყოფილიყო იქ, სადაც ახლა არის ყოფილი ფერისცვალების მონასტერი და მისი არე. სასაფლაოს თითქოს სამხრეთით იქვე მაშინ ყოფილა "სადილეგო პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდ(ბ), კლდ(ბ) მდინარის მის დადისაჲ, რომელი განვლის აღმოსავალით ქალაქსა, ესე არს· სახელით მტკუარი" (იქვე). ცხადია, სადილეგო ყოფილა კლდოვან სიმაღლეზე, ისტორიული მეტეხის ადგილას და მის არეში. სადილეგო უნდა იყოს ვახტანგ გორგასალის დროს მეტეხის ეკლესიის ირგვლივ გაშენებული მცირე სიმაგრე, არაბების დროს საპყრობილედ გადაქცეული.

არაბ ავტორების იბნ ალ-ფაკიჰის, იბნ-ხურდაზბეს და სხვების სიტყვით, სოღდებილი გაშენებული იყო ხოსრო-ანუშირვანის მიერ, რომელმაც იქ სპარსული ტომი სოგდიები დასახლაო. სოგდიების დასახლება საგოდებლის არეში VI ს-ნეში სავსებით შესაძლებელია. სპარსეთის საკოლონიზაციო პოლიტიკა ამას მოითხოვდა თბილისის მიმართაც, სადაც სპარსელების მარზპანი იჯდა. ამასთან დაკავშირებით რეკონსტრუირებული იქნებოდა ვახტანგ გორგასალის დროინდელი მცირე ზღუდე — სიმაგრეც. აბოს წინა ხანაში VIII ს-ნის სიგრძეზე ეს სიმაგრე დაძველდა, დაინგრა და მისი ნაწილი გადაკეთებულ იქნა სადილეგოდ. ამის შემდეგ კი VIII ს-ნის მეორე ნახევარში თუ IX ს-ნის პირველ ნახევარში საგოდებლის ეს სადილეგო კვლავ რეკონსტრუირებულ იქნა, გადაიქცა ციხედ, ასეთი იყო ის ბუღას შემოსევის დროს.

აბო ტფილელის ცხოვრების მოყვანილი ცნობიდან ჩანს, რომ საგოდებელი ქალაქში არ შედიოდა, ის ქალაქგარეთ იყო.

თბილისის განლაგების წარმოსადგენად ვახტანგ გორგასალის ხანაში მნიშვნელობა აქვს იმ ცნობებს, რომელიც არსებობს 627 წელს

---

[39]. Transcaucasica, Journal asiatique, 1930, juillet-septembre, p. 57-73.

ერეკლე კეისრის მოკავშირე ხაზარების მიერ თბილისის აღების შესახებ. მოქც. ქართლისაჲ VI ს-ნეში განასხვავებს ერთმანეთისაგან ტფილისს და კალას (VI ს-ნეში "მცხეთაჲ ათსელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდდებოდა", გვ. 95). მაგრამ იმავე დროს იქვე კალა მოხსენებულია როგორც თბილისის ნაწილი ("კალაჲ ტფილისისაჲ"). ამგვარად კალა ცალკე იხსენიება, მაგრამ ის მაინც თბილისის ნაწილს შეადგენს.

ქართლის ცხოვრებაში იმავე ამბების შესახებ ნათქვამია, რომ ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ I-ის მოკვლის შემდეგ "დაიპყრა კეისარმან ტფილისი. ხოლო ციხესა კალისასა დარჩეს კაცნი და არა მოერთნეს მეფესა (ირაკლის)" (გვ.220). ერეკლე კეისარმა, სტეფანოზის შემდეგ ქართლის ერისმთავრად დანიშნა ვახტანგ გორგასალის ჩამომავალი ადარნასე, "მისცა მას ტფილისი და მთავრობდა ქართლსა. და დაუტოვა მისთანა ერისთავი (ხაზართა), რომელსა ერქუა ჯიბღა, და უბრძანა ბრძოლა კალისა" (გვ.225).

მოსე კაღანკატუელს აქვს ამ ამბის შესახებ მოცემული ორი ვერსია, ცხადია, აღებული ორი სხვადასხვა წყაროდან. ის მოგვითხრობს (11,11), რომ ჯერ ხაზარებმა და შემდეგ მათთან შეერთებით კეისარმა ირაკლის თავის ჯარით ალყა შემოარტყეს "განებივრებულ, საკაჭრო, სახელოვან და დიდ ქალაქ ტფილისს"; რომ სპარსეთის მეფემ ხოსრომ მანამდის გამოგზავნა ქალაქის მცველთა გასაძლიერებლად ათასი რჩეული ცხენოსანი თავისი პირადი დაცვის ჯარისაგან და რომ რომეელებმა თან მოიტანეს თავისი მოგონილი ოთხ ბორბლიანი მახინები და სხვა ასეთი იარაღები, რომლითაც ისინი ურტყამდნენ კედლებს და ამტვრევდნენ მის უზარმაზარ ლოდებს და რომ თავდამსხმელნი ყრიდნენ მდინარეში ქვებით და ქვიშით გავსებულ უზარმაზარ გუდებს, რათა ამით უკან გაებრუნებინათ მდინარე, რომელიც ქალაქის ერთი ნაწილის გვერდით მიდიოდა. მეორე ადგილას კიდევ (II, 14) იგივე ავტორი უბრუნდება იმავე ამბავს და გადმოგვცემს უკვე სხვა დეტალებს — რომ ხაზარების წინამძღოლმა ალყა შემოარტყა ქალაქს (თბილისს) და ბრძოლებით შეაწუხა მცხოვრებნი, რომელნიც ორი თვის განმავლობაში თავს იცავდნენ. ხაზარების მეთაურმა "უბრალო ხალხიდან ბევრი დაატყვევა და დაახრჩო (მდინარეში). ერთი მეორეზე დადგომით ხაზარები ავიდნენ გალავანზე და გადავიდნენ ქალაქში, რომელიც აღებულ იქნა. ქალაქში დატრიალდა საშინელი ამბავი. თავზარდაცემულნი შიგ მყოფნი იმალებოდნენ სახლების სახურავებზე, სხვანი კიდევ (ბუხრების) მილებში

და ბევრი კიდევ აშურებდა ეკლესიის წმიდა. თაღების ქვეშ და ეპოტინე-ბოდნენ საკურთხეველის კუთხეს". ხაზარებმა ყველა დახოცეს, ქალაქი გაძარცვეს, შეკრიბეს დიდძალი ოქროულობა და ვერცხლი.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ქალაქის გალავანს გარეთ ცხოვრობდა ღარიბი ხალხი. ქალაქის ცალკე ნაწილს შეადგენდა კალა, რომელსაც ჰქონდა ციხე (ცისკარაც კალა ეწოდებოდა). ქალაქი მდებარეობდა დაბლობში მტკვრის ნაპირას ისეთ ადგილას, სადაც შესაძლებელი იყო ქვებით და ქვიშით სავსე გუდების წყალში ჩაყრით ქალაქის ამ ნაწილის წყლით დაფარვა. მხედველობაში მისაღებია ამასთანავე, რომ ხაზარების ჯარს თბილისზე მოსვლა შეეძლო უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ხოლო ბერძნებისას კი სამხრეთ-დასავლეთიდან. მაშასადამე, ქალაქი მდებარეობდა კალას სამხრეთით, ეი. წავკისის-წყალის სამხრეთით იმ დაბლობში, სადაც გვიან შემდეგ (მაგ., XVIII ს-ნეში) ბაღები იყო გაშენებული (ეგრეთ წოდებული სეიდაბადის ბაღები) და სადაც ძველად იყო გოგირდის ცხელი წყაროები მრავალი ჭებით (ახლანდელი ბალნე-ოლოგიური სადგურის არეში). ქალაქს ჰქონდა გალავანი უფრო სამხრეთ მხარეზე მდინარემდის იქ, სადაც აქამდის დარჩენილია შემ-დეგდროინდელი კედლის ნაშთი კოშკებითურთ. ამის შემდეგ შემდეგ-დროინდელ განჯის-კარამდის, რომელიც იყო მთავარი შესასვლელი კალაში, ქალაქი უფრო გამაგრებული უნდა ყოფილიყო ჩაჭრილი ხევით და ზედ გაშენებული უფრო ალიზის კედლით. ადგილის თვისება ამის შესაძლებლობას იძლეოდა. განჯის კარის მისადგომიდან კი წავკისის-წყალის გაყოლებით, ვიდრე მტკვრამდის კვლავ უნდა ყოფილიყო დაცვითი კედელი, როგორც ეს ყოფილა XVIII ს-ნის II ნახევარშიც (სერგეევის ამდროინდელ სურათზე არის ასეთი კედელი კოშკებით და ქონგურებით).

რაც შეეხება კალას, ის წარმოადგენდა ქალაქის შემოზღუდულ ცალკე ნაწილს მაგარი ზედა-ციხით. ამ ზღუდის მოცულობის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი.

თბილისის ძველი პანორამის არსებობს ოთხი სურათი და ცალკე კიდევ 1 (ვახუშტი ბატონიშვილის მიერ) ალბათ 1720 წლის ახლოს (შედგენილი გეგმა და 2) პიშჩევიჩის გეგმა 1780-იანი წლებისა. ხსენებული ოთხი სურათია: უცნობი დამხატავის, ტურნეფორისა 1700 წლის, შარდენის და სერგეევის 1785-1790 წლების ახლო დროის. არის კიდევ ერთი სურათი უცნობი წარმომობის, მაგრამ ის იწვევს ზოგიერთ ეჭვებს და ამიტომ ის განხილვის გარეშე რჩება.

უსახელო სურათი წარმოგვიდგენს თბილისის პანორამას უმეჩეთოდ ხიდის ყურესთან. მართლაც, შარდენი ამბობს, რომ მის დროს (1673 წ.) თბილისში მეჩეთი არ იყო. ამ დროს (1670 წლის ახლო ხანას) უნდა ეკუთვნოდეს ხსენებული უსახელო სურათი.

შარდენის მოგზაურობასთან თანდართული თბილისის სურათი, რომელზედაც ხიდის ყურეში შაჰ-ისმაილის დროს გაშენებული მეჩეთია გამოყვანილი, ამაზე ადრინდელი დროის უნდა იყოს. ხოლო რადგანაც ამ სურათზე როსტომ მეფის დროინდელი ნაგებობანიც არის (სასახლე და სხვ.), ამიტომ ამ სურათის შედგენა უნდა მიეკუთვნოს 1650 წლის ახლო ხანას. ამის შემდეგ შაჰ-ისმაილის დროინდელი მეჩეთი დაზიანდა და ამით აიხსნება, რომ შარდენის დროს მეჩეთი არ იყო. ცხადია, რომ შარდენის წიგნში წარმოდგენილია სხვის მიერ ცოტა ადრე დამზადებული სურათი.

შარდენის სურათზე ასახულია ის კედელი თავისი კოშკებით, რომელიც ქართლის მეფის როსტომის დროს გაავლეს 1640 წლის ახლოს ზედაციხიდან ვიდრე მტკვრამდის ხიდის-ყურის და იქვე მდებარე მეჩეთის ამ ზღუდის შიგნით ჩატარებით. ზედა-ციხის კოშკების მეტი ნაწილი აქ ნახვერად მომრგვალებით არის გაშენებული, მეტეხის ციხის კოშკები კი მთლიანად ასეთი ხასიათისაა. გარდა ამისა მეტეხის ციხეს მიშენებული აქვს ჩრდილოეთით დაბლა ჩამავალი ახალი გალავანი მომრგვალო კოშკებითვე.

ტურნეფორის სურათზე ყველაფერი ეს სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. როსტომ მეფის დროს ზედა-ციხიდან მტკვრამდის გაშენებული კედელი სრულებით არ არსებობს. ზედა-ციხის კოშკები ყველა (13) ოთხკუთხიანია. მეტეხის ციხეს ზემოთ მოხსენებული მინაშენი (გალავანი კოშკებით) არ აქვს, კოშკები კი მომრგვალოა.

ტურნეფორისეულ სურათზე ასახული ზედა-ციხის ოთხკუთხოვან კოშკებს და აგრეთვე ოთხკუთხოვანი კოშკებისავე დიდ უმეტესობას (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ქალაქის გალავანზე და მეტეხის ციხეში აშკარად მიეცეცვართ ძველ ხანამდის. ის ზოგადად მოგვაგონებს უჯარმის ციხეს მისი ოთხკუთხიანი სწორი კოშკებით, რომელიც ვახტანგის დროსაა გაშენებული. რასაკვირველია, ვახტანგის დროიდან, ვთქვათ XVI საუკუნემდე თბილისის ციხე ბევრჯერ საფუძვლიანად შეკეთდებოდა. მაგრამ ზოგადი გეგმა დაცული იყო და ამიტომ ვახტანგის დროინდელი ზედა-ციხის მიახლოებით მაინც წარმოსადგენად ტურნეფორისეულ სურათს აქვს თავისი მნიშვნელობა. ეს ძველი ნაგებობა მეტწილად გაუუქმებიათ

როსტომ მეფის დროს, როდესაც აუშენებიათ თბილისის ახალი ზედაციხე ძველის მხოლოდ ნაწილის გამოყენებით.

რაც შეეხება ქვედა-გალავანს (ზღუდეს), რომელიც ციხიდან ქვევით ჩამოდიოდა, ის თავდაპირველად (ვახტანგისა და დაჩის დროს) გაშენებული უნდა ყოფილიყო ალიზისაგან, რადგანაც ალ-ისტახრი (930 წლ. ახლ.) ამბობს, რომ თბილისს ორი გალავანი აქვს თიხისაო[40] (უნდა იგულისხმებოდეს ქალაქი და ცალკე კიდევ ისანი). ხოლო ალ-მუკადდასი (985 წლ. ახლ.) გადმოგვცემს, რომ თბილისი მტკვრის ორსავე ნაპირზეა და ნაპირებს აერთებს ხიდი; გალავანი ქვისაა, მაგრამ ხით შემოკრულიო).[41] ამ ცნობების მიხედვით, ქვითკირის გალავანი თბილისში გაუშენებიათ 950 წლის ახლო ხანაში. გალავანს, როგორც ტურნეფორისეული პანორამიდან ჩანს, ოთხკუთხი კოშკები ჰქონია.

მეტეხის ციხემაც განიცადა რეკონსტრუქცია და დაახლოებით როსტომ მეფის დროს გაფართოებაც. ამიტომ ნათელი ხდება, რომ თბილისის უდავოდ ცნობილ ხსენებულ ძველ პანორამათაგან უფრო ძველი უნდა იყოს ტურნეფორისეული სურათი, რომელიც გადმოღებულია დაახლ. XVI ს-ნის დედნიდან. ამ სურათზე ზედა-ციხის ჩრდილოეთ მხარედან აღნიშნულია აკვედუკი, რომლითაც სახმარი წყალი წავკისის ხევიდან შედიოდა ციხეში. ეს აკვედუკი ფარსადან გიორგიჯანიძეს მოხსენებული აქვს 1625 წლისათვის, როდესაც გიორგი საკაძემ თბილისის ქალაქი დაიკავა და ზედა-ციხეში მყოფ სპარსელების გარნიზონს კი ალყა შემოარტყა. აკვედუკის ბოლოდან კედელი ტურნეფორისეულ სურათზე ჩამოდის ქვემოთ კლდის უბნის ეკლესიის მცირედ ჩრდილოეთით, ქვევით კიდევ დაბლობში უხვევს სამხ.-აღმოსავლეთისაკენ და სიონის ტაძრის მცირედ ჩრდილოეთით ჩამოდის მტკვრამდის.

1046 წელს თბილისის ამირას ჯაფარის სიკვდილის შემდეგ მის ორ შვილს შორის ამირობის მიზეზით ატეხილი ბრძოლების გამო თბილისის ბერებმა (უხუცესებმა) გადაწყვიტეს ციხე-ქალაქი საქართველოს მეფის ბაგრატ IV-სათვის გადაეცათ. და აი, ბაგრატ IV ჯარით შემოდის თბილისში. მატიანის სიტყვით, ბაგრატ IV ზეიმის პირობებში თბილისის საამიროს წარჩინებულთა და ამ საამიროს ჯარის თანხლებით შემოდის თბილისში. დიღომის ველზე მას შეხვდნენ თბილისის ბერნი და

---

[40]. СМОМПК, XXIX, стр. 11.

[41]. იქვე, XXVIII, გვ. 8.

ცხენოსანი ჯარი. უმეტეულს მას შეხვდა ქვეითი ჯარი "დაკაზმული". ეს უმეტეული საგულისხმებელია მცირე სწორი ვაკეზე ახლანდელ საოპერო თეატრის არეში. აქის შემდეგ მოედანზე ბაგრატ IV-ს დახვდა "დედათა და მამათა სიმრავლე", ე.ი. ქალაქის მოსახლეობის თვალსაჩინო ნაწილი. ეს მოედანი საგულისხმებელია სიონის ტაძრიდან მის ჩრდილოეთით შემდეგდროინდელი როსტომისეული სასახლის სამხრეთით. შარდენი მას უწოდებს საშხედრო მოედანს, რომელზედაც, მისი სიტყვით, ათასი ცხენოსანი დაეტეოდა. მოედანზე მისვლამდის ბაგრატ IV-ს "მოაელის ქალაქი", იგულისხმება ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ღარიბი ნაწილი. მოედანზე მეფეს მოართვეს "ქალაქის კლიტენი", ის შეიყვანეს თვით ქალაქში და შემდეგ "საამირო დარბაზში" (ქცხ.I, გვ299), ე.ი. სასახლეში, რომელიც ციხის ქვემოთ მდებარეობდა. ცხადია, რომ XI ს-ნეშიც ქალაქის ჩრდილოეთური გალავანი ციხიდან ჩამოდიოდა დასახლებით ისე, როგორც ეს ტურნეფორისეულ რუკაზეა ნაჩვენები, ე.ი. სიონის ტაძრიდან მის ჩრდილოეთით. ამირას სასახლეც XI ს-ნეშიც მდებარეობდა იქ, სადაც თავდაპირველად იდგა ვახტანგ გორგასალის სასახლე და შემდეგ აბო ტფილელის დროინდელი ამირას სასახლეც ორმოცი მოწამის ეკლესიის სამხრეთით.

ყველაფერი ზემოთ ნათქვამის მიხედვით მივიღებთ ასეთ სურათს. ვახტანგ გორგასალის და დაჩის დროს ქალაქის გალავანი გარს უვლიდა ზედა-ციხეს და ჩამოდიოდა სიონიდან მცირე მანძილზე ჩრდილოეთით. ქალაქის ზღუდის ჩრდილოეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირას იყო ასპარეზი ანუ სანავარდო. შემდეგ კი მიდიოდა ისევ დასახლებული უბანი, სადაც მტკვრის ნაპირას გაშენებულ იქნა წმ. მარიამის ეკლესია (შემდეგში ანჩის-ხატისად წოდებული).

ჯუანშერი იხსენიებს, რომ სპარსთა მეფე (უფრო სპარსთა ჩრდილოეთის პადოსპანი) და ვახტანგი თავიანთი რაზმ-ჯარებით შეხვდნენ ერთმანეთს მოსალაპარაკებლად "ველსა კალაისასა" (გვ.181). კალას, მაშასადამე, ჰქონდა ველი, აქ უნდა იგულისხმებოდეს ხსენებული სანავარდო (მოედანი) და მისი მიმდგომი ფართობი მტკვრის ნაპირის აღმა.

ამ სანავარდოს დასავლეთით და ჩრდ.-დასავლეთით მიდიოდა რაბატი, დასახლებული უბანი, რომელიც ქალაქის გარეუბანს წარმოადგენდა.

რაბატი სწვდებოდა კლდოვან ადგილამდის. ამ უცბად ამართულ კლდოვან და უწყალო ადგილს პალესტინაში ბეთლემთან (სადაც დაიბადა

იქსო) ამ დროს უკვე არსებულ ქართული მონასტრის ნამოგონრად მიეცა სახელად ბეთლემი.

ქალაქის ზღუდის (წავკისის წყალის) სამხრეთით მიდიოდა თბილისის კარი – სოფელი, რომელსაც მიყვებოდა საბაღე-საბოსტნე ადგილები (შემდეგდროინდელი ორთაჭალა და სხვ.). შემდგომ ხანებში ამ კარსაც ჰქონდა ზღუდე-სიმაგრეები. სამხრეთ მხარეზე მყოფ ასეთ ნაგებობათა ნაშთი ახლაც არის. პლიოსელიანი ამბობს, რომ ქალაქის ამ ნაწილს თაბორის ფერდობზე ციხე-გალავნისკენ შესასვლელ განძის კარის მისადგომამდის ჰქონდა რაღაც ზღუდე. სერგეევის სურათზე ქალაქის ამ ნაწილს კოშკებიანი გალავანი აქვს წავკისის წყალის მარჯვენა (სამხრეთ) ნაპირზე.

მოსახლეობა ვახტანგ გორგასალის დროს უნდა ყოფილიყო მცირედ მაინც აგრეთვე საგოდებელში, რადგანაც იქ მეტეხის ეკლესია იქნა გაშენებული.

114. სპარსეთის ლაშქრობა ქართლის სამეფოს წინააღმდეგ.

სპარსეთის მეფე პეროზი ამ ხანაში მისდევდა სპარსეთის მონარქიაში შემავალი ან მასთან ასე თუ ისე დაკავშირებული ხალხების მიმართ სასტიკ პოლიტიკას. ის ავიწროებდა ქრისტიანობას, ანხორციელებდა სხვადასხვა უსამართლო და ძალადობრივ ღონისძიებათ, რომელნიც იწვევდნენ სათანადო მხარეებში დიდ აღშფოთებას. ბოლოს ზოგიერთ მხარეებში დაიწყო აჯანყება. ცუდად მიდიოდა საქმე სომხეთში, რომლის გამგედ იყო სპარსელი შაპუჰი. სომხეთისა და ქართლის, როგორც ქრისტიანული ქვეყნების, ამდროინდელ მდგომარეობას ახასიათებს შემდეგი ცნობა. სებეოსით (VI), პეროზი იყო სასტიკი და ქრისტიანებისადმი მტრულად განწყობილი ხელმწიფე. "სპარსეთის მეფის პეროზის მართებლობის დროს, წერს ის, მოისპო ყოველგვარი კეთილდაწყობილება, წესი და ქრისტიანული კანონები. (სომეხ) წარჩინებულთ (ნახარარებს) ხვდათ ისეთი შეეიწროვებანი, საშიშროებანი, დევნა და სიძულვილი, რომ მათ თავიდან მოიცილეს მონობის უღელი. აჯანყდა ვაპან მამიკონიანი, რომელმაც განდევნა სპარსელები და ძალით დაეუფლა მართებლობას".

მაგრამ სანამ სომხეთში მხოლოდ ღელავდნენ და აჯანყების დაწყებას ვერ ბედავდნენ, საქართველოში, თანამედროვე ლაზარე ფარპელის სიტყვით, "მოულოდნელად მოხდა არეულობა და მღელვარება. ვახ-

ტანგმა მოკლა უსჯულო პიტიახში ვაზგენი პეროზ მეფის 25 წელს (11,66).

ჯუანშერის სიტყვით, "ცნეს სპარსთა, ვითარმედ დამძიმდა ვახტანგ (ჭრილობისაგან), მოაოკრეს" თბილისი და არმაზი, მუხრანი და მცხეთის ქალაქის გარემო. თვით მცხეთის გალავანი კი ვერ აიღეს. ამის შემდეგ ეს ჯარი, ჯუანშერის ცნობით, ვითომ გაემართა აღმ. რომის იმპერიის საზღვრებისაკენ, სადაც მას მოუხდა რომეელების რაზმებთან ბრძოლა, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა და სპარსელების ჯარი დაბრუნდა უკან ქართლისთვის გვერდით აკლით (გვ.202-203).

ჯუანშერის თხრობაში შემონახულია ცნობა, რომელიც უნდა ეხებოდეს სწორედ ამ ამბებს. ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ "მოკუდა ხუასრო, მეფე სპარსთა, და დაჯდა მეფედ მის წილ ძე მისი ხუასრო" (გვ.199). აქ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ ა/კავკასიის და ადარბადაგანის დიდი მარზპანი (პადოსპანად).

432-440 წლების ახლოს, როგორც მოხსენებული იყო, ასეთ პადოსპანად იყო მირ=შაპუჰ, ქართული გამოთქმით ბარზაბოდ. ამის შემდეგ პადოსპანად უნდა ყოფილიყო ზემოთ დასახელებული ორმიზდი, რომელსაც 475-480 წლების ახლოს შეუდგა შვილი მისი ხოსროვე.

ამ, მაშასადამე, პადოსპანმა მეორე ხოსრომ გამოუგზავნა ვახტანგს მოციქული, რომლის პირით ახალი ხოსრო პადოსპანი უთვლის მას შემდეგს: "შოკუდა მამა ჩემი და მეფე მყო ერმად ჩემმან საყდართა მამისა ჩემისათა და ესრეთ მიბრძანეს მოხუცებულთა ჩემთა, რათა მოვიდე წინაშე შენსა და ვერჩდე ბრძანებასა შენსა და შენ წარმიძღუე მეფეო, წინამძღურად ჩუენდა შესლვასა ამას ჩუენსა საბერძნეთად და მომეც ასული შენი ცოლად, რათა ვიყო მე ვითარცა ერთი შვილთა შენთაგანი" (გვ.200). ასეთი კილო, რამდენადაც ის ტენდენციურად იყოს ჯუანშერის მიერ შეფერადებული, უდგება პადოსპანს, მაგრამ არა მთელი ირანის მეფეთ-მეფეს.

ვახტანგმა უარი განაცხადა პადოსპანის წინადადებაზე იმდენად, ეტყობა, კატეგორიულად, რომ ამის საპასუხოდ შემოსევის მოლოდინში ის ღებულობს ზომებს მოსახლეობის დასახიზნად უშიშარ და გამაგრებულ ადგილებში. "წარავლინა (ვახტანგმა) ქადაგი, რათა დაუტეონ სოფლები და ქალაქები, რომელი იყო არა ძლიერი და შეილტოდიან კავკასიანთა (კავკასიონის მთებში) და კახეთად, რამეთუ კახეთი ტყე იყო და შეუვალი მტერისა მიერ. ხოლო დაჩი მეფე და დისწული მისი გარდავიდეს კახეთად და შედგეს ხევსა ლოპოტისასა, ქუეყანასა მის კლდითა

მოზღუდვილსა და იყენეს სოფლისა მის კაცნი ცეცხლისა და წყლისა მსახურ და საესე იყო კეკი იგი სიმრავლითა კაცთათა ვიდრე ნასარადმდე. ხოლო გორგასალისა ცოლი და შვილნი — უჯარმის კეკსა და წინასა ციხესა თჳთ შედგა, და მის თანა ჯუანშერი და ადარნასე. ხოლო მცხეთას დემეტრე და ნერსე და ბივრიტიანი დაუტევა" (გვ.201; ჩამოთვლილი პირნი იყენენ ჯუანშერი — სპასპეტი და დანარჩენნი — ერისთავნი).

ხვასრო მართლაც მოვიდა ჯარით აღმოსავლეთიდან. მან შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი და ჭერემის ციხე და ველისციხე. "და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა". (ამის შემდეგ ნათქვამია: "ხოლო სპანი ვახტანგისნი დადგეს ველსა ზედა გარემოს ციხექალაქისა, სადა ჰქვიან დარფაკა" — ეს დეტალი სხვა ბრძოლას უნდა ეხებოდეს;). "შეიბნეს იორსა ზედა და სამ დღე იბრძოლეს და დაეცემოდა ორთავე სპათაგან ურიცხჳ" (გვ.201).

მესამე დღეს ვახტანგი თავს დაესხა სპარსელების ბანაკს ცისკრის დროს. თავდასხმის მოულოდნელობის გამო ვახტანგმა თავისი რაზმით გაარღვია სპარსელების განლაგება და მიატანა თვით ხვასროს კარვამდის. ხვასრომ მოასწრო ცხენზე შეჯდომა და ამით მან თავს უშველა. მაგრამ მის შვილს ბარამს ვახტანგმა მიასწრო, მოკლა ის და მას თავი მოსჭრა. იმ დროს რომელიმე სპარსელისაგან ვახტანგს მოხვდა ისარი და ის დაიჭრა. დაჭრილი ვახტანგი მაინც განაგრძობდა ბრძოლის ხელმძღვანელობას. სპარსელები დამარცხდნენ და გაიქცნენ და შეჩერდნენ მხოლოდ ოციოდე კმ-ზე იქიდან რუსთავში.

ამ დროს აჯანყებამ მოიცვა ალვანეთშიც მთელი რიგი ციხეები და სომხების ჯარის მეტი ნაწილი სპარსელებს იქ ჰყავდათ წაყვანილი. ალვანეთში აჯანყების სალიკვიდაციოდ სპარსეთის მიერ გაგზავნილი ჯარების მთავარსარდალი იყო ზამიპრ ჰაზარავუხტი და მასთან იყო სომხეთის მარზპანი ატრვშასპ იოზმანდიანი, რომელიც, როგორც ეტყობა, ცეცხლთაყვანისმცემლობაში გადასული სომეხი უნდა ყოფილიყო. ლაზარე ფარპელი აღნიშნავს, რომ სომეხი მეომრები განსაკუთრებით ალესილნი იყენენ იმ სულმოკლე სომეხი მეთაურების (იშხანების) მიმართ, რომელთაც ამაყად და ქრისტიან სომხების მიმართ გამომწვევად ეჭირათ თავი. ამ სომხებს ძლიერ სასიამოვნოდ დაურჩათ ამბავი ვახტანგ მეფის აჯანყების შესახებ, მით უმეტეს, რომ ვახტანგი იმუქრებოდა დიდძალი ჰუნების გადმოყვანას კავკასიონის ჩრდილოეთიდან. რასაც სპარსელები ვერ გაუძლებენო.

ალვანეთში ოპერაციები დამთავრდა და სომხეთის ჯარი დაბრუნდა სომხეთში შირაკის ოლქში. ქართველების გამოსვლით გათამამებული სომეხი ნახარარები გვერდში ამოუდგნენ დიდი ავტორიტეტის მქონე ვაჰან მამიკონიანს, რომელიც დათანხმდა სათავეში ჩადგომოდა სპარსეთის საწინააღმდეგო მოძრაობას. მართალია, ამბობდა ის, ქართლი თავისი ძალების მხრივ "მსუბუქი ქვეყანაა (ეი. არაძლიერი) და მხედრებიც მათი (ცხენოსნები) მცირერიცხოვანი არიან", ხოლო ჰუნების გადმოსვლაც საეჭვოა, ჯერჯერობით ისინი არც ჩანანო. მაგრამ ის მოუწოდებდა ქრისტიანობის ერთგულ სომეხ ნახარარებს დაეცვათ თანხმობა ერთმანეთს შორის. მან შესძლო ის, რომ სპარსეთის მთავრობამ სომხეთის მარზპანი შეცვალა და მარზპანად სომეხი საპაკ ბაგრატუნი დანიშნა. ვაჰანი თვითონაც სომხეთის სპარაპეტი გახდა. სომხეთში მდგომარეობა ამით მტკიცდებოდა. ამასთანავე ვაჰანმა დახმარების თხოვნით მიმართა აღმ.რომის იმპერიას.

მაგრამ სომხეთის ნახარარებს შორის იყვნენ სპარსეთის ერთგულნიც, რომელნიც სპარსეთის მთავრობის ყურადღებას ამახვილებდნენ მდგომარეობის გართულებაზე, რომ ქართველთა მეფე აჯანყებულია და ის აპირებს ჰუნების გადმოყვანას საქართველოში და რომ სომეხ ნახარართა ნაწილს უკვე მიუმართავს რომეების კეისარისათვის ჯარით დახმარებითო. ამის შედეგად სპარსელებმა მართლაც გამოგზავნეს ახალი ჯარი, რომელიც გადმოვიდა მდ.არაქსს და დადგა ა/კავკასიის სომხეთში, ვაჰან მამიკონიანი წავიდა ტაოში, სადაც სამფლობელოში შეკრიბა ჯარი. დაიძრნენ სხვა ნახარარებიც.

ამასობაში სპარსელების ჯარი ახალი სარდლის მიჰრანის წინამძღოლობით დაუახლოვდა ქართლის საზღვრებს.

გაერთიანებული სომხების ჯარი მისულიყო წაღკოტში და აქ მცირედ დასასვენებლად დაბანაკებულიყო ადგილზე სახელწოდებით ვარშაკ. აქ მასთან მივიდა ქართველების მეფის ვახტანგის შიკრიკი. დიდძალი ჯარი შემოესია ქართლს და რადგანაც მე მარტო არ შემიძლია წინააღმდეგობის გაწევა, ამიტომ გავიხიზნე სომხეთის მთებში ქართლის საზღვრის ახლოს, სადაც მე თქვენ მოგიცდითო.

შიკრიკმა თან მოიტანა ვახტანგის წერილი, დაწერილი მკვეთრი გამოთქმით: "მე ჯუბრძანე ჰუნების ჯარს მოსულიყვნენ; ჰუნები ჯერ არ მოსულან, მაგრამ ისინი იქნებიან აქ, როდესაც თქვენ მოხვალთ და მაშინ ჩვენ თქვენთან ერთად და ჰუნებთან შეკავშირებით დავამარცხებთ მტერს; ამასთანავე მე მგონია, რომ ჰუნების მოსვლის შემდეგ ჩვენ არ

დაგეჭირდება ომის წარმოება, რადგანაც ჰუნები თვითონ დაამთავრებენ საქმეს; ჩემი განკარგულებით ისინი ჩამოვლენ დიდი რაოდენობით".

რადგანაც სპარაპეტ ვაჰან მამიკონიანს და ყველა სომეხ მხედართმთავრებს და ნახარარებს მიცემული ჰქონდათ ვახტანგისათვის ჯვარსა და სახარებაზე ერთგულების ფიცი, ამიტომ სომხები დაუყოვნებლივ გაემართნენ მეფე ვახტანგთან. ისინი დაბანაკდნენ კანგარის ოლქში. "აქ მეფე ვახტანგი, ტენდენციურად განაგრძობს ლაზარე ფარპელი, ატყუებდა მხედართმთავარს ვაჰან მამიკონიანს და სხვა სომეხ სარდლებს ცრუ სიტყვებით და მოხერხებული ფანდებით. ხან ის ამბობდა, რომ მიჰრანი თქვენი მოსვლის შესახებ ცნობის მიღებისთანავე გაიქცა ქართლის საზღვრებიდან და შიშით შეპყრობილი დაიმალა ალბანების ქვეყანაში, ხან ის ამბობდა – კიდევ ორი დღე და ჰუნების ჯარები მოვლენო; როდესაც ასეთი ცრუ საშუალებით დანიშნული ორი დღეც გავიდა, მაშინ ვახტანგი ამართლებდა ჰუნების დაგვიანებას სხვადასხვა საბაბით... ხანდახან ის აგზავნიდა მეომრებს ქართველების და სომხების ჯარიდან როგორც მსტოვართ (მზვერავებად) და ბრძანებას აძლევდა მათ ჩასულიყვნენ ველად, იქ დაენთოთ ბევრი ცეცხლი და ხის ღერძები შეემოსათ შეიარაღებული ადამიანების მსგავსად იმ ხერხის თანახმად, რომელსაც თავის დროზე მიმართავდა ალექსანდრე მაკედონელი. ხანდახან კიდევ ის ამბობდა: ჰუნების ჯარი უკვე არ გადმოვა მთებზე; ისინი მეუბნებიან – "მოიყვანე აქ ველად სომხები და გვიჩვენე ისინი, მაშინ ჩვენ დავუჯერებთ შენ სიტყვებს, დადებულს ფიცის დროს და შეასრულებთ, რასაც გვიბრძანებთ; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არა ვართ დარწმუნებულნი, რომ სომხები იმყოფებიან ჩვენთან თანხმობაში; თუ მართლაც ჩვენ დავინახავთ, რომ შენ შეასრულე ეს ჩვენი სურვილი, მაშინ გაგვიშვი სპარსელების წინააღმდეგ და მეტს თავს ნუ შეიწუხებ". ამგვარად, უკეთუ თქვენ არ წამოხვალთ ბარად, ჰუნები არ დაუჯერებენ ჩემს სიტყვებს და არ დასტოვებენ თავიანთ ადგილებს, მიჰრანი დაბრუნდება და ააოხრებს ქართლს და მაშინ რა სიკეთეს მომიტანს თქვენი დახმარება-ო.

"სომხების ჯარი, განაგრძობს ლაზარე ფარპელი, ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული ქართველების მეფესთან და ამიტომ ცდილობდა შეესრულებინა ყველა მისი თხოვნა, როგორც სამართლიანი, ისე აგრეთვე ცრუ საფუძვლის მქონეც, რადგანაც შიშობდა ცოდვის ჩადენას სახარების წინაშე. თუმცა დრო იყო სიცხიანი, მაგრამ სომხები მაინც იძულებულნი გახდნენ ჩამოსულიყვნენ ჭარმანაის ველად.

ზოგიერთი სომეხი ნასარართაგანი არ სთვლიდა აზრიანად სომხების ჯარის საქართველოში შესვლას, რის შესახებ მათ არა ერთხელ განაცხადეს კიდეც, მაგრამ მათ არ მოუსმინეს და ამიტომ ისინი გაჩუმებული იყვნენ" (III, 73).

არ გაუვლია ამის შემდეგ სამ თუ ოთხ დღეს, რომ მოვიდა სპარსელების ჯარით მიჰრანი და დაბანაკდა სომხების ბანაკის პირდაპირ მდ.მტკვრის მეორე ნაპირას.

სპარსელების ჯარს შეეძლო ქართველების ტერიტორიაზე შემოსვლა იმგვარად, რომ მტკვრის ერთ ნაპირას დაბანაკებულ სომხურ ჯარს დაპირისპირებოდა იმავე მდინარის მეორე ნაპირას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ჯარი მიჰრანით სათავეში გადმოლახავდა ჰერეთს და კუხეთს. მაშასადამე, ჭარმანაინის ველი, სადაც სომხები დაბანაკდნენ, საგულისხმებელია ყარყუთას სამხრეთით ამ ყარყუთიდან (სოლანლუხიდან) ვიდრე სანგრის გორამდის და მტკვრამდის. სპარსელების ჯარი აღმოსავლეთიდან სართიჭალაზე გამოვლით მოსული მიმდგარი იქნებოდა ყარყუთას გაღმა მხარეზე. სახელი ჭარმანაინი ამჟამად არ ჩანს.

სპარსელების ჯარის მოსვლის შემდეგ სომხების ჯარი გადაბარგდა სხვა ადგილას, რომელიც საკმაოდ დამორებული იყო სპარსელების ბანაკს და იქ მოთავსდა. ღამე სომხების ბანაკის ზოგიერთმა მეომარმა "საიდუმლოდ გააგზავნეს თავისი წარმომადგენლები იმ თავის მეგობრებთან, რომელნიც მსახურობდნენ სპარსელების ჯარში და აცნობეს მათ შემდეგი: "ჩვენ ჩაბმული ვართ ამ საქმეში არა ჩვენი სურვილით, არამედ სომხეთის სპარაპეტის ვაჰანის ძალადობით. ჩვენი გული და ჩვენი აზრები სრულ თანხმობაშია თქვენთან.– უკეთუ თქვენ მისცემთ ჩვენს საქციელთ დავიწყებათ და გვაპატიებთ, მაშინ შეგიძლიათ გვომსახუროთ თქვენი სურვილისამებრ; ხვალ, როდესაც გამოვალთ ბრძოლის ასპარეზზე, ჩვენ გავიქცევით ჯარიდან და ჩვენთან ერთად გაიქცევა ბევრიც".

"სპარსელებმა მიიღეს ეს წინადადება".

"ქართველების მეფე ბრძოლის ასპარეზზე მოსვლისას ეთათბირებოდა სომხების სპარაპეტს ვაჰანს და სომეხთა უფროსებს და ნახარარებს და ეუბნებოდა მათ: "ეს არის ჩვენთვის კარგი შემთხვევა, რომ შევებრძოლოთ სპარსელებს, რადგანაც ისინი ვერ შესძლებენ მხოლოდ ჩვენთვისაც რაიმე წინააღმდეგობის გაწევას; ხოლო უკეთუ ჩვენ კიდევ

ერთ დღეს დავიგვიანებთ, მაშინ მოელენ ჰუნები, ისინი წაგვართმევენ გამარჯვების სახელს და წაიღებენ თან ნადავლის უკეთეს ნაწილსაც".

"ასეთი საშუალებით, წერდა ლაზარე ფარპელი, უკანასკნელ მომენტამდის ვახტანგს შეცდომებში შეყავდა სომხების უფროსები თავისი არამართალი სიტყვებით. სომხების სპარაპეტი მიმხედარი იყო ქართველების მეფის სიტყვების არასერიოზულობას და სიცრუეს. მან აგრეთვე შენიშნა, რომ სომეხი მეომრების განწყობილება უკვე დაცემული იყო... მაინც სპარაპეტმა განაწყო თავისი ჯარი საბრძოლველად. მარჯვენა ფრთა მან მიანდო ბარსეგ ვაჰეუნის და სატონ გაბელიანს, მარცხენა ფრთა კი ქართველების მეფეს, ხოლო თვითონ დადგა შუაში... თავის თავსა და ბარსეგს შორის მან დააყენა ცხენოსანი ჯარის უფროსი საკი და ბაბგენ სიუნიელი. მებრძოლი მხარეები ჯერ არ იყვნენ ჩაბმულნი ბრძოლაში და ორივე ჯარი — სომხებისა (იგულისხმება ქართველებითურთ) და სპარსელებისა განაგრძობდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ დგომას საბრძოლველ მწყობრში".

"სომხებმა (ქართველებით) და სპარსელებმა, განაგრძობს ლაზარე ფარპელი, შეუტიეს ერთმანეთს. სომხების სპარაპეტმა ვაჰანმა სამი ძმით კამსარაკანებით სათავეში დაამარცხა მტერი. მათ გაფანტეს მოწინააღმდეგე და გააქციეს ის, ასე რომ სპარსელების ჯარის დიდმა ნაწილმა უშველა თავს მტკვრის მეორე ნაპირას..." შემდეგ უცბად სომხების და ქართველების მთელმა ჯარებმა იწყეს ცხენების ჭენებით გაქცევა. ამასთანავე ზოგიერთნი ამ მოღალატეთაგანი "ყვიროდნენ: სომხები გაიქცნენ, თავს უშველოთო... სომხების მთელი ჯარი და მშიშარა ქართველი მეომრები მათი მეფე ვახტანგითურთ გაიქცნენ და გაიფანტნენ. სპარსელების მეომრები მათ გამოედევნენ და ბევრი მათგანი დახოცეს, ბევრიც სიკვდილის თავიდან ასაცილებლად გაიქცა სხვადასხვა ადგილას" (III, 74). ზოგიერთი წარჩინებული სომხები და ქართველები მოყვნენ ტყვედ. "სომხების სპარაპეტმა ვაჰან მამიკონიანმა დაიხია რამოდენიმე ხნით ტაოს ციხეში, სადაც მის გარშემო შეიკრიბნენ გაქცეულ სომეხთა ნაშთნი სხვა მთავრებთან ერთად...

"შიჰრანი თავისი ჯარით გამოედევნა მათ. ის ცდილობდა დაეხოცა ისინი რომელიმე ბრძოლაში ან რაიმე საშუალებით შეეპყრო ტყვედ ანდა, ბოლოს, აიძულებინა ისინი დამორჩილებაზე" (III, 75).

შემდეგ გაზაფხულზე სომხეთში დიდი ძალებით მოულოდნელად შემოვიდა სპარსელების მხედართმთავარი ზარმიჰრ ჰაზარავუხტი (III, 78); და თავისი ჯარით დადგა ბასიანში. აქ "მას მოუვიდა მეფის კარისა-

გან შიკრიკი წერილობითი ცნობით თვით მეფე პეროზისგან იმის შესახებ, რომ პეროზი თვითონ მიემართება ახალ ლაშქრობაში ეფ-ტალიტ ჰუნების წინააღმდეგ, მას კი ევალება წავიდეს ქართლში და მოჰკლას ან განდევნოს იქიდან მეფე ვახტანგი. ამასთანავე მას უნდა გადაეცა სომხეთის მმართველობა მარზპანის თანამდებობით მიჰრანის გვარის წევრის შაპუჰისათვის და დაეტოვებინა მის განკარგულებაში ჯარის ნაწილი (III, 79).

"ჰაზარავუხტმა ამ ბრძანების მიღებისთანავე დასტოვა სომხეთში შაპუჰი სპარსელების ცხენოსანი ჯარით და რჩეული მეომრებით. მასთან დააყენა აგრეთვე სიუნიის მთავარი გედეონი სიუნიის მთელი ჯარი-თურთ და თვითონ კი საჩქაროდ წავიდა ქართლისაკენ.

"ქართლში ჩასვლის შემდეგ ჰაზარავუხტი შეეცადა შეექმნა თავის მომხრეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. მან შემოიკრიბა თავის გარშემო ყველა მოღალატენი, რომელთაც დასტოვეს მეფე ვახტანგი, დაარღვიეს სახარებაზე დადებული ფიცი და გადავიდნენ მის მხარეს. ხოლო ისინი, ვინც მეფეთა მეფესთან (ე.ი. სპარსელების მთავრობასთან) თანხმობაში იყვნენ, აგრეთვე შეუერთდნენ მას. ის დაჰპირდა ზოგიერთებს მეფობას, სხვებს კიდევ თანამდებობათა და პატივების (ე.ი. ქართული ტერმი-ნოლოგიით, "კეთილთა და დიდებათა" მიცემას), მესამეებს კიდევ მათ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. მან შეკრიბა ქართლში (თავის გარშემო) დიდი რაოდენობის პირნი და შექმნა მათგან ჯარი" (III, 80).

ამ ცნობიდან ჩანს, რომ სპარსელების მხედართმთავარს გა-მოუძებნია ქართველებს შორის მეფობის კანდიდატიც. ცხადია, ეს იქნე-ბოდა თვით ქართველ სასანიანთა დინასტიის წევრთაგან. ჯუანშერი ამ დინასტიიდან იხსენიებს კახეთის მთავართ მირიანს და გრიგოლს, რო-მელთაც რეზიდენცია ჰქონდათ რუსთავში (გვ. 159). როგორც ეტყობა, ერთ-ერთი მათგანი ან მათი შვილთაგანი ახლა სპარსელების მიერ გამ-იზნული იყო ვახტანგის მაგივრად ქართლის მეფედ. ერთი სიტყვით სპარსელების მხედართმთავარი ენერგიულად შესდგომია ქართველებისა-გან სპარსელების მომხრე პარტიის შექმნას ჯარითურთ.სპარსელების მხარეზე გადასულა როგორც წარჩინებულთა ანუ დიდი აზნაურთა, ისე წვრილ აზნაურთა და მსოფლიონთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (პირველნი ალბათ ისინი, რომელთაც ჰაზარავუხტი "კეთილთა და დიდე-ბათ" პირდებოდა, მეორეთ კიდევ "მათი საჭიროებათა დაკმაყოფილებას" აღუთქვამდა.

"როდესაც მეფე ვახტანგმა დაინახა, განაგრძობს ლაზარე ფარპელი, რომ მას თავისიანებმაც უღალატეს, დასტოვეს ის და გადავიდნენ ჰაზარავუხტის მხარეს, რომ სომხებს თავისი მხრით არ შეუძლიათ დახმარების გაწევა, რადგანაც თვითონაც ამ დროს საშიშროებაში იმყოფებოდნენ, მან დასტოვა ქართლი და ამხანად გაიქცა ეგერაში" (ეი. ეგრისში; III, 80).

ამგვარად, ქართლის სამეფოს აღმ. ნაწილი მოპყვა სპარსელების ხელში.

115. პეროზ მეფის დამარცხეება თეთრი ჰუნების მიერ (484 წ. გაზაფხ.).

როგორც მოხსენებული იყო, სპარსეთი პეროზ მეფის დროს დიდ აქტივობას იჩენდა შუა-აზიის თეთრი ჰუნების მიმართ, რომელნიც თავის მხრივაც, საეჭვოელია, არ ასვენებდნენ სპარსეთის საზღვრებს, თუმცა ბრალს არევდარევის საკითხში წყაროები უფრო პეროზ მეფეს სდებენ. პირველ გამარჯვებათა შემდეგ (474 წლ.ახლ.) სპარსეთი 482 წლის ახლოს კვლავ გადადის შეტევაზე ეფთალიტი ჰუნების სახელმწიფოს მიმართ. ამ შეტევას თურქული ტომების კავშირი სათანადოდ მომზადებული შეხვდა, რის გამო სპარსეთის ჯარი სასტიკად დამარცხდა იმდენად, რომ თვით პეროზ მეფე ტყვედ ჩავარდა (ამხანად უკვე მეორეჯერ). ის იძულებული გახდა დათანხმებულიყო ზავის დადებას დამამცირებელი პირობებით. სპარსეთს თავისი მეფის გამოსასყიდად უნდა გადაეხადა 30 ჯორის საპალნე ვერცხლის ფული. ყოველგვარი ზომების მიუხედავად, ჯორის ოცი საპალნის მეტი ვერცხლის ფულის შეკრება არ მოხერხდა. ჰუნების მეთაური ხელმწიფე მაინც დასთანხმდა პეროზის განთავისუფლებაზე, მაგრამ დარჩენილი 10 საპალნის წილად მას უნდა დაეტოვებია უფლისწული კობადი (მომავალი მეფე). სპარსეთის მოსახლეობას სპეციალურად გააწერეს ახალი სათავო გადასახადი, ფული შეკრიბეს და ამგვარად დაიხსნეს კობადიც.

პეროზი ვერ ინელებდა ამ მარცხს და დამცირებას, და ის კვლავ შეუდგა მზადებასჰუნებთან ანგარიშის გასასწორებლად. ჯარები იკრიბებოდა საიდუმლოდ, მთელი ლაშქრობა ეწყობოდა წარჩინებულებთან შეუთანხმებლად. აქედან ჩანს, რომ თუმცა წარჩინებულთა (მოხუცებულთა) კრებას ჰქონდა დიდი უფლებები, მაგრამ მეფესაც შეეძლო კრების შეუკითხავად უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი მიეღო. მას თან ახლდა თავისი შვილების უმეტესობა. ლაშქრობა

ორბელიანი, მიხ.ასორი) ადასტურებენ, რომ ვალარშმა შეაჩერა ქრისტიანობის შევიწროება და გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით ყველას უფლება მიეცა ჰქონოდა თავისი სარწმუნოება და არავის არ აიძულებდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობაში გადასვლას. გარდა ამისა შეიცვალა პოლიტიკა ა/კავკასიის მიმართ. ალვანეთის სამეფო 30 წელიწადია გაუქმებული იყო და ამ სამეფოს პრეტენდენტი უკვე გარდაცვალებული ვარე მეფე-ყოფილის ძმისწული ვაჩაგანი მისთვის მიცემულ საუფლისწულოში ცხოვრობდა. ეს ვაჩაგანი გამოცხადებულ იქნა მეფედ. პოლიტიკის ასეთმა შეცვლამ გააუარესა ქართლის მეზობლად გარდაბანში ჩამოსახლებული სპარსელი ტომების მდგომარეობა, რადგან ისინი ახლა უმთავრესად თავისი ბედის ანაბარად დარჩნენ. მათი მმართველი მიპრი უკვე მომკვდარიყო და მისი შვილი არმაელ იძულებული გახდა ასე თუ ისე მორიგებოდა ალვანეთის მეფეს.

ასეთ პირობებში ვახტანგიც ჩამოვიდა ქართლში და შეუდგა თავის საქმიანობას. სპარსელების მთავარსარდალიც ჰაზარავუხტი თავისი ჯარით გავიდა ქართლიდან.

ამის შემდეგ ვახტანგი საერთოდ გადადის შეტევაზე, როგორც საფიქრებელია ქართლის სამეფოს მოსაზღვრე, სპარსეთის მონარქიის ჩრდილოეთი კუსტის წინააღმდეგ.

"უწყება ქართლის მეფეთა" გადმოგვცემს, რომ ვახტანგ გორგასალმა "სძლო სპარსთა და დაიმორჩილნა, რამეთუ იყო საზარელ და გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქუეყანასა" (საისტორიო ძიებანი, გვ.172). ვახტანგს შეეძლო დაემორჩილა ქართლის მეზობელი რანის ანუ არანის სპარსელები, იგულისხმება მიპრის, უფრო მისი შვილის მეთაურობის ქვეშ მყოფნი. ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავისი მეფობის ბოლო წლებში ვახტანგი გადადის შეტევაზე და იმორჩილებს არმაელს, რომელიც დატოვებულ იქნა გარდაბნის მფლობელად. ამის შემდეგ ვიდრე ვახტანგის სიკვდილამდის არანი გარდაბანითურთ ქართლის სამეფოს ხელქვეითად ითვლებოდა. სპარსეთის მეფის ვალარშაკის მართებლობა, როგორც ჩანს, შეურიგდა ამ მდგომარეობას. მალე მოხდა ვახტანგისა და სპარსეთის მართებლობის შორის მორიგება, როგორც ჩანს იმ საფუძველზე, რომ ქართლის სამეფო კვლავ დარჩა სპარსეთის ვასალურ დამოკიდებულებაში, მაგრამ სამაგიეროდ სპარსეთმა აღიარა ვახტანგის ძალაუფლება გარდაბან-არანზე.

ორბელიანი, მიხასორი) ადასტურებენ, რომ ვალარშმა შეაჩერა ქრისტიანობის შევიწროება და გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით ყველას უფლება მიეცა ჰქონოდა თავისი სარწმუნოება და არავის არ აიძულებდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობაში გადასულას. გარდა ამისა შეიცვალა პოლიტიკა ა/კავკასიის მიმართ. ალვანეთის სამეფო 30 წელიწადია გაუქმებული იყო და ამ სამეფოს პრეტენდენტი უკვე გარდაცვალებული ვაჩე მეფე-ყოფილის ძმისწული ვაჩაგანი მისთვის მიცემულ საუფლისწულოში ცხოვრობდა. ეს ვაჩაგანი გამოცხადებულ იქნა მეფედ. პოლიტიკის ასეთმა შეცვლამ გააუარესა ქართლის მეზობლად გარდაბანში ჩამოსახლებული სპარსელი ტომების მდგომარეობა, რადგან ისინი ახლა უმთავრესად თავისი ბედის ანაბარად დარჩნენ. მათი მმართველი მიჰრი უკვე მომკვდარიყო და მისი შვილი არმაელ იძულებული გახდა ასე თუ ისე მორიგებოდა ალვანეთის მეფეს

ასეთ პირობებში ვახტანგიც ჩამოვიდა ქართლში და შეუდგა თავის საქმიანობას. სპარსელების მთავარსარდალიც ჰაზარავუხტი თავისი ჯარით გავიდა ქართლიდან.

ამის შემდეგ ვახტანგი საერთოდ გადადის შეტევაზე, როგორც საფიქრებელია ქართლის სამეფოს მოსაზღვრე, სპარსეთის მონარქიის ჩრდილოეთი კუსტის წინააღმდეგ.

"უწყება ქართლის მეფეთა" გადმოგვცემს, რომ ვახტანგ გორგასალმა "სძლო სპარსთა და დაიმორჩილნა, რამეთუ იყო საზარელ და გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქუეყანასა" (საისტორიო ძიებანი, გვ.172). ვახტანგს შეეძლო დაიმორჩილა ქართლის მეზობელი რანის ანუ არანის სპარსელები, იგულისხმება მიჰრის, უფრო მისი შვილის მეთაურობის ქვეშ მყოფნი. ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავისი მეფობის ბოლო წლებში ვახტანგი გადადის შეტევაზე და იმორჩილებს არმაელს, რომელიც დატოვებულ იქნა გარდაბნის მფლობელად. ამის შემდეგ ვიდრე ვახტანგის სიკვდილამდის არანი გარდაბანითურთ ქართლის სამეფოს ხელქვეითად ითვლებოდა. სპარსეთის მეფის ვალარშაკის მართებლობა, როგორც ჩანს, შეურიგდა ამ მდგომარეობას. მალე მოხდა ვახტანგისა და სპარსეთის მართებლობის შორის მორიგება, როგორც ჩანს იმ საფუძველზე, რომ ქართლის სამეფო კვლავ დარჩა სპარსეთის ვასალურ დამოკიდებულებაში, მაგრამ სამაგიეროდ სპარსეთმა აღიარა ვახტანგის ძალაუფლება გარდაბან-არანზე.

117. ვახტანგის სიკვდილი.

მოქც. ქართლისაის ქრონიკა სდუმს ვახტანგის სიკვდილის შესახებ, უწყებულება ქართლის მეფეთა შესახებ კი მოკლედ ამბობს, რომ ვახტანგი "მოიკლა სპარსთა ბრძოლასა შინა მონა ყოფილისაგან მისისა". ამ მონამ იცოდა, რომ ვახტანგის ჯავშანს ჰქონდა განახვევი იღლიის ქვეშ და როდესაც ვახტანგმა ბრძოლის დროს ამართა ხმალი დასაკრავად, "მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუეშე და მით მოკლა". უწყებულების ავტორი იქვე უმატებს: "ქრისტესთჳს იწამა ქრისტეს მოყვარე იგი მეფე"-ო (საისტ.ძიებანი, გვ.172).

ჯუანშერის ცნობით, ვახტანგი და სპარსთა მეფე იბრძვიან უზარმაზარი ჯარებით. ვახტანგი ბრძოლის დროს შეიჭრა სპარსთა მეფის კარავში, მეფემ გასწრო მას ცხენით, მაგრამ მისი შვილი კი ვახტანგმა მოკლა და მოსჭრა მას თავი. აი მაშინ "მუნ შინა, (ე.ი. კარავში) სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისასა". ვახტანგმა მაინც მოიგო ომი, მაგრამ რადგან ისარმა მას ჭრილობა მიაყენა ფილტვამდის, ამიტომ ვახტანგი მაინც გარდაიცვალა (გვ. 201-204).

ჯუანშერის ამ თხრობაში ერთმანეთთან არეული უნდა იყოს ორი სხვადასხვა წყაროს ცნობა და ორი ზეპირგადმოცემითი ამბავიც: 1) სპარსთა მეფის შვილის მოკვლის შესახებ და 2) ვახტანგის დაჭრის შესახებ ბრძოლაში. პირველი ამბავი როგორც ზემოთ ნაჩვენები იყო გულისხმობს პადოსპან ხვასროს შვილის პიტიახშ ვარსქენის მოკვლას.

ფარსადან გიორგიჯანიძეს ვახტანგის სიკვდილის შესახებ მოცემული აქვს სულ სხვა ვერსია, რომელიც არსებითად განსხვავდება მატიანის ვერსიისაგან. ვახტანგი კარგად "გასწყობოდა" უჯარმას და ზამთრობით იქ დგებოდა ნადირობის მიზეზით, რადგან ირგვლივ ყოველგნით კარგი სანადირო ადგილები იყო — გარესჯა, მტკვრის პირი, ირრს გაღმართ-გამოღმართი, მთა და ბარი. ზაფხულობით ის ადიოდა თრიალეთს და "მოყვრობით ერანის ჯელმწიფეს ემსახურებოდის. ორჯერ ერანის ჯელმწიფეს ულაშქრა, ერთხელ ინდოეთს ზედან, მეორეთ მისრეთს ზედან (აქ იგულისხმება, როგორც ჩანს, ვახტანგის მონაწილეობა ბერძნებთან ომში). ერანელნი მამაცობისათვის გურგასლანს ეძახდნენ — გურგ მგელსა ჰქვიან და ასლანი ლომსა. გულადა და მამაცობით როსტომისათვის შეუდარიათ. ნამქრალ და მშვენებით ყოველს მამაცისათვის უკობნებიათ". მანამდის, განაგრძობს ფარსადანი, თურქის სახელი საქართველოში არ მოიხსენიებოდა. მის დროს გამოჩნდა თურქების დიდი ლაშქარი და ულუსი, რომელიც გამოვიდა ყივჩაღის დამტით

(ველით) და დარუბანდის გზით. ჯერ დაიზამთრეს მდ. თერგის შესართა-ვიდან დაწყებული შაბრანამდის და ბაქოს გარემო მხარეშიც. მეორე ზამთარს თურქნი წამოვიდნენ და არბევდნენ შირვანის და არანის ქვეყნებს, ეი. მტკვრის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე მხარეებს. შემდეგ მიაღწიეს მდ. ალაზან-იორს გაღმა-გამოღმართ ქვეყანაში, აქ კვლავ დაიზამთრეს. "მრავალჯერ შეება ვახტანგ გორგასალი თურქთა, ვისაც მისწვდა, ცოცხალი ველარ მოურჩა, თურქნი შეჯერდნენ ვახ-ტანგის ომსა (ეი. ველარ ბედავდნენ მასთან შებრძოლებას). თითო-ოროლა ველარ შემოებმოდნენ, მაგრამ (არამედ) ბევრი ბაჰადურები (ბუმბერაზნი) თურქთა ერთგან შეიყრებოდნენ. რა იციან (რომ იც-ნობდნენ), რომ ვახტანგ მეფე არის, ერთ პირად (ერთად) მიუხდებოდნენ და ისარს დაყრიდნენ, ვითარც წვიმასა და ჯაჭვს ვერ გაუტეხდიან და ვისზედაც (ვახტანგმა) მიმართოს, თუ არ ცხენის სიფიცხით (ეი. გაქცევით) ცოცხალი ვერ მოურჩებოდნენ". ეს იყო მიზეზი, რომ ვახ-ტანგის შიშით თურქები გარესჯას ველარ გასცილებოდნენ.

ვახტანგს ჰყავდა ერთი მეამჯრე, რომელიც ნადირობის დროს შემთხვევით თავისიანებს ჩამორჩა. მიფარებულმა თურქებმა ის შეპყრეს და მას ვახტანგის ასეთი მამაცობისა და უშიშრად ომში შესვლის მიზეზი გამოკითხეს, მან უპასუხა: "თავად (ვახტანგი) ნამეტნავად ჯელძლიერი არის და ფიცხელი და ჩაუქი (ცქვიტი) არის და გუნება აქვს გაბედულიო; მამაცობაში მეომართაგან გაუდრეკელი არის, ქვეითად და გინდა ცხენსაზედა მოღალვა არ იცისო. მერმე ჯაჭვის იმედიცა აქვს, ამით უფრო შეპბედავსო. მერმე თურქთ გამოკითხეს: ამდენს ისარს რომ დავაყრით და ჯაჭვს ვერ გაუტეხთ, რისგან აქვს ამ რიგი სიმაგრეო. მან ასრე უპასუხა: ქართველნიც გაკვირვებულან იმ ჯაჭვის სიმაგრისა, მა-გრამ ვერ გაუგიათ-რა. გინდა ის ჯაჭვი წყალში იდვას, გინდა ტალახში სამუდამოდ ეგდოს, არც ჟანგი მოეკიდების და არც ფერს იცვლის და არცა სული აქვს რკინისა; მაგრამ მეფის მრავალჯერ ჩაცმისაგან ორგნით იღლიები ოფლს წაუსდენია; მეფესაც იქიდან ერიდებისო". ფარ-სადანის სიტყვით, ბაჰადურებმა დაიმახსოვრეს მეამჯრის სიტყვები და შეთანხმდნენ ერთმანეთთან: "რა მეფე ვახტანგ ომს მოსრული ნახონ, ყველანი ერთგან მიუხდენენ, ქამადარნი (იგივე ჩუბანი, ნიშნავს ისრის უცდომლად მსროლელს) და მარჯვეთ მსროლელნი, ისარნი იღლიას დააყარონ". ამის შემდეგ თურქნი უფრო გაბედულად იქცეოდნენ, გარე-ჯის ველს გასცდნენ და წააწყდნენ ვახტანგს, რომელიც ცოტა კაცით იორის პირს ნადირობდა. "ეს ამბავი სწრაფად მოდარაჯე თურქთ ბა-

ჰადურთ შეატყობინეს. ამათაც ომშიგან ნაცადნი კაცნი გამოარჩივეს, უეჭვოს გზით მეფეს მიუხდნეს სწრაფად. ნახა მეფემ მდგომარეობამან თურქთ მაზედ მოტეეულნი. წინ გარდეეგება მეფე უშიშრად და შეიქნა ძლიერი ომი და ძალიანაც კმლის ცემა. მეფემან მარტომან მრავალნი თურქნი ცხენისაგან გარდმოჰყარა, ზოგნი დაჰხოცა, ზოგნი გაიქცეს. მეფეს ეს აღარ ეგონა, თუ აქ სადმე კიდევ თურქნი წამოეწივნეს. მეფე დაუბრუნდა, შეიქნა ომი და მეფემ სამნი თურქნი მოაკვდინა. მიწევაში მეფეს იღლიას სამი ისარი ჰკრეს და ჯაჭვი გაუტეხეს, ძალზედ დაჰკოდეს და ისრის მკერელნი თურქნი მეფის ყმებმან დახოცეს და მეფე დაჭრილი უჯარმას მოვიდა და მრავალს ეცადნეს და ისრის პირი ამოართვეს. და მრავალი წამალი უყვეს, მაგრამ ურგები იყო წამალი და ამ დაკოდილობით მიიცვალა და ,ელმწიფურის ,წესითა მცხეთას თავის აგებულს მონასტერში საფლავს მიიღეს კარგის წესითა" (საისტორიო მოამბე, 1925, 11, გვ. 200-201).

ამ ცნობებში ლაპარაკი უნდა იყოს თურქული ტომების თავდასხმებზე მდ.ირის მხარეზე.

ბრძოლა ვახტანგს, ჯუანშერის სიტყვით, ჰქონდა კლდის (ადგილის სახელია ახლაც) ახლოს დარფაკას ციხე-ქალაქთან (გვ.201). გ. ლეონიძის მიერ ადგილობრივად შეკრებილი ცნობებით, ამ სახელების მიხედვით ირკვევა, რომ ბრძოლა ყოფილა 17 კილომეტრზე უჯარმიდან ახლანდელი სართიჭალის სამხრეთ-აღმოსავლეთით. როგორც ზემოთ ნაჩვენები იყო, ქართველების მხრივ ამ ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდა 248 კაცი და მათ წინააღმდეგ კი იყო — 748 კაცი.

გ.ლეონიძის მიერ უჯარმისა და მის არეში შეკრებილ გადმოცემათა შეკამებიდან ირკვევა, რომ ვახტანგის მკვლელი იყო ჯავახი, სახელით ლაზო, რომელიც მისი მოკვლის შემდეგ გადაიხიზნა ჯავახეთში. ეს ჯავახი იყო კარგი მიწათმოქმედი (გუთნის დედა იყოო, ამბობს გადმოცემა შემდეგდროინდელი ტერმინის გუთნის ხმარებით) და თითქოს ამის შემდეგ უჯარმას მოაკლდა პურის მოსავლის ბარაქა (ეს მხარე საერთოდ მწირია).[42] ამ გადმოცემაში გაკმოსჭვრეტის ხალხის სიმპათია კარგ მიწათმოქმედ ჯავახისადმი, რომლის მოშორება ვითომ მეტად საზიანო აღმოჩნდა უჯარმისათვის. გადმოცემას თან ერთვის ზღაპრული დეტალები ამ ჯავახის ინტიმური დამოკიდებულების შესახებ ვახტანგის

---

[42]. შდრ. კიდევ უჯარმის მხარეში ჩაწერილი გადმოცემები გაზ. "დროება", 1885, N 25; "შოგზაური", 1901, N 3, გვ. 221-224.

ცოლთან, მაგრამ აქაც გადმოცემის ტენდენციურობა (რაც არ გამორიცხავს ჯავახის ინტიმურ დამოკიდებულების შესაძლებლობას კარის რომელიმე ქალთან) აამკარავებს ხალხის უარყოფით შეხედულებას კარის, ეი. მაშინდელ ხელისუფალთა მიმართ. თვით ვახტანგი კი ამ ამბავში თვითონაც პიროვნულად დაჩაგრული გამოდის. კარის პოლიტიკისადმი მტრული განწყობილების ატმოსფეროში შესაძლებელი იყო ასეთი გადმოცემის წარმოშობაც. ეს აამკარავებს ერთს – ხალხის გარკვეული ფენის თუ ფენების მწარე უკმაყოფილებას ვახტანგის ხელისუფალთა მიმართებით შინაური საქმეების იმ მონაკვეთზე, რომელიც უშუალოდ ამ ფენების ინტერესებს ეხებოდა.

ამ შენიშვნის შემდეგ ხსენებული ვერსიებიდან შეიძლება ვახტანგის ძალადობითი სიკვდილის სურათი აღდგენილ იქნას შემდეგნაირად.

ვახტანგი სასიკვდილოდ დაჭრილ იქნა შეთქმულების შედეგად. ვახტანგი თვითონაც საუცხოო მეომარი იყო და გარდა ამისა მას, მისი მდგომარეობის გამო, მუდამ ერთგული მცველები ეყოლებოდა. ამიტომ მისი მოკვლა ძნელი იყო. ამის შესრულება იკისრა ჯავახმა. მისმა ყოფილმა მონამ (ეი. მონობისაგან განთავისუფლებულმა). სარწმუნოებით ის ცეცხლთაყვანისმცემელი ანდა ცეცხლთაყვანისმცემლობასთან ახლოს მდგომი უნდა ყოფილიყო. ამიტომ წერილობით წყაროებში ის სპარსად იხსენიება. ამ მიზეზით წარმოიშვა ვერსია, რომლის მიხედვით ვახტანგი დაჭრილ იქნა სპარსელებთან ომში (ჯუანშერმა ამაზე ააგო თავისი თხრობა). იყო ვახტანგის ყოფილი მეაბჯრე და ამიტომაც მან იცოდა, რომ ვახტანგის ჯაჭვს იღლიის ქვეშ ჰქონდა განახევი. თავისი განაზრახი ჯავახმა შეასრულა სპარს-ხაზარების რაზმთან ქართველების შებრძოლების დროს. ვახტანგი გარდაიცვალა წულულებისაგან უჯარმის ციხეში. ცნობა ამის შესახებ აქვს თამარის პირველ მატიანეს (ქცხოვრ., II, გვ.17).

ჯუანშერს მოკლედ აღწერილი აქვს გლოვა ვახტანგის სიკვდილის გამო: "მაშინ წარჩინებულთა და ყოველსა ერსა ზედა დღე იყო სასჯელისი და იტყებდეს ყოველნი თავთა თჳსთა, ისმიდეს ნაცარსა და ყოველნი ინატრიდეს სიკუდილსა თავისა თჳსასა; და კმისაგან ტირილისა და გოდებისა იძრვოდა ქუეყანა და მორწმუნე ერი (ეი. ვინც ქრისტიანი იყო).ნატრიდა მეფესა, რამეთუ ქრისტესათჳს მოიკლა. და მოკუდა ვახტანგ" (გვ.204).

ვახტანგის გარდაცვალების თარიღად ეგრეთ წოდებულ აფხაზთა მეფეთა ქრონიკაში ნაჩვენებია 155 წელი. V ს-ნეში ქართველებში წელთსათვალაეად მიღებული იყო ქართლის მოქცევა.

ქართლის მოქცევის ანუ ქრისტიანობის ჩვენში ოფიციალურად დამკვიდრების წელიწადად მიღებული იყო სხვადასხვა თარიღი.[43] 1928 წ. (საისტორიო კრებული, II, გვ.8) მე ასეთ თარიღად ვუჩვენებდი 306 წელს ივლისს. ამჟამადაც სხვა სინქრონისტულ მასალათა გამოყენებით შეიძლება საკმაოდ ზუსტად ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურად დამყარების თარიღად აღებულ იქნეს 306 წლის 20-21 იულისი.

მოქც. ქართლისაის ქრონიკა ანგარიშობს, რომ ქართლის მოქცევიდან ნინო გარდაიცვალა მერვე წელს. ეს ქრონიკა შემდეგში შესწორებულ იქნა და თარიღში დაშვებულ იქნა შეცდომა. სახელდობრ, მოქც. ქ-საის მოღწეულ ტექსტში ნათქვამია, რომ რომის იმპერატორს კონსტანტინეს ქრისტეს ამაღლებიდან (იგულისხმება ქრისტეს დაბადებიდან) სამასმეათე წელს მტრები ერეოდნენ. ამის შემდეგ მე-14 წელს დაბოცილ იქნენ რიფსიმე და მისი ამხანაგები, ხოლო ნინო წამოვიდა ქართველებისაკენ. ქართლს მოსვლიდან მე-15 წელს ნინო გარდაიცვალა 338 წელს. ამგვარად ტექსტში უადგილოდ ჩამატებულია ცნობა რიფსიმეს და მისი ამხანაგების სიკვდილის შესახებ ვითომ 324 წელს, რის გამო ამ ქრონიკაში შეცდომით შესწორებული ქრონოლოგია ნინოს სიკვდილს მიაკუთვნებდა 338 წელს (იგულისხმება 14 იანვარი). ამ მიზეზით ქართლის მოქცევა მოდიოდა (306 წლის ნაცვლად) 330 წლისათვის. განსხვავება არის 24 წელი, ვახტანგის გარდაცვალების თარიღი ამ გადაანგარიშებამდის ნაჩვენები იქნებოდა ქართლის მოქცევიდან (155+24)=179 წელს, რაც უდრის (რადგანაც წელიწადი იულიუსის კალენდარით მარტიდან იანგარიშებოდა) 485 წ. მარტიდან 486 წ. 28 თებერვლამდის.[44]

---

[43]. ვახუშტის თარიღი იყო 317 წ., დიუბუა დე-მონპერესი – 276 წ., მ. ბროსეი – 328 წ., პლ. იოსელიანისა – 318 წ., დიმ. ბაქრაძე ვახუშტის თარიღს იმეორებდა, თ. ეორდანია ასეთ თარიღად 323 წელს სთვლიდა, მ. ჯანაშვილი – აგრეთვე 323 წ., ი. ჯავახიშვილი – 337 წ., კ. კეკელიძე – 355-356 წელს.

[44]. ესევე თარიღი დასტურდება შემდეგნაირად. ჯუანშერი წერს (გვ. 159): "შირიან მეფისითგან ვიდრე ვახტანგ მეფისამდე გარდაცვალებულ იყო ნათქა�რეა (ეარ. ათი) და მეფენი ათნი (ეარ. რვანი) და წელიწადნი ასორმოცდა ჩვიდეტი". აქ იგულისხმება ათი მეფე მირიანის და ვახტანგის ჩათვლით და რეა მეფე მათი გამოკლებით. მირიანი გარდაიცვალა მოქც. ქარლისაის ჭელიმისეული ვარიანტის მიხედვით მოქც. ქართლი-

გლეონიძის მიერ შეკრებილი ხალხური გადმოცემით, ვახტანგი გარდაიცვალა 7 მაისს. პატარძეულში კოპალეს სახელობის პატარა ეკლესიასთან ხალხი 7 მაისს აქამდის იხდის დღეობას.

ამგვარად ვახტანგის გარდაცვალების თარიღად გამოდის 7 მაისი 485 წელისა.[45]

ვახტანგი დასაფლავებულია სვეტიცხოველის საყდარში. უწყებულება ქართლის მეფეთა მესახებ გადმოგვცემს: "არს საფლავი მისი წინაშე სუეტისა ცხოველისა" (საისტორიო ძიებანი, გვ. 172). ჯუანშერი კი აღნიშნავს: "და დაეფლა (ვახტანგი) მცხეთას საკათალიკოსოსა ეკლესიასა შინა სვეტსა თანა, რომელსა შინა არს ღმრთივ აღმართებულისა სვეტისაგან დაპყრობით" (გვ. 204), ეი. სვეტიცხოველისაგან ახლოს და ამ სვეტის მფარველობის ქვეშ (დაპყრობით).

ვახტანგს დარჩა დაჩის გარდა, რომელიც მეფედ იქნა გამოცხადებული, კიდევ ორი ვაჟი — მირდატ და ლეონ ორივე ბერძენ ქალისაგან (ამათგან ლეონი შემდეგ მალე გარდაიცვალა). მამის ანდერძით, მათ უნდა მიეღოთ საგამგებლოდ ერისთავის ანუ ერისმთავრის ტიტულით მთელი სამხრეთი ქართული ქვეყნები, რომელნიც კი მაშინ ქართლის

საიდან 21-ე წელს (გვ. 91), ე. ი. 326-327 წელს. 157 წელიწადის მიმატებით გამოდის ვახტანგ გორგასალის სიკვდილის წელიწადად (327+157)=484 სრული წელი და 485 წლის ნაწილი.

[45]. ვახუშტი ბატონიშვილი ვახტანგ გორგასალის მმართველობის დროს სთვლიდა 446-499 წლებისთვის. მ. ბროსე ეურდნობოდა ვახუშტის თარიღებს. ასევე იყო დმ. ბაქრაძეც. პლ. იოსელიანი ერთ დროს (Жизнеописание святых грузинской церкви, Тифлис, 1850, стр. 50-51, 54-55) ეჭვს გამოსთქვამდა, ხომ არ იყო ვახტანგ გორგასალი ივიე გურგენი, რომელიც სპარსეთის მეფის კობადის დროს გადაუდგა სპარსელებს. ეს დაეჭვება შემდეგში დებულებად აქცია მ. ჯანაშვილმა, რომელიც ვახტანგის მეფობის ხანად სთვლიდა 471-532 წლებს (საქ. ისტორია, 1906 წ.). ივ. ჯავახიშვილი უგულებელ აყოფდა ჯუანშერს, რომელსაც ის, მისი სიტყვით, ვახტანგის ზღაპრული ისტორიის დამწერად სთვლიდა და ლაზარე ფარპელის ისტორიულ ნაწარმოებებზე დაყრდნობით გადმოგვცემდა ვახტანგის მოსსენიებით მის დროინდელ უკანასკნელი ომის ამბავს, რომელსაც ის 483-484 წლს მიაკუთვნებდა. მისი აზრით, ვახტანგი ამის შემდეგაც კარგა ხანს ცოცხალი იყო და ის გარდაიცვალა 502 წლის შემოდგომაზე (ქართ. ერის ისტორია, I, 1928, გვ. 267, ივიე 1951, გვ. 290).

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1943-1950 წლების სიგრძეზე გამოცემულ სახელმძღვანელოში ვახტანგის მეფობა მიეკუთვნება V ს-ნის მეორე ნახევარს წლების დაუსახელებლივ. იმავე ინსტიტუტის მიერ 1958 წელს გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში ვახტანგის სიკვდილის თარიღად 502 წელია ნაჩვენები.

სამეფოში შედიოდა, დაწყებული ტასისკარიდან, ეი. სამცხედან ვიდრე სპერამდის და აგრეთვე მათი დედის მზითვად მოცემული ქვეყანა ეგრისწყალისა (ღალიძგასა) და კლისურას (კელასურას) შორის. ანდერძის შესრულება ვახტანგმა მიანდო წუნდის ერისთავს ნასარს, კლარჯეთის ერისთავს არტავაზს და ოძრახის ერისთავს ბივრიტიანს.

118. ვახტანგის პიროვნება საისტორიო წყაროებში.

თავისი პირადი ღირსებებით ვახტანგი არა-ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ის აღჭურვილი იყო მაშინდელი სახელმწიფო მოღვაწისათვის საჭირო ბევრი დადებითი თვისებებით. ჭკვიანი ადამიანი, ის იყო იმავე დროს კარგი დიპლომატი, რის გამო საჭირო შემთხვევებში ზოგიერთი დათმობით ის ახერხებდა თავისი ქვეყნის გადარჩენას დიდ უბედურებათაგან და იმავე დროს დინასტიის მდგომარეობის განმტკიცებასაც. მისმა დიპლომატიურმა უნარიანობამ უსათუოდ ხელი შეუწყო ქართლის სამეფოს აღდგენას. ფართო კულტურული ზრახვების მქონე. ის ზრუნავდა მშენებლობითი მუშაობათათვის და არ ზოგავდა სახსრებს იმ სამუშაოთა შესასრულებლად, რომლებიც მას საჭიროდ მიაჩნდა. მოქცევაი ქართლისაჲს ქრონიკა მას იხსენიებს როგორც "დიდ ვახტანგ გორგასალს".

ვახტანგი იყო იმავე დროს იშვიათი გოლიათისებური მოყვანილობის და მეტად მამაცი ადამიანი. ჯუანშერით, "იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა და უმშვენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა", რომელ ჭურვილი (შეიარაღებული ჯავშნით) ქუეითი ირემსა მიეწიის, უპყრის რქა და დაიჭირის, და ცხენი ჭურვილი აღიღის მხართა ზედა და მცხეთითი აღვიდეს ციხესა არმაზისასა"(გვ.159). ზოგი რამ აქ უთუოდ გადამეტებულია, მაგრამ ვახტანგის არა-ჩვეულებრივ სიმაღლეს და ღონეს ადასტურებს VIII ს-ნის დასასრულის ქართველი მოკლე მემატიანეც (უწყებულების ავტორი), რომელიც მის შესახებ ამბობს, რომ "იყო (ის) საზარელ და გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქვეყანასა, რამეთუ იყო სიგრძე მისი ათორმეტი მტკაველი და აწცა საცნაურ არს სამოსლისა და აბჯრისა მისისაგან" (საისტორიო ძიებანი, გვ.172). ამ ავტორის დროს ჯერ კიდევ დაცული ყოფილა ვახტანგის აბჯარი და ტანისამოსი, რომელნიც ადასტურებდნენ გორგასალის გოლიათისებური ტანის სიდიდეს. იმ დროს, როდესაც ბრძოლა ხელჩართული ხასიათისა იყო, ვახტანგის ტანის სიდიდეს, მისი არა-ჩვეულებრივ ღონეს, სისწრაფეს და სიმარდეს, ისე როგორც მამაცობას ჰქონდა, რასაკვირველია, თავისი

მნიშვნელობა. ასეთი თვისებების მქონე ვახტანგი პირისპირ ბრძოლაში დაუძლეველი და "საზარელი" (შემაშინებელი) უნდა ყოფილიყო.

თამარის პირველ მემატიანეს მოჰყავს ერთი სტროფი, დაწერილი XII ს-ნეში ვინმე მლექსაკის მიერ ვახტანგის შექებით:

"შენ (ცა) ვახტანგ, სანატრელი ხარ შენთვის
ღმრთისა მაქებარისა,
ცნამცა შენი მტერთა ძლევა თვთ მზეებრ დამუებარისა,
მუსულმანთ ამწყუედელისა, ქრისტიანთ მშენებარისა,
და ვინ(ცა) დაგბადა, ნებავსა დაბადება ბუნებისა"
(ქცხოვრ., II, გვ.5).

მემატიანე აკიტირებს ამ მეტად სუსტ ლექსს, რათა ვახტანგის შესახებ ანალოგიის მოტანით გაადიდოს გიორგი III-ის პიროვნება. ლექსი შეიცავს ანაქრონიზმს – ის იხსენიებს მუსულმანთ ვახტანგის ხანისთვის. შესაძლებელია ისიც, რომ მლექსავს უნდოდა გიორგი III გამოეყვანა მეორე ვახტანგად და სიტყვებიც "მუსულმანთ ამწყვედელი" მისადმი იყოს მიკუთვნებული.

თამარის პირველი მემატიანე ახასიათებს ვახტანგს როგორც ლომთა ლომს და გოლიათთა გოლიათს. ის, როდესაც იხსენიებს უკარმის ციხეს, საჭიროდ სთვლის დაუმატოს: "რომელი აგებული იყო ვახტანგ გორგასლისაგან, რომელსა შინა აღესრულა ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა" (იქვე, გვ. 17-18).

ბოლო დრომდის შემონახული იყო ერთი ხალხური ლექსი, რომელიც ასახავს ხალხის წარმოდგენას ვახტანგის შესახებ:

"ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა;
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზედ ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა;
ოსებში გადაიარა,
ჩერქესები გადარეკა".[16]

---

[16]. ამის მეორე ვარიანტია ქართლში (ახალქალაქში) ჩაწერილი ხალხური ლექსი:

"ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდგან მოესმოდა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა:
იალბუზის ეშმაკები
ცხრა მთას იქით გადარეკა". (გაზ. "იბერია", 1899 წ., № 294).

ხალხური წარმოდგენით (ქართლში ეს რწმენა შემონახული იყო XIX ს-ნეშიც) ცაში დღეში სამჯერ (დილას, შუადღეს და საღამოს) დაირეკებოდა, მაგრამ ზარის ეს რეკვა ესმოდათ მხოლოდ წმიდა ადამიანებს. ხალხს ამგვარად ვახტანგ გორგასალი წმიდა კაცად ჰყავდა მიჩნეული (საქართველოს ეკლესიას ვახტანგ გორგასალი წმიდათა შორის არ შეურაცხავს).

გვიან, დაახლ. XIV-XV ს-ნეში ქართულად დაუწერიათ ვრცელი მოთხრობა ბარამის და გულანდამის საქმეთა შესახებ. ეს ნაწარმოები, რომელიც ახლა დაკარგულია, XVIII ს-ნეში ჯერ კიდევ არსებულა. ის გატანილი ყოფილა, როგორც ჩანს, ვახტანგ VI-ის ან მის თანმხლე პირთა წიგნსაცავებთან ერთად რუსეთში. მოთხრობა გადაუთარგმნია რუსულად სიმონ ეგნატაშვილს და 1773 წელს დაუბეჭდავს პეტერბურგში სათაურით: Похождение новомодной красавицы принцессы Гуланданы и храброго принца Барама, перевел с груз. С.Игнатьев (1791 წელს ეს სიმონ ეგნატაშვილი რუსეთში იხსენება უფროს თარჯიმნად და პრემიერ-მაიორის ჩინით).[47]

ამ გამოცემის სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია: "შეთხზულია თბილისელი მდივნის დილარგეთის მიერ".

მოთხრობის მთავარი გმირი ბარამი ყოფილა "ტფილისელი მოხეტიალე აზნაური" (რუს. თარგმანის გვ. 38, 40). ამ ბარამის და გულანდამის თავგადასავალი მოთხრობაში მიკუთვნებულია ვახტანგ გორგასალის დროისთვის. ვახტანგ გორგასალმა დაუმორჩილა "თავის უძლეველ იარაღს მთელი აღმოსავლეთი" (გვ. 15-16). მან დათრგუნა ურჩი მთავარი გურიელი (გვ. 117) და ბევრი სხვანი. მთავრების დამორჩილება ხდებოდა "ტფილისის მეფის ვახტანგ გორგასალის მკაცრი ბრძანების მიწედვით" (გვ.121, 123), ვახტანგი მოთხრობაში იხსენიება თბილისის მეფედ (გვ. 117, 121).[48]

ამ ბარამ-გულანდამიანისაგან შინაარსით განსხვავდება XVIII ს-ნის პირველ მესამედში სპარსულიდან ქართულად გადმოკეთებული თუ გადმოთარგმნილი ბარამგულანდამიანი, რომელშიდაც ბარამი გამოყვანილია ურუმთა (ბერძენთა) მეფის ქიშვარდის შვილად.

---

47. კ. კეკელიძე. ძველი ქართ. მწერლობის ისტორია. II. თბ., 1952. გვ. 311.

48. ტრ. რუხაძე. თბილისი ძველ ქართულ და რუსულ ნათარგმნ ლიტერატურაში. საუბილეო კრებული. თბილისი 1500 წლის. თბ., 1958,. გვ. 178; მისივე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.). 1960.

1681 წლის ხელნაწერში (გულანში) კათალიკოსი ნიკოლაოზ ამილახვარის შვილი წერს მცხეთის სვეტიცხოვლის საყდრის შესახებ: "ინება ძლიერმან და უძლეველმან გოლიათმან, არწივთა უმაღლესმან და ლომთ უძლიერესმან მორწმუნემან მეფემან ვახტანგ (გორგასალ) კუართსა მას ზედა სამეფოსა სამოციქულოსა საყდრისა აღშენებად".[49]

ხსოვნა ვახტანგ გორგასალის შესახებ დარჩენილი ყოფილა ადიღეებში. მ.ჯანაშვილი წერდა, რომ "დღესაც ჩერქეზები ვახტანგს ქება-შესხმით იხსენიებენ"-ო.[50]

ცხადია, ვახტანგის ლაშქრობას ჩრდ. კავკასიაში რაღაც დადებითი შედეგები მოყოლია ადიღეური ტომებისათვის.

ვახტანგის პიროვნების იდეალიზაცია შემდგომ თაობათა ხსოვნაში გამოწვეული იყო უპირველეს ყოვლისა მისი დიადი სახელმწიფოებრივი დამსახურებით. რაში გამოიხატა ეს დამსახურება, ცხადი ხდება მისი მოღვაწეობის ფაქტების გამოწვლილვით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვახტანგის პიროვნული სიდიადე ვერას გახდებოდა, რომ თვით ქართველი ხალხი მაშინ თავის თავად და თავისი წამყვანი ფენების სახით არ ყოფილიყო მაგარი შინაგანი აღნაგობით და ძლიერი სულიერად თავისი თვითმყოფობის დაცვის საქმეში. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია, რომ ამ დროინდელი ბერძენი მწერალი ერმი სოზომენი (444 წ. ახლოს) იბერიელებს იხსენიებს როგორც "ბარბაროს (ე.ი. არაბერძენ) თვალსაჩინო და ძლიერ მეომარ ხალხს". ამიტომაც ვახტანგი აღწევს დიდ შედეგებს და ხელს უწყობს ქართლის (საქართველოს) თვით-მყოფობის საბოლოოდ განმტკიცებას და მომავლისათვის მის უზრუნველყოფას.

119. ვახტანგის პორტრეტები.

XIX ს-ნეში მოწევნილი იყო ვახტანგ გორასალის სამი პორტრეტი. ეს შედარებით ბევრია, რადგანაც ძველი საქართველოს მმართველთაგან ყველაზე უფრო პოპულარული პიროვნების თამარ მეფის ოთხი პორტრეტია მოწევნილი (ბეთანიაში, ვარძიაში, ბერთუბანში და ყინცვისში; თამარის პორტრეტი ყოფილა კიდევ გელათის მონასტრის ფრესკულ მხატვრობათა შორის, ახლაც ცხადად ჩანს ამ პორტრეტის

---

[49]. А. Натроев, Мцхет и его собор Свэти-Цховели, Тифлис, 1900, стр. 261.

[50]. საქართველოს ისტორია, ტფ. 1906. I, გვ. 208.

კონტურები), დავით აღმაშენებლის კი არის მხოლოდ ერთი პორტრეტი (გელათში). ყოფილა დავითის პორტრეტი კიდევ მარტყოფის მონასტრის ფრესკულ მხატვრობათა შორის, მაგრამ ის შეთეთრებულია და ჯერ-ჯერობით დაღუპულად ითვლება.

ვახტანგის პორტრეტებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომელიც თავიდანვე მოთავსებული იყო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ფრესკულ მხატვრობათა შორის. ვახტანგი დასაფლავებულია ამ ტაძარში ეკრეთ წოდებული სვეტიცხოვლის წინ. მატიანის ცნობით, ვახტანგი ძლიერ მაღალი ტანის იყო და ძველი დროის უცნობი კომენ-ტატორი უმატებს, რომ ვახტანგის 'საფლავსა ზედა წერილ არს ხატი მისი, სწორი ასაკისა მისისა', ეი. ვახტანგის საფლავთან კედელზე დახატულია მისი სურათი მისი ტანის ტოლი. შემდეგში სვეტიცხოვლის სამნავიანი (სამგანყოფილებიანი) ტაძარი საფუძვლიანად გადაკეთებულ იქნა გუმბათიანად. ეს გადაკეთება შესრულებულ იქნა მელქისედეკ კათალიკოსის დროს ხუროთმოძღვარ არსაკიძის მიერ. ტაძრის რეკონ-სტრუქციის დროს პორტრეტი მოიშალა, რადგან ის სვეტი, რომელ-ზედაც პორტრეტი იყო, გადაკეთებულ იქნა იმგვარად, რომ იქ უკვე ახლად ვახტანგის სურათი არ მოთავსდებოდა. ამიტომ ვახტანგის პორტრეტი ამის შემდეგ დახატეს ახალ ადგილზე.

ვახტანგი აქ გამოყვანილია გვირგვინით თავზე, მაგრამ შვილდ-ისრით ხელში. არსად ასეთი ტიპის კტიტორული (ამშენებელთა) პორტრეტი საქართველოში სხვაგან არ მოიპოვება. ამიტომ საფიქრებე-ლია, რომ ეს სურათი მოდის ძველი დროიდან და გადმოხატული ყო-ფილა თავდაპირველი პორტრეტისაგან. პორტრეტის ქვედა ნაწილი დაზიანებული ყოფილა. საყურადღებოა, სხვათა შორის, რომ ამ სუ-რათზე ვახტანგის გვირგვინს ჯვარი არა აქვს და ის საერთოდ მოაგავს სპარსეთის სასიანთა (III-VII სს.) მონარქიის ექვსი უწარჩინებულესი ოჯახის და გვარის მეთაურთა გვირგვინებს. ამ გვარების მეთაურები სპარსეთში თავისი მდგომარეობით იყვნენ პირველი პირნი მეფის შემდეგ. აქედან ჩანს, რომ ჯერ ერთი ქართლის (საქართველოს) მეფე თავისი მდგომარეობით V ს-ნის სპარსეთის მონარქიაში ითვლებოდა ხსენებულ პირთა თანასწორად, და მეორე ის, რომ ვახტანგის აღნიშნული პორტრეტი მართლაც V ს-დან მოდიოდა.

სვეტიცხოვლის ტაძარი საფუძვლიანად შეკეთებულ იქნა 1837-1844 წლებში, როდესაც დაიღუპა ტაძრის შემორჩენილი ფრესკების მეტი ნაწილი და მათ შორის ვახტანგ გორგასალის პორტრეტიც. ამ

პორტრეტის შესახებ პლიოსელიანი გადმოგვცემს "ვახტანგისა) სახე. მშვილა-პყრობითა ხელთა და დიდტანად იყო დახატული მცხეთისა დიდსა ეკლესიასა, სადაცა განახლებისა დროსა (ეი. 1837-1844 წლებში წარმოებულ სარესტავრაციო სამუშაოთა დროს) წაიბღალა იგი. წინარე ამისა დროჲსა, წარდგენითა ჩემითა სანკტ-პეტერბურგის აკადემიამან მეცნიერებათა ინება გარდმოხატვა მისი. ესრეთ გარდმოხატული იტალიელისა მხატვრისა როცესაგან წარეუგზავნე აკადემიასა 1839 წელსა და აქვსცა დასაცველად დროთათვის" (მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისისა მიტროპოლიტისა, თფილ., 1852, გვ. 169). ასე იქნა გადაღებული აკვარელით, მცირე ზომით, ტაძრის კედლებზე ისტორიულ პირთა მაშინ შემორჩენილი სურათები და მათ შორის ვახტანგის პორტრეტიც. ეს კოპიები ახლა დაცულია ლენინგრადში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (ყოფილი აზიური მუზეუმის) ხელნაწერთა განყოფილებაში და უკვე გამოცემულია რ.რორბელის წიგნში Грузинские рукописи Института Востоковедения АН СССР, I, М.-Л, 1956.

ვახტანგის მეორე პორტრეტი წარმოდგენილი იყო იერუსალიმში ჯვარის სახელობის ქართული მონასტრის კედელზე. ეს მონასტერი აგებული იყო ჯერ მირიან მეფის მიერ და შემდეგ (ალბათ უფრო დიდი ზომის) კვლავ ააშენა, ყოველ შემთხვევაში მას რეკონსტრუქცია უყო ვახტანგ გორგასალმა. იერუსალიმში გამგზავრებულმა მთავარეპისკოპოსმა ტიმოთე გაბაშვილმა 1758 წელს გადმოაღებინა ეს პორტრეტი (შემცირებულად რასაკვირველია) და როგორც თვითონ ამბობს, საკმაოდ ზუსტადაც. ეს პორტრეტი ჯვარის მონასტრის კედელზე გადმოხატული უნდა ყოფილიყო უფრო ძველი სურათიდან, რომელიც უკვე თავისებურად სტილიზებული ყოფილა. პორტრეტი 1902 წელს იერუსალიმში ჩასულ ნ.მარს უკვე აღარ დახვდა, რადგანაც ქვედა რეგისტრის ფრესკები მონასტერს (რომელიც უკვე კარგა ხანია ბერძნების ხელში იყო) შეეთეთრებია და ვახტანგის პორტრეტიც გამქრალა.

ვახტანგის მესამე პორტრეტი, პლიოსელიანის მოწმობით (მის წიგნში Путевые записки по Кахетии, Тифлис, 1846, стр.11) იყო მარტყოფის დანგრეული ძველი მონასტრის ერთ სვეტზე (მეორე სვეტზე დავით აღმაშენებლის სურათი იყო). მაშინდელმა საეკლესიო უწყების უფროსმა საქართველოში ისიდორე ეგზარხოსმა მოინდომა ამ ეკლესიის აღდგენა. "აღადგინა" კიდეც, მაგრამ ისე, რომ ორივე ხსენებული

პორტრეტი წაშლილ იქნა. ვახტანგ გორგასალის და დავით აღმაშენებლის ამ პორტრეტებისაგან რაიმე კოპიო არაა დარჩენილი.

VIII

ვახტანგის უახლოეს მემკვიდრეთა ხანა

120. ქართული ქვეყნები ვახტანგ გორგასალის უახლოესი მემკვიდრეების დროს.

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ ქართლის მეფედ გახდა უფროსი შვილი მისი დაჩი უჯარმელი. ქართლის სამეფოს საზღვრეთ — დასავლეთი ნაწილი, ვახტანგის ანდერძის თანახმად, მიეცა ქვრივ დედოფალს ელენეს და მის ორ შვილს ლეონს და მირდატს მათ, წერია მატიანეში, "დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ, და დასხდეს წუნდას ქალაქსა (ჯავახეთის პირს) ზაფხულის და ზამთრის იყენიან ოძრაჯეს. და არ ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა მთავრად და იყენენ მორჩილებასა ძმისა მათსა დაჩა მეფისასა" (გვ. 204-205).

იგივე მემატიანე გადმოგვცემს რომ დაჩიმ დაიწყო ქართლის მოშენებაო, "რამეთუ მოოკრებულ იყენეს ყოველნი ჯვნი ქართლისანი თჳნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა და განასრულანა ზღუდენი ტფილისისანი და ეითა ებძანა ვახტანგს ივი შექმნა სახლად სამეუფოდ".

ხოლო მოქც. ქართლისაჲს ქრონიკა იმავე დაჩის შესახებ გადმოგვცემს, რომ ვახტანგის "შემდგომად მეფობდა დაჩი უჯარმელი და კათალიკოსი იყო სამოელ და მისაზე ტფილისს კაცნი დასახლდებოდეს და მარიამ წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს" (გვ. 93-94).

დაჩის მოუსურვებია კახეთის კუთვნილ მთიულთა ქრისტიანობაში გადაყვანა. მან "დაჰპატიჟა (წინადადება მისცა) მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე. ხოლო მათ არა ინებეს და განდგეს ყველანი ნოპატელნი" (ქცხოვ., გვ. 205).

ნოპატელნი არიან ლოპოტის-ხევის ბინადარნი კონდოლის ზეით, წერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში. ამგვარად კახეთის მთიულეთად იწოდებოდა მხარე თურდოს ხევსა და კონდოლს შუა მდ. ალაზნის მარცხენა პირიდან ვიდრე კავკასიონამდის. დაჩის დროს ამ ნოპატელთა (კახეთის მთიულთა) ქრისტიანობაში გადასვლის ცდა დამთავრდა უშედეგოდ და ნოპატელნი სრულიად გადაუდგნენ დაჩის. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა ერთ ნახევარ საუკუნემდე, ვიდრე არჩილის მეფობამდის.

სამხრეთ-დასავლეთ ქართლის მფლობელი ლეონ ვახტანგის ძე გარდაიცვალა და მაშინ მეფემ დაჩიმ დაუმტკიცა თავის ძმას მირდატს ჯავახეთი, რის სანაცვლოდ გამოართვა მას მხარე ეგრის წყალსა და კლისურის შორის აფშილეთში. ამიერიდან მირდიტის გამგებლობაში იყო მხარე, დაწყებული ფარავნიდან და ტასის კარიდან ჯავახეთის ჩათვლით ვიდრე სპერამდე. მირდატი ემორჩილებოდა დაჩის, მაგრამ ასეთი გაყოფით უკვე მზადდებოდა ნიადაგი ქართლის სახელმწიფოს სრული დაშლისათვის, რაც მალე განხორციელდა კიდეც.

121. ქართლის პირველი კათალიკოსები.

პირველი კათალიკოსი პეტრეს შემდეგ წყაროების მიხედვით კათალიკოსად იყო სამოელ, ხოლო ამის შემდეგ თავფაჩაგ, ჩიმაგა (ფარსმან მეფის დროს), დასაბია, ევლალე (მეორე ფარსმანის დროს) და მაკარი (ბაკურის დროს) ამავე ბაკურის დროს მოქც. ქ-საის შატბერდისეულ ხელნაწერში იხსენიებიან დამატებით ორი კათალიკოსი სამოელ და სიმონ-პეტრე, მაგრამ სხვა წყაროები (მოქც. ქ-საის ჭელიშისეული ვარიანტი, მატიანე) ამ ორი პირის შესახებ არას ამბობენ და მათი სახელები მოქც. ქ-საის ერთ ვარიანტში შემდეგ უნდა იყოს შეცდომით ჩამატებული. ეს სამოელ და სეიმონ პეტრე უნდა იყვნენ VI ს-ნის კათალიკოსნი.

უნდა ითქვას, რომ VI ს-ნის კათალიკოსნი მაკარის შემდეგ არ არიან ცნობილნი. მარზპანობის ხანა VI ს-ნის მეტ ნაწილზე როგორც მ.ქ-საიში, ისე მატიანეში სიჩუმით არის მოცული. კათალიკოსის ამორჩევაზე მანამდის მეფე ახდენდა გავლენას, მარზპანობის დროს კი კათალიკოსობა მცხეთელ ორ გვარს ჩაუგდია ხელში. მოქ. ქ-საის ქრონიკა დასაბია კათალიკოსის შესახებ გადმოგვცემს, რომ ის იყო "მკვდრი მცხეთელ და აქაითგან ორთა სახლია (ეი. ორმა გვარმა) აღიღეს კათალიკოსობაჲ მცხეთელთა მკვიდრთა" (გვ. 94). ამ ორი სახლისაგან რიგრიგობით ან სხვა წესით უნდა ყოფილიყვნენ ქართლის კათალიკოსნი მარზპანობის დროს.

122. მარზპანობის შემოღება ქართლში.

სპარსელების შემოსვლას ქართლში ფარსმან მეფის დროს (500-503 წწ. ახლ.) მოჰყვა დიდი შედეგები. რომელიც შუშანიკის და ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში მოცემული ცნობებიდან ჩანს. გარკვეული ხნიდან და ეს ყველაზე უფრო საფიქრებელია სწორედ ამ დროიდან ქარ-

თლის სამეფოს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ქართლის მეფეს დაუტოვეს მხოლოდ ზენა სოფელი (შიდა ქართლი) და კახეთი და მოაქციეს მარზპანის ხელქვეთ. თბილისში იჯდა სპარსეთის მეფის მარზპანი (ილქის უფროსი), რომელსაც უშუალოდ ემორჩილებოდა თფბლისის პარუარავი ვიდრე მდ. ალგეთამდის.

მდინარე ალგეთის სამხრეთით მდებარე მხარე იყო პიტიახშის ხელქვეთ, რომელიც ახლა იწოდებოდა ქართლის პიტიახშად. ის ემორჩილებოდა მარზპანს. სამხრეთ დასავლეთი საქართველო გადაუდგა სპარსეთის ხელქვეთ მყოფ ქართლის სამეფოს და მოჰყვა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხელდებულად.

ჯუანშერით ფარსმანის დროიდან "განიყენეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი, რამეთუ შვილნი დაჩისანი მორჩილებდეს სპარსთა ხოლო შვილნი მირდატისნი დაადგეს მორჩილებასა ბერძენთასა" (გვ. 207).

ფარსმან მეფე მცირე ხანს განაგებდა თავის შემცირებულ სამეფოს. ის მალე გარდაიცვალა თუ გადაყენებულ იქნა (503 წლის ახლოს) და მის მაგივრად მეფედ დაყენებულ იქნა იმავე სახელის მატარებელი სხვა ფარსმანი, რომლის მეფობა შეიძლება დაახლოებით განსაზღვრულ იქნას 503-510 წლების ახლოს. როგორც პირველი, ისე მეორე ფარსმანი უნდა ყოფილიყვნენ მირიანის ძის რევის ჩამომავალთა შტოსაგან, რომელნიც კუხეთის მფლობელები იყვნენ. ამ მეორე ფარსმანის დროს ქართლში, ფარსმან მეფის სამფლობელოში, სირიიდან მოვიდნენ ათასამეტი ასურელნი მამა.

123. მდგომარეობა ეგრისში.

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის პოლიტიკური გავლენის გაძლიერების დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ეგრისის (ლაზიკის) ერისთავის ძაბნაზეს (სამნაღირის) უფროსი შვილი წათე[1] გადავიდა ცეცხლთაყვანისმცემლობაში და ასრულებდა ამ სარწმუნოების წესებს. სპარსეთის მეფის კარზე ხანგრძლივი ცხოვრების გამო ის ითვლებოდა კობად მეფის პირად მეგობრადაც. სამნაღირის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის მეფის მიერ წათე დამტკიცებულ იქნა ეგრისის მეფედ. ის კვლავ-

1. წათეს მამის სახელი ბიზანტიელ ავტორს მალამას მიცემული აქვს ფორმით დამნაძეს (გეორგიკა. III, თბ., 1936, გვ. 264). მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს პასკალურ ქრონიკაში ამ სახელის მოცემული ფორმა ძაბნაჟს – ეს, რომელიც უდგება ამ პიროვნების სახელის ნამდვილ გამოთქმის სამნაღირ, როგორც მას იხსენიებს ჯუანშერი.

ინდებურად სპარსეთის მთავრობის ერთგული იყო, სანამ სპარსეთმა არ გააუქმა ქართლში მეფობა და არ შემოიღო იქ უშუალო თავისი მმართველობა. ახლა კი ეგრისის მესვეურნი შეფიქრიანდნენ, რადგანაც სპარსეთის აგრესიულობაში დაინახეს თავისთვისაც დიდი საფრთხე. ამიტომ ლაზიკის მეფე წათე მართავს მოლაპარაკებას ბიზანტიის მთავრობასთან მისთვის მფარველობის გაწევის თხოვნით. წათე ამასთანავე თანხმდებოდა ქრისტიანობაში გადასვლასაც. ბიზანტიის მთავრობამ სიამოვნებით მიიღო წათეს ეს თხოვნა. ამას მოყვა შედეგად ის, რომ კეისარ იუსტინეს დროს წათე აშკარად გადადის ბიზანტიების მხარეზე. ის ცხადდება კონსტანტინოპოლში (ბიზანტიონში), სადაც ღებულობს ქრისტიანობას და ცოლადაც ირთავს ბერძენ ქალს, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილს ვალერიანეს (525 წლ. ახლოს).

ამის საპასუხოდ სპარსეთის მეფემ იუსტინიანე იმპერატორის გამეფების შემდეგ დაუწყო ომი ლაზების მეფეს წათეს. წათემ გაგზავნა ელჩები იუსტინიანე კეისართან და სთხოვა მას დახმარება. იუსტინიანეს განკარგულებით გაგზავნილ იქნა სამი სტრატილატი დიდძალი ჯარით. ბიზანტიელების ამ ჯარმა შეაჩერა სპარსელების წინსვლა, თუმცა დიდი მსხვერპლით (ორივე მხრიდან დაიღუპა ძლიერ ბევრი). ბიზანტიელების მოქმედებას ძლიერ აფერხებდა სტრატორატების უთანხმოება და ქიშპობა ერთმანეთს შორის. ამის გამო ბიზანტიის მთავრობამ გამოგზავნა ლაზიკაში ახალი სტრატილატი სახელით პეტრე. ლაზიკა ამგვარად კვლავ მოჰყვა ბიზანტიის ხელისუფლების გავლენის ქვეშ (528 წლ. ახლო).

124. ათსამეტ სირიელ მამათა მოსვლა ქართლში.

505 წელს ან შესაძლებელია 506 წლის პირველ ნახევარში (ქართლის მოქცევიდან მე-200 წელს) ქართლს მოვიდა ასურეთიდან იოანე თავისი მოწაფეების ნაწილით, ხოლო ნაწილი მათი მოვიდა შემდეგ. ყველა ესენი იოანეს ჩათვლით იყვნენ ცამეტნი, რის გამო ეს ფაქტი ცნობილია ათსამეტ სირიელ მამათა ქართლს მოსვლის სახელით.

იოანე და მისი მოწაფენი წამოვიდნენ სირიიდან ქართლისაკენ შესაძლებელია სპეციალური გამოწვევის შედეგად. სირიაში იყო გაბატონებული მონოფიზიტური მიმართულება და ქართლის ეკლესიის მეთაურთათვის ამ ხანად სასურველი იყო მონოფიზიტ საეკლესიო მოღვაწეთა თავისთან გადმოყვანა გარკვეული მიზნებისათვის. როგორც ჩანს, დაისკვა საკითხი ქართლში სამონასტრო ცხოვრების მოწყობის შესახებ

და ცამეტი სირიელი მამანი გამოყენებული იყვნენ ამ მიზნისათვის. თვით იოანემ დააფუძნა მონასტერი გაუქმებულ ზედაზენის სალოცავის ადგილას მთაზე, სადაც იქვე იყო ძველი გოდოლიც (კოშკი). სხვა მის მოწაფეთა შორის ცნობილი არიან დავით გარეჯელი – მონასტრის დამაარსებელი გარესჯის უდაბნოში, შიო მღვიმელი – მონასტრის დამფუძნებელი სარკინეში, კიდევ დამაარსებელნი ისე წილკნელი – წილკნის მონასტრის, აბიბოს ნეკრესელი – ნეკრესის მონასტრისა კახეთში, ზენონ ალავერდელი – ალავერდის მონასტრისა კახეთშივე და სხვანი.

ორი ათასამეტ მამათაგანი, თათე და ისიდორე, მოთავსდა ლეხურის ხეობაში ახლოს ერთმანეთთან: "კასპს ზეით წლევის მთაში არს მონასტერი მამების სტეფან-წმიდისა თათესაგან 13 მამათაგანის ქმნული. დაფლულია წმიდა თათე მუნ". ეკლესია ყოფილა მცირე ზომის 6x4მ მინაშენიც 3x4მ.[2] ისიდორე კი ითვლება მონასტრის დამაარსებლად ვაკეში სამთავისში.

ყველა ხსენებული მამანი სასტიკ ასკეტურ ცხოვრებას მისდევდნენ და ასეთივე რეჟიმს ამყარებდნენ თავიანთ მონასტერში, რომელთა სახით შეიქმნა ქრისტიანული სანიმუშო წირვა-ლოცვის და ამავე დროს ღვთის მეტყველური აზრის ძლიერი ცენტრები, რომელნიც დიდად ამაგრებდნენ ქრისტიანული ეკლესიის საერთო საფუძვლებს იმ ხანაში, როდესაც როგორც ეკლესიის მეთაურთ, ისე საერთოდ ქართველ ხელმძღვანელთ სჭირდებოდათ ძალების სერიოზულად დაჭიმვა მოწოლილ სპარსულ ცეცხლთაყვანისმცემლობასთან გასამკლავებლად და მის მოსაგერიებლად. ეს კი საჭირო იყო ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, რადგანაც ეკლესია ხელს უწყობდა ქართველობის კულტურულ ზრდას ქართული ენის საფუძველზე.

ათასამეტ ასურელ მამათა მოსვლის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტებს. მეტაფრასტული ცხოვრება ათასამეტ მამათა დაწერილია, შიგ მოხსენებული ცნობის მიხედვით, არსენი კათალიკოსის მიერ თუ მისი განკარგულებით 404 წლის შემდეგ მათი მოსვლისა.

დავით გარეჯელი საქართველოდან იერუსალიმს მიდის წმინდა ადგილების სალოცავად, მაგრამ იერუსალიმს მიახლოვებული ვერ შეგდავს შიგ შესვლას და უკან ბრუნდება. თან მას მოაქვს ეკლოღიად სამი ქვა. რომელთაგან ორი უკან დააბრუნებინა იერუსალიმის პატრიარქმა

2 . მაკალათია, ლეხურის ხეობა, თბ., 1964, გვ.35-36.

ელიამ. ელია პატრიარქად იყო 494-516 წლებში და გარდაიცვალა 518 წ. დავით გარეჯელის ქართლს მოსვლა ამიტომ არ შეიძლება მომხდარიყოს 516 წელზე უფრო გვიან.

არსებობს ზედაზნის მონასტრის წინამძღვართა სია დაწყებული იოანიდან X ს-ნის დასაწყისამდე. ამ სიით იოანე წინამძღვრად იყო 30 წელს, მის შემდგომ იყო ილია დიაკონი 11 წ., იოსებ 24 წელი, ამბა ეაპმან 35 წ., ამბა ბენი 50 წ., ამბა თუალ 31 წ., სამოელ დიდი 28 წ., მამაᲐ 3წ., რომელიც შემდეგ მცხეთას კათალიკოზად იყო 14 წელს, და ასე სხვანი. ამ მამაᲐს შემდეგ საკათალიკოსო ტახტი ერთ დროს თავისუფალი იყო. რადგან გზების შეკვრის გამო ქართველები ვერ ახერხებდნენ ანტიოქიაში საკათალიკოზო კანდიდატის გაგზავნას მისი კურთხევის მიზნით, ბოლოს ანტიოქიაში ჩავიდა ასეთი კანდიდატი იოანე და პატრიარქმა თეოფილაქტემ (744-751 წ.) ის აკურთხა. ამის მიხედვით მამაᲐ კათალიკოზად უნდა ყოფილიყო ყოველს შემთხვევაში 744 წელზე უწინარეს, მაშასადამე, 730-744 წლებში ან ოდნავ ადრეც. აქედან უკანითი ანგარიშით მივიღებთ იოანე ზედაზნელის წინამძღვრობას 518 წლიდან ან ცოტა ადრეც (510-515 წლის ახლო დროიდან). იოანეს ქართლს ჩამოსვლის დროს თან ახლდნენ დავითი (შემდეგ დავით გარეჯელი), შიო მღვიმელი და, შესაძლებელია, ზოგი სხვაც. დავითზე უკვე იყო ნათქვამი. შიოს შესახებ მისი მეტაფრასტული ცხოვრება გადმოგვცემს, რომ ევაგრემ, სანამ ის შიოს დაემოწაფებოდა, იუსტინიანე იმპერატორის დის და ფარსმან მეფედ წოდებულის დაავალებით გაილაშქრა ტასკუნებზე (იგულისხმება ჩრდილოეთ კავკასიაში). ეს უნდა მომხდარიყო 532-534 წლების ახლოს. ამ დროს ახლოს, მაშასადამე, ევაგრე დაემოწაფა შიოს. საფიქრებელია ამიტომ, რომ შიო თავიდანვე მოჰყვა იოანეს ქართლში. შიო მღვიმელის ცხოვრებაში წერია, რომ როდესაც იოანე ზედაზნელი თავისი მოწაფეებით წამოვიდა ქართლისაკენ "დიდი მნათობი სვიმონ საკჳრველთ — მოქმედი... თორნესა შინა მჯდომარე" იყო. განთქმული ქრისტიანული მოღვაწე სირიაში სვიმონ მესვეტე (521-596 წწ.), რომელმაც თითქმის მთელი სიცოცხლე სვეტზე დგომით გაატარა, თორნეში იჯდა 541-551 წლებში. მაშასადამე, ამ წლებში წამოსულა იოანე ზედაზნელი თავისი მოწაფეებით ქართლისაკენ კერძოდ, იოანეს ერთი მოწაფის, ანტონის შესახებ ცნობილია, რომ ის წამოვიდა ქართლისაკენ, სახელდობრ, დაედევნა იოანე ზედაზნელს მაშინ, როდესაც სპარსეთის მეფე ხოსრო (ანუშირვანი) მოადგა ქალ. ედესას და ცდილობდა მის აღებას, ეი. 544 წელს.

ყველაფერ ზემოთ მოხსენებულის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ იოანე ზედაზნელი თავისი ორი მოწაფით (დავითი და შოთი) და შეიძლება მეტითაც ჩამოსულა ქართლს ჯერ კიდევ 505 წელს. დაუყია აქ კარგა ხანს და 540-542 წწ. ახლოს კვლავ წასულა სირიაში და წამოუყვანია იქიდან ანტონ (შემდეგ მარტყოფელი) და. სხვანი. ამგვარად, ათსამეტი მამანი თვითონ იოანეთი სათავეში ჩამოსულან ქართლს ორ გზის 505-506 წლის ახლოს და 544 წ. იოანემ ზედაზნის წინამძღვრად დაჰყო 30 წელი. ამიტომ ზედაზნის მონასტერი დაუარსებია იოანეს არა მაშინვე ქართლს ჩამოსვლისას, არამედ უფრო გვიან დაახლოებით 520 წლის შემდეგ.

125. მეფობის გაუქმება ქართლში.

მემატიანეს სიტყვით ქართლის უკანასკნელმა მეფემ მეექვსე საუკუნეში ბაკურმა შური იძია ვარსქენზე (გვ. 216). მან ფარულად შეკრიბა ჯარი და თავს დაესხა ვარსქენს, რომელიც "ველსა გარე იდგა კიდესა მტკვრისასა, სადა მიერთვის მდინარე ანაკერტისა მტკუარსა, დაესხა და შეიპყრა ვარსქენ" (გვ216). ანაკერტი უნდა იყოს შემდეგდროინდელი ენაგეთი, რომელიც მდ. ალგეთზე მდებარეობს, ანაკერტის მდინარე კი ალგეთია. მტკვრის ნაპირას ალგეთის შესართავთან შეიპყრო ბაკურმა ვარსქენი, რომელიც "დაჭრეს წურილად და ასონი მისნი მოჰკიდნეს ხეთა". ეს ცნობა გადმოცემის მიხედვით ჩაწერილი, უნდა იყოს სწორი. ვარსქენის მოკვლა მომხდარა მალე შუშანიკის სიკვდილის შემდეგ უფრო 524 წლის ახლოს. შესაძლებელია სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია სპარსეთის მთავრობის რეპრესია ბაკურ მეფის მიმართ. ის გადაყენებულ იქნა ან მალე ამის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც და მის მემკვიდრეს არ მისცეს უფლება თავისი თავი მეფედ გამოეცხადებინა. მეფობა გაუქმებულ იქნა (ბაკურ მეფეზე "დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ"; მოქც. ქართლ., გვ. 94) და ამის მაგივრად შემოღებულ იქნა ქართლის მამასახლისობა. პირველ მამასახლისად დანიშნულ იქნა გურგენი, რომლის ვინაობა არაა გარკვეული. შესაძლებელია, ის იყო მირიანის ძის რევის ჩამომავალთაგანი, რომელიც კუხეთს ფლობდა რუსთავითურთ.

გურგენი არ შეიძლება იყოს ვახტანგ გორგასალის ოჯახის წევრი, რადგანაც გურგენს ამ დროს ჰყავდა ძმებს გარდა შვილებიც, მაშასადამე იყო არა ნაკლებ 25 წლის ასაკისა. ვახტანგ გორგასალის დროს მისი მეფობის დასაწყისშივე 465 წლის ახლოს ჯუანშერი იხსენიებს, როგორც სამეფო სახლის წევრებს მირიან და გრიგოლს, რო-

მელნიც "იყენეს ნათესავისგან რევისა მირიანის ძისა". 524 წ. ცნობილი გურგენ უნდა იყოს ზემოთ დასახელებულ მირიანის (ან გრიგოლის) შვილისშვილი და რუსთავის მფლობელი.

სპარსელების მიერ დამყარებული ახალი მდგომარეობა იწვევდა ქართლში დიდ უკმაყოფილებას. მეფე, რომელიც ახლა მარზპანის უბრალო ხელქვეითად იყო გადაქცეული და უცხოელების თვალში არც ჩანდა (ყველაფერი, განსაკუთრებით საგარეო საქმეებში, როგორც ჩანს, დამოკიდებული იყო თვით მარზპანზე) იძულებული იყო შერიგებოდა თავის მდგომარეობას (ის, როგორც საგულისხმებელია, ახლა ბინადრობდა უმთავრესად ისევ მცხეთაში) და მოთმინებით ეტანა მორჩილების უღელი. პროკოპი კესარიელი ასე ახასიათებს ამდროინდელ სულიერ განწყობილებას ქართლში: "მას შემდეგ, რაც ამ ბარბაროსთა (იბერიელების) წარჩინებულნი გურგენ მეფესთან ერთად აპირებდნენ (სპარსელებისგან) განდგომას, იმ დროიდან არც სპარსელები აძლევდნენ მათ მეფის (იგულისხმება — დამოუკიდებელი მეფის) ყოლის ნებას და არც იბერები ემორჩილებოდნენ თავის ნებით სპარსელებს, არამედ დიდის ეჭვით და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ იბერებს ძალიან უძნელდებოდათ და ახლო მომავალში განზრახული ჰქონდათ აჯანყებულიყვნენ, თუ კი ამისთვის ოდესმე დროს მოიხელთებდნენ".

თუმცა ქართველები სპარსეთის მთავრობის მიმართ მორჩილებით იყვნენ, ბერძნების ეკლესიასაც ჩამოშორდნენ, მაგრამ სპარსეთის მეფე კობადი ამას საკმარისად არ სთვლიდა და ერთი დათმობის შემდეგ სხვა დათმობათა მოთხოვნილება წამოაყენა. "მას უნდოდა იბერიელები ძალით მიექცია თავისი სარწმუნოების წესზე და ამიტომ მეფე გურგენს შეუთვალა სხვა რამეშიც ისე მოქცეულიყო, როგორც ეს სპარსელებში იყო მიღებული და მიცვალებული (ცეცხლთაყვანისმცემელთა წესის მიხედვით) მიწაში კი არ დაემარხათ, არამედ ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეგდოთ", ეი. გამოეცვალათ სარწმუნოება. ამას მოყვა ის, რომ გურგენმა მიმართა დახმარებისათვის იმპერატორ იუსტინეს (518-527 წ), რომელმაც აღუთქვა ქართლს სპარსელებისაგან დაცვა. კიმერიის ბოსპორში გაგზავნილ იქნა დიდძალი თანხით პრობე პატრიკიოსი ჰუნების ჯარის დასაქირავებლად იბერიელებისათვის. მაგრამ რადგანაც პრობე აქ ვერას გახდა, იმპერატორმა გაგზავნა ლაზიკაში პეტრე სტრატეგოსი ჰუნების მცირე რაზმით ბაკურის გასამხნევებლად. ამასობაში სპარსეთის მთავრობამაც გამოაგზავნა ქართლზე დიდძალი ჯარი

ვოის წინამძღოლობით. ამ ვოის ჰქონდა "ფარეშის" ანუ მესაწოლის (საკუთრივ ნოხების დამლაგებელის) პატივი. რადგანაც ბერძნების დახმარება ძლიერ მცირე იყო, ამიტომ გურგენი ვერ დაუმაგრდა სპარსელებს და იძულებული გახდა თავისი ცოლშვილით და ძმებით, რომელთაგან უფროსს ფირმანი ერქვა, ლაზიკაში გადასულიყო. სპარსელები დაედევნენ მათ უკან, მაგრამ ვერას გახდნენ, რადგან ლიხის მთის გადასასვლელები მტკიცედ იყო დაცული სპარსელების ჯარის შესაჩერებლად. ლაზიკის დასაცავად საჭაროდ გაგზავნილ იქნა ბერძნების ჯარი სარდალ ირენეს წინამძღოლობით.

მაგრამ ლაზიკის საზღვრის დაცვა ძნელი აღმოჩნდა, რადგანაც ლიხის მთის მიმდგამი მთაგორიანი მთელი მხარე დაბურულ ტყეს ეკავა. მოსახლეობა იქ იყო ძლიერ ცოტა. ამიტომაც იმპერატორის ნებართვით რომეების რაზმებმა დასტოვეს ლიხის მთის გადასასვლელი ადგილები და დადგნენ სკანდისა და შორაპანის ციხეებში, მაგრამ მალე თავი მიანებეს ამ სიმაგრეებს და დაიხიეს შიგნით ქვეყნებში, რასაც მოყვა შედეგად ის, რომ სპარსელებმა სრულებით ადვილად იგდეს ხელთ ეს ციხეები და ამით ფეხი მოიკიდეს შიგნით ლაზიკაში.

IX

კულტურა და ყოფა

126. ძველი ქართული სამწიგნობრო ენა.

ძველი ქართული სამწიგნობრო ენის ნორმები საუკუნეების სიგრძეზე განიცდიდნენ ცვალებადობას და იღებდნენ ახალ სახეს. პირველი ხანის ერთ-ერთნი სამწიგნობრო ნაწარმოებნი (მაგ., დაბადების ტექსტები, ახალი აღთქმის ტექსტები და სხვ.) შემდგომ საუკუნეებში გადაკეთებული იქნენ შემდგომი საფეხურის ენობრივი ნორმების მიხედვით და ამიტომ მათ პირვანდელი სახით არ მოუწევნიათ. მაგრამ ძველი და ახალი აღთქმის უძველესი ტექსტები ნაწყვეტებად იკითხება პალიმპსესტებზე.

ძველ ქართულ ლიტერატურულ ენას ახასიათებდა ჯერ ერთი ზედმეტი ხ-ს და ჰ-ს ხმარება ზმნის ზოგიერთ ფორმაში (მაგ., ხიყო და ჰიყო, შეხუქციეს, შეჰუქციეს და ასე სხვა, რაც შემდეგ შესცვალა ფორმამ იყო და შეუქციეს და სხვ.). მცხეთის პირდაპირ მდებარე ჯვარის საყდრის წარწერებში ზედმეტი ხ კიდევ იხმარება, ამის შემდეგ კი უკვე ქრება.

ხაემეტობა და ჰაემეტობა, როგორც ჩანს, საყოველთაო მოვლენას არ წარმოადგენდა. ეს მტკიცდება იმით, რომ V-VI ს-ნის სხვა ტექსტები, რომელნიც სხვა მხრივ იცავენ ამ ხანის გრამატიკულ ფორმებს, ხაემეტს და ჰაემეტს არ ხმარობენ.

მეორეს მხრივ ზმნებში ამ ხანისათვის დამახასიათებელია ფორმანტების ნ-ს და ედ-ის ხმარება გარკვეულ ფორმებში, მაგ., იყავნ ნება შენი, უფალო (=იყოს), არნ (=არიან), აზრახენ (=აზრახებდა), აღუჩენნ (=აღუჩნდა), აღასრულენ (=აღასრულებდა), უპყრიედ (=ეპყრა), შეუსწავლიედ (=შეუსწავლია) და მრავალი სხვა.

ხსენებული სხვაობათაგან არც ერთი არ წარმოადგენდა გარკვეულ ხანაში საყოველთაო მოვლენას, არამედ ეს სხვაობანი ფეხმოკიდებულნი იყვნენ ქართული ქვეყნების გარკვეულ მხარეებში. რამდენადაც ეს ლოკალიზებულ წარწერათა მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნას, ხაემეტობა დამახასიათებელი იყო სამწერლობო ენისათვის უფრო შიდა ქართლის აღმოსავლეთი ნაწილისათვის (მცხეთა — ჯვარი) და ტაშირისათვის (ქვემო ქართლისათვის; ბოლნისი და სხვ.) ჰაემეტობა კი, როგორც ჩანს, უფრო საგულისხმებელია სამცხეში

(წყისის წარწერა). ამათ გვერდით სხვა მხარეებში ვითარდებოდა ხაემეტობას და ჰაემეტობას მოკლებული (მაშასადამე, უფრო შეკუმშული ფორმების მქონე) სამწიგნობრო ენა, რომელიც დამახასიათებელია IV-V ს-ნეთა ლიტერატურულ ნაწარმოებთათვის ზემონაჩვენები გრამატიკული ფორმებით. ამ ხანის ზოგი ნაწარმოები მოღწეულია აღნიშნული ფორმებით, ზოგი კიდევ შემდეგ გასწორებულ იქნა შუა-ქართლის ენობრივი ნორმების მიხედვით. ასეთი სახით (ენის ფორმების შესწორებით) არის მოღწეული შუშანიკის წამების (X ს-ნის ხელნაწერით) და ევსტათი მცხეთელის ცხოვრების (IX-X ს-ნეთა მიჯნის ხელნაწერით) ტექსტები.

VI ს-ნიდან და უფრო კიდევ VII ს-ნიდან იწყებს განვითარებას შუა ქართული სამწიგნობრო ენა. ხაემეტობა და ჰაემეტობა უკუგდებულია, ეს მოხდა მაშასადამე, ზმნაში ნ-ს და ედ-ის და სხვათა ფორმანტების მქონე კილოს გავლენის ზეგავლენით. მაგრამ სხვა მხრივ შუა ქართულმა თვით ხსენებული ფორმანტები ნ და ედ და სხვ. უარყო და მიიღო ხანმეტ-ჰაემეტიან ტექსტებში ხსენებული შემთხვევებისათვის მიღებული ფორმანტები (არის, აზრახებდა, შეუსწავლიეს და სხვ.). ამგვარად შუა-ქართული ჩამოყალიბდა ხსენებულ სამ მთავარ სამწიგნობრო კილოს (ხაემეტის, ჰაემეტის, ნ-ს და დ-ს ფორმანტის) დამახასიათებელ თვისებათა ერთმანეთთან შერწყმით.

ვახტანგ გორგასალის ხანისთვის ქართულად უკვე არსებობდა ქრისტიანულ ეკლესიასთან დაკავშირებული საკმაოდ მნიშვნელოვანი მწიგნობრობა, რომლის განვითარებას მართებლობა, ოფიციალური ეკლესია და საზოგადოდ ბატონური წრეები დიდად უწყობდნენ ხელს.

127. ქრისტიანული მწიგნობრობა.

ქრისტიანული კულტურის სამყაროში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგიოგრაფიას ანუ ნაწარმოებთ წმინდანების ცხოვრების შესახებ (ბერძ. ჰაგიოს-წმინდანი). წმიდანის ეპითეტი ეძლეოდა ამა თუ იმ პირს და ისიც ჩვეულებრივ სიკვდილის შემდეგ განსაკუთრებული ღვაწლისათვის ქრისტიანობისა და ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოს წინაშე. ეკლესია მწიგნობრობის ამ დარგის გაძლიერებას დიდ ყურადღებას აქცევდა, რადგანაც ეგრეთ წოდებული წმინდანების ცხოვრებანი იდეოლოგიურად ხელს უწყობდნენ ხალხის ფართო მასის დარაზმვას ქრისტიანობის მიერ წამოყენებული ლოზუნგების გარშემო.

აგიოგრაფიული მწერლობა ქართველებში გაჩნდა IV ს-ნიდანვე. პირველად თარგმანების სახით უმთავრესად ბერძნულიდან. აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა შორის იყო მხატვრული სახეებით დაწერილნიც, რომელნიც (პირობით, რასაკვირველია) შეიძლება მიეკუთვნონ მხატვრულ ან ნახევრად მხატვრულ ნაწარმოებთა დარგს. ქართული პირველი ორიგინალური აგიოგრაფიული ნაწარმოები არის წმ. შუშანიკის ცხოვრება, რომელიც აგვიწერს გარკვეული პიროვნების მიერ ტანჯვითი სიკვდილის დათმენას ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. ავტორი ამ ნაწარმოებისა არის შუშანიკისავე სულიერი (საეკლესიო) მოძღვარი იაკობ ხუცესი.

იაკობ ხუცესის ამ ნაწარმოებს თავისი რეალისტური თხრობით, ზოგ ადგილას მხატვრული სტილით, საერთოდ საუცხოოდ გამართულ ძველ ქართული ენით ძველ ქართულ მწერლობაში უკავია საპატიო ადგილი. ქართულ ტექსტს ორ-სამ ადგილას აკლია როგორც ეტყობა პროტოტიპ ხელნაწერის დეფექტიანობის გამო (დაკარგული ყოფილა ორ-ორი ფურცელი). მაგრამ ამ ნაკლულოვან ადგილის შევსება შეიძლება შუშანიკის ცხოვრების სომხური ვერსიის მიხედვით.

მთავარი განსხვავება ამ ორ ვერსიას შორის არის ის, რომ სომხური, შედარებით ქართულთან, ორ ადგილას შეიცავს ზედმეტ ტექსტს: 1) ქართულში არაა თხრობა ვარსქენის და შუშანიკის ერთ-ერთი შვილის მტკვარში დახრჩობის შესახებ, როდესაც შიშიანობის გამო პიტიახშის ოჯახი ამ მდინარეზე გადაჰყავდათ, როგორც ეტყობა სადღაც რუსთავის ახლოს, რასაც მოჰყვა მარზპანის და ქართველ დიდ-აზნაურთა ჩასვლა პიტიახშთან სამძიმრის გამოსაცხადებლად;[1] 2) მეორე ადგილას კიდევ ქართულში არაა თხრობა შუშანიკის მესამეჯერ გვემის შესახებ, რის შემდეგ ვარსქენმა თავისი შვილები გადაიყვანა ცეცხლთაყვანისმცემლობაზე (იქვე, გვ. 35-36). 3) ქართულში არაა ვრცელი ლოცვა შუშანიკისი, როდესაც ის ეპისკოპოსის სახლიდან ქმრის კარზე დაბრუნდა და მოთავსდა ერთს მცირე სახლაკში. აქ შუშანიკი ამბობს, რომ არავინ მყავს — არც მამა, არც ძმა და არც სხვა ვინმე ახლობელი, რომელიც ჩემზე ზრუნავდესო (გვ. 17-18).

პირველი, ქართულში არმყოფი ადგილი მოიცავს დაახლ. 2 ათას ასოს, მეორე — ათასამდის ასოს და მესამე თითქმის ორი ათასამდის ასოს. X ს-ნის ზოგი ხელნაწერი, მგრგლოვანით დაწერილი მოიცავს

---

1. იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკის. ტფილ., 1938, გვ. 23-24.

გვერდზე ხუთასამდის, ხოლო ფურცელზე ათასამდის ასოს (მაგ., ხელნაწერი შ 391, ოთხთავი). ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხსენებულ შუშანიკის წამების ტექსტის პროტოტიპს, ხელნაწერის დეფექტურობის გამო აკლდა პირველ და მესამე შემთხვევაში ორ-ორი ფურცელი და მეორე შემთხვევაში ერთი ფურცელი ტექსტი. ქართული ტექსტის დეფექტურობა ამ ადგილებში აიხსნება სრულიად შემთხვევითი გარემოებით — პროტოტიპ ხელნაწერში ტექსტის დეფექტურობით, რაც გამოწვეული იყო სათანადო ფურცლების დაკარგვით. რომ ეს ასე იყო, ამისი ცხადი მაჩვენებელია ქართული ტექსტის ნაკლულოვანება ზემოთ ნაჩვენებ მეორე ადგილას, სადაც სომხურ ტექსტში მოთხრობილია შუშანიკის მესამეჯერ გვემის და ტანჯვის შესახებ. სომხურში ეს გარემოება სხვაგან არაა აღნიშნული, ქართული ტექსტი კი ბოლოში აღნიშნავს, რომ ეს მესამე "ტანჯვა" მოხდაო 9 ვარდობისთვეს, ხოლო თვით ტანჯვის (გვემის) აღწერა არაა მოცემული. ცხადია, რომ ამ (მესამე) ტანჯვის აღწერა თავდაპირველად ქართულ დედანშიც იქნებოდა და შემდეგ ის შემთხვევით ამოვარდნილ-დაკარგულია. სომხურ ტექსტს, შედარებით ქართულთან, კიდევ ახასიათებს სხვა უფრო განვრცობილი ადგილები. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ესეც აიხსნებოდეს ასეთივე შემთხვეულობით, მაგრამ არა ყოველთვის.

თუმცა სომხური ვერსია დაწერილია ქართული ვერსიის საფუძველზე, მაგრამ მაინც ამ ორ ვერსიას შორის იმდენი განსხვავებაა, რომ სომხური ვერსია შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ ნაწარმოებად, რომელიც დაწერილი უნდა იყოს სხვა პირის მიერ და არა იაკობ ხუცესის მიერ. იაკობმა უსათუოდ იცოდა სომხური ენაც. შუშანიკს საკუთხავად ჰქონდა სახარების ხელნაწერი, თავისი სახელოვანი წინაპრის წმინდა საჰაკის ნაქონი, მაშასადამე სომხურ ენაზე დაწერილი. ამიტომ სომხური ვერსია იაკობის დაწერილი რომ ყოფილიყო, ის მასაც, ქართული ვერსიის მსგავსად სათანადო ადგილებს, სადაც თვითონ იხსენიება, პირველი პირით დაწერდა.

V საუკუნეში აგიოგრაფიული ნაწარმოებები ითარგმნებოდა, საფიქრებელია ბერძნულის გარდა სომხურიდან და სირიულიდან. ზუსტად ამ თარგმანების დათარიღება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საძნელო ხდება. მეხუთე საუკუნის ახლო დროის თარგმანებს შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი, ქართულად მოწევნილი ნაწარმოებები: ცხოვრებაჲ თეოდორაჲსი, ცხოვრებაჲ მარიამისი. ორივე ეს ნაწარმოები მიეკუთვნება სასულიერო (საეკლესიო) რომანის დარგს. ორივეს ზმნაში ახასიათებს

ძველ-ქართულ სამწიგნობრო ენის ნიშანდობლივი ფორმანტები. ზოგ ნათარგმნ ნაწარმოებთა ენა შემდეგში გადაკეთებულ იქნა, მაგრამ ტერმინოლოგიის მხრივ შემდეგნი უფრო V ს-ნეს მიეკუთვნებიან: მარტვილობაჲ წმინდათა მოწამეთა კირზმაჲსი და დამიანესა, წმინდა კონონეს წამებაჲ, წამებაჲ წმიდათა მოწაფეთაჲ თევდორესი და ივლიანესა და ევბულოსი და მალკამოსი და მოკიმოსი და სალაშონესი, დიონოსი არიოპაგელის ფსევდო-ავტობიოგრაფია და სხვანი.

აშკარად ჩანს, რომ მეხუთე საუკუნეში ქართულად მიდიოდა ინტენსიური მუშაობა საქრისტიანო მწიგნობრობის გასამრავლებლად და განსავითარებლად.

ამდროინდელ საეკლესიო მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია პალესტინაში მცხოვრები ზაქარია ქართველი, რომელიც ქართლიდან წავიდა და დაემოწაფა პეტრე ქართლელს. მის კალამს ეკუთვნის სირიულ ენაზე დაწერილი პეტრე ქართლელის ბიოგრაფია. ტექსტი დაკარგულია, არის მხოლოდ მისი ქართული თარგმანი, შესრულებული დაახლ. VII საუკუნეში მაკარი ხუცესის მიერ. მასვე დაუწერია ბერძნულად პეტრე ქართლელის ცხოვრება (სხვა ვარიანტი), რომლის მხოლოდ სირიული თარგმანის ნაწყვეტებია შემონახული.[2]

მასვე ეკუთვნის ბერძნულად ისაია ასკეტის ცხოვრება, სევერეს ცხოვრება და აგრეთვე საეკლესიო ისტორია. ეს საეკლესიო ისტორია შემდეგ (540-550 წლების ახლოს) შევსებულ შესწორებულ იქნა სხვა (ბერძენ) ზაქარიას მიერ, რომელიც იწოდებოდა რეტორად. ამიტომაც ეს საეკლესიო ისტორია ცნობილია ფსევდო-ზაქარიას საეკლესიო ისტორიის სახელით. წერდა თუ არა რამეს ზაქარია ქართულად, ჯერ-ჯერობით არაა ცნობილი, მაგრამ ამის დადებითად დადასტურება მომავალში საესებით მოსალოდნელია.

128. აგიოგრაფიული ძეგლის ევსტათი მცხეთელის ცხოვრების ცნობები.

ევსტათი მცხეთელის ცხოვრების დრო და აგრეთვე მისი ბიოგრაფიის დაწერის დაახლოებითი თარიღი ირკვევა შემდეგნაირად. ევსტათი მოვიდა მცხეთაში მეფე ხოსროს მეფობის მეათე წელს მაშინ, როდესაც ქართლში მარზპანად იყო არვანდ გუშნასპი. ევსტათი

2 . ქართულად ახლა შინაარსი გამოცემულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ შეცდომით ზაქარია რეტორის სახელით. (ჩეორგიცა, III, თბ., 1936, გვ. 1-22).

მცხეთაში გაქრისტიანდა, იქვე მან შეირთო ცოლი, რომლისგან ჰყავდა შვილები. ცეცხლთაყვანისმცემლობიდან ქრისტიანობაში გადასვლისათვის მას აპატიმრებენ, მაგრამ წარჩინებული ქართველების შუამდგომლობით სპარსეთში გაწვეული მარზპანი ანთავისუფლებს მას. სამი წლის შემდეგ თბილისში კვლავ მოდის ახალი მარზპანი ვეუან ბუზმირი და მაშინ ევსტათის კვლავ აპატიმრებენ, ასამართლებენ და სიკვდილით სჯიან.

თუ აქ მხედველობაში ვიქონიებთ სპარსეთის მეფის ხოსრო-ანუშირვანის მმართველობას, მაშინ ევსტათის მცხეთაში მოსვლა უნდა მომხდარიყო 541 წელს. მაგრამ ზემოთ მოხსენებული მარზპანი არვანდ გუშნასპი დასახელებულია აგრეთვე გრიგოლ მანაჭიჰრის სომხურ ცხოვრებაში. ამ აგიოგრაფიული ძეგლის თანახმად, ორმუზდის შვილის მეფე ხოსროს მეფობის მე-15 წელს სპარსეთში გამოვიდა ბრძანება, რომლის მისედვით ქრისტიანობაში გადასული სპარსელები უნდა დაეპატიმრებინათ და აეძულებინათ ცეცხლთაყვანისმცემლობაში დაბრუნებისათვის. ამ ბრძანების საფუძველზე გრიგოლ მანაჭიჰრი, წარმომობით სპარსელი, ქრისტიანობაში გადასული და სამხედრო სამსახურში მყოფი, ქართლის მარზპანის ერვანდ ვნასპის (=არვანდ გუშნასპის) განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა. ის გადააგზავნეს სპარსეთის მეფის კარზე, სადაც ის გასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

უკეთუ ყველაფერი ეს მომხდარიყო ხოსრო-ანუშირვანის მეფობაში, მაშინ არვანდ გუშნასპის მარზპანობა უდავოდ დაემთხვეოდა მისი მეფობის მე-10 და მე-15 წლებს, ეი. 541-546 წ. და ცოტა უფრო ადრეც, თუ მივიღებთ, რომ 546 წ. ის უკვე გაიწვიეს სპარსეთში. მაგრამ ჩვენამდის მოწეენილია სირიული აგიოგრაფიული ნაწარმოები ფირან გუშნასპის წამების შესახებ, რომლის მონაცემები ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ ანგარიშს. ფირან გუშნასპი იყო სპარსელების ჯარების უფროსი და როდესაც გურზანში (ქართლში) და არანში ატყდა ბერძნებსა და სპარსელებს შორის ომი, მაშინ ის იყო სპარსელების მხედართმთავარი, ის დამარცხდა და ბიზანტიელებს ტყვედ ჩაუვარდა. შემდეგ ის გაანთავისუფლეს ტყვეობიდან და სპარსეთის მეფემ ის კვლავ აღადგინა სამსახურში, სახელდობრ, ფირანი დანიშნული იქნა სანაპირო სამსახურის უფროსად ქართლის და არანის ჩრდილოეთ საზღვარზე, ეი. ის იყო მარზპანი. მალე კვლავ ატყდა ბერძენ-სპარსელების ომი და თავისი მეფობის მეცხრე წელს სპარსეთის მეფემ ხოსრომ გაილაშქრა ანტიოქიაზე, აიღო და დასწვა ის. ერთი წლის შემდეგ სპარსელების მეფე ლაშქრობს ჰეკარების, ეი. მეგრელების ქვეყანაში (ლაზიკაში).

ხოსრო იმარჯვებს და თავის მაგივრად სტოვებს ჯარის უფროსად ფირან გუშნასპს. მაგრამ შემდეგ, როგორც ქრისტიანობაში გრიგოლის სახელით გადასულს, მას აპატიმრებენ და სიკვდილით სჯიან.

ბიზანტია-სპარსეთის ომი დაიწყო 531 წ. და როგორც ჩანს, ფირან გუშნასპი ამ წელს ლაშქრობს ქართლიდან ბიზანტიელების წინააღმდეგ. 532 წ. რომეებსა (ბიზანტიელებსა) და სპარსელებს შორის დადებულ იქნა ზავი და ბიზანტიელების მიერ ტყვედ შეპყრობილი ფირან გუშნასპი განთავისუფლებულ იქნა. შემდეგი ომი რომეებსა და სპარსელებს შორის დაიწყო 540 წლის გაზაფხულზე. სპარსელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ ანტიოქიას, აიღეს და დასწვეს ის. ამის შემდეგ სპარსელები გაემართნენ ეგრისისაკენ (ლაზიკისაკენ) და იქ მათ აიღეს ციხე პეტრა. ფირან გუშნასპის წამების თანახმად ეს მოხდა ანტიოქიის აღებიდან ერთი წლის შემდეგ ანუ 541 წ. ხოსრო-ანუშირვანი გამეფდა 12 ივნისს 531 წ. ასე რომ სპარსელების მიერ ანტიოქიის აღება მართლაც მოხდა მისი მეფობის მეცხრე წელს (539 წ. ივნისის შემდეგ). ერთი წლის შემდეგ ამისა, დაახლოებით 541 წლის ბოლოს ფირან გუშნასპს სტოვებენ ქართლში მარზპანად. ამიტომ ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში მოხსენებული არანდ გუშნასპი არ შეიძლება ხოსროს მეფობის მე-10 წელს ყოფილიყო ქართლის მარზპანად, რადგანაც ასეთად ამ დროს იყო ფირან გუშნასპი.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სომხურ წერილთა წიგნში მოთავსებულია სომხების კათალიკოსის ნერსეს II-ის (549-588 წწ.) წერილი. ამ წერილში ნათქვამია, რომ "მეფეთა მეფის ხოსროს მეფობის მე-17 წელს სომხეთში ნიჰოსრაკანის მარზპანობისას აგებულ იქნა შენობა (სალოცავი) მანაჭიჰრ რაჟიკის პატივსაცემად, რომელიც გადავიდა ქრისტიანობაში, ნათლობაში მიიღო გრიგოლის სახელი და სარწმუნოებისათვის სასიკვდილოდ ტანჯულ იქნა". გრიგოლ მანაჭიჰრი დაპატიმრებულ იქნა ხოსროს მეფობის მე-15 წელს გამოცემულ ბრძანების საფუძველზე. ხოლო იმავე მეფის მე-17 წელს, უკეთუ ორსავე შემთხვევაში იგულისხმება ერთი და იგივე ხოსრო, სომხეთში უკვე აუგიათ მის სახელზე სალოცავი. ჯერ ერთი ეს იქნებოდა მეტად მკვეთრი პროტესტი სპარსეთის მთავრობის მიმართ, გარდა ამისა გრიგოლ მანაჭიჰრის დაპატიმრებას, გასამართლებას და დასჯას უნდოდა ერთგვარი დრო და ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ ორსავე ამ შემთხვევაში (მეფობის მე-15, მე-17 წლები) იგულისხმებოდეს ერთი და იგივე მეფე ხოსრო-ანუშირვანი.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ 540-550-იან წლებში ქართლის კათალიკოსებად მოქცეული ქართლისაგან და მემატიანის სიტყვით იყვნენ საბა, ეფლალე და მაკარი და სრულებით არ ისსენიება ევსტათი მცხეთელის ცხოვრების სამუშო კათალიკოსი.

ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში მოხსენებული მეფე ხოსრო არის არა ხოსრო-ანუშირვანი, ძე კობადისა, არამედ სხვა პირი, რომელიც გრიგოლ მანაფიპრის ცხოვრებაში დასახელებულია ორმუზდის ძედ. ეს ხოსრო უნდა იყოს სპარსეთის მონარქიის ჩრდილოეთი კუსტის (ეი. ადარბადაგანის და რანის) მეფე, სასანიანთა დინასტიის წევრი. ეს ორმუზდის ძე ხოსრო მართლაც შეიძლება ყოფილიყო მეექვსე საუკუნის პირველ მესამედში ამ ჩრდილოეთ კუსტის მეფედ, რომლის ხელქვეითი იყო სპარსეთის კუთვნილი საქართველოც. ბრძანება ქრისტიანული სარწმუნოების აკრძალვის შესახებ იმათთვის ვინც ცეცხლთაყვანისმცემლად იყო დამადებული, გამოვიდა ხოსროს მეფობის მე-15 წელს. ეს ფაქტი უნდა იგულისხმებოდეს პროკოპი კესარიელის ცნობაში, რომ სპარსელებმა წინადადება მისცეს იბერიის მამასახლისს გურგენს გადასულიყო ცეცხლთაყვანისმცემლობაში (526 წ. ახლოს). საქართველოში მაშინ ბევრნი იქნებოდნენ ისეთნი, რომელნიც ცეცხლთაყვანისმცემლობიდან გადასული იყვნენ ქრისტიანობაში, მათ შორის ქართველებიც, და ამიტომ ხსენებული ბრძანება შეეძლოთ გაეგოთ როგორც საერთოდ განკარგულება ქრისტიანების ცეცხლთაყვანისმცემლობაში გადასვლის აუცილებლობის შესახებ, როგორც ამას გვაცნობებს პროკოპი.

ამგვარად 526 წელი შეიძლება ჩაითვალოს ჩრდილოეთის კუსტის მეფის ხოსროს მეფობის მე-15 წლად. მისი მართებლობის დასაწყისი კი მოდის 523 წ. არვანდ გუშნასპის მარზპანობის მე-10 წელს მცხეთაში მოვიდა ევსტათი.

ზემოთ ხსენებულის მიხედვით გამოდის ასეთი თარიღები. ევსტათის ჩამოსვლა მცხეთას 520 წ., გრიგოლ მანაფიპრის დაპატიმრება 525 წ. ახლ. და მაშინვე მოხდა ევსტათის პირველი დაპატიმრება. 526-529 წლებში ქართლში არ იყო მარზპანი. 529 წელს თბილისში ჩამოვიდა ახალი მარზპანი ვეჟან ბუზმირი, ხოლო 541 წ. მარზპანად და იმავე დროს ქართლში მყოფი სპარსელების ჯარის უფროსად იყო ფირან გუშნასპი, რომელიც ქრისტიანობაში გადასვლისათვის სიკვდილით დასჯილ იქნა 542 წლის შემდეგ.

ევსტათიმ მიიღო ქრისტიანობა კათალიკოს სამუელისაგან, რომელიც ესწრება სპარსეთში გაწვეულ მარზპანის არვანდ გუშნასპის გამოთხოვებას. მაშასადამე, სამუელი იყო კათალიკოსად 516-526 წლების ახლოს მოქცევაჲ ქართლისაჲს და მატიანის სიით მეფე ბაკურის დროს ქართლის კათალიკოსად იყო სამუელი. დამთხვევა არის საკვანძო ზუსტი.

ზემოთ თქმულის მიხედვით ევსტათის სიკვდილით დასჯა უნდა მიეკუთვნოს 529 წლის ახლოს, ხოლო მალე ამის შემდეგ 532-536 წლების ახლოს დაწერილი უნდა იყოს ევსტათი მცხეთელის ცხოვრება. ევსტათის სიკვდილიდან მისი ცხოვრების დაწერის დრომდის ასეთ მოკლე დროს ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ ნაწარმოებში ცოცხლად იხსენიება ზოგიერთი ისეთი პირი, რომელნიც ევსტათის მეორეჯერ გასამართლებისას შიშით კვლავ დაბრუნდნენ ქრისტიანობიდან ცეცხლთაყვანისმცემლობაში.

129. სასულიერო ქრისტიანული პოეზია.

ქრისტიანობის გამარჯვებას მოჰყვა ქრისტიანული სასულიერო პოეზიის წარმოშობა და განვითარება. ვითარდებოდა ეს პოეზია ადგილობრივად წინა ხანაში არსებული წარმართული ჰიმნოგრაფიის საფუძველზე, მაგრამ ებრაული, სირიული და ბერძნული სასულიერო პოეზიის მონაცემების გამოყენებით. ზოგიერთი ფაქტი, მიხ. თარხნიშვილის მიერ დადასტურებული,[3] ცხადყოფს ამას.

ქართული სასულიერო პოეზია არის მეტრიული (გარკვეული რაოდენობის მუხლებისაგან ჩვეულებრივ რითმით ბოლოში) და რიტმიული (თანაბარი ზომის ბგერული ელემენტების თანასწორულად ერთმანეთზე მიყოლებით). მეტრიული საეკლესიო კანონის (საგალობლის) პირველ ტექსტს ქართულად ერქვა ძლის-პირი, ეი. ძალის ანუ სამუსიკო საკრავის სიმის პირი-კიდე, ბერძნულად კი საგალობლის დამწყები მელოდია. ცხადია ქართული ტერმინი სხვა წარმოშობისაა და მას არაფერი აქვს ანალოგიურ ბერძნულ ტერმინთან.

მიხ.თარხნიშვილსვე შენიშნული აქვს, რომ ქართული სასულიერო პოეზიის რიტმული ნაწარმოებები წარმოგვიდგენენ სტროფული აგებულების ისეთსავე სახეს, რომელიც დამახასიათებელი იყო ებრაული

---

3 . Oriens Christianus, XLI, 1957, გვ. 76-79, გერმანულად; ქართული თარგმანი — ქართული სასულიერო პოეზია და მისი ურთიერთობა ბიზანტიურ პოეზიასთან, მნათობი, 1958, N1, გვ. 132-143.

მწერლობისათვის. აქ აღინიშნება ებრაული პოეზიის გავლენა, რომელიც, რასაკვირველია, წინ უსწრებდა ქრისტიანობის ჩვენში ოფიციალურად დამკვიდრების ხანას (IV ს) და თავისი ძირით მიეკუთვნება უფრო I-II ს-ნეებს.

ძველ ხანას (ყოველ შემთხვევაში IV ს-ნეს) უნდა ეკუთვნოდეს მ.თარხნიშვილის მიერ სინას ხელნაწერში N37 მიკვლეული ორი იამ-ბიკო (ბერძნული ijambikov" – ლექსური), რომელთაგან ერთში ლოცვის ნაცვლად იხმარება ზმნა თავყანისცემა (თაყვანისცემა), როგო-რიც ეს არის უძველეს ტექსტებში (ბოლნისის წარწერაში 399 წლის ახლოს უკვე იხმარება ზმნა ლოცვა), და მეორეში კიდევ ეზო იხმარება უძველესი მნიშვნელობით – ფარდის აზრით ("მაშინ ეზო ტაძრისა განიპო"). ეხლაც ხევსურეთში გჩიტაიას დამოწმებით, ეზო ნიშნავს სახ-ლის იმ ნაწილს, სადაც ინახება ხორაგი, ტანისამოსი და იარაღი. "უაღრესად მდიდარი და მაღალგანვითარებული ქართული სასულიერო პოეზია, რომელიც ერთგვარი მიმართებით თვით საერო პოეზიის საფუძ-ველი და ამოსავალი წერტილი გახდა, არის, თუ პირველი წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისეთივე ძველი, როგორც პროზა: მას ძირი აქვს V საუკუნის ლიტურგიულ მსახურებაში. საზომის მიხედვით ის ნაწილობრივ მშობლიურია, ადგილობრივია, ნაწილობრივ კი სირიულ-ბიზანტიური ელფერისაა" (მ.თარხნიშვილი, იქვე).

130. ფილოსოფია; ფილოსოფიის სკოლა კოლხეთში.

ფილოსოფიური აზროვნება ქართველებში საკმაოდ იყო განვი-თარებული.

ბერძენი ეპისკოპოსი ეპიფანე, ქრისტიანობაში სხვადასხვა სე-ქტანტურ მიმართულებათა წინააღმდეგ ერთ-ერთი თვალსაჩინო მებრძოლი, აღნიშნავდა 374-377 წლებში, რომ სხვა ხალხებს შორის იბერიელებსა და ლაზებშიც წარმოდგენილი იყო ფილოსოფიურ მიმარ-თულებათა და სარწმუნოებრივი სექტების ძლიერ ბევრი სხვაობა.

თემისტი (317-388 წწ. ახლ.) წერს თავისი თავის შესახებ, რომ მან "აიღო რიტორული სიტყვების უხვი მოსავალი ბევრად უფრო მი-ყრუებულ ქვეყანაში, არა კულტურულ და ელინურ მხარეში, არამედ პონტის ბოლოში ფასიდის ახლოს, სადაც თესალიიდან მოსული გემი არგო შეაქეს პოეტებმა_ მაგრამ მაინც ასეთი ბარბაროსული და ვე-ლური ქვეყანა ელინურად და მუზების სასახლედ გადააქცია ერთი

პირის სიბრძნემ და სიქველემ. ის დასახლდა კოლხებსა და არმენებს შორის და ასწავლიდა არა მშვილდიდან სროლას ანდა ხელშუბების სროლას და ცხენოსნობას მეზობელი ბარბაროსების აღმზრდელობითი შეხედულებათა მიხედვით, არამედ რიტორიკაში მეცადინეობას და ელინურ სადღესასწაულო შეყრილობებზე თავის გამოჩენას".

თემისტის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ფასისის ახლოს, არგონავტების მოქმედების არეში ერთი ბერძენი ან ბერძნული განათლების პირი დამკვიდრებულა და მოუწყვია ფილოსოფიური სკოლა. თემისტის მამას ევგენის სწავლა მიუღია ამ სკოლაში და ამ სკოლაშივე მისცა მან თავისი შვილი თემისტი. სკოლის მოქმედების ადგილად უნდა ვიგულისხმოთ (ფასისის ახლოს მდებარე ადგილი) უფრო ქუთაისი, რომელიც ამ ხანაში უკვე წამოწეული იყო. ხსენებული ფილოსოფიური სკოლა დაარსებულა, როგორც ჩანს, III ს-ნის მეორე ნახევარში მაინც, თუ უფრო ადრე არა. IV ს-ნის დასაწყისის ახლოს იქ სწავლობდა დასახელებული ევგენი (ევგენისი), ხოლო 330 წლის ახლოს და 330-იან წლებში მისი შვილი თემისტი შემდეგ ევგენი გამხდარა ფილოსოფიის ცნობილ მასწავლებლად კონსტანტინოპოლში.

თემისტის დროს (მაშასადამე, 380-იანი წლების დასაწყისში) ეს სკოლა განაგრძობს არსებობას. მასში მიიღო სწავლა, როგორც ჩანს, IV საუკუნის ქართველმა ფილოსოფოსმა ბაკურმა, რომელიც ასეთად ცნობილია ბერძნულად, თუმცა მის ნაწარმოებებს არ მოუღწევია.

ეს ფილოსოფიური სკოლა, საფიქრებელია, არსებობდა V საუკუნის პირველ ნახევარშიც. შემდეგ ის გაუქმდებოდა. გამარჯვებული იყო უკვე ქრისტიანული სარწმუნოება და სწავლა-განათლებამ მიიღო ქრისტიანული საეკლესიო ხასიათი. ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო კერას წარმოადგენდნენ უკვე საეპისკოპოსო საყდრები და მონასტრები, სადაც კი ამის შესაძლებლობა იყო.

V საუკუნის მეორე ნახევარში (თუ პირველ ნახევარში არა) უკვე უნდა არსებულიყო მაკრიანე არისტიდის (II ს) ფილოსოფიური ტრაქტატის "აპოლოგი"-ის ქართული თარგმანი. როგორც ეს დლანგმა აღნიშნა,[4] არისტიდის ხსენებული ტრაქტატი გამოყენებულია ევსტათი

---

4 . D. M. Lang, St. Euthymius the georgian and the Barlaam and Joasaph romance, Bulletin of the School of Oriental and African Studies University of London, vol. XVII, part. 2, 1955; Ш. Нуцубидзе, К происхождению

მცხეთელის დამწერის მიერ ისე, რომ ამას ციტატების ხასიათი აქვს, რაც ამ ნაწარმოების ქართული თარგმანის მაშინ არსებობის მაჩვენებელი უნდა იყოსო. მაშასადამე, V საუკუნის II ნახევარში ასეთი თარგმანი უკვე უნდა არსებულიყო.

131. კალენდრის რეფორმა.

რადგანაც წამყვან სარწმუნოებას ქართველებისათვის ქრისტიანობა შეადგენდა, ხოლო ქრისტიანული ეკლესია იულიუსის რომაულ კალენდარს ემყარებოდა, ამიტომ საჭირო ხდებოდა ამ კალენდრის საყოველთაოდ შემოღება. ეს არ იყო ადვილი საქმე. ჯერ ერთი ქართველებს ჰქონდათ თვეების საკუთარი სახელები შემუშავებული (აპან, ტირისკონი, ტორისდენი და სხვ.). ხალხში კიდევ მეტწილად იხმარებოდა (როგორც ეს ახლაც არის) სეზონურ სამუშაოებთან დაკავშირებული სათვეო სახელები (მაგ. თიბათვე, მკათათვე, სთველისთვე, ღვინობისთვე, წიფობისთვე და სხვ.). მეორე დაბრკოლებას კიდევ შეადგენდა წელიწადის სიგრძის სხვაობა: წინა-აზიაში მიღებულ წელიწადში ირიცხებოდა 365 დღეღამე, იულიუსის კალენდარში კი 365 1/4 დღეღამე. V საუკუნეში ამ მხრივ გადადგმულ იქნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ეს ჩანს შემდეგიდან.

შუშანიკის წამების ტექსტის ბოლოს ჩამოთვლილია მისი ტანჯვის თვეები ქართველებში მანამდის მიღებული სახელებით, რომელნიც ბაბილონურ და ნაწილობრივ ქართული წარმოშობისა იყვნენ. შუშანიკის სიკვდილის თვე კი ნაჩვენებია იულიუსის კალენდრის სახელით (ოქტომბერი). ამის შესატყვისად შუშანიკის წამების სომხურ ტექსტში დასახელებულია თვე ქაღოც. ქაღოც ადგილობრივი სახელწოდებით უდრიდა ქართულ თვეს სთველს. აქედან ოქტომბერი გამოდის სთვლის და ქაღოცის შესატყვისი. სელევკიანთა კალენდარით ასეთი იგივეობა შეუძლებელი იყო, რადგანაც ის იულიუსის კალენდარს ყოველ ოთხ წელში შორდებოდა ერთი დღით. ცხადია, რომ შუშანიკის წამების დროისთვის უკვე გამოცემული იყო დადგენილება, რომლის მიხედვით ადგილობრივი სახელწოდების თვეები გათანასწორებულ იქნენ იულიუსის კალენდრის შესატყვის თვეებთან შემდეგნაირად: ახალწლისა — სექტემბერი, სთვლისა — ოქტომბერი, ტირისკონი — ნოემბერი, ტირისდენი — დეკემბერი, აპანი — იანვარი, სურწყუნისი — თებერვალი, მი-

---

греческого романа "Варлаам и Иосиф", Тб., 1956, стр. 177 и сл.; ვ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 310 და სხვ.

ჰრაკანი (მირკანი) — მარტი, იგრიკა — აპრილი, ვარდობა — მაისი, თიბისა და მარიალი — ივნისი, არდადეგი — ივლისი, ქველთობა — აგვისტო. წელიწადის დასაწყისი იანგარიშება უკვე სექტემბრიდან, ბერძნულად ენკენიადან, რაც განახლებას (იგულისხმება წელიწადის განახლებას) ნიშნავდა, მაგრამ სამოქალაქო ცხოვრებაში შემდეგშიდაც პარალელურად იხმარებოდა სელევკიანთა ერაც თავისი შესატყვისი თვეების ანგარიშით. ეს გაგრძელდა VII საუკუნის პირველ მესამედამდის თანჩათვლით.

შუა აზიელი ბირუნი, რომელიც არაბულად წერდა (გარდაიც. 1048 წ. დაახლ. 75 წლის) თავის წიგნში, "ძველი ხალხების ქრონოლოგია[5] ეხება სპარსეთში მიღებულ წელთსათვალავსაც. სპარსეთში მიღებული იყო სელევკიანთა ერა, რომლის საწყისად ითვლებოდა 1 ოქტ. 312 წლისა ჩვ. ე-მდის. წელიწადი შესდგებოდა 30 დღიანი 12 თვისაგან (სახელები - fravardin, urdvahisht, khvardadh, tiz, amurdadh, shahrevar, mihr, abhan, adhur, dadhv, vahman, spandarmadh. ადურის თვეს შემდეგ დამატებით უმატებდნენ ხუთ დღეს, ასე რომ სულ გამოდიოდა წელიწადში 365 დღე. რადგანაც ეს წელიწადი 1/4 დღით ნაკლები იყო იულიუსის წელიწადთან შედარებით, ამიტომ ყოველ ოთხ წელიწადში სელევკიანთა კალენდარი იულიუსის კალენდარს ერთი დღით უკან რჩებოდა, ხოლო 120 წლის განმავლობაში 30 დღით. ბირუნის ცნობის მიხედვით იეზდიგერდ I-მა (399-420 წწ) სპარსეთში მოქმედი კალენდარის ასტრონომიულ კალენდართან რამოდენადმე შესასწორებლად დაუმატა ერთხელ ერთ. წელიწადს ორი (როგორც ჩანს, უსახელო) თვე, რის გამო 5 დამატებითი დღე ადურის თვის მაგივრად მიუმატა თვეს აბანს (აპანს). შემდეგ კი, მისივე სიტყვით, თვეების ასეთი ჩამატება არ მომხდარა.

მაგრამ ქართველებს ეს რეფორმა არ მიუღიათ. აქ მოხდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა VI საუკუნეში ბიზანტიური წელთსათვალავის რეფორმისას. სახელდობრ, 400 წლის ახლოს ან V საუკუნის პირველ ნახევარში უცნობი პირის მიერ დადგენილ იქნა ციკლური სათვალავი (თითო ციკლი 532 წელი, რომელიც საჭირო იყო აღდგომის დღესასწაულის მუდმივი კალენდარული ცხრილის შესადგენად) — დასაბამიდან ქრისტეს დაბადებამდის 5604 წ. ამ სათვალავით XI ციკლი თავდებოდა 248 წელს, XII-780 წ. XIII-1312 წ. ქართველების ეკლესიამ მიიღო ეს

5 . სახაუს გამოცემა, ლაიპციგი. 1878; მისივე ინგლისური თარგმანი, ლონდონი, 1879.

სათვალავი. მაგრამ როდესაც დიონისი მცირემ 525 წელს შემოიღო ახალი სათვალავი (დასაბამიდან ქრისტემდის 5508 წელი), რომელიც შემდეგ გავრცელდა მთელ საქრისტიანოში, ქართველებმა უარყვეს ის და შერჩნენ სათვალავს დასაბამიდან ქრისტემდის 5604 წელს. ამგვარად გაჩნდა ეგრეთ წოდებული ქართული წელთსათვალავი, რომელიც ცნობილია ქრონიკონის სახელით.

რომ იუზდიგერდ I-ის ხსენებული რეფორმა არ გავრცელებულა ქართლის სამეფოზე, ამას ამტკიცებს სხვათაშორის წყისის წარწერა, რომელიც სელევკიანთა ჩვეულებრივი ერათი 461-464 წლებს მიეკუთვნება, ხოლო იუზდიგერდ I-ის, ხსენებული რეფორმის გათვალისწინებით გამოდის (ორი თვე = 60 დღე x 4) 240 წელიწადით უფრო გვიანი თარიღით, ეი. უნდა მიეკუთვნოს 701-704 წლებს, ეს კი შეუძლებელია, რადგანაც თვით სპარსეთში ამ დროს მოქმედებდა არა სელევკიანთა ერა, არამედ 632 წლის 15 იეზდინიდან შემოღებული ეგრეთ წოდებული ერა იუზდიგერდ III-ისა.

ამგვარად იუზდიგერდ I-ის საკალენდარო რეფორმას ქართულ ქვეყნებში ფესვი არ მოუკიდია.

საფიქრებელია, რომ სპარსული სათვალავის თვეების იულიუსის (რომაული) კალენდარის თვეებთან გათანასწორებასთან ერთად ქართველებში შემოღებულ იქნა აღმ. რომის იმპერიიდან ახალი ერა, რომელიც ითვლიდა ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე 5604 წელს და რომელიც შემდეგ გადაიქცა ქართულ ქრონიკონად.

132. ხელოვნება.

ა) სოფიას კენჭის მხატვრობა. ამ ხანიდან მოიპოვება ქართული მხატვრული შემოქმედების ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნიმუში, რომელიც აღმოჩნდა პალესტინაში ბეთლემის ჩრდილოეთით ორიოდე კმ-ზე (იერუსალიმის სამხრეთით შვიდიოდე კმ-ზე) იქ არსებული ქართული მონასტრის ნანგრევებში.[6]

---

6 . ძეგლი გამოაღენინა პალესტინაში მომუშავე კათოლიკურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ვირჯილიო კორბოს ხელმძღვანელობით. კორბოს მიერ აღწერილია ქართული მონასტრის ნაგებობათა ნაშთი, წარწერები კი წაკითხულია და კომენტირებული მის. თარხნიშვილის მიერ (Virgilio Corbo gli scavi di kn. Si yar el ghanam e i monasteri dei dintorni, genusalemne 1955) ხსენებულ საკითხს ეხება სპეციალურად მეშვიდე თავი Monastero georgiano di s. Teodoro a Bir el-Qutt, p. 113-139: მის. თარხნიშ-

მონასტერი მოიცავდა გაზილიკის ტიპის ეკლესიას, სატრაპეზოს; საკლდამოს და მთელ რიგ სამეურნეო სათავსოებს (პურის საცხობს, მარანს და სხვ.). ეკლესია თითქმის მთლიანად დანგრეულია, მაგრამ სატრაპეზოში შინაგანი ეზოს ზოგ ნაწილში და სხვაგან აღმოჩნდა სოფიის კენჭოვანი მხატვრობის ნაშთი ქართული ასომთავრული წარწერებით. ერთი წარწერა მოწევნილია სრულად, ორი წარწერა მხოლოდ ნაკლულევანად და ერთი წარწერის მხოლოდ ერთი ქართული ასოა კარგად შენახული. პირველი წარწერა იკითხება შემდეგნაირად: "შეწევნითა ქჩსითა (ქრისტესითა) და მეოხებითა წმიდისა თეესითა (თეოდორესითა) შნ (შეიწყალენ) ანტონი აბაჲ და იოსია მომსხმელი ამის სეფისაჲ და მამადედა იოსიაჲსი, ამენ".

წარწერა შესრულებულია იშვიათი ხელოვნებით. ასოების მოხაზულობით ის საესებით მიაგავს ბოლნისის სიონის წარწერებს, მხოლოდ ასო შ აქ უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფორმითაა. წარწერა უნდა მიეკუთვნოს V საუკუნის პირველ ნახევარს (430-450 წლების ახლოს).

წარწერა აღნიშნავს მხატვრის სახელს იოსიას, რომელიც თავის თავს უწოდებს სეფის მომსხმელს. სეფი, მიხ.თარხნიშვილისაევ (იქვე) განმარტებით, არის სირიული სეფი, სეფო — ქვანი, კენჭები და ნიშნავს მოზაიკას. ამავე ძირიდან და, მაშასადამე, სირიულიდან ნასესხებიდან უნდა იყოს წარმომდგარი ქართული ტერმინი სოფიის-კენჭი (მოზაიკა).

მეორე ასომთავრულივე იმავე დროის წარწერა იკითხება ასე: "---" და ძუძეულნი მათნი ბაკურ და გრიორმიზდ და ნაშობნი მათნი, ქე (ქრისტე), შენ (შეიწყალენ), ამენ". ძუძეული მიხ.თარხნიშვილს (გ.გარიტტის მიერ გამოქვეყნებულ აგათანგელის ტექსტის ქართულ ნაწყვეტზე[7] დამყარებით) განმარტებული აქვს როგორც მოწაფე, მაგრამ შეიძლება აქ იგულისხმებოდნენ მამამძუძენი (გამზრდელთა შვილები).

მესამე, მეტად დაზიანებულ წარწერაში მოხსენებულნი არიან "მარ/თ?-/ ან და ბო /ვ?/რზნ", ეი. პირობით მარუჟან და ბურზან.

ვილის წაკითხვა და განმარტებანი მოცემულია 135-139 გვერდებზე. წარწერებს ის სთვლის VI საუკუნისად.

7 . G. Garitte, Un fragment géorgien d'Agathang, Musèon, 61 (1948) p. 93.

მეორე და მესამე წარწერაში მოხსენებულნი პირნი, საფიქრებელია, არიან წარჩინებული მდგომარეობის აღმშენებელთა (მათი სახელი არაა მოწევნილი) ახლობელნი.

3/ ჭედვითი ხელოვნება. ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ) შემდეგ აღმოსავლურ ქრისტიანობაში ვითარდება ხატის კულტი. ამასთან დაკავშირებით ძლიერდება როგორც მხატვრობა, ისე ჭედვითი ხელოვნება, რომელიც განსაკუთრებული სიფაქიზით მომსახურეობას უწევს ქრისტიანული კულტის საჭიროებათ. V საუკუნის ბოლოდან მოწევნილია ვერცხლის ერთი მცირე ხატი გრიგოლ საკვირველთ-მოქმედის სახით, შემზადებული ქალის საპაკ-დუხტის (სპარსულად საკის ასულის) მიერ სასანიანთ სპარსეთის გავლენის ხანაში.

4/ ხუროთმოძღვრება. უფრო კარგადაა მოწევნილი ხუროთმოძღვრების ძეგლები. ვახტანგი დიდ ყურადღებას აქცევდა კლარჯეთს, სადაც ერისთავად მან დანიშნა თავისი ძეძესმტე არტავაზი. ჯუანშერის სიტყვით ვახტანგმა უბრძანა (არტავაზს), რათა მან აგოს ციხე არტანუჯისა. და უბრძანა გამონახოს "ადგილი მის შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია და ქმნეს მონასტრად" (გვ. 177-178). ვახტანგს უთქვამს არტავაზისთვის, რომ "ეკეთუ განძლიერდნენ სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს"-ო (გვ. 178). არტავაზმა მართლაც -აღაშენა ციხე არტანუჯისა და "მონასტერი, რომელ არს ოპიზა და ეკლესიანი — დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა და განაახლა ციხე ახიზისა, ქმნა იგი ქუაბად (ეი. გამოქვაბული სიმაგრედ). სუმბატ დავითის ძის სიტყვითაც არტანუჯი "პირველ გორგასალს ვახტანგს ციხედ აღეშენა" (გვ. 377).

დიდი მშენებლობა იყო გაშლილი ეკლესიების ხაზით, რადგანაც მაშინდელ პირობებში ამას ჰქონდა სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა. საკათალიკოსო ტაძრის მშენებლობაზე მცხეთაში ზემოთ იყო ნათქვამი. აქ მოვიხსენიებთ ზოგიერთ სხვა მშენებლობათ, რომელნიც ზემოთ არ იყო მოხსენებული.

ჯუანშერით ვახტანგმა ააშენა სოფ. უჯარმის — „კარში ნინოწმიდის უბანში ეკლესია. ვახტანგმა ააშენებია ეკლესიები ნიქოზში "საგზავლსა თანა ცეცხლისასა" და უჯარმასთან წმ. რაჟდენის სახელობაზე.

რაღაც მშენებლობა ვახტანგის დროს ჩატარებულა რუსთავშიც. ღვთაების გუჯარი 1722 წელს გადმოგვცემს შემდეგს: "მეფეს ვახტანგ გორგასლანს ეპისკოპოსი იგი (რუსთავისა) განედიდა და რუსთველადცა ამად სახელ ედვა, რომელ ქალაქიცა, რომელი იგი აღმშენებელ და ბოსტან-ქალაქად სახელდებულ და რუსთავად ნაწოდები ყოფილარს და თუით ქალაქი იგი და მარტყოფიცა სამწყსოდ და მრავალნი დაბანი და აგარაკნი და სხვათ მრავალთა ველთა და მინდორთაგან იმა საყდრისათუის შენაწირნი მისისა ეპისკოპოსისა რუსთველისათვის მიებოძნეს"[8]

ეს ცნობა ზოგადად სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს. რუსთავში 460-იან წლებში იხსენიება ეპისკოპოსი. მართლაც ჯუანშერი გვაცნობებს, რომ ვახტანგს ეპისკოპოსი დაუსვამს რუსთავშიც.

აქ უნდა აღინიშნოს ეგრეთ წოდებული ანჩისხატის ეკლესიაც, რომელსაც ეს სახელი დაერქვა მას შემდეგ, რაც იქ მოყვა კლარჯეთში XVII ს-ნეში გაუქმებული ანჩის მონასტრის მთავარი ხატი. ხალხი მას მარინეს ეკლესიას ეძახის. ეკლესია აშენებულია ვახტანგის მემკვიდრის დაჩის დროს (მოქც. ქ., გვ. 94).

შიდა-ეგრისის მთავარ ქალაქში ციხე-გოჯში 450-480 წლების ახლოს გაშენებულ იქნა გუმბათიანი ეკლესია.

ვახტანგ გორგასალის მიერ (XIX ს-ნის მეორე ნახევარში ჩაწერილი გადმოცემით),[9] აშენებული ყოფილა მყინვარის ძირში გერგეტის მთაზე ახლანდელი სოფელ ყაზბეგის გასწვრივ, ეკლესია შემდეგში გუმბათიანად გადაკეთებული.

XIX ს-ნის პირველ მესამედში ო.ევეკის დროს არსებული გადმოცემით,[10] ვახტანგ გორგასალის დროს იქნა აშენებული წმ. გიორგის უგუმბათო ეკლესია ლომისში მთიულეთში, რომელიც შემდეგ უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა მეზობელ მხარეებში. ლომისის ეკლესიის ნიშნები (მცირე სალოცავები) იმ მხარეში ბოლო დრომდის ბევრ ადგილას იყო გაშენებული.

1836 წლის ოფიციალურ ცნობაში მოხსენებულია, რომ "სამთავისის სობოროს გარეშამოს ძველის გალავანის აღშენების წელნი არა ცნობილ არიან. ხოლო აღმშენებელ არს განსვენებულის საქართ-

---

8 . სარგის კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, I, ტფ., 1913.

9 . ცნობა ჩაწერილი იყო თ. ჟორდანიას მიერ (მისი ფონდი ისტ. არქივში, N3, 192).

10 . Ор. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, СПБ, 1835, стр. 151.

ველოს მეფის გორგასალისა მიერ."[11] ყოფილა, მაშასადამე გადმოცემა დარჩენილი, რომ სამთავისის ტაძრის გალავანი (და, საფიქრებელია, თვით ტაძარიც) თავდაპირველად გაშენებული ყოფილა ვახტანგ გორგასალის დროს. მოღწეული ეკლესია XI ს-ნისაა, ხოლო თავდაპირველი გალავნისაგან შემდეგ დროინდელი შეკეთება და ახლად აღშენებათა მიზეზით დარჩენილია რამე თუ არა, არაა გარკვეული.

შიდა ქართლში ჭალაში დაცული იყო დიდი "ჯვარი პატიოსანი", ქმნილი მეფისაგან ვახტანგ გორგასლანისა" (თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა მის თხრობაში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შესახებ).[12] ამ ჯვარ-პატიოსანის სახელზე იქვე აშენებულ იქნა ბაზილიკური ტიპის ეკლესია, რომელიც მოწეენილი იყო ჩვენს დრომდის.

ჯუანშერის მოწმობით ვახტანგმა გააშენა საეპისკოპო საყდარ-ეკლესიები ჭერემს ("მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი აღაშენა მანვე"). ჭერემში მას, მაშასადამე, აუშენებია ორი ეკლესია და მათ შორის ზღუდე-სიმაგრით გამაგრებული პუნქტი ("ქალაქი"). ერთი ასეთივე საყდარ-ეკლესია ვახტანგმა გააშენებია ჩელეთს "სოფელთა შუა". ვახუშტი ბატონიშვილი და პლ.იოსელიანი ამ ჩელეთს აიგივებდნენ ჟალეთთან, რომელიც შემდეგში აღინიშნება ერწოში, იორ-თან ერწოს-წყლის შესართავის ზემოთ.[13]

მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი. კახეთში მდ.ალაზნის აღმო-სავლეთით დღემდე მოდის მცირე მდინარე ჩელთი წყალი, რომლის სა-თავეში, ვლ.აბრამიშვილის ცნობით, ახლაც არის ნასოფლარი ადგილი. რაც შეეხება ჟალეთს, ის თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ერწო-თიანეთში ერთი კუთხის სახელი. მოქც. ქართლისაჲში გამოთქმა, რომ წმ. ნინო "დადგა ჟალეთს დაბასა ედომს" ამისი მაჩვენებელია. სოფ. საყარაულოდან 2-3 კმ-ზე, ვლ.აბრამიშვილის სიტყვით, მდ. იორის ორ-საავ ნაპირას ტყიან მთებზე არის ძველ ნაგებობათა ნაშთი, რომელნიც ახლაც ცნობილია ჟალეთის სახელით.

ვახტანგ გორგასალის დროს აუშენებიათ კახეთში ურიათუბნის გარშემო სანაგორის ბაზილიკა. ამ ბაზილიკის ეკვდერს აქვს XVIII საუ-

---

11 . ცსია, ფ. 489/138/, N 4846, ფ. 76.

12 . დ. ჩუბინოვი, ქართული ქრისტომათია, სპბ., 1863, გვ. 195.

13 . Пл. Иоселиани. Петувые заметки от Тифлиса до Мцхеты, Тифлис, 1871, стр. 46-47. პლ. იოსელიანის სიტყვით, ქალაქი ჟალეთი გაუქმებულ იქნა XV საუ-კუნეში.

კუნის წარწერა: "გორგასალ ხემწიფის აშენებული, წმიდის სანგირეთ მღვთისმშობლის ბრწყინვალე ეკლესია".[14]

133. განათლება.

როდესაც ეკაყას მიერ ჩატარებულ იქნა ქართული ანბანის რეფორმა, კორიუნის და მოსე ხორენელის სიტყვით, მესროპი ჩავიდა ქართლში საქმის გასაცნობად. აქ მას დახმარებას უწევდნენ მეფე ბაკური და ქართველი ეპისკოპოსი მოსე. შეკრებილ იქნენ ბიჭები, რომელნიც გაყვეს ორ წყებად და მესროპის მიერ მოყვანილი ორი სპეციალური მასწავლებელი შეუდგა მათ სწავლებას. ასეთი სკოლები იქნებოდა შემდეგაც განსაკუთრებით ეპისკოპოსების ტაძრებთან.

უფლისწული პეტრე ქართლელი სამი წლის იყო, როდესაც ის, აგიოგრაფის სიტყვით, მისცეს სამწიგნობრედ და დაისწავლა მან (ვიდრე თორმეტ წლამდის, სანამ მას კონსტანტინოპოლს წაიყვანდნენ მძევლად) "ყოველივე სწავლა და გულის მის ყოფით აღმოიკითხვენ წმიდათა წერილთა და იწვრთინ (სწავლობდა) მათ დღე და ღამე".

ვახტანგ გორგასალი დამადების შემდეგ მალე მისცეს "საურმაგ სპასპეტსა საზრდოდ (აღსაზრდელად), რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდნიან" (გვ.143). 15 წლის ვახტანგს უკვე დამთავრებული ჰქონია აღზრდა. იგივე ეკუანშერი ალაპარაკებს ვახტანგ გორგასალს: "მამაჲ კეთილი სწერთინ შვილსა კეთილად საქმეთა ზედა კეთილთა და უკეთუ არა კეთილად აღასრულებდეს სწავლასა მამისა თჳსისა, გვემს (ეი. ცემს მას) მამა იგი გვემითა და სწავლითა, რათა ასწავლოს ყოველი კეთილი და იქმნას საკმარ კეთილისა". გადმოცემით, თვითონ ვახტანგი ზრუნავდა განათლების საქმისათვის. ნიქოზში მას ჩრ. კავკასიაში ოსებზე გამარჯვების შემდეგ გაუმართავს სკოლა, სადაც იზრდებოდნენ ქართველ ყმაწვილებთან ჩრდ. კავკასიიდან ერთად გამოწერილი ოსებიც რიცხვით ვითომ ასამდის. მიზანი იყო მათი მეშვეობით ქრისტიანობის გავრცელება და განმტკიცება ოსებში. სწავლის გავლის შემდეგ ოსი ყმაწვილები ამიტომ გაგზავნილ იქნენ ჩრდ. კავკასიაში ოსეთში სამოქმედოდ.[15]

---

14 . თ. ბარნაველი. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბ., 1962, გვ. 59.

15 . ჩაწერილია სოფ. ზემო-ნიქოზში ს. ნადიმაშვილის მიერ. მთქმელი — ადგილობრივი მცხოვრები კოტე მშვდლიძე

134. ყოფა.

როგორც ფაქტებიდან ჩანს, ყოფა-ცხოვრებაში მთავარი ხაზების მხრივ ქართველებს (უფრო, რასაკვირველია, ბატონურ წრეებს) ბევრი რამ ჰქონდათ საერთო სპარსელებთან (განსაკუთრებით აღმოსავლეთ ქართველებს) და ბერძნებთანაც (კერძოდ დას. და სამხრეთ საქართველოში).

სპარსეთის მონარქიაში მოსახლეობის კლასობრივი დანაწილება ჩანდა გარეგნული ნიშნებითაც. განსხვავებას აპირობებდა წარმოშობა და საკუთრება. განსხვავება, ტანსარის წერილის მიხედვით[16] ჩანდა ყველაფერში — "ცხენოსნობაში, ტანისამოსის, ბინების, ბაღების, ცოლების და მოსამსახურეების მხრივ". წარჩინებულნი განირჩეოდნენ ხელოსანთაგან და მსახურთაგან "მათი აკაზმულობის (ცხენოსნობის), მათი ტანისამოსის და იარაღის ბრწყინვალებით, მათი ცოლები განირჩეოდნენ აბრეშუმის ტანისამოსით, ფეხსამოსით, პერანგის ამხანაგებით, თავსაბურავით. მათ ახასიათებთ მაღალი დარბაზ-კოშკები, ნადირობა და დიდკაცთა სხვა ვარჯიშობანი". მხედრებს ჰქონდათ "საპატიო მდგომარეობა და ყოველგვარი წყალობა".

ტანსარისავე წერილის მიხედვით "ყველა წარჩინებული გვარები აღრიცხულნი იყვნენ წიგნებსა და საბუთ-საცავებში".

ასეთივე წიგნები — დავთრები იყო ქართლშიაც. მეფე მირი წერდა აფხაზეთის ერისთავ ლეონს (645 წ.), რომ არსებობსო "გუჯარი, რომელს შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით" (ქ. ცხოვ., გვ. 240). ცხადია, რომ ასეთი გუჯარი ქართველებს წინა საუკუნეებშიც ჰქონდათ. პროკოპი კესარიელის სიტყვით (BP, II, 15), ეგრისის (ლაზიკის) მეფის ელჩები ეუბნებოდნენ სპარსეთის მეფეს ხოსრო-ანუშირვანს, რომ სპარსეთის და ლაზების ურთიერთ მოკავშირეობის შესახებ საბუთები ჩვენც გვაქვს ბლომად და თქვენს საგანძურშიც მოიპოვებთო. დამადებაში ეზდრას წიგნში მოხ-

16 . ეს წერილი გამოაქვეყნა Darmsteter-მა Journal Asiatique, 1894, I, p. 200 და შემდ. წერილის თარგმანი ამ აზრს ემხრობოდა არტ. ქრისტენზენი (Essai sur la démonologie iranienne, Copenhag, 1941, p. 63). მაგრამ შემდეგ მან შეასწორა ეს აზრი. თავის წიგნში L'Iran sous les Sassanides, 1944, p. 318 ის ფიქრობდა, რომ ტანსარის წერილი შედგენილია მაზდაკიზმის მიერ გამოწვეულ გადატრიალებათა შემდეგ. ყველა შემთხვევაში ეს წერილი კარგად გამოხატავს IV-V საუკუნის ყოფას ირანში.

სენებულია საგანძურის აღმნიშვნელ ქართულ ძველ ტერმინად "საუნჯე", რომელშიდაც იყო "წიგნის საცავი".

პეტრე ქართლელის ცხოვრების აღწერილობის ასურულად მოწევნილი ვერსიიდან ვტყობილობთ, რომ მცხეთაში იყო სპეციალური გლახაკთა სახლი. ეს გლახაკთა სახლი გააშენა მეფე ბაკურმა, რომელიც მირიან მეფის შვილიშვილი უნდა ყოფილიყო და 362-370 წლებში მეფობდა. იმავე ცხოვრების ავტორი გადამეტებული იდეალიზაციით გვიხატავს ბაკურის ზრუნვას გლახაკთადმი, მაგრამ ისინი ბლომად იყვნენ და სოციალურ უბედურებას წარმოადგენდნენ. ცხადია, რომ ამ დროს გლახაკთა შესახებ ზრუნვა ქართლში სერიოზულ საკითხად იქცა.

ბაკურ მეფის ქალმა (იმავე პეტრე ქართლელის ცხოვრების მიხედვით) ბაკურდუხტიამ, რომელიც ბუზმირზე იყო გათხოვილი (ის პეტრე ქართლელის დედა იყო), თავისი ქმრის სიკვდილის შემდეგ მიანება თავი ქალაქში ცხოვრებას და თავის სოფლებში ატარებდა ასკეტურ ცხოვრებას. რამოდენიმე ადგილას მან ააშენა უცხოელების (ეი. მგზავრების) მისაღები სახლი და საავადმყოფოც. პეტრე ქართლელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ IV საუკუნის ბოლოს და V საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ წარჩინებულთა შორის ძლიერ გავრცელებული იყო განებივრებული ცხოვრებისკენ მიდრეკილება, სიამოვნების ძიება და უდარდელი ცხოვრება. ბევრს თავისთან ჰყავდა მომღერალი კაცები და ქალები.

როდესაც 627 წ. ხაზარები შემოვიდნენ თბილისში, მცხოვრებლები იმალებოდნენ სახლების სახურავებზე, მილებში და ეკლესიებში. ცხადია, რომ სახლების სახურავი ყოფილა ორი დაფერდების მქონე, ჰქონიათ სახლებს ბუხრებიც. როგორც ჩანს ასეთი სახლები თითქმის რომ ჩვეულებრივი ყოფილან. სახლების ეს ტიპი 627 წლისათვის ახალი შემოღებული არ იყო. საგულისხმებელია, რომ შენობათა ასეთი ტიპი (ორ დაფერდებიანი სახურავი და ბუხარი) თბილისში ვახტანგ გორგასალის დროიდანვე უნდა ყოფილიყო შემოღებული.

თარგმნით აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში იხსენიება მოსამართლისთვის მეორე ქართული ტერმინი ბჭე.

პიტიახშის საცხოვრებელ სახლს ერქვა ტაძარი. ტაძარი კი ნიშნავდა (საქმ. მოც., 5, 24) წმინდა ადგილს.

საუნჯე დაბადების პირველ ვერსიაში ნიშნავს ოთახს, სახარების თარგმანში კი (ლუკ., 3, 17) — პურის შესანახს.

დაბადების პირველ ვერსიაში (1 მეფ, 8, 12) მოხსენებულია "ჯაჭვს მოქმედი და საჭურველის". მეორე ვერსიაში ესევე ადგილი ბერძნულის შესაბამისად, მოყვანილია ასე "საჭურველის მოქმედად და ეტლთა (იგულისხმება საომარი ეტლი) თუსთა მოქმედად". ამიტომაც საშუალო საუკუნეების ლიტერატურულ ქართულში იხმარება სიტყვა ჯაჭვ-ჭური. საერთოდ ეტლად დაბადების I ვერსიაში იწოდებოდა საომარი ეტლი (მაგ, 2 მეფ, 8, 4; 3 მეფ, 10, 21 და სხვ.) და აგრეთვე ის ჩვეულებრივი სამარგული, რომელთაც ხარები ზიდავდნენ (მაგ, 2 მეფ, 24, 22: " აჰა ჯარნი ყოვლად დასაწევლად და ეტლნი და ჭურჭელნი საკმაზნი ჯართანი შეშად"). ტერმინის ეტლის წარმოშობა გაურკვეველია. დაბადების II ვერსიაში ეტლის მაგივრად იხმარება უკვე ტერმინი ურემი (მაგ, რიცხვ, 7, 4-8; ამ ნაწილის ქართული თარგმანის პირველი ვერსია არაა მოღწეული. აბო ტფილელის ცხოვრებაში ურემი არის მოხსენებული (ურმით აიტანეს აბოს გვამი დასამარხავად).

პროკოპი კესარიელი აღნიშნავს (BP, 1, 14), რომ სპარსელები ჩვეულებრივ სადილობდნენ საღამოს მიახლოვებისას, ბერძნები კი — შუადღემდის. ქართული ტერმინი სა-დილი (ეი. დილის საჭმელი) ამტკიცებს, რომ ქართველებს ჰქონდათ პურის ჭამის დროის შესახებ ისეთივე წესი, როგორიც ბერძნებს. აღსანიშნავია, რომ ასეთივე წესი იყო ქართველებში XVIII ს-ნეშიც.

შუშანიკის ცხოვრებიდან ჩანს, რომ ვარსქენ პიტიახშს შეოჰქონდა პურის ჭამის სპარსული წესი — სადილი დაღამებისას და ქალების კაცებთან ერთად დასხდომა. "რა ჟამს შემწუხრდა (შუბნელდა), მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისასა და ინებეს (ვარსქენმა და ჯოჯიკმა) ერთად პურის ჭამაჲ". სადილის დროს შუშანიკმა სთქვა რისხვით: "ოდეს ყოფილ არს აქომამდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური და განიპყრა ჴელი და ჭიქა იგი პირსა შეალეწა (ვარსქენს) და ღვინოჲ იგი დაანთხია".

135. ცრუმორწმუნოებანი.

ხალხში ბლომად იყო ფეხმოკიდებული პირველ ყოფილურ რელიგიურ რწმენებზე განვითარებული სხვადასხვა ჩამორჩენილი ცრუმორწმუნეობანი, რომელნიც არ ეგუებოდნენ ქრისტიანობის რელიგიურ მსოფლმხედველობას. ამიტომ ეკლესია ებრძოდა მათ და ცდილობდა მათ აღმოფხვრას. ცნობილია ქართულად მოღწეული ანტიოქიის საეკლესიო კრების დადგენილება ცრუმორწმუნეობათა შესახებ. დადგენილება სპე-

ციალურად მიღებულ იქნა სომხეთის და ქართლის შესახებ და უნდა ეკუთვნოდეს VI საუკუნის პირველი მეოთხედის ახლო ხანას. ქართული თარგმანიც ენის მიხედვით იმ ხანისა უნდა იყოს. ტექსტი იკითხება შემდეგნაირად: "ესეცა გუესმა ქუეყანასა სომხითისა და ქართლისასა: რომელნიმე სუბილ (ეს სიტყვა შემდეგ შესწორებულია: სუმბოლ) სარგისს ჰმსახურებენ; და რომელნიმე მაცთურთა მათ სახლის ანგელოზად უწოდენ და ჰმსახურებენ სახედ კერპთა; და რომელნიმე უჩინოთა ჰმსახურებენ, რომელნიცა ესე ვითართა ჰმსახურებენ, სადაცა სახლად გინა გარეთ, ველთა ანუ სადაცა კლდისპირთა ანუ ხეთა; და რომელნი ჭირვეულთა ჰკითხვენ და ისმენენ მათსა, ანუ მისანსა, ანუ მექრთილესა, ანუ მებეჭესა, ანუ მესანთლესი, ანუ ბედისა მომთხრობელსა, ანუ რაჲსაცა სამისნოჲსა მოქმედსა — ესე ყოველნი გრძნეულთა და ეშმაკთა და იუდას, განმცემელსა თანა დაისაჯნენ.

"კითხველნი მათნი და მსმენელნი განიკვეთნედ და განიდევნედ ეკლესიით და აღიკოცნედ სრულიად. და რომელნი უფლისცისელთა ჰმსახურებენ და რომელნი ბარანიას ეშმაკთა თავყანისცემენ კერპთა, რამეთუ ეშმაკნი არნ და ეშმაკეულნი და ქრისტჱს უვარისმყოფელნი არნ; რომელნი ესენ მათ და პირველისა მის კერპთმსახურებასა თანა შერაცხილნი, რამეთუ ფრიად უბოროტეს არს პირველსა მას კერპთმსახურებასა ქრისტჱს უვარისყოფაჲ და კერპთა შედგომაჲ და ეშმაკეულთაჲ, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ რომელმან ერთიცა მცნებაჲ სჯულისა დააკლოს ანუ ერთსაცა მცნებასა სჯულისასა გარდაჰდეს, იგი ყოველსავე სჯულსა გარდასრულ არს_ უკეთუ წინასწარმეტყველთასა არა ვისმენდეთ და ეკლესიისა მოძღვრებასა არა შევიწყნარებდეთ ეშმაკეულთა და მისანთა და გრძნეულთა და მებეჭეთა და მესანთლეთა და მექრთილეთა და ულუკთა და ჟივათასა და ესე ვითართა სხვათა მრავალთა კერპთ-მსახურთასა და ეშმაკის მსახურთასა და ღმრთისა უვარისმყოფელთასა ვისმენდეთ_

"და რომელნი მღერითა და ფანდურებითა კურნებასა იჩემებენ და ჟამ ერთ მიჰრიდებენ და აცთუნებენ მორჩილთა მათთა და იტყვან და იჩემებენ ამასაცა, ვითარმედ: მე დიდისა ღმრთისაჲ ვარ მონაჲ და მე წმიდისა გიორგისი და მე წმიდისა კონსტანტინესი და მე წმიდისა თეოდორესი და სხვაჲ სხვისსა იჩემებს. ხოლო რომელნი ესე ვითართა მათ მაცთურთა ჰკითხევდნენ და უსმენდენ, განიკვეთენ ქრისტჱ ანეთა სჯულისაგან და ეკლესიისა და ზიარებისაგან_

"რასაცა ქალაქსა ანუ სოფელსა პოოს მისანი, ანუ ქრთილთა მერელი, ანუ მესანთლე, ანუ ბედისა მომთხრობელი, ანუ მსხარეალი და გრძნეული, უთქმელთა მოქმედი, ბილწად მძრველი, ჩუკენი, მოგვი, შფოთის მომკრები მსახური, მომღერალი, მროკვალი, რაინდი, სტადიონმორბედი, მოკიცხარი, მემწყობრე, მექნარე, მებარბითე, მუდრიბი, ღებილთ ბმის მოქმედი, მსხურებელი, მემფრინველე, ნიშანთ მაჩვენებელი, ასოთ მღერათ, მთარგმნელი, შემთხვევათა შინა სახედავთა განრყვნილებისა განმჭვრეტი, ანუ ფერკთა, ანუ მფრინველთაჲ, ანუ შემოზრახვათაჲ ანუ წკერათა მნიშვნელი, ბრძანებისა, რომელსა თავლთ მაუცნობლად უწოდოთ, ანუ უთქმელნი მამრთ აღრევანი ან კანაკი მამრდედრობი და ზღაპრობათა მთქუმელი, ესე ვითარისა მთქვმელი, ესე ვითარისა მოქმედი რა სამე, სადაცა გამოჩნდეს, ესწავლოს; რათა მოიქცეს და დაუტევოს საცთური იგი და შეუდგეს მართალსა სარწმუნოებასა კათოლიკე ეკლესიისასა, და მოძღვარმან განიკითხნეს. და უკეთუ აღიარონ ვითარმედ დაუტევეს საცთური იგი და შეუდგეს ქრისტესა, მიეცეს ზემო წერილი კანონნი და ეგრეთვე მკითხველთა და მსმენელთა მათთა... ხოლო სადა იგი საცთური ყოფილიყოს სახლსა შინა ანუ სადაცა ადგილსა ზედა, ჯერ არს აღთხრაჲ მისი, ანუ დაწვაჲ, ანუ წყალსა შთაყრა და წმიდად განწმედაჲ მის ადგილისაჲ და ეპისკოპოსისგან კურთხევაჲ".

136. ზოგადი დასკვნა.

ქართულ ქვეყნებში V საუკუნისათვის და V საუკუნეში წამყვანი მნიშვნელობის მხარეთა სახით სამეურნეო ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონე იყო. ვახტანგ გორგასალის მართებლობის დროს მიღებულმა და გატარებულმა ღონისძიებებმა შექმნეს სათანადო ეკონომიური საფუძველი ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელად და უზრუნველყვეს ქართველი ხალხის ახალი, მეტად თვალსაჩინო მიღწევები საზოგადოებრივი და კულტურის ცხოვრების თითქმის ყველა მონაკვეთზე. სატახტო ქალაქის თბილისში გადმოტანა და თვით ამ ქალაქის გაშენება წარმოადგენდა ამ აღმავლობის ერთერთ გარეგნულ გამოხატულებას.

როგორც ზემოთ ნაჩვენები იყო, ქართული ქვეყნების ცხოვრებაში IV და განსაკუთრებით V საუკუნეში, კერძოდ, ვახტანგ გორგასალის მართებლობის დროს, აღინიშნებოდა მონათმფლობელობის რღვევის პროცესი. მონები რომის იმპერიაში, სადაც იყო მაღალგანვითარებული მონათმფლობელური წყობილება, პასიურად (საბოტაჟის

გაძლიერებით) და აქტიურადაც (სათანადო გამოსვლებით) იბრძოდნენ თავიანთი მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის. მონის შრომა უკვე არც ისე რენტაბელური იყო, როგორც წინათ და ზოგ შემთხვევაში პირდაპირ მაზარალებელი. ქართულ ქვეყნებში ბევრ ადგილას მონების გვერდით ძლიერდებოდა მიწათმფლობელთა დამოკიდებულებაში მყოფ წვრილ მეურნეთა მემკვიდრე მსახურებრივი წოდება, რომელსაც თანდათან გლეხობის სახელი განუმტკიცდა. თემობრივი ცხოვრებაც, რომელსაც ქართულ ქვეყნებში განსაკუთრებული განვრცობა და სიძლიერე ახასიათებდა, უფრო და უფრო იზღუდებოდა. სახელმწიფო ემყარებოდა უფრო და უფრო მზარდ მდგომარეობაში მყოფ თავისუფალ მფლობელთა, განსაკუთრებით მსხვილ-მფლობელთა (აზნაურთა და დიდ-აზნაურთა) ფენებს და იმავე დროს დიდ ყურადღებას აქცევდა წელ-მაგარ მემკვიდრე მსახურეულ წვრილ მეურნეთა (გლეხთა) კონტიგენტის გამრავლებას და ამით მონობის უარყოფითი მხარეების შერბილებას. მაგრამ რამდენადაც მონები, განსაკუთრებით ქალაქებში, მაინც არსებობდნენ, იმდენად კვლავინდებურად ადგილი ჰქონდა მათ სასტიკ ექსპლოატაციას. მონების მხრივ ეს იწვევდა საწინააღმდეგო განწყობილებას.

ვახტანგის ხანისათვის დამახასიათებელია გლეხური წვრილ მეურნეთა ჩამოყალიბება. გლეხები ამუშავებდნენ მფლობელის მიერ სათითაოდ მათთვის მიცემულ მიწას გარკვეული ვალდებულების შესრულებით მიწის მფლობელის მიმართ. ამიტომ გლეხს მიწა ეკავა პირობითი უფლებით. გლეხები თემში არ შედიოდნენ და საერთოდ ისინი V საუკუნის მეორე ნახევარში რიცხვით მეტად მცირედ უნდა ყოფილიყვნენ. რამდენადაც გლეხი ფლობდა მიწას პირობით, იმდენად გლეხთა არსებობა ნიშნავდა ფეოდალური წყობის არსებობას გვაროვნულ-თემობრივი წყობილების ხანაში.

ვახტანგის მართებლობის დროს მოხდა ქართული ქვეყნების არა მთლიანად, მაგრამ მაინც დიდი უმეტესობის გაერთიანება ქართლის სამეფოს ხელქვეით. ეს გაერთიანება აღმოჩნდა მართალია ხანმოკლე, VI საუკუნეში პოლიტიკური ერთიანობა ერთ სახელმწიფოში მყოფობით კვლავ დაირღვა, — მაგრამ უკვე შემუშავებული ქართველი ეროვნულობის მთლიანობის განსამტკიცებლად მას მაინც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ქართველი ტომების (ქართლური, მეგრული, სვანური ტომების) ეროვნულობრივი მთლიანობა შემდგომ საუკუნეებში კვლავ მტკიცე იყო. ისეთი მნიშვნელოვანი ძვრების ეპოქაში, როგორიც იყო ვახტანგ გორ-

გასალის ხანა (ეი. არსებითად V საუკუნის მეორე და მესამე მესამედში) თვალსაჩინო ახალი მიღწევები იყო კულტურის სფეროში.

საერთოდ კი V საუკუნემ დასახა ქართველი ხალხის მომავალი განვითარების ახალი გზები და საშუალებანი, რომელნიც მომავალში ეფექტური აღმოჩნდებიან ქართული ეროვნულობის და მისი ინდივიდუალური სახის მქონე კულტურის განვითარების უზრუნველსაყოფად შემდგომი საუკუნეების სიგრძეზე. ყველაფერი ეს დაემთხვა მაღალი პიროვნული ღირსებებით შემკული ვახტანგის მართებლობის ხანას და ამიტომაც ქართველმა ხალხმა თავის ხსოვნაში ვახტანგ გორგასალის სახელი უკვდავჰყო.